114
1971/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

2

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 46-ე № 2 თებერვალი, 1971 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

11637

პლატონ ბებია — ნაბადი. ლექსი. აფხაზურიდან თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა . . . 3

ნიკოლოზ კვიწინია — როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები. ლექსი. აფხაზურიდან თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა . . . 4

ვიტალი ამარშანი — გულგული. ლექსი აფხაზურიდან თარგმნა გივი ძნელაძემ . . . 4

ა. აჯინჯალი — გათენება. ლექსი. აფხაზურიდან თარგმნა გივი ძნელაძემ . . . 5

კონსტანტინე ლომია — თეთრი ფუტკარი. ლექსი. აფხაზურიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა . . . 5

მუშნი ლასურია — დოლაბები. ლექსი. აფხაზურიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა . . . 6

ჭიჭიკო ჯონუა — გოგონა მისხამდა ღვინოს. ლექსი. აფხაზურიდან თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა . . . 7

გიორგი გუბლია — ამზარა. ლექსი. აფხაზურიდან თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა . . . 7

დავით კვიცარიძე — მშვიდობით, უსიერო ტყეებო! რომანი. ნაწილი II. დასასრული . . . 9

ნიკოლოზ მიქავა — როცა წვიმა მღერის... ნარკვევი . . . 95

სერგო ჩხარტიშვილი — უთანასწორო დუელი. ნაწყვეტი რომანიდან . . . 129

ნ. ლომჯარია — გულის კარნახით. ნაწყვეტები რომანიდან . . . 140

### 100 ლესია უკრაინკა 100

ლესია უკრაინკა — პოლარული ღამე. ლექსი. თარგმნა გივი ძნელაძემ . . . 151

ოთარ კუპრავა — შენთვის ანთია ორი სანთელი. ლექსი . . . 154

ოთარ ბაქანიძე — ლესია უკრაინკა საქართველოში . . . 156

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## ფაქტები, მოგონებანი

თამარ ბახტაძე — ჩვენი ვალია . . . . . . . . . . . . . . . 163

## წიგნების მიმოხილვა

გურამ მამულია — ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა . . . . . . . . . . . . . . . 179

გიორგი დოლიძე — უცხოური ენციკლოპედიების ლაფსუსები . . . . . 191

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **ელგუჯა მაღრაძე**

სარედაქციო კოლეგია:
ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 17/XII-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II-71 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 18.

უე 01925. ტირაჟი 13.200. შეკვ. № 3893.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონ ბებია

# ნაბადი

## (ბალადა)

ომში წასული საქმროსთვის ნაბადს
დიდხანს თელავდა მთიელი ქალი.
ნატრობდა, რომ დროს გაევლო სწრაფად,
ენახა ვაჟი საკუთარ თვალით.

იქ კი ვეფხვივით იბრძოდა გმირი
საყვარელ კუთხის გადასარჩენად,
ვერ შეუცვალა ქარ-ცეცხლმა ნირი,
დუშმანს ზარავდა მისი მარჯვენა.

გულს სიამაყით უვსებდა მთები,
რასაც მთიელის სამშობლო ჰქვია...
უცებ დაკეცა არწივმა ფრთები, —
გული გაუპო ვერაგის ტყვიამ.

გლოვობს ოჯახი დაღუპულ მხედარს,
წყეულიმც იყოს სამშობლოს მტერი.
თმა გაიშალა მოხუცმა დედამ,
საცოლეს მიწის დაედო ფერი.

უფრო გაშავდა ნაბადი შავი,
გაჭვარტლულ კართან ჩამოკიდული,
არ შორდებოდა ზმანება ავი
და ირწეოდა, როგორც ფიტული.

ნაბადს ცვარ-ნამი ცრემლად სდიოდა,
დრო მიდიოდა, ვით მთის მდინარე,
ყოვლის მეუფე-დრო მიდიოდა,
გამჩერებელი მისი ვინ არი?

ერთხელ, საღამოს, ცამ რომ იელვა,
ჭიშკარს მოადგა უცხო მხედარი
და უმასპინძლა ქალმა მთიელმა
სტუმარს სასურველს და სანეტაროს.

და ლერმონტოვმაც არ იუარა,
იქვე დააბა ფეხმარდი ცხენი...
ასეა მუდამ; მცირეც რომ იყოს
სამახსოვროა ყოველთვის ძღვენი.

მთიელთა წმინდა წესი ეს არის:
მიცვალებულის ნივთებს, ქონებას
აძლევენ სწორებს და ნათესავებს,
აძლევენ მას, ვინც მოეწონებათ...

და როცა ხევში დადუმდა ქარი,
როცა შრიალი მიწყდა ჩინართა,
მთიელი ქალის ნაჩუქარ ნაბადით
მხედარი ბნელში გაუჩინარდა.

აფხაზურიდან თარგმნა
ემზარ კვიტაიშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ კვიცინია

## როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები

როცა შემიპყრობს მარადი ძილი,
გარდუვალი და სიბნელით სავსე,
ჩემი სახლისკენ მიმავალ ბილიკს
ო, ნუ დაფარავს მტვერი და ხავსი.

იყოს ხმაური,
იყოს სიცილი,
სახლის კარები დატოვეთ ღია.
მხიარულება არ მოიცილოთ,
მგზავრს შეეგებეთ — დაღლილს და გვიანს.

დახვდეთ მეგობრებს ალალი სუფრა,
უჩემოდ დადნი, ღამის უკუნო...
მე რომ მიყვარდა, იმაზე უფრო
მძლავრი სიმღერა დააგუგუნონ.

როს თვალს დავხუჭავ,
გამწირავს ბედი,
როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები,
სხვებმა იბრძოლონ, დე იყოს მეტი
გამარჯვება და ახლის მიგნება.

როცა უჩემოდ ამოვა მთვარე
და მარტოობის შემკრავს ხუნდები,
თქვით, რომ მცირე ხნით გაველი გარეთ,
რომ მალე ისევ შემოვბრუნდები.

აფხაზურიდან თარგმნა
ემზარ კვიტაიშვილმა.

ვიტალი ამარშანი

## ბ უ ლ ბ უ ლ ი

ტყე მხეცების ბუნაგია:
ტყეში მხეცი დათარეშობს
ათასგვარი ჯიშისა და
ათასგვარი ხარისხის;
მელა გინდა,
კვერნა გინდა,
ტურა გინდა,
თუ რა გინდა!..
მგლები ხვრეპენ
იალაღზე
გაგდებული ხარის სისხლს...
დათვ-ვეფხვები შლიგინობენ ტყეში,
ტყეში ნადირს რა გამოლევს, —
ავთა ხმათა
ბუნაგია ტყე!..
მე ის მიკვირს:
ამდენ მხეცში
ბულბული რომ გატრუნულა რტოზე
და სიცოცხლის
სამადლობელს
სტვენს —
დილიდან საღამომდე სტვენს!..

აფხაზურიდან თარგმნა
გივი ძნელაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. აჯინჯალი

# გათენება

განთიადზე ცამ და მიწამ
გარინდება იცის,
ყოველი არსი ერთი წამით
მიყუჩდება მაშინ...
ბაღი მზისკენ ცვრიან ტოტებს
სხივებივით იწვდის,
მზე კი სხივებს ტოტებივით
ჩამოხლართავს ბაღში.

ალიონის ნათელს
იცვამს ცა და ხმელი,
ჩუმად! —
დედამიწა
მზის ამოსვლას ელის!

აჰა, ჩიტუნები
აჟღურტულდნენ ტკბილად,
მზით დაფერილ ცვარში
აელვარდა დილა.

გალუმპული პალმა
მომეგრილა შუბლზე,
ცის და მიწის ზეიმს
გალურსული ვუმზერ.

მიწამ კარგად იცის
მზის ფასი და ყადრი,
რადგან მზეა მიწის
სალოცავი ხატი!..

განთიადზე შესწრებიხარ
ცისკიდურის ციმციმს? —
ყოველი არსი მოლოდინში
გარინდდება მაშინ;
ბაღი მზისკენ ცვრიან ტოტებს
სხივებივით იწვდის,
მზე კი სხივებს ტოტებივით
ჩამოხლართავს ბაღში!..

...ალიონის ნათელს
იცვამს ცა და ხმელი,
ჩუმად! —
დედამიწა
მზის ამოსვლას ელის!..

აფხაზურიდან თარგმნა
გივი ძნელაძემ.

კონსტანტინე ლომია

# თეთრი ფუტკარი

თითქოს ხსნიდნენ იმ ტომარას,
შენ რომ გქონდა
ღმერთო, ალბათ ისე დაძაბუნდი,
ირეოდა,
ირეოდა,
ირეოდა,
თეთრი ფუტკრის
ფრთაფარფატა გუნდი!
მოდიოდნენ,
სახურავებს ასხდებოდნენ,
ისვენებდნენ
დაკეცილი ფრთებით,
ათეთრებდნენ
იანვარში
ხეთა რტოებს
ჩემი ჩუმი

და კეთილი ძმები.

გვეხებოდა თითქოს მხრებზე
მათი ხელით
ზამთრის თეთრი
სიზმრის დასაწყისი.
მათ მოჰქონდათ
დედამიწის საბურველი,
რომ სიშიშვლე
დაეფარათ მისი...

ჯადოსნური იყო მაშინ
მათი რხევა,
ფუტკრის გუნდო,
ისევ დაგვიბრუნდი!
რა ხანია,
აფხაზეთში არ ირევა,
თეთრი ფუტკრის
ფრთაფარფატა გუნდი...

აფხაზურიდან თარგმნა
**გივი გეგეჭკორმა.**

მუშნი ლასურია

# დოლაბები

იყო ღამე და ეძინა მთასაც,
ბარსაც,
სდუმდა ღამის მოშვებული სიმი,
აფხაზეთის ზეცა
თითქოს დაემსგავსა
გახლეჩილი ბროწეულის ღიმილს.

და ბუნების მდუმარება ჭეშმარიტი
ბრძანებლობდა,
მეუფება მისი
არვის სურდა დაერღვია,
სდუმდა ჩიტი,
არ ეძინა მხოლოდ
საწყალ წისქვილს.

არ ეძინა...
არც იძინებს ის არასდროს
და დოლაბი ეგლისება დოლაბს,
სძინავს ახლა მეწისქვილეს,
სძინავს პატრონს,
რა სჯობია
თბილ ლოგინში წოლას.

არასოდეს ეკიდება დოლაბს რული
და არ ელის დახმარებას ხსვისგან,
იმის შრომას
არ ექნება დასასრული,
თუ შეხვდება განთიადის ცისკარს.

მოდიოდნენ ცხენებით
და სახედრებით,
ღამით,
დღისით,
მოღლილები შრომით,
დოლაბები მუდამ ღიმილს ახვედრებდნენ,
ფქვილს ატანდნენ
გავსებული ტომრით.
ლხინშიც,

ჭირშიც
დასციმციმებს შუქი მათი
მექორწილეს ანდა ჭირისუფალს,
მათ სწამთ მხოლოდ
გამტკიცული პურის მადლი,
მხოლოდ მისით გაუშლიათ სუფრა.

დოლაბებო!
დღეს თუ გახსოვთ თუნდაც ერთი,
რომ არ იყოს გუშინდელზე მძიმე?
სიტყვა ტკბილი და კეთილი
ნეტავ თქვენთვის
თუნდაც ერთხელ უთქვამს ქვეყნად ვინმეს?

აფხაზურიდან თარგმნა
**გივი გეგეჭკორმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიჭიკო ჯონუა

## გოგონა მისხამდა ღვინოს

(სიმღერა)

როგორ მინდა შემიბრალო, გამიღიმო,
ველარა ვსვამ შენი ხელით დასხმულ
ღვინოს,
მაგარია და ცეცხლივით მეკიდება,
მე ვუმღერი მაგ თვალების შებინდებას.
მე შენსკენ და შენ კი, ღმერთმა რომ არ
იცის.

გატყობ რაღაც დღეს ვერა ხარ ხასიათზე,
ამრეზით მჭვრეტ და ყველაფერს აზვიადებ.
ო, რაღაცას მიმალავ და მერიდები,
ვმტრობთ ერთმანეთს და ვერაფრით ვერ
ვრიგდებით.
კარგად იცი ჩვენი მტრობის მიზეზი ხარ.

ველარ ვხედავ შენი ხელით ავსილ კათხას,
დავბრმავდი და არ მიჯერებ, ასე რად ხარ,
მიდიხარ და თვალი უკან არა გრჩება,
მიგაქვს ჩემი სიცოცხლე და გამარჯვება.
როგორ ვწვალობ, ნუთუ მართლა ვერა
ხედავ.

ვატყობ რაღაც დღეს ვერა-ხარ ხასიათზე,
ამრეზით მჭვრეტ და ყველაფერს აზვიადებ.
ო, რაღაცას მიმალავ და მერიდები,
ვმტრობთ ერთმანეთს და ვერაფრით ვერ
ვრიგდებით.
კარგად იცი ჩვენი მტრობის მიზეზი ხარ.

ან მიშველი და დამიხსნი ტყვეობიდან,
ანდა ღვინის მაგივრად შხამს შემომიტან.
სიყვარული შენი გულზე მეკიდება,
მე ვუმღერი მაგ თვალების შებინდებას.
ნეტა მუდამ მათრობდე და მიღიმოდე.

ვატყობ რაღაც დღეს ვერა ხარ ხასიათზე,
ამრეზით მჭვრეტ და ყველაფერს აზვიადებ.
ო, რაღაცას მიმალავ და მერიდები,
ვმტრობთ ერთმანეთს და ვერაფრით ვერ
ვრიგდებით,
კარგად იცი, ჩვენი მტრობის მიზეზი ხარ.

აფხაზურიდან თარგმნა
ჯანსულ ჩარკვიანმა.

გიორგი გუბლია

## ამზარა*

წყლის დასალევად ჩასულა
ჩემი ლამაზი ამზარა,
უნისლოდ და უსასრულოდ
ლამაზი ჩემი ამზარა.

ფიჭვები ცისკენ ილტვიან
სანთლებად ანთებულები,
შეხედავენ და იტყვიან —
სამოთხევ, აქ გვეგულები.

---

* ამზარა — ბიჭვინთის ულამაზესი ადგილი სადაც ფიჭვის ტყე ხარობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა ისე, ისე წყნარია,
ვით ნაკადული ანკარა.
ცის ფერი მოუპარია
და ყვავილებში ჩამტკბარა.

ტბა ისე გატრუნულია,
რომ მეშინია დაკარგვის.
მინდორი ნოხის გულია —
ღმერთებისაგან ნაქარგი.

გული ვერასდროს გაბზარა,
მტრის ამაზრზენმა ტორებმა
და გაიტაცეს ამზარა
ფიჭვების მწვანე რტოებმა.

შემოდიოდნენ ზღვიდანაც,
აღმოსავლით და დასავლით,
რომ წაებილწათ წმინდანი,
წყარო, ღმერთების ნასვამი.

რამდენ ჭრილობას მივაგებ
მაგ შენი მიწის საუფლოს
და მაინც ყველა სიმაგრე
ჩემს აფხაზურზე საუბრობს.

რადგანაც იგი ფიცავდა
თავის მშვენიერ ამზარას,
რადგან მის სახელს იცავდა,
რადგან სიკვდილი დასძალა.

ახლაც აქა დგას, აქ დადის,
აქ გაუდგია ფესვები.
აფსნი-ლამაზი, ტანადი,
სამშობლოს უმღერს ლექსებით.

აფხაზურიდან თარგმნა
ჯანსულ ჩარკვიანმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კვიცარიძე

# მშვიდობით, უსიერო ტყეებო!

## რომანი

### ნაწილი მეორე

გადაწყდა, დიდ მიწასთან ცოცხალი კავშირი უნდა დამყარებულიყო. მეთაურთა ერთ ჯგუფს ფრონტის ხაზს იქით უნდა გაეღწია, მისულიყო ვიტებსკის საოლქო კომიტეტში, რომელიც სადღაც, ფრონტის მახლობლად მოქმედებდა, მერე დაკავშირებოდა მეოთხე არმიის სარდლობას, მიეღო რაცია, რათა საშუალება გვქონოდა რეგულარულად მოგვეწოდებინა მათთვის მეტად საჭირო ცნობები მტრის შესახებ. ასეთი ცნობები კი ბრიგადის შტაბში ბევრი გროვდებოდა.

ძნელ გზას რჩეული მეთაურები დაადგნენ. ჯგუფში შედიოდნენ ვასილ ბოიკო, ვაიცეხოვსკი, კონსტანტინე ზასლონოვის ბრიგადის კომისარი — სელიცკი, ალექსი ბარდადინი და კიდევ რამდენიმე მეთაური.

ფრონტის ხაზზე გადასვლისას ალექსი ბარდადინი ფეხში დაიჭრა, თუმცა ამხანაგებს არ ჩამორჩენია და სოფელ კრასნი ბარში, სადაც იმჟამად ვიტებსკის საოლქო კომიტეტი იდგა, იხიც სხვებთან ერთად მივიდა.

პარტიზანთა წარგზავნილები ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელები, რომ პარტიზანული ზონის შექმნა გონივრული არ არის, მოქმედებას ზღუდავს, აძნელებს და მოითხოვდნენ ისევ ცალ-ცალკე ბრიგადებად და რაზმებად დარჩენას.

საოლქო კომიტეტმა თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა, ისინი ბრძოლის დიდ მასშტაბებს ვარაუდობდნენ და თავის მხრივ მართალნი იყვნენ, თუმცა მტრის ზურგში, მტერთან ბრძოლაში გამოცდილ მეთაურებს მეტი დაეჯერებოდათ.

ბოიკო, ვაიცეხოვსკი, სელიცკი და სხვები მეოთხე დამკვრელი არმიის შტაბში გამოცხადდნენ, მრავალ საჭირბოროტო საკითხზე მოილაპარაკეს, რაცია მიიღეს, თავიანთი პატარა ჯგუფი ახალი მებრძოლებით შეავსეს და ისევ მტრის ზურგში დაბრუნდნენ.

ალექსი ბარდადინი მოსკოვში სამკურნალოდ გაგზავნეს.

განკურნების შემდეგ ბარდადინი ვიტებსკის ოლქში პარტიზანული რაზმებისა და ბრიგადების მოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით წარსდგა ბელორუსიის პარტიზანული მოძრაობის შტაბში, მეორე დღეს კი ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გამოიძახა.

დიდხანს ისაუბრეს და ბოლოს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბარდადინს სრულიად მოულოდნელად უთხრა:

— ამხანაგო, ბარდადინო, ახლა თქვენ თვითონ ამხანაგი სტალინი მიგიღებთ.

ბარდადინი ფეხზე წამოხტა, ხელებს ადგილი ვერ უპოვნა და ხალათზე ჩამოისვა, ქამარი შეისწორა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მოემოქმედნა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოახერხა.

ყველაფერს მოელოდა, მაგრამ თუ უმაღლეს მთავარსარდალს შეხვდებოდა, ეს ვერაფრით ვერ წარმოედგინა.

„ეს როგორ? — ფიქრობდა იგი. — წითელი არმიის კაპიტანს, უბრალო ადამიანს, პარტიზანული ბრძოლების რიგით ჯარისკაცს თვით სტალინი მიმიღებს?“

არა, არ სჯეროდა და როცა სახელდახელოდ გაეცნო პარტიზანული მოძრაობის დევგმირებს, სიდორ არტემის ძე კოვპაკს, ვიტებსკის პარ-

ველი პარტიზანული შენაერთის მეთაურს მინაი ფილიპეს ძე შმერიოვს-ბატკოს, ალექსი ნიკოლოზის ძე საბუროვს და ბრიანსკის ტყეების „მეფეს“ — ემილიუტინს, ირწმუნა, სტალინს მართლა შეხვდებოდა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა პარტიზანთა წარმომადგენლები თავის დიდ სამუშაო ოთახში მიიღო. შეხვედრას ვოროშილოვი და კალინინი ესწრებოდნენ.

სტალინმა ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი, ზოგს გვარი ჰკითხა, ზოგს მოქმედების ადგილი. ჯერი ბარდადინზე მიდგა.

— რა გვარი ხართ? — ჰკითხა სტალინმა.

— ბარდადინი, განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის მეთაური, — სხარტად უპასუხა ალექსი თევდორეს ძემ.

— როგორ, როგორ? — ჩაჰკითხა სტალინმა.

— ბარდადინი, ამხანაგო სტალინ, ალექსი თევდორეს ძე ბარდადინი.

— აა! გასაგებია, დაჯექი!

გრძელ მაგიდას მწვანე მაუდი ეფარა, ოთახის ერთ კუთხეში, საწერ მაგიდაზე ათამდე ტელეფონი იდგა. მეორე ოთახში, რომლის კარიც ღია იყო, ასევე მოზრდილ მაგიდაზე მინერალური წყლები ელაგა.

მწვანე მაგიდაზე რამდენიმე რუკა იყო გაშლილი. სტალინმა ხელში ლურჯი ფანქარი დაიჭირა და მაგიდასთან პირველად კოვპაკი მიიწვია.

— მითხარით, ამჟამად სად მოღვაწეობთ?

კოვპაკს უნდოდა რუკაზე დახრილიყო, მაგრამ სტალინი თვითონ დასცქეროდა რუკას, ეუხერხულა და თავის შენაერთის ადგილი ურუკოდ დაუსახელა. სტალინმა ის ადგილი ფანქრით შემოხაზა და ზედ დააწერა: კოვპაკი.

— როგორ ეპყრობიან ფაშისტები ხალხს? — კოვპაკს ახედა.

კოვპაკმა ფაშისტთა მხეცობის, მათგან რბევის, დამცირების, აწიოკების მრავალი მაგალითი მოიყვანა. სტალინი გულდასმით უსმენდა, ჩიბუხს ეწეოდა, რომ ჩაუქრებოდა, საფერფლეზე ბერტყავდა და ისევ ტენიდა.

კოვპაკის მოხსენებამ თითქმის ნახევარ საათს გასტანა. მან შენაერთის საბრძოლო მოქმედების, მოძრაობის, მტერთან შეხვედრის ბევრი საინტერესო მომენტი აღნიშნა. სტალინმა უცებ შეაჩერა, ფანქარი მაგიდაზე დააგდო, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე კოვპაკის შორი-ახლო შეჩერდა და საკმაოდ მკაცრად უთხრა:

— ეს ყველაფერი კარგია, ამხანაგო კოვპაკო. კარგია, რომ მტერს მოსვენებას არ აძლევთ, ანადგურებთ, თავს ესხმით, არ უშინდებით. კარგია, მაგრამ ხალხი? რატომ არ შველით ხალხს? გადაარჩინეთ ისინი გერმანიაში გარეკვას. ეს თქვენი — ყველას თვალი მოავლო — უპირველესი ამოცანაა, უპირველესი და გადამწყვეტი. — მერე ისევ მაგიდასთან მივიდა, ფანქარი აიღო და ალექსი ნიკოლოზის ძე საბუროვი მოიხმო. და ასე, თვითოეულ მეთაურს ეძახდა, მოქმედების ადგილს აზუსტებდა, მალე რუკა ლურჯი ხაზებით დაისერა.

სტალინმა სთქვა:

— თქვენზე, მამაც პარტიზანებზე და პარტიზან ქალებზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ანადგურეთ მტრის ბაზები, ააფეთქეთ ხიდები, მწყობრიდან გამოიყვანეთ რკინიგზები და გზატკეცილები, მოსპეთ მცირე გარნიზონები. ეს არის თქვენი ამოცანა და იცით თქვენი მოქმედებით როგორ დაეხმარებით სტალინგრადის დამცველებს?

იმუშავეთ ხალხთან, აგრძნობინეთ, რომ თქვენი სახით მათ საიმედო დამცველი ჰყავთ. გადაარჩინეთ ხალხი, გადაარჩინეთ! — ჩიბუხი ჩაუქრა, საფერფლეზე გულდაგულ დაბერტყა, გატენა და მოუკიდა.

— ამხანაგო სტალინ, ნება მოგვეცით გამოვიყენოთ ტერორისტული აქტები, მოვსპობთ გერმანელ გენერლებს, ჩინოვნიკებს, პროვოკატორებს, მოღალატეებს.

დუმილი ჩამოვარდა.

— ტერორიზმს ისტორია აკრიტიკებს, ერთს მოჰკლავ, მის ადგილს მეორე დაიჭერს! — შენიშნა ვოროშილოვმა.

ყველამ უმაღლეს მთავარსარდალს შეხედა.

— მე ვფიქრობ, ამ ეტაპზე ტერორის გამოყენება შეიძლება, — თქვა მან, — მოვსპოთ გენერლები, ჩინოვნიკები, ყველა ჯურის პროვოკატორები, ეს საჭიროა.

მინაი ფილიპეს ძემ შვებით ამოიუნთქა.

— ეხლა ესეც მითხარით, — განაგრძო სტალინმა, — ჩვენი დავალება რომ შეასრულოთ, რა დახმარება გჭირდებათ?

— გვერიდება, ამხანაგო სტალინ, — ყველას დაასწრო სიდორ არტემის ძემ. — ვიცით რომ მძიმე მდგომარეობაა ფრონტზე, ვიცით, რომ უჭირს სტალინგრადს და დახმარების თხოვნას ვერ გიბედავთ.

— მაინც რას მოითხოვთ?

— ავტომატები გვაკლია, ამხანაგო სტალინ, მაგრამ არა უშავს, ვიშოვით, მტერს წავართმევთ და მისივე იარაღით დავცხებთ.

სტალინმა გაიარ-გამოიარა, სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ მისი ჩექმების ბაკუნი არღვევდა.

— იცით, — თქვა ბოლოს, — ახლა ჩვენი მრეწველობა მრავალ ათას ავტომატს უშვებს (მან ზუსტად დაასახელა ციფრი). ფრონტი უზრუნველყოფილია, თქვენც მოგცემთ!

კოვპაკმა ყველას მაგიერ მოახსენა მადლობა და, მთავარსარდლის გულუხვობით გათამამებულმა, ნაღმტყორცნებიც მოითხოვა. კოვპაკს ემილიუტინიც წამოეშველა, ნაღმტყორცნები ძალიან გვჭირდებაო.

სტალინი ამჯერად დაფიქრდა, მაგიდასთან მივიდა, რუკას დახედა, რაღაც ჩაინიშნა.

— მაინც როგორი ნაღმტყორცნები გჭირდებათ? — იკითხა.

— ასეულის ნაღმტყორცნი, ამხანაგო სტალინ! — ერთხმად უპასუხა ყველამ.

— ეს რა, ორმოცდაათმილიმეტრიანი ნაღმტყორცნია, არა? — მიუბრუნდა სტალინი ვოროშილოვს.

— დიახ, ამხანაგო სტალინ! — უპასუხა მარშალმა.

— ფრონტზე ასეთი ნაღმტყორცნები არ უყვართ და ამიტომ მოვხსენით შეიარაღებიდან! — თქვა სტალინმა.

პარტიზანთა მეთაურებმა ერთმანეთს გადახედეს, გაუკვირდათ, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა ასეთი წვრილმანიც იცოდა.

— ახლა ჩვენ ახალი სახის, უხმაურო ნაღმტყორცნები გვაქვს, — განაგრძო სტალინმა, — გამოგადგებათ?

ყველას კმაყოფილების ღიმილი გამოეხატა სახეზე.

— დიახ, ამხანაგო სტალინ, გამოგვადგება!

მიღება სამ საათსა და ოც წუთს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში სტალინი ერთხელაც არ ჩამომჯდარა, იდგა, ან დადიოდა და გამუდმებით ეწეოდა თავის განუყრელ ჩიბუხს.

...1942 წლის დეკემბერში ალექსი ბარდადინი კალინინის ფრონტზე გაგზავნეს, ხოლო 1943 წლის დასაწყისში თავის მებრძოლ ჯგუფთან ერთად მტრის ზურგში, სტიკის რაიონში სამი რესპუბლიკის — რუსეთის, ბელორუსიისა და ლატვიის საზღვარზე პარაშუტით დაეშვა, როგორც ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის პარტიზანული მოძრაობის შტაბის რწმუნებული.

ალექსი ბარდადინს დავალებული ჰქონდა ამ რაიონებში მოქმედი ყველა პარტიზანული რაზმის მეთაურობა. მან სულ მალე სამი რესპუბლიკის პარტიზანთაგან ერთი ძლიერი შენაერთი შექმნა. ამ შენაერთის წინააღმდეგ მტრის დიდი ექსპედიცია დაიძრა. გერმანელებმა გადასწვეს დაბები, სოფლები და ხალხი იძულებული გახდა ტყეში გადასულიყო.

ბრძოლა 41 დღეს გაგრძელდა. ფაშისტებმა უამრავი ჯარისკაცი და მეთაური დაკარგეს, პარტიზანულ შენაერთს ბევრი ვერაფერი დააკლეს და დიდი დანაკლისის გამო მათთან ბრძოლაზე ხელი აიღეს, თუმცა ერთ-ერთ რაიონში სპეციალური პლაკატები გამოაკრეს, პლაკატებზე ეწერა:

„გერმანიის სარდლობამ ოსვეისკისა და რასინსკის რაიონებში მთლიანად გაანადგურა პარტიზანული რაზმები. მხოლოდ პატარა ჯგუფიღა გადარჩა. იგი გერმანიის სარდლობისათვის სრულებით არ არის საშიში. მოსკოვიდან გამოგზავნილი მთავარი ბანდიტი ბარდადინი მოკლულია, მისი გვამი ნაპოვნია“.

ალექსი თევდორეს ძე ბარდადინის პარტიზანული შენაერთი კი ამ დროს ახალი, უფრო დიდი მასშტაბის ბრძოლისათვის ემზადებოდა.

აფეთქებული ხიდები, აყირავებული ეშელონები, დანაღმული რკინიგზები და შოსეები, განადგურებული ბაზები, მწყობრიდან გამოსული მტრის კომუნიკაცია, პარტიზანთა ტყვიით განგმირული ფაშისტი გენერლები, ოფიცრები, ჩინოვნიკები, პროვოკატორები...

აი, ამ გზით, ამ შედეგებით იარა ალექსი ბარდადინის შენაერთმა.

1944 წლის ივლისში იგი მძიმედ დაიჭრა და მოსკოვში დაბრუნდა.

...დიდი მიწიდან დაბრუნებული ბოიკო და ვაიცეხოვსკი მთელი დღე კარავში ისხდნენ რაზმის მეთაურებს ეძახდნენ, მათი აქ არ ყოფნის დროს მომხდარ ამბებს ეცნობოდნენ. ჩვენს მეთაურსაც დაუძახეს. შარშავიცკი მალე მოვიდა და გვაუწყა, ბრიგადის მეთაური დაბერებული და რაღაცნაირად შეცვლილი მეჩვენა, მკაცრად და უკმეხად მელაპარაკა, საყვედურიც კი მითხრა, ამდენ ხანს გულხელდაკრეფილნი რატომ ისხედითო.

გულხელდაკრეფისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თითქმის მთელი სამი კვირის განმავლობაში ბრიგადას თუ ზონას საგულისხმო არაფერი გაუკეთებია. ზონის შექმნამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, ბრიგადები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ხოლო ცალკეული რაზმები თავიანთ ნება-სურვილზე გეგმავდნენ საბრძოლო ოპერაციებს.

სამი ათასამდე პარტიზანის გამოკვება ძნელი გახდა და თვითეული მეთაური იმის ცდაში იყო, მებრძოლები არ დაემშია, ბრძოლაშიც გაეყვანა და ლუკმაც არ შემოკლებოდა.

გვეგონა ბოიკოს გამოჩენა ერთბაშად შესცვლიდა მდგომარეობას, ყველას თავის ადგილს მიუჩენდა, ერთიანი ძალით რაღაც დიდი მასშტაბის ოპერაციასაც წამოიწყებდა და იმ ოდნავ გულგატეხას, რაც პარტიზანებს დაეუფლა, თავისი ერთი რიხიანი შეძახილით გაფანტავდა. დღე დღეს მისდევდა, მაგრამ ბოიკო შტაბის კარვიდან იშვიათად გამოდიოდა. მაშინ გადავწყვიტე ჩვენს მიერ ბარისოვის ტყეებში დამარხულ ქვემეხებზე კვლავ განმეახლებინა საუბარი. გადაწყვეტილება კი მივიღე, მაგრამ შტაბის კარავში წასვლაზე მაინც ფეხს ვითრევდი, სულ შარშავიცკის სიტყვები მახსოვდა, მკაცრად და უკმეხადაც კი მელაპარაკა, დაბერებული მეჩვენაო. ვაითუ, მეც უარი მითხრას და განზრახვაზე ხელი ამაღებინოს-მეთქი, ვფიქრობდი, და თვალი სულ ბრიგადის შტაბის კარვისკენ მეჭირა, იქნებ ვასილ ვასილის ძე გამოჩნდეს, მივალ და ჩემს ქვემეხებს შევახსენებ-მეთქი. ანტონსაც ვთხოვე, წამყევი, ორივემ ერთად ვთხოვოთ და დარწმუნებული ვარ თანხმობას მივიღებ-მეთქი. თავი გააქნია, სანამ არ დამიძახებს, არ მივალო. იძულებული გავხდი ბოიკოსთან მარტო წავსულიყავი.

ვასილ ვასილის ძესთან ხანგრძლივი და უსი-

ამოვნო საუბარ მელოდა. იგი შექმნილი მდგომარეობის გამო შეწუხებული და ერთგვარად დაბნეულიც იყო. ბარისოვოს ტყეში წასვლაზე მალე დამეთანხმა, მაგრამ ათეულის წაყვანაზე სასტიკი უარი მითხრა. ბევრი ვეხვეწე, ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ ათიოდე დღეში დავბრუნდებოდით, რომ მისივე ქვემეხების მიწაში დატოვების უფლება არა გვქონდა. ორი მებრძოლი წაიყვანე და წადით, მოჭრა. მივხვდი, საუბრის გაგრძელებას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. კარვიდან რომ გამოვდიოდი, შემაჩერა, მგონი, შემატყო, რომ უკმაყოფილო ვიყავი და დამიყვავა. სათანადო საბუთიც მომცა და ბარისოვის ტყეში მოქმედი პარტიზანული ბრიგადის მეთაურთან ბარათიც მომიწერა.

მერე მე და ანტონი დიდხანს ვიგონებდით იმ ადგილებს, სადაც ქვემეხები დავმარხეთ, ბიჭებიც მოვიშველიეთ, ცოტა რამ გავიხსენეთ და აღვადგინეთ. ტოპოგრაფიული რუკა მე უკვე აღარ გამაჩნდა, ანტონმა თავისი დამითმო.

მიშა ლიზუნოვი ცას ეწია სიხარულით, მისი წაყვანა ორნაირად მაძლევდა ხელს. ჯერ ერთი, მიშა გამჭრიახი გონების ბიჭი იყო, მახსოვრობის საოცარი უნარი გააჩნდა, მეორეც, ბარისოვოს ტყეში გზის გაკვლევა უმისოდ ვერ წარმომედგინა.

არჩევანი ფედია კომლევზეც შევაჩერე. ფედია მიყვარდა, გამორჩევით, განსაკუთრებით მიყვარდა. ფედიას არც გამჭრიახობა აკლდა, არც გაბედულება და არც ეშმაკობა, ტყუილად კი არ ეძახდნენ ბიჭები გაჭირვების ტალკვესს. გაუჭირვებლად კი ამოდენა მანძილს ვერ გავივლიდით.

ჩემი განზრახვა რომ გავანდე, ფედიას დიდი სიხარული არ გამოუმჟღავნებია, თუმცა, გახარებით კი, გაუხარდა, კარგა ხნის ნამარხულევი იყო და ალბათ იმედი მოეცა, სადმე არაყს როგორ ვერ წავაწყდებითო.

— ჩემი საქმე ბრძოლაა, უფროსო! — მითხრა მან, — მიბრძანეთ და, თუ საჭიროა, ვიტებსკის კომენდატს გამოვეცხადები და შევაღვიძებ.

— ბრძანება და მისთანანი დაივიწყე, ფედია, ჩვენ მეგობრები ვართ, უფრო მეტიც, ძმები. ერთის გაჭირვება მეორის გაჭირვებაც უნდა იყოს, ხოლო, ღმერთმა დაგვიფაროს და. რომელიმე ჩვენთაგანის მარცხი, სამივეს მარცხს უნდა ნიშნავდეს. მე რომ მომშივდეს, შენ მუცელზე მაინც უნდა მოისვა ხელი. ახლა მოემზადე, დილით ბანაკიდან გავდივართ.

ტანიასთან წავედი, ბოლოს და ბოლოს საორდლისო საქმეზე არ მივდიოდი და წასვლის წინ ერთხელ ხომ უნდა მენახა.

ტანია ოლიასთან ერთად კარვის ახლო იდგა. ხმადაბლა საუბრობდნენ. ოლია მომესალმა და დაგვტოვა. ტანიას მკლავში ხელი ჩავკიდე, ცოტაზე გავიარეთ. აქ აღარ იყო ჩვენი მესაიდუმლე — ორდიშევის ტბა, თუმცა ბიჭები ამბობდნენ, სულ ახლო მშვენიერი ტბააო, ხანდახან საცურაოდაც მიიპარებოდნენ.

სოფიევკოს ტყიდან გადმოსვლის შემდეგ ტანიას იშვიათად ვხვდებოდი. ივანე შარშავიცკი მოსვენებას არ გვაძლევდა, თითქმის ყოველდღე, ყოველღამე რაზმი ჩასასაფრებლად მიჰყავდა. ოპერაციებს თავად მეთაურობდა და საუცხოოდაც. ბოიკო რომ წავიდა, შარშავიცკიმ სულ აიწყვიტა, ისეთ გაბედულ, ერთი შეხედვით, ისეთ სარისკო თავდასხმებს აწყობდა, იფიქრებდით, ამ ბრძოლიდან ცოცხალი ვერავინ დაბრუნდებაო ,მაგრამ საბედნიეროდ ჯერჯერობით ყველანი უვნებელნი ვიყავით.

— რამ გაგახსენა ჩემი თავი? — მკითხა ტანიამ.

— ღირსი ვარ საყვედურისა, ტანიჩკა, მაგრამ რა ვქნა, დღე და ღამე გაბმული ვარ, ხან გზებზე, ხან გარნიზონებზე მივიწევთ და რა ჩემი ბრალია. ისე, ახლა მაინც მჯერა, რომ იღბლიანი ქუდითა ვარ დაბადებული. მაშინაც, როცა ირგვლივ ტყვიები წუიან, როცა სიკვდილი ხელს მიქნევს, მებღაუჭება, მწამს, რომ გადავრჩები, რომ ასეთი კარგი ბიჭის ამ სოფლიდან უდროოდ გამგზავრება დანაშაულია. წუილით კი კოღოებიც წუიან, მაგრამ ყველა ხომ არ იკბინება? ომი რომ დაიწყო, მოვასწარი და დედაჩემს ერთადერთი წერილი მივწერე, აუცილებლად გადავრჩები-მეთქი. სიტყვას ხომ არ გავტეხ? მე რომ მომკლან, დედაჩემიც ცოდვა იქნება და მეც. საქართველოში უნდა ჩავიდე, ერთხელ მაინც უნდა მოვითქვა სული. ასე, ჩემო ძვირფასო, სიკვდილისა სულაც არ მეშინია, არც ვფიქრობ, საფიქრალი და ტვინის საჭყლეტი სხვაც ბევრი მაქვს.

— რას აიჩემე ეს სიკვდილი?

— ფუი ეშმაკს, აღარ ვახსენებ. მე და შენ, ტანიჩკა, სიყვარულზე უნდა ვჟღურტულებდეთ, სიყვარულზე და ყვავილებზე.

საუბარი ჩიტებზეც შეიძლება, ნაძვებზეც, ფიჭვებზეც, არყისხეებზეც. ხოლო შენი ლურჯი თვალების, მათი ეშხისა და მიზიდულობისადმი უყურადღებობა გამოუსწორებელი შეცდომაა. ახლა ერთს გაკოცებ და გავჩუმდები.

— პოეტივით ლაპარაკობ.

— შენ ხუმრობ და მე მართლა ვწერ ლექსებს. რად გაიოცე? ჩვენში ამბობენ, ყოველი ქართველი პოეტიაო, ხოლო ყოველი ქართველი პოეტის ორგზის პოეტიაო. რაკი ქართველად გამაჩინა განგებამ, რატომ უნდა ჩამოვრჩე სხვებს? ვერ გეტყვი რა მხატვრული ღირებულება აქვს ჩემს ლექსებს, ჩემს ნაცოდვილარს, მაგრამ ერთში ნამდვილად შეგიძლია მენდო, ყოველ სტრიქონში წვეთ-წვეთად არის ჩაღვრილი ჩემი სისხლი, წვეთ-წვეთად, ისე, როგორც გაზაფხულზე სახლის სახურავზე დაკიდებული ყინულის ლოლუებიდან წვეთავს ხოლმე წყალი, ამ შანდალში გარჭობილი თაფ-

ლის სანთელი რომ იწვის და დნება. არც ახლა დამიჯერებ, რომ პოეტი ვარ?

— კი, მაგრამ ლექსები სადღაა?

— ჯიბეში, უბის წიგნაკში. რად გინდა მერე, შენ ვერაფერს გაიგებ. თან სიყვარულზე ჯერ არაფერი დამიწერია, დავწერ კი. რა უფლება მაქვს მიყვარდეს, ვუყვარდე და ლექსი არ დავწერო? როგორც კი დავბრუნდები, ამ საკითხს მაშინვე მოვაგვარებ.

— დავბრუნდებიო? სად მიდიხარ? — ნაძვს მიეყრდნო.

— მივდივარ, დიდი-დიდი ორი კვირა დამაგვიანდეს, ორადორი კვირა, შენ ნუ მოიწყენ.

ერთხანს ხმა აღარ ამოუღია, არც კი უკითხავს, თუ სად მოვდიოდი, იცოდა ამით ვერაფერს შესცვლიდა. მერე უცებ ჩამეხვია და მაკოცა.

და მე ისევ ვიგრძენი, რომ ჩემი პირველი სიყვარული, შორს, ცის სილურჯეში ძლივსღა მოჩანდა.

**მინაწერი:** „ეჰ, დოდო, დოდო. არ მეგონა შენს შემდეგ თუ ვისმეს დაველაპარაკებოდი, შენ თავისებური და რაღაც უკარება ხარ. გახსოვს, ერთხელ საკოცნელად მოვიწიე, იქნებ არც კი მეკოცნა, ვერ გამებედა. ისე მოგფერებოდი. შენ კი... ტუჩები მობუზე, მწყრალად შემომხედე და გაიქეცი...

რატომ არ იფიქრე მაშინ, რომ სიყვარულს კოცნით უნდოდა გამაგრება და გამტკიცება?

მე ეხლაც ვხედავ შენს სქელ, ბავშვურ ტუჩებს, მაღალ მკერდს, ეშმაკურად მოციმციმე თვალებს, სულ რომ გპირდებიან რაღაცას და გატყუებენ.

გხედავ, ჩემო დოდო, და ვასკვნი: — შენ მაშინ გამოუსწორებელი შეცდომა მოგივიდა.

პირველი სიყვარულის საზეიმოდ მცირეოდენი მსხვერპლის გაღება არ უნდა დაგენანებოდა.

მაინც მახსოვხარ და ხანდახან გულიც მეჰეჰქება.

კამოგიტყდები, როცა ტანია სვეტლოვას ვკოცნი, როცა ეს სუსტი, საოცრად ნაზი და სიყვარულისთვის გაჩენილი გოგო მკლავებში მადნება, მრცხვენია.

ერთხელ კინაღამ წამომცდა, ჩემო დოდომეთქი, სიტყვა უკვე წამოვიდა, ის-ის იყო უნდა ამომეთქვა, მაგრამ დროზე ვიკბინე ენაზე.

დოდო, დოდო!

„სად დაცქრიალებ ახლა, ჩემო ლამაზო!“

...ვასოსთან განშორება უფრო გამიჭირდა, კინაღამ ავტირდი. ვინ იცის რა მოგველის, ვის როგორი დილა გაუთენდება, იქნებ ცოცხალიც ვერ დაგხვდეო. თუ ღმერთმა ქნა და საქრთველოში დაბრუნდე, ჩემიანებთან მიდიო. რაღაცნაირად მოშვებული და მოტეხილი მეჩვენა. იცოცხლე, მე იმას დღე ვაყარე, სულ ლაჩარი და დიაცი ვუძახე, პირწავარდნილი „პანიკიორი“ და მშიშარა ყოფილხარმეთქი. ვინ მოგცა უფლება, რა პირით ახსენებ სიკვდილს, როცა დედამიწა ზანზარებს, ქვეყანა ყალყზე დგას და ჩვენისთანა ბიჭების იმედი აქვს, როცა გამარჯვების რწმენა თანდათან ედება სულს, ხორცს, ძვალსა და რბილს-მეთქი.

წინასწარ ვიცოდი, ასეთი სიტყვებით ვასოს ვერ გავაკვირვებდი. მაგრამ მაინც ვიქაჩებოდი და იმ წუთში ჩემი შეჩერება არავითარ ძალას არ შეეძლო. ვასოს სულის მოთქმა არ ვაცალე, მივაყარე და მივაყარე რიყის ქვები... ცაცა ჩხეიძეც ვუხსენე, ჩავალთ, ყველაფერს წვრილად ჩავუკაკლავ-მეთქი.

შეაყარე კედელს ცერცვი!

იჯდა და, ცალი ყურით მისმენდა, მეორეში უშვებდა.

უცებ გადავეხვიე და გადავკოცნე. მაშინ კი მოგვადგა თვალებზე ცრემლი.

— არ მინდოდა ერთმანეთს დავცილებოდით, რა იქნებოდა, მეც წაგეყვანე, ზედმეტ ტვირთად არ დაგაწვებოდი.

— ბოიკომ მხოლოდ ორი კაცის წაყვანის უფლება მომცა, ვასო. ვერ გავბედე, გამიგე და მაპატიე. ორი კვირა ორი კაი ამოსუნთქვაა. დავბრუნდები და მერე ერთად არ ვიქნებით?

...ვასოს გავშორდი და მთელი საათი ტყეში ვიარე. გული დამიმძიმდა, რატომღაც მომეჩვენა, რომ სულ მარტო ვარ, რომ ვასოც მარტოა, ხმის გამცემი არავინ ჰყავს. ვიგრძენი რა ძალა ჰქონია ქართულ სიტყვას, დღეში ერთხელ მაინც რომ გავაგონებთ ერთმანეთს.

მართლაცდა, რა მოხდებოდა კომლევის მაგიერ ვასო რომ წამეყვანა?

ბანაკიდან გასვლა დილისათვის გადავწყვიტეთ. წინ გვედო ღამე, ზაფხულის მშვენიერი ღამე, თბილი და წყნარი. ასეთ ღამეში ფედია კომლევი კარავში არ წვება, კარვის ახლოს ნაძვის ძირას გაიშოტება, თავქვეშ განუყრელ ჩანთას ამოიდებს და დილამდე გემოზე ფშვინავს. დილით აუცილებლად წაიტრაბახებს, დიდებულად მეძინაო. ჩიტების გუნდი სწორედ ჩემს ნაძვზე იჯდა და მთელი ღამე ნანას მიმღეროდაო, თავი სამოთხეში მეგონაო.

იმდენ ტყუილს დახარჯავს, რომელიმე მეგობარს ააგულიანებს, კარვიდან გაიყვანს, მაგრამ ვერცერთი იმათგანი ღია ცის ქვეშ დილამდე კოღოების შემოტევას ვერ უძლებს, ბუზღუნ-გინებით ბრუნდებიან კარავში და დილით დასიებულ ლოყებს ისრესენ.

ფედია კი იცინის და ალიოშა ტარანენკოს შეკითხვაზე თუ რატომ ინდობენ, რატომ არ კბენენ მას კოღოები, უპასუხებს:

— იცნობენ ბიჭს! ძილის წინ ვლოცულობ, ლოცვა კოღოსაც ესმის, რა თქმა უნდა, ურწმუნო კოღოებიც არიან, მაგრამ მათი წამალიც ვიცი, მივაბოლებ და ვეტყვი: „წადი, ძმობილო, რას გადამეკიდე, აგერ კარავი, ჩემზე მსუქანი ბიჭები იქ წვანან, მიდი და იქეიფე.“

იმ საღამოსაც აიკიდა გუდა-ნაბადი, კარვიდან გავიდა და თავის „ლუქსში“ მოეწყო, მაგ-

რამ ამჯერად დიდხანს ვერ გაძლო, კარავს ელვიძა, თვალის მოხუჭვას არავინ აპირებდა. მზვერავები ჩვენს კარავში შეიკრიბნენ და ჩვენს პატივსაცემად ღამეს გვითევდნენ, თან ცის და ბარის ამბებს ჰყვებოდნენ.

ფედია შემოვიდა და ბორიჩის გვერდით მოკალათდა.

ბორიჩმა თქვა: — გუშინ გორნაკის რაზმში ვიყავი, ჩემიანები ვინახულე, იქ ხომ თითქმის სულ ბელორუსები არიან. ბევრი ვიმღერეთ, ახალი ლექსიც დავისწავლე, ისეთია, რომ...

— რა ლექსია ამისთანა?

— იანკა კუპალას ლექსია, ჩვენზე, პარტიზანებზე დაუწერია, ჯერ კიდევ ცხელია და ხელიდან ხელში გადადის, გორნაკელებმა ზეპირად იციან.

— შენ?

— მეც ვისწავლე.

— აბა, გაგვახარე! — შეაქეზა ფედიამ.

— სიმღერით?

— მაშ! პირდაპირ სიმღერით დაიწყე.

— არა, ჯერ ლექსს გავიხსენებ. — ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა.

აქამდეც დიდ პატივს ვცემდით კოლია ბორიჩს, ამ უთქმელ და თავისებურ ბიჭს. იგი ყოველთვის სხვებს უსმენდა. თუ არ მიეძალებოდი, საუბარში არ ჩაგერეოდა, თავს არ გამოიდებდა. რომელიმე მზვერავი რაიმე ამბის მოყოლას რომ დაიწყებდა, კოლია გაისუსებოდა.

უცებ ერთიორად შემიყვარდა იგი. ბიჭები მოსასმენად მოემზადნენ. მაგრამ კოლიამ მთელი ლექსი მაინც ვერ გაიხსენა, მხოლოდ ერთი სტროფი თქვა:

პარტიზანი, პარტიზანი,
ბელორუსკიე სინი,
ზა ნევოლიე, ზა კაიდანი,
ბეიტე გიტლეროვცევ ვპოგანი, —
კაბ ნე უსკრესლი ვეკ ითანი.

არ გვეგონა თუ ასე მალე დაამთავრებდა და ტაშიც არ დაგვიკრავს. კოლიამ მოიბოდიშა, დამავიწყდაო და მაშინ კი დავცხეთ ტაში. გათამამებულმა ბორიჩმა წამოიმღერა, ჯერ ფედია აჰყვა, თავისი რბილი, ხავერდოვანი ბარიტონით, მერე ოლეს ივაშენკოც წამოეშველა, მერე სტიოპა და ვალოდია ცურანი და მშვენიერი სიმღერა აგუგუნდა.

ოლეს ივაშჩენკო უკრაინელია, იგი ახლახან შეემატა ჩვენს ოცეულს. ალიოშა ტარანენკო და ოლესი მაშინვე გამოეცნაურნენ ერთმანეთს და დიდხანს იღურტულეს მშობლიურ ენაზე. ვასო ბრაზისაგან გასივდა, გაიბერა და კინაღამ წაეკიდა მეგობარს, ეგონა ტარანენკო ხელიდან ეცლებოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა.

ალიოშასა და ვასოს ძმობას ოლეს ივაშენკოც დაემატა, ასე შეიქმნა „დიდებული სამეული“.

ოლესს საუცხოო ხმა ჰქონდა, ახლაც ამ ახალ ბელორუსიული სიმღერას მაშინვე აუღო ალღო და ცოტა ხანში ისეთი სჭექა. ფედიას ბარიტონიც კი დაფარა და, რომ იტყვიან, კარვის „კედლებს“ ზანზარი დააწყებინა.

ტაშის გრიალი და აღტაცება ამ სიმღერის დამთავრების შემდეგ უნდა გენახათ. კარავი თავზე კინაღამ ჩამოგვექცა.

ახლა ერთი უკრაინული სიმღერაც შემოგვაწიე, ოლეს — უთხრა ბორიჩმა ივაშენკოს.

მეგონა თავპატიჟს დაიდებდა, ცოტას მაინც გაინაზებოდა, თქვენც არ მომიკვდეთ, ისეთი ტკბილი, უკრაინული, ხალხური სიმღერა წამოიწყო, ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ადრეც ვთქვი, სიმღერა მეც გამეგება-მეთქი. ალიოშა ტარანენკოს სიმღერის ბაიბური რომ არ ესმოდა, ესეც არ დამიმალავს, ამიტომ ოლესს მე ავყევი, რა თქმა უნდა, ტექსტი მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ ხმა კი შევუწყე.

პრიეხალა დო დივიჩნი.
ტრი კაზაკა ვგოსტი.
ადინ იდე, კონია ვედე,
დრუგი კონია ვიაჟე,
ტრეტი სტაიტ პი დვიმ კონცამ,
დობრი ვიჩერ კაჟე.
დობრი ვიჩერ, სტარაია მატი,
დაი ვადი ნაპიტსია.
ვადა ვსენიაჰ, ზა დვირიამი,
პიდი და ნაპიისია.
ლუდი კაჟუტ, დევკა გარნა,
პაზვოლ პოდივიტსია.
დევკა ვხატე, ნა კრივატე,
პიდი პადივისია.

ამ სიმღერას მე და ოლესი შემდეგშიაც ხშირად ვმღეროდით და ლექსიც ამიტომ დამახსომდა.

მერე მე და ვასომაც წამოვიწყეთ ქართული სიმღერა, მერე ყველამ ერთად ვიმღერეთ, ძლიერი, სამწყობრო სიმღერები და ღამესაც ყოფა ვუტირეთ.

დილით, წასვლის წინ, ჩვენი რაზმის შტაბის კარავს რომ ჩავუარეთ, წინ შარშავიცკი, ხვოშჩი და სუხოდოლსკი გადაგვიდგნენ და სამივე კარავში შეგვიყვანეს. მაგიდაზე მოხარშული, უკვე გაფცქვნილი და მარილწაყრილი კარტოფილი, ღორის ქონი და პურის ნაჭრები ელაგა. ანტონი ღორის ქონს სჭრიდა, რაღაც დიდი გულმოდგინებით აწვებოდა დანას, თან ივან საველის ძეს ეუბნებოდა:

— ცოდვა არ არის, ასეთი პურმარილი უარყოთ? — თან კომისარზე თვალით ანიშნებდა — ტყუილად აპაჭუნებ თვალებს. შავი დღი-

სათვის ორადორი ყლუპი არაყი რომ მქონდა შემონახული, გუშინ არ გადახუხეთ?

— დიმიტრი ივანიჩ, ძვირფასო, საყვარელო, მე ხომ ვიცი, — ჩვენ მეთაურს შეხედა, — ხომ ვიცით, თქვენ თავშენახული კაცი ბრძანდებით, ჭკვიანი და წინდახედული. გვიხსენით მდგომარეობიდან. — ასე ამჩატებული და ენადგაკრეფილი ანტონ სუხოდოლსკი არასდროს მენახა. მერედა არაყი მაინც ჰყვარებოდა.

კომისარმა თავი გადაიქნია და თქვა:

— ამათ უმადლეთ! — კუთხეში თავის საწოლთან მივიდა, ზურგჩანთა გახსნა, მათარა ამოაძვრინა, არაყი დაასხა და ჭიქა ასწია:

— მე, რა თქმა უნდა... — დაიწყო მან. მე და ანტონს სიცილი წაგვსკდა. ასე იცოდა ივანე კრეზიცინსკიმ: „მე, რა თქმა უნდა ბოდიში, ერთი გაწყობა თუთუნი კიდევ უნდა მასესხო". ანტონმა კომისარს სიცილის მიზეზი აუხსნა.

— მალე დაგვიბრუნდით, ბიჭებო! — მოჰრა კომისარმა. მერე ისევ დაასხა და შარშავიცკის მიაწოდა.

— ბიჭებო, ჩვენ ერთმანეთი სულ ახლახან გავიცანით, ცოტა წავიბრძოლეთ, მაგრამ წინ დიდი გზაა და ყველაფერს მოვესწრებით, ოღონდ უვნებელნი დაბრუნდით, ყოველ კარგს გისურვებთ.

ანტონმა გადაგვკოცნა, არაყი მოსვა და ჭიქა გადმოშილოცა.

— შენ მაინც იცი არაყი როგორ მიყვარს. მისი სუნიც კი მეზარება, მაგრამ თქვენი დალოცვა მინდოდა.

— მადლობელი ვარ, მეგობრებო, ამ გაცილებისათვის, საუზმისათვის, ძმობისათვის, კაი გულისათვის, მადლობელი ვართ. — ცხვირზე ხელი მივიჭირე და გადავკარი.

მიშამ ნელა, წრუპ-წრუპით შესვა თავისი ულუფა. კომისარმა ფედიას გაუცინა, იცოდა როგორ ავადმყოფურად უყვარდა არაყი კომლევს და მათარა გადასცა, რამდენიც გინდა დაისხიო. ფედიამ მათარა შეანჯღრია.

— მე, რა თქმა უნდა... თუ უხერხული არ იქნება... გაიკრიჭა და მათარა პირზე მიიყუდა.

მეთაურსა და კომისარს გამოვეთხოვეთ, ანტონმა ბანაკის ბოლომდე გაგვაცილა.

მალე უკან დარჩნენ მეგობრები, კარვები. უკან დარჩა ყველაფერი, რაც ამ ხნის მანძილზე შეეგუა და შეეთვისა ჩემს სულს, უკან დარჩა სიყვარული... ტატიანა სვეტლოვა, მაგრამ ეს ვინ არის? ვინ მორბის ტყის ბილიკზე შველივით? ტანია? ასე ადრე რამ გააღვიძა? მორბის, ხელს იქნევს და მორბის.

გინახავთ? გიგრძვნიათ ასეთი სიყვარული?

წამით მაინც წარმოიდგინეთ დაბურული, უსიერო ტყე, პარტიზანთა კარვებით მოფენილი, გუშაგთა მკაცრი სახეები, თოფებჩაბღუჯული რომ ყარაულობენ ბანაკს.

შორს არტილერიის ყრუ გუგუნი და გასროლის ხმები.

დილა, ზაფხულის ლამაზი დილა, და ამ დილასავით ლამაზი სიყვარული ტყის ბილიკზე.

წამით მაინც წარმოიდგინეთ ეს სურათი და ჩემს გულშიც ჩაიხედეთ, თქვე დალოცვილებო!

განა შემეძლო იმ წუთში არ დამვიწყებოდა ყოველივე? დამვიწყებოდა, რომ ომია და კაცთა კვლა, რომ სულ რაღაც ათიოდე დღის წინათ 37 ვაჟკაცი ჩავაწვინეთ უშველებელ საძმო საფლავში, დამვიწყებოდა სასკდომი ტყვიით ხორხგადაჭრილი ფედია ტკაჩენკო დამვიწყებოდა, რომ გზას ვადგევარ, ერთი შეხედვით, არც თუ ისე ძნელს, მაგრამ მაინც გზას, მტრის ზურგში.

ეშმაკმა წაიღოს ყოველივე.

ვდგავარ და ვხედავ:

ტყის დაკვანწულ ბილიკზე ჩემკენ მორბის ანგელოზი, მორბის, ხელს მიქნევს, მე კი არ შემიძლია გავიქცე მის შესახვედრად. არ შემიძლია, მაგრამ სანამ ანგელოზი ჩემამდე მოაღწევდა, 1939 წლის დეკემბრის სუსხიანი საღამო, მე და ვასოს წითელი არმიის რიგებში გამგზავრების საღამო გამახსენდა.

გამახსენდა ჩვენი გოგოები, დოდო და ცაცა. მაშინ მომავალი ჯარისკაცები დიდხანს ვიდექით სადგურის ბაქანზე და ნაღვლიანად გავცქეროდით სადგურის წინ ატალახებულ მოედანს, ვიწრო, ბინძურ ქუჩას, ჩაქონჭილ სახლებსა და დარაბებიან დუქნებს, უფრო შორს რიონს, ბორანს...

როდის გავივლით კიდევ ამ ქუჩებში?

ისე საყვარელი, ახლობელი, მშობლიური და ჩვენეული იყო ირგვლივ ყოველივე.

გული გვწყდებოდა.

დოდო და ცაცა კი არ ჩანდნენ, იმედი გადავწურეთ, თქმით ვერაფერს ვამბობდით, რადგან მათს წინაშე ჩვენ ვიყავით დამნაშავენი. ორჯერ მოტყუებით გამოვიყვანეთ სადგურზე და მესამედაც რატომ მოიტყუებდნენ თავს?

დაძმარებულ ხასიათზე ვიყავით.

მაგრამ განგებამ არ გაგვწირა: ვიწრო, ჭუჭყიან ქუჩაზე მომავალი გოგოები დავინახეთ, ქუჩა გადაჭრეს, სიცივისაგან აბუზულებმა გადაიარეს მოედანი და ჩვენკენ წამოვიდნენ. მე და ვასო მათკენ გავიქეცით.

ახლა?

ახლაც გავიქცე? გავიქცე და შევეგებო ამ ცქრიალა, ნაღვლიან გოგოს?

ბილიკი წნელია, რცხილის წნელი, მაქსიმე ბაბუა საგანგებოდ სხეპავდა რცხილის წნელს, გამძლეაო.

ბილიკი ერთი ადამიანისათვის არის გათელილი, მაგრამ ახლა ამ ბილიკზე ორნი მორ-

ბიან... ტანია და დოდო, დოდო და ტანია. ხან ერთია წინ, ხან მეორე, რომელი მოასწრებს ჩემამდე? რომელი ჩამეკვრება მკერდში?

ტანიამ იმარჯვა, მოასწრო, მაგრამ მკერდში არ ჩამკვრია. შორიახლო შედგა გაფითრებული. მკერდზე ხელებს იჭერდა, უნდოდა გაეცინა, ან გაეხუმრა, რაღაც მოემოქმედნა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მერე ნაბიჯით მოიწია და ტყის თეთრი, ველური ყვავილი მომაწოდა, ისეთი თეთრი, როგორც იმ წუთში თვითონ იყო.

ხელები დავუკავე. მან სუსტად შეჰკივლა, ყვავილის ტოტზე შერჩენილმა ეკალმა უჩხვლიტა. სისხლის დანახვაზე გაიცინა და თქვა: კარგიაო. იცინოდა, თან თითიდან სისხლს სწოვდა.

— რა არის კარგი, ტანია?

— რა და... ეკალმა რომ მიჩხვლიტა. იქნებ შენს დაბრუნებამდე გამყვეს ტკივილი...

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. ვერაფერი ვთქვი, ანკი რა უნდა მეთქვა? კოცნა არ შემეძლო, მიშა და ფედია იქვე იდგნენ და მათ ლაზღანდარობის საბაბს ვერ მივცემდი.

ამ წუთებს ლაზღანდარობა არ ეკადრებოდა.

ცოტაზე რომ გავიარეთ, მივიხედე. იგი მასავით გაფითრებულ, ლამაზ არყისხესთან იდგა...

ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

ხელი დავუქნიე. მგონი ტიროდა.

იმ წუთში ისე ვიყავი დაძმარებული, როგორც მაშინ, 1939 წლის დეკემბრის სუსხიან საღამოს.

ლიზუნოვი მშვიდად მიალაჯებს, ფედია თავჩაქინდრული მილაყუნობს. ვინ იცის, იქნებ ახლა ისინიც რომელიღაც დაუვიწყარ, ასეთივე ლამაზ წუთებს იგონებენ.

მე კი აღარ ვფიქრობ.

მოსახდენი უკვე მოხდა, წინ გზაა, გრძელი და არც თუ ისე უშიშარი გზა.

მარშრუტი ვიცი, ანტონმა საგულდაგულოდ დამიხაზა, მაგრამ ტყეში ათასი რამეა მოსალოდნელი.

პირველად მიშა ალაპარაკდა. კარგი მოსაუბრეა და უცებ დაგვიპყრო. მერე ფედიაც აჰყვა, მაგრამ ტანიაზე კრინტი არ დაუძრავთ.

მე კი მეგონა სწორედ მასზე საუბარით გამომიჭედავდნენ ყურებს.

ფედიას მაჯაზე დიდი კომპასი უკეთია. მე რომ რუკას ან ანტონის მიერ მოცემულ ნახაზს დავხედავ, იგი კომპასს დასცქერის და ჩემს მოსაზრებას ადასტურებს.

დაღამებამდე სამჯერ შევისვენეთ და საგზალსაც წირვა გამოვუყვანეთ.

მეორე დღეს ფედიამ თავი მოიქაჩლა და სადღაც იმდენი კარტოფილი იშოვნა, რომ ორ დღეს გავიტანეთ თავი. მერე დავიღალეთ, დამძიმდა სხეული და ხალისიც დავკარგეთ, თან გვშიოდა. უხმოდა მივდიოდით.

საღამოს ძაღლის ყეფა მოგვესმა. უცებ გავმხნევდით და ერთმანეთს იმედიანად გადავხედეთ. არ ვიცი რა ემართება უდაბნოში მარტო დარჩენილ ადამიანს, როცა ძაღლის ყეფას გაიგონებს. ჩვენ უდაბნოში არა ვართ მაგრამ ძაღლის ყეფამ გულები შეგვიტოკა., სადღაც ახლო, სოფელია. სოფელში სახლები თუ არა, ქოხები მაინც იქნება, იქ ადამიანები აფარებენ თავს, თავიანთ ჭირვარამს იმ ქოხებში მალავენ და, ასე თუ ისე, მაინც სოფლის სიმყუდროვეში იძინებენ

ძაღლის ყეფამ საღერღელი აგვიშალა. ფედია ისე აცქმუტდა, რომ ახლა ვერავითარი ძალა ვერ შეაკავებს. ასეა, როცა შიმშილით კუჭი გეწვის, ცოტა გაბედულება მაინც უნდა გამოიჩინო.

მიშა პირს აწკლაპუნებს. მე მათთან შედარებით უფრო თავშეკავებული ვარ. აქამდე გადაწყვეტილი მქონდა სოფელს არ გავკარებოდით, მაგრამ ახლა ჩემი თავიც მეცოდება და ბიჭებიც.

ორივე მე მიყურებს, რომელი დაასწრებს, რომელი შემეხვეწება სოფელში გამიშვიო. ერიდებათ, ჰგონიათ უარს ვეტყვი.

— რა ვქნათ, ბიჭებო? შევისვენოთ თუ გზა განვაგრძოთ?

— რა სიკვდილი დამაძინებს, მუცელში ჯოჯოხეთი მიტრიალებს, გამიშვი, კარტოფილს მაინც მოვიტან! — ჩაიბუზღუნა კომლევმა.

— გავიჭირვოთ, ფედია, ხვალ ბარისოვის ტყეში შევალთ, ძროხის კუდზე ნუ გადვატეხთ დანას. შენ რაღას იტყვი, მიშა?

ლიზონუვმა მხრები აიჩეჩა.

— კარგი, გასაგებია, აბა, წინ, სამივემ ერთად, განუშორებლივ, წინ სოფლისაკენ, ოღონდ ფრთხილად!

მალე გამოჩნდა სოფელი, ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებული ისლით დახურული სახლები. არსაიდან სინათლე, არავითარი ჩამიჩუმი. ახალი დაღამებულია და სოფელი უკვე დუმს.

ძაღლები ყეფენ, ჯერ ერთი დაიწყებს ყეფას, მერე მეორე, მესამე. ქარბუქში გარეთ დარჩენილ ლეკვივით წკმუტუნებს რომელიღაც ძაღლი.

ჩვენც ლეკვები ვართ, ქარბუქში, ცის ქვეშ დარჩენილი ლეკვები...

პატარა მინდორი გადავიარეთ და პირველი ქოხის კარებზე ნელა დავაკაკუნეთ. კარები ისე უცებ გაიღო, თითქოს გველოდნენ.

პარმაღზე ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. ხელში ლამფა ეჭირა. მობრძანდითო, გვითხრა და შინ შეგვიწვია. ამასობაში ფედიამ სახლს შემოუარა და შემოგვიერთდა.

— გამარჯობათ! — მივესალმე დიასახლისს.

— იცოცხლეთ! — ლამფა ასწია, მოგვანათა და შევატყე დაიბნა, ფერი ეცვალა. ეტყობა, სხვებს მოელოდა, მაგრამ ვის? მტერს თუ მოყვარეს?

— რა სოფელია? — ვკითხე.

— ტყიანი!

— გვაპატიეთ, ძილი დაგიფრთხეთ, მაგრამ დიდხანს არ შეგაწუხებთ, ცოტახანს დავისვენებთ და წავალთ!

— ბრძანდებოდეთ, ჩამოჯექით, დაისვენეთ! — ლამფა ღუმელზე შემოდგა — ალბათ მოშიებულნიც იქნებით. ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ რძესა და პურს ვიშოვნი, ახლავე! — თქვა და მეორე ოთახში გავიდა.

— რაღაც ნამეტანი ღელავს! — მიჩურჩულა ფედიამ.

დიასახლისის ასეთი აფუსფუსება არც მე მომეწონა, მაგრამ რატომ უნდა გაამტყუნო? სამი ლიანგი ვაჟკაცი მძინარეს დავადექით თავზე და დაიბნეოდა, აბა რა მოუვიდოდა!

ფედიამ მეორე ოთახში მიმავალ კარებს ყური მიადო და მაშინვე ხელი დამიქნია. ოთახიდან ქალისა და მამაკაცის საუბარი ისმოდა.

— ადექი, მოვიდნენ! — თქვა ქალმა.

— მოვიდა? ძალიან კარგი!

— კი არ მოვიდა, მოვიდნენ, სამნი არიან, ვერც ერთი ვერ ვიცანი.

— სამნი? არა უშავს. ოღონდ არ უნდა გაგვისხლტდნენ. თუ გამიჭირდა, მომეშველე! — მამაკაცს ხმა უკანკალებს, მერე იარაღის ჩხაკუნიც გავიგონე და კარები ისე სწრაფად გაიღო, ერთმანეთისათვის ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარით.

11637

ოთახში ჯიბეებში ხელებჩაწყობილი შუახნის კაცი შემოვიდა. ლიზუნოვმა იმ წამსვე მკერდზე ავტომატი მიაბჯინა.

— ნუ გეწყინება, სანამ ერთმანეთს გავიცნობდეთ, ასე სჯობს, ხელები ასწიე!

მან ჯიბიდან ნელა ამოაძვრინა ხელი, ფედია ეცა და რევოლვერი აართვა. გავჩხრიკეთ. რევოლვერი მეორე ჯიბეშიც აღმოაჩნდა.

—მდიდარი ყოფილხარ! დაჯექი! — დაჯდა, თუთუნი გვთხოვა, ქისა მივაწოდე, თუთუნი შეახვია და მოუკიდა.

— შენ მართალი ხარ. — მითხრა. — ახლა ყველაზე დიდი სიმდიდრე იარაღია.

დიასახლისი შემოვიდა, იქვე, ღუმელთან შედგა.

— ვინ არის ეს კაცი? — ვკითხე დიასახლისს.

—პარტიზანია! — მომიგო.

— რომელი ბრიგადიდან ხარ? — მივუბრუნდი კაცს.

— ჩვენი ბრიგადა მინსკის ტყეებიდან სულ ახლახან გადმოვიდა ბარისოვის ტყეებში. ეჰ, გაჭირდა ბრძოლა, ბიჭებო, ძალიან გაჭირდა. თქვენ საიდან?

— კონსტანტინე ზასლონოვის ბრიგადიდან ვართ, ბარისოვის ტყეებში, დოლგოვის რაზმში მივდივართ.

— ბრიგადაში — გამისწორა მან. — მეც სწორედ დოლგოვის მებრძოლი ვარ, უფრო სწორად — მეთაური, ოღონდ რაზმისა კი არა, ოცეულისა. ეს ქალი ჩვენი მეგობარია, ხელის შემწყობი, ახლაც მეტად საჭირო ცნობები დამახვედრა. ბანაკში დაბრუნებას დილამდე არ ვაპირებდი, მაგრამ რაკი თქვენც იქით მიდიხართ, ერთი გზა გვქონია, ერთად წავიდეთ, მანამდე ერთმანეთს გავეცნოთ. მე შვაჩკოვი ვარ, პეტრე გრიგორის ძე. — ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი, ცოტა არ იყოს დავიბენი, ისე უბრალოდ მელაპარაკებოდა, ვერაფერში დაეჭვდებოდი. ჩემი გვარი დავუსახელე და ფედია და მიშაც გავაცანი.

— ალექსანდრა ივანოვნა, იქნებ თავი შეიწუხოთ და რაიმეთი გაგვიმასპინძლდეთ, გადასაკრავსაც ნუ დაივიწყებთ, დაგიმადლებთ. — უშველებელი პირი დაალო, გაიცინა.

ქალი კარადისაკენ გაემართა, მეც მოგეშველებიო, — თქვა შვაჩკოვმა, კარადასთან სწრაფად მივიდა, კარი გამოაღო და თავი შიგ შეყო. მე არც ამჯერად დავეჭვებულვარ, ფედიამ კი პირდაპირ სკამიდან ისკუპა და შვაჩკოვს ზურგზე მოექცა. შვაჩკოვი გაიმართა, ბეჭები ძალუმად შეარხია და ჩვენი განთქმული ფალავანი იატაკზე ბურთივით ისროლა. შვაჩკოვს ლიზუნოვმა ესროლა, იგი დაბალ კარადაზე გადაწვა და მაშინ შევნიშნე, ხელში ავტომატი ეჭირა.

შვაჩკოვს ჯიბეები გავუჩხრიკეთ, ისე გავერთეთ ჩხრეკით, რომ ქალი სულ დაგვავიწყდა. მივიხედ-მოვიხედეთ, აღარ ჩანდა. მე და ფედია მეორე ოთახში შევვარდით, ქალი ფანჯრის რაფაზე იდგა, გადახტომას აპირებდა. ფედია ფეხებში სწვდა, ქალმა დანა მოუქნია. ქალს მაჯაში ხელი ვტაცე, დანა გადავაგდებინე, მერე ფანჯრიდან ჩამოვათრიეთ და ხელები გავუკარით. ამასობაში მიშას კარადიდან გერმანული ავტომატი, ხელყუმბარები, პისტოლეტები და ვაზნები გამოეტანა. კარადაში ნახევარი პური და ცოტაოდენი ღორის ქონიც აღმოჩნდა.

ქალი წინ გავიგდეთ და სოფელი დავტოვეთ. ტყემდე ხელიდან ვერ გაგვისხლტებოდა, მაგრამ ტყეში ასეთი აფთრის შეკავება ძნელი იყო. სიბნელეში ადვილად დაგვიძვრებოდა. მინდოდა ფედიასათვის მეთქვა, ხელი ჩაავლე და ასე ატარე-მეთქი, თურმე თვითონაც ამაზე ფიქრობდა.

ტყეს რომ დავუახლოვდით, ქამარი შეიხსნა და ქალს ჩააბა. ცალი ხელით ქალი ეჭირა, მეორე ხელით პურსა და ღორის ქონს ილოდნებოდა.

ბილიკზე მივაბიჯებდით, მაგრამ სიბნელეში ხშირად ვცდებოდით ბილიკს.

ქალი კი სულ თავაწეული მიდიოდა, ერთხელაც არ გადასულა ბილიკიდან. ეტყობოდა ამ ტყეს კარგად იცნობდა.

დიდხანს ვიარეთ, ვიცოდი, რომ უკვე ბარისოვის ტყეში ვიყავით და ყოველ წუთს ველოდი გუშაგი პარტიზანის ხმას, მაგრამ წინ არავინ გვხვდებოდა. ქალმა უთუოდ იგრძნო, რომ ამ ტყეში გზის გაკვლევა გვიჭირდა და ჩვენდა შეუმჩნევლად ბილიკიდან გადაუხვია. მალე გზა აგვებნა.

ცაზე მთვარეა, სავსე, ლამაზი მთვარე, მაგრამ მისი სხივები ჩვენამდე ვერ აღწევს, სადღაც, მაღლა, ნაძვის კენწეროებზე რჩება. მარტო კომპასით გზის გაგნება უაზრობაა.

გადავწყვიტეთ დილამდე შევისვენოთ, ქალს რიგრიგობით ვუყარაულოთ.

მე და მიშა მივწექით, ქალიც იქვე ბალახზე მიეგდო. ამ ხნის განმავლობაში მას არცერთი სიტყვა არ წამოსცდენია და არც ჩვენ გვიკითხავს რაიმე.

მალე ჩამეძინა. კარგა გათენებული იყო, სიგრილემ რომ გამომაღვიძა. კომლევი ხვრინავდა, ლიზუნოვს ქამარი ხელში ჩაებღუჯა და თვლემდა. ალბათ ჩემმა რიგმაც მოაღწია, მაგრამ მიშამ აღარ გამაღვიძა.

რუკას დავხედე, ადგილსამყოფელი დაახლოებით ვიცოდი და ახლა შემეძლო ორიენტირება. ბარისოვის ტყეებში ვართ.

— დაიძინე, ორი საათი გეძლევა. — უხმოდ გადმომცა ქამარი და იქვე მიწვა.

ქამარი მიწაზე დავდევი. თავს მშვენივრად ვგრძნობ. ცინცხალი დილაა. ტყეს დიდიხანია ღვიძავს, შრიალებს, ხმაურობს და როგორც ყოველ არსებაში, ტყეშიც თანდათან შემოდის სიცოცხლე. ტყეს ღვიძავს, ტყეს თვალის გახელას ვერავინ მოასწრებს, აქ ყველაფერი ბუნების დიდებულ კანონს ემორჩილება.

ქალს უცებ გაეღვიძა, წამოიწია, მძინარე ბიჭებს შეხედა, უმალ დაკვესა მისმა ჭრელმა თვალებმა. უცნაური კია, მაგრამ ამ ქალს ზუსტად ანას თვალები აქვს, კატის თვალები.

მე თავი მოვიმძინარე.

ქალი დაიძაბა, ჯერ გააზმორა, მერე გველივით გაიწვართა და გახოხდა.

— საით? — დავუძახე ხმადაბლა. არ მინდა ბიჭები გავაღვიძო. შეკრთა, ჩანს არ ელოდა ჩემს ხმას. მოიკუნტა, თავი მიწაში ჩარგო და გაიტრუნა, მაგრამ მაშინვე წამოიწია და შემომიტია.

— მე ადამიანი ვარ, ადამიანი...

— სამწუხაროდ, ასეა. — დავუდასტურე.

— მერე? აქ, პირდაპირ შენს წინ, ხომ ვერ მოვინამუსებ? შებრუნდი მაინც.

ცოტა მოშორებით წადი-მეთქი, ვუთხარი. ფორთხვით შეძვრა ბუჩქებში. მივყევი. იგი უცებ წამოდგა და ხელები მომიშვირა.

— ან გამიხსენი, ან შენ თვითონ გაისარჯე და...

აი, თავსატეხი! მართლაც, რა უნდა ვქნა, როგორ მოვიქცე?

შემატყო შევყოყმანდი და აღარ მაცალა.

— ოღონდ ჩქარა, გავთავდი ქალი!

სიმწრისაგან ოფლი წურწურით ჩამომდის. მაგრამ უცებ ფედიას სიცილი მომესმა.

— აქ მოდი, ფედია, რა ეშმაკი გაცინებს? მიხედე ამ ოჯახდაქცეულს.

ფედიამ ქალს ხელები გაუხსნა და თავი დაუქნია. ქალი პირდაპირ მის წინ ჩაკუნცხდა.

მე ლიზუნოვისკენ წავედი.

უცებ ისეთი ლაწანი გაისმა, რომ ლიზუნოვი ფეხზე წამოვარდა. ლაწანს დარტყმა მოჰყვა, დარტყმას გინება. მერე ჯერ ქალი გამოჩნდა, მერე ფედია. ქალს ცალი თვალი ჰქონდა ამოლურჯებული, ფედიას ლოყაზე ხუთი თითი აჩნდა...

ქალი პირდაპირ ჩემთან მოვიდა, წინ დამიდგა და ფეხები გაჩაჩხა.

— რა გინდათ ჩემთან, რას მიპირებთ?

— დოლგოვთან მიგიყვანთ, იქ უფრო გაერკვევიან...

— ლეკვებო, მერედა იცით სად იმყოფება დოლგოვის ბრიგადა?

— შენ მიგვასწავლი. თუ არადა, რაც კომლევმა დაგაკლო, მე მოგითავებ, იარე!

მთელი დღე უკუღმა გვატარა, სულ ცდილობდა ჩვენთვის გზაკვალი აერია, მაგრამ ჩვენ რუკასა და კომპასს ვიშველიებდით და, ასე იყო თუ ისე, საღამო ჟამს დოლგოვის ბრიგადის თუ რაზმის განლაგების ადგილს დავუახლოვდით, ისიც შემთხვევით. მოულოდნელად პარტიზანთა ჯგუფს გადავეყარეთ, სროლა ავტეხეთ და ერთმანეთი კინაღამ ამოვწყვიტეთ.

ქალი ნაძვის ძირას მოიკრუნჩხა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, სულ გაქცევაზე ჰქონდა თვალი. საბედნიეროდ, ამ შეტაკებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ისინი პაროლს გვეკითხებოდნენ, ჩვენ, რა თქმა უნდა, მათი პაროლი არ ვიცოდით და საქმესაც ეს ართულებდა. მერე მიშამ მოისაზრა, ხელებშეკრული ქალი წამოაყენა და მათ დაანახვა.

დაგვიჯერეს, თუმცა სანამ იარაღი მიწაზე არ დავაწყეთ, ახლოს არ მოგვეკარნენ. მერე ალყა შემოგვარტყეს და განმარტება მოგვთხოვეს.

მე ახლა უფრო დალაგებით მოვყევი ჩვენი ამბავი. ჯგუფის მეთაურმა, რომელიც ყველასგან გამოირჩეოდა, მიბრძანა აქ მოდიო.

მეტი რა გზა მქონდა, მივედი, ჩემი წოდება და თანამდებობა დავუსახელე, თან ვთხოვე პირდაპირ ამხანაგ დოლგოვთან მიმიყვანე-მეთქი.

ჯგუფის მეთაურს თავზე კოხტად შეკრული

„ჩაპაევკა“ ეხურა, ხაკისფერ გიმნასტურაზე ფართო სამხედრო ქამარი შემოერტყა და, ჩვენთვის უჩვეულოდ, რევოლვერის ბუდე ქამარზე წინ, მარცხნივ ეკიდა. ხელში გერმანული პისტოლეტი ეჭირა. ქალი წვერ-ულვაშში თითქოს განგებ დაეყენებინა, მაგრამ ისე კი არა, როგორც საერთოდ პარტიზანებში მინახავს, არამედ უფრო კოხტად, ასე ვთქვათ, ქალაქურად. მან ყურადღებით მომისმინა, თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა და მერე უკან მდგომი მებრძოლი გვერდზე გაიხმო და რაღაც ჩუმად უთხრა. ცოტა არ იყოს, შიში შემეპარა, ჯერ ერთი, ეს ჩაცმულობა, წვერ-ულვაში და „ჩაპაევკა“ მას რაღაც არტისტულ იერს აძლევდა, უცებ ისიც კი მომეჩვენა, თითქოს წვერ-ულვაშის ნაცვლად გრიმი ჰქონდა გაკეთებული.

იგი ჩემთან სულ ახლო მოვიდა, შემრიგებლურად გაიღიმა. ღიმილისას მარცხენა მხარეზე ორი ოქროს კბილი გამოუჩნდა. თვალებზე ბინდი გადამეკრა, მერე ეს ბინდი გაქრა, სინათლე დამიბრუნდა და გონებამ დაკვესა.

სად მინახავს? — შუბლზე ხელი მოვისვი და მოვიბოდიშე. მეხუთე დღეა გზაში ვართ, გვშია და ისე დავიქანცეთ, ფეხზე ძლივს ვდგავარ-მეთქი.

— ეს ქალი ვინღაა? — მკითხა.

მე ვუთხარი ვინც იყო. თავი დამიქნია, გასაგებიაო. ისევ ის მებრძოლი მოიხმო, მას ხუთი პარტიზანიც დაუმატა და უბრძანა ბრიგადის შტაბში მიიყვანეთო. ამ ქალს ჩვენ თვითონ მოვუვლითო.

რა უფლება მქონდა შევდავებოდი. ერთი შეხედვით, უხეშად არ მოგვქცევიან, იარაღიც დაგვიბრუნეს და კეთილი გზაც გვისურვეს.

ფედიამ ქალს ხელები გაუხსნა და ქამარი წელზე შემოირტყა. როცა გზას დავადექით, მე ერთხელ მაინც მოვიხედე ქალისაკენ. მან ამოლურჯებული თვალები გამისწორა. ეს თვალები ისე კვესავდნენ, თითქოს რაღაც ეპოვნათ და ხეიმობდნენ. მერე თვალი თვალს გაჰყვა და ჯგუფის მეთაურის ჭროღა თვალებსაც შეეფეთა.

ცოტა დრო რომ მქონოდა, შემეძლო იმ თვალებში რაღაც ამომეკითხა, მაგრამ ჩვენ უკვე გვეძახდნენ. დავღუნე თავი და წავედი.

მივდიოდი და სულ ორი სიტყვა მიწიოდა ყურებში: სად მინახავს? სად მინახავს?

ერთი საათის შემდეგ ბანაკს მივაღწიეთ. ჩვენი გამყოლი ძალზე დაბალი ახალგაზრდა იყო, მაგრამ მას რატომღაც „გოლიათს“ ეძახდნენ. გზაში რამდენჯერმე გავიგონე ეს სიტყვა, ყურადღება კი არ მიმიქცევია.

„გოლიათს“ ვთხოვე ბრიგადის შტაბში მიდი და ჩვენი ამბავი მოახსენე-მეთქი. ნაძვის ძირას გაგვაჩერეს, მაშინვე იქაური პარტიზანები შემოგვეხვივნენ, ჯერ დატყვევებული პოლიციელები ვეგონეთ, მაგრამ მალე გაიგეს ვინც ვიყავით და ათასგვარი კითხვა დაგვაყარეს.

„გოლიათი“ მალე დაბრუნდა და მითხრა, მხოლოდ შენ გამომყევიო. წინ გამიძღვა, მიდიოდა და მიარხევდა თავის პაწაწკინტელა მხრებს. მე გულში მეცინებოდა. ის კი, არ ვიცი, რატომ, ხანდახან გამომხედავდა და თავს აქნევდა.

ბრიგადის მეთაურის კარავი შორიდანვე ამოვიცანი. იგი სხვა კარვებისაგან გამოირჩეოდა. კარვად პარაშუტი იდგა და ზედ ნაძვის ტოტები ეწყო.

კარავთან გუშაგმა შეგვაჩერა. „გოლიათმა“ მას ჩუმად რაღაც უთხრა. გუშაგმა თავი კარავში შეყო, მაშინვე გამოიხედა და „გოლიათი“ მიიხმო. მერე ორივემ ერთად იარაღი ამყარა. კარავში შევედი, იქვე შევჩერდი და დამხდურებს თავის დაკვრით მივესალმე.

ძალიან დიდი კარავი იყო, შიგ სამი „საწოლი“ იდგა. საწოლებზე ზეწრები და საზაფხულო საბნები ეფინა. შუა კარავში ნამდვილ მაგიდას ორი კაცი უჯდა, მესამე საწოლზე წამოწოლილიყო და ჩიბუხს უპლაკუნებდა.

ჩემს გამოჩენას მათზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, არც არავინ წამომდგარა. ვიდექი და ველოდი, როდის მოიღებდნენ მოწყალებას, როდის დამელაპარაკებოდნენ.

ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდომი, მოკლედ წვერშეკრეჭილი, შუახნის კაცი ადგა, ჩემთან მოვიდა და მკითხა:

— მაშ ზასლონოვის ბრიგადიდან ხართ?

— არა, მე ვასილ ბოიკოს ბრიგადაში ვირიცხები.

— რას აკეთებ ბრიგადაში?

ერთ-ერთი რაზმის მზვერავთა ოცეულს ვმეთაურობ:

— აბა, გავიცნოთ ერთმანეთი, მე დოლგოვი ვარ, მათე პეტრეს-ძე. —ხელი გამომიწოდა. მე ჩემი გვარი და სახელი ვუთხარი. დოლგოვმა მაგიდასთან მიმიყვანა, ჯერ კომისარი გამაცნო, მერე ჩიბუხის მოყვარული შტაბის უფროსი.

ამხანაგ დოლგოვს ჩვენი მისვლის მიზანი ავუხსენი, რუკა გავშალე და ვუჩვენე, დაახლოებით სად გვქონდა დამარხული ქვემეხები. ჩემმა განცხადებამ შტაბის უფროსიც დააინტერესა, მაგიდასთან მოვიდა და რუკას გულდასმით დახედა. ბრიგადის ხელმძღვანელები მალე გაერკვნენ და მე მივხვდი, ის ადგილი სადაც ჩვენი ქვემეხები იყო დამარხული, სადღაც ახლო უნდა ყოფილიყო.

— დიდ მიწას იარაღს ვთხოვთ, მატვეი პეტროვიჩ და აი, გამოგზავნეს! — ჩაიცინა კომისარმა.

იქვე შევთანხმდით, რომ მეორე დღეს მზვერავებს გამაყოლებდა და ქვემეხების საძებრად

გამისტუმრებდა. საუბარს რომ მოვრჩით, გუშაგი იხმეს, დაავალეს, რომელიმე მებრძოლს გასძახე, თევდორე მოიყვანოსო.

ათიოდე წუთში კარავში ძალზე მაღალი, მხრებში საგრძნობლად მოხრილი მოხუცი შემოვიდა, დოლგოვის წინ სასაცილოდ გაიჯგიმა, გამოცხადება უპატაკა.

— ფიოდორ ფიოდოროვიჩ, როგორც ხედავთ, სტუმრები გვყავს, ვიტებსკის ოლქიდან, ბოიკოს ბრიგადიდან. გთხოვთ მიხედოთ, რაც შეიძლება გულუხვად გაუმასპინძლდეთ, სუფრას ჩიტის რძეც კი არ დააკლოთ, თორემ ეს ამხანაგები, როცა უკანვე დაბრუნდებიან, იტყვიან, დოლგოვის პარტიზანები შიმშილობენო, სჯობდა ქვემეხების ნაცვლად ცოტაოდენი პური წაგვეღოო, თავი მოგვქეჭრება. — გაიღიმა ბრიგადის მეთაურმა.

მოხუცმა თავი დაუქნია, გასაგებია და ჩემზე იყოსო, მერე მე გადმომხედა და მითხრა, წამობრძანდიო.

ამ წუთში გეახლებით-მეთქი. მოხუცი კარავიდან გავიდა.

ამხანაგ დოლგოვს ვუამბე, თუ რა შეგვემთხვა სოფელ ტყიანში. ჩემი საუბარი სამივემ რაღაც განსაკუთრებული ინტერესით მოისმინა.

— ის ქალი სადღაა? — მკითხა კომისარმა.

— ტყეში თქვენი ბრიგადის პარტიზანთა ერთ ჯგუფს გადავეყარეთ, კინაღამ ერთმანეთი ამოვწყვიტეთ. ბოლოს შევრიგდით. ჯგუფის უფროსმა ექვსი პარტიზანის თანხლებით აქეთ გამოგვისტუმრა, ქალი კი დაიტოვა, ჩვენ მოვუვლითო.

— რომელ ჯგუფზეა ლაპარაკი? — ცივად გახედა დოლგოვმა შტაბის უფროსს.

— ვორობიოვისა, განა ვერ მიხვდით? „გოლიათი“ ხომ ვორობიოვის მარჯვენა ხელია.

— ვორობიოვი წვერ-ულვაშიანია არა? — ვიკითხე. შტაბის უფროსმა თავი დამიქნია.

— ასე ახალგაზრდა და უკვე წვერ-ულვაში. — ჩავილაპარაკე ორჭოფულად.

— გვბაძავენ ახალგაზრდები. — გაიღიმა დოლგოვმა. — ადრე სურთ დაბერება თუ დაბრძენება. თქვენ რა, იცნობთ ვორობიოვს?

— ვორობიოვს?.. არა. ნება მომეცით წავიდე, ოღონდ ნასადილევს ისევ უნდა გეახლოთ.

— სტუმარი ღვთისაა. — თქვა კომისარმა.

ამხანაგებს გამოვეთხოვე და გამოვედი. მოხუცი თევდორე იქვე, კარავთან მიცდიდა. მალე, მიშა და ფედიასთან ერთად, ბრიგადის სამზარეულოში დიდებულ სადილს შევექცეოდი.

მოხუცი მზარეული თავზე გვადგა, მართალია, ნაირ-ნაირი საჭმელები არ მოუტანია, მაგრამ რაც მოგვიტანა, ძალზე გემრიელი იყო. „შჩი“ უხორცო გახლდათ, მაგრამ ფედიამ მაინც დიდი სიამოვნებით შეხვრიპა ორი ულუფა.

ასევე მადიანად შევექეცით წვრილად დაკეპილ ღორის ქონში მოხრაკულ კარტოფილს.

კომლევი მზარეულს სულ ხელებში უყურებდა, იქნებ დასალევიც გამოაჩინოსო და როცა მან საკმაოდ მოზრდილი ჭიქები დაგვიდგა, „შჩის“ ხვრეპა მიატოვა და მოხუცი გადაკოცნა.

სიამოვნებით ვადღეგრძელეთ მზარეული, მთელი ბრიგადა. მერე სამზარეულოს ახლო, ხის ძირას, ბალახზე წამოვწექით. ფედიამ მაშინვე დახუჭა თვალები.

მე კი არაყმა კიდევ უფრო ამრია და ამაფორიაქა, სულ ის ქალწვერიანი მეთაური მედგა თვალწინ. ვწვალობდი, ვწრიალებდი, მაგრამ მარტო ვერაფერს გავხდი და მიშას გამოველაპარაკე, ვიცოდი, არც მას ეძინა.

— იმ წვეროსანს თუ დაუკვირდი, მიშა!

— არ მომეწონა, „ტიპია“! უცებ რაზმის ბრიგადის მეთაური მეგონა ნამეტანს იწელებოდა, არ მომეწონა...

— არც მე, მაგრამ ჩვენს მოწონებას თუ მოუწონებლობას რა მნიშვნელობა აქვს. მე ის ტიპი, მიშა, სადღაც მინახავს, მასთან შეხვედრის შემდეგ ვიტანჯები და კაცი არ არის ჩემი მომხმარე. მინახავს და რაკი დამამახსოვრდა, უთუოდ რაღაც მოხდა ჩვენს შორის! შენ სთქვი, ნამეტანს იწელებოდაო, ალბათ მის მორთულობას გულისხმობ. თუმცა, რას ერჩი? რაც ეცვა, ეცვა, ვერაფერს დაუწუნებ. ხომ არიან ადამიანები, რომლებიც ყოველთვის სიკოხტავეს ინარჩუნებენ, ყველაფერს დათმობენ და ტანსაცმელს არ დაიკლებენ... ასეთი იქნება ისიც.

წამოვჯექი.

— მიშა, შეგიძლია ის ტიპი უწვერულვაშოდ წარმოიდგინო? თუ ძმა ხარ, ეცადე. მე ვცდილობ, მაგრამ არ გამომდის.

— არ უნდა დაგელია არაყი.

— მე არ მეხუმრება, ლიზუნოვო!

— არც მე.

— შენ საერთოდ გული თუ გაქვს?

— რა ვიცი. — წამოჯდა და მკერდზე ხელი მოიფათურა. — ფეთქავს.

— მერე ეგ ოხერი არაფერს განიშნებს? ნუ იცინი, მიშა! მე ცეცხლი მიკიდია და შენ რა ეშმაკი გაცინებს! თუ მართლა მზვერავი ხარ, გაანძრიე ეგ გოგრა და მომეხმარე.

— რანაირად?

— დახუჭე თვალები და იმ ტიპს ჯერ გაწკეპილი ულვაშები მოპარსე, მერე წვერი, გინდ შეკრიჭე, გინდა დაპუტე. დაწექი და შეასრულე რასაც გეუბნები. მეც ვწევები და ვიწყებ წვალებას. დაიხსომე, მიშა, ის კაცი მე და შენ შეგვხვედრია, ოღონდ „ჩაპაევკით“, წითელი არმიის მეთაურის სამხედრო ქამრითა და წვერ-ულვაშით კი არა! სხვა არაფერი ვიცი, არც მკითხო. ძილი ნებისა!

მივწექი, ხელები თავქვეშ ამოვიწყე და თვალები დავხუჭე.

„მაინც როგორ შეიძლება წარმოიდგინო ადამიანი უწვერულვაშოდ? ვთქვათ, წვერზე მარცხენა ხელი დავაფარე, ულვაშები მოვპარსე, „ჩაპაევკა“ მოვხადე, ვისროლე და ხეზე დავარჩინე. მერე? ქამარიც უნდა მოვხსნა (ვაპატიმრებ რაღა!). ახლა ის წამიც გავიხსენო, როცა თვალები ქალის თვალებს შეხვდა.. რა მოხდა მაშინ? თითქოს იმ წამში მოუცოცხლდა მას ჭროღა თვალები, მაგრამ საერთოდ მოქანცული და ნაღვლიანი რატომ მეჩვენა? თვითონ ქალს ხომ აშკარად დაეტყო სიხარული, ვისმა დანახვამ გაახარა?

სხვა? სხვა რა შევნიშნე მწითურს? სხვა არაფერი.

არაფერი?

„გოლიათი“ გაიხმო, რაღაც ჩაულაპარაკა. ესეც ჩვეულებრივი ამბავია, ალბათ დაავალა, ეს ამხანაგები ბრიგადის შტაბში მიიყვანეო.

არა, აქედან არაფერი გამოვა, ტყუილად ვწვალობ. მთავარი წვერ-ულვაშია.

ნუთუ დაეძინა ლიზუნოვს?

მეც მეძინება. სჯობს ცოტა ხანს მოვისვენო, ფხიზელმა გონებამ იქნებ მეტი მითხრას“.

დამეძინა და მაშინვე სიზმრად წავედი.

ბნელ გამოქვაბულში ვაგდივარ მარტოდმარტო. გამოქვაბულის ნესტიანი კედლებიდან ქვეწარმავლები მოცოცავენ, სისინებენ, წვრილწვრილ თვალებს ასირსიმალებენ, მიახლოვდებიან. ხელებს ვიქნევ, მინდა რაიმეს ჩავეჭიდო, წამოვდგე და გავიქცე. თითქოს ვიღაცამ მიწაზე დამაჭედა, ვერ ვინძრევი. გველები სისინით მიახლოვდებიან, გარს მივლიან, ცეკვავენ. მე ვყვირი, შველას ვითხოვ, გამოქვაბულში გუგუნებს ჩემი ხმა, მაგრამ არავის ესმის.

მერე სადღაც სინათლე გამოკრთა, გაიზარდა და მნათობად იქცა. გამოქვაბულში შემოძვრა და იმედი მომიტანა. მნათობი მთელ სხეულს მოედო, ცეცხლად იქცა და მწვავს, მაგრამ მიხარია, ცეცხლი ნესტიან კედლებს გააშრობს, ქვეწარმავლებს დახოცავს და მიხსნის.

გველებმა სისინს უმატეს, მოდიან, წვრილწვრილი ენები წაუგდიათ და მეტანებიან.

უცებ გამოქვაბული უზარმაზარი ურჩხულის ხარხარმა აავსო.

ურჩხულს ცხრა თავი აბია. თავები ცალცალკე ხარხარებენ თუ ღრიალებენ, ცეცხლი უკიდიათ და აქეთ-იქით აწყდებიან.

ალი ტანზე მედება, ვიწვი.

ალები ირწევიან, ცახცახებენ და, ღმერთო, ალი კი არა, წვერია, ქღალი წვერი, სახეზე მედება, მსუსხავს, მკბენს.

ველური ხარხარი მაყრუებს და ვყვირი:

მიშველეთ! მიშველეთ!

... ლიზუნოვი თვალებში ხელებს ისვამს და მამშვიდებს.

კომლევიც წამომჯდარა, თუთუნს აბოლებს. მეც გონს მოვდივარ და თუთუნს ვახვევ.

— იმ წვეროსანს მარჯვენა მხარეს ორი ოქროს კბილი ჰქონდა. იქნებ რაიმეში წაგადგეთ. — თქვა ფედიამ.

— შენ რა, გვისმენდი?

თავი დამიქნია.

— ოქროს კბილები? შენც შენიშნე, მიშა?

— არა, მაგრამ, რაც დამავალე, შევასრულე, იმ ტიპს წვერ-ულვაში მოვპარსე..

— მერე?

— მოვპარსე და დავინახე გატკრციალებული სახე. ისეთი, ქალები ფერ-უმარილს რომ წაისვამენ ხოლმე და მერე მზეზე სახე ულაპლაპებთ. მამაკაცისათვის ეს საზიზღრობაა. ხომ გითხარი ტიპია-მეთქი.

— სულ ეს არის?

— ჯერჯერობით — კი!

მაშ ასე, ორი ოქროს კბილი, გატკრციალებული სახე, მოღლილი, ნაღვლიანი თვალები, ახლა პირიც გააღე, ძმობილო, დაილაპარაკე! ხმამაღლა, უფრო ხმამაღლა, დაიყვირე, დაიყვირე-მეთქი!

... და უცებ გაქრა ქღალი წვერი, წვერს ულვაშიც მოჰყვა, „ჩაპაევკა“ გაფრინდა, ნაძვის ტოტზე დაეკიდა და მისი ადგილი ფართო კიკარდინიანმა ქუდმა დაიკავა, ესესის ნიშნებიანმა.

„უნდა გადაარჩინოთ, აუცილებლად უნდა გადაარჩინოთ“.

„დაიხიეთ უკან“.

„ცურიკ!“

„ხალტ! ხალტ! ჰენდე ხოხ! რუს სოლდატ კაპუტ! სტალინ კაპუტ! მოსკვა კაპუტ!“

„სდექ, სდექ, ექიმო! სდექ, ღორო, წყეულო, სდექ-მეთქი, ძაღლო!“

„მე ამათთან ერთად მოვკვდები, გრუპენფიურერი თქვენ გადაარჩინეთ!“

„მერედა იცი ვინ მოკვდება, ღორო? — ოქროს კბილების გაელვება.

„ვიცი“.

„მარშ, მარშ!“

„თქვენ აგვიანებთ, შტურმფიურერ, კიდევ ორიოდე წუთი და თქვენს გენერალს ვეღარაფერი გადაარჩენს“

„წყეულო, ძაღლო! ჩქარა, ჩქარა!“

„მშვიდობით, ბიჭებო, მშვიდობით ვასო, არ გაფუჭდეთ, ექიმი არ შეარცხვინოთ“.

„თქვენ მამაცი ხართ, ექიმო, ძალიან მამაცი ხართ... თქვენ... უნდა იცოცხლოთ... ესენი კი... უტყუოდაც მკვდრები არიან“.

ხუტორი, ჩვენი „ლაზარეთი“, ვიტალი ზახარჩუკის საფლავი...

აბა, ერთხელ კიდევ გავიმეოროთ! ოღონდ უფრო მშვიდად, უფრო დაკვირვებით.

ის არის.

ახლა ლიზუნოვს უნდა ვუთხრა, იქნებ ვცდები, იქნებ მეჩვენება. შემეკამათოს. მედაოს, დამარწმუნოს ან დამიდასტუროს მაინც რამ გამოალენჩა ეს ოჯახქორი. ასე უსუსური და გონებაშეზღუდული არასოდეს მინახავს. სულ არ ცდილობს თავის შეწუხებას. ნეტავი სად ეშმაკებში იყურება? პირდაპირ გინდა მხრებში სწვდე და შეანჯღრიო.

მე კი მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, გასკდა გული. ახლა თუ მიშას არ დაველაპარაკე, შევიშლები.

მაგრამ...

მაგრამ ეს რაა? მიშამ ნელა, სულ ნელა მოაბრუნა თავი ჩემკენ, ღმერთო დიდებულო! რა ფერზეა! ტუჩებს იკვნეტს, საცაა სისხლი წასკდება. რა თვალებით მიცქერის!

— რა მოგივიდა, მიშა, ხომ არ გააფრინე?

— ადექით! — წამოხტა. — ადექით, დოლგოვთან გავიქცეთ. ის არის, დავეძევნოთ, შევიპყროთ. ადექით, ადექით!

— ნუ ყვირი! ვინ არის, რა არის, ჯერ გვითხარი, დაგვარწმუნე. ნუ ღელავ. ვიცი ვისზეც ფიქრობ. მეც შენს დღეში ვარ. მგონი ორივე სწორ კვალზე ვდგავართ. დამშვიდდი, ხმაურის ატეხა სულაც არ არის საჭირო. თავში რაღაც კაი-კაი აზრები მომდის. ადექი, ფედია, წავიდეთ შტაბში, ოღონდ მშვიდად. იცოდე, იმ ქვემეხებზე ბევრად უფრო მეტი რამ ვიპოვნეთ.

წავედით.

— ვორობიოვი შტაბშიც რომ დავხვდეს, არაფერი შეიმჩნიოთ! ახლა მოთმინებაა მთავარი, თქვენც ენას კბილი დააჭირეთ და ნერვები დაიწყნარეთ. დანარჩენი ჩემზე იყოს. კარავთან ახლო დადექით, დოლგოვთან მე შევალ. მიშა, მანამ ფედიას უამბე ყველაფერი.

დოლგოვს რუკა გაეშალა, ფანქარი კბილებით ეჭირა და მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა. დამინახა, გამიღიმა, პირიდან ფანქარი გამოიღო და მაგიდის ახლო სკამზე მიმითითა, დაჯექიო.

— ხელი შეგიშალეთ, მატვეი პეტროვიჩ, — მოვიბოდიშე. — იქნებ სჯობდეს დილით მოვიდე.

— არა, უკვე მოვრჩი. თქვენ ეს მითხარით, როგორ გაგიმასპინძლდათ ჩვენი მზარეული?

— მადლობას მოგახსენებთ, უხვად, არაყიც დავლიეთ და თქვენი სადღეგრძელოც წარმოვთქვით. მატვეი პეტროვიჩ, კარგია, რომ მარტო ბრძანდებით, რაღაც მინდა მოგახსენოთ, არ გაგიკვირდეთ, მაპატიეთ, ცოტა ვღელავ, არც კი ვიცი საიდან დავიწყო. შეიძლება მოვწიო?

დოლგოვმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ მე ჩემი ქისა ამოვიღე, თუთუნი ქაღალდზე დავყარე და ერთხანს ვეწვალე, ხელები მიკანკალებდა.

გაოცებული მეთაური პირდაღებული მომჩერებოდა. თუთუნს მოვუკიდე, ორმა ნაფაზმა ცოტა დამამშვიდა.

— მატვეი პეტროვიჩ, პირდაპირ, მიუკიბმოუკიბავად გეტყვით. ვინ არის ვორობიოვი?

— ერთერთი რაზმის დაზვერვის უფროსია.

— ჩემი აღელვება მასაც გადაედო, თუთუნი შეახვია, მოუკიდა და განაგრძო: — წითელი არმიის მეთაურია, ტყვედ ჩავარდნილა, ტყვეთა ბანაკიდან გაქცეულა, ჩვენთან მოვიდა და ისევ მწყობრში ჩადგა. ჩინებულად იბრძვის. რაო?

— ნუ მიწყენთ და ნურც უზრდელობაში ჩამომართმევთ, მატვეი პეტროვიჩ, უხერხულია, შეკითხვებს რომ გაძლევთ, მაგრამ მდგომარეობა მაიძულებს. თქვენ ბრძანეთ წითელი არმიის მეთაურიაო, ტყვეთა ბანაკიდან გაიქცაო, ისევ მწყობრშია და ჩინებულადაც იბრძვისო, ასე კარგად იცნობთ?

— ვიცნობ. როცა ვორობიოვი ჩვენთან მოვიდა, ცოტანი ვიყავით, მან საბრძოლო ოპერაციებში თავი გამოიჩინა, რიგითი მებრძოლიდან დაიწყო, დაამტკიცა, რომ ნამდვილი მეთაურია და ჩვენც დავაწინაურეთ.

— და არასოდეს დაეჭვებულხართ? ოღონდ გთხოვთ უცებ ნუ მიპასუხებთ.

მან ერთხანს იფიქრა და მერე უარის ნიშნად თავი გააქნია.

— თქვენთან წვერ-ულვაშით გამოცხადდა?

— არა, მერე მოუშვა, მაგრამ ასე სხვებიც იქცევიან, ხომ არ ავუკრძალავ. მაინც რა ამბავია? უკაცრავად, თქვენი სახელი დამავიწყდა..

— საშა!

— საშა ჩემო, რად ღელავ, ან ვორობიოვი ასე რად გაინტერესებს?

— მატვეი პეტროვიჩ, მე მას შევხვედრივარ სხვა პირობებში, სხვა ვითარებაში... მაშინ არც წვერ-ულვაში ჰქონდა და არც „ჩაპაევკა" ეხურა. პირდაპირ გეტყვით, ესესის შტურმფიურერის ფორმა ეცვა.

დოლგოვი წამოხტა და რატომღაც კარვიდან გავიდა, გუშაგს რაღაც უთხრა, მერე თავზე დამადგა, მინდოდა მეც ავმდგარიყავი, მაგრამ მხარზე ფუთიანი ტორი დამადო, დამსვა.

— შენ იცი რას ამბობ?

— დიახ, ვიცი. ჩემთან ერთად აქ ორი მებრძოლია, ერთი მათგანი ჩემზე უკეთ იცნობს თქვენს ვორობიოვს — შულცს, სწორედ შულცს. დაბრძანდით, მატვეი პეტროვიჩ, ორიოდე სიტყვით გიამბობთ ყოველივეს და მერე თქვენ იცოდეთ.

დოლგოვმა კომისარი და შტაბის უფროსი მოიხმო, გუშაგს უბრძანა კარავში არავინ შემოუშვაო.

მე მოკლედ ველაპარაკე ხუტორზე მომხდარ ამბავზე. შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დოლგოვი კარავში დაალაჯებდა, ბდღვინავდა, ბურდღუნებდა, ადგილს ვერ პოულობდა. კომისარმა რამდენიმე კითხვა მომცა, შტაბის უფროსმა ჩიბუხის პლაკუნს უმატა. მერე დოლგოვმა მთხოვა ლიზუნოვი შემოიყვანეო. მე მიშას გავძახე. ლიზუნოვმა უყოყმანოდ დაადასტურა ჩემი ნაამბობი და გავიდა.

ერთხანს ყველანი ვდუმდით.

მერე ერთმანეთს ართმევდნენ სიტყვას, ჰყვებოდნენ, იგონებდნენ ვორობიოვის რაზმში მოსვლის დღეს, მის ყოველ ნაბიჯს, მოქმედებას და თანდათან ამიშვლებდნენ პროვოკატორს.

ბოლოს თავისთავად დაისვა მთავარი კითხვა: როგორ მოვიქცეთ?

შტაბის უფროსმა მაშინვე მოითხოვა დადევნება და დაპატიმრება.

კომისარმა დუმილი არჩია. ხოლო დოლგოვი მე მომიბრუნდა და მკითხა, შენ რაღას გვირჩევო.

გეგმა წინასწარ მქონდა მოფიქრებული. ვორობიოვი თუ მალე დაბრუნდებოდა, ამ გეგმის შესრულება ძნელი არ იყო. არ იქნებოდა გასაკვირი, თუ ბოიკოს წარმოგზავნილთა პატივსაცემად ბრიგადის ხელმძღვანელები პატარა ვახშამს გამართავდნენ. ვახშამზე ვორობიოვიც უნდა მოეწვიათ. როგორც სტუმარს, რომელიმე მათგანი მთხოვდა, იატაკქვეშეთში ჩემი მუშაობის ერთი პატარა ეპიზოდი მეამბნა. მე ხუტორზე მკურნალობის, ექიმ ტიხონოვის თავდადებისა და ბოლოს გერმანელთა უეცარი მოსვლის ამბავს მოვყვებოდი და შულცს ყველას წინ გამოვააშკარავებდი.

ჩემი გეგმა ყველას მოეწონა. დოლგოვმა მკაცრად ბრძანა, ვორობიოვზე არცერთ ჩვენგანს სიტყვა არ დასცდენოდა. ეს ბრძანება უფრო კომისარსა და შტაბის უფროსს შეეხებოდა, რადგან ჩვენ ამ ბრიგადაში არავის ვიცნობდით, საუბარიც მხოლოდ ერთმანეთთან შეგვეძლო.

ქვემეხები ყველას მიგვავიწყდა.

... ვორობიოვი მეორე დღეს დაბრუნდა. შორიდან მოვკარი თვალი, ბრიგადის შტაბის კარვისაკენ მიდიოდა.

ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა, როცა მოხუცმა მზარეულმა მოგვნახა და გვითხრა, ბრიგადის მეთაური გთხოვთო. გაიცინა და დაუმატა, სადილზე გეპატიჟებათო. მე განგებ გავიოცე, რატომ წუხდება-მეთქი. სტუმრების პატივისცემა ყოველ ვითარებაში შეიძლებაო. ჩვენი მეთაური ვაჟკაცია, ნამდვილი ოჯახისშვილიაო.

შტაბის კარავში ვიწრო, გრძელ მაგიდას ათნი მივუსხედით. ზოგნი საწოლზე ჩამომსხდარიყვნენ და დიდი ინტერესით გვიცქეროდნენ. თვითონ ვორობიოვიც საწოლის კუთხეში ჩაჯდა, ფეხი-ფეხზე გადაედო, ხანდახან გადმოგვხედავდა.

ჩვენ შედარებით ყველაზე საპატიო ადგილას დაგვსვეს. მაგიდაზე ღორის ხორცი, შემწვარი კარტოფილი და კონსერვები ელაგა.

დოლგოვმა მოწვეულთ ჩვენი თავი გააცნო. მერე ჭიქაში არაყი დაასხა და თქვა: ბოიკოს პირადად ვიცნობ, ზასლონოვზე ბევრი რამ გვსმენიაო, მათი წარმომადგენლები თქვენ ხართ და გვინდა აქედან კმაყოფილნი წახვიდეთო. მტერზე გამარჯვება, ოჯახებში დაბრუნება და ბედნიერება გვისურვა. მიშა გაფრთხილებული მყავდა, ვორობიოვისკენ არ გაეხედა. თვალებდაწკურული იჯდა და, ფედიასთან ერთად, ხორცსა და კარტოფილს შეექცეოდა.

სადღეგრძელო კომისარმაც წარმოთქვა, რბილი და ხავერდოვანი ხმა ჰქონდა, ილიმოდა, თუმცა ვატყობდი, ფარულად ღელავდა.

შტაბის უფროსმა ჭიქა აიღო, მაგრად იყავითო — თქვა და გადაჰკრა.

მას სხვებმაც მიჰბაძეს.

ვორობიოვს ჭიქა ხელში დიდხანს ეჭირა, მერე წამოდგა, წვერზე ხელი ჩამოისვა, კარავში მსხდომთ თვალი მოავლო და დაიწყო:
— უთანასწორო ბრძოლაში დაცემული ამხანაგები არასოდეს დაგვავიწყდებოდეს. ახლა ტყეებში ბევრი საძმო საფლავია, ვისურვებ ამ საფლავებზე ოდესმე ობელისკები აღემართოთ!
— მის გულწრფელობაში ეჭვს ეშმაკიც კი ვერ შეიტანდა, მე კი გული ბოღმით და შხამით მევსებოდა.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, სიტყვა მეც ვთქვი. წითელი არმიის მეთაური ვარ, ვიბრძვი როგორც შემიძლია და თუ მცირეოდენი წვლილი მეც შევიტანე მტერზე გამარჯვებაში, თავს ბედნიერად ჩავთვლი-მეთქი. იატაკქვეშა ორგანიზაცია განგებ ვახსენე, მოვიგონე ადამ სტელმახი, ლეონ ცურანი, ალექსი ბარდადინი, ველიკანოვი, ძია გრიგორი, იგნატ სუხოდოლსკი, ამათ მასწავლეს ბრძოლა და პარტიზანულ რაზმში ჩემი პატარა ადგილი მიმიჩნიეს-მეთქი. დოლგოვს და ბრიგადის მთელ შემადგენლობას დიდი მადლობა მოვახსენე მიწვევისათვის, აღვუთქვი, ვასილ ვასილის ძე ბოიკოს თქვენს მოკითხვას გადავცემ, ხოლო პირადად მე და ჩემი ამხანაგება არასოდეს დაგივიწყებთ-მეთქი. — ჭიქა პირთან რომ მივიტანე, უცებ ვორობიოვის მზერა დავიჭირე, ჭიქა დავუშვი და ისე, სხვათა შორის ვკითხე:

— ამხანაგო, ვორობიოვო, იმ გარეწარ ქალს რა უყავით? ხომ არ გაგექცათ?

სახეზე დამცინავი ღიმილი დაეფინა, გააბოლა და მითხრა:

— ყმაწვილო, თქვენდა სამწუხაროდ, ის

ქალი გარეწარი არ გახლავთ, ჩვენი მეგობარია და ხელის შემწყობი. თქვენ... ამ პატივისცემას კი არა, დახვრეტას იმსახურებთ, შვაიჩკოვისთანა გამოცდილი მზვერავის მკვლელობა არ უნდა გეპატიოთ. აქ კი, არყით გიმასპინძლდებიან, გაქებენ და ნაირ-ნაირებს გთავაზობენ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა მე მომჩერებოდა, თვითონ დოლგოვიც გაოგნებული იყო, რადგან გეგმა დაირღვა და ახლა ჩემს პასუხზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

თავი ვიმართლე, წინააღმდეგობა გაგვიწია და, რომ არ დაგვესწრო, სამივეს დაგვხოცავდა-მეთქი. გამოცდილი მზვერავის ასე უბრალოდ დაღუპვის გამო სინანული გამოვთქვი და პატიება ვითხოვე. თუ პატიების ღირსი არა ვარ, მზად გახლავართ ყოველგვარი სასჯელისათვის-მეთქი.

არაყი აღარ დამილევია, ჭიქა დავდგი. ლიზუნოვი აიმრიზა, ფედია შეიშმუშნა, მაგრამ უხერხულობა დოლგოვმა გაფანტა. ვორობიოვს დაუყვავა, ასეთი რამ, სამწუხაროდ, ხდებაო, შვაიჩკოვს მეტი სიფხიზლე უნდა გამოეჩინა და ამხანაგებისათვის თავი გაეცნოო, მაგრამ შენისთანა გამჭრიახობა ყველას არ მოეთხოვებაო.

ვორობიოვი ბრიგადის მეთაურის სიტყვებმა დაამშვიდა. დოლგოვი მიხვდა, რომ მისი განმარტება არ კმაროდა და მოგვითხრო, თუ როგორ შეხვდნენ ერთხელ სხვა რაზმის მებრძოლებს, როგორ აუტეხეს ერთმანეთს სროლა და როგორ გადარჩნენ შემთხვევით. მერე ჭიქაში არაყი ჩაასხა და ის ადამიანები აღლეგრძელა, რომლებიც იატაკქვეშა ორგანიზაციებში იბრძვიან, ხალხს რაზმავენ და პარტიზანულ რაზმებში თავდადებულ მებრძოლებს გზავნიან. აღნიშნა კომისრის დიდი დამსახურება და სთხოვა იატაკქვეშეთში ბრძოლის რომელიმე ეპიზოდი ეამბნა. კომისარმა მორიდებით დაიწყო მეტად საინტერესო ამბავი: როგორ შეაღწიეს რაიონულ ცენტრში და გერმანელების წინ როგორ გააკრეს მოწოდების ფურცელი.

კომისრის ნაამბობმა სუფრას ხალისი დაუბრუნა, თან მესამე ჭიქა არაყმაც თავისი ბრჭყალები გამოაჩინა და შვაიჩკოვი დავიწყებას მიეცა.

შტაბის უფროსმა ჩიბუხი გატენა, მოუკიდა და დოლგოვს უთხრა:

— მატვეი პეტროვიჩ, იქნებ სტუმრებმაც გვიამბონ რამე, პირადად მე დიდი სიამოვნებით მოვისმენ.

დოლგოვმა და კომისარმა შტაბის უფროსს მხარი დაუჭირეს.

თავი მოვისაწყლე, ასეთ სახელგანთქმულ ვაჟკაცებთან რა სახსენებელი ვარ-მეთქი, მიშას ფეხი-ფეხზე დავაჭირე, თავის მხრივ მან ფედიას იდაყვი გაჰკრა, მე დავიწყე:

... ხუტორზე იგნატ სუხოდოლსკიმ მიმიყვანა. იქ სამედიცინო სამსახურის მაიორი ექიმი პეტრე ტიხონოვი დამხვდა. ჩემს გარდა სამძელში, რომელსაც „ლაზარეთი" დავარქვით, სხვა დაჭრილებიც იყვნენ. „ლაზარეთი" მალე ერთ ძმურ ოჯახად იქცა, ერთმანეთს წყალს ვაწოდებდით, წამოდგომაში ვშველოდით, ექიმის განკარგულებებს ვასრულებდით.

მეხუთე დღეს მებრძოლი მოგვიკვდა, გვარად ზახარჩუკი იყო, იქვე, საბძლის ახლო, გამხმარი ალუბლის ძირას დავმარხეთ. ეს გახლდათ ჩვენთვის პირველი უბედურება, მაგრამ მეორე დღეს თურმე უარესი გველოდა.

ხუტორზე გერმანელთა სატვირთო მანქანები ამოვიდნენ. სატვირთო მანქანებს წინ შავი „მერსედესი" მოუძღოდა. ექიმმა მოასწრო, გაგვაფრთხილა, რაც არ უნდა მოხდეს, თავი ღირსეულად გვეჭიროთო. საბძლიდან ექიმის ოთახში ხის სამსაფეხურიანი კიბით ავდიოდით. მე იმ კიბეზე დავდექი, კარებში ჭუჭრუტანა მოვნახე და ექიმის ოთახში შევიხედე.

ექიმთან ესესის შტურმფიურერი და სამი ჯარისკაცი შემოვიდნენ.

ოფიცერმა ექიმს უბრძანა დაჭრილ გენერალს ოპერაცია გაუკეთეო, ექიმი დაეთანხმა. ოთახში დაჭრილი გრუპენფიურერი შემოიტანეს. სხვათა შორის, ის ოფიცერი შეუცდომლად, სრულიად უაქცენტოდ ლაპარაკობდა რუსულად. შევჩერდი, ცოტა შევისვენე, რაც ვთქვი, იმის მონელებაც უნდა გაჭირვებოდა ვორობიოვს, ერთი იმ კუთხისკენ გახედვა სიცოცხლეს მერჩია, მაგრამ ცდუნებას ვძლიე და განვაგრძე:

— გრუპენფიურერი ძალიან მაღალი კაცი იყო, მახსოვს, ტახტზე ვერ დაეტია. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ფეხები გულზე მიიხუტა და იქვე ტახტთან ჩაცუცქდა. იმ შტურმფიურერს თავზე ფართო კაკარდიანი ქუდი ეხურა და, როცა ლაპარაკობდა, ოქროს კბილები უჩანდა.

ექიმი დაჭრილზე დაიხარა თუ არა, ჩვენი საბძლის კარები გერმანელებმა შემოამტვრიეს, ჯერ კუთხეში მიგვამწყვდიეს, მერე საბძლიდან გამოგვრეკეს და იმ გამხმარი ალუბლის ახლო, ვიტალი ზახარჩუკის საფლავის წინ ჩაგვამწკრივეს. ჯარისკაცები ერთხანს აბუჩად გვიგდებდნენ, ავტომატებს გვიღერებდნენ, დაგვცინოდნენ. მერე ერთმა ავტომატიც აგრიალა, ტყვიებმა თავზე გადაგვიქროლა, ალბათ ეგონა მიწაზე განვერთხმებოდით. ჩვენ ერთმანეთზე ვიყავით მიკრულნი. ახლა უფრო მაგრად ჩავჭიდეთ ერთმანეთს ხელები, სიკვდილს თვალი გავუსწორეთ.

ამ დროს ექიმის ოთახის კარი გაიღო და პეტრე ტიხონოვი გამოჩნდა. რა თქმა უნდა, მან გაიგონა სროლის ხმა, ეგონა გვხვრეტდნენ, დაჭრილი მიატოვა და ჩვენკენ წამოვიდა.

ექიმს ოფიცერი მოსდევდა, ოგინებოდა,

ემუქრებოდა და დროდადრო ისროდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მწითური სახე...

ექიმი მწკრივის თავში დადგა და გაცოფებულ ოფიცერს მშვიდად უთხრა: — მე ამათთან ერთად მოვკვდები, გენერალი თქვენ თვითონ გადაარჩინეთ.

ოფიცერი მივარდა, მყრალი პირიდან ცოფს ჰყრიდა, უწმაწური სიტყვებით ლანძღავდა ექიმს, თან მკერდზე პისტოლეტს ურტყამდა.

— თქვენ აგვიანებთ, შტურმფიურერო, — თქვა ექიმმა, — კიდევ ორიოდე წუთი და გენერალს ვეღარაფერი უშველის.

ესესელმა ფეხის წვერებზე აიწია, ჯარისკაცებს დაუცაცხანა. მეავტომატეები მანქანებისკენ გაიქცნენ. ექიმი ოთახში დაბრუნდა, დაწყებული ოპერაცია დაასრულა. მალე გენერალი ოთახიდან გამოიტანეს და მანქანაში შედვეს. ექიმიცა და ოფიცერიც მანქანასთან იდგნენ. ოფიცერი ხელში პისტოლეტს ათამაშებდა, ექიმს, რომელსაც ჭაღარა თმა ასწეწოდა და ხელები გრუპენფიურერის სისხლით ჰქონდა მოსვრილი, დამცინავი ღიმილით უყურებდა. ასე აწვალა რამდენიმე წუთს და მერე უთხრა:

— თქვენ მამაცი ხართ, ექიმო, ძალიან მამაცი... თქვენ... თქვენ უნდა იცოცხლოთ. ესენი კი... — ჩვენკენ მოიხედა. — უტყვიოდაც მკვდრები არიან. აუფვიდერზეენ!

მალე მანქანები თვალს მიეფარა.

...კარავში კოლო წუის, სხვამხრივ ისეთი სიჩუმეა, სუნთქვაც კი ისმის. მერე ფეხის ხმა და დოლგოვის მტკიცე შეძახილიც გავიგონე:

— საით, ვორობიოვ?

— ამ წუთში გეახლებით! — არ შეჩერებულა, ისე თქვა და გასასვლელისაკენ შურდულივით წავიდა. ახლა მეც გამოვიხედე თვალში. გასასვლელში ვორობიოვი გუშაგმა შეაჩერა. იგი სხარტად შემობრუნდა, მხრები უცახცახებდა, მაგრამ სახეზე არავითარი შეშფოთება არ ემჩნეოდა. ვორობიოვმა ჯერ დოლგოვს გახედა, მერე მე, თვალები დაწკურა, დაიძაბა.

წამოვდექი.

— შტურმფიურერ ჰანს შულც, ვერ მიცანი?

— მან ელვისუსწრაფესად იძრო პისტოლეტი და, შტაბის უფროსი რომ არ ყოფილიყო, ვერავითარი სასწაული ვეღარ გადამარჩენდა.

შულცს ხელები გაუკავეს, განაიარაღეს.

— ისინი უტყვიოდაც მკვდრები არიანო, ბრძანეთ მაშინ, შულც! თურმე შეცდით. — ლიზუნოვ! — შევუძახე მიშას. იგი ფეხზე იდგა, მაგრამ ვაი ასეთ დგომას. — ეს ყმაწვილი ერთი იმათგანია, ოფიცერო, მეორე, მესამე, მეათეც ცოცხალია და იბრძვის. ხოლო ექიმი ტიხონოვი ჩვენი პარტიზანული ბრიგადის სანიტარული ნაწილის უფროსია. თქვენი მოღვაწეობის სხვა დეტალებიც ვიცი, შულც... თქვენ ბოგუშევსკის კომენდანტის თანაშემწე იყავით, გაიხსენეთ ოლია კარპოვიჩი, ლამაზი, მოხდენილი ბელორუსი ქალიშვილი, რომელსაც სიყვარულს ეფიცებოდით და ომის შემდეგ შტეტენში წაყვანას ჰპირდებოდით. თქვენ მაშინ ვოლკოვის გვარით მოღვაწეობდით. გაიხსენეთ უკანასკნელი შეხვედრა კარპოვიჩთან ბოგუშევსკში, სწორედ საკომენდატოს წინ. გენერლის სიკვდილი, რასაც თქვენი დაპატიმრება მოჰყვა. გაწამეს, გაწვალეს, გუშინდელი გაწკიპული ოფიცერი ჯურღმულში ჩააგდეს, სასიკვდილოდ გაგწირეს, მაგრამ თქვენ თვითონ იხსენით თავი. რუსული ენა საუცხოოდ იცით, ამან გიშველათ, ახალი მიზნებით აღიჭურვეთ, ჰანს შულცი იგორ ვორობიოვად გადაიქეცით, მაგრამ ვიტებსკის ოლქში კი არა, სადაც თქვენ ზოგიერთნი გიცნობდნენ, არამედ შორს, ბარისოვის ტყეებში მოქმედ პარტიზანულ რაზმში მოახერხეთ შეძრომა. გაითამაშეთ ტყვედყოფილი ლეიტენანტის როლი, არტისტულად აღწერეთ ტყვეთა ბანაკის საშინელება და ამხანაგების ნდობაც მოიპოვეთ.

იქნებ ოლია კარპოვიჩის ბედიც გაინტერესებთ? ოლია მზვერავ გოგონათა ჯგუფს ხელმძღვანელობს. სიტყვას გაძლევთ, რომ დღევანდელ ჩვენს საუბარს სიტყვა-სიტყვით გადავცემ. რაც შეეხება შვაჩკოვს, იგი ალბათ ისეთივე შვაჩკოვი იყო, როგორი ვორობიოვიც თქვენა ხართ. მან საკადრისი მიიღო. სამწუხაროა, რომ იმ გარეწარმა ქალმა თქვენი დახმარებით თავს უშველა, მაგრამ, იმედია, ამხანაგები გათქმევინებენ მის ადგილსამყოფელს.

ამხანაგო ბრიგადის მეთაურო, სადილისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ, ნება მოგვეცით წავიდეთ და, თქვენი ბრძანებით, ხვალ დილით ქვემეხების ძებნას შევუდგეთ.

...შტაბისაკენ უთენია წავედით, მაგრამ იქაურობას ახლო არ გაგვაკარეს, კარავს უკვე ათეული იცავდა.

ჩვენთან ყარაულის უფროსი მოვიდა, ვინა ხართ და რა საქმეზე მოსულხართო, გვკითხა უკმეხად. ამხანაგმა დოლგოვმა დაგვიბარამეთქი.

მან ჯერ ლიზუნოვს შეხედა, მერე კომლევს და გვიბრძანა ხელები ასწიეთო.

როცა ცხვირის წინ „ვორობიოვისთანა“ აფთარი“ გვყავს, ყურებიც უნდა გამოიფხიკო და წინდახედულიც უნდა გახდე, მაგრამ მტრისა და მოყვრის გარჩევაც ხომ საჭიროა...

გამეცინა.

ხელები ასწიეთო, გვიბრძანეს ეს ახალგაზრდა, ჩემს სიცილზე ბრაზობს, ორი ნაბიჯით უკან იხევს და ავტომატს გვიღერებს. ბიჭებს ვანიშნე და სამივემ ხელები ავწიეთ. ამ გულადი მცველისათვის მინდოდა მეთქვა, მტერი

ასე სულელურად არ მოგადგებათ-მეთქი. არ ღირდა.

ვატყობ, თანდათან სულ უფრო უხეში ვხდები, მოთმინების უნარი, ეს ყველაზე ძვირფასი იარაღი, ხელიდან მეცლება. რაიმე შეურაცხმყოფელს რომ გავიგონებ, იმის მაგიერ, რომ დინჯად შევაფასო და აუჩქარებლად გავცე პასუხი, ვნერვიულობ და ზოგჯერ წონასწორობასაც ვკარგავ.

ახლაც, მართალია, ხელები ავწიე, მაგრამ უცებ თავი დამცირებულად ჩავთვალე და ხელები სწრაფად დავუშვი. ყარაულის უფროსმა ავტომატი ააჩხაკუნა.

რას ვერჩი ამ კაცს, თავის მოვალეობას ასრულებს!

— ახლავე მოახსენეთ ბრიგადის მეთაურს, ბოიკოს წარმომადგენლები მოვიდნენ-თქო. — განგებ ხმამაღლა ვთქვი, იქნებ კარავში გაიგონონ და გამოგვხედონ-მეთქი.

განთიადი ნელა შემოდის ტყეში, ბანაკს ჯერ კიდევ სძინავს. მორიდებულად შრიალებენ არყისხეები, მერე შრიალი ხიდან ხეს გადაეცემა და მთელ ტყეს მოედება. სადღაც შებუდრული ჩიტები შენს თვალწინ წამოსკუპდებიან ტოტებზე და ისეთ ჭიკჭიკს მორთავენ, დადექი და უსმინე, უკეთესს ვერაფერს ინატრებ.

ამ ახალგაზრდას კი განგებ მოუქუფრავს სახე და ავტომატს აჩხაკუნებს. მას ახლა არც ხეთა შრიალი ესმის და არც ჩიტების ჭიკჭიკი.

ილბლად კარვიდან შტაბის უფროსმა გამოიხედა, შეგვნიშნა და მოგვესალმა. ყარაულის უფროსი მისკენ გაექანა, უნდოდა მოეხსენებინა, მაგრამ შტაბის უფროსმა რაღაც უთხრა და შეაჩერა.

კარვისკენ გზა თავისუფალი იყო. მალე ჩვენი გამყოლებიც გამოცხადდნენ, მერე მოხუცმა თევდორემ სამ-სამი დღის მშრალი ულუფაც ჩამოგვირიგა და ჩვენი თორმეტი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი გზას დაადგა.

რუკაზე აღნიშნული მქონდა იმ ტყის ახლო მდებარე სოფელი ბელოვინა და მეგონა ქვემეხების პოვნა არ გაგვიძნელდებოდა, იმასაც ვფიქრობდი, როგორც კი იმ ადგილებში მოვხვდებოდით, უცებ აღვადგენდით ჩვენი პირველი ბანაკის ადგილს.

ბელოვინამდე ოციოდე კილომეტრია. ამ მანძილის გავლა სამ საათში შეიძლება, ბიჭებს ვაჩქარებ, ხალისით მიმყვებიან. ორ საათში უკვე ტყის მეშვიდე განაკაფში ვიყავით. ცოტა შევისვენეთ, წავიხემსეთ და მე და მიშა გზატკეცილზე გავედით, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებთ, ვცდილობთ რაიმე მოვიგონოთ, აღვადგინოთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, თითქოს ამ არემარეზე არასოდეს გაგვევლოს. გზა განვაგრძეთ, საღამომდე ვიბორიალეთ და უმწეობით გულგატეხილნი დასაძინებლად მივწექით.

გამყოლთა ჯგუფის უფროსს იურა ჰქვია, თამამი და ცოტა თვითდაჯერებული ყმაწვილია. ეტყობა, რუკისა არაფერი გაეგება, მაგრამ არ იმჩნევს. რუკას მიწაზე რომ გავშლი, ახლო მოიწევს, ხან მე მიცქერის, ხან რუკას და იცინის. ნუ ჯავრობო, მეუბნება, ქვემეხებს აუცილებლად ვიპოვნითო.

დილით ადრე გამეღვიძა. მიშა არ ჩანდა, კოშლევს ვკითხე, ლიზუნოვი სად წავიდა-მეთქი. არ ვიციო. იურიც წამოჯდა, თვალებში ხელები ამოისვა, გაამთქნარა და იკითხა, ხომ არაფერი მომხდარაო.

შენი სიზარმაცე შენ-მეთქი — ვუთხარი, გაიცინა. გამთქნარება სიზარმაცეს სრულებით არ ნიშნავსო. მინდოდა შევკამათებოდი, მაგრამ ისეთ უგუნურ ხასიათზე ვიყავი, ლაპარაკის თავიც არ მქონდა. მიშა მაინც გამოჩნდეს, ახლავე შევუდგებით ქვემეხების ძებნას. მაინც რა ჩვეულებაა ეს? აიღებს თავს, არავის არაფერს ეკითხება და დაყიალობს.

ლიზუნოვს ბარე ორი საათი დაუგვიანდა მე ხიდან ხემდე დავალაჯებდი და ათასგვარი უშვერი სიტყვებით ვლანძღავდი მიშას. ამ თავის აგდებას არაფრით არ ვაპატიებ-მეთქი — ვიძახდი. ფედიამ გამოსარჩლება სცადა და მასაც შევუღრინე. პასუხი არ გაუცია, მხრები აიჩეჩა, მე რა შუაში ვარო.

იური ისევ იკრიჭებოდა, ხანდახან რაიმე **სახუმარო სიტყვას** შემოგვაწევდა — და ჩემს სიბრაზეს ოდნავ ანელებდა. მერე და მერე მისი სიცილი და ხუმრობა გულზე ეკლად მესობოდა.

— ყველაფერი კარგი, არავის არაფერი ჰკითხე და შეაყოლე, — ვამბობდი გაცეცხლებული, — მაგრამ ეს ბოგუშევსკის ან სოფიევკის ტყე ხომ არ არის? ვთქვათ, გზა დაგებნა, ველარ გვიპოვნე, ან ვინმე ოხერს გადაეყარე და თავი წააგე, მაშინ? ამაზე ფედია იღიმებოდა, რაც უნდა მოხდეს, მიშა ლიზუნოვი ტყეში არ დაიკარგებაო, დარწმუნებული ვარ საცაა გამოჩნდებაო. და გამოჩნდა კიდეც.

შორიდანვე მოგვაძახა, არტილერია ვიპოვნეო, მოდი და ნუ გაგიჟდები! რომელი წყენა და საყვედური, რისი გაბრაზება და გაცეცხლება, წამსვე ყველაფერი დამავიწყდა და სანამ მიშა ჩვენამდე მოაღწევდა, ოცჯერ მაინც მოვიხადე ბოდიში გალანძღვისათვის, მერე ვეცი და სამჯერ გადავკოცნე. იური სიცილისგან კინაღამ გაიგუდა.

უხდება ამ ყმაწვილს სიცილი, თავს აკანტურებს, ქერა ხვეული თმა შუბლზე ჩამოეშლება და კვიცივით ჭიხვინებს. სიცილს რომ მორჩება, თავს აიქნევს და თმაც მაშინვე დაულაგდება, ხელის მიშველებაც კი არ სჭირდება.

მაშინვე ავიშალეთ და ლიზუნოვს გავყევით.

გზადაგზა ლიზუნოვმა გვიამბო, თუ როგორ მიაკვლია ქვემეხების სამარხს. ჯერ ის პატარა ტბა უცვნია, გერმანელებმ პირველად რომ დავესხით და საკუთარი ძალა ვირწმუნეთ, ტბიდან შარაგზის შოსეზე გასულა, მერე საურმე გზას გამოჰყოლია და უკვე ბალახით დაფარული ბილიკით ჩვენს ბანაკში ამოუყვია თავი.

ნამდვილი მზვერავია, ჰინკაა. მაძებარი ძაღლის ყნოსვა და კატის თვალები შველის, თორემ აბა რა ეშმაკმა მიიყვანა იმ ტბასთან!

აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ტბა და ეს ტბები ერთმანეთს აბაზიანებივით ჰგვანან.

აგერ ჩვენი პირველი ბანაკი, უზარმაზარი ნაძვისხე. ამ ხის ძირას ვიწექით მე და ანტონი, აქ გავიგონეთ ღამით ჩვენი თვითმფრინავის გუგუნი, აქ შევფიცეთ ერთმანეთს ძმობა და პარტიზანული ბრძოლის გზას შევუდექით.

აი, აქ იდგა ანტონი და კითხულობდა გერმანელთა მონაჩმახს, წითელი არმია აღარ არსებობს, კოლმეურნეობები გაუქმებულიაო, დაიმალენით, თქვენ-თქვენ ოჯახებს დაუბრუნდითო, მოდექით და იქეიფეთ, დანარჩენი ჩვენზე იყოსო... ლენინგრადი დაეცა და მოსკოვიც ალყაშიაო.

მერე სვისტუნოვის ჰორფლიანი, მწითური სახეც გამოჩნდა. ეგ საკენკი სხვებს დაუყარონო, — თქვა, სუხოდოლსკის ფურცელი ხელიდან გამოსტაცა და ნაკუწებად აქცია.

ქვემეხების სამარხს მივადექით, მიწის თხრას შევუდექით. ბარს ერთმანეთს ხელიდან ვგლეჯდით.

არ ვიცი რა გაიფიქრა მიშა ლიზუნოვმა, როცა ბარის პირი ქვემეხის ლულას მოხვდა და გაიხრჭიალა, მე კი ტანში ჟრუანტელმა დამიარა და, იური რომ არა, მუხლებზე დავეცემოდი და უკვე ჟანგმოკიდებულ ქვემეხს ვაკოცებდი.

ქვემეხის ლულიდან ჩვრები ამოვიღეთ და შიგ ჩავხედეთ. ლულას კრიალი გაუდიოდა. ზევიდან მოკიდებული ჟანგი არაფერს ნიშნავდა, მთავარი ლულა. ქვემეხები ამოვიღეთ, გავწმინდეთ და წესრიგში მოვიყვანეთ. მერე ჭურვებით სავსე ყუთებიც გავხსენით და ჭურვები მზეზე გავაწყეთ. იური ქვემეხს მიუჯდა, ძვრა ვერ უყო და კეფა მოიფხანა. მართლაც, ორი ქვემეხის ამოდენა მანძილზე გადატანა ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელიც იყო. მე ეს დოლგოვსაც ვუთხარი, მაგრამ ბრიგადის მეთაურმა სიცილით მიპასუხა, ჩემი არწივები იმ ქვემეხებს სულ ციმციმ წამოიღებენო.

ქვემეხების ადგილზე მიტანა სულაც აღარ მადარდებდა, მთავარი ამოცანა შესრულებულია, ქვემეხები ნაპოვნია და აწი ამ დალოცვილებმა კეთილ ინებონ და გაისარჯონ.

ბრიგადის შტაბში ორი მებრძოლი ვაფრინეთ, დოლგოვს ბარათი მივწერე, ოცეულის გამოგზავნას და პირველი გასროლის ნებართვასაც ვთხოვდი.

მეორე დღეს, საღამოს, ჩვენი წარგზავნილები, ოც რჩეულ ვაჟკაცთან ერთად, დაბრუნდნენ. ოცმეთაურმა დოლგოვის სიტყვიერი ნებართვაც გადმომცა, ქვემეხის პირველი გასროლის პატივი შენ გეკუთვნისო.

მიშა დაფაცურდა, ფუგასური ყუმბარა მოამზადა, ქვემეხი გაასწორა, ლულას ბარისოვის მიმართულებით აქნევინა პირი და მზადყოფნა მომახსენა.

— იმოქმედე! — ვუთხარი და მეც მივეშველე.

— ფაშისტების ულუფა... ცეცხლი! — იყვირა მიშამ და ქვემეხმაც დაიქუხა.

ჭურვი ბარისოვისკენ გაფრინდა.

— ეს ერთი და სხვა ათასი! — ჩაილაპარაკა იურიმ.

... ბრიგადის ხელმძღვანელობა სადილითა და არყით გაგვიმასპინძლდა, ბოიკოსა და ზასლონოვთან დოლგოვმა მოკითხვა დამაბარა, ხელი მაგრად ჩამოგვართვა და გადაგვკოცნა.

— ამხანაგო ბრიგადის მეთაურო, — ვუთხარი გამოთხოვებისას, — გთხოვთ ხელწერილი მომცეთ, რომ ორი ქვემეხი და ოთხი ყუთი ჭურვი ჩაიბარეთ.

მან გაიცინა და ხელწერილი დამიწერა.

... გზა ჩვენი ბანაკისაკენ გაგრძელდა. დოლგოვმა საკმაოზე მეტი საგზალი გამოგვატანა, მაგრამ ჭამისათვისაც არ ვკარგავდით დროს, მივდიოდით და მივილუკმებოდით.

ტყე ყველგან ტყეა; ფიჭვი, ნაძვი თუ არყისხე ბარისოვის ტყეებშიც ბევრია და სხვაგანაც, მაგრამ მეორე დღეს ვიგრძენი, დიახ, ვიგრძენი, რომ უკვე „ჩვენს ტყეში“ ვიყავით.

თითქოს ტყემ სახე იცვალა, ნაძვები და ფიჭვები უფრო მაღლები, ხოლო არყისხეები უფრო ლამაზები მეჩვენა.

არყისხის ფოთლები შრიალებენ, რაღაცას გვეჩურჩულებიან, გვესალმებიან.

— გამარჯობათ, ნაძვებო, ფიჭვებო, გამარჯობათ, ტყის დედოფლებო — არყისხეებო! სალამი, ბუჩქებო, თქვენც გაიხარეთ, ბალახებო!

სალამი, ჩვენო უსიერო ტყეო!

გამარჯობა, ძმაო ვასო, გამარჯობა ალიოშა, ვალოდია, კოლია, ოლეს!

გამარჯობა, ანტონ — ამხანაგო შტაბის უფროსო!

შენ როგორღა ხარ, ძვირფასო ტანია. ეკლის ნაჩხვლეტი მოგირჩა?

რატომ ვერ იგრძენი, რომ მოვდივარ, რომ მხოლოდ ორასიოდე მეტრი გვაშორებს ერთმანეთს...

რაო, რომ გაგეგო, შემხვდებოდი? ტყის თეთრ ყვავილებს დავკრეფდი და ბილიკზე

შემეგებებოდი? მერე? ეკალს ისევ რომ ეჩხვლიტა? ჯანდაბას?

მოვდივარ, ათ წუთში შენთან ვიქნები და სწორედ იმ ხელებს დაგიკოცნი, გაცილებისას თეთრი ყვავილები რომ ეჭირა.

მერე?

მერე, თუ ახლომახლო არავინ იქნა, შეიძლება ტუჩებშიც გაკოცო.

გუშაგმა შეგვაჩერა, მაგრამ გვიცნო და გაგვატარა. გვერდით რომ ჩავუარეთ, მივესალმეთ, კირილოვის რაზმელი იყო. არ შევჩერებულვარ, გზა განვაგრძე და რომ მოვიხედე, გუშაგი ლიზუნოვს რაღაცას ეუბნებოდა. მიშამ ოდნავ შეჰყვირა, გამოიქცა და მალე უკან მომიტოვა. რა ამბავია-მეთქი, მოვაძახე. ხმა არ გაუცია, თავქუდმოგლეჯილი გარბის. მეც გავიქეცი, კომლევი ჩემს უკან მოძუნძულებს.

რამ გადარია ლიზუნოვი? რა უთხრა ასეთი გუშაგმა? რაღაც უბედურებაა ჩვენს თავს, მაგრამ გაქცევა რა საჭიროა, ან უთქმელობა რას ნიშნავს? ღვთის წყალობით, უკვე შევეჩვიეთ გაჭირვებას, სისხლს, სიკვდილს...

მაინც რა მოხდა, ან ჩემთან რად დამალეს? ჩემთან...

და უცებ მივხვდი, რომ ის, რაც მოხდა, პირადად მე შემეხებოდა.

მივრბივარ, ვქლოშინებ, ვბურდღუნებ, ხან ანტონი მელანდება, ხან ტანია, ხან ალიოშა, ხან ვასო....

ვასო!

აგერ ბანაკი, ჩვენს კარავს მივაშურე.

შესასვლელთან შევდექი, ლიზუნოვი ტირის.

— რა ამბავია, ბიჭებო?

ვალოდია წამოდგა და მაშინვე თავი ჩაჰკიდა.

— ბორიჩო! — კოლია ადგა და კარვიდან გავიდა.

— სტიოპა, ვალოდია, თქვენ მაინც მითხარით, რა მოხდა?

ბიჭები ხმამაღლა ატირდნენ.

— ტარანენკო! სად ხარ? სად არის ვასო? სად არის ჩემი ვასო?

ალიოშა ზლუქუნებს, თვალს მარიდებს.

მაშ ვასო!

არა, მე ახლა ტირილი არ შემიძლია, ვერ ვიზლუქუნებ, ცრემლსაც ვერ გადმოვაგდებ, უნდა ვიღმუვლო, ხელი პირში ჩავიდო, ვიკბინო, სისხლი დავიდინო, უნდა მოვკვდე. ამის ღირსი ვარ. მე ვუთხარი უარი ვასოს, მე არ წავიყვანე ბარისოვის ტყეებში.

— სად არის?

— სად არის? — ვღრიალებ.

ვიღაც მკლავში ხელს მკიდებს, მივყევარ. ბიჭებიც მოდიან.

...იქ ორი ნაძვია, ერთად შეტყუპებული ორი ნაძვი. წინ დაბალი ბუჩქნარია და მდელო, მერე ოდნავ შემაღლებული ადგილი. და ...ვასოს საფლავი! საფლავზე ტყის თეთრი ყვავილები აწყვია. თავთან ჯვარი დაუსვამთ, ზედ წარწერაა: ქართველი პარტიზანი ვასო თორაძე, გმირულად დაიღუპა 1942 წლის 30 აგვისტოს.

ლიზუნოვმა დაიჩოქა.

ბიჭები თავდახრილნი დგანან.

სტიოპა სენკევიჩი და ვალოდია ცურანი სლუკუნებენ.

მე? მე როგორღა მოვიქცე?

**უბის წიგნაკიდან:** „მომიკლეს ვასო, მომიკლეს ძმა, ერთადერთი და განუყრელი. მომიკლეს... მეც მომკლეს, ვასოსთან ერთად მომკლეს. ის მიწაშია, მის საფლავს თეთრი ყვავილები აყრია. მე ზეზეულად ვარ მკვდარი და ასე მგონია, აღარასოდეს გავიღიმებ.

საფლავზე ჯვარი დაუსვამთ, რუსული წარწერა გაუკეთებიათ, მაგრამ ფიცარზე მე მაინც მივაწერინე ქართულად: „ვასო თორაძე, სად წაიყვან სადაურსა"...

ბიჭები ბავშვივით მეფერებიან, თავს მევლებიან, თითქოს ვასოს დაღუპვაში მათ ედოთ ბრალი. არა, ბიჭებო, სულმოკლე არა, ვარ, მე ხომ ყველას გიცნობთ...

ვასო და ალიოშა დაზვერვაზე გაუგზავნიათ. ბიჭებს დავალება შეუსრულებიათ და უკან დაბრუნებულან, ტყეში თავი სამშვიდობოს რომ დაუგულვებიათ, პოლიციელთა ჯგუფი გადაჰყრიათ. შეეძლოთ გაქცევა, შეეძლოთ მიმალვა, მაგრამ არ იკადრეს, მტერს, ძაღლთა პირებს, ზურგი არ უჩვენეს და ორი ათს შებმია. ექვსი მოუკლავთ, სამი გაქცევიათ, ერთი შეუპყრიათ. ვასო დაჭრილა, წუთით ჩაუმუხლავს. ამ ექვსთაგანს, რომლებიც მკვდრები ეგონათ, ერთერთს ვასოსათვის შიგ გულში დაუხლია ტყვია.

ტარანენკოს ტყვე პოლიციელისათვის ცალი ხელი და ფეხი გაუკრავს, ისე, როგორც ცხენებს ბორკავენ ხოლმე გლეხები, ვასო ზურგზე მოუკიდნია და ასე გამოცხადებულა ბანაკში. საფლავისათვის ადგილი თვითონ შეურჩევია, თვითონვე გაუთხრია და პოლიციელიც იმ საფლავთან დაუკლავს. „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადო" — არ უთქვამს პოლიციელს. პირიქით, როცა ყელთან დანა მიუტანიათ, მიწაზე გართხმულა და სიცოცხლის შენარჩუნება უთხოვია.

თითქოს ამ უსიერ ტყეში სულ მარტო დავრჩი....

...ორშის პარტიზანული ზონის შექმნამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ვერც ბოიკო და ზასლონოვი „შეეწყვნენ" ერთმანეთს, ცალცალკე, დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და მალე ზასლონოვის ბრიგადა ჩვენგან წავიდა.

გარეგნულად არავითარი უთანხმოება ორ კომბრიგს შორის არ ყოფილა, ხშირად თათბირობდნენ, სამოქმედო გეგმებს სახავდნენ,

მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ისევ დამოუკიდებლად ერჩივნათ ბრძოლა.

ზასლონოველები წავიდნენ, არავითარი განგაში, არავითარი პანიკა მათ წასვლას არ მოჰყოლია, პირიქით, კონსტანტინე სერგის ძეს გაცილებაც კი მოუწყვეს და მის წინაშე ერთგვარად მოიბოდიშეს, ზონის შექმნა ჩვენ არ წამოგვიწყიაო.

ბანაკი თითქოს დაცარიელდა, დარჩა კარვები და ცალკეული რაზმებისათვის შეკოწიწებული „სასადილოები“. ბოიკომ მათი დანგრევა ბრძანა.

ზასლონოველების წასვლას ერთი პატარა, არც თუ ისე უსიამო ამბავიც მოჰყვა. ვიქტორ გრომოვი პარტიზანთა ჯგუფით ზასლონოველებს მიეკედლა და მათთან ერთად გაუდგა გზას. როცა ეს ბოიკოს მოახსენეს, არ გაბრაზებულა, წავიდეს, ოღონდ რაზმი ადგილზე დარჩესო.

გრომოვისა და ბარდადინის ყოფილი რაზმები შეაერთეს, მეთაურად ევგენი ოსიპოვი დანიშნეს, შტაბის უფროსად — ალექსი ველიკანოვი და მალე ჩვენი ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა.

ბრიგადა ახლა უფრო გონივრულად და მიზანდასახულად მოქმედებდა. ყოველ მეორე დღეს რაზმები მორიგეობით გადიოდნენ საბრძოლო ოპერაციებზე, არც მზვერავებს გვქონდა მოსვენება. რაციას „საკვები“ უნდოდა, წითელი არმიის სარდლობა მტრის შესახებ ახალ-ახალ ცნობებს მოითხოვდა.

სოკოვი კონკრეტულ დავალებებს გვაძლევდა და ჩვენც დავძვრებოდით მტრის ზურგში, ხანდახან რაიონის ცენტრშიც ვახერხებდით შესვლას.

ლეონ ცურანის ამფეთქებელთა ჯგუფი მთელ ოლქში დაჰქროდა. აფეთქებდა ხიდებს, აყირავებდა სამხედრო ეშელონებს, თავს ესხმოდა ავტოკოლონებს.

ლეონს იშვიათად ვხვდებოდი, ხანდახან გამოჩნდებოდა, ერთი-ორი დღე დაჰყოფდა ბანაკში, შვილებს, ლიდასა და ვალოდიას მოინახულებდა, მოეფერებოდა და კვლავ გაუჩინარდებოდა.

ბანაკში ყოფნისას ჩემთან აუცილებლად შემოივლიდა, თქმით არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ რა მისი თქმა მინდოდა, ისედაც ვიცოდი, ვალოდიას დარდი აწუხებდა.

ვალოდია სულ თვალებში შემომყურებდა, შემეჩვია და მეც ძმასავით შევიყვარე ეს ლამაზი, გაბედული და მუდამ ფათერაკის მაძიებელი ბიჭი. თუ ჩვენს კარავში არ იყო, ვიცოდით ექიმთან, პეტრე ტიხონოვთან იქნებოდა. ექთანს. სოფია ნიკოლოზის ასულს მიეკედლა და თავისუფალ დროს მასთან ატარებდა. ხანდახან ვალოდიას ლიდა ეწვეოდა, კარავში თავს შემოჰყოფდა და იკითხავდა, ჩემი ძამიკო სად არისო. მერე და მერე ლიდამაც ისწავლა სანიტარული ნაწილის გზა.

ერთხელ ლეონს ვთხოვე, რომელიმე ოპერაციაზე წამიყვანე-მეთქი. გაეცინა, ფათერაკი ისეც არ გაკლიაო. ერთ საინტერესო ოპერაციას ვამზადებთ და თუ შარშავიცკი შეგელევა, სიამოვნებით წაგიყვანო.

ივანე, რა თქმა უნდა, დამეთანხმა. იცოდა, ვასოს დაღუპვით განახევრებული ვიყავი და ჩემი ერთადერთი სიხარული ბანაკიდან გასვლა იყო.

ვასოს საფლავი ბიჭებთან ერთად მოვრთე და გავალამაზე, საფლავს ირგვლივ ქვები შემოვუწყე. დღე არ გავიდოდა, რომ ვასო ვინმეს არ ეხსენებინა, თურმე ამ უთქმელ და თითქმის გულჩახვეულ ბიჭს რაზმში თავისი ადგილი ჰქონია. შარშავიცკიმ მითხრა, ახლო არ ვიცნობდი, მაგრამ, როგორც გადმომცეს, სანიმუშო ვაჟკაცი ყოფილაო.

ერთ საღამოს, ჩვეულებრივ, ვასოს საფლავთან მივედი, შორიახლო შევდექი. ვიღაცას საფლავზე ყვავილები დაერგო. ახლა დარგულ ყვავილებს მოეწყინათ, დაყურსული იდგნენ. ტყის თეთრ ყვავილებს მოწყენა კიდეც უხდებოდათ. ვის უნდა დაერგო ყვავილები ვასოს საფლავზე? ყვავილების დარგვა ყველა ჩვენგანს შეეძლო, მაგრამ მაინც ვინ შეიწუხა თავი?

ტანია სვეტლოვა დავინახე, ხელში ტუჩმოტეხილი ტოლჩა ეჭირა, თავჩაღუნული მოდიოდა. მე ხეს მოვეფარე. ტანია საფლავთან მივიდა, ჩაიჩოქა და ყვავილებს წყალი მიუსხა. ტირილი მომინდა, თავი ვერ შევიკავე და გამოვჩნდი.

ტანიამ შემომხედა, ნაღვლიანად გამიღიმა და ყვავილების რწყვა განაგრძო. წყალი რომ გამოელია, ტოლჩა გამოვართვი და წყალი მოვიტანე. მერე დიდხანს ვიჯექით და ვდუმდით. ამიერიდან ჩვენი შეხვედრის ადგილი ვასოს საფლავი გახდა.

ცურანი ამჯერად დიდხანს და საგანგებოდ ამზადებდა თავის ჯგუფს. ბიჭები დაზვერვაზე დადიოდნენ, ცნობებს ჰკრებდნენ და ლეონისათვის მიჰქონდათ. ლეონმა მითხრა, ორშის მახლობლად სოფელ ნერეიშასთან რკინიგზის ხიდი უნდა ავაფეთქოთო. ხიდს გერმანელები საგანგებოდ იცავდნენ და ლეონიც შესაფერ მომენტს უცდიდა.

მზვერავები მთელი დღე ხიდის ახლო იწვნენ, ან მაღალ ნაძვებზე ადიოდნენ და გუშაგებს უთვალთვალებდნენ, მათ საყარაულო რეჟიმს სწავლობდნენ, ხიდზე მატარებლების მოძრაობის განრიგს ინიშნავდნენ. საყარაულო რეჟიმი ერთ დღეში შეისწავლეს, მაგრამ მატარებლები თურმე უგრაფიკოდ მოძრაობდნენ და ამის წინასწარ დადგენა შეუძლებელი იყო. ცურანს კი უნდოდა, ხიდი სწორედ მაშინ

აფეთქებინა, როცა ზედ ეშელონი შედგებოდა.

მე ამ საქმისა არაფერი გამეგებოდა. კოლია მასლენკოვისაგან ბევრჯერ გამეგონა, თუ როგორ დაფრინავენ ვაგონები ჰაერში აფეთქების შემდეგ, როგორ ასტყორცნის აფეთქების ძალა ხიდს მაღლა, ან როგორ ჩაილეწება ეშელონი მდინარეში.

ყველაფერი ეს ზღაპრად მესახებოდა და ერთი სული მქონდა, სანამ აფეთქებას საკუთარი თვალით ვნახავდი.

ბანაკიდან გასვლის დღეს გავიგე, რომ თვრამეტი კაცისგან შემდგარ ჯგუფთან ერთად ექთანი სოფია ნიკოლოზის ასულიც მიდიოდა. სალღრღელი ჩვენს ბიჭებსაც აეშალათ, მთხოვეს, ჩვენც წამოვალთო, მაგრამ მათი სურვილის დაკმაყოფილება არ შემეძლო, პირველი და გადამწყვეტი სიტყვა ლეონ ცურანს ეკუთვნოდა.

ვალოდიას არავისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ როცა ჯგუფი ბანაკიდან გავიდა და ორშა-ვიტებსკის გზატკეცილი გადაჭრა, გამოჩნდა. თურმე ლეონის ვაჟი ჯგუფს ჩუმად გაჰყოლოდა, მომნახა, ხელი-ხელში ჩამკიდა და შემეხვეწა, მამა თუ გამიბრაზდა, დამიცავითო.

დავტუქსე, ასე არ შეიძლება, ეს უდისციპლინობაა და სასჯელის ღირსი ხარ-მეთქი. კინაღამ ატირდა. ბიჭის გამოპარვა მე რომ არ დამბრალებოდა, იგი სოფია ნიკოლოზის ასულთან გავგზავნე. არ ვიცი, როგორ მოთაფლა ვალოდიამ დედობილი, რა უთხრა, როგორ იმართლა თავი. დილით თვალი მოვკარი, ზურგზე ექთანის ჩანთა ეკიდა და სოფიას გვერდით ამაყად მიაბიჯებდა. ჯგუფს ლეონი მიუძღოდა.

ცურანმა ნერეიშას მახლობლად, ტყეში შესვენებისას შენიშნა, რომ ვალოდია ექთნის ზურგს უკან იმალებოდა. ლეონს არავისთვის უსაყვედურებია, უკვე გვიანღა იყო, მის ბანაკში დაბრუნებას ვერც გაბედავდა.

ნაუცბათევად წასაუზმების შემდეგ ცურანმა ხიდისკენ მზვერავები გაგზავნა, მინდოდა მეც გავყოლოდი, მაგრამ მეუხერხულა, ვაითუ დამიშალოს-მეთქი. მზვერავები რომ დაბრუნდნენ, ლეონი მათთან განმარტოვდა და დიდხანს ითათბირეს, მერე წინასწარ შედგენილ ნახაზზე რაღაც-რაღაცეები გაასწორა და ახლა ხიდის სათვალთვალოდ სხვები გაგზავნა. მეგონა ხიდს იმ ღამესვე ავაფეთქებდით, მაგრამ ჩემი ფიქრი ნაადრევი აღმოჩნდა. მთელი ღამის განმავლობაში ლეონი ხიდისკენ სულ ახალ-ახალ ჯგუფებს გზავნიდა, თავათაც თვალი არ მოუხუჭავს.

მეორე დღესაც იგივე განმეორდა და საღამოს მე უკვე გულგატეხილი ვიყავი, რაღაცნაირად ჩავქრი და ვინანე, რატომ წამოვედი, სჯობდა ჩემი ოცეულისთვის მიმეხედა-მეთქი. მესამე დღესაც რომ ასევე გაგრძელებულიყო, ალბათ ბანაკში გავბრუნდებოდი, მაგრამ, როგორც კი შეღამდა, ლეონმა ბრძანა და დავიძარით.

უხალისოდ გავყევი ჯგუფს. ცოტა არ იყოს, გულმოსულიც გახლდით და არც კი მაინტერესებდა თუ საით მივყავდით ცურანს. მწყინდა, რომ ამ ხნის მანძილზე ჩემთვის არაფერი უკითხავს. ნუთუ მართლა ჰგონია, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ თვალსასეიროდ ვარ წამოსული?

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიარეთ, ან რამდენი გავიარეთ, შევჩერდით თუ არა, ლეონმა მიმიხმო და მითხრა:

— საშა, შენ აქ დარჩები, ხუთ მებრძოლს, სოფიასა და ვალოდიას ვტოვებ, ოღონდ არ გეწყინოს და ჯგუფს შენი სეხნია საშა ლეონოვი უმეთაურებს. ერთი საათის შემდეგ ის წამოგიყვანთ, რკინიგზის ახლო ჩასაფრდებით და, თუ საქმე გართულდა, ბრძოლაში ჩაებმებით. მთავარი ხიდია. იქნებ დავყოვნდეთ, შეგვიგვიანდეს, მოთმინებით ელოდეთ აფეთქების ხმას. რკინიგზის გაღაღმა გერმანელთა ჯიხურებია. ჯარისკაცთა რაოდენობა ვერ დავაზუსტეთ. თუ ღმერთმა ქნა და ხიდი ავაფეთქეთ, გერმანელები ალბათ შემოგვიტევენ, იქნებ ერთმანეთიც დავკარგოთ, ტანკსაწინააღმდეგო თხრილისკენ დაიხიეთ, თხრილზე გადადით, ტყეში ღრმად ნუ შეხვალთ, ჭაობიანია. ლეონოვმა ეს კარგად იცის, მაგრამ შენც გეუბნები და იმედიცა მაქვს, თუ გაჭირდა, არ დაიბნევი, ჯგუფს გადაარჩენ. აბა, წარმატებას გისურვებ. ჩემს პასუხს აღარ დაელოდა, შებრუნდა, ბიჭებს შეუძახა, დროაო. მეგონა წავიდა, მაგრამ ისევ მომიახლოვდა და ყურში ჩამჩურჩულა, ვალოდკას შენ გაბარებო და სიბნელეში გაუჩინარდა.

საქმე და საფიქრალი რომ გამიჩნდა, ცოტა გავხალისდი, გონებაც გამომიფხიზლდა. ვალოდიას დავუძახე. ექთანთან ერთად მოვიდა. ჩემთან ახლო იყავით-მეთქი.

საშა ლეონოვმა, მაღალმა, წარმოსადეგმა ახალგაზრდამ თავი მოგვიყარა და ზუსტად ერთი საათის შემდეგ ლეონივით ბრძანა, დროაო. ლეონოვს გავყევი, სიბნელეშიც კარგად ვარჩევ მის ზორბა მხრებს. კარგა ხანს ვიარეთ. ლეონოვი შედგა, ხეს მიეყრდნო და ღამეს გაჰხედა.

ვერ გავიგე, რას უცქეროდა ამ უკუნ ღამეში, ვერც ვკითხე, შემრცხვა.

მან ხელი გაიშვირა და მკითხა, ხიდს თუ არჩევო. ვერა-მეთქი. კარგად დაუკვირდიო. თვალები დავქაჩე, ნამეტანი მოვინდომე და ნელნელა მართლა დავინახე ხიდის კონტურები. დიდი, თაღოვანი ხიდი ყოფილა, ისეთი, მდინარე რიონზე რომ არის გადებული, სადგურ რიონთან. ამ ხიდის აფეთქება დიდი საქმეა, მაგრამ რა ძალამ უნდა ააგდოს ჰაერში ამოდენა „მახინა“?

ჩავწექით. ვალოდია ჩემს გვერდით მოეწყო.

წუთი-წუთზე ველი აფეთქებას, თვალსაც არ ვახამხამებთ. სულ ხიდისკენ ვიყურები, მინდა არ გამომეპაროს წამი, როცა ეს გოლიათი აყირავდება. თვალების დახუჭვისა მეშინია, ვაითუ მერე ხიდი ველარ დავინახო.

ლეონოვიც ჩაწვა, სრულებით არ ღელავს, სოფიას ეჩურჩულება. მინდა მეც მითხრას რამე, უბრალოდ ხმა გამცეს. ისე ვღელავ, თითქოს მეც რკინიგზაზე ვიყო და უშუალოდ ვმონაწილეობდე აფეთქებაში.

დრო კი მიდის, უკვე ნაშუაღამევია, ალბათ ოპერაცია ჩაიშალა-მეთქი, ვფიქრობ, ასე მგონია, სადაა ამფეთქებლები გამოჩნდებიან და ლეონი იტყვის, ამჯერად არაფერი გამოგვივიდაო.

ლეონოვი მეუბნება:

— ტოლი საკმაოზე მეტი აქვთ, თუ გუშაგები მოხსნეს, ტოლს ხიდის ერთ თავში ჩაალაგებენ და მერე ადვილია...

— რა არის ადვილი?

— ზონარს ოცდაათ მეტრამდე გაიტანენ და მატარებლის მოახლოებისას პაპიროსის ნამწვავს ზედ დაადებენ. ეს არის და ეს. მერე საქმე თავისი გზით წავა.

ეს მეც ვიცოდი, რომ სპეციალური ზონარი სწრაფად იწვის, მაგრამ ჩემმა სეხნიამ ისე გააადვილა ყველაფერი, ცოტა ინტერესიც კი გამინელდა.

ლეონოვმა მხარზე ხელი შემახო, ისედაც სმენად ვიყავი გადაქცეული და ახლა სუნთქვაც შევწყვიტე, მაგრამ ვერსაიდან ვერავითარი ხმა ვერ გავიგონე. მას კი რაღაც ესმის, მისი მოძრაობით ვატყობ. ჯერ თავი წამოსწია, მერე წამოიჩოქა, ოთხზე დადგა და ოდნავ წინ გახოხდა, მერე უცებ წამოდგა და ხელი დამიქნია. მივედი, გვერდით დავუდექი და გავირინდე. სადღაც, ძალიან შორიდან ორთქლმავლის ქშენა გავიგონე, მაგრამ ვერ გავარჩიე, საიდან საით მიდიოდა. ლეონოვმა კი დაბეჯითებით თქვა, მატარებელი მინსკიდან-ვიტებსკისაკენ მიდისო, მაშასადამე, ფრონტზე ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დატვირთული ვაგონები მიჰყავსო. მიდი და შეედავე...

— ხანდახან ეშმაკობენო, — განაგრძო მან,— ორთქლმავალს რამდენიმე ცარიელ ვაგონს მოუბამენ და ხიდზე ისე გაატარებენო.

ვაითუ ახლაც ეს ხერხი იხმარონ-მეთქი — შევნიშნე. ცურანს არაფერი გამოეპარებაო, — მიპასუხა. ამის თქმა და... აფეთქების უძლიერესმა ხმამ დედამიწა შესძრა და აძაგძაგა. თითქოს ვულკანმა ამოხეთქა და ჰაერში მისროლა. ერთი შეხედვით და დავდექი...

იმავ წამს რაღაც კვამლის მაგვარი უზარმაზარი მთა ცაში ავარდა, მერე ოდნავ განათდა, და დავინახე როგორ აიწია ხიდის ერთი ნაწილი. ჯერ თითქოს ნელა, ისე ნელა, გეგონებოდათ ხიდს ამწე შეუყენეს და ზევით ექაჩებიანო. მერე რაღაც საგნები ჰაერში აფრინდნენ, კვამლის მთა ცეცხლის ალად იქცა და ერთმანეთზე შემსხდარი ვაგონები ხიდთან ერთად სადღაც ჩაილეწა.

როგორც კი ხიდი ჩაილეწა, მაშინვე გავიგონეთ სროლისა და ადამიანთა განწირული, შემაზრზენი ხმები.

სროლა სულ უფრო და უფრო გაძლიერდა, ტყის მიმართულებით ისროდნენ და ლეონოვმა დაასკვნა, გერმანელები ჩვენებს რკინიგზის გადაღმიდან აწვებიანო.

ტყვიები უკვე ხეთა ტოტებს ხვდება, სკდება და ნამსხვრევები ირგვლივ იფანტება. მალე ტყვიამფრქვევებსა და ავტომატებს ნაღმტყორცნებიც აჰყვნენ. ნაღმები სულ ახლო ეცემა, ჩვენ ერთმანეთს ვეკვრით. ალბათ ლეონის ჯგუფს ალყაში იქცევენ. უნდა მივეშველოთ-მეთქი, ვთქვი, წამოვიწიე კიდეც, მაგრამ ლეონოვმა დამქაჩა, ასე არ ივარგებსო, მე მომყევითო და გვერდზე გახოხდა. მივყევით ფორთხვით, ხოხვით მივდივართ, თავის აწევა შეუძლებელია, ხანდახან ვალოდიასა და სოფიას მივუხედავ. ჯერჯერობით მოხოხავენ. ტანკსაწინააღმდეგო მიწათხრილთან ლეონოვმა ავტომატის ჯერი გაუშვა. საით ან ვის ესვრის, ვერ გავიგე, მაგრამ მეც მას მივბაძე. ხუთიოდე წუთს ვისროდით და ვიგრძენი, რომ ჩვენი მიმართულებით ტყვიები აღარ მოფრინავს. თხრილს იქით ვიღაც ჩვენიანი გამოჩნდა, დაგვიძახა, ცურანმა შემოგითვალათ თხრილზე გადადით და ტყეს შეეფარეთო.

თხრილში ჩაძრომა არ გაგვჭირვებია, ერთმანეთს მივეშველეთ და შიგ რიგ-რიგობით ჩავხტით, მაგრამ საქმე ამოსვლაზე რომ მიდგა, დიდხანს ვიწვალეთ და ვიწრიალეთ. ლეონოვმა ფეხები გაჩაჩხა და ვალოდიას დაუძახა, მხრებზე შემადექიო. ბიჭმა ჯერ კისერზე შემოხვია ხელები საშას, მერე მხრებზეც „მოიკიდა ფეხი“ და თხრილის კიდეს მოეჭიდა, ახტა, თხრილს გადააწვა და თავი სამშვიდობოს რომ დაიგულვა, შემობრუნდა და ჩამომძახა, ხელი მომეცითო. ნუ ყვირიო, — შეუძახა საშამ და სოფიას სთხოვა, იმავე ხერხით სცადე თხრილიდან ასვლაო, სოფია აწრიალდა. იგი ისეთი ქალი იყო, თავპატიჟს არ დაიდებდა, მაგრამ, ეტყობა, ლეონოვის მხრებამდე „მიღწევა“ აფიქრებდა და მთხოვა წამომეშველეო. შევახტუნე და დახრილი ლეონოვის მხრებზე დავაყენე. საშა გაიმართა და სოფიას ცოტა უბიძგა, ზევიდან ვალოდია დაეპაწკურა და ექთანი თხრილიდან აათრია. კაცები უფრო ადვილად ავედით, მაგრამ თვითონ ლეონოვის აყვანა გაგვიჭირდა. ორნი თხრილზე გადავეკიდეთ, ლეონოვს ხელები გავუწვდინეთ და ნელ-ნელა ავწიეთ.

ამოდენა ვაჟკაცის ზიდვა ჩვენს ძალ-ღონეს აღემატებოდა. კინაღამ თხრილში ჩავცვივდით,

ვალოდია ფეხებზე გვექაჩებოდა, ვითომ გვაკავებდა.

რის ვაი-ვაგლახით ამოვიყვანეთ ჯგუფის მეთაური და მაშინვე ტყისკენ გავემართეთ. ტყეში რომ შევდიოდით, ცურანის სიტყვები გამახსენდა, ღრმად ნუ შეხვალთ, ტყე ჭაობიანიაო. მართლაც, ფეხებქვეშ მიწას თუ ბალახს ჭყაპაჭყუპი გაუდიოდა. ლეონოვი წინ მიგვიძღოდა, ის იყო ჩვენი საიმედო ნიშანი, ჯერჯერობით ჭაობში ჩაფლობის საშიშროება არ გვემუქრებოდა.

ცურანის დარდი აღარ გვაწუხებდა, რაკი მისი გამოგზავნილი კაცი ჩვენამდე მოვიდა და გაგვაფრთხილა, ჩანს ალყიდან თავი დაუღწევიათ, მაგრამ ეს ვარაუდი იყო და თურმე სასტიკად ვცდებოდით.

ტყეში ბრძოლას, ისიც ღამით, ათასგვარი გაუთვალისწინებელი და ზოგჯერ წარმოუდგენელი შემთხვევები ახლავს. რომ გგონია საფრთხე უკან მოიტოვე. მტერს დაუსხლტი, უკვე სამშვიდობოს ხარ, სწორედ მაშინ განახლდება ბრძოლა და ათასი ფათერაკი ერთბაშად დაგაცხრება თავს.

ნახევარი კილომეტრით ვიყავით ტყეში შესულნი. ჩვენს უკან სროლა ატყდა. ამოდენა მანძილზე და ისიც ტყეში, ღამით ტყვია ვერაფერს დაგაკლებს, მაგრამ გრძნობა იმისა, რომ მტერი მოგდევს, რომ შეიძლება წამოგეწიოს და დაგაზიანოს, ერთობ უსიამოა და, რაგინდ კარგი ვაჟკაცი იყო, შიში აღარ მოგასვენებს.

სროლის ხმას ყური მივუგდეთ, ტანკსაწინააღმდეგო თხრილიდან ისვრიან და თანდათან წინ მოიწევენ. ჩანს შეგვნიშნეს, დაგვედევნენ და. ალბათ, ფიქრობენ ამ ჭაობში შეგვიმწყვდიონ და შიგ ჩაგვახრჩონ.

ლეონ ცურანმა თქვა, რკინიგზის გადაღმა გერმანელთა ჯიხურებიაო, იქვე გარნიზონიც არის და, რა თქმა უნდა, ამოდენა ხიდისა და ეშელონის აფეთქებას არ შეგვარჩენენო.

იქნებ სჯობდა თხრილს გავყოლოდით-მეთქი, ვუთხარი ლეონოვს.

თენდებაო, თხრილს იქით ტრიალი მინდორია და ყველას ამოგვწყვეტენო — მიპასუხა.

სროლამ ტყის მეორე მხარეს გადაინაცვლა, მეავტომატეები ისვრიან. ერთნი რომ შესწყვეტენ სროლას, მეორენი იწყებენ, ესეც ერთგვარი ხერხია, მუდმივ ცეცხლში ვყავართ და გვაიძულებენ ვიფიქროთ, რომ ალყაში გვაქცევენ.

ხის ძირას ჩავცუცქდით, უკვე მუხლამდე სველი ვარ, ალბათ ყველა ჩემს დღეშია. ხის ძირას შედარებით სიმშრალეა. სოფიას ვთხოვ ხესთან ახლო ჩაჯდეს. არ მინდაო, საექიმო ჩანთა დამისველდებაო, ფეხზე დგომა არჩია.

ტყვიას ხან ერთი მხრიდან გვიშენენ, ხან მეორიდან, ხან მესამიდან. წინ ერთადერთ გზას გვიტოვებენ, წაბრძანდით და ჭაობში ჩაიხრჩვეთო. იციან, რომ იქით ღრმა და გაუვალი ჭაობია. ამიტომაც გვავიწროვებენ, გვერეკებიან, რომ მტრის საქმე თვით ჭაობმა გააკეთოს.

უცებ ცაში მაშხალები აიჭრა და ტყეზე დაეკიდა.

წუთით ტყე განათდა და ჩვენ ერთმანეთს მივეხუტეთ. მე ამ წუთით ვისარგებლე და გარემო მოვათვალიერე: საით სჯობს წასვლა? ტყის ნაპირი არც ისე შორს არის. მაგრამ იქნებ კიდევ შეიძლება გზის გაგრძელება, იქნებ ერთი დღე მაინც მოვახერხოთ თავის შეფარება.

მაშხალები ჩაქრა და ტყე ისევ სიბნელემ მოიცვა.

სათაფლიის გვირაბი გამახსენდა.

ეს გვირაბი ჩემი ქალაქიდან სულ რაღაც შვიდიოდე კილომეტრზეა.

ასეული ათასი წლისა თუ უფრო მეტი ხნის განმავლობაში ბუნებამ თავისი საქმე აკეთა, პატარა მდინარემ მთაში გზა გაიკვლია, გაიყვანა გვირაბი და დაიკარგა. მერე ბუნებამ ეს გვირაბი „დახურა“, სამუდამოდ ჩაკეტა.

დიახ ჩაკეტა.

ასეთ გვირაბს თურმე ისევ ის მდინარე აღმოაჩენინებს. ადამიანს მდინარის პაწია ტალღების ჩხრიალი ესმის და ტყეში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მოწყურებული ეძებს წყალს. ეს მაინც არ არის მთავარი. ტყეში ბევრი პატარა მდინარეა, მიაგნებ, წყალს დაეწაფები და მერე მისი ბედი აღარ გაინტერესებს.

არიან სხვა ჯურის ადამიანები, ძიების სურვილით შეპყრობილნი, მოუსვენარნი, ბუნების საიდუმლოებათა მცოდნენი. მათთვის ასეთი მდინარე მხოლოდ წყურვილის დასაოკებლად როდი გაუჩენია განგებას.

ჩვენც გვყავს ასეთი მოხუცი. მან მთელი თავისი სიცოცხლე კულტურის ძეგლების დაცვას და მოვლა-პატრონობას შეალია, ასევე სიყვარულით ეძებს და პოულობს კიდეც ბუნების ძეგლებსაც და სწორედ მან მიაკვლია იმ პატარა მდინარეს, მიჰყვა მისი ტალღების ჩხრიალს. იარა და იარა. პალეონტოლოგის ალღომ არც ახლა უმტყუნა. ტალღების ჩხრიალი შეწყდა, მდინარე დაიკარგა...

ბუნებაში აბა რა იკარგება? სად უნდა გამქრალიყო მთის ჩქარი, მოჩხრიალე მდინარე? რატომ უნდა დადუმებულიყო მისი ხმა?

და მიხვდა მოხუცი, რომ სადღაც გვირაბია, ბუნების დიდებული ძეგლი.

მერე ძიება, წვალება დღეობით, თვეობით, ჯიუტად, შეუდრეკლად, მოთმინებით და გამოჩნდა პატარა ხვრელიც, ეკალ-ბარდებით საგულდაგულოდ შენიღბული ხვრელი.

მოხუცმა აჭრა, აკაფა ეკალ-ბარდები, გაწმინდა მისასვლელი, ხელში თაფლის სანთელი დაიჭირა და ხვრელში შეძვრა. ათიოდე ნაბიჯიც და აღმოჩენა!

სტალაგტიტებითა და სტალაგმიტებით შემკული უზარმაზარი გვირაბი, უხილავი ძალით, საუკუნეების მანძილზე ნაძერწი უმშვენიერესი ქმნილება დაინახა მოხუცმა.

სანთელი დაილია, ჩაქრა და იგი უკან სიბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელეში დარჩა, ძლივს გამოაღწია გვირაბიდან.

მეორედ უფრო წინდახედულად მოიქცა, სანთლები მოიმარაგა და ისევ გვირაბს მიაშურა. ასიოდე მეტრი გაიარა, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ხედავდა ბუნების საოცრებას, ზღაპარში თქმულს თუ სიზმრად ნახულს.

სტალაგტიტები და სტალაგმიტები, ვეებერთელა ყინულის ლოლუების მსგავსნი, დიდი და მცირე დარბაზები, ბუნების ხელით ნაქანდაკევი და საიმედოდ შემონახული, ქვევით მდინარის ჩხრიალი, იმ პატარა მდინარისა, რომელმაც მოწყურებული მოხუცი გვირაბამდე მიიყვანა.

აღმოჩენა...

სათაფლიის გვირაბი, ბუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, მისი სიგრძე ექვსასი მეტრია.

გვირაბის აღმოჩენის ამბავი მთელ რესპუბლიკას მოედო და მალე სათაფლიას ყოველი მხრიდან მიაწყდნენ მნახველები.

ერთხელ ამხანაგების ჯგუფთან ერთად გვირაბში მეც ჩავძვერი.

მოხუცმა სანთლები ჩამოგვირიგა და წინ გაგვიძღვა. მოხუცი პეტრე ახალგაზრდული სიმკვირცხლით მიდიოდა, ქვიდან-ქვაზე ხტებოდა და თან გვესაუბრებოდა.

— გვირაბში ცხოველები თუ არიან? — ჰკითხეს მოხუცს. მან დიდ „სამეფო დარბაზში" შეგვიყვანა, და გვითხრა, სანთლები ჩააქრეთო.

თითქმის ყველამ ერთად შევუბერეთ სული სანთლებს და უცებ ისეთი წყვდიადი ჩამოწვა, შიშით გული გადამიქანდა. დიახ, წყვდიადი, სიბნელე კი არა, წყვდიადი.

გამიგონია. თუ წამიკითხავს, ისეთი ღამე იყო, თვალში თითს ვერ მიიტანდიო, მაგრამ ეს ცოტაა, ძალზე ცოტა. გვირაბში მაშინ ამაზრზენი. შიშისმომგვრელი წყვდიადი გამეფდა, ისეთი, რომ აგრევს, დაგაბნევს, აგაწრიალებს და ცახცახს დაგაწყებინებს. გგონია შენთვის ყოველივე დასრულდა, ვერასოდეს გამოიხედავ თვალში და შენდაუნებურად იწყებ ხელების ფათურს, გინდა ამხანაგს ჩაეჭიდო. მიეკრა, მისი ხმა თუ სუნთქვა გაიგონო, იგრძნო, რომ ამ საშინელ ჯურღმულში მარტო არა ხარ.

მოხუცმა თქვა: — ამ წყვდიადს ვერცერთი ცხოველი ვერ უძლებსო.

... ახლაც ისეთი გრძნობა დამეუფლა და ხელი ვალოდიას ჩავჭიდე, ვიცი, ბავშვებს სიბნელისა ეშინიათ და ვაითუ დაიყვიროს-მეთქი, თუმცა ვალოდია არც ისე ბავშვია და არც ისე გამოუცდელი. ცურანის ვაჟს ბევრი რამ გადაუტანია თავისი პატარა ცხოვრების გზაზე.

ყოველი მხრიდან ისვრიან, ტყვიები ნაძვების ტოტებში მოძვრებიან, ზოგი სკდება და სკდომის ხმა ყრიალით ედება ტყეს.

ნეტავ რას აპირებს საშა ლეონოვი? ნუთუ ასე უნდა ვეყაროთ გათენებამდე და ველოდოთ სიკვდილს?

— გცივათ, სოფია ნიკოლაევნა?

— არა.

— შენ, ვალოდია?

— არა მცივა.

— ზურგზე მომეხუტე, ეცადე თვალები დახუჭო, მალე ინათებს და გავაღწევთ, არ შეშინდე! ბიჭმა რაღაც ჩაილაპარაკა.

მაინც როგორ გაგრძელდა ეს ღამე.

ასეც ხდება. გგონია ფხიზლობ, თვალები გახელილი გაქვს და ცდილობ უბრალო ფაჩუნიც არ გამოგეპაროს. და მაინც დუნდები, ითენთები და ნებდები უხილავ ძალას.

ინათა... ჩემს წინ ორი ნაძვი დავინახე. გამიხარდა, თითქოს უახლოესი მეგობრები გამომცხადებოდნენ.

ვხედავ, ვხედავ ნაძვებს, ტყეს, მოყვითალო ჭაობს, იქნებ ჩვენს დღევანდელ სამარეს... მაგრამ მაინც ვხედავ და იმედის ნაპერწკალიც ღვივდება.

თუ ხედავ, გადარჩენაზეც შეიძლება იფიქრო.

ჩიტები სტვენენ, ჟივჟივებენ, თითქოს გვამხნევებენ, მაგრამ უცებ გაისმა ავტომატის ჭახჭახი და ჩიტებმაც ხმა გაკმინდეს.

ტყეში შემოსულან, ჩვენს კვალს მიჰყვებიან, იციან შორს ვერ წავალთ.

სროლის ხმა ჩვენკენ მოიწევს, ახლოვდება, ახლა უკვე გერმანელთა შეძახილებიც გვესმის.

ლეონოვი წამოდგა, ტყეს თვალი მოავლო და უხმოდ შეტოპა ჭაობში. წამოვიშალენით და მივყევით. ფრთხილად ვაბიჯებ, ჯერჯერობით მუხლამდე ვეფლობი ტურტლიან წყალში, მივდივარ და ლეონოვს თვალს არ ვაშორებ. იგი ნელა მიიწევს წინ. ტყე თანდათან თხელდება. ხეები აქა-იქ დგანან ჭაობში და მათაც „მუხლებამდე" სწვდებათ წყალი.

ჭაობი ირხევა, ტორტმანობს, გვაფრთხილებს...

ლეონოვს არ ესმის ჭაობის ბუყბუყი, მიდის, წყალი უკვე წელამდე სწვდება და მაინც მიდის. ავტომატიანი მარჯვენა მაღლა შეუმართავს, მარცხენა ხელს იქნევს და მიდის.

მეც მივდივარ, სოფიას ხელს ვაშველებ, მივათრევ. ვატყობ თანდათან ვეფლობი ჭაობში,, თანდათან მიჭირს მოძრაობა.

უკან გერმანელთა ტყვიები და ღრიანცელი მოგვდევს.

ნუთუ ეს არის ბოლო, ნუთუ ჭაობში მიწერია ჩაღრჩობა?

ვასო გამახსენდა და, მიწა ჩემს ენას, მისი ბედი შემშურდა.

წევს ვასო მცირე მაღლობზე, ორი შეტყუპულ ნაძვთან, საფლავს ქვები აქვს შემოწკაპული და იქვე ყვავილებიც ხარობენ.

ოდესმე ვინმე ღვთიან-მადლიანი იპოვის ქართველი ბიჭის საფლავს და, ვინ იცის, იქნებ ობელისკიც კი აღუმართოს.

მე კი...

ჭაობი ტორტმანობს, ყვითელი, ტურტლიანი

წყალი ბუყბუყებს, გვაფრთხილებს თუ გვიტყუებს...

ჩვენს ჯგუფში ყველაზე უმცროსი ვალოდია ცურანია, ყველაზე უფროსი ივანე გრებნევი, წვერგაუპარსავი, ჭაღარამორეული და ძლიერი კაცი.

ივანე ვალოდიას უკან მიტოპავს, ბიჭისთვის ხელი ჩაუკიდნია და თითქმის ზეაწეული მიჰყავს, მან იცის, მან ჩვენზე მეტი იცის, იცის რას ნიშნავს ახლა მეგობრის ხელი, იცის, რომ ცამეტი წლის ბიჭისათვის ის ხელი ძალაა, იმედია და სანამ ვალოდია ივანე გრებნევის ხელის ძალას გრძნობს, არ დაიკვნესებს, არ შეშინდება და საშველად არავის მოუხმობს.

ჭაობი ირხევა, ტორტმანობს, ბუყბუყებს. გერმანელთა ყაყანიც სულ უფრო და უფრო გარკვევით ისმის.

საშა ლეონოვს წელამდე სწვდება წყალი, მაინც მიდის, წინ მიიწევს, მაგრამ რის იმედით, ან რას მოელის წინ? კიდევ ათიოდე ნაბიჯი და შეწყდება სვლა. ავტომატი მარცხენა ხელში მიჭირავს, მკერდს ზევით მშრალი ვარ. მარჯვენა ხელს ვიშველიებ, ნიჩაბივით ვუსვამ წყალს, — ტურტლს.

ლეონოვი ჩემზე მაღალია. ასეთ ვაჟკაცზე ბაბუა მაქსიმე იტყოდა: „საბაზრო კაციაო“. ტანდაბალი მამაკაცი თვალით არ დაენახვებოდა. ერთხელ ბაბუა მაქსიმე მეზობლის გოგოს ნიშნობაზე გადაიპატიჟეს. უკმაყოფილო დაბრუნდა. სასიძო ნამეტანი მომცროა, ასეთ დალეულს შინ როგორ შემოვუშვებო, თამადობას ვერ ანდობო.

საშა ისევ მიარღვევს ჭაობის აყროლებულ ტურტლს.

სოფიამ დაიკვნესა, მეტი აღარ შემიძლიაო, მოვიხედე, თავს ძლივს იკავებს, ვალოდია ამაგრებს, სიმწრით გადადგმული ორი ნაბიჯი გავწირე, შემოვბრუნდი და ექთანს ხელი მივაშველე, ცოტა კიდევ, სოფია ნიკოლაევნა, აგერ ნაძვს ხომ ხედავთ, იქამდე მივაღწიოთ და შევისვენებთ-მეთქი, ვამხნევებ ქალს, მაგრამ არც იმ ხესთან შეჩერდება ლეონოვი!

დიდი ხეა, ალბათ, მის ძირში ასე ღრმა არ იქნება ჭაობი. მართლაც, რაც უფრო მივუახლოვდით ნაძვს, მით უფრო იკლო წყალმა და ისე ამოვედით ჭაობიდან, ნავიდან გადავარდნილი კაცი რომ ამოვა მდინარის ნაპირას.

სოფია და ვალოდია ლეონოვმა იმ ნაძვთან დატოვა, თავად ცოტა მოშორებით, მეორე ნაძვთან მივიდა და მეც დამიძახა. ივანე გრებნევი ბუჩქს მოეჭიდა და ზედ გადააჯდა, დანარჩენებიც ასე „მოეწყვნენ“.

ვალოდიას სახე ისე ამოთხუპნია, მხოლოდ თვალები და თეთრი კბილები უჩანს. სოფია ძაგძაგებს, ბიჭს გულში იხუტებს და ჩუმად ტირის.

ლეონოვი დუმს, ტყეს თუ ჭაობს მიშტერებია და ფიქრობს.

სროლა შეწყდა, ხანდახან ტყვია გაიწუილებს, ნაძვის ტოტს მოხვდება და სასკდომი ტყვიის ნამსხვრევებს ტკაცა-ტკუცი გაუდის.

ლეონ ცურანმა გასაგებად თქვა: ამ ჯგუფს საშა ლეონოვი უმეთაურებსო, მე ეს არც მაშინ მწყენია და არც ახლა, ამ გამოუვალ მდგომარეობაში. თითქოს ტვირთს ვიმსუბუქებ, ძნელია პასუხისმგებლობა, ძნელია ახლა რაიმე მოიფიქრო და ამ გატანჯულ ადამიანებს უშველო, ძნელია!

ლეონოვი დუმს, დიდრონი, ფიქრიანი თვალებით მიშტერებია ჭაობს და დუმს. შეშინდა? ხელი ჩაიქნია? ბიჭი ხარ და ნუ შეგეშინდება!

ჭაობი, ყვითელი, ტურტლიანი ჭაობი ტორტმანობს და ბუყბუყებს.

ლეონმა ნელა მოაბრუნა თავი, სახიდან ტალახის მოწმენდა სცადა და კიდევ უფრო მოითხუპნა, შემომხედა და ნაღვლიანად გაიღიმა.

— ვიცნობ ამ ტყეს, — თქვა, — კარგად ვიცნობ, გაუვალია. მაშასადამე, წინ წასვლა, უგუნურებაა. უკან გაბრუნება სიკვდილია ან ტყვეობა. — ამოიოხრა. — ორი გზაღა დარჩა: აქეთ, — ხელი მარცხნივ გაიშვირა, — ან აქეთ, — მარჯვენა ასწია. პეტროვო! — უცებ აუწია ხმას.

— გისმენ, — გამოეპასუხა პეტროვი, იგი მუხლამდე წყალში იდგა, ტალახს აფურთხებდა.

— მარცხნივ წახვალ, პეტროვო! სანამდე შეძლებ, ივლი და მოგვახსენებ.

პეტროვმა თავი დაიქნია და ჭაობში შეალაჯა. ყველანი მას მივჩერებივართ. მიდის, ნელა და ბეჯითად მიაპობს ჭაობს და ვამჩნევ თუ თანდათან როგორ მიიწევს პეტროვი სიღრმისაკენ. მგონია ჩაიძირა, მგონია ველარ დავინახავ მის ლურჯ „ქოკეს“, მაგრამ არა, ჩანს, მიდის და მე მაინც აღარ შემიძლია ვუყურო მას, აღარ შემიძლია დავინახო როგორ აცურდება ტურტლიანი წყლის ზედაპირზე პეტროვის ქუდი.

— ვალოდია! — დაიძახა ლეონოვმა. გულმა რეჩხი მიყო. ნუთუ ბიჭს გაიმეტებს, ნუთუ გასწირავს ცურანის ვაჟს? თუ ასეა, მე წავალ.

ვალოდიამ მოიხედა, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ ლეონოვმა ანიშნა, ეს შენ არ გეხებაო. ჯგუფში სხვა ვალოდიაც ყოფილა. ისიც საკმაოდ მაღალი, ხმელ-ხმელი ახალგაზრდაა, გრძელ, წაწვეტებულ ცხვირიანი და ჭრელთვალებიანი. ასეთ კაცზე იტყვიან, ცარიელი თვალებიაო. მან ლეონოვს სიტყვის თქმა არ აცალა, იქვე შებრუნდა და მარჯვნივ გაუყვა.

დარწმუნებული ვიყავი, ამ უბედურსაც პეტროვის ხვედრი ელოდა და მისკენ აღარ გამიხედავს.

გული შემეკუმშა. ხომ არ სჯობს ჩავერიო და შევაწყვეტინო ეს თვითმკვლელობა, მაგრამ, რომ ჩავერიო, რა ვთქვა, რა ვურჩიო ლეონოვს?

იმედი გადაწურულია, ორი კაცი გაიწირა, ორი ჭაბუკი უკვე ჩაყლაპა ყვითელმა ტურტლიანმა ჭაობმა, ერთი ჩაიბუყბუყა და ჩასანსლა. ახლა ვისი ჯერია? ვის დაუძახებს ლეონოვი, ეს გოლიათი — რუსული ზღაპრის გმირი?

მაგრამ ეს ვისი ხმაა? ვინ მოარღვევს მოტორტმანე ჭაობს, პეტროვი? ერთბაშად წამოვიჭერით, წურწურით გვდის წყალი და ვიღაცა კბილებსაც აკაწკაწებს, მაგრამ რა არის სიცივე, წყალი, ტალახი, როცა აგერ, სულ ახლოს, ხელის გაწვდენაზე გამოჩნდა ჩვენი გაგზავნილი, მას შეუძლია ერთი სიტყვით, მხოლოდ ერთი სიტყვით დაგვიბრუნოს იმედი. აქეთო, აქეთ გზააო, თქვას.

პეტროვს არავინ მიშველებია, ძლივს მოანთხია სული რომელიღაც ბუჩქამდე, საცოდავად შემოგვხედა და ხელი გაიქნია...

უცებ ყველამ მეორე მხარისკენ ვიბრუნეთ პირი, პეტროვი მიგვავიწყდა, იქნებ ვლადიმერიც გამოჩნდეს, არის თუ არა გზა, არ დავეძებ, ოღონდ გამოჩნდეს და რაც მოსავალია, რაც ხვედრია, ჩვენთან ერთად გაინაწილოს.

არა ჩანს.

არავითარი ხმა, გერმანელებიც აღარ ისვრიან და არც მათი ყაყანი ისმის.

იქნებ მიგვატოვეს, იფიქრეს, რომ ჭაობში ჩავიღრჩეთ და წავიდნენ! იქნებ ღამით მოვახერხოთ უკან დაბრუნება!

ო, იმედო, ვინ მოგიხმო, ვის გამოეცხადე სულ პირველად, რა კარგია, რომ ბოლომდე, სულის ამოსვლამდე არ ტოვებ კაცს...

ისევ ატყდა სროლა და იმედის ნაპერწკლებიც ჭაობში ჩაცვივდა. სროლას გერმანელთა ძახილიც მოჰყვა, ვიღაცამ დაინახა კიდეც გერმანელთა ჯგუფი, ჩვენკენ რომ მოიწევდა და შეჰყვირა. ვალოდია ცურანი ყოფილა, სოფიამ ბიჭს ტუჩებზე ხელი დააფარა.

მაშ მოდიან, მოგვყვებიან, იციან სადაც ვართ, წინ წყალია და უკან მეწყერი, მოდიან. უნდათ დაინახონ როგორ ჩაგვიტანს ეს მყრალი ჭაობი ან როგორ ავწევთ გალიგვებულ ხელებს და ტყვედ დავნებდებით.

ივანე გრებნევმა ვალოდიას მოჰკრა თვალი, წავიდა, შეეგება და ჩვენამდე მოათრია. ვალოდიას არაფერი უთქვამს, ხეს მიეყრდნო და ნელა ჩაიკეცა.

ლეონოვმა ბრძანა, ირგვლივ თვალი გვეჭიროთ. არ წამოგვეპარონო. ტყეს უკან გავხედე. საცოდავი ხეები, დგანან და, ასე მგონია, ზოგს მუხლამდე სწვდება წყალი, ზოგს წელამდე, ზოგსაც მკერდამდე.

ლეონოვი წამოდგა, მხრები შეარხია, წყალი დაიფერთხა, წარბები შეჰყარა და განაჩენი, რომელსაც თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში დუმილით წერდა, წაგვიკითხა:

— ირგვლივ სიკვდილია, სიცოცხლის მხოლოდ ერთი გზაა, უკან, გერმანელებთან, ტყვედ!

ამას არ ვიზამ! — ამოისუნთქა. — არ ვიზამ! დროა მოვკვდეთ!

ტანში გამცრა, მაგრამ ეს წამით მოხდა და მერე ინტერესითაც კი შევხედე ლეონოვს. რა მოიფიქრა? მოვკვდეთო, მაგრამ როგორ? ალბათ ბრძანებს გერმანელებს შევხვდეთ, შევებრძოლოთ და გავწყდეთო. ცხადია, იტყვის და თქვა:

— შეგვიძლია შევებრძოლოთ მტერს, უკანასკნელ ვაზნამდე, და გავწყდეთ, მაგრამ არც ეს შეიძლება. ვიღაც გადარჩება, ვიღაც ჩავარდება დ მთელ ბრიგადას დაღუპავს. — შეჩერდა, ენით ტუჩები მოილოკა და შემომხედა, ჯიუტად, უტეხად შევაშტერდით ერთმანეთს.

— მე გესვრი შენ. — მითხრა. — თავად მეორედ მოვკვდები, ივანე გრებნევი არ დაიშურებს ჩემთვის ტყვიას. გრებნევს პეტროვი მოკლავს, პეტროვს ვალოდია. — ხმა ჩაუწყდა. სოფიასა და ვალოდიას თვალებს წააწყდა და ტუჩები აუცახცახდა. ქალს ბიჭი ჩაეხუტებინა და უკან-უკან იწევდა.

— საით, ექთანო? თქვენ... თქვენ ეს არ გეხებათ. თქვენ იცოცხლეთ, ღმერთი შეგეწიოთ. ჩვენ შევხვდებით გერმანელებს, სროლას ავუტეხთ, მერე ჩვენ-ჩვენ საქმეს გავაკეთებთ. თქვენ აქ დარჩით, იქნებ ვერ შეგნიშნონ და გადარჩებით.

ვალოდია სოფიას ხელიდან გაუსხლტა, მუჭები შემართა. — მე... მე არ მინდა, არ მინდა სიცოცხლე, მეც თქვენთან... მესროლეთ, თუ გინდათ, პირველად მე მესროლეთ. — ბიჭი მთელი ტანით ძაგძაგებდა, მაგრამ არ ტიროდა.

სოფია ბიჭს ეცა, ჩაბღუჯა, დაითრია და გადაეფარა. ტუჩზე ვიკბინე და ვიგრძენი, როგორ წამოვიდა თბილი სისხლი.

ფეხზე ვდგავართ, ავტომატი შემართულია და რევოლვერის ბუდეც გახსნილია.

რას მიყურებ, ლეონოვო? გგონია შევკრთი? არა, ძმაო, თიხისგან გამოძერწილი კი არა, კლდის ნატეხი ვარ. დავცხოთ ამ ყვითელ ძაღლებს და მერე მხეცკე შუბლში ტყვია.

— მეც მომისმინეთ. — წამოიწია ივანე გრებნევმა. წამოვიდა, ლეონოვს მხარზე ხელი მოუთათუნა და მერე ყველას ღიმილი ჩამოგვირიგა. ჭაღარა წვერზე, რომელიც ახლა უფრო შავი იყო, ვიდრე თეთრი, ხელი ჩამოისვა, კეფაც მოიფხანა და გვითხრა:

— ღმერთი დიდია და მოწყალე, ასე რად გაგტეხიათ გული? მე ბევრი მივლია ამ ჭაობში, ღამითაც გავსულვარ. ახლაც ვიპოვნი გზას. ჩემს დაბრუნებამდე სისულელეს ნუ ჩაიდენთ. — გატოპა, ჩემს მეტს თვალი არავის გაუყოლებია.

ივანემ ერთხელ მოიხედა და მიიმალა.

ო, იმედო, ისევ გამოჩნდი, ისევ მოგვნახე და ნაპერწკლებად აენთე?!

ო, იმედო, ვინ მოგიხმო, ვის გამოეცხადე სულ პირველად...

ხმაგაკმედილნი ვდგავართ, უმძიმესი წუთები ნელა, ძალიან ნელა გადის...

სოფია და ვალოდია ისევ ნაძვთან არიან ერთმანეთს ჩახვეულნი, ქანდაკად ქცეულნი. ბიჭის თვალები კვესავს, ქალის თვალები მშრალია, უცრემლო.

გერმანელები კანტი-კუნტად ისვრიან, მათი ყაყანი კი სულ ახლო ისმის.

ერთმანეთს შევცქერით, ახლა თვითეულმა ჩვენთაგანმა იცის როგორ მოიქცეს, საცაა მოახლოვდებიან, შევხვდებით და მორჩა...

ჭაობი ტორტმანობს, ბუყბუყებს, გვიხმობს.

ლეონოვმა უცებ ავტომატი შემართა, დაიძაბა, მეც ხე ვიფარე და მოვიხედე.

სოფიასა და ვალოდიას სამი გერმანელი უახლოვდება, ნელა მოალაჯებენ, წინ მაღალი, გამხდარი, შუახნის გერმანელი მოდის. ეტყობა უფროსია. პირველად ის დაინახავს სოფიასა და ბიჭს, პირველად ის ესვრის, ან მე უნდა დავასწრო, ან ლეონოვმა.

ავტომატი ხეს მივაბჯინე, გერმანელს თვალს აღარ ვაშორებ.

ის კი მოდის, საკმაოდ გამოასწრო დანარჩენებს, თავაწეული მოდის, უჭირს, მაგრამ მაინც მოდის და თითქოს გვხედავს, თითქოს გვამჩნევს. შედგა, ჯარისკაცებს ანიშნა შეჩერდითო. უნტერ-ოფიცერი ყოფილა.

ვუცქერი მას და ვგრძნობ, მანაც დაინახა პარტიზანი ქალი და ბიჭი. თვალები გაუშტერდა. ახლა ავტომატს ასწევს, აუცილებლად ასწევს და...

გერმანელი უნტერ-ოფიცერი შეუმჩნევი, მწარე ღიმილით უცქერის ტალახში ამოსვრილ, აძაგძაგებულ, ცოცხალმკვდარ ქალსა და ბავშვს, კი არ უცქერის, თვალებით ჭამს...

და უცებ, თითქოს ფეხებზე აიწიაო, შებრუნდა და თავისიანებს ხმამაღლა შეუძახა:

— აქეთ არავინ არის, უკან გაბრუნდით! — ხელი ასწია, თითქოს გამოგვემშვიდობა და გატოპა.

...დაღამებამდე ვიდექით, ხან ვიჯექით ჭაობში და ველოდით, ველოდით ივანე გრებნევს, გერმანელებს, სიკვდილსა და იმედს.

არც გერმანელები გამოჩენილან, არც გრებნევი...

ბანაკში გვიან ღამით დავბრუნდით და იქაც ზარდამცემი ამბავი დაგვხვდა.

ლეონ ცურანი ხიდის აფეთქებისას დაღუპულიყო.

**უბის წიგნაკიდან:** „გამიგონია, როცა კაცს ნაღველი შემოაწვება, როცა დარდის ჭია გულს უღრღნის, როცა თავმომძულებულია და ერთ წამში შეუძლია სიცოცხლეზე ხელი ჩაიქნიოს, არამც და არამც რაიმე გასახარელი არ უნდა უთხრა, არ შეეცადო დაიმედება.

დარდი და წუხილი ადამიანს მაშინ უფრო უნელდება და ავიწყდება, როცა თავისზე უარეს დღეში ჩავარდნილ მეგობარს ნახავს.

დარდის წამალი ისევ დარდია.

ვასოს სიკვდილი იყო ჩემთვის ყველაზე დიდი უბედურება. მისმა დაღუპვამ დამავიწყა ვიტალი ზახარჩუკის საფლავი ხუტორზე, გამხმარი ალუბლის ძირას, დამავიწყდა გრიგორი ბობორიკო, ჩვენი მეკავშირე, ტკბილი და ბრძენი მოხუცი, დამავიწყა ფედია ტკაჩენკო, ეს მოხდენილი, განათლებული ვაჟკაცი და ბევრი სხვა, რომლებიც გზადაგზა დაგვშორდნენ.

გული მტკიოდა, მარტო გული კი არა, ხორციც მეწვოდა, თითქოს ვიღაც მეპარებოდა და სხეულზე პაპიროსის ნამწვავს მადებდა.

და მაინც სალამო ხანს ჩვენს ფართო კარავში ხანდახან ვმღეროდით ბელორუსულ, უკრაინულ, რუსულ სიმღერებს.

ეს ჩვენი ყმაწვილკაცური ბუნების, დაუდეგარი სულის შემოტევა იყო და ამ შემოტევის შეჩერება არავითარ მწუხარებას არ შეეძლო.

ვასოს დაღუპვამ მომიშხამა სული და ასე მეგონა ვეღარავითარი ძალა ვერ მოიძულებდა წამით მაინც დამევიწყებინა ძმაზე ახლობელი მეგობრის სახე.

და აი დღეს, სექტემბრის ამ ნაღვლიან დღეს, მარტოდმარტო ვზივარ ნაძვთან, უბის წიგნაკით ხელში, და ვასოზე კი არ ვფიქრობ, არამედ ივანე გრებნევზე.

ივანე გრებნევი! არავის არაფერს ეუბნება ეს გვარი, ჩვეულებრივი, სრულიად გამოურჩეველი რუსული გვარია.

მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე მეხსომება ტალახით შეთხუპნილი ჭაღარა წვერი, თაფლისფერი თვალები, გახუნებული, ყურებიანი, მაუდის ქუდი, ბრეზენტის კურტაკი და, რაც მთავარია, მისი კეთილი და საწყალი შემოხედვა, მისი ღიმილი, იმედად რომ ჩამოგვირიგა განშორებისას.

ამ ტყეში მივლია. გზას მე ვიპოვნი და ჩემს მოსვლამდე სისულელეს ნუ ჩაიდენთო.

გმადლობთ, კეთილო ადამიანო, ჯარისკაცო!

წუთიც და, მესროდა საშა ლეონოვი, მე არ შემეძლო და არც ვიკადრებდი შესიტყვებას, მესროდა და წამილებდა ტურტლიანი ჭაობი, ერთს დაიბუყბუყებდა და შთანმთქავდა.

მერე?

მერე შენ უნდა მოგეკლა მეთაური, ეს რუსული ზღაპრიდან გადმოსული გოლიათი.

მოჰკლავდი და მაშინვე შენც ტყვიას დაგახლიდა შენივე მეგობარი.

მაგრამ შენ დაინახე ვალოდია ცურანის, ახლა უკვე ობოლი ბიჭის თვალები, მისი შემართული მუჭები, გაიგონე მოცახცახე, მაგრამ უკვე დასრულებული ვაჟკაცის ხმა: — მე... მე არ მინდა სიცოცხლე, ...მესროლეთ, პირველად მე მესროლეთო...

ჯარისკაცო, შენ არა ჰქენი ეს, შენმა კეთილმა სულმა მონახა გზა... ერთადერთი და უტყუარი, თავგანწირვა.

მხოლოდ შენს სიტყვებს შეეძლოთ მაშინ ჩვენი ხსნა და გადავრჩით.

ახლა ნაძვის ძირას ვზივარ და ვფიცავ, რაც წმინდაა ჩემთვის, რომ ვცდილობ ამ პატარა წიგნაკში ჩავტიო შენი სურათი, ჯარისკაცის, ადამიანის დიდი პორტრეტი.

მაპატიე, ბანაკიდან რკინიგზის მისადგომამდე თუ ტანკსაწინააღმდეგო თხრილზე გადასვლისას არ დაგკვირვებივარ, არც ჭაობში წვალებისას შემივლია თვალი შენთვის.

ჭაობში ყველა ერთი სიმაღლისანი ვიყავით.

მაშ როგორი მოგიგონო? მაღალი? ტანბრგე?

რა არის გმირობა?

თვითმფრინავის ჩამოგდება თუ ტანკების დაწვა? ხიდების აფეთქება თუ ათობით ფაშისტის განადგურება?

ნამდვილი გმირი შენა ხარ, ივანე გრებნევო!

ვწერ, ჩემი წიგნაკის ფურცლები ივსება და თუ სული შემრჩა, მე მოვუთხრობ ხალხს შენს ამბავს. ხალხმა განსაჯოს ვინ იყავი შენ, ჯარისკაცო გრებნევო!

იქნებ მეც ჭაობში ჩაღრჩობა მიწერია, ან იქნებ ერთმა სულელმა ტყვიამ გამაციოს, სადმე ტყეში დავეცე და გვერდით შენნაირი მეგობარი არ მეყოლოს.

იქნებ ვიღაც მოვიდეს, ჯიბიდან ეს წიგნაკი, ჩემი ერთადერთი განძი ამომიღოს, ჩახედოს, ვერაფერი გაიგოს და მოისროლოს.

მაშინ, მაპატიე, კეთილო კაცო!

აქ ვსვამ წერტილს, უბის წიგნაკი ჯიბისკენ მიმაქვს, მაგრამ ვინ მეძახის? ვინ მაჩერებს?

მე რაღას მერჩით, რად გამიხსენეთ, მეც ადამიანი ვარო.

რად მეუცხოვა ეს ხმა? ან ვინ არის ეს პირხმელი, ხანშიშესული კაცი, ჭაობში რომ მოაბოტებს, სოფიასა და ვალოდიას რომ უახლოვდება?

ვინ არის ეს კაცი, თვალები რომ გაშტერებია ტალახში ამოთითხნილი, აძაგძაგებულ ბავშვისა და ქალის დანახვაზე.

— აქეთ არავინ არის, უკან გაბრუნდით! — ამბობს, ხელს მაღლა სწევს, თითქოს გვეთხოვება და უკანვე მიტოპავს.

ჯარისკაცია!

გერმანელი ჯარისკაცი, უნტერ-ოფიცერი, ადამიანი...

რკინიგზაზე მოძრაობა შეწყდა, ამის მოთმენა კი გერმანელებს არასგზით არ შეეძლოთ, რადგან ფრონტისაკენ მიმავალი ეშელონები სადღაც აფეთქებულ ხიდს იქით იდგნენ უმოძრაოდ, ხოლო სატვირთო ვაგონებში შემწყვდეული ჯარისკაცების ყაყანი იქაურობას იკლებდა.

ხიდისა და თითქმის ნახევარ კილომეტრზე აყრილი, ან დაზიანებული ლიანდაგის სასწრაფოდ აღსადგენად ვიტებსკიდან მესანგრეთა ასეულები და ესესის დამსჯელი რაზმები ჩამოიყვანეს. ყველანი რკინიგზას მიესივნენ, მაგრამ იმავე ღამეს მათ ზასლონოველებმა აუტეხეს სროლა, ყუმბარები და ნაღმტყორცნებიც დაუშინეს და ის, რაც დღის განმავლობაში აღსდგა, დაანგრიეს და დალეწეს.

მეორე დღეს ორშა-ვიტებსკის გზატკეცილი გერმანელებით გაიჭედა. ავტომანქანების ერთი კოლონა რომ ვიტებსკისაკენ მიიწევდა, მეორეს ფრონტიდან დაჭრილები მოჰყავდა, გზაზე ერთმანეთს გვერდს ვერ უქცევდნენ, იყო ერთი შეხლა-შემოხლა, მეთაურები იგინებოდნენ და გზის დათმობას მოითხოვდნენ.

ჩვენი რაზმები თოფის გასროლის მანძილზე მიდიოდნენ გზატკეცილთან, გამუდმებით მოძრაობდნენ, ერთი ადგილიდან მეორეზე ინაცვლებდნენ და მტერს მუდამ შიშის ზარსა სცემდნენ.

ესესელთა ნაწილებმა მთლიანად დაიკავეს ტყის ნაპირი, ჩასანგრდნენ და დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ ისროდნენ, ტყეში ღრმად შესვლას კი ჯერჯერობით ვერ ბედავდნენ.

ორშის მახლობლად რამდენიმე ათასი პარტიზანის თავშეყრამ ბოგუშევსკსა და სენოში დიდი პანიკა მოჰყვა. ორივე რაიონის კომენდანტები ზემდგომ ორგანოებში ფიცხელ დეპეშებს გზავნიდნენ, ვიტებსკის კომენდანტს ტელეფონით სთხოვდნენ დახმარებას, თავს აცოდებდნენ, მაშველი ძალები თუ არ გამოგვიგზავნეთ, განადგურება მოგველისო.

ორშის პარტიზანული ზონა უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ მტერმა ეს არ იცოდა და ხიდისა და ლიანდაგის აღსადგენად მოსული ნაწილები იძულებულნი იყვნენ ტყის ნაპირი და გზატკეცილი გაემაგრებინათ.

ბრიგადის ერთიან მოქმედებას ამ შემთხვევაში ცალკეული რაზმებისა და ჯგუფების გამოყენება სჯობდა, როგორც მოქნილი ძალებისა. და ბრიგადის შტაბიც ამას აკეთებდა, თუმცა გზატკეცილსა და რკინიგზაზე გერმანელები მაინც ახერხებდნენ მუშაობას და, თუ ასე გაგრძელდებოდა, მოძრაობასაც მალე აღადგენდნენ.

ბოიკოსთან ყოველ წუთში შერბოდნენ და გამორბოდნენ მზვერავები, ახალი ცნობები მოჰქონდათ, ახალ დავალებებს იღებდნენ და კვლავ გზატკეცილისაკენ მიეშურებოდნენ.

მზვერავების მიერ მიტანილ ცნობებს მაშინვე ამუშავებდნენ და დაუყოვნებლივ გადასცემდნენ ფრონტის ხაზს იქით. ამ ცნობებით შეეძლოთ ესარგებლათ წითელი არმიის ნაწილებს და რკინისგზა დაებომბათ, მაგრამ დღედღეს მისდევდა, ბომბდამშენები კი არ ჩანდნენ.

ღამღამობით თითქმის არ გვეძინა, ვფხიზლობდით და, აი, ერთხელ თვითმფრინავის ნანატრი გუგუნიც გავიგონეთ.

გულისფანცქალით შევყურებდით ცას, სულგანაბულნი, დაძაბულნი ველოდით თვითმფრინავის მოახლოვებას, ბომბების აფეთქების ხმებს. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ შტაბის მიერ გადაცემული ცნობების მიხედვით ჩვენი თვითმფრინავი ზუსტად მინიშნებულ ადგილს დაბომბავდა, მაგრამ თვითმფრინავებმა ყრუ გუგუნით გადაუფრინეს ტყეს და მალე მათი ხმაც მიწყდა. გულდაწყვეტილნი შევედით კარვებში და გათენებამდე იმაზე ვმსჯელობდით, თუ რატომ მოხდა ასე.

მზვერავები კვლავ უთენია გარბოდნენ ხიდისკენ, იქ შექმნილ მდგომარეობას აზუსტებდნენ და ახალი, უფრო ზუსტი ცნობებით ბრუნდებოდნენ უკან. რადისტიც განუწყვეტლივ აწვალებდა რაციას, ბომბდამშენს კი არავინ გზავნიდა.

დაზვერვაზე ერთხელ თვითონ სოკოვი წავიდა, ტანკსაწინააღმდეგო თხრილში მთელი ღამე გაატარა, რკინიგზაზე მოფუსფუსე გერმანელებს უთვალთვალა. მათი დანახვა ძნელი საქმე არ იყო. რაკი ციდან საშიშროებას არ მოელოდნენ, გერმანელები მთელი ღამე მაშხალებს ისროდნენ და იქაურობა დღესავით იყო განათებული.

ერთ წვიმიან ღამეს კარავში გვიან შევძვერით, მივწექით და თითქმის ყველას მალე მივგეძინა. ნაშუაღამევს ძილ-ღვიძილში სტეფანე გორბის ხმა გავიგონე. დობრინოს პოლიციელთა გარნიზონის განადგურების შემდეგ სტეფანე გორბი სოფია ექთანთან ერთად რაზმში მოვიდა. იგი ქენია დორონინის ოცეულში ჩარიცხეს, მაგრამ ფედია კომლევის დაჟინებული თხოვნითა და რეკომენდაციით „ყოფილი პოლიციელი“ მზვერავთა ოცეულში გადმოვიყვანე.

სტეფანე ფედიას ანჯღრევდა, თან ხმადაბლა ჩასძახოდა, ადექიო. გორბის ბუბუნი კომლევზე ადრე მე გავიგონე.

— რა მოხდა, სტეფანე? — ვკითხე.

— თვითმფრინავის ხმაა!

— თვითმფრინავისა კი არა, თვითმფრინავებისა. — შეუსწორა უკვე გაღვიძებულმა კომლევმა.

წამოვცვივდით და სმენად ვიქეცით. თვითმფრინავის გუგუნი თანდათან ახლოვდებოდა. კარავი წუთში დაიცალა, დიდი ნაძვის ძირას შევქუჩდით და თვალები ისევ ზეცას მივაპყარით, თუმცა დანახვით არაფრის დანახვა არ შეგვეძლო, წვიმდა და, ცა კი არა, ნაძვის კენწეროც არ ჩანდა.

ყველანი, და მათ შორის მეც, ისე ვიყავით გულგატეხილნი, რომ თვითმფრინავის თუ თვითმფრინავების გუგუნის გამო არავითარი აღტაცება არ გვიგრძვნია. მჯეროდა ახლაც გავწბილდებოდით, თვითმფრინავი ტყეს გადაუქროლებდა და მიიმალებოდა, ჩვენ კი ტყუილუბრალოდ მოგვიწევდა წვიმაში დგომა და ყურყუტი.

წვიმდა. ზეცის ხმაური (ასე შეარქვეს ბიჭებმა თვითმფრინავის გუგუნს) თანდათან ჩვენკენ მოიწევდა და, გინდა თუ არ გინდა, გულის ბაგაბუგიც მატულობდა.

ჩემი ფიქრი ზეცის ხმაურს აჰყვა, ტყეს გადაუარა, რკინიგზისკენ გადაინაცვლა და იმედიც გამიჩნდა, იქნებ ახლა მაინც ჩამოყაროს ბომბები-მეთქი. იმედმა გამომაცოცხლა, გულგატეხილობაც გაქრა და შტაბისკენ გავიქეცი.

შტაბის კარებთან ვაიცეხოვსკი და სოკოვი იდგნენ, მალე ბოიკოც გამოჩნდა, ოღონდ ჩვენსავით ერთ ადგილას არ გაჩერებულა. კარვის ირგვლივ დაალაჯებდა, ხან ცას უცქეროდა, ხან ჩვენ და თავისთვის ბურდღუნებდა.

ზეცის ხმაური კი თანდათან მატულობდა. მალე გუგუნი ღრიალში გადაიზარდა, გეგონებოდათ ერთი ან ორი თვითმფრინავი კი არა, მთელი ესკადრილია მიფრინავსო.

რკინიგზაზე მაშხალები აღარ ჩანდა, სროლაც შეწყდა და ახლა ღამის სიმყუდროვეს მხოლოდ ზეცის ხმაური არღვევდა.

ბომბების აფეთქების ხმას ჩვენი უნებური შეძახილი მოჰყვა. იმდენად ძლიერი იყო ამ წუთების განცდა, რომ თვით მუდამ მკაცრი და თავშეკავებული ბოიკოც კი აყვირდა.

ბომბს ბომბი მოჰყვა. მერე ერთბაშად რამდენიმე ბომბი ჩამოყარეს, აფეთქების ხმამ მიწა შესძრა და ჩვენ ერთმანეთს შეგვახეთქა. ამ ხმას პარტიზანთა „ვაშაც“ შეერია, თურმე მთელი ბრიგადა ფეხზე მდგარა.

რკინიგზის მხარეს, სწორედ ლეონ ცურანის მიერ აფეთქებულ ხიდთან ჯოჯოხეთი დატრიალდა.

ბოიკომ იქვე უბრძანა დაზვერვის უფროსს დაბომბვის შედეგების დასაზუსტებლად მზვერავები ახლავე გაგზავნეო. სოკოვი მომიბრუნდა, მაგრამ სიტყვა აღარ ვათქმევინე, ბრიგადის მეთაურის ბრძანება მეც გავიგონე და რაღა მისი თქმა მინდოდა, კარვისკენ გავწიე. ბიჭები შემომეხვივნენ, ხელს მართმევდნენ, მილოცავდნენ.

დაზვერვაზე ჩორპუშევი, კომლევი და ბორიჩი გავგზავნე. დანარჩენებმა ერთხანს ვიქაქანეთ და მივწექით, მაგრამ ძილისთვის ვისღა ეცალა, დილამდე ვმსჯელობდით, ვკამათობდით, ჩვენი სიხარული ორმაგი იყო.

რაკი მტრის ზურგში თვითმფრინავების გაგზავნა შესძლეს. ჩანს, ფრონტებს ავიაცია აღარ აკლდა. მეორეც, ჩვენს მიერ გადაცემულ ცნობებს იქ ვიღაც იღებდა, ვიღაცამ იცოდა, რომ ამ უდაბურ ტყეში ვართ, ვიბრძვით და ვარსებობთ, რომ ამიერიდან წითელ არმიასთან, დიდ მიწასთან მჭიდრო კავშირი დამყარდა .

სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ ძილის მაგიერ ბიჭებმა სიმღერაც კი წამოიწყეს. ვასოს დაღუპვის შემდეგ ჩვენს კარავში სიმღერა პირველად ისმოდა. მეც ავყევი, ჩემი ხმის გაგონებაზე ბიჭები სულ გადაირივნენ, ჰქეს, მაგრამ რა ჰქეს, გეგონებოდათ რომელიღაც გერმანულ ქალაქში სიმღერით შედიანო.

მაგრამ...

ყოველ დიდ სიხარულს დიდი მწუხარებაც ახლავს. ეს ცრუ რწმენა არ გეგონოთ, ამას ჩემი მწარე გამოცდილება მალაპარაკებს.

ერთი კვირის წინათ სასწაულით გადავურჩი ჭაობში ჩაღრჩობას თუ თვითმკვლელობას, ძლივს მოვიტანეთ სული ბანაკამდე, მაგრამ ივანე გრებნევის თავგანწირვამ გაანახევრა გადარჩენის სიხარული, თუმცა მეორე დღესვე დიდი ამბით ვუყვებოდით ბიჭებს იმ სატანჯველზე, რაც ტურტლიან ჭაობში განვიცადეთ.

ასეა, მეგობრის დაღუპვას იდარდებ, იმწუხრებ, გულიც გეტკინება და ბევრჯერაც ამოიოხრებ, მაგრამ შენ თვითონ ცოცხალი რომ ხარ, ეს სიხარული ყველა წუხილს ანელებს. აქ ტყეა, აქ სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილია და როცა ბანაკში მშვიდობით დაბრუნებული კარავში, შენს ნავსაყუდელში მიეგდები, გულში ღმერთს მადლობას სწირავ, რომ ფეხები არ გაფშიკე და ჯერ კიდევ გიდგას სული.

დაღუპული მეგობრის ხსოვნისათვის გულში ერთი კუნჭული გამონახე და თუ კაცი გქვია, ეცადე არ დაივიწყო.

უფრო ადრე ლიზუნოვთან და კომლევთან ერთად ბარისოვის ტყეებიდან „შინისაკენ“ ისე მოვრბოდით, რომ მიწაზე ფეხს არ ვადგამდით, რადგან ჩვენი მგზავრობის შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ვინ იცის, რამდენი მამაცი ვაჟკაცის სიცოცხლეს შეიწირავდა პარტიზანულ რაზმში შემოპარული ესესის შტურმფიურერი ჰანს შულცი.

ახლა ქვემეხები?

მერედა, რა დაგვხვდა ბანაკში?

ვასოს დაღუპვამ სიმწრით მოპოებული სიხარული ჩაგვიშხამა და ჩაგვამწარა.

ახლაც რატომ მეწვის ნაწლავები? რატომ უმატა გულმა ფეთქვას და რატომ მაშინებს მისი ბაგაბუგი?

დაზვერვაზე გაგზავნილი ბიჭები იგვიანებენ, ვწრიალებ, კარავში ვერ ვეტევი, სული მეხუთება, კარვიდან გამოვდივარ და ტყეში დავბორიალობ.

ცუდი წინათგრძნობა მაქვს, სიზმარიც უცნაური ვიცი.

წუხელ, ბიჭების წასვლის შემდეგ, დიდხანს ვიმღერეთ, ვილაყბეთ, საუბრით გული მოვიძღეთ, მაგრამ გამთენიისას მაინც წამეძინა და მაშინვე სიზმრად წავედი.

ბრიგადის მეთაურმა რომელიღაც დიდი ფაშისტის მოკვლა დამავალა. ბრძანების შესასრულებლად დიდი რიხით გავეშურე, ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ერთ უზარმაზარ სასახლეს მივადექი, რკინის ჭიშკარი უხმაუროდ შევაღე, მძინარე გუშაგებსაც გადავალაჯე, მაგრამ მარმარილოს კიბეზე რომ ავდიოდი, წინ ვეება ქოფაკი შემეფეთა, ყეფით მომვარდა, მეგონა დამგლეჯდა, ან მის ყეფაზე გუშაგები გაიღვიძებდნენ და ხელს მტაცებდნენ, მაგრამ ღმერთო დიდებულო, ძაღლი პირს აღებდა, ბასრ კბილებს აჩენდა, ყეფა კი არ ისმოდა.

ერთხანს ჩემს გარშემო ირბინა, მერე ჩემს ფეხებთან გაგორდა და უმწეო ლეკვივით აწკმუტუნდა. მე ხელში ავტომატის ნაცვლად ხმალი მეჭირა, სასახლის კარებს წიხლი ვკარი, კარები ფართოდ გაიღო და მოსაცდელში აღმოვჩნდი.

მერე ჩემს წინ რიგრიგობით იღებოდა კარები და მეც ათასფრად მოხატულ, ულამაზეს დარბაზებში შევდიოდი, არავინ მხვდებოდა, არავინ მაჩერებდა.

ბოლოს უშველებელ ოთახში შევჩერდი. ჭერსა და კედლებზე შავი და ყვითელი ფერი თვალისმომჭრელად რიალებდა, მოლიპულ იატაკზე თავს ძლივს ვიკავებდი, ოთახის ოთხივე კუთხიდან პროჟექტორების სინათლე თვალებს მჭრმავებდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდი და ნელა, ძალიან ნელა ვუახლოვდებოდი საწოლს, რომელშიაც იმ დიდ ფაშისტს ეძინა. ხმალი ავწიე და შევძახე:—გაიღვიძე შე სისხლის მსმელო-მეთქი.

თვალი გაახილა, წამოიწია, ნამძინარევი, ჭუტა თვალები მომაშტერა, დაამთქნარა და მკითხა: ვინა ხარო. შურისმაძიებელი-მეთქი. გაეცინა, ჯერ ნელა, მერე თანდათან უმატა სიცილს და ბოლოს ხარხარზე გადავიდა. სიცილ-ხარხარით რომ დაიღალა, ისევ მთქნარებით მკითხა, რომელი საუკუნის მოციქული ხარო, ახლა რა დროს ხმალიაო, ხელში ავტომატი უნდა გეჭიროსო, წადი, ძილი მაცალეო.

ხმლის ერთი მოქნევით თავი წავაგდებინე. თავი იატაკზე გაგორდა, გორავდა და ხითხითებდა, თან ოქროს კბილების კაწკაწიც მესმოდა.

უცებ პროჟექტორები მუზარადიან ჯარისკაცებად გადაიქცნენ, მომვარდნენ, ხელები გამიკრეს და სასახლიდან ეზოში გამომიყვანეს.

შორს მოჩანდა ეშაფოტი, იქამდე საგანგებოდ გაკვალულ გზის ორივე მხარეს ესესელები იდგნენ გაქვავებულნი და ზიზღით მიცქეროდნენ.

ამაყად მივაბიჯებდი გზაზე, მხოლოდ წინ. მხოლოდ ეშაფოტისკენ ვიყურებოდი და არაფრად ვაგდებდი ჩემკენ მოღერილ ავტომატებს.

ესესელები უკან დარჩნენ, მერე ტბა გამოჩნდა, ტბის პირას ეშეფოტი და ნაჯახმომარჯვებული ჯალათი.

მივედი, თავი ხის გადანაჭერზე დავდევი და ჯალათს შევუყვირე, დამკარი-მეთქი. ჯალათმა თავი ამაწევინა და ხის გადანაჭერზე მარცხენა ხელი დამადებინა, დამკრა და მომკვეთა.

მიწაზე ჩემი მოკრუნჩხული თითები რომ დავინახე, სისხლი თავში ამივარდა, ხელს დავწვდი, ხელში ხმალივით დავიჭირე, ეშეფოტთან მოღრიალე ბრბოს შევუტიე, გავარღვიე და გავედი .

რომ გამომეღვიძა, მარცხენა ხელი დამბუშებოდა და მტკიოდა.

დიდხანს ვიბორიალე ტყეში, წვიმამ გადაიღო, ცაში მზე ჩახჩახებდა, სუსტმა ქარმა დაუქროლა და არყისხის ფოთლებზე შერჩენილი წვიმის წვეთები ჩამოყარა.

ვიღაც მომესალმა და დიდი ამბით წამოვიდა ჩემკენ. ალბათ წუხანდელი დაბომბვის სიხარული უნდა გამიზიაროს, მაგრამ სალამზე ისე უგემურად ვუპასუხე, აღარ შეჩერებულა, ჩამიარა.

დავალაჯებ ტყეში და რატომღაც სულ დაღუპული ამხანაგები მაგონდება, რომელიმე მათგანზე ფიქრს რომ დავიწყებ, თვალწინ მისი სახეც დამიდგება.

ჯერ პავლე შოროპი გამომეცხადა. თავისი დიდებული, შიშნარევი ღიმილით მომესალმა.

კიდევ კარგი, რომ მე არ მინახავს გულხელდაკრეფილი შოროპი.

ეჰ, პავლე, პავლე, ერთ კაცად შენი შეხვედრა ღირდა!

სოფელი ბუდის ყოფილი ბურგომისტრი მალე გაუჩინარდა და მისი ადგილი ძია გრიგორმა დაიკავა. მოხუცს ხელში ტილოს ტოპრაკი ეჭირა, თითქოს ერმაკთან კარტოფილის სასესხებლად მიდიოდა.

მერე სასკდომი ტყვიით ყელგამოღადრული ფედია ტკაჩენკოც დავინახე.

იქვე, კენკრის ბუჩქთან ნაცემ-ნაწამები შურა დანილოვა იდგა. კოლია მასლენკოვს ხელში ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა ეჭირა და ვიღაცას ემუქრებოდა.

მერე ივანე გრებნევის ბრეზენტის კურტაკი, ტალახში ამოთხუპნილი ჭაღარა წვერი და მოტორტმანე, ტურტლიანი ჭაობიც გამოჩნდა.

ლეონ ცურანი სულ ახლო მოვიდა, ვალოდკას შენ გაბარებო, მითხრა და გაუჩინარდა.

მერე?

ეს ვინღაა? ჩემს მეგობრებთან გერმანელ ფრაუს რა ხელი აქვს? რას ხითხითებს, ხელს რად მიქნევს? რას ნიშნავს?

აგერ სადრჩობელა და ზედ დაკიდებული ერმაკის მეუღლე...

ვასო შორიდან დამენახვა და გაქრა.

მერე ყველამ ერთად შეიყარა თავი, აუჰ! რა ბევრნი ყოფილან!

კარვისკენ წავედი, ბიჭებს უჩემოდ არ ესაუზმათ, მიცდიდნენ, მაგრამ ლუკმა ყელში არ გადამივიდა. გადაწყვეტილი მაქვს ნასაუზმევს თვითონ წავიდე დაზვერვაზე და ახლა იმაზე ვფიქრობ, თუ თან ვინ წავიყვანო. სხვებისა რა მოგახსენოთ და, როცა მე რომელიმე მეგობარს დავალებაზე ვგზავნი, გულს ვებრძვი, მეშინია, ვაითუ ველარ დაბრუნდეს და ძალაუნებურად მის ცოდვაში ჩავდგა ფეხი.

ახლა რომელი წავიყვანო? თუმცა სულ ერთი არ არის? რომელი თითიც არ უნდა მომჭრა, ერთნაირად მეტკინება და საქმეც სწორედ ეს არის.

გადავრჩი, დაზვერვაზე წასვლა აღარ არის საჭირო, მაგრამ ვაი ასეთ გადარჩენას!

კარავში ფერდაკარგული, აქლოშინებული სტიოპა სენკევიჩი შემოვარდა. სულს ძლივს ითქვამს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობს, თან ტირის.

კორპუშევსა და კომლევს მძიმედ დაჭრილი კოლია ბორიჩი მოუყვანიათ.

ყველანი სანიტარული ნაწილისაკენ გავიქეცით.

კოლია გრძელ, რაღაც ტახტის მაგვარად შეჭედილ ფიცრებზე იწვა, დაჭრილს ექიმი პეტრე ტიხონოვი და ექთანი სოფია დასტრიალებდნენ.

მივუახლოვდი, დავხედე. დაჭრილს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა. ექიმი ისე იყო გართული ოპერაციით, ჩემთვის არც შემოუხედავს, მე კი ერთი სული მქონდა, სანამ მის იმედიან სიტყვას გავიგონებდი.

ექიმი ისე იძლეოდა განკარგულებებს, თითქოს რომელიმე კეთილმოწყობილ საავადმყოფოში ყოფილიყო ოპერაციაზე, ხელები სისხლში ჰქონდა ამოსვრილი და, თქვენ წარმოიდგინეთ, სახეზეც გაქათქათებული მარლა ეფარა.

გარეთ ბიჭები წრიალებენ, ჩემს გამოჩენას ელიან, მაგრამ, რომ გავიდე, რა ვუთხრა?

ოპერაცია დასრულდა, სოფიამ ექიმს ხელები გადააბანინა, ტიხონოვმა შემომხედა და თავი გადაიქნია. უთქმელადაც ყველაფერი ნათელი იყო და შეკითხვებით აღარ შემიწუხებია, მაგრამ კოლია ჯერ კიდევ სუნთქავდა, ჯერ კიდევ მესმოდა მისი სუსტი კვნესა და გაოგნებული მივჩერებოდი სოფია ექთანს, რომელიც დაჭრილს შუბლზე ხელს უსვამდა.

მერე კვნესა შეწყდა, სოფია ატირდა და მეც გულჩამკვდარი გარეთ გამოვედი, ბიჭები მოვიგერიე და გზა განვაგრძე. თუთუნის შეხვევა მინდოდა, რამდენჯერმე ვცადე გაზეთის ნახევზე თუთუნის დაყრა, ამაოდ, ყოველთვის დამებნა.

ბიჭები კარავში შეცვივდნენ. ნაძვს ზურგით მივეყრდენი და კარავს გავხედე. კარავში რიგრიგობით შერბოდნენ შარშავიცკი, სუხადოლსკი, დორონინი, სოკოვიც გამოჩნდა,

ექიმი ტიხონოვი გამოვიდა და მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა, გათავდაო.

გათავდაო...

მკერდში რაღაცამ მიჩხვლიტა, აქამდეც ვიცოდი, რომ ბორიჩს საამქვეყნო პირი არ უჩანდა, რომ სოფია ექთნის ტირილის მიზეზი კოლიას სიკვდილი იყო, მაგრამ ექიმის სიტყვამ გულში ტყვიასავით გამიარა და ფიქრითა და ბოღმით დამძიმებულმა ისევ ტყეს მივეცი თავი.

„მაპატიე, ჩემო კოლია, იცოდეს ღმერთმა, დაზვერვაზე შენი გაგზავნა ფიქრადაც არ მომსვლია, მაგრამ როცა კორპუშევსა და კომლევს დავუძახე, შენ ისეთი თვალებით შემომხედე, შემეცოდე და მაშინ, გეფიცები, რაც ძვირფასია ჩემთვის, მხოლოდ მაშინ გადავწყვიტე... ბევრი ფიქრისა არც დრო მქონდა და არც უფლება. თანაც აბა შენ თვითონ თქვი, ამ გზას, ამ ტყეს შენზე უკეთ ვინ იცნობდა?

შენ ყველა ჩვენგანზე უკეთესი იყავი, ჩუმი, მამაცი, ძლიერი, საყვარელი.

ვასოს გვერდით დაგმარხავთ, ჩემო კოლია, შენს საფლავსაც ყვავილებით მოვრთავთ, ქვებს შემოვუწყობთ, გავალამაზებთ. სხვა რა შეგვიძლია, ძმაო. იმ ადგილს, სადაც შენ და ვასო იქნებით დაკრძალულნი, მზვერავთა სასაფლაოს დავარქმევთ და, ვინ იცის, იქნებ მეც თქვენს გვერდით გამეთხაროს მიწა“.

...ბორიჩის დაკრძალვას თითქმის მთელი ბრიგადა დაესწრო. მინდოდა ორიოდე სიტყვა მაინც მეთქვა, ყველას მაგიერ გამოვთხოვებოდი მებრძოლ ამხანაგს, გულმა მიმტყუნა და ხმის ამოღება ვერ შევძელი.

საღამოს მარტო მივედი „მზვერავთა სასაფლაოზე“. იქ ვალოდია ცურანი დამხვდა. იჯდა საბრალო ბიჭი, გულამომჯდარი დასტიროდა უფროს მეგობარს. მას ხომ დაღუპული მამის ცხედარიც კი არ უნახავს...

დილით შარშავიცკიმ გამომიძახა და ბრიგადის ხელმძღვანელობის ახალი ბრძანება გამაცნო, ღამით გადმოეცათ დიდი მიწიდან.

წითელი არმიის სარდლობა პარტიზანთა ბრიგადას ავალებდა, მუდმივი კონტროლი, მუდმივი ცეცხლი არ მოეკლო ორშა-ვიტებსკის გზატკეცილისათვის ყოველნაირად ეცადა, რათა ამ გზით გერმანელთა ავტოკოლონების მოძრაობა შეფერხებულიყო.

გზატკეცილი კი გრიალებდა და ზანზარებდა. ფრონტისკენ ცოცხალი ძალის თუ საბრძოლო ტექნიკის გადაზიდვის საშუალებად გერმანელებს მხოლოდ და მხოლოდ ეს ერთი გზა დარჩათ და თუ ამ საშუალებასაც მოვუსპობდით, რაღა თქმა უნდა, ამით წითელ არმიას დიდ სამსახურს გავუწევდით.

ივან საველის ძემ ისევე, როგორც სხვა მეთაურებმა, რაზმები ოცეულებად დაჰყვეს, თვითეულ ოცეულს სამოქმედო უბანი მიუჩინეს და იმავე დღეს მთელი ბრიგადა ისევ გზატკეცილს შეესია.

ჩვენი რაზმი ჩასაფრებაზე შუაღამისას უნდა გასულიყო, ამიტომ შერშავიცკიმ მიბრძანა დაღამებამდე გზატკეცილი დამეზვერა და ჩასაფრების ადგილი შემერჩია.

დაზვერვაზე უკლებლივ ყველა წავედით. ამჯერად ყველა ოცეულის წაყვანა იქნებ არც იყო საჭირო, მაგრამ ბორიჩის დაღუპვის შემდეგ სხვაგვარად ვეღარ მოვიქცეოდი. ამ გადაწყვეტილებით ბიჭებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

გზატკეცილთან მიახლოება შეუძლებელი იყო, ამას თავზეხელაღებულის მეტი ვერავინ გაბედავდა. გერმანელებს ტყისკენ ტანკები დაეყენებინათ და ტყვიებს აღარ ზოგავდნენ. ერთი ტანკი რომ შეწყვეტდა სროლას, წამსვე მეორე იწყებდა, მერე—მესამე, მეხუთე და ასე ბოლომდე.

ხანდახან ყველა ერთად ისროდა და ამ დროს მიწა დუღდა, ხის ტოტებს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა, ზალპი ზოგიერთ ხეს ბირდაბირივით სჭრიდა და აქცევდა. ეს გზატკეცილის იმ მხარეს ხდებოდა, საიდანაც პარტიზანების თავდასხმას ელოდნენ. გზატკეცილის მეორე მხარეს, იქ, სადაც რკინიგზა გადიოდა, სრული მყუდროება სუფევდა.

გზატკეცილსა და რკინიგზას დროდადრო თვითმფრინავები გადაუქროლებდნენ ღრიალით, ხანდახან საზენიტო არტილერიაც უბათქუნებდა. ღამით იქნებ როგორმე მოგვეხერხებინა გზატკეცილთან მისვლა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. საგონებელში ჩავვარდით. ხეებს მოფარებულნი ვიწექით და ჩვენ ჩვენთვის ვფიქრობდით. ხსნის გზა რომ ვერ ვიპოვნე, ბიჭებს ვკითხე, როგორ მოვიქცეთ-მეთქი. ვალოდია კორპუშევი მაშინვე წამოდგა და, ოლეს ივაშჩენკოს რომ არ დაექაჩა, ტყვია მკერდს გაუხვრეტდა. ტყვია ნაძვს მოხვდა. იცოცხლეთ, ვალოდიამ შიში ჭამა, ჩაჯდომაც იკადრა და ისე საწყლად შეგვავლო თვალი, თითქოს პირველად გაეგონოს ტყვიის ხმა. კორპუშევი რომ გულადი ბიჭია, ამაში ეჭვი არავის შეპარვია, მაგრამ ამ გზააბნეულმა ტყვიამ ისე დააფრთხო, გაგვეცინა. თუმცა ასეთი რამ ყველას გამოგვიცდია. ბრძოლა, შეტევა, თუ თავდაცვა სხვაა, იქ შიშისა და შეყოვნების უფლებაც არა გაქვს, მაგრამ აგერ, ამ გაჩაჩხული ნაძვების ძირას რომ ზიხარ და შორეთს იქიდან მოფრენილი ტყვია ზედ ყურთან გაგიწუილებს, ბიჭი ხარ და ნუ შეკრთები!

მუქთად თავის წაგება არავის ეპიტნავება.

— გერმანელები მხოლოდ ამ მხარეს ისვრიან,—როგორც იქნა დამშვიდდა და დაიწყო ვალოდიამ, — გზატკეცილის იქითა მხარეს არც კი იხედებიან, იქიდან არავითარ საფრთხეს არ მოელიან. ჰოდა, ჩვენც გზატკეცილზე უნდა გადავიყვანოთ რაზმი.

ვალოდია მართალი იყო, მაგრამ როგორ გან-

და გზის გადაჭრა? შეგვატყო, რომ მისმა წინადადებამ ჩაგვაფიქრა და განაგრძო:

— ამ ახლომახლო გზატკეცილს ვერ გადავჭრით, ვერც გავეკარებით, ახლავე დავბრუნდეთ ბანაკში, მეთაურს ჩვენი აზრი გავაცნოთ და დავიძრათ. ბოლოს და ბოლოს, გერმანელთა ტანკები ბოგუშევსკამდე ხომ არ იქნებიან გამწკრივებული? სადმე, ბუდის ან კოკოვჩინოს მახლობლად მოვახერხებთ გზატკეცილის მეორე მხარეს გადასვლას.

— სწორი ხარ, ვალოდია, როგორც სთქვი. ისე მოვიქცევით, მაგრამ შენს წინადადებას ცოტაოდენი შესწორება სჭირდება და არ გვიწყინო. ჩვენ ხომ მზვერავები ვართ, რაზმის მეთაურს ზუსტი და უტყუარი ცნობა უნდა მივუტანოთ, თუ სად და რა ადგილას შეიძლება გზის გადაჭრა, აჳე ბრმად ხომ ვერ ვატარებთ რაზმს ბოგუშევსკამდე.

— მე წავალ, დავაზუსტებ!—წამოიწია, მაგრამ არ ამდგარა.

— არა, ვალოდია, შენ არ წახვალ, გეყოფა. — მეგონა ეს გავიფიქრე-მეთქი და თურმე ხმამაღლა კი მითქვამს. რაკი დავიწყე, შეჩერება აღარ შეიძლებოდა.—ლიზუნოვო, სტეფანე გორბსა და ოლეს ივაშჩენკოს წაიყვან, დავალება შენთვის ნათელია, ოღონდ, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდით, ჩვენ ბანაკში დაგელოდებით.

ტყვიები კი წუიან და ჩვენ იძულებული ვართ ერთხანს ხოხვით ვიაროთ. სამი მზვერავი გზატკეცილის გასწვრივ ბოგუშევისკენ წავიდა, დანარჩენები ბანაკში დავბრუნდით. მაშინვე შარშავიცკის გამოვეცხადე და გზატკეცილზე შექმნილი ვითარება გავაცანი. კარგად მოქცეულხარო—მითხრა ივანემ—თუ გზატკეცილის მეორე მხარეს გადასვლა შევძელით, მტერს ახლო მივეპარებით და მაშინ ურიგო არ იქნება თუ ამ მხრიდან რომელიმე რაზმი შეტევის იმიტაციას მაინც მოაწყობს და გერმანელთა ყურადღებას მიიქცევსო.

შარშავიცკი და სუხოდოლსკი ბრიგადის შტაბში წავიდნენ.

ლიზუნოვის ჯგუფი ნაშუადღევის ორ საათზე დაბრუნდა. მიშამ მითხრა, სოფელ კოკოვჩინოს მახლობლად რაზმს კი არა, თუ გინდა მთელ დივიზიას შეუმჩნევლად გადავიყვან გზის მეორე მხარესო. მიშა შარშავიცკთან წავიყვანე. მეთაურმა რუკა გაშალა. იგი ურუკოდაც კარგად იცნობდა ამ რაიონს, მაგრამ ზოგიერთი წვრილმანის დაზუსტება მაინც მიზანშეწონილად მიიჩნია.

მან ანტონს რაზმის სალაშქროდ მომზადება დაავალა.

სრულ სამ საათზე რაზმი ბანაკიდან გავიდა. კოკოვჩინომდე ხუთკილომეტრნახევრის გავლას თითქმის ორი საათი მოვანდომეთ. მეგონა ივანე დაღამებას დაელოდებოდა, მაგრამ, თურმე, ბოიკოს შეთანხმებია, თუ შევძელი, გზატკეცილს დღისითვე გადავჭრი და გერმანელთა ავტოკოლონას ზუსტად 7 საათზე დავარტყამო. რაზმი გზატკეცილის მახლობლად განალაგა, თავად წინ წაიწია და გზატკეცილზე გაბაწრულ ავტოკოლონას ერთხანს უთვალთვალა. ავტოკოლონას წინ მსუბუქი ტანკები მიუძღოდნენ.

როგორც კი კოლონამ ჩაიარა, გვანიშნა დავძრულიყავით.

გზატკეცილზე რომ გადავცვივდით, კოლონის ბოლო კიდევ მოჩანდა. უკანასკნელ მანქანაზე მსხდომმა ჯარისკაცებმა შეგვნიშნეს კიდეც, მაგრამ ჩვენთვის აღარ სცხელოდათ. შეუჩერებლივ განვაგრძეთ გზა. შარშავიცკის ხელში ჯიბის დიდი საათი ეჭირა და გვაჩქარებდა.

რაზმი უკან ჩამოვტოვეთ, თითქმის სირბილით მივიწევდით წინ, ჩასაფრების ადგილის შერჩევა გვქონდა დავალებული და თან შეტევის დამთავრებისას რაზმის ბრძოლიდან გამოყვანაც უნდა უზრუნველგვეყო.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით აფეთქებულ ხიდს, მით უფრო ძლიერად ისმოდა სროლა, ზალპი, ნაღმმტყორცნების ღრიალი, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, გერმანელთა ყველა იარაღი ტყის იქითა მხარეს უმიზნებდა.

ლიზუნოვი შეჩერდა და თქვა, ჩასაფრებისთვის ეს ადგილი ივარგებსო. კამათის დროც არ იყო, შარშავიცკის დაველოდეთ, ჩვენი მოსაზრება გავაცანით, დაგვეთანხმა და რაზმი ჩასაფრების წესით განალაგა.

ახლა საჭირო იყო გერმანელთა ავტოკოლონის გამოჩენას დავლოდებოდით. ვიცოდით, ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდებოდა, გზატკეცილზე ხომ კოლონა კოლონას მისდევდა.

შარშავიცკი სულ წინ იწევდა და ისევ საათს დასცქეროდა, 7 უკვე შესრულდა და ღელავდა.

გზატკეცილზე ჯერ ტანკი გამოჩნდა, მერე — სატვირთო მანქანები.

— ტანკი და პირველი მანქანა გაატარეთ, დასცხეთ მეორეს! — დაიყვირა შარშავიცკიმ.

ტანკმა ჩაიარა, მას სატვირთო მანქანა მოჰყვა. მაშინვე გამოჩნდა მეორე მანქანაც, უშველებელი მისაბმელით. მისაბმელზე ყუთები ეწყო და ზედ ჯარისკაცები ისხდნენ, მათ თოფები ცისკენ ჰქონდათ მიღერილი.

— გაატარეთ! — ისევ დაიყვირა მეთაურმა.

მანქანამ ჩაიარა. მერე, მისგან ოდნავ დაშორებით, თითქოს ერთმანეთს მიწებებიანო, სამი სატვირთო მანქანა მოდიოდა. ძარებზე გერმანელები იდგნენ ერთმანეთს მიკრულნი და ტყეს თოფებს ესროდნენ.

პირველი გრძელი ჯერი წინა მანქანის კაბინას მივაყარეთ, მერე ცეცხლი ძარებზე გადავიტანეთ და უცებ მთელი გზატკეცილი ტყვიის კორიანტელში გაეხვია, ყველაფერი აირია, თავდაყირა დადგა, გეგონებოდათ ხეებიც ისვრიანო, ცა და მიწა ერთმანეთს შეასკდა და სამყარო ნამსხვრევებად იქცა. კოლონის წინ მიმავა-

ლი ტანკი. უცებ შედგა, ადგილზე შემოტრიალდა და სატვირთო მანქანას შეენარცხა.

რამდენიმე ჯერი გავუშვი და შევჩერდი. გზატკეცილზე მანქანები ღმუოდნენ, გადარჩენილი შოფრები სიგნალებს აყვირებდნენ, ჯარისკაცები ღრიალებდნენ, უთავბოლოდ ისროდნენ და ძარებიდან კისრისტეხით ცვივოდნენ.

ამ სურათის შემყურემ, ერთხელ კიდევ ვირწმუნე ჩვენი ძალა, მოულოდნელი და სწორი დარტყმის ძალა.

ამ ქარცეცხლში გზატკეცილზე გადასვლა არ იყო აუცილებელი, უეცარმა თავდასხმამ თავისი საქმე გააკეთა და ახლა გაცლაზე ფიქრი იყო საჭირო, მაგრამ ივანემ რაზმი იერიშზე წაიყვანა. მე ეს არ გამკვირვებია, რადგან ვიცოდი შარშავიცკის ბრძოლა სწყუროდა, ასე, ყველასთან ერთად, მას ჯერ თავი არ გამოუჩენია და რაკი იგრძნო, რომ თავისი ბიჭები გულადად და შეუპოვრად მიჰყვებიან, თავად პირველი გაიდაეშვა ბრძოლის მორევში.

ამას ისიც დაერთო, რომ გზატკეცილის იქითა მხარიდან ჩვენი ბრიგადის რომელიღაც რაზმმა გერმანელებს ურაგანული სროლა აუტეხა.

ჩვენი რაზმი მეთაურს მიჰყვა. აღარც კი ვიცი რა მოხდა გზატკეცილზე, ვერც კი ვარჩევდი ვინ ვის ესროდა, მოვბრუნდი და ვყვიროდი.

შარშავიცკის წამითაც არ დაუკარგავს წონასწორობა და, გიჟური შეტევის შემდეგ, რაზმი გზატკეცილის იქით გაიყვანა.

ბანაკისკენ რომ მოვდიოდით, ანტონმა მეთაურზე მითხრა, ასეთ ვაჟკაცთან სიცოცხლე შეიძლებაო.

დორონინის ოცეულიდან ოთხი მებრძოლი დაჭრილიყო, ერთი გზაში გარდაიცვალა.

ბოიკოს ბრძანებით ბანაკში აღარ შევჩერებულვართ, სოკოვს ბრიგადისათვის ახალი ადგილი შეერჩია და ჩვენც იქით გავეშურეთ.

როცა გათენიისას ახალ ბანაკს მივადექით, სანამ კარვების დადგმას შევუდგებოდით, შარშავიცკიმ ოცეულების მეთაურებს ოცეულთა შემოწმება უბრძანა.

რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როცა მზვერავთა შორის ოლეს ივაშჩენკო და ფედია კომლევი ვერ აღმოვაჩინეთ.

გულზე ცეცხლი მომეკიდა: ვაითუ დაიხოცნენ ან დაიჭრნენ და მტერს ხელში ჩაუვარდნენ, ან გასაჭირში არიან და ჩვენი დახმარების იმედი აქვთ!

ფიქრისა და განსჯის დრო აღარ იყო, ალიოშა ტარანენკოს დავუძახე, სტიოპა და ვალოდია გვერდში ამოვიყენე, ანტონს შევუთანხმდი და ისევ გზატკეცილისკენ გავწიე. მინდოდა მოკლე გზა მევლო, რაც შეიძლება მალე მოვსულიყავი წუხანდელი ბრძოლის ადგილას, მაგრამ ალიოშამ მითხრა, ძველ ბანაკში შევიაროთ, იქნებ ბიჭები იქ არიანო და მეც დავეთანხმე.

დუმდა ჩვენი ნაბანაკარი, თითქოს აქ არასოდეს დაედგა ფეხი კაციშვილს. ჩვენს კარავთან მივედით.

კარავში პირველი ტარანენკო შევიდა და რომ კომლევს დროზე არ დაეყვირა, ალბათ იქვე მიაცხრილავდა.

ფედიას ახალთახალი ჩექმები და გერმანული კიტელი ეცვა და მკლავში დაჭრილ ივაშჩენკოს ჭრილობას უხვევდა.

ოლესი მხიარულად მოგვეგება, საშიში არაფერიაო, გვითხრა და გაიცინა კიდეც.

— სად იშოვნე, შე შეჩვენებულო, ეს ტანსაცმელი? — ჰკითხა ტარანენკომ ფედიას.

— გზატკეცილზე ერთ ნაცნობ გერმანელს შევხვდი, იმას გავუცვალე. — სრულიად სერიოზულად უპასუხა კომლევმა.

... მეორე დღეს ბრიგადის შტაბმა ახალი ცნობები გადასცა დიდ მიწას და იმავე ღამეს კვლავ გამოჩნდნენ ჩვენი შორეული ბომბდამშენები.

ორშა-ვიტებსკის გზატკეცილი ორმოებად იქცა, გზა ჩაიხერგა და მანქანას კი არა, ცხენსაც გაუჭირდებოდა გავლა.

ამოცანა შესრულდა, გერმანელებს ფრონტისთვის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მოწოდება არც რკინიგზით შეეძლოთ და არც გზატკეცილით, მაგრამ ასე დიდხანს არ გასტანა, გერმანელებმა მალე იხსნეს თავი: მთავარი გზატკეცილი დროებით მიატოვეს და ავტოკოლონები ორშა-ბაბინოვიჩის შოსეთი ვიტებსკისაკენ დაძრეს.

ეს ცნობა ილია კორპოვიჩმა მოიტანა. ამ ცხარე დღეებში ილია და იმისი ამხანაგები ბრიგადის დაზვერვას მამაკაცებზე მეტ სამსახურს უწევდნენ: გოგონები რკინიგზის მახლობლად მდებარე სოფლებში დაძვრებოდნენ და სოკოვთან ჩვენთვის მიუწვდომელი ცნობები მოჰქონდათ.

ორშა-ბაბინოვიჩის შოსეს „აღმოჩენა“ ბოიკომ წითელი არმიის სარდლობას აცნობა. ამჯერად პასუხმა არ დააყოვნა. ბოიკოს მდინარე ლუჩესაზე პატარა ხიდის აფეთქება ებრძანა.

ბოიკომ თავის მხრივ ამფეთქებელთა ჯგუფის ახალი მეთაური საშა ლეონოვი გამოიძახა და მკაცრად უბრძანა, რადაც უნდა დაგიჯდეს, უახლოეს დღეებში ის ხიდი ააფეთქეო.

საშამ მზვერავთა დახმარება ითხოვა, სოკოვმა გადმომხედა და მითხრა თქვენ ერთმანეთს კარგად იცნობთ და უფრო გაუგებთო.

ახალ ბანაკში მზვერავთა ოცეულისათვის ერთი დიდი კარავი დავდგით, ყველას ერთად გვეძინა.

ახლაც კარავში შევიყარეთ თავი, მზვერავებს დავალება გავაცანი და მაშინვე ვკითხე, მსურველები თუ არიან-მეთქი.

ალიოშა ტარანენკომ ყველას დაასწრო. მე წავალო, ალიოშას ლიზუნოვი დაუდგა გვერდით, ლიზუნოვს — კორპუშევი და უცებ მთელი ოცეული გაემზადა.

ისევ საგონებელში ჩავვარდი, ვინ გავგზავნო ვის შეველიო?

— ბრძოლაში რამდენ ტყვიასაც გაისვრიან, ჯარისკაცს ყველა კი არ ხვდება—ჩაილაპარაკა ტარანენკომ. ჩანთა ზურგზე მოიგდო და ავტომატიც ჩამოიკიდა.

მოდი და ელაპარაკე ასეთ კაცს!

— მე ჯერ არაფერი გამიკეთებია, — თქვა სტეფანე გორბმა,—თქვენ უფლებაც არა გაქვთ უარი მითხრათ.

უცებ ვალოდია ცურანის ტირილი გავიგონე. მივედი, მივეფერე, შენ რაღა გატირებს-მეთქი.

მამის სისხლი მატირებსო, გამიშვით, ღამლამობით მამა მესიზმრება, არ მასვენებსო.

— არა, ვალოდია, შენ არსადაც არ წახვალ! —ვუთხარი მკაცრად, მაგრამ გულში ათასმა ნემსმა ერთად მიჩხვლიტა.

— მამაშენის სისხლი ჩვენ უკვე ავიღეთ, ეს — ერთი, მეორეც, ორშა-ბაბინოვიჩის შოსეზე ტყვიას ვერ გაისვრით, ბიჭები საბრძოლველად კი არა, დასაზვერავად მიდიან და თვითნებობას არავის ვაპატიებ. ბოიკოს მდინარე ლუჩესაზე გადებული ხიდის გეგმა და მისადგომები აინტერესებს. ასე რომ, ეს ამოცანა არც ისე ძნელია. ახლა დამშვიდდი, ნუ სტირი, სხვა დროს მე და შენ ერთად წავიდეთ!

ჩემმა შეგონებამ არ გასჭრა, ვალოდიამ ტირილს უმატა, მეხვეოდა გამიშვიო.

— გამატანეთ, სიტყვას გაძლევთ ბანაკში უვნებლად მოვიყვან, ცოდვაა ბიჭი!

ალიოშას ავხედე და თავი დავუქნიე. ვალოდიამ უცებ შეწყვიტა ტირილი, თვალები იდაყვებით ამოიმშრალა და გამიღიმა.

რუკის მიხედვით მდინარე ლუჩესამდე ოცი კილომეტრი იყო. მზვერავებს მესამე-მეოთხე დღეს მოველოდით, მაგრამ ისინი მეორე დღესვე დაბრუნდნენ, თან სასიხარულო ცნობა მოგვიტანეს, მდინარე ლუჩესზე ხიდი ზასლონოველებს აეფეთქებინათ.

...სექტემბრის პირველ დღეებში მზიანი ამინდები დაიჭირა, ხანდახან წამოწვიმდა, მაგრამ მალე გადაიღებდა, მზეც გამოჩნდებოდა და ბიჭები სოკოს საძებრად ტყეს მოედებოდნენ. საძებრად მეთქი, ვამბობ, თორემ ამ ტყეში იმდენი სოკოა, თვალები აგიჭრელდება, მოდი და არჩიე.

ბავშვობაში ბევრჯერ მიჭამია მაჭუნკალა და ქამა სოკო, მაგრამ წითელი სოკოს (ჩვენში ნიყვს რომ ეძახიან) მირთმევის ბედნიერება არ მქონია. აქ კი ზოგან ისეა გადაწითლებული მიდამო წითელი სოკოებით, ყვავილნარი გეგონებათ.

წითელი სოკო პირველად ფედია კომლევმა მოიტანა, მაშინვე ცეცხლი გააჩაღა და როცა შეშა დანაკვერჩხლდა, სოკოები ზედ დაალაგა, შეწვა, მარილი მოაყარა და ჩამოგვირიგა.

ამაზე გემრიელი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მეჭამია. მეორე დღეს რომელიღაც სოფელში თუნუქის სქელი, კარგა მოზრდილი ნაჭერი იშოვნა, ბიჭები სოკოზე გაგზავნა, თავად კოცონი დაანთო და საგანგებოდ გაწმენდილ-გახეხილი თუნუქი გაახურა. ფედიამ სოკო გახურებულ თუნუქზე მოწკაპა, მარილი მოაფრქვია და ხელში წკიპი დაიჭირა, სოკოს აქეთ-იქით აბრუნებდა. თან პირს აწკლაპუნებდა, რაღა დაგიფიცოთ და ,ჩვენც ჩუმ-ჩუმად ნერწყვს ვყლაპავდით.

სოკოს შეწვას რომ მორჩა, კარდალა მოითხოვა. მიუტანეს, შიგ სოკოები ჩააწყო და სტიოპას ხელით რაზმის შტაბში გაგზავნა.

მალე სოკოს ამბავი მთელ ბრიგადას მოედო. სხვა რაზმებიდან ბიჭები რიგრიგობით მოდიოდნენ და თუნუქს თხოულობდნენ.

შუა თვეში ერთბაშად აცივდა, ხშირად წვიმდა. კარავი სიცივისაგან ველარ გვიფარავდა, თუმცა მთელი დღეები მაინც კარვებში ვიყავით შეყუჟულნი.

უკვე დრო იყო მიწურების გათხრასა და მოწყობას შევდგომოდით, მაგრამ ბრიგადის ხელმძღვანელობა რატომღაც არ ჩქარობდა.

ერთ დღეს სოკოვმა გამომიძახა და დამავალა, მდინარე დასავლეთ დვინა გადამელახა და ახლო-მახლო სოფლები დამეზვერა, გამეგო სად იდგნენ გერმანელები, ან სოფლებში რა სიძლიერის საპოლიციო გარნიზონები ჰყავდათ. თუ გაგიჭირდეთ, უროშიცას ტყეში დაბანაკებულ ალექსეევის პარტიზანულ რაზმში მიდითო, ჩვენ ვეცდებით აქედან რაციის საშუალებით დავუკავშირდეთო.

დიდი მდინარეა დასავლეთი დვინა, ღრმაა და განიერი. ზოგან მისი სიგანე კილომეტრამდეც აღწევს.

სექტემბრის ერთ უმთვარო ღამეს მთელი ჩვენი ოცეული დასავლეთ დვინას მიადგა.

სტეფანე გორბმა ფედია წაიყვანა და საიდანღაც მეთევზეთა პატარა ნავი მოაცურა. ამ ნავით ერთ გზად ყველანი ვერ გადავიდოდით, ცხრანი ვიყავით და შუაზე გაყოფაც არ ხერხდებოდა. გადავწყვიტე პირველ გზაზე ალიოშა ტარანენკო, ვალოდია კორპუშევი, ფედია კომლევი და მიშა ლიზუნოვი გამეშვა.

ბიჭები ნავში ჩასხდნენ, ალიოშამ ნიჩბები დაითრია, სტეფანემ ნავს უბიძგა და დასავლეთ დვინის მდორე ტალღებში შეაცურა.

ოლესმა მეგობრებს მშვიდობის ცურვა უსურვა. ერთხანს ვიდექით და თვალს არ ვაშორებდით ნავს, რომელიც ნელა მიიწევდა მდინარის მეორე ნაპირისაკენ, მაგრამ მალე ტალღების ჩუმი ტლაშუნი მიწყდა და ნავი თვალს მიეფარა.

თუთუნი გავაწყე, ფრთხილად მოვუკიდე და მუჭში მოვიქციე. ირგვლივ სიჩუმეა. დასავლეთი დვინა ჩვენებური მდინარეებივით არ ღმუის, ნელა, ზლაზვნით მიგორავენ ტალღები, თი-

თქოს არ უნდათ ეს საოცარი სიჩუმე დაარღვიონ.

მდინარის გაღმა-გამოღმა სიცოცხლე ჩამკვდარა, ბნელა და ცივა.

ნავი უკან ლიზუნოვმა უნდა მოაბრუნოს. თუ უხიფათოდ გადაცურა მდინარე, ნახევარ საათში მაინც უნდა გამოჩნდეს და ჩვენც დავტოვებთ ნაპირს.

ვღელავ. მდინარე საშიშად ბურდღუნებს, თითქოს გულმოსულია, რომ ასე თავხედურად, უშიშრად ვბედავთ ღამით მის გადაცურვას.

ოლესი ხელს ისე აქნევს, გეგონებათ ბუზებს იგერიებსო. ჭრილობა მოუშუშდა, მაგრამ მკლავის გამართვა უჭირს და ექიმმა დაარიგა, სადაც უნდა იყო, თავისუფალი წუთიც რომ იშოვო, ისიც გამოიყენე და ხელი ამოძრავეო.

სტიოპა და ვალოდია ნავის მოლოდინში ფეხებს აბაკუნებენ და დამუჭულ ხელებში იორთქლებენ.

სტეფანე წრიალებს, ვიცი რაც აწუხებს, გაბოლება უნდა, მაგრამ თუთუნის გაწყობას ვერ ბედავს. ვეძახი და ნამწვავს ვაძლევ, თან ვაფრთხილებ, ფრთხილად მოსწიე-მეთქი. წვება და ქაჩავს.

გვეშველა, ტალღებზე მოსრიალე ნავი პირველად ვალოდია ცურანმა შენიშნა, მომვარდა და მომახარა.

მიშამ ნავი ზედ ნაპირთან მოაყენა. ნავში ჩავხტით. სტიოპა ნავის კეჩოზე წამოსკუპდა. ვალოდია ჩემ გვერდით ჩაცუცქდა და ხელი ჩამკიდა.

მიშა ნიჩბებს უსვამს, თან მეუბნება, გაღმა ნაპირზე პარტიზანები დაგვხვდნენო, ალექსეევის რაზმიდან ვართო, გამიხარდა, უცნობ ადგილებში მარტონი აღარ ვიქნებით და ისედაც იმ ბიჭებისგან შეგვიძლია ჩვენთვის საჭირო ცნობების მიღებაო.

ნავი ნახევრად ჩაძირული მიცურავს, უკვე სველი ვარ, ჩექმები წყლით არის სავსე, ნაპირი კი არა ჩანს.

მდინარე ტბა როდია. მდინარის გადაცურვა ასეთი პაწია ნავით ძნელია, დინებას უნდა დაჰყვე, პირდაპირ ვერ გადასჭრი.

ნავში წყალი დგება, სტიოპა ქუდით, ჩვენ პეშვებით ვიწყებთ ნავიდან წყლის ამოხაპვას.

მიშა გვამხნევებს, ნაპირს ვუახლოვდებითო. მართლაც გამოჩნდა ნაპირი, მაგრამ ლიზუნოვმა ნაპირთან ვერასგზით ვერ მიიყვანა და ჩვენც იძულებულნი გავხდით წყალში ჩავმხტარიყავით. მინდოდა ვალოდია ზურგზე მომეკიდებინა, მაგრამ, სიკვდილი ილირსა და, არ ქნა, ხელიდან გამისხლტა, ნაპირზე ყველას აგვასწრო.

უკვე ნაპირზე ვართ, ჩვენსკენ ბიჭები მორბიან, გვეხვევიან.

ალექსეევის რაზმელებში შევერიეთ, ვიღაცამ თქვა, სჯობია ახლავე ბანაკში გავსწიოთ, თორემ ყველანი გავცივდებითო. აქ საშიში არაფერია, გზაში ჩვენები შემოგვხვდებიანო.

ჭყაპა-ჭყუპით მივაბიჯებ, „მასპინძლებისა" მერიდება, თორემ ჩავჯდებოდი, ჩექმებს გავიხდიდი და ფეხსახვევებს მაინც გავწურავდი.

ამ ფიქრში რომ ვარ, ვიღაცამ მკლავში ხელი მტაცა და გვერდზე გამიყვანა.

— ქართველი ხარ? მართლა ქართველი ხარ? — მკითხა აღელვებულმა.

გავშრი, სწორედ არ ველოდი ახლა აქ, დასავლეთ დვინის მეორე ნაპირზე, ქართული სიტყვის გაგონებას.

— ე, ბიჭო, ამეილე ხმა, მითხარი რაცხა, თვარა ამევიდა მთავარი სული.—უხმოდ მოვეხვიე და გადავკოცნე.

— არ დევიბადე? რა გქვია, რა გვარი ხარ?— ხოშკაკალასავით მომაყარა კითხვები.

— ჩუმად ილაპარაკე!

— ჩუმად? ვისი მეშინია? იმხელას ვიბლავლებ, სენოს კომენდანტს შიშით ხვანჯარი გაუწყდეს, ქართულის გაგონებას მეევსწარი და ახლა ვინმე გაბედავს და გამაჩუმებს?

გამეცინა: — ხვანჯრიანი ფაშისტი თუ გინაჩავს-მეთქი, მერე ჩემი სახელი ვუთხარი და მასაც ვკითხე.

— კონსტანტინე მქვია, მარა შენ კოწია დამიძახე.

— სადაური ხარ, ჩემო კოწია?

— მაღლაკელი ქორჟოლიანი ვარ.

— ბიჭოს მეზობლები ვყოფილვართ, მე ქუთაისელი ვარ. — ამის გაგონებაზე მთლად გადაირია.

— ქუთაისს ენაცვალოს ჩემი თავი, იმისთანა ქალაქი მეორე არ არის მთელს ქვეყნიერებაზე, იქ და მყავს გათხოვილი, ჭომაში ცხოვრობს ხომ იცი ჭომა?

— როგორ არა, ერთხელ იქით გოგო გავაცილე, ძელქვებთან ჭომელები დამხვდნენ და გვარიანად მითაქეს.

— მაგაში კი აქვთ „პიატი", რაფერ იყო ერთი მომიყევი.

— ჯერ შენი ამბავი მითხარი, კოწია, პარტიზანებში საიდან მოხვდი?

წამითაც არ დაფიქრებულა, მაშინვე დაიწყო.

— 1939 წელს კადრში გამიწვიეს, დასავლეთ ბელორუსიაში ჩამიყვანეს, ორი წელი აქ ვიმსახურე. დღე-დღეზე ველოდი შინ წასვლას და, ძაღლი მიაკვდა ჰიტლერს, გვბეთქა ზარბაზანი. პირველ დღეებში ისე ავირიეთ და დავიბენით, აღარ მეგონა თუ ვინმე მოგვიყრიდა თავს, ცხვრებივით მოგვერეკებოდნენ, მაგრამ ერთხელ მივუტრიალდით იმ ქებულ ფრიცებს, ცხვირიდან ძმარი ვადინეთ და ფეხზეც დავდექით. კაი ხანს ვიბრძოლეთ, მაგრამ მალე ისევ გვაჯობეს, ალყაში მოგვამწყვდიეს და კინაღამ ხელები აგვაწევინეს. ბევრი ვიწვალე, ხან აქეთ ვეცი, ხან იქეთ და მოვნახე გასაძრომი. ახლა აგერ ვარ. კვეხნად არ ჩამომართვა და ალექსეევს, ჩვენს მეთაურს, თვალში რომ ჩავუვარდე, ხელს არ ამოისობს. ჯერ თავი არ შემირცხვე-

ნია და აწი რავა გამიწყრება ღმერთი. სიკვდილის დედაც ვატირე, სასიკვდილო თუ ვიყავი, აქამდე მბრიგავდნენ ძირს. ერთბაშად ბავშვები არ მიჭყიოდნენ სახლში.

— ცოლი?

— ცოლი კი ვითხოვე, სწორედ ჯარში წამოსვლის წინა კვირას მევიყვანე გვიშტიბელი ქალი, მარა რად გინდა მერე, არ მეიცდის, ალბათ ახლა უკვე ფეხებგაფშეკილი ვგონივარ, ის კი არ იცის, ადოლფის ჯინაზე, რომ მაინც ჩავალ ჩემს მაღლაკში. რომ იცოდე, რა ეზო-გარემო მაქვს, ღვინოსაც კაის ვაყენებთ, ქათამი ბევრი დამიდის და ძროხაც მყავს თორმეტბოთლიანი, თუ გაუძლო საწყალმა მამაჩემმა, პურს არ ამოაშრობს.

ჩამოვჯექი და ჩექმებს დავეპაწკურე, მაგრამ ვერ გავიხადე. კოწია მომეშველა, ხელები ჩექმებში ჩამავლო და ისე დაქაჩა, კინაღამ ფეხი წამაწყვიტა.

ჩექმები თავდაღმა დავკიდე, ფეხსახვევი გავწურე და გავფერთხე. კოწიამ ჩანთიდან მათარა და პატარა ჭიქა ამოიღო, არაყი დამისხა, მომაწოდა.

— ამ უსიერ ტყეში ორი ქართველი ბიჭის შეხვედრას გაუმარჯოს! — ვთქვი და გადავკარი.

— გაუმარჯოს!

არაყს ღორის ქონი და პურის ნაჭერი მივატანეთ, მერე ჩავიცვი და ისევ გზას დავადექით.

— ბოიკოს ბრიგადიდან მზვერავები მოდიანო, ერთერთი ქართველიაო, რომ გავიგე, დასამბელი შევიქენი. მდინარესთან ყველას მოვასწარი, ვიდექი, ვუყურებდი ამ ურჩხულს და ღმერთს ვევედრებოდი, იმ ბიჭს არაფერი გაუჭირო-თქვა, მაინც რამხელაა ეს დალოცვილი.

— დიდია! — დავუდასტურე.

— დიდი კია, მარა ჩვენს რიონთან მაინც ვერ მოვა. ოჰო, ჰო, გაზაფხულის პირზე რომ წამოვა რიონი, ხე და მიწა რომ მოაქვს, რა სჯობია იმის ყურებას. ეს დვინა კი მოზოზინობს ზარმაცი კაცივით, გინდა კაი რცხილის სახრე უჭირო, იქნება ფეხს აუჩქაროს. ეს ყველაფერი კაი, მარა შენს საქმეს რომ მოითავებ, ერთმანეთს უნდა გავშორდეთ?

— რას იზამ.

— რა გამაძლებინებს აწი უშენოდ.

— სთხოვე ალექსეევს, იქნებ დაგრთოს ნება, ჩვენთან წამოდი.

— არ გამომიშვებს.

— ვითომ ვერ შეგელევა?

რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ არ ჩავეძიე. ჩვენ უკვე ალექსეევის პარტიზანული რაზმის ბანაკში ვიყავით. იმ ღამეს მეთაური არ შემიწუხებია, კოწიამ და მისმა ამხანაგებმა შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწიეს, კარგადაც მოვისვენეთ.

დილით ალექსეევს გამოვეცხადე, მოვახსენე თუ რა დავალებით ვიყავი გამოგზავნილი და დახმარება ვთხოვე. რაზმის დაზვერვის უფროსს დაუძახა, გამაცნო და ჩემთვის საჭირო ცნობები უკვე მზად იყო. ბანაკიდან ფეხმოუცვლელად შემეძლო მესარგებლა ამ ცნობებით და დღესვე თუ არა, ხვალ მაინც გავბრუნებულიყავით, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე საკუთარი თვალით მენახა ის ადგილები, სოფლები, შარაგზები, რომლებიც სოკოვს აინტერესებდა.

ალექსეევის თანხმობით მზვერავთა ოცეულის მეთაურმა ორი მებრძოლი მომამაგრა, მინდოდა კოწიაც გამყოლოდა, მაგრამ მომერიდა და ბანაკი მის უნახავად დავტოვე.

სამი დღე-ღამე დავდიოდით იმ მიდამოებში, შარაგზებზეც ბევრჯერ გამოვედით და სოფლებსაც დავუახლოვდით, უბრალო ნახაზიც კი გავაკეთე, რუკაზე ჩემთვის საჭირო ადგილები მოვინიშნე, პოლიციელთა გარნიზონების შესახებ ალექსეევის რაზმელებმა ზუსტი ცნობები მომაწოდეს და მეოთხე დილით ისევ ალექსეევის ბანაკში გამოვცხადდით. კოწია ადგილზე არ დამხვდა. ოცეული, რომელშიც იგი ირიცხებოდა, ჩასაფრებაზე წასულიყო. იმ დღესვე ვაპირებდი დასავლეთ დვინის გადაცურვას, მაგრამ, ჯერ ერთი, კოწიას უნახავად წამოსვლა გამიძნელდა, მეორეც, ალექსეევის მზვერავებმა ისეთი სუფრა გაშალეს, მისი უცებ დატოვება პირდაპირ დანაშაული იქნებოდა. ჩემი ბიჭების საცოდაობა კარგს არას მიზამდა. ფედია კომლევმა არაყს მოჰკრა თვალი და ლამის აცეკვდა. მიდი და უარი თქვი ასეთ მასპინძლობაზე, რა გული გიზამს!

ნაშუადღევის ოთხი საათიდან კარგა შეღამებამდე ვილხინეთ. ერთმანეთს გული გადავუშალეთ, ათასგვარი სადღეგრძელოები ვთქვით, ბრძოლაში დაღუპული ამხანაგები მოვიგონეთ, ჩვენი სახელოვანი მეთაურების სახოტბოდ თბილი სიტყვა არ დავიშურეთ, წითელ არმიას და მის სარდლობას ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვეთ და დავიძინეთ.

დილით რომ გამომეღვიძა, იქვე კოწია დავინახე. ადრე მოსულიყო, მაგრამ ჩემი გაღვიძება მორიდებოდა, კარვის კუთხეში იჯდა მობუზული და აბოლებდა.

— გამარჯობა, კოწია, რატომ არ გამაღვიძე?

— ისე გემრიელად გეძინა...

— ცოტა დავლიე. შენ ეს მითხარი, როგორ ჩაიარა ჩასაფრებამ?

— კარგად, თუმცა მე თვითონ ბევრი არაფერი გამიკეთებია, ეს კი არადა, უკან რომ ვბრუნდებოდით, მეთაურმა ახალი ჩასაფრების მოწყობა გადაწყვიტა, ვთხოვე გავეთავისუფლებინე, შენს უნახავად სიკვდილი არ მინდოდა.

ავდექი, ბიჭები უკვე მზად იყვნენ. განშორების წუთები დადგა, კოწია მომიახლოვდა. მხარზე ხელი დამადო და ისე შემომხედა, გული დამეწვა. ასე შორდებიან ერთმანეთს ძმები, ახლობლები, განუყრელი მეგობრები.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ?

მე ხელი გავუწოდე.

— მართლა მიდიხარ?

მხრები ავიჩეჩე.

— შენ რავა იტყვი, ვთხოვო ალექსეევს?

— ორივემ ერთად ვთხოვოთ.

სახე გაუნათდა, იმედი მოეცა. მაშინვე სამეთაურო კარვისკენ წავედით, მაგრამ ალექსეევი შტაბში არ დაგვხვდა. დიდხანს ვეძიეთ და მივაგენით. მეთაური ხესთან იდგა და ვიღაცას ცხარედ ეკამათებოდა. კოწია მიუახლოვდა, გამოეჭიმა. ალექსეევმა თანამოსაუბრე გაისტუმრა და კოწიას ხელი მაგრად ჩამოართვა.

— ყოჩაღ, ქორქოლიანო, ყოჩაღ! ვაჟკაცი ხარ, ამ დილით მიამბო შენმა მეთაურმა, ჩასაფრებაზე თავი გამოგიჩენია. ყოჩაღ! ა, მარტოდმარტო დაედევნე ფრიცებს? — გაეცინა და მომიბრუნდა.—ავტოკოლონისათვის სროლა აუტეხიათ, გერმანელები ძარებიდან ჩამომხტარან, გაქცეულან, ეს კი გაკიდებია.—ისევ გაიცინა.

— კონსტანტინე ქორქოლიანი გულადი ვაჟკაცია, შენ?

— არა მიშავს რა. — ვუპასუხე.

კოწიამ ფრთხილად ჩაახველა.

— გინდოდა რამე ქორქოლიანო?

— ამხანაგო მეთაურო, — ენის ბორძიკით დაიწყო კოწიამ, — თითქმის ორი წელიწადია ქართული სიტყვა არ გამიგონია, ჩემი საყვარელი რუსულით სიცოცხლე გავუმწარე ბიჭებს და არც მე ვარ კაი დღეში. ქართველს, ახლობელს შევხვდი და თუ შეიძლება...

— გინდათ დარჩეთ ჩემთან? — მკითხა ალექსეევმა.

— სიამოვნებით, მაგრამ ამის უფლება არა მაქვს.

— მე ეს ბიჭი მიყვარს, თავს მირჩევნია, თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალი დავრჩი, მკერდს ორდენებით გავუჭედავ. გაშვებით კი ვერ გავუშვებ.

—ნახვამდის, საშა, — მომიბრუნდა კოწია, —თუ ერთმანეთს შევხვდით, ხომ კარგი, თუ არა და მომიგონე.

ერთმანეთს გადავეხვიეთ, კოწიას ცრემლი მოერია.

ალექსეევი მოგვიახლოვდა, ერთხანს გვიცქირა და მერე ძალიან გულთბილად, მამაშვილურად უთხრა კოწიას:

— არ დამივიწყო და გახსოვდეს, ჩვენს რაზმში შენი ადგილი ყოველთვის მოინახება. — ხელი ჩამოართვა, მოიზიდა და გადაკოცნა. — ახლა კი მომშორდი, შე საძაგელო! — თქვა და წავიდა.

— გული დამწყდა. — ჩაილაპარაკა კოწიამ.

— ძალიან მომეწონა ალექსეევი!

— თქვენი მეთაური თუ ვარგა კაცად?

— მაგას ადგილზე გაიგებ, ოღონდ იცოდე, არც კოწიას დაგიძახებ, არც კონსტანტინეს, ამიერიდან შენ კოტე ქორქოლიანი ხარ.

...კოტემ გზაშივე მოხიბლა ჩვენი ბიჭები. თავისი ჩიქორთული რუსულით ყველას გული მოიგო, სტიოპა და ვალოდია დაიძმაკაცა, ბიჭები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ მხარში, ხელები ჩამოკიდეს და ასე იარეს დასავლეთ დვინამდე. სტეფანემ ნავი მოიძია. ახლა ათნი ვიყავით და ორ გზად გადავცურეთ დვინა. კოტემ აქაც გამოიჩინა თავი. ისე ლაზათიანად უსვამდა ნიჩბებს, იფიქრებდით მთელი სიცოცხლე მდინარეზე ან ზღვაზე გაუტარებიაო. ალიოშა ტარანენკოს სიხარულს ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა. მან კოტეს უამბო ვასოს ამბავი, ისიც თქვა, თუ როგორ უვლიდნენ ბიჭები ვასოს საფლავს, მზვერავთა სასაფლაოს.

ქართველი მებრძოლის შემატებას შარშავიცკიცა და სუხოდოლსკიც კმაყოფილებით შეხვდნენ. ანტონი გადაეხვია კიდეც. ასეთი შეხვედრით გულაჩუყებული კოტე ლამის ატირდა, ქართულად მეუბნებოდა, თუ ბიჭი ვარ, არ შეგარცხვენო.

მეორე დღეს კოტე მზვერავთა სასაფლაოზე წავიყვანე. ვალოდია და სტიოპაც მახლდნენ. კოტე დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული ვასოს საფლავთან. როცა ბანაკში დავბრუნდით, მითხრა:

— ეს ოხერი, აქამდე სიკვდილზე არ მიფიქრია, იმ ბიჭის საფლავმა ნამეტანი იმოქმედა.

კოტე მაღალი ბიჭია, მხრებში გაშლილი, ძლიერი. ერთმანეთზე გადაგრეხილი წარბები და შავი, დიდრონი თვალები მის სიმკაცრეზე მეტყველებენ, მაგრამ საკმარისია ორიოდე წუთი ისაუბრო მასთან და მაშინვე იგრძნობ მის კეთილ გულს, თავმდაბლობას, რაღაცნაირ უბრალოებას, რაც მხოლოდ სოფელში გაზრდილ ადამიანებს ახასიათებთ.

კარავში ჩემს გვერდით მოეწყო. მთელი ღამე არ მომასვენა, იგონებდა საქართველოს, სოფელს, დედ-მამას, ეზო-ბოსტანს, ვენახს, მაგრამ ცოლი არცერთხელ არ უხსენებია, ძალიან მიკვირდა. ვკითხე კიდეც, რას ერჩი მეუღლეს, მის ცოდვაში ფეხს რატომ იდგამ, შენისთანა კაი ბიჭს როგორ არ დაგელოდება-მეთქი.

— კაი ბიჭი არ იცის ქალმა, რომ გაუჭირდება, კაის და გლახას აღარ არჩევენ მაგ ბალანდამწვრები.

ერთი კვირის შემდეგ მე უკვე ვიცოდი რამდენი ძირი ვაზი ჰყვაოდა კოტე ქორქოლიანის ვენახში, როდის სწამლავდა მამულს პირველად, როგორი ფერის ღვინოს აყენებდა, რა ძალა ჰქონდა მის მოწურულ ცოლიკაურს. ვიცოდი თუ როგორ და როდის უნდა შეიტანო ნაკელი ბოსტანში, როგორ უნდა გადუშვა გვალვის დროს წყალი ყანაში. ვიცოდი რა ნაკლი ჰქონდა მაღლაკის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და რა და რა სადღეგრძელოები უყვარდა კოტეს მამას — ბათლომე ქორქოლიანს.

ერთხელ კარავში მარტონი ვიყავით, მე უბის წიგნაკი ამოვიღე და ლექსი ხმამაღლა წავიკითხე.

მართლა შენი დაწერილია? — დაეჭვდა. კი.

— მეთქი. გენიოსი ყოფილხარო, ლექსები ძალიან მიყვარსო, ლექსის დაწერა მხოლოდ ღმერთკაცებს შეუძლიათო. და ჩვენი სახელოვანი პოეტების ლექსები გაიხსენა, ის, რაც სკოლაში ესწავლა. მეც ვცადე ლექსის შეთხზვა, მაგრამ შევატყვე არაფერი გამომივიდოდა და მოვეშვიო.

შენ ისედაც პოეტი ხარ-მეთქი.

გაიცინა.

იმ დღის შემდეგ უფრო მორიდებით მექცეოდა, სადმე ხის ძირას ან კარავში უბის წიგნაკით რომ დამინახავდა, ფეხაკრეფით ჩამივლიდა, მისი ფიქრით, ხელს არ მიშლიდა, მაგრამ მერე და მერე ისევ გავათამამე და მეორე ლექსიც რომ წავუკითხე, საყურადღებო შენიშვნაც კი მომცა.

...სექტემბრის ბოლოს, ერთ წვიმიან დღეს შარშავიცკთან ერთად ბრიგადის შტაბში გამომიძახეს. კარავში ადამ სტელმახიც დამხვდა. ადამ კონსტანტინეს ძეს მამასავით მივეხარე. თავადაც კმაყოფილი დარჩა ჩემი ნახვით. მხრებში ხელები ჩამკიდა, შემანჯღრია.

ადამ სტელმახი, როგორც ვიტებსკის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი, ბოგუშევსკისა და სენოს რაიონებში მოქმედ ბრიგადებსა და რაზმებში დადიოდა, მეთაურებს ეხმარებოდა და ჩვენ იგი თითქმის თვეზე მეტია არ გვენახა.

ბოიკოს მაგიდაზე რუკა გაეშალა, სოკოვსა და ვაიცეხოვსკის ეთათბირებოდა. ბრიგადის კომისარი მანოხინი იქვე იჯდა და მათს საუბარს უსმენდა.

ვასილმა მაგიდასთან მიგვიწვია და შტაბის გადაწყვეტილებაც გაგვაცნო.

— მალე ბრიგადა გოროდოკის რაიონისაკენ უნდა წავიდეს. — რუკას დახედა. — ჩვენ შუმლინოსა და ვიტებსკს შუა უნდა გავიაროთ; აი, აქ სტარაია სელოს, ან სოფელ ლეტეცის მახლობლად, მერე სოფელ ზასონოვოს მარჯვნივ ვიტოვებთ და ლოსვიდის ტბასთან დავბანაკდებით. გზა გრძელია და ძნელიცაა. წინასწარი დაზვერვაა საჭირო. ამ ეტაპზე ბოგუშევსკის მიმართულების დასაზვერავად ამხანაგმა სოკოვმა თქვენ აგირჩიათ. — შემომხედა. მე გავსწორდი და ამით გამოვხატე მზად ყოფნა ბრძანების შესასრულებლად.

— თვით ბოგუშევსკში არაფერი გესაქმებათ, გარდა იმისა, რომ იქ ჩვენი მეკავშირეა. ამაზე სოკოვი მოგესაუბრებათ. გზადაგზა სოფლებში შეიხედეთ, დაიხსომეთ რომელ სოფლებში დგანან გერმანელები ან პოლიციელთა გარნიზონები. სტარაია სელომდე ბრიგადის მარშრუტს თქვენ განდობთ, რაც დღეს აქ ითქვა, საიდუმლოა, ენას კბილი დააჭირეთ. ახლა სოკოვს მოელაპარაკეთ და გაემზადეთ, ხვალ დილით გზას უნდა გაუდგეთ!

სოკოვი გამომყვა, მეგონა კარავში შემიყვანდა, მაგრამ მის კარავში ვიღაცეები ისხდნენ, მათი შეწუხება აღარ ინდომა. ცრიდა და ციოდა. ჩვენ თავი ნაძვს შევაფარეთ და თითქმის ორი საათი ვისაუბრეთ. სოკოვმა დავალება დამიზუსტა, ბოგუშევსკში ის ქუჩა, სახლი დამისახელა, სადაც მეკავშირე თავს აფარებდა, წინასწარ გამზადებული ბარათი გადმომცა და წარმატებები მისურვა.

— ბოგუშევსკში შენ ნუ შეხვალ, კომლევი ან გორბი შეგზავნე. აქაურები არიან და უფრო გაიგნებენ გზას, იქნებ სხვა საშუალებაც გამოჩნდეს, შექმნილ ვითარებაზეა დამოკიდებული. იმ მეკავშირემ იქაური პარტიზანული ბრიგადა უნდა გააფრთხილოს და თავადაც იქ დაგვხვდეს. აბა შენ იცი, დროს არ გინიშნავ, რაც უფრო მალე დაბრუნდები, მით უკეთესი.

სანამ კარავში მივიდოდი, გადავწყვიტე, დაზვერვაზე კოტე, ფედია და სტიოპა წამეყვანა. კარავს რომ მივუახლოვდი, უცებ ტანია გამახსენდა, კარგი ხანია არ მენახა და ახლა ისე მომინდა მისი შეხედვა, მისი ხმის გაგონება, კარავს ჩავუარე და გზა ოლია კარპოვიჩის „შტაბისაკენ“ განვაგრძე. გოგონების კარავთან ოლია შემომხვდა, მომესალმა და უცებ ცივი წყალი გადამასხა.

— სამწუხაროდ, ტანია ბანაკში არ არის, გუშინ წავიდა დაზვერვაზე.

— სად?

— სენოში, წარმოგიდგენიათ ასეთი უგულობა, გოგონებს რაიონებში გზავნიან, დავალებებს ჩემი პირით აძლევენ, მე კი ბანაკიდან გასვლას მიკრძალავენ. მშობლიურ ბოგუშევსკში მაინც გამიშვან.

— მშობლიური რაიონი რომ არის, ალბათ სწორედ ამიტომ არ გიშვებენ, ოლია, თქვენ ხომ ბოგუშევსკში ყველა გიცნობთ.

— მიცნობდნენ, მაგრამ ახლა განა სულერთი არ არის? თუ ჩავვარდი, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს? ერთხელ მაინც გამევლო ჩემს ქუჩაზე, ერთხელ მაინც შემევლო თვალი ნასახლარისათვის, მაგრამ ჩვენს უფროსებს ამას გააგებინებ?

— გულს ნუ გაიტეხთ, ოლია, ყველაფერს მოესწრებით, ჩვენი მზვერავები ბოგუშევსკის მიმართულებით არც თუ იშვიათად დადიან, იქნებ ამ დღეებშიც მიბრძანონ მათი გაგზავნა, იქნებ მე თვითონ მომიწიოს წასვლა და მითხარით, დამავალეთ, ვინ გინდათ ნახოთ, ვის რა გადავცე, ერთი სიტყვით, მენდეთ.

სახეზე უცებ წამოენთო, თითქოს სანთელს მოუკიდესო, მომიახლოვდა, პაწია ლამაზი ტუჩები გახსნა, რაღაც უნდა თქვას, მაგრამ ანთებულ სანთელს ვიღაცამ სული შეუბერა და ჩააქრო. სახე მოეღრუბლა, მოეშვა.

და მე ვირწმუნე, რომ ეს მამაცი გოგო ცოდვაა, რომ მას ვერ უგებენ, მისი კარავში ჯდომა არ შეიძლება, მას ასპარეზი უნდა.

— დედოფალივით სულ კარავში ვზივარ, თითქოს მიცავენ, მე კი სული მეხუთება. მაშინ ბევრად უფრო ბედნიერი ვიყავი, როცა ბოგუშევსკის იატაკქვეშა ორგანიზაციის შეკრების

ადგილას მივდიოდი, როცა იმ გარეწარს ვუდარაჯებდი, როცა ესესის შტურმფიურერთან ერთად ბოგუშევსკის პატარა მოედანზე გენერლის მოლოდინში დავსეირნობდი, როცა სიკვდილს ვეთამაშებოდი. ახლა ერთი უსაქმური გოგო ვარ, მეტი არაფერი.

— ეს კი ტყუილია, ოლია, მე კარგად ვიცი, რომ თქვენ და თქვენი მეგობარი გოგონები დიდ საქმეს აკეთებთ. განა ორშა-ბაბინოვიჩის შოსეზე გერმანელთა მოძრაობის აღმოჩენა პატარა საქმეა? რომელი ერთი მოვიგონო? რატომ გგონიათ, რომ მაინცა და მაინც შუაგულ ცეცხლში უნდა იტრიალოთ? ახლა დამშვიდდით, თუ მართლა მომიწია იქით წასვლა, გინახულებთ. ნახვამდის. ვიცოდი, შემაჩერებდა და სათქმელს ახლავე მეტყოდა. ასეც მოხდა.

— თუ მართლა მოგიხდეთ ბოგუშევსკში წასვლა, გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, ალიოშა კაიდო ინახულოთ, გადაეცით, რომ მე მათთან ყოფნა მინდა, მეტი არაფერი.

რა თქმა უნდა, დავპირდი, ტანია მომიკითხე-მეთქი და წამოვედი.

კარავში სტიოპა სენკევიჩი დამხვდა, ბიჭებს დაუძახე-მეთქი, — ვუთხარი სტიოპას. ათ წუთში ყველანი კარავში შეიკრიბნენ.

— ხვალ დილით დავალებაზე მივდივართ, ჩემთან ერთად კომლევი, ქორქოლიანი და სენკევიჩი წამოვლენ. დავალების შესრულება დროს მოითხოვს, იქნებ შეგვიგვიანდეს, შარშავიცკთან შეთანხმებით, ჩემს მოვალეობას ლიზუნოვი შეასრულებს. სიტყვა არ შეუბრუნოთ, როგორც გჩვევიათ, თვალებში უყურეთ მიხედეთ და მოუარეთ. ჩვენ შევეცდებით ცოცხლები და უვნებლები დავბრუნდეთ, თქვენც ასევე კაჟებივით დაგვხვდით. ახლა დასალევი თუ რამე გაქვთ, მოიტათ, გზა დაგვილოცეთ.

ალიოშა ტარანენკომ ბრეზენტის კურტაკი მიწაზე გააფინა, ჩანთა გახსნა, ღორის ქონი ამოიღო, წვრილ-წვრილად დაჭრა და დაალაგა. სტეფანემ სუფრას პური შემოამატა. ვალოდია და სტიოპა კარვიდან გავარდნენ, ერთმა წყალი მოიტანა, მეორემ მოხარშული კარტოფილით სავსე კარდალი.

ფედიას წინა დღის შემწვარი წითელი სოკო აღმოაჩნდა, ოლეს ივაშენკომ ორი ბოლქვა ხახვი გაფცქვნა და ხელმწიფის საკადრისი სუფრა გაიშალა, მაგრამ გადასაყლურწავი არავის აღმოაჩნდა. ბიჭები ჭირისუფალივით ისხდნენ და ისე მომჩერებოდნენ, თითქოს რაღაც დიდი დანაშაული ჩაედინათ. უცებ ექიმი ტიხონოვი გამახსენდა. რაც იქნება-იქნება, მივალ და ერთ მათარა სპირტს ვთხოვ-მეთქი, გავიფიქრე, თუმცა ბოლო ხანებში იგი სულ სპირტზე ბუზღუნებდა, ადვილი შესაძლებელი იყო უარით გამოვესტუმრებინე, მაგრამ ცდა ხომ ბედის მონახევრეა, ავდექი. სტიოპას ვანიშნე გამომყევი-მეთქი, მაგრამ კარვიდან გასვლა აღარ დამჭირდა, კოტემ სუფრაზე არყით სავსე მათარა გაგორა. ფედია მათარას ეცა, არ დაიქცესო. კოტე კინაღამ დაახრჩვეს, ჯერ ცალ-ცალკე ეხვეოდნენ, მერე ყველა ერთად მიესია და, რომ არ ეძალა, ალბათ, გაგუდავდნენ. კოტემ ბიჭების სასიყვარულო შემოტევა მოიგერია და ქართულად მითხრა:

— ეჰ, ცოდვა არაა ცოლიკაურით სავსე ჩემი ჭურები თვლემდნენ და ჩვენ აქ აქოთებული არაყი გვენატრებოდეს?

კოტეს ნათქვამი ბიჭებს ვუთარგმნე, თავი გადააქნიეს და პირი აწკლაპუნეს.

ჭური რა არისო, იკითხა სტეფანე გორბმა. მე ავუხსენი. შიგ რამდენი ჩადისო. ჭურს გააჩნია, ზოგიერთ ჭურში ასი ფუთი ღვინოც კი ჩადის-მეთქი.

თვალები კინაღამ წამოსცვივდათ, ერთბაშად გადაწყვიტეს, ომის შემდეგ ყველანი კოტეს სწვეოდნენ.

ფედიამ არაყი ერთადერთ ჭიქაში ჩაასხა და ხელისკანკალით მომაწოდა. ბევრია, ასე თუ არიგე, ყველას აღარ გასწვდება-მეთქი. ყველას ამდენს არც დავუსხამო.

არაყი არასოდეს მომნატრებია, ღვინის ხსენებამ მაინც ხასიათზე მომიყვანა. ეჰ, ხელში ღვინით სავსე ჭიქა ან ყანწი რომ გიჭირავს, სადღეგრძელოც თავისთავად მოდის, ახლა კი აღარ ვიცი რა ვთქვა...

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს, ბევრი კარგი ვაჟკაცი გამოგვაკლდა, ცოდვანი ვართ და ვთხოვოთ, ღმერთია თუ განგება, აწი მაინც მოგვეშვას, გადაგვარჩინოს ამ ჯოჯოხეთს. ჩვენ ხომ ჯერ სულ ახალგაზრდები ვართ, ღვინოც გვწყურია, არაყიცა და ერთი სიტყვით, სიცოცხლე გვწყურია, ჩვენ-ჩვენ ოჯახებში დაბრუნება, დედ-მამისა და ცოლშვილის გახარება, თვალში გამოხედვა გვწყურია. მეტი რაღა ვთხოვო გამჩენს. ჩვენ თვითონ ვართ ღმერთივით ბიჭები და ერთმანეთს მოვუაროთ. ალავერდი შენთან, ალიოშა!
— არაყი შევსვი და ცარიელი ჭიქა ტარანენკოს ვესროლე, დაიჭირა, დაიხარა და ჭიქა ფედიას მოიუშვირა ფედიამ იმე ცოტა დაუსხა, არაყმა ჭიქის ფსკერი ძლივს მოფარა, მაგრამ ალიოშას საყვედური არ უთქვამს, გაიმართა და ჭიქა ასწია. მეგონა გრძელ სიტყვას შემოგვაწევდა, ალბათ თვითონაც ამასვე ფიქრობდა, მაგრამ გაუმარჯოსო, სჭექა, არაყი გადაჰკრა და ჭიქა დიდი ამბით გადაულოცა კოტეს.

ამჯერად კომლევმა წამოდგომა ინება, მათარა ჭიქაში ჩააყუდა, ესაო და არყის პატრონს ასე ეკუთვნისო, მაგრამ კოტემ არ დაანება. ჭიქა ხელში შეატრიალა და გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა, შენისთანა რუსული ვიცოდე და თუ გინდა მომკლაო.

მოდი და ნუ გაგეცინება.

— სადღეგრძელო რუსულად უნდა ვთქვათ, თუ გამიჭირდა მომეშველეო, — და დაიწყო!

— ხაჩუ ბალშოი სლოვა სკაზატ, ნე მაგუ, სავსემ ნემოი. იზვინიაიუს. უ ნას ნა ვოდკუ ტოსტი ნე გავარიატ, ბოგ სტაბოიუ, სკაჟეტ კტო ნიბუდ და ჰაიდა. ვინო ნადო, ხაროში, გრუზინსკი ვინო, ევო ცვეტ ზნაიშ კაკოი? ვოტ გუს, მალენკი გუს ვიდალ-მომიბრუნდა.

— რა ჰქვია ბატის ჰუკს?

— რათ გინდა?

— ჩემი ცოლიკაური სწორედ ბატის ჰუკის ფერია.

მომეჭრა თავი და ეს არის მეთქი. ისევ კოტემ იმარჯვა.

— მალენკი გუს იმეეტ პაჩტი ჟოლტი ცვეტ, ვოტ კაკრაზ ტაკოი ვინო უმენია. ტაგდა ხაროში ტოსტ სკაჟეშ, ი მრავალჟამიერ ტოჟე სპაიოშ, ბოგ სტაბოი, ბიჭებო! — ატყდა ერთი ტაში და სიცილ-ხარხარი.

ყველამ კოტე და მისი ბატის ჰუკის ფერი ღვინო ადღეგრძელა. ჩვენთვის გზის დალოცვა არარავის გახსენებია, ფედია კომლევმა სულ ბოლოს მათარა პირზე მიიყუდა და გამოწრუპა. სტეფანემ ბელორუსული სიმღერა წამოიწყო, ყველანი ავყევით.

კარავში შარშავიცკი და სუხოდოლსკი შემოვიდნენ. ბიჭები ფეხზე წამოხტნენ მეთაურსა და შტაბის უფროსს საპატიო ადგილი დავუთმეთ, მაგრამ მათარა ცარიელი იყო, ერთი ფეხით რომ მოესწროთ, კომლევი უარყოდ დარჩებოდა.

ანტონმა გვიხსნა, ჯიბიდან არყით სავსე მათარა და კარგა მოზრდილი ღორის ქონის ნაჭერი ამოიღო, თქვენს სუფრას გაუმარჯოსო თქვა და შემომხედა.

შენს მკვდარს საკურთხი აღარ უნდა-მეთქი. — ვუთხარი.

ფედიამ მერიქიფობა ახლაც არავის დაუთმო, არაყი დაასხა და მეთაურს მიაწოდა.

ივან საველის ძემ გვადღეგრძელა, წითელ არმიას წარმატება უსურვა, მტერს შეუკურთხა და შესვა.

ანტონმა თავი დაგვიქნია, ჰიქა ტუჩთან მიიტანა, მოსვა და ფედიას დაუბრუნა.

— თუ ვოროშილაში მოხვდე, ჩემი ბებერი ინახულეთ, — მითხრა. დავპირდი, იგნატ პლატონჩის უნახავად არ დავბრუნდები-მეთქი.

ჰიქამ ჩამოიარა, ფედიამ ერთხელ კიდევ მიიყუდა მათარა, დაცალა გადმოაპირქვავა და ანტონს დაუბრუნა.

— ახლა იმღერეთ, — თქვა მეთაურმა.

— ოლეს! — შევუძახე ივაშჩენკოს, აბა ჩვენებური! მის თანხმობას აღარ დაველოდე დავიწყე:

ა მნე ქონკოი ნე ვაზიტსია,

ა მნე ქონკოი ნე ვიზიტსია, — ამყვა ოლესი.

ა თუთუნ და ლიულკა, კაზაკუ დაროზე პრიგადიტსია.

გეი, დალიონოუ, გეი! შირაკოიუ პრიგადიტსია...

გეი დალიონოუ, გეი! — ისე სჭექეს ბიჭებმა, რომ ჩვენი კარავი კინაღამ დაიშალა.

მხოლოდ ალიოშა ტარანენკო იდგა თავისთვის კარვის კუთხეში და პატარა ფოტოსურათს დასცქეროდა. რამდენი ხანია ვიცნობ ალიოშას და მხოლოდ ამ ერთი თვის წინათ გამიმხილა, რომ ცოლშვილიანია. გოგონა ჰყოლია. ალიოშას მეუღლე სურათის მიხედვით ძალიან ლამაზი ქალი უნდა იყოს, გოგონა კი ნამდვილი ხატია. ცოლს ვერა ჰქვია, გოგონას — ოქსანა.

ახლა ალიოშა ჩვენ არ გვეკუთვნის, იგი თავის სოფელშია, ცოლშვილთან. უკრაინაში მტერი დათარეშობს, ეს კარგად იცის ალიოშა ტარანენკომ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა ცეცხლი ანთია მის გულში.

...დილით, სანამ ბანაკიდან გავიდოდით, შარშავიცკიმ ფედია კომლევი იხმო. ჩვენთვის საგზალი გაემზადებინათ. რაოდენ დიდი იყო ფედიას სიხარული, როცა საჭმელთან ერთად არყით სავსე მათარაც მიიღო. პირდაპირ გასაკვირია ანტონ სუხოდოლსკის საქმე, თავად არაყს სათოფეზე არ ეკარება, არყის სუნსაც ვერ იტანს. ერთხელ ვკითხე, შენ რომ არ სვამ, არაყს რაღად ინახავ-მეთქი, სხვები რომ ასე დახარბებული სვამენ, მიხარიაო.

ახლაც ანტონს კომისრის „ხელუხლებელი“ მარაგიდან ერთი მათარა არაყი დაუთრევია და გვატანს.

ააშენა ღმერთმა!

...უკან დარჩა ბანაკი, ჩვენი ოცეულის გრძელი კარავი, უკან დარჩნენ ამხანაგები, წინ გზაა და, ალბათ, მრავალი ფათერაკიც.

ბიჭებმა გაგვაცილეს, ყველას, და განსაკუთრებით ლიზუნოვს, ძალიან უნდოდა გაეგო საით მივდიოდი, მაგრამ ბოიკოს ბრძანების გამხელის უფლება არ გვქონდა. თუმცა მიშას საიდუმლოს კი არა, სიცოცხლეს ვანდობდი. აბა შენ იცი-მეთქი, ვუთხარი და წავედით.

მთელი დღე ტყე-ტყე ვიარეთ, გზატკეცილს ახლოს არ გავკარებივართ. ჩემთვის კარგად არის ცნობილი მარშრუტი — ღამე სოფელ კოკოვჩინოს მახლობლად უნდა გავათიოთ, დილით კოკოვჩინოს დავზვერავთ და საღამომდე იქნებ კურეიშინოშიც მოვახერხოთ შეხვედრა, მერე იანოვო, პოსადი, ბუდა...

ბუდის ხსენებაზე ერმაკი და მისი ცოლი გამახსენდნენ. სად დაეხეტება ნეტა ერმაკი, ეს თვალწირპლიანი სატანა? დაასახლა თუ არა ბოგუშევსკში კომენდანტის თანაშემწემ ერთგული აგენტი? რამდენი პატიოსანი ადამიანი გაამწარა მის შემდეგ იმ გარეწარმა? იქნებ ბუდას დაუბრუნდა, იქნებ ჩააძაღლეს კიდეც. ნადია მაზნევა?

იანოვოში შესვლა აუცილებელია, იქ პოლიციელთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი იყო, ახლა ალბათ გარნიზონია, სპირტის ქარხანას იცავენ და მაზნევაც თავს უშიშრად გრძნობს.

ნეტავი რა იცის ჩემი? სად ვარ, რას ვაკეთებ? რა თქმა უნდა, ელოდინება, ანას ჩამოხრჩობას ხომ მთელი სოფელი ესწრებოდა, მეორე დღესვე შეიტყობდა შეფის ამბავს. იქნებ ერმამაც ინახულა და ყველაფერი ჩაუკაკლა. იქნებ მას შემდეგ მელოდება, ხაფანგი მზადა აქვს და თუ გავბედე და ბინაში მივაკითხე, თავზე პოლიციას დამასხამს და მერე ხელ-ხეფი გაეხსნება. სტიოპა ჩემს გვერდით მოაბიჯებს, სტიოპას ჯიბეში ნადია მაზნევას ნაჩუქარი დანა უდევს. გუმანით ხვდება, რომ ბოგუშევსკისკენ მივდივართ, ჩვენზე უკეთ იცნობს ამ ადგილებს და რაც უფრო წინ მივიწევთ, რაც უფრო ვუახლოვდებით მის მშობლიურ სოფელს, მით უფრო ღელავს, თუმცა არ იმჩნევს, თვალებს აქეთ-იქით არ აცეცებს, ყოჩაღად მიაბიჯებს.

კოკოვჩინოს ნაშუადღევის სამი საათისათვის ნახევარი კილომეტრით დავუახლოვდით. სოფელში ისროდნენ და უფრო ახლო მისვლა ვეღარ გავბედეთ. სოფლისაკენ სტიოპა გავგზავნე, მკაცრად ვუბრძანე ტყის პირას ხეზე ადი, სოფელი დაზვერე და რაც შეიძლება მალე დაბრუნდი-მეთქი.

სტიოპას ერთი საათიც არ დაჰგვიანებია, სირბილით მოვიდა და მითხრა, კოკოვჩინოში გერმანელები არიან, სამი სატვირთო და ერთი მსუბუქი მანქანა დავინახეო.

მაშ ასე, კოკოვჩინოში გერმანელები ჩაუყენებიათ, ალბათ ორშა-ლეპელის გზატკეცილის ახლო-მახლო რაც სოფლებია, ასევე გერმანელებს ექნებათ დაკავებული, მაგრამ ეს ჯერ ვარაუდია, საჭიროა დაზუსტება.

— სტიოპა, — ვეუბნები ბიჭს, — მოდი, ეს ღამე ჩვენს პირველ მიწურში გავათიოთ, ოღონდ გამოგიტყდები და, მე მიწურს ვერ მივაგნებ. ისევ შენ უნდა გვიშველო, თორემ იძულებული გავხდებით აქ, ამ ხის ძირას ვიძინოთ დილამდე.

სტიოპა არც კი დაფიქრებულა, უცებ მიპასუხა, მიწურში მიგიყვანთ, აქედან არც ისე შორსაა, ოღონდ შოსეზე გადასვლა დაგვჭირდებაო. ვსინჯოთ-მეთქი, ვუთხარი და მაშინვე გზას გავუდექით. სტიოპა წინ გაგვიძღვა.

შოსეს რომ მივუახლოვდით, კარგა შეღამებული იყო, მაგრამ მაინც შევისვენეთ და დავიცადეთ. ამასობაში სტიოპა ორჯერ გადავიდა შოსეზე და გვითხრა, ახლა შოსეზე კაცის ჭაჭანება არა ჩანს, კარგი დროაო. ფრთხილად გამოვედით ბუჩქებიდან, შოსე გადავირბინეთ და ტყეში შევედით.

— ეს ბიჭი რა ყოფილა, — მეუბნება კოტე, — მე სიბნელეში ვერაფერს ვხედავ, თქვენ ფეხის ხმას ბრმასავით მივყვები, ეს კი კატასავით იჭყიტებაო.

მიწურში რომ მივალთ, მაგ ბიჭის ამბავსაც მოგიყვები და ბევრ სხვა რამესაც მეთქი-ვუთხარი.

ცივა, სიხარულში სიცივეს ვერ ვგრძნობთ, მაგრამ მალე მივაღწევთ მიწურს, შევისვენებთ და ბელორუსული შემოდგომის სუსხიც შეგვახსენებს თავს.

სტიოპა ბილიკს მიჰყვება. ხანდახან ისე ჩქარობს, ვეღარ ვეწევი, ვერც ვერაფერს ვარჩევ და ვეძახი, ნაბიჯს მოუკელი-მეთქი. ჩემს მერე ფედია მოდის, სულ ბოლოს — კოტე.

სტიოპა შეჩერდა, ვაითუ გზა დაებნა, მაგრამ არა, ბილიკიდან გადავიდა და გამაფრთხილა, თავი დახარეთ, ხის ტოტებმა არ გაგკაწროთ, მიწური ახლოაო.

ახლოაო, დაბეჯითებით თქვა, თუმცა ამის შემდეგ კიდევ კარგახანს გვატარა და სულ რომ არ მოველოდით, მაშინ შედგა, მოვედითო. შემატყო, რომ შევცბუნდი, გაიცინა, თქვა აქ დამელოდეთო და წავიდა. ათიოდე წუთში მობრუნდა და წაგვიყვანა.

ძლივს გავარჩიე ოდნავ ამოზნექილი მიწაყრილი, ხელიც კი მოვაფათურე, მიწურზე ბალახი წამოზრდილიყო. მიწურში ჩასასვლელს სტიოპას დაუხმარებლად მივადექი და კარების შეღება რომ დავაპირე, უცებ შემეშინდა, იქნებ ჩვენი მიწური პოლიციელებმა აღმოაჩინეს და დანაღმეს-მეთქი.

ეჰ, რაც არის, არის, კარები მოვქაჩე, გაიღო, მიწურიდან ნესტისა და დახუთული ჰაერის ბუღი ამოვარდა, ცხვირ-პირში მეცა, ჩემდა უნებურად ხელი ცხვირზე ვიტაცე და უკან დავიხიე. მიწურში ჩასვლა შეუძლებელი იყო.

— ცოტა ხანს დავიცადოთ, იქნებ ჰაერი გაიწმინდოს. — ვუთხარი ბიჭებს და ზევით ამოვედი.

ფედიამ თუთუნი შეახვია, კვესი გაჰკრა და მოუკიდა, მერე ცეცხლმოკიდებული აბედი კოტეს მიაწოდა.

მეც გავაბოლე, დაღლილი ვიყავი და ძილი თვალებს მართმევდა. ამ მიწურის დიდი იმედი მქონდა, მეგონა ისევ სუფთად დაგვხვდებოდა ჩვენი პირველი თავშესაფარი, მივწვებოდი და გემოზე გამოვიძინებდი. უკვე შემცივდა, მიწურში თუ ვერ ჩავედით, აქ რა გაძლებს?

სტიოპა ხშირ-ხშირად ჩარბის მიწურში და ამბავი მოაქვს, ჰაერი თანდათან იწმინდებაო.

თუთუნის წევას რომ მოვრჩი, მიწურში თვითონ ჩავედი, ნესტის სუნი ისევ იდგა, მაგრაამ არც იმდენად, კაცს გაეძლებოდა. სტიოპამ ფიჩხი შეაგროვა, კარებთან დაყარა და როცა ცეცხლი გაჩაღდა მიწური მოვათვალიერე. კუთხეში პატარა ღუმელი გვედგა, ღუმელს გრძელი მილი ჰქონდა მიმაგრებული, ამ მილით კვამლი მიწურს ზევით ადიოდა და შორს იკარგებოდა. ღუმელი ადგილზე დაგვხვდა, მილიც ისევ ისე იყო ჭერში გარჭობილი, ეტყობა, ჩვენს შემდეგ აქ კაციშვილს ფეხი აღარ დაედგა.

ღამის გათევა შეგვიძლია, ბიჭებმა ნაძვს ხმელი ტოტები შეამტვრიეს, ფიჩხი შეაგროვეს. ფედია ღუმელს მიუჯდა და მალე გაახურა.

ფიჩხი გემოზე ტკაცუნებდა, თვალები მეხუჭებოდა, მაგრამ კუჭმაც თავისი მოითხოვა. ვივახშმეთ, ცოტა არაყიც დავაყოლეთ, მორიგეობა დავაწესეთ და მივწექით.

დილით რომ გამეღვიძა, მიწურში მხოლოდ ფედია და სტიოპა დავინახე. სტიოპა ახალგამოღვიძებული იყო, თვალებს იფშვნეტდა და რაღაცას თავისთვის ჩურჩულებდა.

რა იყო-მეთქი — ვკითხე.

მოსაკლავი ვართო, კოტე საყარაულოდ პირველი წავიდა, ჩვენ დაგვძინებია და აღარ გაუღვიძებივართო.

ფედიაც წამოდგა და მანაც მაშინვე კოტე იკითხა. მიწურიდან ამოვედით, ცინცხალმა დილამ მოგვმანათა. მზით, ნიავით, სიცივით შემოდიოდა განთიადი ტყეში. ციოდა, მაგრამ რას ნიშნავს ამ დროს სიცივე? შეგიძლია ყოველი ხის ძირას დაანთო კოცონი, ან უბრალოდ დადგე და მზე მიეფიცხო.

კაი გამოძინებულზე ასეთი ფიქრი როგორ არ გაგივლის გულში, მაგრამ ერთი კოტესაც ჰკითხეთ რა დღეშია!

ვეება ნაძვთან დგას მობუზული და ჩვენს გამოჩენას ელოდება. რატომ არ გაგვაღვიძეო, ჯერ ფედიამ ჰკითხა, მერე სტიოპამ.

შემეცოდეთო. ამ ერთი სიტყვით მოიშორა ორივე.

შემეცოდეთო...

— ჩადი მიწურში, კოტე, დაიძინე, ჩვენ დაგელოდებით. — ვუთხარი ქართულად.

— ერთი ნახევარი საათი თუ თავი არ მივდევი, დღეს კაცად აღარ ვივარგებ!

— ორი საათი მომიცია.

კოტე მიწურში ჩავიდა. მე ჩვენი ყოფილი ბანაკი შემოვიარე, ბევრი რამ გავიხსენე და გულზე ნაღველიც შემომაწვა. ხუტორიდან პირველად აქ მოგვიყვანეს, აქ გავიცანი ფედია ტკაჩენკო, მერე ერთად წავედით სოფლებში და ვასო ამ მიწურში დავტოვე.

ვასო!

იქნებ აწი ვეღარც კი დავხედო მის საფლავს, ტყის თეთრი ყვავილები ზამთარში გახმება, გაზაფხულზე ბალახით დაიფარება მზვერავთა სასაფლაო, დალპება ფიცრები, რომლებზეც ქიმიური ფანქრით აწერია ვასოს და კოლიას სახელები, ეს უსიერი ტყე შთანთქავს ყოველივეს.

დიდებული ბიჭია კოტე, ალალმართალი, უეშმაკო, უღალატო. სხვა მის ადგილას ასე არ მოიქცეოდა, სტიოპას თუ არა, ფედიას მაინც გააღვიძებდა და გაციებულ სხეულს თავადაც მოასვენებდა.

მიხარია და მეამაყება, რომ კოტე ასე საყვარელია და კეთილი.

ჩვენს ოცეულში მოსვლის მეოთხე თუ მეხუთე დღეს მკითხა, შენ და შენი ღმერთი, სიმართლე მითხარი, ეს ბიჭები ჩემზე რა აზრისანი არიანო. იქნებ ყველაფერი ისე არ გამომდის, როგორც საჭიროა, როგორც გულით მინდა და შენ უხერხულ მდგომარეობაში გაყენებო თუ ასეა, არ დამიმალო, პირში თქმა სჯობს და მეც ჩემს გზას ვეწევიო.

მერე და მერე, როცა ყველას შეეჩვია და შეეთვისა, სხვაგვარად ალაპარაკდა. ჩვენი ბიჭები ერთმანეთზე უკეთესები რომ არიან, ეს შენს კაი კაცობაზე ლაპარაკობსო.

მე რა შუაში ვარ-მეთქი.

შუაშიც შენა ხარ და ბოლოშიცო.

ამაზე მთელი ღამე ვიფიქრე, მართალი იყო თუ არა კოტე, ან რა წვლილი მედო მზვერავთა ძმობასა და სიყვარულში.

ჩვენ თითქმის თანატოლები ვართ, ახალგაზრდები. ერთმანეთს ჭირში შევხვდით, მტერთან ბრძოლამ, ტყემ, გაჭირვებამ გვასწავლა ურთიერთგატანა, ცოტა გამოგვაწრთო, ჩვენს ყმაწვილკაცურ ბუნებას სიმტკიცე შეჰმატა და ვერცერთი ჩვენთაგანი ამ ძმობისათვის პირველობას ვერ დაიჩემებს... ჩვენ სულ ერთმანეთზე ვფიქრობთ, წავიფორხილებთ თუ წავიქცევით, გვჯერა ამხანაგი მოვა და წამოგვაყენებს. შიმშილიც ბევრჯერ ვიწვნიეთ და წყურვილიც, მაგრამ თუ გვშია, უერთმანეთოდ, ჩუმად, ღორმუცელურად არასოდეს ლუკმა არ გვიჭამია, თხილის გულს ცხრა ნაწილად ვყოფთ და ამ ჩვევას, ამ კანონს ვერავითარი ძალა ვერ შესცვლის...

ფედიასა და სტიოპას სოკო მოეგროვებინათ, ცეცხლიც დაენთოთ და მეძახდნენ.

სიამოვნებით მოვუჯექი კოცონს ღუზღუზებდა შეშა, თანდათან ნაკვერჩხლდებოდა და მისი სიმხურვალე მთელს სხეულს ედებოდა.

**მინაწერი:**

„ცეცხლი გატკბა, იტყოდა ბაბუა მაქსიმე ზამთრის პირზე, თუმცა ასეთი სიცივე ჩვენში შუა ზამთარშიც არ იცის.

ბუხარს მივეხურხლებოდით, ბაბუას თავისი განკუთვნილი ადგილი ჰქონდა, იმ ადგილას მუდამ იდგა სამფეხა სკამი. ბიჭი იყავი და ზედ დაჯდებოდი. ფეხებს ცეცხლი დაგვიტრუსავდა, ზურგზე კი გვციოდა.

— იყიდე, შე კაცო, ერთი ფეჩი, დეგვეხოცა ბალნები სიცივით.—ეტყოდა ბაბუას ბებიაჩემი.

მაქსიმე ბაბუა ჩიბუხს მოქაჩავდა, ცეცხლში ჩააპურჭყებდა და ბებიაჩემს სიტყვას შეუსწორებდა, ფეჩს ქართულად ღუმელი ჰქვიაო.

ამას რომ იტყოდა, ამაყად გადმოგვხედავდა, ჩვენ თვალებდაჭყეტილნი მივჩერებოდით ცალ თვალში. ბაბუაჩემზე განათლებული კაცი ქვეყანაზე მეორე თუ დაიარებოდა, ვერ წარმოგვედგინა. პირველ მსოფლიო ომში იყო ნამყოფი, ხანდახან ისეთ ამბებს გვიყვებოდა, შიშით მთელი ღამე არ გვეძინა.

შეშა დანაკვერჩხალდა, მაგრამ ნაკვერჩხლებზე სოკოების მოწყობას ფედია არ ჩქარობდა, იქნებ კოტემაც გაიღვიძოს, ახალშემწვარი სოკო ეამებაო.

სტიოპა ჩუმ-ჩუმად ყლაპავს ნერწყვს, ეტყობა, შიმშილისაგან მუცელი ეწვის და სული კბილით უჭირავს.

მეც მშია, სიამოვნებით შევექცეოდი შემწვარ წითელ სოკოს. მაინც რამდენია, რა ლამაზებია! ცეცხლის დანთების საშუალება რომ არ იყოს, უმადაც შეჭამს კაცი.

ფედიამ პური ამოიღო, შუაზე გაჭრა და ცეცხლს მიაფიცხა. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ან უნდა ავდგე და გავიარო, ან არადა, ერთი ლუკმა მაინც უნდა ჩავიდო პირში. საათს დავხედე. ბიჭოს! კოტეს დაძინებიდან საათნახევარი გასულა. ნახევარ საათს როგორ არ უნდა გაუძლოს ვაჟკაცმა, მაგრამ, ვენაცვალე კოწია ქორჟოლიანს, სწორედ ამ დროს არ ამოალაჯა მიწურიდან!

ფედიამ უცებ დააწყო სოკო ნაკვერჩხლებზე და კოტეს დაუძახა. ახლავე მოვალო, გამოეპასუხა კოტე, გაიარა, მოვიდა და თქვა:

— ამ ტყეს ერთი დიდი ნაკლი აქვს, ხელპირს ვერსად დაიბან.

— წყარო მოგინდა?

— რატომაც არა, ჩვენში ამოდენა ტყე სად არის, მარა წყარო ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. ხელ-პირდაუბანელად საუზმეს რა გემო აქვს? დედაჩემი კეთილი ქალია, გალახვა კი არა, მისგან ხმამაღალი სიტყვაც არ მახსოვს, მარა სადილს ხელდაუბანლად თუ მივუჯდებოდი, დამიცაცხანებდა, ხელები დაიბანე, თვარა მაგ ხელის კვანჩხებს მიგამტვრევო.

შემწვარი წითელი სოკო ხელდაუბანელადაც დიდი სიამოვნებით გეახელით, კარგმა საუზმემ არაყიც მოიხდინა, დავნაყრდით და წამოვიშალენით. კოტემ მიწურის კარები ჩაკეტა.

მე ამ დღის გეგმა უკვე მოფიქრებული მქონდა.

რუკა გავშალე. ახლა ორიენტირება ადვილია, ზუსტად ვიცი, სად ვიმყოფებით. ჩვენს უკან შოსეა და სოფელი კოკოვჩინო. წინ, ორ კილომეტრის მანძილზე იანოვოა, მაგრამ იანოვოში ამჯერად არ შევივლით, თუ ბოგუშევსკიდან მშვიდობით დავბრუნდით, აქეთ გამოვლისას ვცდი ბედს. იანოვოს მერე სოფელი პოსოდია, მერე ბუდა, მერე სენო-ბოგუშევსკის გზატკეცილი. ჩვენ გზატკეცილი უნდა გადავჭრათ, ანტონის სოფელი ვოროშილა იქვეა, იგნატის (ჩვენებურად — ეგნატეს) ნახვა აუცილებელია, ვიცი, რა მოუთმენლად მოელის სუხოდოლსკი ჩვენს დაბრუნებას, ოჯახის ამბავი ხომ უნდა მივუტანო და ისედაც იქნებ რამე გვირჩიოს ეგნატემ.

გზატკეცილამდე შეგვიძლია ტყე-ტყე ვიაროთ, წინ ჭაობიანი, ადგილებიც არის, მაგრამ აქაური ჭაობი გაუვალი როდია.

გეგმა ბიჭებს გავაცანი, მეგონა სიტყვის შეუბრუნებლად დამეთანხმებოდნენ, მაგრამ არ გავვოცებულვარ, როცა კოტემ მორიდებით გამოთქვა თავისი მოსაზრება.

რაკი ეს სოფლები ტყესთან ახლოა განლაგებული, სჯობს გზადაგზა დავზვეროთ, გავიგოთ გერმანელები ან პოლიციელები დგანან თუ არაო. ჩვენმა სტიოპამ ის სოფელი რომ დაზვერა და გერმანელების მანქანები დაინახა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, იქნებ გერმანელები სოფელში გავლით იყვნენო. ბოგუშევსკიდან ღმერთმა მშვიდობით დაგვაბრუნოს, მაგრამ იქნებ გაქცევა მოგვიხდეს ამ სოფლებისათვის ვეღარ მოვიცალოთო.

ვერაფერში შევედავები, რაც თქვა, ნაღდია და მეც დავეთანხმე.

ერთიც მივიხედ-მოვიხედეთ, ბილიკი მოვძებნეთ და დავადექით, მალე ბილიკმა ტყის სიღრმისაკენ, გაუხვია და საშველად ისევ ჩვენს მეგზურს, სტიოპას მოვუხმეთ.

ბილიკს, პარტიზანთა ამ ერთგულ მეკავშირეს გამოვეთხოვეთ. ყველას არა აქვს და არც იცის რუკა, არც კომპასი მოეპოვება და ამიტომ ტყიდან გზის გასაგებად ბილიკს ეძებს. ტყეში უთვალავი ბილიკია, რომელსაც არ უნდა გაჰყვე ან გზატკეცილზე გაგიყვანს, ან რომელიმე პარტიზანულ ბანაკში ამოგაყოფინებს თავს.

აქ ტყე ხშირია და მოძრაობა გაგვიჭირდა.

იანოვოს რომ დავუახლოვდით, შევისვენეთ. სოფლიდან ძაღლების ყეფა ისმის, ცოტა არ იყოს, შიში შემეპარა, ვაითუ გერმანელები პოლიციელთა დახმარებით ტყის „გაწმენდას" აპირებენ-მეთქი. ესესელებს ეს წესად აქვთ. სოფელში რომ დაბანაკდებიან, წინ პოლიციელებს გაირეკავენ და ტყეს მიადგებიან, ჯერ ტყვიას დაუშენენ, მერე ტყეში შესვლასაც ბედავენ. ამ დროს მათ წინ დაგეშილი ძაღლები მიუძღვიან.

ფედიამ თქვა გერმანული ძაღლები ასე არ ყეფენო. სტიოპამ მთხოვა, გამიშვი, ყველაფერს შევიტყობ და მოგახსენებო. შევყოყმანდი, ვაითუ ბიჭმა ცდუნებას ვერ სძლიოს და სოფელში შეძვრეს-მეთქი.

— სტიოპა, შენ ამ ჯგუფში ჩვენი ტოლსწორი ხარ, ბრძანების შესრულება ისე მოგეთხოვება, როგორც თვითეულ ჩვენთაგანს. ეს გახსოვდეს. ახლა ჩემი სიტყვა კანონად მიიღე და შეასრულე. წადი, ფრთხილად აძვერი ნაძვზე და სოფელი მოათვალიერე. ამჯერად სხვა არაფერი გვჭირდება. აბა გასწი!

სტიოპა გაიქცა და მალე ტყეში მიიმალა.

ვზივართ და ველოდებით. მე მაინც ვღელავ. ბიჭს ხელი რომ სტაცონ, ჩამოჰკიდებენ. იანოვოში ხომ ნადია მაზნევაა, სტიოპას ოჯახის, ყველა პატიოსანი ოჯახის დაუძინებელი მტერი.

ძაღლები ხან ყეფენ, ხან ყმუიან. ფედია თავს აქნევს, ესაო და მართალი ვარო, გერმანული ძაღლები არ ყმუიანო ეშმაკმა უწყის ყმუიან თუ არა!

კოტე, იმ შენს ჭურში მართლა ასი ფუთი ღვინო ჩადის? — ეკითხება ფედია.

— ასეა. — უხალისოდ უპასუხებს კოტე.

— მერე ამდენი ღვინო ვინ უნდა დალიოს?

— არ ეშვება ფედია.

— მე და მამაჩემმა, სტუმრებმა და მეზობლებმა.

— ბევრია. — თანდათან ითრევს საუბარში კომლევი მეგობარს. — ალბათ ჰყიდით.

— არა, ჩვენ ღვინოს არ ვყიდით, ვსვამთ. ღვინოს რომ გაჰყიდის, იგი რა ვაჟკაციაო, ამბობს მამაჩემი.

ამ ბოლო დროს კოტემ შესამჩნევად გაიტეხა ენა. თამამია, თან, ეტყობა, ენის შეთვისების უნარიც აქვს, თან მეც ვაქეზებ, აქ ვისი გერიდება, როგორც მოახერხო, სათქმელი ისე თქვიმეთქი.

ასე თუ წავიდა ჩემი რუსულის საქმე, მალე წყალივით ვილაპარაკებ და სოფელში რომ ჩავალ, აფიშას გამოვაკრავ, „პარტიზანთა მამაცურ ბრძოლაზე რუსულად ლექციას წაიკითხავს კოტე ქორქოლიანი" ოღონდ ჯერ ჩემთვის კოტე არავის დაუძახნია, შეიძლება ვერც გაიგონ მე ვარ თუ არა. სოფელში კოწიას მეძახიან, შენი გამოგონება მომწონს და, ვიცი, კოტე რატომ შემარქვი კოწია ნამეტანი ქართულია, კონსტანტინე რუსულს ჰგავს, კოტე კი ნაღდი ქართულიაო.

სტიოპა პირველად კოტემ დაინახა და დაიყვირა, — აგერ, ჩვენი ბიჭიო.

— სოფელში გერმანელები არ დამინახავს, სპირტის ქარხანასთან ორი პოლიციელი იდგა, ეს იყო და ეს.

— ძალიან კარგი, ჩემო სტიოპა, წავიდეთ!

გერმანელები არც სოფელ პოსადში იდგნენ და ჩვენც შეუჩერებლივ გავწიეთ ბუდისაკენ. ბუდაში ისროდნენ, ძაღლები ყეფდნენ და ერთი წიოკი იდგა. ეს ჩვენც შევნიშნეთ და ბუდა უკან მოვიტოვეთ.

მალე ჭაობი დაიწყო, მაგრამ ეს არ ჰგავდა იმ ტურტლიან მოტორტმანე ჭაობს, რომელმაც ივანე გრებნევი შთანთქა. წყალი კოჭებამდეც ვერ გვწვდებოდა და ჩვენც ჭაობი ადვილად გადავლახეთ. სენო-ბოგუშევსკის გზატკეცილიდან გერმანელთა მანქანების გუგუნი ისმოდა. დაღამებამდე გზის გადაჭრა არ შეიძლებოდა და დავიცადეთ.

ფედიამ დარჩენილი პური ოთხად გაჭრა, ზედ ქონის პატარა-პატარა ნაჭრებიც დაადო და ჩამოგვირიგა.

მე არაყზე უარი ვთქვი, კოტემ და ფედიამ ჩემი და სტიოპას სადღეგრძელო შესვეს.

დაღამდა თუ არა, ტყის პირას გავედით, გზატკეცილიც იქვე იყო, მაგრამ მანქანები აღარ მოძრაობდნენ. შორს, ბოგუშევსკში გერმანელები მაშხალებს ისროდნენ. რომელიღაც შენობაზე პროჟექტორიც დაედგათ. პროჟექტორი მეტწილად გზატკეცილს ანათებდა, ხანდახან მისი შუქი რკინიგზასაც დაარტყამდა. ჩვენც ამ შუალედში უნდა გადაგვერბინა გზატკეცილი. ბუჩქებში ჩავცუცქდით. კაცის გული ეჭვიანია, განსაცდელის დროს ეს ეჭვი მატულობს და ფრთხილობ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ პროჟექტორის შუქი გზატკეცილზე დიდხანს გაწვა და აღარ იძვროდა. ვაითუ შეგვნიშნესმეთქი, გამიელვა. შუქი ვეებერთელა ურჩხულივით წევს შუა გზაზე და ცახცახებს.

იქნებ იმ ოჯახდაქცეულ გერმანელს, ვინც პროჟექტორს მართავს, სულ მიავიწყდა მოვალეობა და შუქი დილამდე გზაზე დატოვა. მაგრამ შუქი ნელა დაიძრა, ტყის პირს ჩამოუარა და რკინიგზისკენ გადაინაცვლა.

კოტეს ხელი წავკარი და წელში მოხრილი გავიქეცი. სტიოპამ გადამასწრო. ვიცი ეს მას თავხედობით არ მოსვლია, არც შიშით. ძალიან პატარა მონაკვეთია გადასარბენი, დიდიდიდი ერთ წუთს მოუნდე, მაგრამ ამ ერთ წუთშიც ბევრი რამეა მოსალოდნელი და ბიჭს უნდა ფათერაკს პირველი შეხვდეს, მე დამიფაროს.

გზატკეცილის იქით დაბალი ბუჩქნარია, მერე საგანგებოდ აჭრილი ტყე. ავტოკოლონების მოძრაობა რომ უშიშარი გაეხადათ, გერმანელებმა გზატკეცილის ორივე მხარეს მოსახლეობას თითქმის ორმოც მეტრამდე ტყე გააკაფვინეს.

ბუჩქნარი და განაკაფი გადავირბინეთ, ტყეში შევედით, მაგრამ წამითაც არ დავყოვნებულვართ, გზა განვაგრძეთ. ძალიანაც რომ გვდომებოდა, ვერც შევჩერდებოდით, რადგან განაკაფის შემდეგ პირდაპირ ჭაობში მოვხვდით. რუკაზე აღნიშნულია, რომ ეს ჭაობი გაუვალი არ არის, მაგრამ ამ უკუნ ღამეში რა იცი სად შეტოპავ.

წინ მივიწევთ, გზატკეცილს ორ კილომეტრზე მაინც უნდა დავშორდეთ. მერე შესვენებაც შეიძლება და ფიქრიც. ჭაობიდან მშრალზე მალე გავედით და ფეხს ავუჩქარეთ. ფედიას კომპასი გვშველის. ვიცით, პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ უნდა ვიაროთ, მარცხნივაც შეიძლება გახვევა, ოღონდ მარჯვნივ, აღმოსავლეთისაკენ არა. იქნება პირდაპირ ბოგუშევსკის დაცვას მიადგე.

ღამით ტყეში ერთი კილომეტრის გავლას დაახლოებით ნახევარი საათი უნდა, ჩვენ უკვე მეორე საათია მივდივართ, მაგრამ ჯერ ადრეა შეჩერება, რაც უფრო ღრმად შევალთ ტყეში მით უკეთესია. მართალია, სოფელ ვოროშილასთან ტყე თითქოს მთავრდება, მაგრამ მე კარგად ვიცნობ ამ მიდამოებს. ვოროშილას ირგვლივ ტყე აკრავს, გამოხვალ სოფელს გადაივლი და, რომელ მხარესაც არ უნდა წახვიდე, ისევ ტყეა.

იქნებ ამ ღამითვე მივსულიყავით ეგნატესთან, იქნებ გვეკითხა რომელი მხრიდან უფრო ადვილია ბოგუშევსკში შესვლა?

საერთოდ ტყით გარშემორტყმულ სოფლებში გერმანელები ღამის გასათევად არ ჩერდე-

ბიან, თუმცა ვოროშილა ძალზე ახლოა ბოგუშევსკთან და, ვინ იცის.., თუ გერმანელები არა, პოლიციელები მაინც იქნებიან. ასე ცხვირწინ გერმანელები სოფელს უმეთვალყუროდ არ მიატოვებენ. ის ღამე გამახსენდა, ვალოდია კორაპუშევმა დაჭრილი ვოროშილაში რომ მიმიყვანა, ძია ეგნატეს საბძელზე ამაყუდა. მომაგონდა ანტონის დედის მალამო და ტკბილი ხელი, მერე გზა ხუტორამდე...

მაინც რა აძლებინებს ანტონს უდედმამოდ? ჩვენი საქმე სხვაა, აქ მშობლებზე და ახლობლებზე მხოლოდ ფიქრი შეგვიძლია, ანტონი კი როგორ ითმენს, როგორ სძლებს დედის უნახავად?

იქნებ აწვდენს ხმას, ამბავს იგებს. ოლია კარპოვიჩის მზვერავ გოგონათა შორის ხომ ანტონის ბიძაშვილიც არის, ტანია. გაბედული და მოხერხებული გოგოაო, მითხრა ერთხელ ოლიამ. ლეონ ცურანის ქალიშვილი ლიდა და სუხოდოლსკის და ტანია სადაც გინდა გაგზავნე და მშვიდად დაიძინეო.

ამ ფიქრში ნაძვისხეს დავეჯახე და გამოვფხიზლდი. საათს დავხედე, ცხრა შესრულებულა.

ხის ძირას ჩავჯექით, თუთუნი შევახვიეთ, ფედიამ კვეს-აბედი მოგვაშველა, ისევ ფიქრში წავედი. რა სჯობს: ახლავე გავგზავნო ფედია და სტიოპა ბოგუშევსკში თუ გათენებას დაველოდო და ძია ეგნატე დავიხმარო? ვთქვათ, ახლავე წავიდნენ ბიჭები, ინახულეს იატაკქვეშელი, სათქმელი უთხრეს, ბარათი გადასცეს და პასუხიც წამოიღეს. მოაგნებენ ამ ადგილს?

— ბიჭებო, დავალების შესასრულებლად ჩვენთვის დრო არ განუსაზღვრიათ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტყეში მთელი კვირა ვისხდეთ. ვთქვათ როგორ მოვიქცეთ, ამაღამვე „ავიღოთ“ ბოგუშევსკი თუ გათენებას დაველოდოთ და ანტონის მამას, ეგნატეს მოვეთათბიროთ? ვოროშილა, ანტონის სოფელი აქვეა, სოფელში ანტონის დედ-მამა ცხოვრობს, საიმედო ადამიანები არიან, რაიმეს გვირჩევენ. ასე ბრმად ბოგუშევსკში შესვლა სარისკოა, მეშინია. ბოგუშევსკი რკინიგზის მნიშვნელოვანი კვანძია, ხომ დაინახეთ პროჟექტორი? ადვილი არ არის რაიონში შეღწევა და იატაკქვეშელის პოვნა.

— მისამართი ხომ ვიცით? — იკითხა ფედიამ.

— მერე რა, რომ ვიცით, ჰკითხავ ვინმეს ესა და ეს ქუჩა რომელ მხარეს არისო თუ? დარწმუნებული ვარ, ანტონის მამას თვალდახუჭული შეუძლია ბოგუშევსკის ქუჩებში გავლა, მიგვასწავლის გაუწვალებლად, ვისმეს შეუკითხავად როგორ მივაგნოთ იატაკქვეშელს. იქნებ ახლა იმ მისამართზე აღარც კი ცხოვრობს ჩვენი მეკავშირე.

— ბოგუშევსკში ნამყოფი ვარ. — ჩაილაპარაკა სტიოპამ. — ორჯერ ვახლდი დედას.

— ცოტაა. — თქვა ფედიამ. — ბოგუშევსკს მეც ვიცნობ, თუმცა უფრო ხშირად სენოში მიხდებოდა ყოფნა. ჩემი სოფელი სენოს რაიონში შედის. თქვენ მართალი ხართ, შტაბის უფროსის მამის ნახვა აუცილებელია. ოღონდ რატომ უნდა დაველოდოთ გათენებას? ახლავე გავსწიოთ ვოროშილაში.

ფედიას რჩევა ჭკუაში დამიჯდა, ძია ეგნატეს ნახვა ახლაც შეიძლება, მაგრამ მოვიგონებ მის სახლს? ბელორუსულ სოფლებში სახლები ერთმანეთს ტყუპებივით ჰგვანან, ვინ იცის, ვის კარზე მიაკაკუნებ ამ შუაღამით. ახლა ყველაფერი ჩემს მეხსიერებაზე ჰკიდია, მაგრამ რომ აღარაფერი მახსოვს. მაშინ მე მხოლოდ ჭრილობაზე, მხოლოდ ტკივილის გაყუჩებაზე ვფიქრობდი. უნდა ვაღიარო, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია. ჩვენს პირობებში ყოველი წვრილმანი უნდა დაიხსომო, გონებაში ჩაიჭედო და, სანამ შეგიძლია, ატარო. რა იცი, სად ნახული სად გამოგადგება, სოფელში შესვლა მაინც ღამით სჯობს.

— წავიდეთ, ბიჭებო, ვინახულოთ იგნატ სუხოდოლსკი!

ტყის პირს რომ მივაღწიეთ, შევდექით. წინ, სამასიოდე მეტრის მოშორებით სოფელ ვოროშილას ეძინა.

სახლები ღამის სიბნელეს შთაენთქა, მაგრამ ისლის სახურავების გარჩევა მაინც შეიძლებოდა.

ნეტა ანტონის ბიძაშვილი, ტანია წამომეყვანა-მეთქი, გავიფიქრე.

ფედიამ და კოტემ ავტომატები მოიმარჯვეს, მე და სტიოპა პატიმრებივით მოგვიმწყვდიეს შუაში და დავიძარით. კოტეს ავტომატი შეუმართავს, ღმერთმა ნუ დაგვაჭიროს.

პატარა მინდორი გადავიარეთ და რომელიღაც მოსახლის ეზოში ამოვჩნდით. კარგად ვარჩევ სახლს, საბძელს, რომელიც სახლიდან დაშორებით დგას და მაშინვე მეორე ეზოში თუ ბოსტანში გადამყავს ბიჭები. ძია ეგნატეს საბძელი პირდაპირ სახლზეა მიდგმული, ეს დანამდვილებით ვიცი. მეორე სახლი იმდენად პატარა იყო, არც კი შევჩერებულვარ, პირდაპირ მესამე მოსახლისაკენ გავწიეთ. ერთბაშად ღობეზე გადასვლა არ დაგვჭირდეს, აქ ყველაფერი გაპარტახებულია, ღობეები, ეტყობა შეშად გამოიყენეს ზამთარში.

მესამე მოსახლის ბოსტანში შევჩერდი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საბძელი სახლზეა მიდგმული, მეორეც, საბძლიდან სანთლის მკრთალ შუქს მოვკარი თვალი. საბძელში სინათლეს რა უნდა?

სტიოპას ხელი წავკარი, მიდი, გაიგე, რა ხდება-მეთქი. სტიოპა საბძელთან მიიპარა, შეიჭვრიტა და მაშინვე ჩვენკენ წამოვიდა.

საბძელში ვიღაც ხნიერი ქალი კასრიდან წნილს იღებსო.

ფეხაკრეფით მივედი საბძელთან და ღრიჭოდ

დატოვებულ კარში შევიხედე. ქალს ცალ ხელში სანთელი ეჭირა, მეორეთი კასრიდან კომბოსტოს მწნილს იღებდა და იქვე, მეორე კასრზე დადგმულ ჯამზე აწყობდა. ჯამი მწნილით რომ გაავსო, კასრს სახურავი დაახურა და შემობრუნდა. კინაღამ ვიყვირე, ანტონის დედა, ალექსანდრა იყო.

კარი გამოვაღე და, მოხუცს რომ არ შეშინებოდა, მაშინვე გამოვეცნაურე.

— ბიცოლა ალექსანდრა, არ შეგეშინდეთ, მე ანტონის მეგობარი ვარ. სანთელმა ქალის ხელში ცახცახი დაიწყო, მივუახლოვდი.

— გამარჯობათ, ბიცოლა ალექსანდრა!

სანთლიანი ხელი ასწია, მომანათა, მაგრამ შევატყვე ვერ მიცნო.

— ანტონმა მთხოვა, ჩემიანებთან შეიარე, ამბავი გამიგეო. მეც ტყიდან გადმოვუხვიე. ანტონი კარგად არის, ტანიაც... მაგრამ თქვენ მაინც ვერ მიცანით ხომ?

— თქვენ, შენ... — ამოილუღლუღა მან.

— დიახ, მე ვარ, ერთხელ ვიყავი თქვენთან, თქვენ ჰრილობა შემიხვიეთ, მერე იგნატ პლატონიჩმა ხუტორზე წამიყვანა.

— —ოი, შვილებო, სულ გამოვჩერჩეტდი მე უბედური, გიცანი, შვილო, ახლა გიცანი, შენ ხომ ისა ხარ, კავკასიელი...

— დიახ, ქართველი ვარ, ძია იგნატი როგორ ბრძანდება?

— ცოცხალია, ეშმაკმა წაიღოს მაგის ბეხრეკი თავი, სადღაც დაძვრება. ეს-ეს არის გასავათებული მოვიდა. მარტო ხარ, შვილო?

— მარტო არა ვარ, ბიცოლა ალექსანდრა, მეგობრები მახლავს, თუ შეიძლება ძია იგნატეს ენახავთ და ჩვენს გზას ვეწევით.

ანტონის დედამ სანთელი გამომიწოდა, დამიჭირეო, ჯამს ხელი დაავლო და სახლში ასასვლელი სამსაფეხურიანი კიბე ყმაწვილი ქალივით აირბინა.

— გაიღვიძე, იგნატ, ანტონის ამხანაგები არიან! — მომესმა ოთახიდან ბიცოლა ალექსანდრას ხმა.

საბძლიდან გამოვიხედე, ბიჭებს ვანიშნე მოდით-მეთქი. მალე ყველანი ჩემთვის კარგად ნაცნობ ოთახში ვიყავით. სანამ ანტონის დედა კასრიდან მწნილს იღებდა, ძია იგნატს ტახტზე მისძინებოდა. ჩვენ რომ შევედით, ფეხზე იდგა, ლამფა აენთო და გველოდა.

— გამარჯობათ, იგნატ პლატონიჩ!

ხელი მაგრად ჩამომართვა, დიდი ხნის წვერგაუპარსავი იყო და მოტეხილიც მეჩვენა.

— გამარჯობათ, გამარჯობა! — ყველას მიესალმა და ისევ მე მომმართა: — მიხარია შენი ნახვა, ანტონი კი მომენატრა, დასხედით, აგერ სკამი, ზოგი ტახტზე ჩამოჯექით. — სკამი მე დამიდგა, ბიჭები ტახტზე დასვა, თავადაც იქვე დაჯდა და სტიოპა გვერდით მოისვა. ანტონის დედამ უმცროსი ბიჭი გააღვიძა, ადექი, თბილად ჩაიცვი და ეზოში გადიო. ეტყობოდა, ბიჭმა თავისი მოვალეობა კარგად იცოდა, გაწვრთნილი იყო, წუთში მოეწყო და საბძლიდან გავიდა.

— აბა ალექსანდრა, მგელივით მშია, გვაჭამე რამე, ალბათ არც ეს ახალგაზრდები იტყვიან უარს ვახშამზე. დატრიალდი, რა ხანია ჩემს ოჯახში პატიოსან კაცს არ შემოუხედავს...

ბიცოლა ალექსანდრას რაღა მეუღლის წაქეზება უნდოდა, იგი უკვე მაგიდას აწყობდა.

— შამ ამბობს, ანტონი კარგად არის, არა?

— კარგად არის, იგნატ პლატონიჩ, ძალიან კარგად. თქვენი შვილი ჩვენი რაზმის შტაბის უფროსია და, წარმოიდგინეთ, მეც კი მაძლევს დავალებებს და საკმაოდ ჭკვიანურსაც. — ვითომ გავისაუბრე — ტანიაც მოღვაწეობს, მზვერავ გოგონათა ჯგუფში. სხვა რაღა გითხრა, რაზმი, ბრიგადა მოქმედებს, მსხვერპლი ცოტაა...

— ეს ყმაწვილები?

— ეს ფედია კომლევია, თქვენებურია, სენოს რაიონიდან არის. ეს სტიოპა სენკევიჩია, ესეც თქვენი კარიყურის მეზობელია, იანოვოს მკვიდრია. ეს კი ჩემი მიწა-წყლის შვილია, კოტე ქორჟოლიანი.

— ის მაღალი ყმაწვილი სადღაა, მგონი ვალოდია ერქვა.

— სტამბოლის კაჟივით არის, იგნატ პლატონიჩ, თქვენთან მოკითხვა დამაბარა.

ვიცრუე, მაგრამ არ მინანია, ვალოდია კორპუშევს რომ სცოდნოდა ანტონის მამას ვინახულებდი, რა თქმა უნდა, მოკითხვას არ დაიშურებდა.

ბიცოლა ალექსანდრამ მაგიდასთან მიგვიწვია, სკამები არ გვეყო, მაგიდა ტახტთან მივაცურეთ.

ბორში უხორცო, იყო, მაგრამ დიდი ხანია წვნიანი არ გვეჭამა და სიამოვნებით დავიწყეთ ხვრეპა.

— არაყზე არ დამემდუროთ, არყის სუნიც კი დამავიწყდა. — მოგვიბოდიშა ძია იგნატმა.

ფედიამ მათარა მოიძია და დარჩენილი არაყი ოთხ თანასწორ ნაწილად ჩაასხა ჭიქებში.

ძია იგნატმა ჭიქა აიღო, დაყნოსა და თავი გადაიქნია, სიამოვნებით დავუთმობდი ჩემს წილს, მაგრამ ვერ შევბედე.

— ყოჩაღად იყავით! — თქვა და გადაჰკრა.

მე და კოტემ ერთმანეთს ჭიქები მივუჯახუნეთ.

ქისა ამოვიღე. ძია იგნატს მივაწოდე. მან ჩიბუხი გატენა, მოუკიდა, მოქაჩა და შემომხედა, მივხვდი, რაც უნდოდა და მიკიბ-მოკიბვა აღარ დამიწყია.

— ბოგუშევსკში მივდივართ, იგნატ პლატონიჩ!

— აა! — გაოცდა.

— როგორმე უნდა შევაღწიოთ, ეს აუცილებელია. იქ ჩვენი კაცია, ბარათი უნდა გადავცეთ.

— ადვილად ლაპარაკობ...

— დღეს ადვილად საერთოდ არაფერი კეთდება, მაგრამ რას იზამ, თვით ბრიგადის მეთაურის ბრძანებაა.

— შეუძლებელია!

მე ბიჭებს გადავხედე. იგნატის ასე მოჭრილმა უარმა უცებ გამიფუჭა გუნება, იგნატ სუხოდოლსკი ტყუილუბრალოდ, ჰაერზე არისვრის სიტყვას.

— ბოგუშევსკში ესესის ორი ბატალიონი დგას, საგანგებოდ იცავენ რკინიგზას, ხომ გესმით რას ნიშნავს ესესის ორი ბატალიონი? ცხვირს ვერ შეჰყოფ.

— როგორ მოვიქცეთ, იგნატ პლატონიჩ, რაკი გვიბრძანეს, რაკი ამოდენა მანძილზე გამოგვგზავნეს, იმ კაცის ნახვა საჭიროა, ასე ერთბაშად ნუ გადავიწურავთ ყველა იმედს. ჩვენ ხელცარიელნი უკან ველარ დავბრუნდებით. ვცდით. ასე არ არის, ბიჭებო?! — დავიმოწმე ამხანაგები.

— ცდას ფასი მაშინ აქვს, ცოტაოდენი იმედი მაინც თუ გრჩება. თვითმკვლელობა სისულელეა. ბოგუშევსკში ვერ შეხვალთ, არ გამოვა.

ანტონის დედა ოთახის კუთხეში იჯდა, გვისმენდა.

კოტე ძია იგნატს მისჩერებოდა, ფედია თუთუნს ქაჩავდა, სტიოპას თვალები დაეწკურა, ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა, თითქოს მოხუცს დასცინოდა, გაჩვენებ, თუ ბოგუშევსკში შესვლა არ შეიძლებაო...

მე კი...

მე ვფიქრობდი, გულს ვებრძოდი, იგნატ სუხოდოლსკი ჭკვიანი, განათლებული და გამოცდილი კაცია, იცის, ჩვენზე მეტი იცის, ხედავს, რაც ხდება რაიონის ცენტრში და სასაკლაოზე არ გვიშვებს.

რა გზაღა რჩება?

განზრახვაზე ხელი ავიღო და უკან გავბრუნდე? როგორღა ვიმართლო თავი უფროსების, ამხანაგების წინაშე? რა ვთქვა, მოხუცმა იგნატმა დაგვაშინა და ბოგუშევსკში შესვლა არც კი გვიცდია-მეთქი?

ნეტავი რა წერია იატაკქვეშელისათვის გადასაცემ ბარათში?

ჯიბეზე ხელი მოვისვი, ბარათი ადგილზეა. რატომ გამომატანეს ბარათი? შემეძლო ბრძანება დამეზეპირებინა. რად დასჭირდათ ეს მრავალგზის დაწუნებული ხერხი?

როგორ გამიხარდა ანტონის მშობლების ნახვა და როგორ გავწბილდი. რა იქნება ბოგუშევსკში სტიოპა რომ შევგზავნო ამ ღამით? რომ ჩავარდეს?

ცდას მაშინ აქვს ფასი, ცოტაოდენი იმედი მაინც თუ გრჩებაო, პირდაპირ გეუბნება ეს ბრძენი მოხუცი.

არ უნდა დაუჯერო?

ძია იგნატი წვერს იჩიჩქნის, ჩიბუხს უპაკუნებს, ჩიბუხი ჩაქრობია, მაგრამ მაინც არ ეშვება, არც უკიდებს. ეტყობა, ისიც ფიქრობს.

ავდგე? გამოვეთხოვო და წავიდე?

არადა დრო მიდის, უკვე თეთრმეტი სრულდება.

ავდექი. ბიჭებიც წამოხტნენ.

— მშვიდობით, იგნატ პლატონიჩ, ბიცოლა ალექსანდრა ვახშმისათვის დიდ მადლობას გწირავთ, ანტონს თქვენს ამბავს და მოკითხვას გადავცემ.

მგონია ძია იგნატი ადგება, ხელს გამომიწვდის, დაგვემშვიდობება, ერთხელ კიდევ გაგვაფრთხილებს, უეჭველ სიკვდილზე არ წახვიდეთო, მეც ჩემსას ვეტყვი და დავტოვებთ ამ მყუდრო, თბილ ოთახს; დავუბრუნდებით ტყეში და ჩვენს ახალგაზრდულ ჭკუასა და გონებას მივენდობით, ცხოვრება ხომ რისკია.

ბაბუა მაქსიმე იტყოდა, მოხუცი გონების თვალით ხედავს, ყმაწვილი გულითო, ერთიც საჭიროა და მეორეც.

გული ჩვენ არ გვაკლია, გონებითა და გამჭრიახობით კი იგნატ სუხოდოლსკის, ამ დროულ კაცს რას შევედრებით, მაგრამ რაღაცით მაინც ვჯობივართ მას და ეს რაღაც რწმენაა...

— მდაა! — ჩაილაპარაკა, წამოდგა და ახლა აშკარად შევნიშნე, საგრძნობლად მოხრილა მხრებში, დაბერებულა, ანტონის მამა.

— ბოგუშევსკში მე წავალ! — სრულიად უბრალოდ თქვა მან. ანტონის დედამ ამოიოხრა.

ამაზე აქამდე არ მიფიქრია, მაგრამ არც მოხუცის სიტყვა, გამკვირვებია. კიდევაც რომ მეფიქრა, ვერ შევკადრებდი, ჩვენს მაგიერ მდუღარეში თავი შენ ჰკარი-მეთქი.

მაინც დავიბენი და ერთხანს უხმოდ მივჩერებოდი მის გაბურძგვნილ წვერს, ცეთილ თვალებს, ღარღარულ შუბლს.

— ასე სჯობს, ასე უფრო საიმედოა. ქუდი მომეცი, ალექსანდრა!

— იგნატ პლატონიჩ! — ხმა ამიკანკალდა.

— იქნებ არ მენდობით?

— ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ამას არ ვიკადრებ. პირდაპირ გეტყვით, თუ ასეთი განზრახვა გქონდათ, არ უნდა დაგეშინებინეთ. ჩვენ წავალთ, დავალებას შევასრულებთ.

— ვერ შეასრულებთ.

— შევასრულებთ, ან გავწყდებით.

— ოო, ეს საქმეა, მაშ გაწყდებით, არა? სადავოდ და საკამათოდ არაფერი მითქვამს. სად არის ქუდი, ალექსანდრა? — ბიცოლა ალექსანდრამ მეუღლეს ყურებიანი ქუდი მოუტანა.

— იმდენი კი უნდა გესმოდეთ, რომ ჩემი ხნის კაცს არ აწყენინოთ. მე ერთი დაბეჩავებული მოხუცი ვარ,— ყურადღებას არავინ მომაქცევს, თუ გამიჭირდა, თავს დავიძვრენ. დამიჭერენ? ანტონისა და თქვენ სანაცვლოდ იყოს ჩემი სიცოცხლე. ერთი ტოლჩა რძეც გამიმზადე, ქალო.

ბიცოლა ალექსანდრამ მორჩილ ტოლჩაში რძე ჩაასხა, თავი მოუკრა და ჩანთაში ჩადო.

იგნატმა ჩიბუხი დაბერტყა, ისევ პირში გაირჭო, ჩაჰბერა.

— მომეცი ბარათი!

შევყოყმანდი.

— მოიტა, ყმაწვილო. მე ხომ რაზმის შტაბის უფროსის მამა ვარ, მეც რაღაც მეკითხება, მევალება.

ბარათი ამოვიღე, მივეცი.

— მისამართი?

მისამართი ზეპირად ვიცოდი.

— კონვერტი უნდა გავსხნა, შიგ რა სწერია არ მაინტერესებს, გახსნა კი საჭიროა. კონვერტს თავი წაახია, ქაღალდი ოთხად გაკეცა, მერე დაკუშნა და ჩიბუხში ჩატენა.

— ცოტა თუთუნიც უნდა გაიმეტო.

ქისა მივაწოდე. თუთუნი ჩიბუხში ჩაყარა და ცერი დააჭირა, პირში გაირჭო, მოუპლაკუნა და გაიღიმა.

— ხვალ ამ დროს, არა, ცოტა უფრო ადრე ერთი თქვენთაგანი აქ მოვიდეს, პასუხი დაგხვდებათ. ისე, სოფელს ჯიქურ ნუ მიადგებით, შორიდან დაზვერეთ. ღმერთი გამიწყრა, ალბათ აქაც მოვლენ. ბავშვებს მიხედე, ალექსანდრა! წავიდეთ, ყმაწვილებო!

ბიცოლა ალექსანდრასთან მივედი, კარგა ხანს მეჭირა მისი გამხდარი, გაძვალტყავებული ხელი, როგორ მინდოდა ჩავხვეოდი...

— ანტონისათვის ცოტა რამეს გაგატანდი, მწნილი უყვარს...

— ანტონზე ნუ დარდობთ, ბიცოლა ალექსანდრა. მას არც მწნილი აკლია და არც ღორის ქონი. ნახვამდის, ბიცოლა ალექსანდრა! ეზოში საბძლიდან გავედით. ძია იგნატი უმცროს შვილს ეჩურჩულებოდა.

ერთმანეთს სოფლის ბოლოზე დავშორდით. ძია იგნატს აღარაფერი უთქვამს, ბოგუშევსკისკენ წავიდა.

ჩვენ ტყეს მივაშურეთ, კილომეტრზე მეტი რომ გავიარეთ, ერთი დიდი ნაძვის ძირას ჩამოვჯექით, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გავძელით, სიცივემ აგვიტანა, წამოვდექით და ადგილზე ხტუნვა დავიწყეთ. ფედია კომლევმა ბარე ათჯერ ჩაბუქნა და ნაძვს მიეყრდნო, ისე გავხურდი, ოფლი შემადგაო, კოტემ ადგილზე ნაბიჯით სიარული არჩია, მე და სტიოპამ ერთმანეთს ხელები ჩავკიდეთ და ერთხანს ვიძიძგილავეთ, მერე ხტუნვა-გრეხა მიგვავიწყდა, დავსხედით და ერთმანეთს მივეხუტეთ. ცეცხლზე ოცნებაც არ შეიძლება, სიცივისაგან სული რომ გაგვძვრეს, ცეცხლს მაინც ვერ დავანთებთ. ეს კარგად იციან ბიჭებმა და არც წუწუნებენ. ახლა მეც სიამოვნებით გადავკრავდი არაყს, მაგრამ სადღაა...

— ჩვენი შტაბის უფროსის მამა ხომ მოხუცია იმას რომ რაიმე შეემთხვას, რაფერ გინდა იცოცხლო? — მეუბნება კოტე.

ძია იგნატის გახსენებაზე ისედაც გულ-ღვიძლი მეწვოდა და ახლა ამ ჩემი ცოდვით სავსემ დამწვარზე მდუღარე გადამასხა, მართლაცდა, ძია იგნატი რომ ჩავარდეს, რა პირით შევხედო ანტონს?

ფედიამ მკითხა, მითარგმნე კოტემ რა თქვაო. ვუთარგმნე. სწორიაო, მოხუცი რომ აწამონ, ბანაკში მიმსვლელი აღარ ვარო, თქვენი არ ვიცი და, მე პირდაპირ დღისით-მზისით შევვარდები იმ დასაქცევ ბოგუშევსკში და სანამ არ ამკუწავენ. ვეცდები ფრიცებს სამაგიერო ვაზღვევინო.

ყველაფერი კარგად დამთავრდება-მეთქი, დავაიმედე ბიჭები.

— ცოდვაა, ბაბუა იგნატი, მე უნდა გაგეშვით, გავძვრებოდი და თუ დამიჭერდნენ, მერე რა, მაინც არავინ გამაჩნია.—ვითომ სიტყვა შეგვაწია სტიოპამ.

— ასეთი რამ მეორედ არ გავიგონო, სტიოპა. რას ჰქვია, არავინ გაგაჩნია, არ გრცხვენია, ამას რომ ამბობს? აბა, ჩვენ ვინღა ვართ? შენგან ასეთ სიტყვებს არ მოველოდი. მე შენთვის აქამდე არ მითქვამს, რა მაქვს გადაწყვეტილი, თუ, რა თქმა უნდა, შენც თანახმა გამიხდები. ომის დამთავრებას, ჩემო სტიოპა, დიდი-დიდი ერთი წელი დასჭირდეს, შესაძლებელია უფრო ადრეც გვეშველოს, და მაშინვე ერთად გავსწიოთ საქართველოში. ახლა იქ, გინდა დაიჯერე და გინდ არა, თბილა, მზე აცხუნებს და შენისთანა ეშმაკისფეხები ზღვაზე ბანაობენ. საქართველო ნამდვილი სამოთხეა, თუ გინდა კოტეს ჰკითხე.

კოტემ თავი გამოიდო და რუსულად აღუღრტულდა.

— კამნე, ვდერევნე პაიდიომ, სტეფან. ვინავგრად ხო ლიუბიშ? კანეჩნო, ვინაგრად კტო ნე ლუბიტ. ტეპერ უნას რთველი. — რაფერაა კაცო რუსულად რთველი?

— სბორ ვინავგრადა!

— რაცხა არ გავს, მაგრამ რას იზამ. — ტეპერ, მოი სტიოპა, უნას სბორ ვინოგრადა, ნე უსპეემ. გაისად ბუდუშჩი გოდ აბეზატელნო ტამ ბუდემ საბირაი ვინოგრად, კუში სკოლკო ხოჩეშ, პატომ სტანავის ვ საწნახელი და დავი ვინოგრად და პეი ხაროში, ფუცხუნა მაჭარი.

სტიოპა. სიცილით კვდება, ფუცხუნა მაჭარი, რაღააო.

— მალადოი ვინო. — ვუთარგმნი.

— რაიო, — გადაირია, კოტე, — როგორ შეიძლება ფუცხუნა მაჭარს მალადოი ვინო ერქვასო, გეშლებაო. ასეა-მეთქი. არც შენ იცი, მარა იხტიბარს არ იტეხო. .

— პატომ, დარაგოი სტიოპა, მოი მატუშკა სვარიტ ფელამუში ბუდეტ ჩურჩხელა.

— ვსიო პანიატნო. — იცინის სტიოპა.

— ჩემთვის არაფერი დაგრჩათ? — კითხულობს ფედია.

— ტებე პასტავლიუ ბალშოი ბუტილკუ ჩაჩუ!

— ჭაჭა გამისინჯავს, ნამეტანი მაგარია, პირდაპირ ცეცხლივით არის. ახლა მომცა ერთი ჩაის ჭიქა...

ტყვიამფრქვევის კაკანმა შეწყვიტა ჩვენი ნატვრა და ტკბილი საუბარი. კოტემ ამოიოხრა.

ნეტავი რა დღეშია ახლა ჩვენი კეთილი მოხუცი?

— კიდევ გვიამბე რამე, კოტე. — სთხოვა ფედიამ.

— ისე მცივა, არაფრის თავი არა მაქვს, არც ასე ყოფნა შემიძლია. ადგა და აქეთ-იქით სიარული მოჰყვა.

მე ვიყუჩე და მალე ჩამეძინა.

დილით რომ გამომეღვიძა, ფედიას თბილი ქურქი მეხურა. ბიჭები არ ჩანდნენ. ჩექმები გავიძრე, გაყინული ფეხები დავისრისე, ფეხსახვევები დავფერთხე და ჩავიცვი.

ჯერ ფედია გამოჩნდა, მერე სტიოპა და კოტე. ფედიას ქურქი დავუბრუნე და ცოტა ვუსაყვედურე.

დაწოლილი ვერ გავჩერდი და სირბილში მაინც ხელს მიშლიდა...

ტყის პირას გავედით და სოფელს გავხედეთ, სოფელს ეძინა. სანამ კარგად არ გათენდა და მზემ არ გამოიხედა, ტყის პირას ვიყავით ხეებს მოფარებულნი ვოროშილა ნელა იღვიძებდა, ხანდახან ძაღლი დაიყეფებდა, უნდილად, უგემურად, მამლის ყივილ კი არ გამიგონია.

მინაწერი:

„არდადეგებს მუდამ ჩემს დედულში, სოფელ ვარციხეში ვატარებდი. ვარციხე ერთ-ერთი უძველესი სოფელია იმერეთში. სოფლის სიამაყე ციხის ნანგრევებია, ამ ციხის პატივსაცემად შეურქმევიათ სოფლისათვის „ვარ ციხე".

ლამაზია ჩემი დედული, სულ ხეხილსა და ვენახებშია ჩაფლული. ქვევით მდინარე ყვირილა მიაგორებს თავის შავ ტალღებს. არ გაგიკვირდეთ, შავ ტალღებს რომ ვახსენებ, ყვირილას ჭიათურის მარგანეცის ნარეცხი მოაქვს, ტურტლი წყლის ზედაპირზე ტორტმანებს, ბზინავს და შორიდან რომ გახედავ მდინარეს, სულ ერთბაშად შავია. დედა მატარებლით წამიყვანდა. სადგურ რიონში ჩამოვხტებოდით და მერე ფეხით გავყვებოდით სოფლისაკენ. მუხნარში ხელმარჯვნივ შევუხვევდით და ყვირილაც გამოჩნდებოდა.

ბორანზე ასვლა იყო ჩემი უდიდესი სიხარული. ბორანი წყალში რომ შეცურდებოდა, მებორნეს, ბაბუა ექვთიმეს დაველრიჯებოდი, კეჩოზე დამსვი-მეთქი. ფეხებშუა მომიქცევდა და გამაფრთხილებდა, წყალს ნუ მიაჩერდები, თვალებს აგიჭრელებსო.

ნავი შავ ტალღებს მიაპობდა, მეორე ნაპირისაკენ მიიწევდა, მე კი მინდოდა ჩვენი ცურვა დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელებულიყო, მდინარის მეორე ნაპირი სადღაც ვარციხის იქით გადაწეულიყო.

სოფლის ბიჭები მაინც ახერხებდნენ ყვირილაში ცურვას. მეც დავყავდი ყვირილაზე შიძაჩემს, მაგრამ შინ რომ დავბრუნდებოდით, ჭიდან წყალს ამოიღებდა და გადამავლებდა, წყლიდან არაფერი ამოგყვესო.

მე სულ იმის ნატვრაში ვიყავი, რომ ერთხელ მაინც მოვმხვდარიყავი ჭიათურის ზემოთ, მთებში, და ნამდვილი, კრიალა ყვირილა დამენახა.

ოდესღაც, თურმე სოფელი ვარციხე ქვევით, ზედ მდინარის პირას ყოფილა გაშენებული, მაგრამ ერთხელ, ზაფხულში მდინარე ადიდებულა. ნაპირები გადმოულახავს და სოფელი დაუტბორავს. ამის შემდეგ ვარციხელები მაღლა, ფერდობზე დასახლებულან, ძველი ნაზვრები საყანეებად და სავენახეებად დაუტოვებიათ.

მთელი დღის ნარბენი საღამოს ლოგინზე მივეგდებოდი და ღამე ფეხგაუნძრევლად მეძინა. როგორც კი ინათებდა, წამოვხტებოდი, ეზოში გამოვვარდებოდი და უკვე გასაქცევად მქონდა თვალები, მაგრამ ბებიაჩემი დამიძახებდა, მიმიხმობდა და ტკბილად მეტყოდა: დაჯექი აგერ, ბებია, ძროხას გამოვწველი და თბილ რძეს დაგალევინებ. რძე ჭირივით მეჯავრებოდა და დავილრიჯებოდი, მაგრამ ბებია ძალისძალით დამალევინებდა ჭიქით რძეს. მერე და მერე ისე შევეჩვიე, ხბოსავით გავრბოდი ძროხისაკენ. გადავკრავდი რძეს, ეზოში გავიკუნტრუშებდი, მერე ფერდობზე ამოვყოფდი თავს და მაღლიდან დავცქეროდი ჩემს დედულს.

ქვევით შავად მიიხლაზნებოდა ყვირილა, ახლამოწვერილი მზის სხივებზე საშიშად ლაპლაპებდა მდინარის ზედაპირი.

სოფელი იღვიძებდა ძაღლების ყეფით, მამლების ყივილით, საქონლის ბღავილით, ქათმების კრიახითა და წიწილების წია-წიათი. ყველაფერი ეს უხდებოდა და ამშვენებდა სოფელს. ბაბუა მაქსიმე იტყოდა, „ქვეყანა სოფლის ღონით ცოცხლობსო".

ვოროშილაში აღარ ყივიან მამლები, ძაღლები ყეფენ, მაგრამ ეს ყეფა კი არაა, უფრო ყმუილია, ავის მომასწავებელი ყმუილი.

რა დაალამებს დღევანდელ დღეს!

შუაღამემდე ტყის პირას ვიდექით, მერე ისევ ტყის სიღრმეში შევედით და ცოტა წავიხემსეთ. რატომღაც გული საგულეს არის. ძია იგნატს რომ რაიმე შემთხვეოდა, გერმანელები აქამდე ვოროშილას გადაბუგავდნენ.

ტყის პირას მორიგეობით გავდიოდით, თუ სოფელში საეჭვოს შევნიშნავდით, უკან უნდა გამოვქცეულიყავითო.

დაღამდა.

ტყეში ყოფნა და დამალვა აღარ იყო საჭირო. სოფელში ჯერ ვერ გამოვჩნდებოდით, მაგრამ ტყის პირას დაცდა ვამჯობინეთ, წამდაუწუმ დავცქეროდი საათს, ხანდახან მაჯას ყურთან მივიტან, მგონია, საათი გამიჩერდა-მეთქი.. წიკწიკებს. თერთმეტს რომ გადაშორდა, სტიოპა სოფელში გავგზავნე, დარიგებით თავი არ შემი-

წუხებია, სტიოპამ უსიტყვოდაც კარგად იცის, როგორ მოიქცეს.

სტიოპა წავიდა, ჩვენ ტყის გასწვრივ დავიწყეთ სიარული. ბევრი დაუგვიანდა და ვნერვიულობდით.

სტიოპას ძია იგნატიც მოჰყვა, მას ხელში მოზრდილი ტოპრაკი ეჭირა ძია იგნატის დანახვით ისე გავიხარეთ, მადლობის თქმას ვერ მოვახერხეთ, ჩვენ-ჩვენთვის ვლუღლუღებდით.

ძია იგნატი ტყეში შეგვიძღვა, ცოტაზე გავიარეთ, შეჩერდა, ჩიბუხი ფრთხილად დაბერტყა, საპასუხო ბარათი ამოიღო და გადმომცა. გამოთხოვებისას ხელი-ხელზე მომიჭირა, მესიამოვნა დაკოჟრილი ხელის შეხება, მოხუცს მოვეხვიე და გადავკოცნე.

— ბუდაში ნუ შეჩერდებით, — გვითხრა ძია იგნატმა, — ნურც პოსადში გაათევთ ღამეს, ტყეში გერჩიოთ, უფრო საიმედოა, იანოვოში არ შეიაროთ, იქ პოლიციელები არიან და გერმანელებიც ხშირად დადიან. მშვიდობით იარეთ, ანტონი მომიკითხეთ, თუ პირი აქეთ ქნას დედა გაიხსენოს...

კოტემ ქართულად მიჩურჩულა, ჰკითხე ბოგუშევსკში როგორ შეაღწია, ან ის იატაქქვეშელი როგორ იპოვნაო, მაგრამ ძია იგნატის შეწუხება აღარ მინდოდა, არც ღირდა ამ საგანზე საუბრის გაგრძელება, რაც მთავარია, თვითონ ჩვენს წინ იდგა, იატაქქვეშელის წერილი კი ჯიბეში მედო. ვჩქარობდი კიდეც, მინდოდა ბუდაში ღამით შემევლო.

ძია იგნატმა ტოპრაკი სტიოპას შეაჩეჩა ხელში, ერთხელ კიდევ გვისურვა მშვიდობით მგზავრობა და წავიდა. ჩვენ მაშინვე გამოვწიეთ უკან, სულ მალე სენო-ბოგუშევსკის გზატკეცილთან აღმოვჩნდით და, როგორც იოლი წარმატებით გათამამებულ ახალგაზრდებს სჩვევიათ, შოსე შეუჩერებლივ გადავჭერით, განაკაფიც გადავირბინეთ და ისევ ტყეში ამოვყავით თავი. ფედია სტიოპას ტოპრაკს გაეთამაშა. მე ეს შევნიშნე და სტიოპას ვკითხე, ტოპრაკში რა გაქვს-მეთქი. საგზალიაო, ძია იგნატის მეუღლემ გამოგიგზავნათო. ტოპრაკი ფედიამ ჩამოართვა, გახსნა, პური და ღორის ქონი ამოიღო, დაჭრა და ჩამოგვირიგა.

ბუდასთან ცოტა შევისვენეთ და როცა სოფლის ერთადერთ ქუჩაზე გავედით, გავვოცდი, სახლები აღარ ჩანდა, ვფიქრობდი სიბნელეში ვერ ვარჩევ-მეთქი და კოტეს წავჩურჩულე, სახლებს თუ ხედავ-მეთქი. კიო, სულ შვიდი სახლიაო.

ქუჩიდან გადავუხვიეთ, ახლა მე მივდივარ წინ, ამ სოფლის ყოველი კუთხე-კუნჭული მახსოვს და თვალები რომ ამიხვიო, მაინც მივაგნებ ერმაკის სახლს. კარის სახელურს ხელი ჩავჭიდე ,მოვქაჩე. დაკეტილი იყო. დავაბრახუნე, ხმა არავინ გამცა. სახლს შემოვუარე, ფანჯარასთან მივედი, ჯერ შევიჭვრიტე, მერე ისე დავაკაკუნე, მინა კინაღამ ჩატყდა, მაგრამ არც ამ ხმაურზე გამომპასუხებია ვინმე. ცხადია, ამ სახლში დიდი ხანია აღარავის უცხოვრია, ერმაკი მელაა, აქ ღამეს არ გაათევს.

სოფლის საბჭოს ეზოში ავიყვანე ბიჭები, ეზო შემოვიარეთ. შენობა არც დაგვხვდა, დაუწვავთ.

იქნებ უკვე აღარავინ ცხოვრობს ბუდაში, იქნებ ყველა ამოწყვიტეს, ან ვინც გადარჩა, დატოვა სოფელი და გაიხიზნა. ერთი ფიქრით მინდოდა რომელიმე სახლში მივსულიყავი, ამბავი გამეგო, მაგრამ უკვე მესამე საათი იყო და წასვლა ვამჯობინე. პოსადს სულ ახლო ჩავუარეთ, ამ სოფელში არაფერი მესაქმებოდა. პატარა სოფელია პოსადი, აქ გერმანელები ღამეს არ გაათევენ.

— აბა, სტიოპა, პირდაპირ იანოვოსკენ, იარ! გაგვიძეხ მზვერავო, რაც შეიძლება მოკლე გზით გვატარე, გათენებამდე იანოვო უნდა დავლაშქროთ და მერე ჰაიდა, ბანაკისაკენ!

ბიჭი თითქმის სირბილით წავიდა. ძლივს ვეწევით.

შორს, იმ მიმართულებით, საითაც სტიოპას მივყავდით, ვიღაცამ ორჯერ გაისროლა, მაგრამ თვითონ სტიოპამაც ვერ გამოარკვია, იანოვოში იყო ეს სროლა თუ უფრო იქით. იქნებ მიხვდა ბიჭი, მაგრამ არ გაამხილა, შეეშინდა, ვაითუ იანოვოში შესვლაზე ამ სროლის გამო უარი თქვანო.

სტიოპამ სულ ბილიკ-ბილიკ გვატრიალა და სოფელს ისე უეცრად მიგვაყენა, რომელიღაც ხუტორი მეგონა.

იანოვოაო, — თქვა სტეფანე სენკევიჩმა. მღელვარებისაგან ხმა უკანკალებდა, მშობლიური სოფლის დანახვაზე იქნებ დედაც მოაგონდა, მამაც, იქნებ ცრემლიც მოადგა თვალებზე, მაგრამ ჩვენ მისი ცრემლის დანახვა არ შეგვეძლო, ასეც სჯობდა.

სოფლის გზაზე რომ გავედით, ავტომატები მოვიმარჯვეთ. აქ პოლიციაა, იქნებ ყარაულს გადავეყაროთ, ყველაფერი მოსალოდნელია.

გერმანელები არც იანოვში დგანან, თორემ ასე ადვილად სოფელში ვერ შემოვიდოდით, ისინი ხომ საგანგებოდ იცავენ იმ სოფელს თუ დაბას, სადაც ჩერდებიან.

სტიოპა უცებ შეჩერდა და ვაიო, დაიძახა. რა მოხდა მეთქი, მივვარდი. ჩემი სახლი აღარ არისო.

ჩემი სახლი აღარ არისო, ისე თქვა, როგორც გარდაცვლილ ადამიანზე იყვიან, იყო და აღარ არისო.

ადვილი სათქმელია: „აღარ არის“... დაუწვავთ სტიოპა სენკევიჩის სახლი, უმარჯვნიათ, მორევიან.

დაუწვავთ სტიოპას აკვანი, მისი თბილი კერა.

აღარ არისო, გულდაწყვეტით თქვა ბიჭმა. ვიცი ახლა ჩვენი ერიდება, თავი ვაჟკაცად მოაქვს და არ უნდა ჩვენს დასანახავად აბლავლდეს, თორემ რამ უნდა გააჩეროს, როცა დე-

დისეულ, მამისეულ ბუდეს დამწვარსა და დანაცრულს ხედავ?

**მინაწერი:**

„ბაბუა მაქსიმე იტყოდა, სახლი კაცის ღირსებააო, ადამიანი ცხოველისაგან იმითაც გამოირჩევა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე სახლკარზე ფიქრობს, სოროს თაგვებიც იქეთებენო. კაცის ცნობა თუ გინდა, ჯერ მისი სახლი უნდა ნახოო.

ამის თქმა დიახაც შეეძლო ბაბუა მაქსიმეს, მას ხომ მშვენიერი, ორსართულიანი, კრამიტით დახურული ოდა ედგა, მოჩუქურთმებული აივნით, წინ ფანჩატურით, ეზო სავსე ხეხილით, ჰის ახლო უზარმაზარი კაკლის ხით, ბოსტან-ბაღით, სათეს-სახნავით.

ბაბუა მაქსიმე ერთი უბრალო გლეხი კაცი იყო, მაგრამ ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა. დურგლობაც იცოდა და მჭედლობაც, კალატოზობაც და ჰის თხრაც. ხოლო მიწა? ოო! ბაბუა მაქსიმე მიწის ჯადოქარი გახლდათ!

ჩვენი სოფელი, ბაკისუბანი, ქვიანია, უცხო კაცი რომ გაატაროთ ჩემს სოფელში, გაუკვირდება, ამ ქვაში ეს დიდებული მწვანილი, სიმინდი და ლობიო როგორ მოგყავთო.

სიმართლე გითხრათ, ამის ახსნა არც მე შემიძლია, ბაბუა მაქსიმე კი შორს არის, ძალიან შორს".

— წავიდეთ, სტიოპა, — მხარზე ხელი მოვხვიე, უცებ მომეყრდნო და აქვითინდა. მაინც ვერ შეიკავა თავი, გული დამეთუთქა.

— წავიდეთ, ძმაო, ნადია მაზნევას მივადგეთ და ვაზღვევინოთ. თუ შინ დაგვხვდა, დედის ხსენს ვანთხევინებ პირიდან, წავიდეთ.

ბიჭი უცებ გამოერკვა, ჯიბეში ხელი იტაცა, მაზნევასეული დანა ამოიღო და ჰაერში შეატრიალა. დანამ დანასავით გაკვეთა ბნელი და სტიოპა სენკევიჩის თვალებივით გაკვესა.

ამ დანით უნდა დავკლათ გამყიდველი, სტიოპას დედის გამცემი, მეზობლების, ახლობლების, ნათესავების — მთელი ქვეყნის მტერი.

მოვსულვართ. ჯიქურ მივედი კარებთან.

ფედია და კოტე ჭიშკართან გაჩერდნენ, სტიოპა კი თან გამყვა.

დავაკაკუნე, თან კარებსაც მივაწექი. კარები აქაც დაკეტილი დამხვდა.

ისევ დავაკაკუნე, უფრო ძლიერ, უხეშად, გამომწვევად.

არავითარი ხმა.

რამ მაფიქრებინა, რომ მაზნევა შინ დამხვდებოდა? ხანდახან რაც გვსურს, რაც გვინდა აგვიხდეს, იმასვე ვფიქრობთ წინასწარ და მერე, როცა ნატვრა აღარ აგვისრულდება, გული გვწყდება და ვნანობთ.

რა ვუთხრა ამ ბიჭს, რით ვანუგეშო?

— ფანჯარა ჩაამტვრიე, სტიოპა, ოღონდ ფრთხილად, ხელები არ დაიჭრა.

დაიხარა, ქვას დასწვდა, ფანჯარას ესროლა და ჩალეწა.

ისეთ ხასიათზე ვარ, აღარაფერს დავეძებ. ნეტა პოლიციაც გაიგონებდეს მინის მსხვრევის ხმას, თავს გამოჰყოფდეს რომელიმე სპირტის ქარხნიდან, ცეცხლს მივცემ აქაურობას. ხმაურზე ფედიამ მოირბინა. ალბათ ეგონა შინ ვიღაც დაგვხვდა და გვებრძვისო.

სოფელი დავტოვეთ, შარაზე რომ გამოვედით, ნაგანიანი პოლიციელი გამახსენდა, შუბლზე ნაიარევი რომ აჩნდა.

თენდება, უსაშველოდ დავიღალე, ფეხებს ძლივს მივათრევ, მთელი სხეული მტკივა, მტეხს, ერთი სული მაქვს, სანამ ტყეში შევიდოდეთ, მაშინვე მივწვები და დავიძინებ.

ტყე მალე გამოჩნდა, არ შევჩერებულვართ, თითქმის მთელი საათი კიდევ ვიარეთ და მერე ოთხივენი ერთად დავეყარეთ ხის ძირას, მეგონა მთელი დღე ვიძინებდით, მაგრამ სიცივემ თავისი გააკეთა. ისე მოგვიჭირა, ძვლებმა სულ ჭახჭახი დაიწყო. წოლას სიარული ვარჩიეთ, სიცივით მაინც არ შეგვცივდებოდა.

გზადაგზა ვინიშნავდი, თუ დაახლოებით რა ადგილებში შეეძლო ბრიგადას გავლა, თუმცა აქედანვე ვიყავი დარწმუნებული, რომ ათასექვსასკაციანი ბრიგადა ამ ადგილას შეუმჩნევლად ვერ გაივლიდა.

არც ღამით შევჩერებულვარ, ნელა მივიწევდით ბანაკისაკენ. მინდოდა გათენებამდე მომესწრო ორშა-ვიტებსკის გზატკეცილის გადაჭრა და მერე თავი ქუდში გვექნებოდა. ძლივს მივლასლასებდით ტყის ბილიკზე ფეხზევე ვჭამდით, ლაპარაკის ხალისიც აღარ გვქონდა მაგრამ გზატკეცილთან მხოლოდ მესამე დილით მივედით. დიდი მოძრაობა იყო და მეორე მხარეზე გადასვლა ვერ მოვახერხეთ, თანაც დაღლილნი და უძილარნი ვიყავით. გზატკეცილიდან კარგა მოშორებით ჩავიმალეთ, ერთმანეთს მივეხუტეთ და თვალის მოტყუება ვცადეთ, არაფერი გამოგვივიდა, მაგრამ დასვენებამ მაინც შეგვმატა ძალა და ისევ გზატკეცილს დავუახლოვდით.

ნაშუადღევს მოძრაობამ იკლო, ხოლო როცა ბინდბუნდი შემოიპარა, თითქმის სულ შეწყდა, ახლა კანტიკუნტად გარბოდნენ გზაზე მანქანები.

ფედიამ აიჩემა, ამხელა გზა ისე გავიარეთ, ტყვია არ გაგვისვრია, მოდით ჩავსაფრდეთ, ბანაკში რომ მივალთ, სალაპარაკო მაინც გვექნებაო. ფედიას კოტემ დაუჭირა მხარი, ხელები მექავებაო. ჩასაფრება შეიძლებოდა და დავთანხმდი. გზატკეცილი გადავირბინეთ, იქაურობა მივათვალიერეთ და უკან დასახევი გზა მოვინიშნეთ.

ლოდინი დიდხანს დაგვჭირდა, გზატკეცილზე მოძრაობა სულ შეწყდა, შეგვცივდა და ის-ის იყო წამოშლას და წასვლას ვაპირებდით, რომ ტანკის რიხინი მოგვესმა.

გზატკეცილზე ტანკი მობობღავდა, მსუბუქი ტანკი იყო, თუმცა ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო,

ტანკს ჩვენ მაინც ვერაფერს დავაკლებდით, მაგრამ ტანკმა ჩაიარა და მის უკან, ცოტა დაშორებით, ორი სატვირთო მანქანა გამოჩნდა. შუქფარები მკრთალად ანათებდა გზატკეცილს, მანქანებზე გერმანელები ისხდნენ, თავზე პილოტურები ჩამოეფხატათ. მანქანები ისე ნელა მოდიოდნენ, გეგონებოდათ მოლოლავენ, საცაა შეჩერდებიანო.

პირველი მანქანის კაბინას რომ დავცხეთ, ჯარისკაცები ძარაზე გაწვნენ, ზოგმა სროლაც გაბედა. ახლა ძარებისკენ მივუშვით ცეცხლი. მეორე მანქანაზე რაღაც აფეთქდა, ალბათ ძარაზე ტყვია-წამლით სავსე ყუთები ეწყო, მანქანა ჯერ წინ გავარდა, პირველს დაეჯახა, წინ გაიგდო, მერე კუდი ასწია და ჰაერში აიჭრა. წინ წასული ტანკი უცებ შემობრუნდა და ტყვიაფრქვევის კაკანით ჩვენკენ წამოვიდა. ვიკადრეთ გაქცევა.

ჯერ სტიობა გავუშვით, მერე — ფედია. ფედიას კოტეც მიჰყვა, მე ცოტახანს დაზვერვაზე დავრჩი, მალე მეც მოვცოცხე. კოტე იქვე, აღმართზე ბუჩქს მოფარებოდა, მისი ფიქრით, მე მიცავდა. გვერდით ჩავურბინე, მომყევი-მეთქი. აღმართი რომ ავირბინე, მივიხედე, კოტე არ ჩანდა. უკანვე გავიქეცი. კოტე ისევ იმ ბუჩქთან იჯდა, ხელში მარცხენა ფეხი ეჭირა და „ვაი დედაო“ იძახდა, თან კბილებს აღრჭიალებდა. კითხვა-პასუხის დრო სადღა იყო, მხრებში ხელები ჩავკიდე და ცოტაზე გავათრიე. მერე წამოდგა, ცალი ფეხით ხტუნვა-ხტუნვით გამომყვა. ფედია მომეშველა და კოტე სამშვიდობოს გავიყვანეთ, ჩექმა სისხლით იყო სავსე, ვერას გზით ვერ გავხადეთ. სტიოპას დანა გამოვართვი, ჩექმა ფეხზე შემოვაჭერით, მუხლს ქვევით ჩანდა ჭრილობა. მაშინვე შევატყვე, ტყვიას წვივის ძვალი მთლად დაემსხვრია. ჭრილობა შევუხვიე და ვანუგეშე, ნუ გეშინია სულ უბრალო ჭრილობაა, ჩვენი ექიმი ორ დღეში ფეხზე დაგაყენებს-მეთქი.

მხრებში შევუდექით და ერთხანს ასე ვატარეთ, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდა და საკაცე შევკარით.

ბანაკში გვიან ღამით მივედით, დაჭრილი სანიტარულ ნაწილში მივიყვანეთ. ექიმმა ტიხონოვმა გამოგვხედა. კარავში სანთელი ენთო, სოფია ექთანი რომელიღაც დაჭრილ მებრძოლს სასთუმალთან უჯდა. კოტე კარავში შევიტანეთ, საკაციდან საწოლზე გადავაწვინეთ, სოფია ექთანმა სანთელი მოანათა.

კოტეს ტუჩები ჩალურჯებოდა, სახეზე მიწისფერი დასდებოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა და წამწამები ლოყაზე ეფინა.

ექიმმა ჭრილობას დახედა, თავი გადააქნია, სოფიას კარდლით ცხელი წყალი მოატანინა, ჭრილობა თავისი ხელით მობანა, იოდი დაასხა, მერე წვივს აქეთ-იქიდან ფიცრები ამოსდო და მაგრად შეკრა.

დაჭრილთან ბიჭები დავტოვე, მე კი რაზმის შტაბისკენ გავწიე. კარავში ივანე და დიმიტრი ხვოშჩი დამხვდნენ. ანტონი ბანაკში არ იყო, დორონინის ოცეულს გაჰყოლოდა საბრძოლო ოპერაციაზე. მეთაურმა და კომისარმა ჩემს დანახვაზე ბავშვებივით გაიხარეს, გადამკოცნეს, მშვიდობით დაბრუნება მომილოცეს.

ივანეს მგზავრობის შედეგები მოვახსენე, კოტეს ამბავიც ვუთხარი, ძალიან ეწყინა.

ამასობაში გათენდა კიდეც და მეთაურთან ერთად ბოიკოს გამოვეცხადე. ბრიგადის შტაბის კარავში ადამ სტელმახიც დამხვდა, მანოხინი გომელისკენ წასულიყო.

ვასილ ბოგუშევსკელი იატაკქვეშელის ბარათი გადავეცი, მგზავრობის შესახებ ჩემი მოსაზრებები სიტყვიერად მოვახსენე. თუ მიბრძანებთ, მარშრუტს დღესვე დავხაზავ და გაახლებთ-მეთქი. აუცილებლადო.

...როგორც მოსალოდნელი იყო, კოტეს ჭრილობა გაურთულდა, ფეხი გაუსივდა და სიცხემაც აუწია. საწოლზე ვერ მაგრდებოდა, ბორგავდა, ყვიროდა, ვიღაცას ეძახდა, ემუქრებოდა.

მესამე დღეს ფეხი მორივით გაუხდა და ტიხონოვმა გადაჭრით თქვა, განგრენა დაიწყო, დაუყოვნებლივ თუ არ მოვკვეთე, დაიღუპებაო და მე შემომხედა.

გამიგონია, როცა ავადმყოფს რთული ოპერაცია უნდა გაუკეთონ, ექიმები წინასწარ პატრონისგან იღებენ ნებართვას. ექიმმა რომ შემომხედა, სწორედ ეს ამოვიკითხე მის თვალებში. რა უნდა მეთქვა? ძნელი იყო გაფიქრება, რომ კოტე უფეხოდ დარჩებოდა, რომ ეს სიცოცხლით სავსე ბიჭი ამიერიდან თავისუფლად ველარ ინავარდებდა, ყავარჯნის მონა უნდა გამხდარიყო. მაგრამ სიკვდილს ხომ ყველაფერი სჯობს, და მეც დავეთანხმე.

უნდა მოვკვეთოო, — ისე განაცხადა ტიხონოვმა, თითქოს რომელიმე კეთილმოწყობილ საავადმყოფოში ყოფილიყო.

უნდა მოვკვეთოო, მაგრამ რით, რა საშუალებით?

აქ, ამ კარავში ბევრნაირი ოპერაცია ჩაუტარებია პეტრე ტიხონოვს, ჭრილობიდან ტყვიაც ამოუღია და ნაღმის ნამსხვრევიც, ატკეჩილი ძვალიც გაუმრთელებია და სისხლისგან დაცლილი მებრძოლისათვისაც დაუბრუნებია სიცოცხლე, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე თუ ახლა რით აპირებდა ფეხის მოკვეთას.

ეტყობა, ამაზე თვითონაც უფიქრია. რადგან, როგორც კი ამპუტაციაზე დავეთანხმე, მაშინვე მითხრა, ბიჭები სოფლებში გაგზავნე. უბრალო შეშის საჭრელი ხერხი მაინც მიშოვნონ, ოღონდ ჩქარა, ყოველი წუთი ძვირფასიაო. მზვერავები ბანაკიდან გაცვივდნენ.

**უბის წიგნაკიდან:** „ამას წინათ მდინარე დასავლეთ დვინის მეორე მხარეს გამგზავნეს დაზვერვაზე. იქ ალექსეევის პარტიზანულ რაზ-

მში ქართველს — კოტე ქორქოლიანს შევხვდი. მაშინვე გადავწყვიტე თან წამომეყვანა, მაგრამ რაზმის მეთაური როდი დამეთანხმა. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ალექსეევმა გზა დაგვილოცა. კოტე უცებ შეიყვარეს ჩვენმა ბიჭებმა, მეთაურებმაც გულთბილად მიიღეს. მალე იგი მზვერავთა პატარა ოჯახის ერთ-ერთი საყვარელი წევრი გახდა.

მე, ფედია კომლევმა, კოტემ და სტიოპა სენკევიჩმა ბოგუშევსკი მოვიარეთ. პირადად ბოიკოს დავალებით ვიყავით, ბოგუშევსკში იატაკქვეშელი, ჩვენი მეკავშირე უნდა გვენახა, მაგრამ ბოგუშევსკში ჩვენ მაგიერ ანტონ სუხოდოლსკის მამა, ეგნატე შევიდა.

დავალება შევასრულეთ, უკან დაბრუნებისას ორშა-ვიტებსკის გზატკეცილზე გერმანულ მანქანებს „წავეკინკლავეთ“, კოტე დაგვიჭრეს, ექიმმა ტიხონოვმა კოტეს ფეხი მოჰკვეთა“.

სიტყვა სასწაულმა ფასი დაკარგა. იტყვიან, ესა და ეს კაცი ფათერაკს სასწაულად გადაურჩაო, სასწაული მოხდაო, პირდაპირ სასწაულიაო და სხვა ათასი... აქ, ამ ტყეში, ჩვენი ცხოვრება ისედაც სასწაულია და ამიტომ ამ სიტყვის გაგონება არავითარ გრძნობას აღარ აღძრავს.

თუმცა... თურმე შესაძლებელია სასწაულთა სასწაულიც მოხდეს. ისეთი, რომლის მსგავსი ჯერ არც გაგონილა.

კოტე საოპერაციოდ მოამზადეს. ამას რომ ვამბობ, მწარედ მეღიმება, ექიმი ტიხონოვი შეეცადა დაჭრილი აგონიიდან გამოეყვანა. არაფერი დაუშურებია, მაგრამ სიცხე მაინც ვერ დაუგდო, ოცდათვრამეტს ვერ ჩამოაცილა, მაგრამ ოპერაცია მაინც არ გადადო.

მზვერავებმა ოთხი სხვადასხვანაირი ხერხი მოიტანეს, მათ შორის ერთი ბირდაბირი, ერთი ხელისა, პატარა, ორიც გაბმული ხერხი იყო.

ექიმმა გაბმული ხერხი აირჩია, დიდხანს კი ამოწმებდა, პირზე ცერს უსვამდა.

ამჯერად სპირტი არ დაიშურა, ხერხი საგანგებოდ გაწმინდა, დაშალა და სპირტში ჩადო.

ოპერაცია დილით უნდა გაეკეთებინა.

ოპერაციის დროს კარავში ექიმისა და ექთანის გარდა მე, ალიოშა ტარანენკო, ფედია კომლევი და ვალოდია კორპუშევი ვიყავით. დანარჩენები კარვის ახლო იდგნენ, თუ კოტეს შეკავება გაგვიჭირდებოდა, უნდა მოგვშველებოდნენ.

ექიმი კოტეს გამოელაპარაკა, პირდაპირ ღვთისნიერი კაცია ტიხონოვი, პირიდან შაქარი ამოსდის. დაუყვავა, მოეფერა, დაარწმუნა, გაეხუმრა კიდეც, ახლა ისეთ პროტეზებს აკეთებენ, მთაულურსაც კი იცეკვებო.

კოტე ჩუმად იწვა, ამ ორ დღეში ძალიან გახდა და დაილია. არც ჭამდა, არც სვამდა. ოპერაციის წინააღმდეგი არ იყო, ყოველ შემთხვევაში, არც ჰო უთქვამს და არც არა.

ის მტანჯველი წუთიც დადგა, კოტეს თვალებზე მარლა დააფარეს, მაშინ დავიხარე და ქართულად ვუთხარი:

— არ შეშინდე, კოტე, თუ კაცი ვარ, მაღლაკში ჩაგიყვან, გაუძელი, დედ-მამაზე, ოჯახზე იფიქრე, შენს სოფელზე იფიქრე. აბა შენ იცი, არ გაფუჭდე!

მერე ექიმმა მანიშნა და მკლავში ხელები ჩავკიდე, მეორე ხელი ალიოშამ დაუკავა. ფეხები ფედიამ და ვალოდიამ გაინაწილეს. კოტემ ენა ამოიდგა, ქართულად მითხრა:

— უთხარი მაგათ, თავი დამანებონ, შენც ნუ წუხდები, მე არ გავინძრევი.

რა თქვაო, მკითხა ტიხონოვმა.

ვუთარგმნე, არ ირწმუნა, ვერ ვენდობიო.

ენდეთ-მეთქი.

მარცხენა ფეხი მაინც გამიჩერეთ და მზად იყავითო.

ხერხი რომ მოიმარჯვა, სწორედ მაშინ მოხდა სასწაულთა შორის ყველაზე დიდი სასწაული. ექიმმა ხერხი ნელა დაადო. მუხლს ზევით, გამოსწია, რაღაც ჩაიბურდღუნა, ამოიგმინა და დაუსვა.

კოტე არ განძრეულა.

მე ექიმს მივჩერებოდი, მაგრამ ხელებში კი არა, მის ოფლით გახვითქულ სახეს ვუყურებდი და ისიც ისევე მეცოდებოდა, როგორც კოტე.

კოტე არ კვნესოდა, არ იძროდა, გეგონებოდათ მიიცვალაო.

„დანის ქვეშ მოკვდაო“ — გამიგონია. ახლა? ახლა რომ მოკვდეს, რა უნდა ვთქვა: „კოტე ქორქოლიანი ოპერაციის დროს ხერხის ქვეშ მოკვდა... ხერხქვეშ...“

მესმოდა ხერხის ჩუმი წრიპინი და ფეხის ფრჩხილებიდან მოყოლებული, თმის ღერამდე ყველაფერი მიძაგძაგებდა, გული კი, გული სადღაც გამქრალიყო, ვგრძნობდი, იგი საგულეში აღარ იყო.

წრიპინებდა ხერხი, ხრჭიალებდა კოტე ქორქოლიანის ფეხის ძვლები და მის მაგიერ, რომ ჭრილობაზე დამეხედა, სადღაც შორს, ძალიან შორს ვიყურებოდი. იქ, ვენახში ყავარჯენზე დაყრდნობილი კოწია ქორქოლიანი ცოდვილობდა.

მორჩა!

ექიმმა ფეხი ფრთხილად გამოსწია.

ღმერთო, ეს რა ვნახე, როგორი ვდგავარ ფეხზე ამის შემყურე!

სოფიამ ფეხი დაითრია, გააჩოჩა, მერე აილო და კუთხეში დადო.

ექიმი მარლას ეცა, გადააძრო და უცებ უკან დაიხია. კოტეს პირში საჩვენებელი თითი ჩაედო, ხორცი სულ შემოეჭამა და ახლა ძვალს ღრღნიდა. პირი სისხლით ჰქონდა სავსე...

ექიმი გონს მოეგო, სპირტში დასველებული მარლით ტუჩები მოწმინდა, თითზე როდი დაას-

ხა, რაღაც ფხვნილი მოაყარა და შეუხვია. მერე ჭრილობას მიხედა. გარეთ გამოვედი. კარავთან მთელი ჩვენი რაზმი მოსულიყო, შარშავიცკი, ხვოშჩი და სუხოდოლსკიც აქ იყვნენ. ანტონი ჩემკენ წამოვიდა, მე დანა კბილს არ მიხსნიდა და ანტონს ცოტა უგემურად შევხვდი, მგონი არ წყენია.

ექიმ ტიხონოვისა და სოფია ექთანის წყალობით კოტე ქორქოლიანი სიკვდილს გადურჩა. მის გადარჩენაში დიდი წვლილი კოტეს ყოფილი მეთაურის, ალექსეევის კაიკაცობამ შეიტანა. თვითონ ექიმისათვის რომ გეკითხათ, დანამდვილებით გეტყოდათ, ალექსეევი და მისი გამოგზავნილი წამლები რომ არა, ქორქოლიანს ვერავითარი სასწაული ვერ გადაარჩენდაო. არ ვიცი საიდან შეიტყეს კოტეს ამბავი, ეს კია, რომ ოპერაციის მეორე დღესვე მდინარის გაღმიდან მზვერავები მოვიდნენ, პირდაპირ სანიტარულ ნაწილს მიაშურეს და ექიმ ტიხონოვს ახალი პრეპარატი „სულფიდინი" გადასცეს. პირველად მაშინ გავიგე ამ წამლის სახელი.

ასე იყო თუ ისე, კოტე გამოკეთდა, ცოტა-ცოტას ჭამდა კიდეც და თვის ბოლოს ცალ ფეხზე დადგა, ხოლო მეორე თვეს კარვიდანაც გამოვიდა.

როგორც კი კარვიდან გამოსული კოტე დაინახეს ჩვენმა მზვერავებმა, მივარდნენ, ციმციმ ასწიეს და ერთი ორჯერ ჰაერში აისროლეს. მერე ალიოშა ტარანენკომ და ოლეს ივაშჩენკომ დიდი მოწიწებით მიართვეს „ყავარჯნები". თურმე ექიმის დახმარებით, რჩევითა და მითითებით ჩუმად გამოუჩორკნიათ რაღაც ყავარჯნისმაგვარი და იმ დღეს ელოდნენ, როცა კოტე სანიტარული ნაწილის კარავს დატოვებდა.

„ყავარჯნები" კი მიართვეს, მაგრამ ექიმმა მზვერავებთან გადასვლის ნება მაინც არ დართო, ამის შემდეგ კოტემ სანიტარული ნაწილში კიდევ მთელი კვირა დაჰყო.

ამასობაში მზვერავებმა ოცეულისათვის მიწური გაამზადეს. საშინელი სიცივეები დაიწყო და კარავში ღამის გათევა აღარ შეიძლებოდა.

კოტე მზვერავთა მიწურში გადავიყვანეთ. იმავე დღეს ორჯერ მოაკითხა ტიხონოვმა. მიწურიდან რომ ამოდიოდა, მოგვიბრუნდა და გულდაწყვეტით გვითხრა:

— ასეთი მიწური სანიტარულ ნაწილს არ აწყენდაო. მაშინვე გადავწყვიტეთ, მეორე დღესვე შევდგომოდით სანიტარული ნაწილისათვის მიწურის გათხრას.

კოტე ხშირად ამოდის მიწურიდან, სიარულში ვარჯიშობს, ხანდახან „ყავარჯნები" ხელიდან გაუვარდება, საწყლად მიმოიხედავს, დახრა არ შეუძლია, მაგრამ თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, იქვე ვალოდია ცურანი და სტიოპა სენკევიჩი გაჩნდებიან. ოლეს ივაშენკო ხუმრობს, ვალოდია და სტიოპა კოტეს ყავარჯნები არიანო.

კოტე კი საკუთარ თავს ებრძვის, დადის, წვალობს, ყავარჯნებს ეჩვევა, რადგან იცის, ბრიგადა, დღეს თუ არა, ხვალ გზას უნდა გაუდგეს და არ უნდა სხვისი სათრევი გახდეს.

ბრიგადის ხელმძღვანელობამ სახელდახელო მიწურების გათხრა რომ გვიბრძანა, მაშინ დავასკვენით, ამ ბანაკში დიდხანს ყოფნა აღარ მოგვიწევდა, თანაც ბოიკომ ბრიგადის გადასვლის მარშრუტი საგანგებოდ დამახაზვინა, თუმცა დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, ჩვენ კი ისევ ადგილზე ვიყავით. ეს კი არა და, ერთხელ ივანემ საიდუმლოდ მითხრა, ბოიკო დიდი ოპერაციისათვის ემზადებაო.

**უბის წიგნაკიდან:**

„ამ უსიერ ტყეებში ბევრი გულითადი მეგობარი გამომაკლდა, მათი ყოველი გახსენება ცეცხლად გამივლის გულში და რაგინდ კარგ ხასიათზეც ვიყო, მაშინვე ჩავჯდები, ან ხეს მივეყრდნობი და ერთხანს ასე ვარ გამოშტერებული.

ამას წინათ მე და ლიზუნოვი ვასოსა და კოლიას საფლავზე ვიყავით. თოვდა, მზვერავთა სასაფლაოზე თოვლი იდო, ტყის თეთრი ყვავილები დამჭკნარიყო. ვასოსა და კოლიას საფლავებიდან თოვლი გადავწმინდეთ. ფიცარზე წარწერები წაშლილიყო, აღვადგინეთ...

წამოსვლისას ვასოს საფლავიდან ერთი მუჭა მიწა მოვფხოჭნე, ცხვირსახოცში შევახვიე და ჯიბეში ჩავიდე მიშა დიდი ყურადღებით მიცქეროდა, მაგრამ კითხვით არაფერი უკითხავს.

ჩემს სახელოვან წინაპრებს როცა სამშობლოდან ერეკებოდნენ, თან ქისებით ქართული მიწა მიჰქონდათ, სადღაც, მიუსავლეთში რომ დაიმარხებოდნენ, გულზე ქართულ მიწას იყრიდნენ. მე კი ვასოს საფლავიდან ავფხოჭე ბელორუსული მიწა და თუ სიცოცხლე მიწერია, თუ სული საქართველოში ჩავიტანე, ამ მიწას ურნაში ჩავყრი, ვასოს ოჯახში მივიტან და იმ ბუხარზე შემოვდგამ, რომელსაც ხშირად მივუჯდებოდით ხოლმე მეცადინეობის შემდეგ მე და ვასო. გამიგონია, რომელიღაც ქვეყანაში მიცვალებულებს არ ასაფლავებენ, სწვავენ და ურნას ფერფლით ოჯახებში ინახავენო.

ფერფლის მაგიერ საფლავის მიწა რომ შეინახონ, ამით არა დაშავდება რა..

მე ბევრი მეგობარი მრჩება ბელორუსიის ტყეებში. აქ ბევრი რამ დავკარგე და ასევე ბევრი რამ შევიძინე.

აქ შევხვდი ადამიანებს, ძმებს ვაჟკაცებს. გაჭირვებამ გამოაწრთო ჩვენი ყმაწვილკაცური სული. იყო წუთები, როცა გვეშინოდა, ტყვიის წუილზე ვკრთოდით, ერთმანეთს შიშით შევცქეროდით, თავს მიწაში ჩავრგავდით, მიწას ფრჩხილებით ვფხოჭნიდით, შიგ ჩაძრომას

ვლამობდით, მაგრამ ეს სიმხდალე არ გახლდათ. ჩვენი ლამაზი სული ტოკავდა, ცახცახებდა, აქეთ-იქეთ აწყდებოდა. სიცოცხლეს ებღაუჭებოდა. სულიც ობლის კვერივით ყოფილა, ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად კი გამოცხვა.

აქ შევხვდი სიყვარულს, საოცრად ლამაზ და სახიფათო სიყვარულს და როცა ტანია სვეტლოვას კარვისაკენ მივდიოდი, როცა ტბის პირას მის ტბისფერ თვალებს ვკოცნიდი, მაშინ პირველი სიყვარულის საუკუნოებრივ რწმენას ეჭვის ბზარი ეპარებოდა, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა.

შევხვდი სიყვარულს და ვიგრძენი რა რიგ მინდოდა, რა რიგ მჭირდებოდა სიცოცხლე, რომ ჩემს წინ იშლებოდა სამყარო, ჯადოსნური, უხილავი, გაუვლელი, იგი მეძახდა, ხელს მიქნევდა, მიტყუებდა. მაგრამ განგებამ არც აქ დამინდო, არ შემიცოდა, ვერ გამიგო..

ახლა თოვს, ქარი უბერავს, საშინელი დღეა, ცივი და ცრემლიანი.

აღარ არის ტანია, ჩემი ლურჯთვალა , ანგელოსი, ჩემი ფერმკრთალი სიყვარული სადღაც თოვლქვეშ წევს და მის დიდებულ სახეს მიწაც არ აყრია.

ტანია სვეტლოვა სენოში მოკლეს, წამებით ამოჰხადეს სული.

რა გაამთელებს ამ სამიწე გულს?.

მშვიდობით, ძვირფასო, მშვიდობით, ჩემო ლამაზო, კეთილო სიყვარულო. არ მინდა მოგიგონო ნაწამებ-ნატანჯი, სადღაც მიგდებული და ჭილყვავებისაგან დაკორტნილი.

არა, ასე ვერ მოგიგონებ. მე მუდამ ტყის პირიჯზე დაგინახავ თეთრი ყვავილებით, ფერმკრთალს, აღელვებულს, წრფელსა და დაუვიწყარს".

...მეათე დღეა გზაში ვართ, გოროდოკის რაიონისკენ მივდივართ. ჩავუარეთ სოფლებს სტრივს, მოშკინს, სკრიდლეოს, გადავედით დასავლეთ დვინაზე, ღამით გადავჭერით ვიტებსკ-პოლოცკის გზატკეცილი, რკინიგზა, თვით ვიტებსკი ხელმარჯვნივ მოვიტოვეთ და სოფელ დოლყის მახლობლად, ლოსვიდის ტბასთან დავბანაკდით. ივანემ თქვა, ამ რაიონში სხვა პარტიზანული ბრიგადებიც იკრიბებიანო, როგორც ჩანს, გოროდოკსაც გავცდებით და ნეველს დავარტყამთო.

ლოსვიდის ტბასთან მხოლოდ ერთი ღამე გავათიეთ და დილით ისევ დავიძარით.

საღამოს შარშავიცკიმ ახალი ამბავი მოგვიტანა ბრიგადის შტაბიდან, გოროდოკის რაიონის მთლიანი განთავისუფლება ყოფილა გადაწყვეტილი. მოდი და ნუ გაოცდები. მტრის ზურგში მთელი რაიონის გათავისუფლება?!

— რაიონს ასე ადვილად არ დაგვითმობენ. — განაგრძო ივანემ — ალბათ დიდი ბრძოლები შეგვხვდება და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის, რაც შეიძლება მტრის მეტი ძალები მოვიზიდოთ, რომ წითელ არმიას საქმე გავუადვილოთ.

გოროდოკის რაიონში რომ შევედით, სულ წკიპზე ვიყავით, ყველას ეგონა მტერი წინ გადაგვეღობებოდა, გააფთრებულ წინააღმდეგობას გაგვიწევდა, მაგრამ რამდენიმე სოფელი ისე დავიკავეთ, ხეირიანად ტყვიაც არ გაგვისვრია. უბრალოდ შევედით სოფლებში, ირგვლივ ყარაულები დავაყენეთ და სახლებში ჩამოვრიგდით.

იმ ღამეს თბილ ოთახში, გაღადღადებულ ღუმელებთან გვეძინა.

კოტემ ამ ძნელ გზაზე ერთხანს ისე იარა, არავისი დახმარება არ ინდომა, მაგრამ მერე და მერე ძალიან გაუჭირდა, ყავარჯენი თოვლში ერჭობოდა, წვალობდა და საკაცე მივაშველეთ.

ჩვენი რაზმი სოფელ ბარკოვოში დაბანაკდა. მესამე დღეს სოფელს უკვე კარგად ვიცნობდით, თავისუფლად დავდიოდით სახლიდან სახლამდე და ჩვენი მისვლით გახარებულ, მაგრამ დაფიქრებულ სახლს ვაიმედებდით.

ბარკოვოს ერთი მხრიდან ოდნავ შემაღლებული გორაკი ესაზღვრებოდა. ამ გორაკს ომამდე „ბარკოვოს აგარაკს“ ეძახდნენ. გორაკზე თურმე ყოველ კვირას იკრიბებოდნენ ახალგაზრდები, ჰყვიტინებდა გარმონი, ცეკვავდნენ „ბელორუსულ პოლკას“ და ბედნიერი და გახარებულნი მღეროდნენ ძველისძველ ბელორუსულ სიმღერებს. ახლაც ვხედავდი „აგარაკზე“ ბუჩქებთან თოვლში ჩაცუცქებულ ნოხუცებს, საათობით იდგნენ, ან ისხდნენ და უსმენდნენ არტილერიის ყრუ კონონადას. ეს ხმა ნეველის მხრიდან მოდიოდა, მოიწევდა და იმედი და სიხარული მოჰქონდა.

ბარკოვოშიც ერთი ქუჩა იყო, მაგრამ ამ ქუჩის იქით, ტყისკენ, ორად-ორი სახლიც იდგა.

ერთხელ მე და ანტონ სუხოდოლსკიმ სოფელი შემოვიარეთ, ყარაულები შევამოწმეთ და, უკან რომ ვბრუნდებოდით, განაპირა სახლთან ორი ქალიშვილი დავინახეთ. გზიდან გადავუხვიეთ და მათკენ გავემართეთ, მაგრამ ანტონმა ბოლო წუთებში „მილალატა“, რაღაც მიზეზი მოიმიზეზა და წავიდა.

— გამარჯობა, გენაცვალე! — მომესმა ერთ-ერთი ქალიშვილის ხმა. მივუახლოვდი, გოგოები უტიფრად შევათვალიერე. ჩვეულებრივი ბელორუსი გოგოები იყვნენ, შესაძლოა ლამაზებიც... მაგრამ იმ წუთში მათი სილამაზე კი არა, უფრო ის მაინტერესებდა, თუ საიდან იცოდნენ ქართული სიტყვები.

— გამარჯობათ, ქალიშვილებო!

თავი დამიკრეს.

— გავიცნოთ ერთმანეთი, მე საშა მქვია. თქვენ?

— ანია! ეს კი ნასტიაა. — თქვა ერთმა მათგანმა. ივი მონგრეული ჭიშკრის ბოძზე იყო და-

ყრდნობილი და მომხიბვლელად იღიმებოდა. ერთმანეთი გავიცანით, მაგრამ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა და ისევ მე განვაგრძე:

— ქართული ვინ გასწავლათ?

— ჩვენ? — ეშმაკურად გაიკვირვეს.

— განა ქართულად თქვენ არ მომესალმეთ?

— აი, ამან იცის. — თქვა ნასტიამ.

— იცის. — გამოაჯავრა ანიამ. — მხოლოდ ეს ორი სიტყვა ვიცი.

— მაგისთვისაც დიდი მადლობელი ვარ.

ნასტიამ წასასვლელად გაიწია, ნახვამდისო მითხრა და ხელები ქურქის ჯიბეებში ჩაიწყო.

— თქვენი მეგობარი ხომ არ გავაცილოთ, ანია?

მხრები აიჩეჩა, მე ეს თანხმობად მივიჩნიე და ქალიშვილებს გავყევი.

უბერავდა ცივი ქარი და შორს არტილერია გუგუნებდა. პუდოვიცაში ტყვიამფრქვევი კაკანებდა, მაშხალებსაც ისროდნენ და ყოველივე ეს ისე ჩვეულებრივი იყო, ყურადღებასაც არ ვაქცევდით.

ეს სოფელი ბევრად უფრო მეტის მომსწრე გახლდათ.

ჩვენ დავიკავეთ ბარკოვო, აქ პატარა სიხარული მოვიტანეთ, მაგრამ ბარკოველებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს თავისუფლება არ იყო, და ჩვენი მისვლა შესაძლოა მათ ძვირად დასჯდომოდათ. ის კი, ვისაც საბოლოო გამარჯვება და თავისუფლება უნდა მოეტანა, ჯერ შორს იყო, საკმაოდ შორს.

ნასტიამ შინ შეგვიპატიჟა, მე უარს არ ვიტყოდი თბილ ოთახში ასეთ ლამაზ ქალიშვილებთან საუბარზე, იქნებ ადუღებული წყალიც დაგველია, მაგრამ ანიამ აიჩქარა: ჩემი მდგომარეობა ხომ იციო, ავადმყოფი დედა აქამდეც არ უნდა დამეტოვებინაო, უთხრა ნასტიას. წამოვედით. ერთხანს ისე ვიარეთ, არაფერი გვითქვამს.

— თქვენი ბარკოვო ლამაზი ქალიშვილებით ყოფილა განთქმული.

— ყველას გაცნობა მოასწარით?

— ვამჩნევ, ჩვენთანაც არიან ქალიშვილები. ამას წინათ ერთი ჩვენი მზვერავი გოგონა სენოში შეიპყრეს, აწამეს და მოკლეს.

— იცით რა, ნუ მომიყვებით, ახლა არაფრის გაგონება არ მინდა. ამ დღეებში ჩვენ ძალიან ბედნიერნი ვართ, ვიცინით და ვხუმრობთ კიდეც.

— მაპატიეთ.

— განა არ ვიცი, რომ თქვენ ბევრი გაჭირვება გინახავთ მტრის ზურგში? ალბათ შიმშილი, წყურვილი და ათასი სხვა რამ განგიცდიათ, მაგრამ არც ჩვენ დაგვდგომია კარგი დღე, ჩვენც ბევრი რამ გადავიტანეთ. თუ დაგვცალდა, ოდესმე ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით.

— მე ახლაც სიამოვნებით მოგისმენთ.

— ახლა არა, ისედაც დავიგვიანე.

— როგორც გენებოთ. ერთი რამ მაინც მითხარით თუ იცით,' რას ნიშნავს სიტყვა „გენაცვალე“?

თავი დამიქნია, გაიცინა.

— გაიცინეთ, ანია, სიცილი ძალიან გიხდებათ, როცა იცინით, თვალები გეხუჭებათ და...

აღარ მაცალა, თითი დამიქნია, დამემუქრა.

ქარი ჩამდგარიყო, ფეხებქვეშ თოვლს კრაჭაკრუჭი გაუდიოდა. მთავარი ქუჩიდან რომ გადავუხვიეთ, ანიამ წამოიწყო:

— თქვენ ბედნიერი ხართ, თქვენ დამცირება მაინც არ განგიცდიათ და თუ ვინმეს თქვენი დამცირება უცდია შეგეძლოთ არ მიგეცათ ამის ნება, მოგეკლათ, ან შეკვდომოდით. თქვენ თავისუფალი მებრძოლნი ხართ, სახალხო შურისმაძიებელნი და ეს არის უდიდესი ბედნიერება.

— ანია, თქვენ დამპირდით, რომ ოდესმე მომითხრობდით რაღაც ამბავს, მე კი სულ ამიკრძალეთ ამ საგანზე ლაპარაკი და ახლა კი...

— მართალი ხართ.

— მაინც ვინ გასწავლათ ქართული სიტყვები?

— ეს თუ გითხარით...

— გაიმეორეთ მაინც.

— გამარჯობა, გენაცვალე! კმაყოფილი ხართ?

— ძალიან.

სოფლის ბოლოს სროლა ატყდა, ანია მკლავში ჩამაფრინდა. გავიქეცით, სირბილში რაღაცას წამოვედევი და თოვლში ორჯერ გადავტრიალდი, ანიასაც თავი ველარ შეეკავებინა და წაქცეულს ზედ გადამემხო. წამოდგომისას ერთმანეთს ჩახვეულნი აღმოვჩნდით, დიდებული წუთი იყო, შეიძლება უფრო ნაკლებიც...

გზაში ანტონი შემოგვხვდა.

— რა მოხდა, ანტონ იგნატიჩ! — პირველად მივმართე შტაბის უფროსს სახელითა და მამის სახელით.

—ისეთი არაფერი, საიდანღაც პოლიციელთა ჯგუფი აპირებდა შემოსვლას, გავედევნეთ.

ანტონს ანია გავაცანი.

უცებ დავმშვიდდით და ის, რაც რამდენიმე წუთის წინათ სოფლის ბოლოზე მოხდა, მივავიწყდა. სხვა დროს ასე არ მოვიქცეოდით, ბიჭებს ჩამოვუვლიდით. გავაფრთხილებდით, მაგრამ ახლა ჩვენ გვერდით ქალიშვილი იდგა. იგი სახლამდე მივაცილეთ. მე დავპირდი, ხვალ გინახულებ-მეთქი.

— ვინ არის? — მკითხა ანტონმა.

— ანია მოკსაკი.

— ეს უკვე ვიცი.

— დანარჩენს ხვალ საღამოს მოგახსენებ.

სოფელი მაინც შემოვიარეთ და მერე ერთმანეთს დავშორდით.

მეორე დღეს ბრიგადის დაზვერვის უფროსმა, სოკოვმა გამომიძახა, მთელი დღე მეზობელ სოფელში დავყავი. ბარკოვოში რომ დავბრუნდი, კარგა შეღამებული იყო და ანია მოკსაკთან აღარ წავსულვარ.

დილით მზვერავთა ოცეული „ჩემს ბინაზე“ შევყარე, სოკოვის დავალება გავაცანი. დავალება ძნელი არ იყო, პუდოვიცა უნდა დაგვეზვერა, გაგვეგო როგორ იცავდნენ გერმანელები რკინიგზის კვანძს. დაზვერვაზე ოლეს ივაშჩენკო და მიშა ლიზუნოვი წავიდნენ, თუ შეძლებდნენ, დაზვერვა დღისით სჯობდა.

ნასადილევს ანიას სახლისაკენ წავედი, მონგრეული ჭიშკარი დიდი ამბით შევაღე, კიბე ნელა ავიარე და ხელი დასაკაკუნებლად რომ ავწიე, კარები გაიღო.

ანიას ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა, ოთახში შემიწვია და მორყეულ სკამზე დამსვა.

ერთადერთ ოთახში ორი ძველი ტახტი, რკინის საწოლი და უბრალო მაგიდა იდგა. კედელზე შავ ჩარჩოში ჩასმული ჭმუხი კაცის სურათი ეკიდა. რკინის საწოლზე ქალი იწვა, ჩემს შესვლაზე მან პირი იბრუნა და თავი საბანში ჩარგო. მაგიდაზე სურათების ძველისძველი ალბომი იყო. ალბომის ფურცლას შევუდექი. ნელა ვფურცლავდი, სურათებს დავცქეროდი, ანია მიხსნიდა.

— ეს მამაა, — ხელი დაადო ერთ სურათს და ამოიოხრა. მე ჯერ იმ სურათს დავხედე, მერე მზერა კედელზე დაკიდებულ სურათზე გადავიტანე და მივხვდი, რომ ანიას ოხვრა და ის ამბავი, რომლის მოყოლას დამპირდა, ამ სურათთან იყო დაკავშირებული.

— ახლა სად არის მამათქვენი, ფრონტზეა?

— არა. გცალიათ? — კითხვა დამიბრუნა.

— შემიძლია დილამდე აქ დავრჩე და გისმინოთ.

ანია ტახტზე ჩამოჯდა, მამის სურათს გახედა და დაიწყო:

...მამაჩემი ადრე ბარკოვოს არასრულ საშუალო სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. სოფელი მას ჭკვიან კაცად სთვლიდა, უყვარდა და აფასებდა. მე დედისერთა ვარ. შვიდწლედი აქ დავამთავრე, საშუალო სასწავლებელი მეზობელ სოფელში და იმავე წელს ვიტებსკის პედაგოგიურ. ინსტიტუტში შევედი. ბარკოვოში ხშირად ჩამოვდიოდი, ხოლო არდადეგებზე სულ აქ ვიყავი.

კარგი იყო ჩვენი ბარკოვო, თავისი ლამაზი თვალწარმტაცი ველ-მინდვრებით, ტყით, აგარაკებით, ჩამოვიდოდი გავერეოდი სოფლის გოგო-ბიჭებში მათთან ერთად დავქროდი მინდვრად, დავეხეტებოდი ტყეში სოკოს საძებრად, ხან ისე, ტყუილა, თავშესაქცევად ვიკარგებოდი საღამომდე და საღამოს დაღლილი, მაგრამ საოცრად ბედნიერი ვბრუნდებოდი შინ.

შაბათ-კვირას ვიკრიბებოდით „აგარაკზე“. ვცეკვავდით და ფრთხიალ-ფრთხიალით მივფრინავდით ჩვენ-ჩვენი ბუდეებისაკენ.

იმ ზაფხულსაც სოფელში ჩამოვედი, უკვე მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი და, როგორც მამა მეტყოდა ხოლმე, მეტი ჭკუა და სიდინჯე მომეთხოვებოდა, მაგრამ როგორც კი ჩემი სოფლის სიო მომხვდა და მისი განუმეორებელი სურნელი მაგრძნობინა, წამსვე მომავიწყდა მამის დარიგება, მიმავიწყა ვიტებსკის ინსტიტუტი, პროსპექტები, მოედნები, ხმაურიანი ქუჩები. ხან ტყეში ვიყავი, ხან მინდორში, ხანაც მამას ვშველოდი.

იმ დილით თავის ტკივილი ამყვა და მამას მინდორში ველარ გავყევი. საუზმეზეც უარი ვთქვი, მაგრამ დედა არ მომეშვა, ძალისძალად დამალევინა რძე, თავის ტკივილი გაგივლისო.

ოთახში მამა შემოვიდა, ჩვეულებრივ დინჯი და აუჩქარებელი, ისე ღელავდა, მაშინვე მივხვდი, რაღაც უბედურება იყო მის თავს და შემეცოდა.

— რა იყო, რა მოხდა, ადამიანო? — ჰკითხა დედამ.

— მე რომ დაგიმალოთ, სხვა გეტყვით, ომია!

— ომი!?

— ჰიტლერმა საზღვარი გადმოლახა, აქეთ მოიწევს, მინსკი დაუბომბავთ. — მამა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, ლაპარაკის დროს ტუჩები უცახცახებდა.

— ჩვენ რაღა ვქნათ? — ხელი ჩამკიდა დედამ.

— რა ვიცი. — მამა ხან ერთ ფანჯარასთან მივიდოდა, ხან მეორესთან, თითებს იმტვრევდა, აღელვებისაგან ქშინავდა, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. ცოტა რომ დამშვიდდა, მოგვიახლოვდა, ორივეს — დედა-შვილს მხრებზე ხელები გადაგვხვია და გვითხრა:

— ნუ გეშინიათ, აქამდე არ მოუშვებენ.

— მინსკი დაბომბესო? — წამომცდა.

— მერე რა, ჩვენებიც დაბომბავენ ბერლინს.

ამ სიტყვებმა სული მომიბრუნა, ჩამაწყნარა, მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომ შიში შემოვიდა ოჯახში და დიდიხნით მოიკალათა.

მალე მთელი სოფელი საბჭოს ეზოში შეიკრიბა. მაშინვე სოფლის დამცველთა რაზმი შექმნეს, ახალგაზრდობამ რაიონის ცენტრს მიაშურა. მერე რამდენიმე დღით სოფელში საშიში დუმილი ჩამოწვა. სადღა გაიგონებდით გოგო-ბიჭების სიცილ-ტკრციალს, ვისღა ახსოვდა „აგარაკი“?

ირგვლივ მწიფე პურის ყანა ოქროსფრად ბიბინებდა, მკა ახალი დაწყებული იყო, სოფელი აჩქარდა, ყველა — დიდ-პატარა ყანას შეესია.

ერთ საღამოს მთავრობის მოწოდება წაგვიკითხეს, მტრის მოახლოების შემთხვევაში პურს ცეცხლი წაუკიდეთო, მაგრამ ჯერჯერობით მტერი არ ჩანდა და ხალხი თავისი ნაოფლარის გადარჩენას, აღებას და დაბინავებას ცდილობდა.

მე და დედაჩემი მთელი ღამე კარგამოკეტილში ვისხედით. მამა შინ იშვიათად იყო, ხანდახან შემოირბენდა, ორიოდე საიმედო სიტყვას დაგვიტოვებდა და ისევ გარბოდა.

ფაშისტები კი სულ წინ მოიწევდნენ, ცაში

თითქმის ყოველდღე ჩანდა სვასტიკიანი თვითმფრინავები. იმ დღეებში დაბომბეს გოროდოკი პუდოვიცა, ახლო-მახლო სოფლები, მაგრამ, საბედნიეროდ, ბარკოვოში ბომბი არ ჩამოვარდნილა.

ერთხელ გათენებისას, უჩვეულო ხმაური მომესმა და ფეხზე წამოვვარდი, ფანჯარასთან მივირბინე, გაღება ვერ გავბედე მაგრამ რად მინდოდა ფანჯრის გაღება, ისედაც ყველაფერი ჩანდა. პირველად მომეჩვენა, რომ მთელი სოფელი იწვოდა, კვამლი ცისკენ მიიწევდა, არემარე ცეცხლში იყო გახვეული და შიშისაგან გული გამიჩერდა, მერე გავიგე, ხალხს პურის ყანისათვის ცეცხლი წაეკიდებინა.

ბარკოვოში ჯერ ტანკები შემორიხინდნენ, მერე მანქანები და ქვეითები. მალე სოფელი ფაშისტებით გაიჭედა, ყვიროდნენ, ქაქანებდნენ, ტუჩის „გარმოშკებს“ აჭყვიტინებდნენ. მე და დედა ერთმანეთს ვეკვროდით, მამა კი არ ჩანდა.

პირველ დღეს ჩვენთან არ მოსულან. დაღამებულში შინ მამა შემოიპარა. მივხვდი, რომ იგი ტყიდან მოვიდა.

— აქ იყვნენ? — იკითხა.

— არა! — ვუპასუხე მე.

— ნუ კანკალებთ, შიში და მუხლების კანკალი რას გარგებთ, უნდა გავუძლოთ, დედაკაცო, შენ შინ დარჩები, ანია უნდა წავიყვანო.

— სად, მამა?

— ჩემთან! შორს არ ვიქნებით. ცოტაოდენი საგზალი წამოიღე, შვილო, იჩქარე!

დედამ პური და ხორცი გაგვიხვია და ჭიშკრამდე გამოგვყვა.

— ჩვენი დარდი ნუ გექნება, მატრონა!

დედას მოვეხვიე, რაღაც ვუთხარი და მამას ბოსტანთან წამოვეწიე.

გერმანელები დროგამოშვებით მაშხალებს ისროდნენ. მამა ამ დროს წვებოდა და მეც მის გვერდით დავვარდებოდი ხოლმე. ტყემდე რომ მივაღწიეთ, დავფიქრდი: რატომ წამომიყვანა მამამ? რა უნდა გავაკეთო ტყეში მე? რატომ დავტოვეთ ატირებული დედა? ბავშვი აღარ ვიყავი და მესმოდა, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა იყო საჭირო მაგრამ მე, მე რა შემეძლო?

— დაგეტოვებინე შინ, დედა ცოდვაა. — ვუთხარი მამას.

— დედაშენი მოხუცია, ხელს არავინ ახლებს მკვახედ მიპასუხა.

აი, თურმე რისა ეშინია მამას...

კარგა მანძილი რომ გავიარეთ, ვიღაც შემოგვხვდა და კარავში შეგვიყვანა.

კარავში სანთელი ენთო, მის მკრთალ სინათლეზე ათამდე მამაკაცი დავთვალე. ერთი მათგანი რაიონული ცენტრიდან იყო, მან მამა გვერდით მოისვა და ერთგვარი მორიდებით უთხრა:

— თქვენ სოფელში უნდა დაბრუნდეთ, ტარას იულონიჩ, უპარტიო კაცი ხართ, ფაშისტები არ დაგხვრეტენ. სოფელში საიმედო ადამიანები გვჭირდება, ჩვენიანები. გამოგიტყდებით და, ჯერ ჩვენ თვითონ არ ვიცით რა გზას დავადგეთ, რა საშუალებით ვებრძოლოთ მტერს. ერთი ცხადია: უნდა ვებრძოლოთ. წადით უკანვე, გენდობით და არ დაგივიწყებთ, დაგიკავშირდებით. დანარჩენი თქვენს კაცობაზე იყოს.

მამას არაფერი უთქვამს, კარგიო, ჩაილაპარაკა, ხელი ჩამკიდა, კარავში მყოფთ გამოეთხოვა და გამოვიდა.

რაიკომის წარმომადგენელმა გამოგვაცილა, იგი ხმადაბლა ესაუბრებოდა მამას, მე მათი საუბარი არ გამიგონია.

სოფელში იმავე გზით შემოვედით, დედა ტახტზე დამხობილი დაგვიხვდა, მოთქვამდა.

— ეს რა, უკვე გამოგვიტირე? — შეუყვირა მამამ.

მთელი ღამე ფიქრში გავატარე.

მეორე დღეს ჩვენთანაც მოვიდნენ, იღბლად მამა შინ იყო, პირდაპირ საბძელში ჩამიყვანა და დამმალა. მამა რომ გავიდა, საბძლის კარებზე ავიტუზე, ჭუჭრუტანა მოვნახე და ზედ ავეწებე. ოთახში ორი გერმანელი და ერთიც ჩვენებური შემოვიდნენ, კარები ღია დატოვეს და მე ჩემი საფარიდან შემეძლო დამენახა თუ რა ხდებოდა ოთახში.

— გამარჯობათ, ბიძია ტარასი. — ქალური, წრიპინა ხმით მიესალმა მამას ის ჩვენებური, — თქვენ რა, უკვე დაბრუნდით ტყიდან?

— რა გინდათ? — თავშეკავებულად ჰკითხა მამამ.

— ჯერჯერობით არაფერი, ისე დაგათვალიერეთ, გაგეცანით, თუმცა იცოდეთ რომ ჩვენ არაფერი გამოგვეპარება, ყველაფერი ვიცით, უფრო სწორად, ამათ ჯერ არ იციან... ჩემზე მოგახსენებთ. მდგომარეობა მაიძულებს ყველას ჭინაობა და სულისკვეთება გავიგო, ამიტომ მაინტერესებს, სად იყავით წუხელ თქვენ და თქვენი ქალიშვილი? დუმხართ? კარგი, არ შეგაწუხებთ, ოღონდ დიასახლისმა სუფრა გაშალოს, თქვენ ხომ პურმარილიან კაცს გეძახიან, ტარას იულონიჩ, იმედია საპატიო სტუმრებთან თავს არ შეირცხვენთ.

დედა დაფაცურდა, მაგიდას სუფრა გადააფარა, მამამ წარბები შეჰყარა. გერმანელები ჩუმად ისხდნენ და ოთახს ათვალიერებდნენ.

მე გარკვევით მესმოდა ეს წრიპინა ხმა და ზიზღისაგან გული მერეოდა. ის ჩვენი სოფლელი იყო, თუმცა წელიწადზე მეტია რაც ბარკოვოდან გადაიკარგა. ტანდაბალი იყო, მწითური და ჰორფლიანი, მუდამ ამოწიპლული თვალები ჰქონდა, ყვითელი, მეჩხერი კბილები, წინ წამოშვერილი შუბლი, მოგრძო, მელოტი თავი.

ზაფხულში ვიტებსკიდან რომ ჩამოვიდოდა, სადმე მომიხელთებდა, წინ გადამიდგებოდა, გაიღრიჯებოდა და რაღაცას სულელურად დაიწრიპინებდა. ერთხელ ხელის წაპოტინებაც კი გამიბედა, ისეთი სილა გავაწანი, თქვენი მოწონებუ-

ლი. ჩაიჩოქა, მაგრამ არ გაბრაზებულა, მლიქვნელურად შემომცინა და ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა. კარგა მანძილზე რომ დავშორდი, მომაძახა, სიკვდილამდე არ მოგეშვებიო. საჯელად მარდონი ერქვა, მაგრამ სოფელში ყველა მორდოს ეძახდა.

ახლა მარდონი გერმანელებს ემუსაიფებოდა, დედა მაგიდას აწყობდა. გამიკვირდა, საიდან უნდა სცოდნოდა ამ ქონდრისკაცს გერმანული ენა.

— ეი, რუს! — წამოდგა ერთი გერმანელი, მამას რაღაც ანიშნა, ვერ გააგებინა და ისევ მარდონს გადაულაპარაკა.

— პირველი ლუკმა თქვენ უნდა აიღოთ, ტარას იულიჩ, ეს წესია. — მამამ ლუკმა შეჭამა, რძე მოსვა და გვერდზე გადგა. სამივენი მაგიდას მიუსხდნენ და საჭმელს მგლებივით ეძგერნენ. მარდონს პირი ხორცითა და პურით ჰქონდა გამოტენილი, წრიპინს მაინც არ იშლიდა.

— თქვენ უპარტიო კაცი ხართ, ტარას იულიჩ, მე ამათ თქვენზე ბევრი კარგი ვუთხარი, გენდობიან. ხომ ხედავთ გერმანიის უძლეველმა არმიამ რუსეთი დააჩოქა, ევროპა დაიპყრო და სულ მალე მთელი ქვეყნიერების ბატონ პატრონი ესენი გახდებიან. ამათთან ნდობის მოპოება დიდი საქმეა, სხვა გზა არც არის, თქვენ გაქვი საშუალება ადგილი იშოვნოთ და წინაც წაიწიოთ, მეც თქვენთან ვიქნები.

— ჰამე, ჰამე უშენოდაც იოლად წავალთ!— უთხრა მამამ.

— ასე გგონიათ?

— დარწმუნებული ვარ.

— არ შეცდეთ და გახსოვდეთ, რომ მე თქვენი და თქვენი ოჯახის მეგობარი ვარ.

მამამ პირი იბრუნა და გადააფურთხა, მაგრამ მარდონს არ გამოპარვია.

— ტარას იულონიჩ, კულტურული კაცი ხართ. ყოფილი პედაგოგი, ჩვენ ვჭამთ და თქვენ კი... — მარდონმა, ტუჩები იდაყვით მოიწმინდა და ვითომ სხვათაშორის თქვა:

— ჰო, მართლა, ანია სად არის?

— ვიტებსკში.

მარდონს გაეცინა.

— ტარას იულონიჩ, აბა ტყუილი როგორ გეკადრებათ, აკი გითხარით, რომ ვიცი სადაც იყავით წუხელ თქვენ და თქვენი ქალიშვილი. რაო, ტყეში დასტოვეთ.

— ანია ვიტებსკშია.

— კარგი, კარგი, ნუ ბრაზობთ, არ ჩაგაცივდებით, ალბათ მალე ჩამოვა და მომიკითხეთ, მე და ანია მეგობრები ვართ.

ვუცქერდი ამ ქონდრისკაცს, ჯოჯოს, ქვეწარმავალს და თითებს ვიჭამდი, მაშინ რომ ოთახში ვყოფილიყავი, წირპლიან თვალებს ალბათ ფრჩხილებით ამოვკაწრავდი.

ცუდად მენიშნა მისი სიტყვები.

როგორც იქნა, ამოყორეს მუცლები. ერთაორჯერ დააბოყინეს, მამას მადლობის ნიშნად მხარზე ხელი მოუთათუნეს და წავიდნენ. საბძლიდან ამოვედი და მამას მოვეხვიე.

ყოველ გათენებას ახალ-ახალი უბედურება მოჰქონდა. იმ დღეებში თითქმის ნახევარი სოფელი გადაწვეს, კომუნისტთა ოჯახები დახვრიტეს, ზოგი სადღაც გარეკეს.

ერთხანს მამა ყოველდამე ტყეში დადიოდა, მერე და მერე ტყეში სიარული შეწყვიტა, ერთთავად შინ იჯდა. მალე იგი სოფლის ბურგომისტრად დანიშნეს.

იმ საღამოს შინ რომ მოვიდა, გვერდში მომისვა, დაკოჟრილი ხელები თავზე გადამისვა და მაკოცა.

თვის ბოლოს გერმანელებმა სოფელი დატოვეს, ბარკოვოში მამა, მარდონი და კიდევ ორი პოლიციელი დარჩა, ხალხმა სახლებიდან გამოიხედა, ერთმანეთში მიმოსვლა დაიწყო.

სექტემბერში წვიმიანი ამინდები დაიჭირა, სცრიდა. მე ლუმელიდან თითქმის აღარ ჩამოვდიოდი, რომელიღაც ძველისძველ წიგნს ვკითხულობდი. მამას მე და დედა დარიგებული ვყავდით, როგორც კი შეღამდეს, კარები ურდულით ჩაკეტეთ და უჩემოდ არავის გაუღოთო. ჩვენც ასე ვიქცეოდით.

ერთხელ, ღამით, მე და დედა კარჩაკეტილში ვისხედით, მამას ველოდით. კაკუნი რომ გავიგონე, შიშისაგან სისხლი გამეყინა, მაგრამ კაკუნს მამაჩემის დაძახილიც მოჰყვა და ლუმელიდან ჩიტივით ჩამოვფრინდი. კარები რომ გამოვაღე, მამა შინ არ შემოვიდა, ჩქარა ჩაიცვი და გამომყევი, ძალიან მჭირდებიო, მითხრა.

კაბა გადავიცვი, თავშალი მოვიხვიე და გავყევი. ტყის პირას ვიღაც კაპიტანი შემოგვხვდა, იქვე დაჭრილი იწვა კვნესოდა. მასთან მივედი, დავიხარე, შუბლზე ხელი გადავუსვი.

— აბა, თქვენ იცით, ტარას იულონიჩ,— იქვა კაპიტანმა. — ლეიტენანტს თქვენი ოჯახის იმედით ვტოვებთ, კარგი ბიჭია და იმედია არ მოჰკლავთ, იქნებ ოდესმე გნახოთ და ვეცდები სამაგიერო გადაგიხადოთ. — ხელი გაუწოდა.

— სოფელში გერმანელები არ დგანან, ჩემი სახლიც აქვეა, მივიდეთ, ცოტა რამ შეჭამეთ. — უთხრა მამამ.

— ძალიან ვჩქარობ, ტარას იულონიჩ.

— დაჭრილის გადაყვანა უთქვენოდ მაინც გაგვიჭირდება, მომეშველეთ. — ორივემ დაჭრილი ლეიტენანტი ხელში აიყვანა, მე წინ გავუძეხი.

ლეიტენანტი საბძელში მოვათავსეთ. დედამ ჭრილობა მოჰბანა, რაღაც მალამო წაუცხო და შეუხვია, მერე კაპიტანი ოთახში მიიპატიჟა და, როგორც შეეძლო, გაუმასპინძლდა, მე კი დაჭრილთან დავრჩი.

კაპიტანი რომ გაისტუმრეს, დედა და მამა საბძელში ჩამოვიდნენ. ჩვენი ავადმყოფი კვნესოდა, ბორგავდა, აბოდებდა. მივხვდი, რომ იგი

რუსი არ იყო. დილით გრძნობაზე მოვიდა, თვალი გაახილა, მიმოიხედა, შემნიშნა და ჯამისოდენა შავი თვალები მომაშტერა.

— სად ვარ? — იკითხა.

— თქვენიანებთან, დამშვიდდით და დაიძინეთ.

ეტყობოდა ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, თივაზე მიესვენა.

საღამოს მამამ საიდანღაც ნამდვილი წამლები მოიტანა, დედამ თავისი მალამო მიაშველა და დილით დაჭრილმა ისევ შემომხედა.

მე თითქმის სულ საბძელში ვიყავი, გავყოჩაღდი, საზრუნავმა ძალა და მხნეობა შემმატა, წითელი არმიის მეთაურის გადარჩენა უდიდეს სიმამაცედ მიმაჩნდა.

ნაშუადღევს ჩემი ავადმყოფი წამოჯდა, გამიღიმა და მითხრა, თუ შეიძლება წყალი დამალევინეო. წყლის მაგიერ ტოლჩით რძე მივუტანე, მოსვა, გაეცინა და ტოლჩა ნახევრამდე დაცალა.

ჩვენს საბძელს ორი კარი აქვს: ერთით აგერ, ამ ოთახში ამოხვალ, მეორეთი — უკან, ბოსტანში გახვალ. იმ დღეს დაჭრილს საჭმელი ჩავუტანე, დიდი ხვეწნის შემდეგ შევაჭამე და საბძლიდან რატომღაც მეორე კარით გამოვედი, ორიოდე ნაბიჯი გადავდგი და წინ მარდონი შემეფეთა. იცოცხლეთ, მე შიში ვჭამე, თეფშები ხელიდან კინაღამ გამივარდა, მაგრამ თავი შევიკავე. შიში დავიოკე და მარდონს ნაძალადევი ღიმილით მივესალმე.

— ოჰ, ანია, გამარჯობა, როდის ჩამოხვედი ვიტებსკიდან?

— გამარჯობა, მარდონ, შენც აქა ხარ? — იმავე ირონიით ვუპასუხე. ხელი ჩამომართვა და პირი მოშიებული ძაღლივით გააწკლაპუნა. ზურგი შევაქციე, მინდოდა გავცლოდი, მაგრამ შემაჩერა.

— აქეთ სად იყავი, ანია?

— აგერ ახლო.

— მაინც?

— დაკითხვაა?

— აჰ! როგორ გეკადრება, მე რა უფლება მაქვს ბურგომისტრის ქალიშვილი დავკითხო, ისიც ერთადერთი. — ჩაისისინა, თეფშებს დააცქერდა, მერე საბძელს ცალი თვალით გახედა და იქით გაიწია. მუხლები მომეკვეთა.

— რატომ ჩვენთან არ დადიხარ, მარდონ, — ვცადე მისი შეჩერება. გასჭრა, შემობრუნდა და მომიახლოვდა. — ჩვენ მეტი სიახლოვე გვმართებს, შემოიარე.

— მამაშენის მერიდება, ანია, სულ იბღვირება, ალმაცერად მიყურებს, რა დავუშავე? დიდი უმადური კაცი ყოფილა, ბურგომისტრობა ჩემი წყალობით, ჩემი რეკომენდაციით ჩაიგდო ხელში და მე აღარაფრად მაგდებს.

— რა ვიცი, შინ მამას შენი საყვედური არ დასცდენია, პირიქით, ყოჩაღი ბიჭიაო, წინ წაიწევსო, თქვა, გემადლიერება კიდეც. პირში მადლობას მამა შენ კი არა, ჩვენ არ გვეუბნება. შემოიარე ჩვენთან, ვისაუბროთ, ახლა ზოდიშს ვიხდი, დედა მელოდება, ნახვამდის.

— ნახვამდის, ანია!

შინ რომ შევედი, ფანჯარას მივვარდი, გავიხედე, მარდონი ისევ იქ იდგა, ღმერთო, ლეიტენანტს რომ დაეკვნესა, უეჭველად გაიგონებდა, მაგრამ ამჯერად ყველაფერმა კარგად ჩაიარა. პოლიციელი საბძელში არ შესულა, წავიდა. დედა მეთვალყურედ დავაყენე და მე ისევ საბძელს მივაშურე. ჩემს ავადმყოფს ხელში პისტოლეტი ეჭირა.

— არ მესროლო!

ო, როგორ გაუხარდა ჩემი დანახვა!

— ვინ იყო, ვის ელაპარაკებოდი, ანია?

— პოლიციელს.

ფერმა გადაჰკრა ერთხანს იყუჩა და მერე ჩაილაპარაკა: — მომაგნო?

— ჯერ არა, მაგრამ მოგაგნებს, ეტყობა, ძაღლმა რაღაც იყნოსა.

— მოვიდეს! — თქვა და მიწვა.

საღამოს საჭმელზე ცივი უარი მითხრა, არავითარმა ხვეწნამ არ გასჭრა, რძეც კი არ მოსვა. ძალიან რომ მივეძალე, დედა დაიფიცა, არ მინდაო, დატოვე და იქნებ მერე შევჭამოო.

ჩამოვჯექი, უკვე რა ხანია მისი მკურნალი ვარ და ჯერ სახელიც არ მიკითხავს, ვზივარ და ვუცქერი.

— ასე რატომ მიცქერი ანია?

— მიხარია, რომ დღეს უკეთ ხარ, პისტოლეტიც კი მოიმარჯვე და რომ გაგვჭირვებოდა, ალბათ გაისროდი კიდეც, ჩვენც დაგვღუპავდი და თავსაც...

— ეჰ, ერთი ფეხზე დამაყენა და...

— თუ არ ჭამე, ფეხზე ვერ დადგები.

— ყელში რომ არ გადადის?

— ძალით უნდა ჭამო, ახლა სახელი მითხარი, რა გქვია, სადაური ხარ? თორემ სულ ამხანაგო ლეიტენანტოს ხომ არ გიძახებ?

— ქართველი ვარ, სახელად დავითი მქვია, მაგრამ შენ უბრალოდ დათო დამიძახე, გენაცვალე.

— ეს გენაცვალე რაღაა?

— ყველაზე ლამაზი ქართული სიტყვაა, ამ სიტყვას უახლოესს, უსაყვარლეს ადამიანს ეუბნებიან.

— ასეა? კარგი, ახლა მეც მომისმინე, დათო, ჭამე, გენაცვალე! — გენაცვალეზე ცოტა წავიფორხილე, მაგრამ ჩემმა ნათქვამმა მაინც გააკეთა თავისი საქმე, დათომ გაიცინა და ჭამას შეუდგა.

...ჩემი ავადმყოფის ჯანმრთელობა დღითიდღე უმჯობესდებოდა და მთელი ჩვენი ოჯახი ამით მეტად გახარებული იყო, რადგან მარდონმა დანამდვილებით იცოდა, რომ საბძელში ვიღაცას ვმალავდით, ჯერჯერობით აშკარად არ

მოქმედებდა, ალბათ გერმანელების გამოჩენას ელოდა და საჭიროების შემთხვევაში დათოს თავისთვის უნდა ეშველა, ტყეში გაქცეულიყო. ისე მოიკეთა, რომ წვერიც კი გაიპარსა, წამოდგა კიდეც.

ჩემი და მარდონის მეორე შეხვედრაც საბძლის ახლოს მოხდა, მაშინაც ხელში თეფში და სარძევე ტოლჩა მეჭირა, რომ დავინახე ტოლჩა ხელიდან გამივარდა, მაგრამ არ გატყდა, მარდონმა ტოლჩა აიღო და მომაწოდა.

— ასე რატომ შეგეშინდა? — მკითხა.

— ვისი უნდა შემშინებოდა? — გავუცინე.

— რა გეცინება, განა არ ვიცი რატომ გეშინია?

— მაინც რატომ? — გამოვაჯავრე.

საბძლისაკენ გაიხედა, ხელიც გაიშვირა. — მე ყველაფერი ვიცი. წითელი არმიის ლეიტენანტს ინახავთ, თავს ევლებით. მკურნალობ. ამისათვის გერმანელები სიკვდილით სჯიან, კი არ ხვრეტენ, ახრჩობენ. სიტყვა რომ დამცდეს, შენც და შენს ოჯახსაც, პატივცემული ბურგომისტრის მეთაურობით, ყველაზე მაღალ ნაძვზე ჩამოჰკიდებენ, ყველაზე მაღალი ნაძვი კი სწორედ სოფლის ბოლოზე დგას. ენა ჩამივარდა, ან რაღა უნდა მეთქვა?

— გვითვალთვალებ? — ამოვიღრინე.

— დიახ, და არც ვმალავ, ეს ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა, ვერავინ დამძრახავს.

— შენი საქმეა, ახლა ეს მითხარი, მარდონ, რატომ ჩვენთან არ მოხვედი? მე, ქალმა დაგპატიჟე და შენ თავი ამარიდე?

— ვერ მოვიცალე, ანია, ათასი საქმეა. თავის არიდებისაგან ღმერთმა დამიფაროს. ხომ იცი როგორ პატივს გცემ, სიმართლე თუ გინდა იცოდე, სწორედ შენი გულისათვის ჩამოვედი ვიტებსკიდან ამ მიყრუებულ სოფელში. მე გერმანული ენა კარგად ვიცი, გერმანელებისათვის სხვა სამსახურიც გამიწევია და ვიტებსკშიც მომცემდნენ შესაფერ ადგილს, მაგრამ აქ შენ მეგულებოდი და ჩემი მომავალი კარიერა შენ განაცვალე. ახლა გამომიყენე რაშიც გინდა, მზად ვარ დაგეხმარო. მოარჩინე ლეიტენანტი და მოუსვას აქედან. შენ კი ჩემი უნდა გახდე!

— ეს არ მოხდება, მარდონ, მე შენ...

— არ გიყვარვარ თუ გეზიზღები? მერე რა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, სიყვარული მოვა. — ხელი ჩამკიდა, გაიღრიჭა. — სიკვდილი ძნელია, ძალიან ძნელი. შენ სულ ახალგაზრდა ხარ და ლამაზი, რატომ უნდა დაიღუპო? ახლა გაკოცებ, რაც დასტური იქნება იმისა, რომ ჭკვიანი გოგო ხარ. — მომეძალა, თეფში და ტოლჩა გადავყარე და ისე ვტკიცე, როგორც ორი წლის წინათ. ლოყაზე ხელი იტაცა, მე გავიქეცი.

— „ხვალ საღამოს რვა საათზე „აგარაკზე" გელოდები, დავიცდი მხოლოდ ათ წუთს და თუ არ მოხვალ... — დამაწია პოლიციელმა და წავიდა.

დედას მივვარდი, თავი კალთაში ჩავუდე, შევჩივლე და ავტირდი. დედა, დედა, მიშველე, ვიღუპებიი. — და ყველაფერი ვუამბე. მამისათვის არაფერი გამიმხელია.

მეორე დღეს დათომ შემატყო უხასიათოდ ვიყავი და შეშფოთებულმა მკითხა:

— მოხდა რამე, ანია?

— ისეთი არაფერი, მაგრამ შენ მაინც მზად უნდა იყო, იქნებ საფარი გამოგიცვალო.

— მე ამ წუთში წავალ, ჩემს გამო ოჯახი საფრთხეშია, წავალ, უკვე შემიძლია სიარული, ნახე! — წამოიმართა, ვეცი, მაგრამ დევივით ვაჟკაცს როგორ შევაკავებდი, მხოლოდ ორი ნაბიჯი გადადგა და დაეცა... ოხ, დედა, დედა! — ამოიგმინა ქართულად.

რის ვაი-ვაგლახით ისევ თავის ადგილას დავაწვინე, დავუყვავე და საბძლიდან გამოვედი, მერე შეღამებამდე კიდევ ორჯერ ვინახულე, თივაში თავჩარგული იწვა, ჩემთვის ხმა არ გაუცია.

საღამოს რვა საათი ახლოვდებოდა. მამა დილით რომ გავიდა, აღარ გამოჩენილა, კიდევაც რომ მოსულიყო, მას მაინც არაფერს ვეტყოდი, რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ ის, რაც გადაწყვეტილი მქონდა, მამას არ მოეწონებოდა.

პოლიციელი ზუსტად თავის სიმაღლე ბუჩქთან იდგა, მელოდა, შორიდანვე შემნიშნა, მომეგება, გაიჭყანა.

— მჯეროდა შენი, ანია, მამაშენის შვილი როგორ შეიძლება ჭკვიანი არ იყოს. გუშინ ცოტა აღელდი, მაგრამ ეს არაფერია. ასე მოძულებით მაინც არ უნდა ჰკრა ხელი კარზე მომდგარ სიყვარულს, ბედნიერებას. მახსოვს ერთხელაც გამეთამაშე, მაგრამ მაშინ შედარებით უსუსური გოგო იყავი და გაპატიე, ახლა შენმა აქ მოსვლამ ყველაფერი დამავიწყა. — მკლავში ხელი გამომდო, ჩირგვებისაკენ წამიყვანა.

— რატომ დამიბარე? — ვკითხე.

— მიყვარხარ და გაღმერთებ, ვიცი, ერთი შეუხედავი კაცი ვარ, მაგრამ ახლა ომია, ახლა მამაკაცი სანთლით არის საძებარი. მიყვარხარ, შენი მონა გავხდები, ქალისათვის ხომ ეს არის მთავარი! ხვალვე ვიტებსკში წავიდეთ, ხელის გულზე გატარებ, არაფერს მოგაკლებ. შენ დუმხარ, საყვარელო, ძვირფასო, შენი დუმილი ბევრს მეუბნება. — სახე ლოყასთან მომიტანა.

— გაიწი იქით! — შევყვირე. გვერდზე გახტა. კინაღამ სიცილი წამსკდა, მაგრამ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, „პაემანზე" რომ მივდიოდი, სულ სხვა გეგმა მქონდა.

— სად გარბიხარ, მარდონ, მოდი აქ!

მოვიდა, უნდობლად შემომხედა.

— ვიცი, მარდონ, რომ პატივს მცემ, მაგრამ

პატივისცემა სიყვარულს როდი ნიშნავს! სიყვარულს, ჩემო კარგო, მუქარა კი არა, დამტკიცება უნდა.

— რით დაგიმტკიცო?

— კაიკაცობით.

— ვერ გავიგე.

— რა არის აქ გაუგებარი? ისე მოიქეცი, როგორც შეჰფერის დღეს ნამდვილ ადამიანს. შეხედე რას დაემსგავსა ჩვენი ლამაზი სოფელი, შეხედე იმ გადამწვარ სახლებს, იქ ხომ ადამიანები, შენი და ჩემი ტკბილი მეზობლები ცხოვრობდნენ. არ გვინდობენ, მარდონ, გვწვავენ, გვაწიოკებენ, ცოცხლად გვმარხავენ. სწორედ ახლა, ამ ჭირიანობის დროს არის საჭირო კაიკაცობა. შენ კი ჩვენს მტრებთან მუშაობ, დამპყრობლებს ემსახურები. ნუ გეწყინება და ამისათვის ხალხს სძულხარ.

— რატომ? ვის რა დავუშავე? — საცოდავად ამოიკნავლა.

— ვის რა დაუშავე? გეტყვი, შენ გაეცი სტეფანე კოლოდა, შენ დახვრიტე კარტოფილის ორმოში ჩამალული წითელარმიელები, შენ...

— გაჩუმდი! — იყვირა.

— ნუ ყვირი, ხომ ხედავ, ჩვენც გვქონია თვალი და ყური. ჩვენც ვხედავთ, ავსა და კარგს ხელისგულზე ვიწერთ, ვიხსომებთ. სოფლის ღალატი ყველაზე დიდი სიბინძურეა, არაკაცობაა, არაკაცობა და ღალატი კი არავის შერჩენია, მარდონ!

— მე... მე რა უნდა მექნა? ერთი ავადმყოფი, თითქმის უძლური კაცი ვარ. კოლმეურნეობაში მუშაობა არ შემეძლო, ამითვალწუნეს, ყველა ალმაცერად მიყურებდა, აბუჩად მიგდებდა. ჩემი ერთადერთი იარაღი გერმანული ენის ცოდნაა, დადგა ჩემი დროც და არ გამოვიყენო?

— გერმანული საიდან იცი?

— დედაჩემი გერმანელია.

ვგრძნობდი რომ პოლიციელზე გავლენა მოვახდინე, გვარიანად მოვტეხე და, გამოგიტყდებით, საქმის ასე შემობრუნება მიკვირდა. ისიც კი ვიცოდი, რომ მასზე დანდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს სულ ცოტა რამ მაინც უნდა წაეგლიჯა იმ ქონდრისკაცისთვის. ეს ცოტა რამ კი ლეიტენანტის მშვიდობით გასტუმრება გახლდათ. რაკი გავბედე და თვითონ გადავედი იერიშზე უკან აღარ დავიხიე.

— ვხედავ, სათქმელი აღარაფერი გაქვს, მარდონ, გერმანული ენის ცოდნა ვერაფერი იარაღია, არ დაგიცავს. შენ ჩადენილი დანაშაული, იმ ადამიანების სისხლი და სული არ გასვენებს, გაწვალებს, ალბათ ნანობ კიდეც — მე ეს მიხარია, ჩანს ჯერ კიდევ მთლად დაღუპული არა ხარ, ჯერ კიდევ არ არის გვიან.

— არა, არა და არა! — უცებ იყვირა, გაოცებისაგან ახლა მე შევხტი, მისი „არა“ არაფრად ჩამიგდია, მაგრამ ამ შეძახებამ გამაოცა. იგი კი არ წრიპინებდა, ჩვეულებრივი მამაკაცის ხმა იძახდა „არა, არა“.

— ეს არ მოხდება, რუსეთი აღარ არსებობს, მოსპეს, გათელეს და მეც იქა ვარ, სადაც გამარჯვებულია.

— რუსეთი ძალიან დიდია, მარდონ, რუსეთს ვერავინ მოსპობს, გათელვით კი მართლა გათელეს, მაგრამ გავუძლებთ. ჩვენი ქვეყანა ძლიერია და თუ მოესწარი, ნახავ, როგორ მოცოცხავენ აქედან შენი ქებული ფრიცები, თუ გაუშვეს.

— მერედა ვინ განდევნის? შენს საბძელში რომ აგდია, ის დაჭრილი ლეიტენანტი? იმისი იმედი გაქვს? — შებრუნდა და უკან, დაღმართზე დაეშვა. ვინ იცის, რა გულით მოდიოდა პაემანზე, მე კი გუნება გავუფუჭე, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მოთოკილი, მოთოკილი კი არა, თუ არ დავეწეოდი და არ დავუყვავებდი, ამიერიდან იქნებ უფრო საშიშიც გამხდარიყო. წამოვეწიე.

— თუნდაც ლეიტენანტი! ვის რა დაუშავა? დაჭრილია, მალე სიარულს შესძლებს და თავის გზას ეწევა. შენი დიდი მადლობელი ვარ, მარდონ, როგორც პოლიციელს, შეგეძლო მისი დასმენა (სიტყვა გაცემა განგებ არ ვახსენე) კაცობა გამოიჩინე და ამას არ დაგივიწყებ.

— ოღონდ შენ მყავდე მადლიერი და თუ გინდა ამაღამვე ყელს გამოვღადრავ გოროდოკის კომენდანტს.

— ასე მალე გაიმეტე? — გამეცინა.

— კისერიც უტეხიათ.

— ეს ჩვენებური, კაიკაცური სიტყვაა, მარდონ, არც ამ საღამოს დავივიწყებ. შენ ალბათ იცი, რომ ტყე სავსეა პარტიზანებით, ფაშისტები მალე იგრძნობენ მათს რისხვას. ახლა ბარკოვოში გერმანელები არ დგანან. ვთქვათ, მოვიდნენ პარტიზანები და ზოგიერთს პასუხი მოსთხოვეს, მაშინ?

შედგა და ერთხანს იფიქრა. მგონი ზუსტად მიზანში მოვარტყი. თქმით არაფერი უთქვამს, ჭიშკრამდე მიმაცილა. ხელი გამომიწოდა და მაშინღა ამოიდგა ენა.

— არ მეგონა თუ ასეთი გულადი იყავი, რაც დღეს ჩვენს შორის მოხდა, არავის ვაპატიებდი, შენ სხვა ხარ, მართლა მიყვარხარ და ათას გერმანელში არ გაგცვლი, ნახვამდის, ჩემი შიში ნუ გექნება.

— ნახვამდის, მარდონ!

ჩემს ავადმყოფს მოხარშული კარტოფილი და რძე წავუღე, საბძელში ბნელოდა, უკანვე გავბრუნდი, სანთელი და ასანთი ჩავიტანე, ასანთს გავკარი, გავანათე.

დათოს ხელები თავქვეშ ამოეწყო, ეტყობოდა ეძინა, თვალები უცებ გაახილა და რაღაცნაირად გულუბრყვილოდ მკითხა:

— უნდა წავიდე?

— სად უნდა წახვიდე?

— აკი მითხარი.

— ეს ისე, ყოველშემთხვევისათვის, ჯერ საშიში არაფერია, ჭამე. . კარტოფილი აიღო და რძეც მოსვა.

— მე მართლა უნდა წავიდე, ანია, ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, რომ საფრთხე მიახლოვდება, ვნერვიულობ. არ იფიქრო თავს ვუფრთხილდებოდე, შენი თქვენი ოჯახისა მეშინია, აგაწიოკებენ.

—-არაფერიც არ მოხდება, ჭამე.

დილით შინიდან რომ გადიოდა, მამამ მითხრა, მარდონი სადღაც წავიდაო. ორი პოლიციელი, რომლებიც ვითომდა სოფელში წესრიგს იცავდნენ, პარტიზანების შიშით კანტორიდან თავს ვერ ჰყოფდნენ, მამას ემლიქვნელებოდნენ და ხალხსაც ცუდად არ ექცეოდნენ. გერმანელები გოროდოკში მოკალათდნენ, ხანდახან სოფლებს მოედებოდნენ, ხალხს ქათმებს წაართმევდნენ, გაჩერებით კი მხოლოდ გოროდოკის ახლო მდებარე სოფლებში ჩერდებოდნენ.

ასე გავიდა კიდევ ერთი კვირა, დათო მოღონიერდა, საბძელში ჯოხდაბჯენილი დაალაჯებდა.

ერთ საღამოს კი ისეთი რამ მოხდა, რომ კინაღამ ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

წვიმდა და ციოდა, მამაც შინ იყო, სამივე ადრიანად დავწექით, მალე მიმეძინა.

კარზე უდიერად რომ დააკაკუნეს, პირველად მე გამეღვიძა და მამას დავუძახე. მამა ადგა, ჩაიცვა და კარებთან მივიდა. კაკუნი განმეორდა.

— ვინ აკაკუნებს? — იკითხა მამამ.

— გააღეთ, თორემ შემოვამტვრევთ! — მოისმა გარედან.

— ვინა ხართ?

— პარტიზანები!

მამამ მომიხედა, მე კაბა გადავიცვი, დედაც წამოდგა, ორივე ოთახის კუთხეში მოვიკუნჭეთ მამამ კარი გააღო, სიცივესთან ერთად ოთხი შეიარაღებული კაცი შემოვარდა.

— ხელები! — იღრიალა ერთმა ყველაზე მაღალმა ახალგაზრდამ და მამას ავტომატი მიუღირა.

— რას გვერჩით, რა ამბავია, ამხანაგო? — მშვიდად ჰკითხა მამამ.

— ამხანაგო, ა! გაიგონეთ? — მიუბრუნდა მაღალი დანარჩენებს. — ამხანაგიო. შენი, ამხანაგები ფაშისტებთან მოიძიე, აქეთ მოდექი! — მამას ხელი ჩაჰკიდა და ჩვენთან დააყენა.

— დიასახლისო, გვშია!

დედამ ღუმელიდან მოხარშული კარტოფილი გამოიღო და მაგიდაზე დადგა.

— გერმანელი ჩინოვნიკის პურ-მარილი არ გვაწყენს, იქნებ არაყიც გაქვს, არ დაგვიმალო.

— არაყს არა ვსვამ, არცა მაქვს. — ცივად მიუგო მამამ.

კარტოფილი მალე შეჭამეს, რძეც დააყოლეს. იმ მაღალმა ღუმელში შეიხედა, ნახევარი პური გამოიღო და ამხანაგს გადასცა, მერე ისევ მამას მიადგა.

— ახლა წავიდეთ, ბატონო ბურგომისტრო, პურ-მარილის მიღების შემდეგ, უხერხულია, მაგრამ ჩვენ ჩვენი კანონი გვაქვს, ფაშისტების დამქაშებს, კაპუტ! — გაიღრიჯა.

— რა გინდათ მამასთან, ან თქვენ თვითონ ვინა ხართ, რას წარმოადგენთ? — ხმა ავიმაღლე.

—მამაშენი გამყიდველია, ლამაზო, გერმანელების ლაქიაა, ჩვენ მას დავხვრეტთ.

დედამ შეჰკივლა. მამა მშვიდად იდგა, კაცი შვილი ვერ შეატყობდა, ყოველივე, რაც მის ოჯახში ხდებოდა, სწყინდა თუ არა.

— მე თქვენ არსადაც არ წამოგყვებით, ცოტა უფრო დიდი საქმე მაქვს, ახლა გეყოფათ, წადით!

— ბიჭოს! ფაშისტებს ბრძანებაც უსწავლებიათ, წამოეთრიე, შენი...

— წადით, ამხანაგო და ჩვენი ამბავი სხვაგან იკითხეთ, წადით!

მდგომარეობა დაიძაბა, მაღალმა ავტომატი დაიკიდა და პისტოლეტი ამოიღო, მას შეეძლო აქვე, ჩვენს თვალწინ მოეკლა მამა.

— შენ უნდა მოკვდე, ბურგომისტრო, უნდა ჩაძაღლდე, ახლა თუ ცოლ-შვილი გებრალება, გარეთ გამოდი, ოღონდ სწრაფად, დრო აღარ ითმენს.

— აბა ეს რასა ჰგავს, მტერსა და მოყვარეს ვეღარ არჩევთ? დაეხეტებით ტყე-ტყე და იმის მაგიერ, რომ ნამდვილი მტერი ეძიოთ, პატიოსან ოჯახებს აწიოკებთ, ახლავე გადით აქედან!

— ხმა ჩაიკმინდე, ბებერო ძაღლო, გამყიდველო, ქოფაკო! გვლანძღავ კიდეც? მაშ ჩაძაღლდი, შენი!.. რევოლვერი შემართა, მე ვიკივლე და მისკენ გავექანე.

ამ დროს კარი გაიღო და დათო შემოვიდა.

— სდექ! — ისე დაიქუხა, რომ იმ მაღალს ხელი გაუშეშდა .დანარჩენები გასწორდნენ და კედელს აეკრნენ.

— დაუშვი იარაღი და გამომყევით! — ბრძანა და გავიდა. მას ჯერ მაღალი ახალგაზრდა მიჰყვა, მერე სხვები. მამამ ორი სიტყვით დაგვამშვიდა და ისიც გავიდა.

— მამა, მამა. — მივაძახე,—დათოს ჯერ სიარული არ შეუძლია, დააბრუნე მამა!

მე და დედა საწოლზე მოვიკუნტეთ და დიდხანს ველოდით მათს დაბრუნებას. მამა რომ შემოვიდა, მეგონა დათოც შემოჰყვებოდა, რომ ვერ დავინახე, გული გადამიტრიალდა.

— წავიდა?

— არა, აქ არ შემომყვა, ისევ საბძელშია, ისინი კი წავიდნენ. არც ისე ურიგო ბიჭები ყოფილან, როგორც იქაჩებოდნენ. მისამართი შეშლიათ, სოფელ-სოფელ დადიან და პოლიციელებსა და ბურგომისტრებს ხვრეტენ. ჩემ წინაშე ბოდიში მოიხადეს.

აღარ დამეძინა, თვალწინ სულ დათო მედგა.

დილით საბძელში ადრე ჩავედი, დათოს კვნესა მომესმა.

— რა დაგემართა, დათო?

— შენა ხარ, ექიმო, კარგია რომ მოხვედი, ჭრილობა გამეხსნა, ცოტა სისხლიც წამომივიდა და, თუ და ხარ, შემიხვიე.

გულზე ეკალივით დამესო მისი სიტყვები. „თუ და ხარ, შემიხვიეო". ჭრილობა ხელების კანკალით შევუხვიე და მაშინვე წამოვედი.

— ანია! — დამიძახა.

— გინდოდა რამე?

— ახლო მოდი, ანია.

მივედი, თივაზე ჩამოვჯექი.

— იცი, ანია, თუ ღმერთმა ინება და ცოცხალი გადავრჩი, მთელ თქვენს ოჯახს საქართველოში მივიპატიჟებ, ერთი-ორი დღით კი არა, მთელი თვით, რამდენ ხანსაც ისურვებთ. ხომ წამოხვალ?

— რატომაც არა.

— იქ დედა მყავს, დედაშენივით უთქმელი და კეთილი ქალია.

— სხვა? სხვა ვინ გყავს, დათო?

— სხვა? — გაიღიმა. — სტუმრად რომ მეწვევი, მაშინ ნახავ.

— საჭმელს მოგიტან, ცხელი რძე მოგიხდება...

კვირას ბარკოვოში გერმანელების ოცეული შემოვიდა. ოცეულს წინ ოფიცერთან ერთად მარდონიც მოუძღოდა, სასაცილოდ მოაბიჯებდა ოფიცრის გვერდით.

გერმანელები სოფელს მოედვნენ, სახლებისა და საბძლების ჩხრეკა დაიწყეს. ჩვენთან ისე სწრაფად მოვიდნენ, დათოს გადაყვანა ვერ მოვასწარით. მისთვის მამას ტყეში ახალი თავშესაფარი ჰქონდა გამზადებული. მიწური უფრო განიერ ხვრელს წააგავდა, ერთი მხრიდან რომ ჩახვიდოდი, მეორე მხრიდან შეგეძლო გასვლა.

ჩვენს ეზოში შემოყაყანდნენ, ოფიცერმა თვალებით შემჭამა, მარდონს ყურში რაღაც უთხრა და გადაიხარხარა. მარდონმა ხელის ჩამორთმევა ინება და წამჩურჩულა, თითქოს თავი იმართლა:

— მოსკოვი აუღიათ, ლენინგრადიც, ამათია ქვეყანა...

— ლაჩარო!

— თავს ნუ გაგივიდა, მე ლაჩარი არა ვარ, შენ კი გილოცავ, ოფიცერს მოეწონე, ისიც — ესესელს.

— მკვლელო, ბილწო, გამცემო. გაეთრიე, ჩემს ახლო ნუ დგახარ, შე ზღმურტლიანო, თორემ მაგ წირპლიან თვალებს ამოგკორტნი, გაეთრიე! — მე არ ვყვიროდი, ამ სიტყვებს საკმაოდ ჩუმად ვეუბნებოდი, მაგრამ მარდონი ყვირილზე მეტად გრძნობდა მათ ძალას.

— —ცოტა დაუკელი, გესმის? დანარჩენზე საღამოს გელაპარაკები. — იგი ოფიცერთან მივიდა, რაღაც გადაულაპარაკა. ოფიცერმა ისევ გაიცინა, მერე ხელი საბძლისკენ გაიშვირა. მარდონი ადგილიდან მოსწყდა, საბძელთან პირველი გაჩნდა, კარი ფრთხილად შეაღო და მაშინვე მიხურა.

მამას ადამიანის ფერი აღარ ედო, მეც ფეხზე ძლივს ვიდექი. ველოდი გასროლას, მხოლოდ გასროლას. დათო ამათ ცოცხალი თავით არ დანებდებოდა, მარდონს ესროდა და მერე ვინ იცის...

საბძლის კარი გაიღო, მარდონი გამოჩნდა და გერმანელ ოფიცერს ხმამაღლა, ყველას გასაგონად უთხრა, საბძელში საეჭვო არაფერიაო, მერე ეს სიტყვები რუსულადაც გაიმეორა და შემომხედა.

მე თავი ჩავღუნე.

გერმანელებმა მამა წაიყვანეს და წავიდნენ. მაშინვე საბძელში შევვარდი. დათო ფეხზე იდგა, ხელში პისტოლეთი ეჭირა.

— წავიდნენ, დათო!

— ახლავე გამიყვანე აქედან, ანია, ტყემდე თუ მივაღწიე, მერე ვიპოვნი გზას, ოღონდ ჩქარა!

— სანამ არ შეღამდება, აქედან ვერ გახვალ.

— ისევ რომ მობრუნდნენ? მათ უკვე იციან, რომ აქა ვარ.

— არ მოვლენ, და თუ მოვლენ, ორივე ერთად მოვკვდეთ.

— ანია!

— გაჩუმდი, მე ან გადაგარჩენ, ან შენთან ერთად დავიღუპები.

მარდონის გამოჩენას ისე მალე აღარ ველოდი და რომ დავინახე, დავიბენი და აღარ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ.

— რატომ მადლობას არ მეუბნები, ანია?

— რისთვის უნდა გითხრა მადლობა?

— ლეიტენანტი?

— შენ ხომ საკუთარ ტყავს გაუფრთხილდი, მოგკლავდა.

მაშინვე მივხვდი, რომ ამის შემდეგ დათოსაც და ოჯახსაც უფრო დიდ საფრთხეში ვაგდებდი, მაგრამ ყოველთვის ყველაფერი ჩვენზე როდი ყოფილა დამოკიდებული. ენას გული განაგებსო, უთქვამთ და ეს სწორი ყოფილა, მე იგი მძულდა, მძულდა როგორც ბალანდამწვარი, როგორც არარაობა.

— უმადური ხარ, შენთან ადამიანური ლაპარაკი არ შეიძლება. მომკლავდაო, ამბობ, მაგრამ მერე? მერეც ხომ შემეძლო გამეცა. ახლავე გაათრიე აქედან, ერთი საათი მომიცია, თორემ აღარ დაგინდობ.

— წავიყვან, აქაურობას გავაცლი, მაგრამ იცოდე, ლეიტენანტს რომ რაიმე შეემთხვას, შენი ნავაჟკაცარი იქნება და ველარაფერი გიშველის.

— გაღმა მედავები? მემუქრები? სჯობს საკუთარ თავზე იფიქრო. საღამოს იმ ესესელს უნდა ეახლო, ბურგომისტრის ქალიშვილო.

— მერე? შენი სიყვარული სადღაა, შე ლა-

ჩარო, ასე მალე გამყიდე? — მაგრამ იგი უკვე აღარ მისმენდა, სოფლის საბჭოსკენ მიდიოდა. ავჩქარდი, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, დათო მე უნდა გადამეყვანა. მოვისაზრე, სახლიდან დედის ძველი თავშალი გამოვიტანე, დათოსთან შევედი და მოვახურე. ორივე ფრთხილად გამოვედით საბძლიდან, მივიხედ-მოვიხედეთ და ტყისკენ გავწიეთ. დათოს სიარული უჭირდა, ეტყობოდა თავბრუ ესხმოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, სიმწრის ოფლი კი სდიოდა. მხარში შევუდექი, მან ხელი გადამხვია და ასე მივაღწიეთ ტყემდე. ტყეში მალე ვიპოვნე მიწური, ჩემი ავადმყოფი შიგ ჩავაძვრინე, თან ავუხსენი, მეორე მხარეს გასვლა შეიძლება-მეთქი. დათომ ხელი დამიქნია, უცებ გული დამწყდა და მისი მარტო დატოვება დამენანა, მეგონა ველარასოდეს ველარ ვნახავდი, მაგრამ იქ ჩემი გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ბოსტანი რომ გადმოვიარე, მარდონი დავინახე, ტყისკენ მიმავალ ბილიკზე იდგა და უსტვენდა.

ისევ პოლიციელის ხელში აღმოვჩნდი. შინ შევედი, დედას ყველაფერი ვუამბე და მამასთან გავგზავნე, მე კი საბძელში ჩავედი და დათოს იქ ყოფნის კვალი წავშალე. საბძლიდან რომ გამოვედი, ტყისკენ გავიხედე, მარდონი აღარ ჩანდა.

რას ნიშნავს ეს? დამზვერა და მაგრძნობინა, რომ ყოველ წუთში შეუძლია დაგვღუპოს? იქნებ ახლავე მოიყვანოს გერმანელები. მისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

გულისფანცქალით ველოდი მამას, დაღამებას. თუ ესესელი მომეძალებოდა, მამას ვაიძულებდი მეც ტყეში გავეშვი, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. გერმანელებმა მოულოდნელად დატოვეს ბარკოვო, მეზობელ სოფელში პოლიციელთა გარნიზონს პარტიზანები დასხმოდნენ თავს და მათ მისაშველებლად წავიდნენ, სოფელში მარდონი და სამი გერმანელი ჯარისკაცი დარჩა.

ეს ამბავი დედამ მოიტანა. შეღამებულზე მამაც მოვიდა, ფეხზე ივახშმა და, რომ მიდიოდა, გვითხრა: ის წირპლიანი ნამეტანი წრიალებს, მგონი რაღაცას აპირებს, და თუ ხელი არ შევუშალე, ამაღამ რამე ბინძურ საქმეს ჩაიდენსო.

დაღამდა, დედა თავს ცუდად გრძნობდა და დაწვა. მე ფანჯარასთან მივედი, ერთხანს ფეხზე ვიდექი, მერე დავიღალე, სკამი მოვიტანე და ჩამოვჯექი.

გული ცუდს მიგრძნობდა, ვიჯექი და ვუცქეროდი ღამეს, რომელსაც სოფლისთვის თავისი შავი ფრთები გადაეფარებინა. ასე მეგონა სოფელთან ერთად მთელი სამყარო იძირებოდა წყვდიადში.

დათოზე ვფიქრობდი, ალბათ ზის მიწურში, ჭრილობაც აწუხებს, იქნებ კვნესის კიდეც, მეძახის, წყალს მთხოვს, იქნებ უკვე ეპარებიან მის თავშესაფარს და აწამებენ. შიშმა ისე ამიტანა, კინაღამ დედა გავაღვიძე, მაგრამ ისე იყო მოკუნტული ლოგინზე, შემეცოდა.

შიშისა და ნერვიულობისაგან ძარღვები დამეჭიმა, სუნთქვა შემეკრა და ალბათ დავიყვირებდი. დავაღე კიდეც პირი და, ამ დროს ტყვია ორჯერ გავარდა. მერე ავტომატის რაკრაკიც გავიგონე, მერე ისევ თოფის ხმა და კარს ვეცი, გამოვაღე, გიჟივით გავვარდი სახლიდან და, საბძელთან რომ მივირბინე, ყური მივუგდე: სროლა ტყიდან, სწორედ დათოს თავშესაფარიდან ისმოდა.

გავიქეცი, ეზო და ბოსტანი გადავირბინე, რაღაცას გამოვედევი, დავეცი და ტალახში ამოვტრიალდი, მუხლიც ვიტკინე, მაგრამ წამითაც არ შევჩერებულვარ. ტყეში ისვრიან. დათოს შეპყრობას ცდილობენ, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

მივრბივარ, ვეცემი, ვდგები, ისევ მივრბივარ, აგერ ტყეც. ხეს მივეყრდენი, სული მოვითქვი და უცებ ვიგრძენი, რომ დგება ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, რომ ამ ცივი ღამით უნდა მოვკვდე, რომ ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა და ხვალინდელი დღის გათენებას აღარავითარი ფასი აღარა აქვს.

ამის გაფიქრებამ გამომაფხიზლა და ცოტა ძალაც შემმატა. თუ სიკვდილია, ღირსეულად მაინც მოვკვდე-მეთქი და წინ გავწიე. არ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა შიშველი ხელებით, ვინანე, რომ ნაჯახი მაინც არ წამოვიღე.

ჩუ! ეს ვინ ყვირის? ვისი ხმაა? მარდონი! მაშ მაინც წაგძლია მყრალმა სულმა? არ დაგვინდე?

გავწექი და გავხოხდი, ხელ-ფეხი დამეკაწრა და სისხლი მდის, ტკივილს არ ვგრძნობ, რადგან ახლა ხორცი კი არა, სული მტკივა, სული მეძახის, მაქეზებს.

მიწურთან ახლო მივსულვარ, მარდონის ხმა გარკვევით მესმის.

— ამოდი, ლეიტენანტო, სულერთია ველარსად წაგვიხვალ, ამოდი, სიტყვას გაძლევ, რომ სიცოცხლეს შეგინარჩუნებ!

ნეტავი ბევრნი არიან? დედამ თქვა მარდონთან ერთად სოფელში სამი ჯარისკაცი დარჩაო. აჰა, აგერ ისინიც, ხეებს მოფარებიან, მიწურისკენ თოფებს ისვრიან, ყაყანებენ,

რა ვქნა, რა ვიღონო?

უცებ ჩემს უკან ვიღაცამ გაისროლა, ერთი ჯარისკაცი მაშინვე დაეცა, მეორე გასროლაზე მეორე ჯარისკაცი ჩაწვა, მესამე დაფრთხა და თოფი აქეთ მოიშვირა.

ვინ ისვრის? ვინ არის ის ღვთიან-მადლიანი? ვინ გაბედა გამოსარჩლება? იქნებ დათო გავიდა მეორე გასასვლელით და მტერს ზურგში მოექცა. ვიღაცამ მხარზე ხელი შემახო.

— იწექი, შვილო, არ გაინძრე!

— მამა!

— ჩუმად! — მამა ჩემს გვერდით ჩაწვა, ხელში შაშხანა უჭირავს, ვიღაცას უმიზნებს, მე ველარაფერს ვარჩევ. მიწურთან აღარ ისვრიან, დადუმდა ტყე, მაგრამ ეს წამით იყო და ისევ

აჭკაცუნდა ავტომატი. ტყვიები ჩვენკენ მოწუიან. თავი მიწაში ჩავრგე. სროლა რომ შეწყდა, თავი ისევ წამოვწიე და დავინახე ვიღაც გარბის. მას მამა გამოუდგა, მეც წამოვხტი, იქეთკენ გავიქეცი.

მამა მარდონს წამოეწია, თოფი აღმართა და მოუქნია, უნდოდა ხიშტით გაეგმირა გარეწარი, მაგრამ მარდონი გვერდზე გახტა, ხიშტი აიცილა.

— ბურგომისტრო, შენა? — და ავტომატის მთელი ჯერი მამას მიაყარა. ვისკუპე და შიგ ყელში ვეცი.

— შენც აქა ხარ, საყვარელო? — ხელები დამიკავა.

— აქა ვარ, მარდონ ჯალათო, ბილწო, აქა ვარ, ჯოჯოვ! — ფრჩხილებით ვუკაწრავ ყელს, თვალებს, ლოყებს, მგონია მესვრის, მამას თავზე დამკლავს და რაც უფრო მალე დამთავრდება ყოველივე, მით უკეთესი.

შეეძლო მოვეკალი, მაგრამ, არ ვიცი, ვერ მოახერხა თუ დამინდო, ავტომატის დუგა ჩამარტყა, ვერ წამაქცია. ხელი ავტომატზე ვუტაცე, დავიქნიე, წაიფორხილა, მე უკვე გახელებული ვიყავი, ვცემდი სახეში, მკერდში, ცალი ხელით თვალების ამოთხრას ვცდილობდი, მერე ორივე ხელით ყელში ვწვდი, მაგრამ უკვე ძალა მელეოდა და მივხვდი, მის დაღრჩობას ვერ შევძლებდი. იგი ფხარკალობდა, ყვიროდა, მაგინებდა, მე კი მოვდუნდი, მოვეშვი და ის-ის იყო გრძნობა მეკარგებოდა. რომ თავზე თმაგაწეწილი დედაჩემი წამოგვადგა. დედას ხელში ნაჯახი ეპირა და ყვიროდა.

— შვილო, ანია, კაცო, ჩემო კაცო!

— დედა! — შევყვირე — აქ დაჰკარი, დედა, ჩქარა, თორემ გავთავდი!

და დაჰკრა!

სახეში პოლიციელის ბინძური სისხლი შემესხა. იგი მაშინვე გათავდა.

მამას მივვარდი, მკვდარი იყო. დედამ ჩაიჩოქა, ხელები აიტატინა და ქვითინს მოჰყვა. მეც ერთხანს ვიზლუქუნე, მერე უცებ დათო გამახსენდა, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალია, იქნებ გაასწრო, გადარჩა.

მიწურში ჩავძვერი, დათო, დათო! ვიძახი, ხელებს ვაფათურებ, მაგრამ არავინ იძლევა პასუხს. მიწურიდან მეორე მხარეს ამოვედი და, ცოტაზე რომ გავიარე, დათოს წავაწყდი, უგონოდ ეგდო.

მალე იმ მიწურთან მთელი სოფელი შეგროვდა. მარდონი და დახოცილი ჯარისკაცები მიწურში ჩაყარეს და ჩასასვლელი მიწით ამოტენეს.

მამა სოფლის სასაფლაოზე დავმარხეთ. ვიღაცამ სოფლიდან ოთხთვალა ამოიყვანა, დათო ზედ დავაწვინეთ, მე და დედაც იქვე მოვეწყეთ და მეზობელი სოფლისაკენ გავწიეთ.

დედამ იმ ღამეს გონება დაკარგა.

— რას მეუბნებით, ანია?

საწოლისკენ გავიხედე, ანიას დედა გაუნძრევლად იწვა.

— არც მოკვდა, არც დარჩა, ასეა ცოცხალმკვდარი. პირველად ძალიან შფოთავდა, ვერ ვაკავებდი, ტანსაცმელს იხევდა, სულ ნაჯახს ეძებდა, თავის მოკვლას ცდილობდა, მამას ეძახდა, არავის იკარებდა, მერე და მერე ცოტა დამშვიდდა, ახლა აღარ ღელავს, მაგრამ უცხო პირის დანახვას მაინც ვერ იტანს. ცოცხლობს, მაგრამ რაღაა ასეთი სიცოცხლე? დაგღალეთ ხომ?

— აბა ეს რა სათქმელია, ანია, თქვენ პატარა კი არა, დიდი, ძალიან დიდი ამბავი მიამბეთ. მე კი რა უნდა გითხრათ, განუგეშოთ? რა საჭიროა, თქვენისთანა ადამიანს ნუგეშითა და თბილი სიტყვით ვერ გააკვირვებ და ვერც ვერაფერს გეუბნებით. მგონი თქვენ დაიღალეთ, მაგრამ დათოს რაღა მოუვიდა, ბარემ ისიც მიამბეთ და წავალ.

— გადარჩა, ღონიერი ახალგაზრდა იყო და ახალი ჭრილობაც გადაიტანა.

ბარკოვოში უკეთ ვუვლიდი, დედის მალამოსა და მამის ნაშოვარ წამლებს არ ვაკლებდი, საჭმელიც, ასე თუ ისე, გვქონდა, მაგრამ იქ, მეზობელ სოფელში შორეულ ნათესავთან პირდაპირ ღვთის ანაბარა დავრჩით, საწყალ ჩვენს ნათესავებს თავად არაფერი გააჩნდათ და ჩვენთვის რაღა უნდა მოეწოდებინათ. იმის მადლობელიც ვიყავი, რომ შეგვიფარეს. ისევ ბარკოველები გვეხმარებოდნენ, კვირაში ერთხელ ამოდიოდნენ და პური და კარტოფილი მოჰქონდათ. დათო გადარჩა და, როგორც კი სიარული შეძლო, წავიდა. წასვლის დღეს ყველაფერი ვუამბე, ბავშვივით იტირა, ხელები კინაღამ დაიჭამა, პატიებას მთხოვდა.

დიდხანს აღარ გამოჩენილა, მეგონა დაგვივიწყა-მეთქი, მაგრამ ერთხელ, შუაღამე გადასული იყო, ფანჯარაზე ფრთხილად რომ დააკაკუნა. გაჭირვებამ და ამდენმა ნერვიულობამ სმენა ისე გამიმახვილა, კაკუნზე კი არა, უბრალო გაფაჩუნებაზეც ვიღვიძებდი. მეგონა ბარაკოვოდან ვინმემ მოგვიკითხა-მეთქი და კარი გავაღე. პარმაღზე ვიღაც წვერიანი კაცი იდგა.

— შეიძლება, ჩემო ექიმო?

— დათო! — ვიყვირე. იგი ვეება ტანით ოთახში შემოიმართა, ერთმანეთს ჩავეხვიეთ. ახლაც არ ვიცი და ვერც აგიხსნით რა გრძნობა მაერთებდა მასთან, ალბათ მიყვარდა და იქნებ მასაც ვუყვარდი...

— საიდან გაჩნდი, დათო? — ვკითხე.

— კი არ გამადლი, მაგრამ შენი გულისთვის ოცი კილომეტრი მაინც გადმოვუხვიე. ახლა მეჩქარება, ამხანაგები მელოდებიან, მივდივართ და შენს უნახავად არ მინდოდა აქაურობას გავცლოდი.

— სად მიდიხარ, დათო?

— ფრონტის ხაზზე უნდა გადავიდე!

— დარჩენილიყავი, ახლა ტყეში პარტიზანული რაზმები გაბედულად მოქმედებენ, მისული-

ყავი მათთან, განა სულერთი არ არის სადაც იბრძოლებენ? ჩვენთანაც ახლო იქნები...

—სწორედ პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელობის დავალებით, მივდივართ ანია! — გავიდა სავსე ტომარა შემოათრია.

— ეს რაღაა?

— ფქვილია, მოიხმარეთ, — გაიღიმა. გადამეხვია და გაქრა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. პარტიზანებმა ეს რაიონი რომ დაიკავეს, სხვა სოფელში რაღა გამაჩერებდა, ჩემს კერიას მოვაშურე. ახლა ვზივარ, ვუვლი საცოდავ დედაჩემს და ასე ღარიბულად მივათრევ წუთისოფელს. რა ვქნა, სირცხვილით ვიწვი, დღეს ასეთი საპატიო სტუმარი მეწვიეთ და მე არაფრით შემიძლია გაგიმასპინძლდეთ.

წამოვდექი, ანიას ხელი ჩამოვართვი და სანამ ოთახიდან გავიდოდი, ამის გაფიქრება მოვასწარი: „ჩემს წინ დგას მშვენიერი ბელორუსი გოგონა, ვიტებსკის პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, ლამაზი და მოხდენილი. ავაზაკებმა გაანადგურეს ეს ოჯახი, მოკლეს მამა, ძველი პედაგოგი, სამშობლოს და ხალხის ერთგული ადამიანი, დედამ გონება დაჰკარგა და დარჩა ერთადერთი ქალიშვილი. გავა დრო, გაივლის ღრუბლები, გამოანათებს მზე, ღამით ისევ იკიაფებენ ვარსკვლავები, დაოჯახდება ანია, ისევ გახურდება კერია და ერთი ქართველი ბიჭის ამბავი წმინდა მოგონებად დარჩება ამ ოჯახში. ვინ იყო დათო? რა გვარი? საიდან? ამის პასუხს ვერავინ მომცემს, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს ის ლეიტენანტი, მაინც ვენაცვალე მის აღმზრდელ დედას, მის ოჯახისშვილობას. ჩვენ, ასე პატარა ერის შვილებმა ასჯერ უფრო მეტად უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს მამაპაპურ ღირსებებს, ვაჟკაცობას, სინდისს.

— თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ანია, საბოლოოდ რა გაქვთ, ასე თუ შეწუხდით, მეორედ აქ მოსვლას ველარ გავბედავ, გულით კი მინდა და, თუ ნებას დამრთავთ, თავისუფალ დროს შემოვივლი და ვისაუბროთ.

ანიამ გამაცილა, ეზოში ჩამომყვა, ჭიშკართან შევჩერდით.

— ნასტიამ მითხრა, რაზმში ქართველიაო, გული არ შემტოკებია, დათო რომ ყოფილიყო, მაშინვე მნახავდა. მაგრამ ქართველის გაცნობა მაინც ძალიან მინდოდა, გინახულებდით კიდეც, მერე თქვენ თვითონ გამოჩნდით და ასე უცნაურად მოხდა ჩვენი გაცნობა.

— რატომ უცნაურად? მე ის საღამო არასოდეს დამავიწყდება.

— დაიფიცეთ!

— დედას გეფიცებით.

— დათომაც ასე იცოდა, სულ დედა ეკერა ენაზე.

— ნახვამდის, ანია!

— ნახვამდის, თუ ჩემმა სიღარიბემ არ შეგაშინათ, შემოიარეთ.

— ხვალვე გნახავთ.

ერთი სული მქონდა სანამ ბინაში მივიდოდი და კოტეს დათოს ამბავს მოვუყვებოდი. ალიოშაც შინ დამხვდა, დიდი ინტერესით მომისმინეს.

დილით რომ გამეღვიძა, ფანჯარაში გავიხედე, მთელი ღამე ეთოვა, მეზობელი სახლის სახურავზე მეტრამდე იდო თოვლი. ისევ თოვდა, თოვლის ფანტელები ერთმანეთში ირეოდა, გეგონებოდათ ცისკენ მიფრინავენო.

ნაშუადღევს ჟენია დორონინის ოცეული ზონიდან გავიდა და პირველი საბრძოლო ოპერაცია ჩაატარა. და ასე, ყოველდღე ოცეულები და ცალკეული ჯგუფები ღამღამობით სოფლებს ტოვებდნენ, მტერს თავს ახსენებდნენ.

ნეველის მხრიდან არტილერიის გუგუნი მოძლიერდა, ზონას ხანდახან ჩვენი თვითმფრინავებიც გადაუქროლებდნენ და მაშინ უნდა გენახათ ჩვენი სიხარული და აღტაცება. თვითმფრინავები ისე თავისუფლად დანავარდობდნენ, ბავშვიც მიხვდებოდა, რომ მტერს ფრონტზე კარგი დღე არ ადგა. ჰაერში გამარჯვების მოახლოების სუნი ტრიალებდა.

ბრიგადის შტაბიდან ახალ-ახალი ამბები მოგვდიოდა, ბოიკო და მისი შტაბი დიდ ოპერაციას ამზადებენო და ჩვენც მოუთმენლად ველოდით იმ დღეს, როცა ბრიგადა წამოიშლებოდა და რომელიმე გარნიზონს ეკვეთებოდა.

კოტე მეუბნებოდა, სხვისი რა მოგახსენო და დუმილზე კოტრიალი მეც კი მომწყინდაო. აი, ბეჩაო!

გერმანელები დუმდნენ, თითქოს ვერ გვამჩნევდნენ, თითქოს მათი ცხვირის წინ რომ რაიონი დავიკავეთ, არაფრად ჩააგდეს, მაგრამ თვითეულმა ჩვენთაგანმა კარგად იცოდა, რომ ეს დუმილი დიდხანს არ გასტანდა, რომ მტერთან შეტაკება გარდუვალი იყო. მერე რას მოგვიტანს ეს შეტაკება? დავხვდებით. შევებრძოლებით და თუ საქმე გაჭირდა, გავეცლებით, ტყე ახლოა, მაგრამ ხალხი? რა ეშველება ხალხს? ნეტა თუ ვინმე ფიქრობს ამაზე? ფიქრს გავყვებოდი და ნამეტანი რომ შევტოპავდი, უცებ ხელს ჩავიქნევდი, რაც მოსახდენია, მოხდეს, მე ჩემს ოცეულზე უნდა ვიფიქრო და ვიზრუნო, ამხელა ტვირთის აწევას, ამხელა საქმის განსჯას ბევრად უფრო დიდი თავი უნდა-მეთქი.

კოტეს ბედი კი მაწუხებს, რაზმში მის გარდა ორი დაჭრილია, მაგრამ მათ სიარული შეუძლიათ, რომ გაუჭირდეთ, სხვების დაუხმარებლად უშველიან თავს.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ მტერი მოულოდნელად დაგვესხას. დაჭრილები სხვა რაზმებშიაც არიან. შარშავიცკიმ თქვა, ბოიკომ დიდ მიწას თვითმფრინავი მოსთხოვა და მის მისაღებად ადგილიც შეარჩიაო. ალბათ თვითმფრინავი ამ დღეებში გამოჩნდება და პირველად ქორქოლიანი უნდა გავიყვანოთო.

ანია მოკსაკი ჩვენი რაზმის ხშირი სტუმარია, ოლიას გაეცნო და დაუახლოვდა. დედას რომ დააძინებს, ჩვენკენ მორბის. მიხარია მისი დანახვა. ასე მგონია იმ მწარე ამბის მონაწილე მეცა ვარ.

ერთხელ ანიას ქართულად გადავძახე, როგორა ხარ გენაცვალე-მეთქი. ადამ სტელმახი ივანეს ესაუბრებოდა. როგორც ჩანს, ჩემს სიტყვებს ყური მოჰკრა და ხუმრობით დამიძახა, „უცხო ენაზე“ ლაპარაკი არ იყოსო.

ანიას კოტეც გავაცანი, მან კოტეს ჰრილობა გაუხსნა, დახედა, დედამისის მალამო წაუსვა და კოხტად შეუხვია.

ახალი, 1943 წლის შესახვედრად დიდი ამბით ვემზადებოდით. ბიჭებმა თვითნახადი არაყი გააჩინეს, ანიამ და ნასტიამ ერთი დედალი შემოგვაწიეს, კარტოფილი ღვთის წყალობით ჩვენს დიასახლისსაც აღმოაჩნდა და მეფური სუფრის მოლოდინში ხელებს ვიფშვნეტდით, მაგრამ ზედ ჩვენი ბინის კარებთან ვილაცამ დაიძახა ჟენია დორონინი მოუკლავთო.

გარეთ გამოვცვივდით, არავინ ჩანდა. რაზმის მეთაურის ბინისაკენ გავიქეცით, იქ თითქმის მთელი რაზმი შეკრებილიყო. ჟენია პადოვიცას მახლობლად ჩასაფრებაზე იყო წასული თავის ოცეულით. ნაღმზე აფეთქებულა.

ყველაფერი ჩაგვმწარდა.

დილით გერმანელებმა შემოგვიტიეს, მცირე ჯგუფით მოვიდნენ, წინ ტანკი მოუძღოდათ. ამ დროისათვის რაზმში უკვე ტანკსაწინააღმდეგო თოფიც გაგვიჩნდა. მტერს დავხვდით. ტანკი გავაქციეთ, მას გერმანელებიც მიჰყვნენ.

თითქოს არაფერი, თითქოს ეს უბრალო შეტაკება იყო, მაგრამ დაფიქრებად კი ღირდა. მტერმა მოგვსინჯა და ალბათ მალე დიდი ძალებით შემოგვიტევდა

დაიწყო ახალი წელი, ბრიგადის შტაბში დიდი მიწიდან სასიხარულო ცნობებს იღებდნენ. ეს ცნობები სწრაფად ვრცელდებოდა რაზმებში. ყველა ჩვენგანის თვალი და ყური ნეველისკენ იყო მიპყრობილი. არტილერიის ყრუ გუგუნს ყური შეეჩვია და უკვე ვგრძნობდით, რომ ამ მიმართულებით წითელი არმია ერთ ადგილს ტკეპნიდა, მაგრამ იმედს მაინც იქიდან მოველოდით.

7 იანვარს მეზობელი სოფლის ახლოს სპეციალურად შერჩეულ მინდორზე ჩვენი თვითმფრინავი დაჯდა. შარშავიცკიმ მაშინვე შემომითვალა, ქორქოლიანი მოამზადეო. კოტე და ალიოშა უხორცო ბორშს ხვრეპდნენ, თვითმფრინავის გუგუნი მათაც გაეგონათ, მაგრამ ვისი თვითმფრინავი იყო, ან რა მიზნით მოფრინავდა, აინუნშიც არ იყვნენ.

— აბა, მოემზადე, კოტე ჩვენი თვითმფრინავი აქედან 4 კილომეტრის მოშორებით ზის და გელოდება. ოღონდ ჩქარა!

საბრალო ბიჭი, წამოხტა, ცალ ფეხზე დადგა და იხტუნა, მერე ჩამეხვია და კინაღამ დამახრჩო.

ოთახში ბიჭები შემოცვივდნენ, ერთმა ჩექმა ჩააცვა, მეორემ ხალათი შეუბნია, მესამემ ქურქი მოახურა და რა ვიცი, ყველას უნდოდა რაღაც გაეკეთებინა. ჯიბეები წინასწარ დაწერილი ბარათებით გაუტენეს. ფედიამ და ალიოშამ ნამდვილი საკაცე მოიტანეს, კარებთან დადგეს. ფედიამ კოტეს ხელი აუღო და მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ, მობრძანდით, კარეტა გელოდებათ!

იცინოდნენ და გულით უხაროდათ, რომ მეგობარს სამშვიდობოს ისტუმრებდნენ, რომ ჩვენი რაზმის მზვერავთა ერთი წარმომადგენელი მაინც ჩააღწევდა მოსკოვამდე.

ალიოშას გარდა, წერილი ყველამ გაატანა, მოსკოვში, საავადმყოფოში რომ დააწვენენ, იქიდან ჩვენ-ჩვენ მისამართებზე გაგზავნეო.

ალიოშა ნაღვლიანად იღიმებოდა, კოტემ ჰკითხა: — წერილი რატომ არ დაწერეო.

— ვისღა მივწერო, უკრაინაში გერმანელები არიან. — ამოიოხრა.

წერილი არც მე დამიწერია, ოღონდ კოტეს ვთხოვე, საქართველოში რომ ჩახვალ, ჩემიანებს მიაკითხე-მეთქი.

ბიჭებმა საკაცე ასწიეს და ყველამ „აეროდრომისაკენ“ გავწიეთ. რაზმის შტაბის ბინას რომ ჩავუარეთ, წინ ივანე, ანტონი და კომისარი დიმიტრი ხვოშჩი დაგვხვდნენ, სამივე გულთბილად გამოეთხოვა კოტეს.

სოფელს რომ გავცდით, ბიჭებმა საკაცე მაღლა აიტაცეს და ერთხანს ასე იარეს. კოტე საკაცეზე ხან წამოწვებოდა, ხან წამოჯდებოდა და ხუმრობდა. ამ წვალებისთვის უფრო დამიხსომებთო.

„აეროდრომამდე“ შეუსვენებლივ ვიარეთ, თვითმფრინავში უკვე ხუთი დაჭრილი იჯდა. კოტეც შიგ შევიყვანეთ.

და აი, დადგა წუთი თვითმფრინავი აგუგუნდა, საცაა ჰაერში აიჭრება, გადაუფრენს პარტიზანთა რაიონს, ოკუპირებულ ბელორუსიას, ფრონტს. კოტე უფრო გარკვევით გაიგონებს არტილერიის გუგუნს, დაინახავს რა ამბებია ფრონტზე, მიხვდება რამდენ ხანში მოაღწევს ჩვენამდე წითელი არმია, მერე ჩაფრინდება მოსკოვში, დააწვენენ რომელიმე კეთილმოწყობილ ლაზარეთში, განიკურნება, გაუკეთებენ პროტეზს და ერთ მშვენიერ დღეს მაღლაკში ამოჰყოფს თავს.

ნეტავი კიდევ თუ მიწერია კოტესთან შეხვედრა.

**უბის წიგნაკიდან:** „ჩვენი ბრიგადა გოროდოკის რაიონში შეიჭრა, თითქმის უბრძოლველად დავიკავეთ რამდენიმე სოფელი. ჩვენი რაზმი ბაროკოვოში დაბანაკდა. აქ ერთი ბელორუსი ქალიშვილი, ანია მოკსაკი გავიცანი. ამ გოგონას დაჭრილი ქართველი ლეიტენანტი შეუხიზნავს და გადაურჩენია. წითელი არმიის მეთაუ-

რის გადარჩენა ძვირად დასჯდომია მის ოჯახს, მამა მოუკლავთ, დედა შეშლილა.

ქენია დორონინი მოგვიკლეს, ნაღმზე აფეთქდა .

თანდათან ხელიდან მეცლებიან ძველი მეგობრები.

კოტე თვითმფრინავით გავგზავნეთ დიდ მიწაზე, ისევ მარტო ვარ...

იანვარი უცებ დაილია. პარტიზანული რაიონიდან იშვიათად გავდივართ, ჩასაფრებებს ვაწყობთ და გერმანელებს ძილს ვუფრთხობთ.

ბოიკო და მისი შტაბი დიდ საბრძოლო ოპერაციას ამზადებენო. სად არის მერე?"

... თებერვალში ამინდი ცოტა გამოკეთდა, აღარ თოვდა და რაზმებიც უფრო ამოქმედდნენ. მტერს თავს ვესხმით, ბევრს ვერაფერს ვაკლებთ, მაგრამ ვაღიზიანებთ მაინც, ისინი კი ყურადღებასაც არ გვაქცევენ, თითქოს არაფრად გვაგდებენ.

ჩასაფრებებს უფრო გოროდოკისა და პუდოვიცის მხარეს ვაწყობთ.

გუშინ პუდოვიციდან არტილერიის ცეცხლი დაგვიშინეს. ერთი სოფელი მთლად დაანგრიეს და მოსრეს. თურმე პუდოვიცაში ჯავშნოსანი მატარებელი დაუყენებიათ. აწი იქით გახედვაც არ შეიძლებაო, ამბობენ ბიჭები, მაგრამ მე მათ აზრს არ ვიზიარებ. რომ მკითხო, სწორედ ახლა უნდა დაესხა პუდოვიცას, გერმანელები ჯავშნოსანის იმედით არიან და არ მიგველიან.

საღამოს რაზმის შტაბში წაველი. იქ მხოლოდ კომისარი დამხვდა, ცოტახანს წავისაუბრეთ და მინდოდა უკანვე გამოვბრუნებულიყავი, მაგრამ დიმიტრიმ ჩაი შემთავაზა, ნამდვილი ჩაი, ისიც შაქრის ნატეხით, და დავრჩი.

ვიცოდი ჩვენი კომისარი რომ თავშენახული კაცი იყო. ის რომ არ ყოფილიყო, ლაშქრობაში შარშავიცკი და სუხოდოლსკი ნახევარჯერ მშივრები იქნებოდნენ, მაგრამ ნამდვილი ჩაის ხსენებამ მაინც გამაკვირვა, თუმცა მაშინვე მივხვდი, ალბათ დიასახლისმა უწილადა-მეთქი. მოვტყუვდი. თურმე დიმიტრის ჩაი მუდამ ჰქონია გადანახული, ჯიბით დაატარებს. წყალი აადუღა, პატარა ჩაიდანიც მონახა და ჩაი დააყენა. სიამოვნებით შევექეცით და კომისარს დიდი მადლობაც მოვახსენე გამასპინძლებისათვის.

ოთახში ანტონი შემოვარდა, გეგონებოდათ ვილაც მოსდევს ან სოფელში რაღაც დიდი უბედურება მოხდაო. ფეხზე წამოვცვივდით. ანტონმა ქურქი გაიხადა, მოისროლა და პირდაპირ კარებიდან ჰქქა:

— სტალინგრადთან სამასიათასმა ფაშისტმა თქვენი ჭირი წაიღო, ვაშა!

— ვაშა! — ავყევით ჩვენ, და ასეთი დიდი ამბის მახარობელი ხელში ავიტაცეთ. მერე ანტონმა უფრო დალაგებით გვიამბო, ბრიგადის შტაბში ყოფილიყო, იქ მოესმინა ცნობა ფელდმარშალ პაულუსის არმიის დანებების შესახებ კომისარი დატრიალდა, ჯერ ანტონს ჩაი მიართვა, მერე ოთახში ვეღარ დადგა, წავალ, რაზმს ჩამოვუვლი, გავახარებო, თქვენ მეთაურს დაელოდეთო.

ანტონმა ჩაი დალია, მერე ოთახში გაიარ-გამოიარა, რაღაც აწუხებდა, რაღაც უნდოდა ეთქვა და არ ვიცი ერიდებოდა თუ საჭიროდ არ თვლიდა ჩემთან გამხელას.

— შენ რაღაც გაწუხებს, ანტონ, რატომ არ მიმხელ? ნუ დაივიწყებ, რომ მე და შენ ყველაზე ძველი მეგობრები ვართ, თუ რამე გიჭირს, მე მითხარი, მე და ჩვენს ბიჭებს, ხომ იცი, ისინი შენი გულისათვის წყალში ჩაცვივიან.

— არაფერი არ მიჭირს, საშა, არც არაფერი მაწუხებს, მაგრამ არ მინდა ამაღამდელმა ღამემ ისე, დასავლეთ დვინის ტალღებივით ჩაიაროს. შარშავიცკი იგვიანებს, კომისარი სანამ ყველას არ ჩამოუვლის და სტალინგრადის ამბებით არ გაახარებს, აქ მომსვლელი არ არის. მე და შენ გადავწყვიტოთ, ერთი თვითნებობა გვეპატიება.

— რას აპირებ?

— დიდი ხანია პუდოვიცას ვუმიზნებ, ის ჯავშნოსანი მატარებელი არ მასვენებს, გრებელნიკოვის ოცეული ორჯერ გავგზავნე, ერთხელ მეც ვახლდი და ჯავშნოსანთან მისასვლელი გზები დაზუსტებული გვაქვს, ჰოდა სტალინგრადელთა პატივსაცემად ამაღამ ის ჯავშნოსანი მატარებელი ვბრივოთ ძირს.

— ტოლიც გაქვთ?

— ტოლი რათ გვინდა, ყუმბარების შეკვრაც გასჭრის. წამოხვალ?

— რა ბავშვივით მეკითხები, როდის იყო კაი საქმეზე უკან დავიხიე. მარტო მე წამოვიდე?

— თუ გინდა ორი მზვერავიც წამოიყვანე.

— კარგი, აქ მოვიდეთ?

— არა, სოფლის საბჭოსთან დაგველოდეთ.

უცებ ჩავიცვი და გამოვედი. თბილი ოთახის შემდეგ სიცივე ცხვირ-პირში დამეტაკა, მესიამოვნა კიდეც. ჩემს ბინაზე აღარ შემივლია, ლიზუნოვი და კორპუშევი გავიხმე. ბიჭები მაშინვე მოემზადნენ, პირდაპირ სოფლის საბჭოსკენ გავწიეთ.

მალე ანტონიც გამოჩნდა. იგი ქორა გრებელნიკოვის ოცეულს მოუძღოდა, მაგრამ რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ანტონის გვერდით ოლია კარპოვიჩიც დავინახე.

პუდოვიცამდე რვა კილომეტრია, ორი საათი მაინც მოვუნდებით ამ მანძილის გავლას. შეუსვენებლივ ვიარეთ, სანამ პარტიზანული რაიონიდან არ გავედით. თავისუფლად მივდიოდით, მერე წინ მზვერავები გავუშვით და ჩვენც ფრთხილად მივყევით.

პუდოვიცა მოზრდილი დაბაა, იგი პარტიზანულ რაიონსა და ვიტებსკის გარნიზონის შუაა გამოჩრილი. თუმცა ჩვენთან უფრო ახლოა, რკინიგზის კვანძია. ჯავშნოსანი მატარებელი შიგ

სადგურში დგასო, მეუბნება ანტონი. კი მაგრამ რვა კილომეტრიდან ჰურვებს როგორღა გვიშენს-მეთქი. ღამით სადგურიდან გადის, პარტიზანულ რაიონს უახლოვდება და გვესვრისო.

თოვლი წამოვიდა, წინ აღარაფერი ჩანს, ბრმად მივყვებით მზვერავებს. ამინდი ხელსაყრელია, ასეთ თოვაში შეიძლება მართლა მოხერხდეს პუდოვიცაში შეპარვა.

რკინიგზაზე ხოხვით გადავედით, მერეც ხოხვით განვაგრძეთ გზა. პუდოვიცაში ძაღლები ჰყეფენ, სროლით არ ისვრიან, ასეთ ამინდში თავს არავინ იწუხებს.

მალე ჯიხურები გამოჩნდა და ანტონმა მიჩურჩულა, ჯიხურებში გერმანელები არიანო.

ხოხვა ჰირს, ოფლში ვართ გახვითქულნი და ძლივს მივიწევთ წინ. ჯიხურები უკან მოვიტოვეთ, ისევ რკინიგზის გასწვრივ მივხოხავთ, პირი მიშრება, ხანდახან პირში თოვლს ვიტენი, ვწუწნი.

ჯავშნოსანი მატარებელი ოლიას შეუნიშნავს. იგი მზვერავებს წამოსწევია და თურმე მათთან ერთად მიხოხავდა.

შევჩერდით, ირგვლივ ყველაფერი თოვლშია გახვეული.

ამ თეთრ ფონზე შავი ჯავშნოსანი ისე მოჩანს, თითქოს ოკეანის ლურჯ ზედაპირზე რომელიღაც ურჩხული იწვეს. მატარებელთან მიპარვა ადვილია, მაგრამ ხელყუმბარების შეკვრით ამ გიგანტს რას დააკლებ. ანტონს ესეც გაუთვალისწინებია, რომელიმე ჩვენგანმა წინ უნდა წაიწიოს და უბრალოდ ესროლოს ჯავშნოსანს, იქნებ შიგ მყოფს სულმა წასძლიოს და კარი გამოაღოს.

ანტონი დაწინაურდა, თან გრებელნიკოვის ბიჭები გაიყოლია. ამბავი დამიტოვა, ჯიხურებს თვალი არ მოაშოროთო, დაზღვევაზე იყავიო.

ანტონი და მისი თანმხლებნი ხოჭოებივით მიბობღავენ თოვლში. გრებელნიკოვმა ხუთი მეავტომატე ჯიხურებისკენ გაგზავნა. დანარჩენები ვწევართ და ვიცდით.

ჯავშნოსანი დუმს, მთელი პუდოვიცა სიჩუმეს შთაუნთქავს, ხვავრიელად თოვს და მე ქორას ვეუბნები. ჩვენ კიდევ შეგვიძლია წინ წავიწიოთ-მეთქი. დამეთანხმა.

ტანზე ცეცხლი მიკიდია, ქურქი მაღრჩობს, სიამოვნებით გავიხდიდი და გადავაგდებდი, მაგრამ რა მეშველება ხვალ?

ტყვია გავარდა, ჯავშნოსანს მოხვდა, რკინამ ტყვია აირეკლა, გაიჟღრიალა და თოვლში ჩაიწვა.

მეგონა უცებ ატყდებოდა განგაში, ყოველი მხრიდან გამოცვივდებოდნენ გერმანელები, ცაში მაშხალებს დაჰკიდებდნენ, შემოგვიტევდნენ, მაგრამ იმ ერთ გასროლაზე ყურიც არავის გაუპარტყუნებია.

ისევ გავარდა, ერთხელ, ორჯერ... ისევ გაიჟღრიალა ჯავშანმა და ისევ თოვლში ჩაიწვა ტყვიები. ჩვენს უკან ცაში მაშხალა აიჭრა, მაგრამ მალე ჩაქრა და მე ჯავშნოსანის კარების ჭრიალი და გერმანული ლაპარაკიც გავიგონე. მერე აფეთქების ხმა გაისმა, იფიქრებდით მთელი ქვეყანა დაიქცაო. ყუმბარას ყუმბარა მიჰყვა და პუდოვიცას გარნიზონიც ფეხზე დადგა.

ცაში მაშხალები დაიკიდა, ჯიხურები გაცოცხლდნენ, შიგ პუდოვიცაში განგაშია, არიხინდნენ ტანკები, მანქანები, მოტოციკლები. ახლა გაცლაა საჭირო, ჯავშნოსანი აფეთქებულიც რომ არ იყოს, აქ წამითაც არ შეიძლება დაყოვნება. ანტონი გამოჩნდა, წელში მოხრილი მორბის, უკან ბიჭები მოსდევენ. პირი ვიბრუნე და უკან გავიქეცით, მაგრამ ჯიხურებიდანაც რომ გვესვრიან?

რკინიგზას მივყვებით, საჭიროა მეორე მხარეს გადავასწროთ, მაგრამ როგორ, ლიანდაგი დუღს, ყველაფერს ცეცხლი უკიდია, ბიჭი ხარ და გაბედე თავის წამოწევა. ვინ არის ის მამაცი, თავზეხელაღებული, ახლა პირველი რომ გადაირბენს რკინიგზას? არადა სანამდე გინდა იფორთხო? გერმანელები კი თანდათან ახლოვდებიან.

ისევ ანტონმა იმარჯვა, მომყევითო დაიძახა, რკინიგზაზე შევარდა, ისკუპა და მეორე მხარეს თოვლში გადაკოტრიალდა.

მომყევითო ბრძანა შტაბის უფროსმა, მომყევით-მეთქი გავიმეორე მეც და გავიქეცი, მომყევითო, იყვირა ჟორა გრებელნიკოვმა.

ლიანდაგი დუღს, ტყვიები ლიანდაგს ხვდება, ირეკლება, ჟღრიალებს რკინა და ყურის წამღები ხმაურია. გერმანელები წინ სროლით მოიწევენ, იციან, რომ ცოტანი ვართ, რომ პუდოვიცაში პარტიზანული ბრიგადა არ მოვიდოდა.

რკინიგზა გადავირბინე, მეც ანტონივით ვისკუპე და თოვლში ჩავეფლე, იქვე კვნესა შემომესმა, ანტონის ხმა იყო, მივხოხდი.

— ანტონ, დაჭრილი ხარ, ანტონ?

— არ დამტოვო!

— რას ამბობ, სად უნდა დაგტოვო? აქეთ, ბიჭებო, აქეთ ვყვირი, მაგრამ ვის ესმის ჩემი ყვირილი, ახლა ყველა საკუთარ სიცოცხლეზე ფიქრობს, ახლა თავის გადარჩენაა მთავარი.

ოლია მოხოხდა, მერე მიშა ლიზუნოვის ხმაც გავიგონე, მოვდივართო. ანტონი გავათრიეთ, საშიშ ადგილს გავაშორეთ, მაგრამ შეჩერება მაინც არ შეიძლება, გერმანელები ისვრიან, ყაყანით მოიწევენ წინ, საპასუხო სროლა არ ესმით, გათამამდნენ და მალე ლიანდაგზე ამოვლენ.

ანტონი ზურგზე მოვიკიდე, ოლიამ მისი ფეხები დაიჭირა, მიშაც ეპაწკურება, მაგრამ მე ვუყვირი, კორპუშევი მონახე-მეთქი.

არ ვიცი რატომ გვეუფლება ასეთი გრძნობა გაჭირვებისას, არ ვიცი რატომ მაინცა და მაინც შენიანის გადარჩენას ცდილობ, განა აქ, ამ ჯოჯოხეთში ყველა შენიანი და ახლობელი არ არის?

გავედით, პარტიზანულ რაიონს რომ დავუახლოვდით, შევისვენეთ. გრებელნიკოვიც დაჭ-

რილია, ორი მებრძოლი მკვდარია, ანტონი ძლივს სუნთქავს, ცუდად არის მისი საქმე. ქურქი გავუხსენი, ხალათის ღილები ავაგლიჯე და ხელი შევუყავი, ღმერთო, რამოდენა ჭრილობაა, ნუთუ ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა? ჭრილობაში რაღაც ჩავჩუშნე, ანტონი ფრთხილად ავწიეთ და ფეხს ავუჩქარეთ.

სუხოდოლსკი გზაში გარდაიცვალა, ვიგრძენი, როგორ მოდუნდა სხეული, როგორ მოეშვა და მინებდა სიკვდილს. თოვლზე დავაწვინეთ, აღარ კვნესის, სახეს ვუსრეს, სულს ვუბერავ, ჩავსძახი, ამაოდ.

უცებ მოვწყდი და მეც მოვკვდი...

ვიღაცამ თქვა, ჯავშნოსანი მატარებელი აფეთქდაო, ჩემი თვალით დავინახეო.

ჭირს წაუღია რაც ქვეყანაზე ჯავშნოსანი მატარებელია, ჭირს წაუღია ყველა იარაღი, ყველაფერი.

ანტონი მკვდარია, ანტონი აღარ სუნთქავს, დუმს, რაღა მნიშვნელობა აქვს ერთი ჯავშნოსანის აფეთქებას!

რა ვუთხრა ჩვენს მეთაურს?

რა ვუთხრა ანტონის ბიძაშვილს, ტანია კარპოვიჩს?

რა ეშველება ძია ეგნატეს, ბიცოლა ალექსანდრას?

ვიხრჩობი, პირში თოვლს ვიტენი და ვზმუი.

რამდენ სიკვდილს უნდა გავუძლო, რამდენ მეგობარს უნდა დავუკრიფო გულზე ხელები!

ნეტავი შენ, კოტე ქორქოლიანო!

ანტონ სუხოდოლსკი დავკრძალეთ, უშველებელ ორმოში, რომ ჩავაწვინეთ, გულმა მიმტყუნა, თავბრუ დამესხა და ჩავიკეცე.

ანტონი იწვა, ტუჩები გახსნოდა, ფოლადის კბილები უჩანდა.

ასეთი მეხსომება იგი მუდამ.

ცუდად გავხდი და სამი დღე ვიავადმყოფე. ანია მივლიდა, ხშირად მოდიოდა, რძეს მასმევდა, თავს მევლებოდა.

— ქართველების მოვლა და მკურნალობა დაგებედა, ანია! — ვუთხარი ერთ დღეს.

— არც მწყინს,—ხელიც კარგი მაქვს და გულიც, მალე ფეხზე დაგაყენებ. ოღონდ რძე სვი, რძე უებარი წამალია.

რძეზე უარს არ ვამბობ, ვძალები, მაგრამ პირი მაქვს მწარე, თითქოს შხამი დამელიოს, თითქოს ვიღაცამ პირში პილპილი ამომისვა.

**მინაწერი:** „ერთხელ ჩვენი ნაწილის უფროსის პოდპოლკოვნიკ ცაროგაროცევის პატივსაცემად მეთაურებმა ბანკეტი გამართეს. იმ ბანკეტზე მეც მოვხვდი. პოდპოლკოვნიკი სპორტის დიდი გულშემატკივარი იყო, მე კალათბურთს გვარიანად ვთამაშობდი, დივიზიის ნაკრებ გუნდშიც კი შემიყვანეს და ცაროგოროცევსაც ამის გამო განსაკუთრებით ვუყვარდი.

ბანკეტზე ქართველი კაპიტნის გვერდით ვიჯექი. გვარად კვარაცხელია იყო, წალენჯიხელი. მაღალი და ძალზე მოხდენილი ვაჟკაცი გახლდათ. ახლაც არ ვიცი, საიდან გაჩნდა მაგიდაზე წიწაკა, ვინ დაუკვეთა, ვინ მოისურვა. ჯერ იქაური წიწაკა მეგონა. ტკბილი. წვერი-წავატეხე და გავსინჯე, ისეთი მწვავე იყო, ხველა ამივარდა, კინაღამ დავიღრჩე. კაპიტანს გაეცინა, წიწაკა აიღო და უკბიჩა, მეგონა იყვირებდა, სიმწრის ცრემლებს გადმოჰყრიდა, თქვენც არ მომიკვდეთ, თითქოს სტაფილოს ჭამდა, გემოზე ახრაშუნებდა. პოდპოლკოვნიკი მაგიდის თავში იჯდა. მან, როგორც ჩანს, შენიშნა კაპიტნის თავგანწირვა, წამოდგა და ხუმრობით უთხრა:

— კაპიტანო, თქვენ რა, პირი გამოკალული გაქვთ?

კაპიტანი ფეხზე წამოიჭრა, გასწორდა და მოახსენა:

— ჩვენში, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, პიმპილს ვაშლივით სჭამენ. ცაროგოროცევმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ, ეტყობა ,კაპიტნის სიტყვებში ეჭვი შეეპარა და მე გადმომხედა.

— აბა, თქვენც გასინჯეთ!

ავდექი, მაგრამ ვაი ასეთ ადგომას, კვარაცხელიამ შემატყო, უარის თქმას ვაპირებდი და მიჩურჩულა:

— ე, ბიჭო, შეჭამე, საქართველოს თავი არ მოსჭრა . — ისეთი თვალებით მიცქეროდა, საცოდაობა იყო მისი გაწბილება და მეც თავი გავწირე.

როგორც კი წამოვდექი, მაშინვე მზვერავებმა ანტონის საფლავზე წავიყვანე."

თებერვლის უგემური, თოვლჭყაპიანი დილაა, ფანჯარასთან ვზივარ, სოფელს გავყურებ, კაცის ჭაჭანება არა ჩანს. ალიოშა ტარანენკო წყალს ადუღებს. კოტეს წასვლის შემდეგ ამ ბინაში მე და ალიოშა დავრჩით, დიასახლისი მარტოხელა, ხნიერი ქალია. ხანდახან დასთან მიდის, ღამეს იქ ათევს და ჩვენ სულ მარტონი ვრჩებით. ალიოშამ იცის სად ინახება კარტოფილი, იცის რომელი კარდლით უნდა აადუღოს წყალი, რომელში უნდა მოხარშოს კარტოფილი და ამიტომაც მზარეულობა მასა აქვს მინდობილი. ერთბაშად ნაირ-ნაირების მომზადება არ სჭირდებოდეს!

სოფელს გავყურებ და არაფერზე არ ვფიქრობ.

სოფლის გზაზე ჩვენი კომისარი დიმიტრი ხვოშჩი გამოჩნდა, ტულუპი აცვია და თავზეც ცხვრის ტყავისგან კუსტარულად გამოკერილი რაღაც ბოხოხის მაგვარი ქუდი ახურავს, ქუდზე ვარსკვლავიც მიუმაგრებია, მხრებში მოხრილი მოაბიჯებს. ჩვენს ბინას რომ გაუსწორდა, ფანჯარაზე დავაკაკუნე, მოიხედა, ხელის დაქნევით მომესალმა. მეც ხელითვე ვანიშნე, საით გაგიწევია-მეთქი. თითი იმ სოფლისკენ გაიშვირა, სადაც ბრიგადის შტაბია განლაგებული. გამიკვირდა, ამ ალიონზე კომისრის გამოძახება ვის რაში დასჭირდა-მეთქი.

ღუმლიდან კარტოფილის შიშინი მომესმა. პი-

რდაპირ გამაგიჟებს ეს ტარანენკო, გუშინ მოხარშული კარტოფილი ვჭამეთ, გუშინწინაც ეს იყო ჩვენი სადილ-ვახშამი, ქონი აღარ მაქვსო-თქვა და მე საიდან გავუჩენდი. ახლა ტაფაზე კარტოფილი შიშინებს და შემწვარი ქონის სუნი ცხვირში მიღიტინებს. შემწვარსა და მოხარშულ კარტოფილს შორის დიდი განსხვავებაა.

ალიოშამ მაგიდასთან მიმიწვია, ტაფას ქაღალდი დაუფინა, მაგიდაზე დადგა, მიყურებს და ჩუმ-ჩუმად იცინის, ჰგონია ვკითხავ, ქონი საიდან გააჩინე-მეთქი.

შემწვარ კარტოფილს მადიანად შევექეცი, მერე კარტოფილს უშაქრო მდუღარე წყალიც დავასხი და გემოზე გავაბოლე.

ოთახში შარშავიცკი შემოვიდა, ანტონის დაღუპვის შემდეგ იგი ჩვენი ხშირი სტუმარია, რალაც-რალაცეებს მეკითხება, მეთათბირება. გუშინაც ჟორა გრებელნიკოვზე კარგა ხანს მესაუბრა, ალბათ ჟორას რაზმის შტაბის უფროსობა მოუწევს.

— არც სიდედრი გყოლიათ, ივან საველიჩ და არც სიმამრი! — გავეხუმრე.

— საუზმე გეახელით, ადუღებულ წყალს სიამოვნებით დავხვრეპ.

ალიოშამ მდუღარე ჭიქაში ჩაასხა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეთაურს პატარა ლამბაქთან ერთად მიართვა. შარშავიცკიმ ჯიბიდან შაქრის ნატეხი ამოიღო, სამად გაყო და ჩამოგვირიგა, დიმიტრი ხვოშჩის წყალობააო.

— ახლახან დავინახე, ბრიგადის შტაბისკენ მიდიოდა, გამოუძახეს? — ვკითხე.

— არა, დილით უკანასკნელი ცნობები უნდა მოისმინოს, ხომ იცი რა მოუსვენარი კაცია, ერთ ადგილას ვერ გააჩერებ. მართლა, გრებელნიკოვი შტაბის უფროსად დამიმტკიცეს.

— ჰოო? ძალიან კარგი.

— ოცეულის მეთაური კი ჯერ ვერ გამოვნახე, იქნებ შენ გაიმეტო სერჟანტი ლიზუნოვი, ა?

— არა, ივან საველიჩ, ამას ნუ მთხოვთ, ლიზუნოვი მზვერავად გაუჩენია ღმერთს და ისედაც ამ ბიჭების დაშორება საცოდაობაა. გრებელნიკოვის ოცეულში არ მოიძებნება ვინმე?

— არ ვიცი.

— არ გეწყინოთ, ივან საველიჩ, გნებავთ თქვენ თვითონ მოელაპარაკეთ ლიზუნოვს, წესიერი ბიჭია და იქნებ თქვენი მოერიდოს, ხათრი ვერ გაგიტეხოთ და დაგეთანხმოთ, მაგრამ იცოდეთ, გულს კი ატკენთ. ეს ერთი, მეორეც, ლიზუნოვი ჩემი თანაშემწეა, ვინ იცის ხვალზეგ ვის რა მოგველის, მაგისთანა მზვერავს სად იშოვნით?

— ყოჩაღ, კარგად მსჯელობ! — წამოდგა, ეტყობა გული მოუვიდა. კარებთან შემობრუნდა და მითხრა:

— გვეყოფა სიკვდილი! — და კარი გაიჯახუნა.

მერე ფანჯრიდან გავაყოლე თვალი, შარშავიცკი შუა ქუჩაში მიაბოტებდა. მას არც ტულუპი ეცვა და არც ფაფახი ეხურა თავზე.

შარშავიცკი რომ წავიდა, ალიოშას ვუთხარი, ერთი ლიზუნოვს გადასძახე, აქ მოვიდეს-მეთქი. მიშამ იმ წუთში მოირბინა, ალბათ ეგონა დაზვერვაზე ვგზავნიდი.

— გაიხადე და დაჯექი, შეგიძლია ადუღებული წყალიც დალიო, შაქარსაც მოგცემ.

შარშავიცკის ნაბოძები ჩემი წილი შაქრის ნატეხი მივუწიე.

ეს რაღა გასაყოფიაო, — თქვა მიშამ, მაგრამ თვალი შაქარზე კი დარჩა.

— არც არვინ გეუბნება გაყავიო, აიღე და კვნიტე, მე უკვე გეახელი, არ იფიქრო ეს შაქარი ჩემი ან ალიოშასი იყოს, თვითონ მეთაურმა მოგვიტანა, მეთაურის ნაწყალობევს კი ბევრად უფრო მეტი სიტკბო აქვს. მიშამ წყალი დაისხა და ხვრეპას შეუდგა.

— შარშავიცკი კარგი თვალით გიყურებს, მიშა, დაწინაურებასაც გპირებს.

— დიდი შეღავათია, რაო, შტაბის უფროსად გადავყავარ?

— ნამეტანს ნუ გაიქაჩები, შტაბის უფროსობამდე ჯერ ადრეა, ოცეულის მეთაურობა კი მოგიწევს!

— მეხუმრები?

— ხუმრობის ხასიათზე არა ვარ, მართალს გეუბნები. გრებელნიკოვი შტაბის უფროსად დაამტკიცეს, შენ მის ოცეულს ჩაიბარებ. ჭიქა დადგა და შემომხედა.

— რას მიყურებ?

— და შენც დაეთანხმე?

— მე რა შუაში ვარ, შენ უნდა დაეთანხმო.

— გაწყდა ხალხი?

— შენ ხომ უმცროსი მეთაური ხარ, მიშა!

— დიდი ამბავი! იცოდე, მე არსადაც არ წავალ, ვარგივარ თუ არ ვარგივარ, ჩემს ოცეულში დამაყენეთ. შენც გამიმეტე? იქნებ ჩემდაუნებურად დავაშავე რამე, გეთქვა და ბოდიშს მოვიხდიდი. განა არ შევეფიცეთ ერთმანეთს, ბოლომდე ერთად ვიყოთ და ერთმანეთს მივხედოთო?

— მერე რა იცვლება ამით? სხვა რაზმში ხომ არ გადადიხარ, აქვე არ იქნები? — მივეძალე.

— არ გამოვა, მეთაურსაც ამასვე ვეტყვი, ახლავე ვეახლები და ვეტყვი.—წამოდგა.

— დაჯექი, მიშა, ნუ ღელავ, პირველად ვხედავ კაცს, რომელსაც დაწინაურება სწყინს. დაჯექი, მეთაურის ნახვა არ არის საჭირო, ის ახლა აქ იყო. მე შენს მაგიერ ვუთხარი უარი და მერე დავფიქრდი, იქნებ არ ვიქცევი სწორად, იქნებ ლიზუნოვი დიდი ხალისითაც გადავიდეს სხვა ოცეულში-მეთქი და დაგიძახე.

ფერი მოუვიდა.

— ჩვენ პირველი რაზმიდან ცოტანიღა დავრჩით, მიშა, ერთმანეთს არ უნდა დავშორდეთ, ჩვენ ერთმანეთისთვის მაინც სხვა ვართ...

ალიოშა შემოვიდა, ამ საგანზე საუბარი აღარ გაგვიგრძელებია.

ბრიგადის შტაბიდან დაბრუნებულმა კომისარმა დამიბარა, მივედი. ის და შარშავიცკი ოთახში კი არ დადიოდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ და უცებ მივხვდი, რომ კიდევ რაღაც უბედურება იყო ჩვენს თავს.

— რა მოხდა, ხალხო?

— ზასლონოვი დაღუპულა! — ჩაიბურდღუნა მეთაურმა.

ჩავჯექი.

— როგორ, როდის?

— სენოს რაიონში, სოფელ ლაპატინოსთან მოუკლავთ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიუნიჭებიათ.

კომისარს შევხედე, თავი დამიქნია. ავდექი და გარეთ გამოვედი. მივდიოდი, მივთხლაშუნობდი თოვლჭყაპში, სახეში ირიბად მცემდა თოვლის წვრილ-წვრილი, წყალნარევი ფანტელები, მსუსხავდა და მაინც ცეცხლი მთელ ტანზე მეკიდა.

მივდიოდი, თვალწინ ზასლონოვის ლამაზი, ვაჟკაცური სახე მედგა და ყურებში რაღაც მიწიოდა, თითქოს ვიღაც მცემდა, თითქოს საფეთქელზე მუხრუჭს მიჭერდა.

სოფელში დიდხანს ვიბორიალე, ვერა და ვერ მოვისვენე, ზასლონოვის სიკვდილის ცნობა სწრაფად გავრცელდა რაზმში, მთელ ბრიგადაში, ვისაც კი ერთხელ მაინც ენახა იგი, ვისაც მოესმინა მისი რბილი, ხავერდოვანი ხმა, ახლა ყურებჩამოყრილი იჯდა, ან ჩემსავით დაალაჯებდა და ალბათ ბედის უკუღმართობაზე ფიქრობდა.

ღამით ღუმელზე შესაწვავი გოჭივით ვტრიალებდი, ჯერ ანტონის ასე მუქთად დაკარგვა ვერ მომენელებინა და ახლა უბედურებას უბედურება რომ დაემატა, გათენება აღარ მინდოდა, გულამღვრეულს და გამწარებულს მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა, ნეტავ არ გათენდეს, რომ დილით ეს გამწარებული ქვეყანა აღარ დავინახო მეთქი.

და მაინც გათენდა.

ტელუპი ჩავიცვი, გარეთ გამოვედი და მეზობელი სოფლისაკენ გავწიე. რომ გეკითხათ, სად ან რისთვის მივდიოდი, ვერ გიპასუხებდით, მეც თვითონ გამიკვირდა, როცა ბრიგადის შტაბთან აღმოვჩნდი. იღბლად კართან სოკოვი შემომხვდა.

შენ რა, სიზმარი ხომ არ გინახავს? — მკითხა. — სწორედ ახლა ვაპირებდი შენთან კაცის გამოგზავნას, გვჭირდები.

გულმა მიგრძნო და გეახელით-მეთქი.

— გოროდოკში გერმანელთა დიდი შენაერთი მოვიდა, ახლო-მახლო სოფლებში ჩამორიგდნენ და ეშმაკმა იცის რას აპირებენ, იქნებ ფრონტისკენ მიდიან, თუ ასეა, ახლავე უნდა გადავცეთ ეს ცნობა, იქნებ ჩვენზე აპირებენ გამოლაშქრებას. აი, საკითხები, რომლებიც გვაინტერესებს, და აბა შენ იცი, ახლავე წადი, ბიჭებიც წაიყვანე, სანამ პარტიზანულ რაიონს გაივლით, შეღამდება კიდეც. გზადაგზა თუ რაიმე სასწრაფო იყოს, მზვერავი ჩვენკენ აფრინე.

კიდევ კარგი, რომ ჩვენთან ბრძანების განმეორებას არ მოითხოვენ. არმიაში სხვა წესია, გიბრძანეს, უნდა ზუსტად გაიმეორო ბრძანება და შეასრულო.

მე კი არაფერი არ მითქვამს, დავღუნე თავი და წამოვედი.

ამ ცხელ გულზე ზონიდან გასვლა პირდაპირ მისწრებაა, ოღონდ ცოტა ხნით მაინც მომაშორე აქაურობას და თუ გინდა შუაგულ ცეცხლში შემაგდე. ბარაკოვოში რომ მივედი, ჯერ შარშავიცკის გამოვეცხადე, დაზვერვაზე მგზავნიანმეთქი. თავი დამიქნია, ან რა უნდა ეთქვა, ხომ არ დამიშლიდა?

ვინ წავიყვანო? — გამიელვა უცებ და ისევ დავიწყე მარჩიელობა. ქუჩაში ლიზუნოვს მოვკარი თვალი დავუძახე.

— მიშა, ოთხი მზვერავი გამოყავი, ახლავე მივდივართ. თავთავიანთ დიასახლისებს ზეწრები სთხოვონ, დაგვჭირდება.

— მე?

— შენ ჩემს მაგიერ რჩები, ნუ იბღვირები, მიშა, ესეც ერთგვარი ფანდია, თუ ასე არ მოვიქეცი, შენს თავს წამართმევენ და მერე უყარე კაკალი.

სიტყვა აღარ შემოუბრუნებია, შემატყო რა ხასიათზეც ვიყავი.

ჩემს ბინაში ყველაზე ადრე ფედია კომლევი გამოცხადდა თავისი განუყრელი კომპასით, მერე ოლეს ივაშჩენკომ შემოყო თავი. ვალოდია კორპუშევი და სტეფანე გორბი ერთად მოვიდნენ. ალიოშას ცხვირ-პირი ჩამოსტირის, ატყობს, რომ დაზვერვაზე არ მიმყავს.

ერთმანეთს გამოვეთხოვეთ და წავედით.

ზონიდან გასვლას მართლა დაღამებამდე მოვუნდით, მერე უფრო ფრთხილად ვიარეთ, ტყის პირს მივყვებოდით.

ზონიდან პირველ სოფელში ტანკები და მანქანები შევნიშნეთ.

ფედიამ თქვა: იმ ტანკებსა და მანქანებს პირი ჩვენკენ აქვთო. საგულისხმო შენიშვნაა.

გზა განვაგრძეთ, მალე მეორე სოფელიც გამოჩნდა და ისიც ტანკებითა და მანქანებით იყო გაჭედილი, მესამე სოფელშიც იგივე სურათი იყო.

სოკოვის ვარაუდი დამტკიცებულია, გერმანელები მართლაც მოსულან, მაგრამ როგორ გინდა გაიგო რას აპირებენ? ვის ჰკითხავ?

მოენის შოვნაა ახლა აუცილებელი, მაგრამ სოფელში შეღწევა არ გინდა? ისევ ფედიამ გამოიდო თავი, სადღაც სოფელს ზევით ხუტორი შენიშნა, იქამდე მისვლა უნდა მოვახერხოთო.

ხუტორი შედარებით უფრო ახლო იყო ტყესთან.

ტყეში შევიწიეთ, მგლებივით გვშია, საგზალზე არავის უფიქრია, ძალიანაც რომ მოენდომებინა, რა უნდა წამოეღო. ტყე ჯერ გამეჩხერდა, მერე ბუჩქნარმა შეცვალა და ჩვენც ხოხვით გადავიარეთ ის ბუჩქნარი, ისევ ხშირ ტყეში შევედით, შევისვენეთ და მალე კვლავ ტყის პირას გამოვედით.

ქვევით სოფელი დუმს, უფრო ზევით სახლი და საბძელი ჩანს, მგონი ეს ხუტორი სულაც არ უნდა იყოს, ალბათ სოფლის განაპირა სახლია, მით უკეთესი.

ბიჭები იმ სახლისკენ მიიწევენ, მაგულიანებენ, ალბათ იმედი აქვთ, რომ იქ რაიმე გასაკნასავსაც იშოვიან. ღმერთმაც ჰქნას, საჭმელზე არც მე ვიტყოდი უარს, კუჭი მეწვის.

ზეწრები ამოვიღეთ, ტანზე შემოვიხვიეთ, თოვლზე გავწექით და ნელა ვიწყეთ ხუტორისკენ დაშვება.

წინ კომლევი მიხოხავს.

სოფელი დუმს, გერმანელები არც მაშხალებს ისვრიან და არც ავტომატებს ატკაცუნებენ, ფრონტისკენ რომ აპირებდნენ წასვლას, ასე არ მოიქცეოდნენ, აქაურობას აიკლებდნენ.

ესეც საყურადღებოა.

ხუტორს რომ დავუახლოვდით, ფედია შეჩერდა, აქ დარჩით, დამელოდეთ, დავზვერავ, იქნებ ამ სახლთან გერმანელი გუშაგი დგას და ვეცდები „ავიყვანოო“. ჩემს პასუხს არ დაელოდა, გახოხდა, ჩვენც თითქმის მაშინვე მივყევით, ვინ იცის ვის გადაეყრება, სჯობს ახლო ვიყოთ.

საბძელთან წამოვდექით, კედელს გავყევით, ფედია სახლს მისდგომია, სახელურს ექაჩება, გამოაღო.

საბძელთან კორპუშევი და გორბი დავტოვე, მე ფედიასთან მივედი. სახლში შევიხედე, არავითარი ხმა, არავითარი ბაიბური.

შევედით.

ოთახში ბნელა, არაფერი ჩანს.

— არის ვინმე აქ? — ვიკითხე ხმადაბლა.

ღუმელზე ვიღაც შეინძრა, კედელს ავეკარი.

— ვინა ხართ? მომესმა გოგონას სუსტი ხმა.

კომლევმა თავზე ზეწარი წამოიხურა და ასანთს გაჰკრა. ღუმელზე დიდთვალება, საოცრად გამხდარი და დალეული გოგო იჯდა, ასე ათი წლისა იქნებოდა.

— არ შეგეშინდეს, გოგონა, პარტიზანები ვართ!

— არ მეშინია. — ჩამოხტა, ღუმელიდან ჭრაქი გამოიღო, ფედიას მიუშვირა, მოუკიდეო, მერე ისევ ღუმელში შედგა.

— ღუმელზე კიდევ არის ვიღაც — თქვა კომლევმა.

— დედაჩემია, ავად არის, ღუმელიდან ვერ ჩამოდის.

გოგონას მოვეხვიე, მოვეფერე, არ დამფრთხალა, გულზე მომეხუტა.

— ხუტორში მარტო თქვენ ცხოვრობთ? — ვკითხე.

— რომელ ხუტორში, ეს სულაც არ არის ხუტორი, სოფელია.

— აქ მარტო შენ და დედა ხართ?

— მარტო ვართ.

— სოფელში ბევრი გერმანელია?

— ძალიან ბევრი. გუშინწინ მოვიდნენ, ტანკები და რაღაც სხვანაირი მანქანები მოიყვანეს.

— თქვენთან არ მოსულან?

— კი, გუშინ იყვნენ, საჭმელი გვთხოვეს, რძე, რძეო, იძახდნენ.

— მერე?

— სადა გვაქვს რძე, ერთი კვირაა პირში არაფერი ჩაგვსვლია, ჭამას გადავეჩვიეთ, დედას ფეხები დაუსივდა, წუხელ ერთმა მეზობელმა ათიოდე კარტოფილი მოგვიტანა, მოვხარშე, მაგრამ დედამ არ ჭამა, არ მინდაო. არც მე მიხლია ხელი.

— რატომ არ ჭამე, გოგონა, სული არ გიდგია, თუ რამეს იშოვნი, უნდა შეჭამო, დედას მოვლა უნდა, შენც რომ ავად გახდე, რა ეშველება. იმ გერმანელებს სხვა არაფერი უკითხავთ?

— პარტიზანები თუ გაწუხებენო. თვალითაც არ გვინახავს-მეთქი. მალე მათი კაპუტი იქნებაო.

— რაო, რაო?

— კაპუტ პარტიზანებსო, ავტომატი ასწია, მეგონა მე მესროდა.

მაშ ასე, ყველაფერი გასაგებია. ახლა უკვე გაბრუნებაა საჭირო, წუთი მილიონი ღირს. იქნებ ხვალ დილითაც შემოგვიტიონ.

ფედია სკამზე შედგა.

— გამარჯობა, დედი! — უთხრა ღუმელზე მწოლიარე ქალს.

ქალმა დაიკვნესა, მერე იდაყვებს დაეყრდნო, წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ მიწვა. ფედია ღუმელზე შეხტა, ქალს თავი ააწევინა.

— ცუდად ხართ? წყალი ხომ არ გინდათ?

— ლუდა! — ძლივს გასაგონად დაუძახა გოგონას. — სტუმრებს კარტოფილი გამოუტანე, ლუდა!

— არა, დედი, ჩვენ არაფერი არ გვინდა, თქვენ კი უნდა ჭამოთ, ლუდაც ცოდვაა, თქვენ შემოგყურებთ. ვუთხარი ქალს.

— ლუდა, ჭრაქი მომანათე, მინდა ჩვენიანებს შევხედო. — თქვა მან. გოგონამ ჭრაქი ახლო მოიტანა, ქალი მოგვაჩერდა, ღმერთო, ეს რა დავინახე, თითქოს კუბოდან მიცვალებული წამომდგარიყო და გვიცქერდა, გვიცქერდა დაქინებით, წყურვილით, სასოებით. ჭრაქი ხრჩოლავდა გოგონას დაუბანელ ხელებში, და ჭრაქის მკრთალი ალი სანთელი მეგონა, კუბოსთან მოცახცახე სანთელი.

ღუმელთან მივედი, კარდალა გამოვიღე, ფე-

დიას გადავეცი, მერე გოგონა ჰრაქიანად ავიტაცე, ღუმელზე შემოვსვი, ჰრაქი ჩამოვართვი, იქვე დავდგი და კარდალიდან კარტოფილი გამოვიღე.

— დედი, ჩვენც გვშია, ძალიან გვშია და დედაშვილობას გაფიცებთ, ჩვენთან ერთად თქვენც აიღეთ ლუკმა, ლუდაც აღარ იტყვის უარს. ხომ ასეა, ლუდა? ყოჩაღ, კარგი გოგონა ხარ აიღე, დედასაც გაუფცქვენი, იქნებ ცოტა მარილიც გაქვს, ბიჭოს, მდიდრები ყოფილხართ, მეფური ვახშამია, მიირთვით, დედი!

ლუდამ გაფცქვნილი კარტოფილი მარილში ჩაუწო და დედას მიაწოდა, თავად გაუფცქვნელად დაიწყო ჭამა.

კარტოფილი მეც ავიღე, პირი ვიბრუნე, ვითომ ვჭამ...

ფედიამ ჩანთიდან პურის ნაჭერი ამოიღო, შავი დღისათვის მქონდა შემონახულიო, გოგონას ძალით შეაჩეჩა ხელში.

დედა-შვილს გამოვეთხოვეთ და სახლიდან გამოვედით. ვალოდია და სტეფანე საბძელთან იდგნენ, ადგილზე ხტოდნენ. ფეხებს აბაკუნებდნენ, ეტყობა ყინვამ მოუჭირათ.

ბარკოვოში გათენებისას შემოვედით, ბიჭები დასაძინებლად გავუშვი, მე ჯერ შარშავიცკი გავაღვიძე და დაზვერვის შედეგები მოვახსენე, მერე მასთან ერთად ბრიგადის შტაბისაკენ გავწიე

დილით ბრიგადამ წინასწარ მომზადებული პოზიცია დაიკავა. ჩვენი რაზმი ბარკოვოს ირგვლივ განლაგდა. გოროდოკის მიმართულებით გრებლენიკოვმა, ახლა უკვე რაზმის შტაბის უფროსმა, მებრძოლი ტანკსაწინააღმდეგო თოფით ჩააწვინა და შენიღბა.

ათ საათზე პარტიზანულ რაიონს გერმანელთა თვითმფრინავებმა გადაუქროლეს და აქა-იქ ბომბებიც ჩამოყარეს. მერე საარტილერიო მომზადებაც დაიწყო, ბარკოვოს თავზე ჭურვები მოჰქროდნენ და სადღაც, მეორე სოფელში თუ მის ახლო ღრიალით ეხეთქებოდნენ დედამიწას. არტილერიის ცეცხლმა მთელი ნახევარი საათი გასტანა. როგორც ხდება ხოლმე, შემდეგ ტანკები უნდა დაძრულიყვნენ, მაგრამ იმ დღეს გერმანელები შეტევაზე არ გადმოსულან, დროდადრო გვბომბავდნენ, ჭურვებს გვიშენდნენ.

თებერვლის დიდი ღამეც მტრის მოლოდინში გაილია, თოვლში ვეყარეთ. ისე ვიყავი გაყინული, მეგონა მიწას ველარაფერი ამგლეჯს-მეთქი. ძლივს წამოვდექი, ალიოშას ხელები ჩავკიდე. იგი სახეს თოვლით ისრესდა. ერთმანეთს წავექირჩიმალეთ, არ კადრულობდა, თორემ მიწაზე ლავაშივით გამაკრავდა. ცოტა რომ შევხურდი, სახეზე თოვლი მეც მოვისვი, მოვცოცხლდი.

თებერვლის ბოლო დღე გათენდა. გოროდოკის მხრიდან ტანკების ხმაური მოგვესმა, არტილერიამაც დაგვცხო და ახლა ეჭვი აღარავის გვეპარებოდა, რომ საცაა გერმანელთა ტანკებიც მოგვადგებოდნენ.

ბარკოვო იწვის.

მალე მოწინავე ტანკიც გამოჩნდა, მოდის, მოიზლაზნება ეს უშველებელი ურჩხული, როგორ გინდა შეაჩერო. ტანკიდან ცეცხლის ენები კვესავენ, ბიჭი ხარ და წამოსწიე თავი!

ტანკსაწინააღმდეგო თოფმა რომ დაიქუხა, გავიხედე, მეგონა ტანკს მოარტყა და შეაჩერა-მეთქი, გაგიგონია! ტანკმა ის ადგილი, სადაც ჩვენი ერთადერთი იმედი იწვა, მოსრა და გადათელა. უკან მეორე ტანკიც გამოჩნდა, უფრო იქით, ძალიანაც რომ მოინდომო, არაფერი ჩანს, რა თქმა უნდა, ტანკებს ქვეითები მოჰყვებიან.

ბრძანება გადმოსცეს, უკან, ტყისაკენ დაიხიეთო, კაი დაგემართოს, მაგრამ ვინ გიშვებს ტყისაკენ!

მაინც გაცლა სჯობს და ჩვენც ნელ-ნელა ხოხვა-ფორთხვით ტყისკენ გავცოცხეთ. ტყეში ერთმანეთი მოვიძიეთ. რაზმს შვიდი მებრძოლი აკლია. ანია არ ჩანდა, მეგონა დაიღუპა-მეთქი, მაგრამ შეღამებულში ისიც გამოჩნდა, სხვა რაზმს მიკედლებოდა.

გერმანელებმა ერთხანს ურტყეს ტყეს და მერე ჩაჩუმდნენ. ბრიგადა ტყის სიღრმეში შევიდა.

**უბის წიგნაკიდან:** პარტიზანული რაიონი გერმანელებმა მიწასთან გაასწორეს. თითქმის ყველა სოფელი დაანგრიეს და დაწვეს. შელბოვსკის ტყეებს შევეხიზნეთ, მაგრამ გერმანელებმა არც აქ მოგვასვენეს, მათთვის უჩვეულო რისკზე წავიდნენ, ტყეშიც შემოიჭრნენ და ტყის გზები და ბილიკები დაიკავეს, ალყაში მომწყვდევას გვიპირებდნენ.

ამ ორომტრიალში ერთი საგულისხმო ამბავი გავიგე, ვიტებსკის იატაკქვეშა საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით ბოიკო და ვაიცეხოვსკი გაუთავისუფლებიათ, ბრიგადის მეთაურად კრეისიკი, შტაბის უფროსად ლავკოვი, ხოლო კომისრად ადამ სტელმახი დაუნიშნავთ. ბრიგადის მეთაურს მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი, მაღალი, გამხდარი კაცია, ასე სამოცი წლისა იქნება, ეტყობა გულადია, გერმანელები ტყეში რომ შემოიჭრნენ, ყველაფერი აირია, ვინ საით გარბოდა, ვერაფერს გაიგებდით. ამ დაბნეულობისას ბრიგადის თავისმოყრა და ფეხზე დაყენება ადვილი საქმე არ გახლდათ. გერმანელები ყოველ ბუჩქნარს უწევდნენ კონტროლს, დაუზოგავად ისროდნენ, შეერთებისა და მომარაგების საშუალებას არ გვაძლევენ.

პარტიზანები იწვნენ ან ხეებს იყვნენ მოფარებულნი. კრეისიკი ტყის პირას იდგა, მის ირგვლივ ტყვიები წუოდნენ, თითქოს ბუზები ეხვეოდნენ, არც კი ცდილობდა თავის დახრას და მოკლე ბრძანებებს იძლეოდა.

მე ადამ სტელმახის იმედი უფრო მაქვს, ამ

უბედურებიდან ისევ მისი დამდგარი ჭკუა და მოხერხება თუ გაგვიყვანს.

ღამით სროლა შეწყდა. ტყე ჩაწყნარდა, ჩვენც ცოტა დავმშვიდდით, ალბათ დილამდე ალყის გარღვევას შევეცდებოდით.

ბაბუა მაქსიმე იტყოდა, „მარტი რომ წინ გიძევს, ზამთარი არც აქო და არც აგინოო!“

მართლაც, ახლა მარტია, წყალნარევი თოვლი მოდის, ტყე დაიტბორა, ჭაობები აბუყბუყდნენ, გასულ ზამთარში ამ დროს ჭაობები გაყინული იყო, ახლა რა ეშმაკი დაემართა?

ბრიგადა შავ დღეშია“.

...ივანემ მომნახა, სტელმახი გვეძახისო. ბრიგადის კომისარი ძლივს მოვნახეთო, გაჩაჩხული ნაძვის ძირად იდგა, იქვე რადისტი რაციას აწვალებდა, ნაძვის ქვეშ თოვლჭყაპი არ ატანდა, მაგრამ რაციას მაინც ეფარა რაღაც ქსოვილი. სტელმახი რადისტს უკარნახებდა, მერე, როგორც ჩანს, გადასაცემი გადასცეს და კომისარმა ჩვენთვისაც მოიცალა, შემოგვხედა და პირდაპირ გვითხრა:

— ბელორუსიის პარტიზანული მოძრაობის შტაბი ნებას გვრთავს ალყა გავარღვიოთ და ფრონტის ხაზზე გადავიდეთ. შენ, ამხანაგო შარშავიცკი, შენი რაზმით ახლავე გასწი, ჩემს ვარაუდსაც გეტყვით, პანიზოვის შოსესაკენ იარეთ. შოსეზე გადადით. იქ დაგველოდეთ. ვინ იცის რა მოხდება და, საერთოდ, იცოდეთ, ფრონტის ხაზზე უსვიატასა და ველიჟის შუა გადავალთ. შენს რაზმს რემო გამოჰყვება, მერე კირილოვი და ასე შემდეგ. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ.

ადამ სტელმახი ცოტაზე გამომყვა.

— ცუდად არის საქმე, ძალიან ცუდად. ძნელია აქედან გაღწევა, ჩვენ იქნებ შევძლოთ, მაგრამ ხომ დაინახე რამდენი ხალხი გამოგვყვა ტყეში? მათ ღვთის ანაბარა ხომ ვერ მივატოვებთ, — ამოიოხრა. — ამიტომ ვიყავი სოფლებში კოტრიალის წინააღმდეგი. ცოდვაა ხალხი.

— თან მოგყავთ?

— მოგვყავს და მერე იცით რამდენნი არიან?. ათასზე მეტი! — ამიტომ გადავწყვიტეთ რაზმები ცალ-ცალკე გავუშვათ. თქვენ პირველნი, ხართ და გაფრთხილდით. ამინდი ხელსაყრელია, იქნებ ტყვიის გაუსროლელად გახვიდეთ. ახლა გაცლაა მთავარი, გაცლა და მერე ბრძოლა. მხარზე ხელი დამადო — ეცადე ცოცხალი გადარჩე, შენ თურმე ლექსებსაც წერ. კარგია, ოდესმე იქნებ დიდ ტილოსაც შეება და ნუ დაგვივიწყებ.

ჩვენს ბიჭებთან რომ დავბრუნდით, ივანემ მიბრძანა, არა კი არ მიბრძანა, უფრო მთხოვა, როგორც ყოველთვის, რაზმს წინ გავძღოლოდი, თუ ერთმანეთს დავკარგავდით, პანიზოვის შოსეს იქით, სოფელ ლესნაიას მიდამოებში დაგვეცადა.

— უფრო უარესიც გვინახავს, ივანე საველიჩ, გავსულვართ, ამაღამაც გავალთ, ახლა გაცლაა მთავარი, ბრძოლა კი არა, გაცლა! გავიმეორე სტელმახის ნათქვამი. — ჩვენც გავძვრეთ, ერთმანეთი კი, ვეცადოთ არ დავკარგოთ თუ მაინც და მაინც დავიბენით, პანიზოვის შოსესთან, იმ ლესნაიასთან ვიქნებით, იქედან უთქვენოდ ფეხს არ მოვიცვლით.

ბიჭები შევყარე, ბრძანება გავაცანი, ისე გაუხარდათ, თითქოს თავთავიანთ სახლებში მიდიოდნენ. ვინღა ფიქრობს კუჭზე, სველ ტანსაცმელზე, დამბალ ტულუპზე, ტყვიასავით რომ დამძიმებულა.

მიზანი გაჩნდა, მასთან ერთად გაჩნდა იმედიც და სხვა რაღა უნდა ჯარისკაცს, ადამიანს!

მიზანი და იმედია მთავარი.

ამ ტყისა არავინ არაფერი არ იცის. გვითხრეს, აღმოსავლეთით უნდა იაროთ, პანიზოვის შოსეს მიადგებითო. ღმერთმა არ იცის ვის მიადგები, მაგრამ სხვა გზა ალბათ არც არის და კიდევაც რომ იყოს, ვისა აქვს მისი ძებნის თავი.

ცოტაზე ვიარეთ, ბუჩქნართან შევჩერდი. სიჩუმეა, მაგრამ მაინც ხოხვით ვამჯობინეთ წასვლა. ბუჩქნარზე გადავედით, ჩემს წინ სტიოპა მიხოხავს, ჩემს უკან—ვალოდია. წუთითაც არ მტოვებენ ბიჭები, მერე რა მარჯვედ, რა მოხერხებულად მიხოხავენ, პირდაპირ შეგშურდება. შიათ ბიჭებს, მესამე დღეა პირში ლუკმა არ ჩაგვიდვია და ერთხელაც არ მსმენია მათი წუწუნი.

უცებ გერმანული ლაპარაკი გავიგონე. გავისუსეთ, აგერ, აქვე, ხელის გაწვდენაზე ყოფილან. როგორ გინდა ამათ გვერდი აუარო? უკან გავბრუნდეთ? რა გადაივლის სამ ბუჩქნარს?

მჭიდროდ შეუკრავთ ალყა, რა ვიღონო? რა გზას დავადგე?

სტიოპა გახოხდა და მოიხედა, კბილებით მაზნევას დანა უჭირავს, რას აპირებს ეს მამაძაღლი. გავხოხდი, წამოვეწიე, ფეხში ვწვდი და დავქაჩე, თან ისეთი ვუჩქმიტე, მიკვირს როგორ არ დაიყვირა.

სანამ გინდა ამ თოვლჭყაპში იწვე?

იქნებ დავცხოთ და გავიქცეთ ,მაგრამ შარშავიცკი? რაზმი? ისინი როგორღა გამოვლენ?

— ჩუ! ვისი ხმა ისმის? ვინ გვეძახის?

— რუს ვლეს, ვლეს, — აგერ სულ ახლო ჩურჩულებს გერმანელი. მოდი და ნუ გაგიჟდები!

— წინ სტიოპა, ნუ გეშინია, წინ!

— გავხოხდით, უკან დარჩა გერმანელთა საგუშაგო, ალყა.

— წინ, წინ! — მაინც ვაჩქარი ბიჭებს, მაგრამ რაღა ჩემი თქმა უნდათ, ერთმანეთსასწრებენ.

— გმადლობთ, ამხანაგო, გმადლობთ ჯარისკაცო!—ვბუტბუტებ ჩემთვის და ის წუთები მაგონდება როცა ჭაობში ვიყავით შემწყვდეულნი.

ახლა წამოდგომაც შეიძლება, შეიძლება სირბილითაც გავიდეთ, აქედან შორს, წინ, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ! მივრბივართ, ფეხის

კომპასი მე მიკეთია მარჯვენა ხელზე. მომეციმეთქი რომ ვუთხარი კომლევს, მგონი არა სწყენია, იმსიმძიმეა, ხელი წამაწყვიტაო.

სანამ შეგვეძლო, ვირბინეთ, მერე, არაქათი რომ გამოგვეცალა და წაქცევას აღარაფერი გვიკლდა, ნაბიჯზე გადავედით, შესვენება არ შეიძლებოდა, ერთი ხუთი კილომეტრით მაინც უნდა გავცდეთ ალყას და, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ცეცხლი დავანთოთ, ასე გაწუწულ-გალუპულნი და ტალახში ამოთხვრილნი დილამდე მაინც ვერ გავატანთ. „გინდა მგელს შეუჭამიხარ და გინდა მგლისფერ ძაღლსო“, ამბობს ანდაზა.

გათენებამდე ვიარეთ, ერთ-ერთი განაკაფის იქით დიდრონი ნაძვები მოვნახეთ (მე შენ გეტყვი და ძნელი საპოვნია) და ცეცხლის გაჩაღება ვცადეთ. დიდხანს ვეწვალეთ, როგორც იქნა, ცეცხლი დავანთეთ და რიგრიგობით დავაშრეთ ტანსაცმელი.

ვალოდიას ორად-ორი ორცხობილა აღმოაჩნდა, წამში შევახრამუნეთ. თვალები მეხუჭება, ცოტა უნდა წავიძინოთ, წინ გრძელი გზაა.

საათს დავხედე და ვთქვი: — ბიჭებო, ერთი საათი წავიძინოთ და მერე გავუტიოთ პანიზოვოს შოსესაკენ, დაწექით, მე გიყარაულებთ.

ვალოდია ცურანი შემეხვეწა, დედას გეფიცებით, მე არ მეძინებაო, თქვენ მოისვენეთ, გიყარაულებთ და ცეცხლსაც არ ამოვაქრობო. აღარაფერი მითქვამს, თავი კომლევის ზურგზე მივდევი და მაშინვე დამეძინა.

სიცივემ გამომაღვიძა, ვალოდია ცეცხლს მისწოლოდა, სძინავდა. ფრთხილად ჩავახველე, არ მინდოდა ბიჭი გაწითლებულიყო. წამოხტა, თვალები მოიფშვნიტა, ნაცარი გადაჩხრიკა, ნაკვერჩხალი იპოვნა, ზედ ნაძვის ხმელი ფიჩხი დააყარა და სული შეუბერა.

მალე ისევ განვაგრძეთ გზა.

— ბაბუაჩემი ამბობდა: — „ხარები შინისაკენ პირს რომ იზამენ, უფრო სწრაფად მიდიან, სახრეს არ დაირტყამენო, უგრძნობი მთვრალი რომ იწვე ურემზე, ხარები სახლს მაინც მიაგნებენო“.

ასე ვართ ჩვენც, ხარებივით მივიწევთ შინისაკენ, დიდი მიწისაკენ.

...მეექვსე დღეა მივდივართ პანიზოვოს შოსე კი არა და არა ჩანს. გულს მაინც არ ვიტეხთ, ერთმანეთს ვამხნევებთ. გუშინწინ ფედიამ საიდანღაც კარტოფილი მოიტანა. კარტოფილი კი ეშოვა, მაგრამ რა სოფელი იყო, ამის კითხვა დავიწყებოდა.

ნაშუადღევს შოსეზე გადავედით, ეშმაკმა უწყის, რომელი შოსეა. ახლა აუცილებელია გავიგოთ რომელიმე სოფლის სახელი და მერე ორიენტირება ადვილია. შოსე გადავიარეთ, ტყეში შევედით და ყური მივუგდეთ. შორს, აღმოსავლეთით ძაღლი ყეფდა. ტყე-ტყე იმ მხარისკენ გავეშურეთ.

კორპუშევმა აიჩემა, მე წავალ და ყველაფერს გავიგებო, დაწინაურდა კიდეც, არ შემიკავებია. ის თუ არა, სხვა რომელიმე მაინც უნდა გამეგზავნა. კარგა მანძილზე რომ დაგვშორდა, მივაძახე, იცოდე, ორ საათში მაინც უნდა დაბრუნდე-მეთქი.

ჩამოვჯექით, ქისა ამოვიღე, ორი გაწყობა თუთუნი კიდევ მქონდა, ჩემთვის გავაწყვე და მერე ქისა ფედიას გავუწოდე, არ მინდაო, შიმშილისგან ისედაც თავბრუ მესხმისო. მიშამაც უარი თქვა.

კორპუშევი მალე დაბრუნდა. იგი, როგორც ყოველთვის, პირველად სტიოპამ დაინახა, თან გაოცებით წამოიყვირა, კორპუშევს, ვიღაც მოჰყავსო. გამიხარდა, ალბათ, სადმე ჩვენიანს გადაეყარა და თან ჩამოიყვანა-მეთქი. მაგრამ მოვტყუვდი, ვალოდიამ შუახნის გლეხკაცი წარმოგვიდგინა, მერე ჩანთიდან ნახევარი პური ამოიღო, განაწილება ვინღა აცალა, პური წამში დაბდღვნეს. ჩემი წილი მიშამ შეინახა.

გლეხკაცი მოგვესალმა, მისალმებისას წელში ოთხად მოიკეცა. ეს ნამეტანი მლიქვნელურად გამოუვიდა და არ მომეწონა.

— დაჯექი, ბიძია!

არ დაჯდა.

— რა გქვია?

— ვლასი.

— ეს რა სოფელია.

— ლესნაია.

ლესნაიაო, ბიჭოს, მივსულვართ, პანიზოვის შოსე გადმოგვივლია, ახლა ფრონტის ხაზიც შორს არ უნდა იყოს.

— ფრონტამდე შორს არის, ბიძია?

— ახლოა, სამი კილომეტრიც არ იქნება.—რა უსიამო ხმა აქვს ამ უპატრონოს.

— ლესნაიაში გერმანელები დგანან?

— დგანან, ყოველდღე იცვლებიან, ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან.

— გაწუხებენ?

— სულს გვხდიან, არაფერი არ შეგვარჩინეს, მთელ სოფელში ერთი ძროხაც აღარ არის, დაწყდნენ ბავშვები.

— მაშ ფრონტი ახლოა, არა?

— დიახ, ახლოა.

— აი რა, ბიძაჩემო, ფრონტის ხაზზე უნდა გადაგვიყვანო. დიდი დავალება გვაქვს, დავალება ბრძანებაა და უნდა შესრულდეს.

გაბურძგვნილი წვერი მოიქექა, ერთხანს ფიქრობდა, მერე გადაჭრით თქვა:

— ვერა, ბიძია, ვერ წამოვალ, უეჭველ სიკვდილზე ვერ წამოვალ... სამი შვილი მყავს, ვერც თავს გავწირავ და ვერც ბავშვებს.

— გაიძულებთ!

ფეხი მოინაცვლა, ისევ მოიფხანა წვერი, ისევ იფიქრა, მიხედ-მოიხედა კიდეც და მე მიშას ჩუმად წავკარი ფეხი, არ გაიქცეს-მეთქი.

— მომკალით და ვერ წამოვალ.

— რა თქმა უნდა, მოგკლავთ. აბა სულელები ხომ არ გგონივართ, შენ თვითონ იფიქრე და იანგარიშე, შეგვიძლია შენი აქედან გაშვება?

— მე პატიოსანი კაცი ვარ, არ გაგცემთ, ღმერთი შეგეწიოთ, ოღონდ გამიშვით, გადამერევა ბავშვები, ჩემს ცოდვაში ფეხს ნუ ჩაიდგამთ.— მუხლებზე დაეცა.

ეჰ, რა ცუდი კაცი მოიყვანა კორპუშევმა! ან ვინ დაავალა, რას მოათრევდა? აქამდე მეგზურზე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა მეც ამეშალა საღერღელი, კაი საქმეა გამყოლი, ამ ადგილების მცოდნე. ალბათ ამ გლეხმა ტყის ყოველი კუთხე-კუნჭული იცის. რად გინდა მერე? როგორ მოვულბო გული? როგორ დავითანხმო? არადა, გაშვებით მართლა ვერ გავუშვებ, თუ მაინც და მაინც გაჯინდა, ხეზე მივაბამ, პირში ჩვარს ჩავჩრი და დავტოვებ.

— დაფიქრდი, ბიძია.— ერთხელ კიდევ შევუტიე.— ხუთ წუთს გაძლევ, დრო ძვირად გვიღირს. გადაგვიყვანე, დაბრუნდი და იცხოვრე როგორც მოგეხასიათება, თუ არა და დაგხვრეტ!

ჩვენს უკან ტოტების ლაწა-ლუწი ატყდა, ფეხზე წამოვცვივდით და, სანამ იარაღს გავმართავდით, კორპუშევის მოყვანილი გლეხი კინაღამ გაგვისხლტა. ლიზუნოვი ფეხებში ეცა და და წააქცია, ერთი ორიც უთაქა.

— ვინ მოდის? — დავიძახე.

— საშა!

— ივან საველიჩ!

ყველანი, მიშას გარდა, მეთაურისაკენ გავიქეცით. ისე ჩავეხვიე, თითქოს მთელი წელიწადი არ გვენახოს ერთმანეთი. ბრიგადა უკან მოგვყვებაო,— სხაპა-სხუპით მაცნობს გადასვლის ამბავს მეთაური.— სოფლიდან აყრილი ხალხიც ჩვენთან ერთად მოდისო. ალყა ბრძოლით გავარღვიეთ, ბევრი მებრძოლი, და, რაც მთავარია, თვითონ კრეისაკიც მოგვიკლესო.

— ფრონტამდე სამიოდე კილომეტრია, ივან საველიჩ, გამყოლიც ვიშოვნეთ, მაგრამ უარზეა, მომკალით და ვერ წამოგყვებითო.

— სად არის გამყოლი?

— ლიზუნოვო, აქ მოიყვანე შენი ტყვე.— წმინდა სულისა არ უნდა იყოს, ლექვივით წკმუტუნებს.— დავუმატე.

მეთაურმა გლეხს სადაურობა ჰკითხა, მერე დაუყვავა, გააგებინა ყველაფერი, უკან მთელი ბრიგადა და შენისთანა ადამიანები მოდიანო, ამას იმიტომ გეუბნები, რომ დარწმუნდე, გაყოლაზე თუ უარს იტყვი, იძულებული გავხდები დაგხვრიტოო.

მეთაურისთვის გლეხს არ შეუჩივლია, ალბათ მიხვდა, შეკამათებას აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა. უცებ მოლბა, ალაპარაკდა, რაკი ამხელა საქმეა, რა უფლება მაქვს უკან დავიხიო, თუ მომკლავენ, თქვენი ჭირი წამიღიაო. ოღონდ ერთი მებრძოლი გამატანეთ, წინასწარ დავზვერავ, გადასვლა სად უფრო მოსახერხებელიაო.

მარშავიცკიმ რომელიღაც მებრძოლს დაუძახა, ყურში ჩუმად რაღაც უთხრა, მან ქამარი შეიხსნა, გლეხს ჩააბა და გაჰყვა.

ამასობაში რემოს რაზმმაც მოაღწია, მერე რემოს რაზმს კირილოვის რაზმი მოჰყვა და მალე ტყე პარტიზანებითა და მოსახლეებით აივსო. აქ დიდხანს დაყოვნება დაღუპვას უდრის, როგორადაც არ უნდა მოინდომო, ამდენ ხალხს ვერ დააწყნარებ, მარტო ბავშვების ტირილი კილომეტრზე ისმის.

ადამ სტელმახიც გამოჩნდა, ჩვენი დანახვა გაუხარდა, კრეისაკის დაღუპვას ძალიან განიცდის, ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ შტაბის უფროსი ლოკოვი სადღაც დაკარგულა მგონი სულაც გაპარულა...

გამყოლი და ის მებრძოლი არ ჩანდნენ, უკვე თორმეტი საათი დაიწყო, ფრონტის ხაზამდე სამი კილომეტრის გავლას საათნახევარი მაინც მოვუნდებით. მერე რა იცი რა მოხდება? ღმერთმა ნუ ქნას, თავზე დაგვათენდეს, თორემ ნვალ საეჭვოა რომელიმე ჩვენგანი ცოცხალი გადარჩეს.

გამყოლს პირველ საათამდე ველოდით, სრულ პირველზე სტელმახმა გვიბრძანა დავძრულიყავით. კვლავ ჩვენ წავედით წინ და მალე დავწინაურდით. თავში ათასგვარი შავი ფიქრები მიტრიალებს, იქნებ იმ არაკაცმა ჩვენი მებრძოლი პირდაპირ გერმანელებს მიაყენა, ჩააბარა და ახლა საგანგებოდ არიან ჩასაფრებულნი, ჩვენს მოახლოებას ელიან.

რაც არის არის, უკან დასახევი გზა მაინც მოჭრილია.

...უსვიატას შოსე, იქვე რამდენიმე ნაბიჯზე მდინარე უსვიატა, მერე ორი სოფელი, ლებანი და კარაბოხა. ამ სოფლებს შუა უნდა გავძვრეთ, ასეთია ჩვენი გზა, ასეთია ჩვენი სურვილი და როგორც მე, ისე თვითეული ჩვენგანი, მზად არის შედგეს ამ გზაზე.

შოსესთან ახლო ვართ. მანქანების გუგუნიც კი გვესმის, ფრთხილად მივიწევთ წინ. ასეთია მზვერავის ბედი. განაპირა ხესთან მივხოხდი, შოსეს გავხედე, აღარავითარი ხმა, დუმილია, შიშისმომგვრელი, ნერვების დამწყვეტი დუმილი. წამოვიწიე, ხე ვიფარე, ახლა უფრო შორს შემიძლია გავიხედო, მანქანების ხმაური რახანია მიწყდა, იქნებ ეს წუთია ყველაზე შესაფერი, იქნებ სჯობს ახლავე გადავირბინო, ატალახებული გზა. გული გამიჩერდა, მუხლებს ვეღარ ვიმაგრებ. რაღა დროს შიშია? კიდევ კარგი, ბნელა და ბიჭები ვერ მიყურებენ, თორემ ალბათ მიწიდან ამოღებულ მკვდარს ეგავარ, გვერდში მიშა ლიზუნოვი ამომიდგა, მიშას ხელიხელზე მოვუჭირე. თავის მხრივ მან ვალოდია კორპუშევს ჩაჰკიდა ხელი, ვალოდიამ ფედიას და ასე ბოლომდე. თითქოს ელექტროდენივით გადავეცით ერთმანეთს გულის ნადები, ფიქრი, გადაწყვეტილება, რომ გასაჭირში არავის დავტოვებთ.

მიშას ხელი გავუშვი.

წელში მოვიხარე და გავიქეცი, უკან ფეხის

ხმა მესმის, მიშა მომდევს, ყველანი მოდიან.

შოსე გადავირბინე, რამდენიმე ნაბიჯიც და მდინარეზეც შევდგები, მაგრამ ვაი თუ ვერ გამიძლოს ყინულმა.

ტანში გამაზრიალა.

ყინული ტკაცა-ტკუცით ჩატყდა, მაინც მივდივარ, მერე და მერე ყინული გამაგრდა, ვერ ვენდე. გავსრიალდი, წავიქეცი, და ასე ფორთხვით გაველი გაღმა.

მაშინ მივიხედე, ღმერთო რა ხდება მდინარეზე, რა ყინული გაუძლებს ამდენ ხალხს?!

შევბრუნდი, და მცირე აღმართი ავირბინე, ერთხელ კიდევ მოვიხედე და ყურებზე ხელები მივიჭირე, ხმაურით და ყაყანითაც კი მორბოდნენ მებრძოლები ყინულზე. ვიღაც იძახდა, მიშველეთ, წყალში არ დამტოვოთ და ვიღაც იგინებოდა, ვიღაც კვნესოდა.

აღმართიდან კარგად მოჩანდა ორი სოფელი, — ერთი ჩრდილოეთით, მეორე — სამხრეთით. იქამდე მინდორია, თოვლით დაფარული მინდორი..

დაღმართზე დავეშვით და მინდორზე რომ შევდექით, უცებ ცა გადაიხსნა, კი, ნამდვილად ორად გაიპო ცა და იქიდან ერთბაშად ათასი ელნათურა გადმოეკიდა. მიდამო მაისის დღესავით განათდა, მაშხალების შუქი თოვლზე ალაპლაპდა, თვალი მომჭრა და ჩემდაუნებურად წავიქეცი.

რა მოხდა? გერმანელებმა შეგვნიშნეს, გამოგვატირეს. ახლა მინდორზე ამდენხანს მდუმარე მინდორზე გაგვრეკავენ და მორჩა, ტყვიის გაუსროლად ჩაგვკლავენ თოვლში.

ტყვიების წვიმა მოდიოდაო, გამიგონია, რის წვიმა, რა. სეტყვა, დედამიწა აყირავდა, ცა ქვევით მოექცა და ჩვენ საღლაც მივქრით, ისვრიან ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ნაღმტყორცნები. შეღმართზე ტანკები დაუყენებიათ, ტანკებიც ისვრიან. ერთმანეთში აიტლიზა თოვლი და ტალახი, სისხლი და წყალი, ცოცხალი და მკვდარი.

წინ, წინ, წინ! — ვყვირი, ვბღავი, მოვხოხავ, მოვდივარ გვამებზე, დაჭრილებზე. პირი ტალახიანი თოვლით მაქვს ამოტენილი და მაინც წინ, წინ! სოფლებს შუა კი არა, პირდაპირ სოფლისაკენ. ახლა ის გასასვლელი შეკრულია, იქაც გველიან. პირდაპირ სოფელზე, რაკი ასე წავიდა ჩვენი საქმე, წინ, მიზნისაკენ, სიცოცხლე სასწორზეა შეგდებული.

ხანდახან მიშას ხმა მესმის, ბიჭებს ეძახის, ამხნევებს. ყოჩაღ მიშა, შენ რომ არა, რა მეშველებოდა. სტიოპა, ვალოდია, ხმა გამეცით! კორპუშევო, ალიოშა, გორბო ივაშჩენკო ივაშჩენკო, კომლევო! — ვყვირი და უკან მიხედვის საშუალება კი აღარა მაქვს, სოფელი ახლოა. მგონი გერმანელები ჩვენკენ აღარ ისვრიან, მგონია დაგვკარგეს და ბრიგადის ძირითად ძალას შეუტიეს.

სოფელში რომ შევცვივდით, შარშავიცკის ხმა გავიგონე, რომელიღაც სახლის უკან გარბოდა, მას ჯგუფად მიჰყვებოდნენ მებრძოლები. როგორ გადაგვასწრო?

სოფელს გავცდით და მალე ეკლიან მავთულხლართს წავაწყდით. ივაშჩენკომ შეუჩერებლივ დააპირა გადასვლა, მაგრამ ეკლებში გაეხლართა, ტარანენკომ ბრიზენტის კურტკა გაიძრო, გადაუგდო, მერე ხელიც მიაშველა და გადაიყვანა. მავთულხლართის მეორე მხარეს გავიგეთ, სტეფანე გორბი გვაკლია. სულ ბოლოს მოდიოდა და იქნებ მეთაურის ჯგუფში მოხვდაო, დამაიმედა კომლევმა.

ვის ვუთხრა საყვედური? ვინ დავადანაშაულო? განა თვითონ არ ვიცი რა დღეში იყვნენ ბიჭები?

წინ ისევ თოვლით დაფარული მინდორია, ტყე კი არა ჩანს. სანამ ტყეში არ ვტკუცავთ თავს, გადარჩენაზე ფიქრიც ზედმეტია. კომპასს დავხედე, ციმციმებს ისარი, თვალს მიპაჭუნებს, იარეო.

ხელი ჩრდილოეთით გავიშვირე, ამ მიმართულებით უნდა ვიაროთ-მეთქი, ვუთხარი ბიჭებს.

ოლეს ივაშჩენკო პირველი დაიძრა, მეც მას მივყევი.

უკან ისვრიან, ცაში ვარსკვლავების მაგიერ მაშხალები კიაფობენ.

ოლესი ხანდახან მომიხედავს, ხომ სწორად მივდივართო, ბიჭები ცოტა გამხიარულდნენ, ხუმრობა ხომ არ არის იმ ჯოჯოხეთიდან გამოღწევა?

უცებ დედამიწა შეინძრა, დაბარბაცდა, რაღაც ძალამ მიწას მომწყვიტა და შორს გამტყორცნა, უგონოდ დავეცი. თოვლში ვარ ჩამხობილი, თავი მიბრუის, თვალები მტკივა, ყურები მეწვის, საფეთქელში ვიღაც ქვას მიკაკუნებს, ცხვირ-პირს ნაღმის მყრალი სუნი მიწვავს, მაგრამ ცოცხალი ვარ, ვსუნთქავ, თოვლს ვგრძნობ, ბიჭების ხიანციც მესმის. ვიღაცამ ხელი ჩამავლო გადმომაბრუნა. თვალები გავახილე, თეთრი, გაყინული ცა დამხაროდა თავზე. პირიდან სისხლი ამოვაფურთხე, წამოვიწიე, მიშა მომეშველა, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ფეხები წაწყვეტილი მქონდეს, თუ ასეა — ტყვია შუბლში. მარჯვენა ხელი ნელა ჩავაცურე მარჯვენა ფეხისაკენ. თითები მუხლს ჩასცდა, ტერფს, კოჭს. არის! მარჯვენა ფეხი შემრჩენია, ახლა მარცხენაც ვნახო. ხელი ნელა ჩაჰყვა ბარძაყს, კანკალით მიცურავს ქვევით, ჩასცდა მუხლს, ტერფს..

ერთბაშად წამოვიჭერი, წამით ორივე ფეხზე დავდექი, მაგრამ ისევ თოვლში ჩავემხე და სიხარულისაგან ხელზე ვიკბინე. მიშა და ვალოდია მხარში მწვდნენ, ნელა წამომაყენეს, მიშამ სახეზე სველი ხელი გამისვა. მოვმაგრდი. გერმანელებმა ცეცხლი ჩვენკენ გადმოიტანეს, უნდა წავიდეთ, მაგრამ რა მოხდა, რა დამეძგერა ასე უღმერთოდ?

ოლეს ვინაშჩენკო ნაღმზე აფეთქებულა, ისე

დაფლეთილა, მისი სხეულის ვერცერთი ნაწილი ვერ ვიპოვნეთ. იქვე ოლესის ხალათის ნახევი ეგდო. დავიხარე, ავიღე და ჯიბეში ჩავიდე.

მაშ ასე, წინ მდუმარე მინდორია, დანაღმული, სიკვდილით გატენილი მინდორი. წახვალ, დაიღუპები, არ წახვალ — დაიღუპები. პირდაპირ ზღაპარივით არის ჩვენი საქმე.

მაინც წასვლა სჯობს.

მიშამ გაიწია, წინ მე წავალო.

— არა, მიშა. მე ერთხელ უკვე მოვკვდი და თუ სადმე სამართალია, განგების ძალამ უნდა დამიფაროს. ფედია, წაიღე კომპასი, დაიხსომეთ, გეზი ჩრდილოეთით გეჭიროთ, ახლა კი მომყევით!

ნელა გადავდგი ნაბიჯი, მეორე, მესამე... მერე ცოტა გავთამამდი და ფეხსაც ავუჩქარე. ასე მგონია ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სიკვდილს ვსრეს, ბიჭები ზუსტად ჩემს ნაკვალევში აბიჯებენ. ყურებში ისევ წუის რაღაც, თავბრუ მესხმის, ხანდახან ვერაფერს ვხედავ და, რაც ყველაზე უფრო საშინელია, გული მერევა.

— ტყე, ტყე! — იყვირა სტიოპამ .

თავი ავწიე, სად არის ტყე? რატომ ყვირიან ბიჭები? რომ არაფერი ჩანს? ნუთუ ეს შავი ზოლი შორს, ძალიან შორს რომ ჩანს, ტყეა? ჯერ ლიზუნოვმა გადამისწრო, მერე ტარანენკომ, მერე ყველამ. მირბიან, ჰგონიათ მეც მივყვები, მე კი მუხლები მეკვეთება, მიწა ბრუნავს, ჩემს გარშემო ყველაფერი ტრიალებს, გარბის და მეც მივფრინავ.

გონს ტყეში მოვედი, ბიჭები დარცხვენილი შემომყურებენ, სახეს, ხელებსა და ყურებს მისრესენ.

— მიმატოვეთ, თქვე ღმერთძაღლებო, ხომ?

— ვცდილობ გავიცინო.

უკვე ტყეში ვართ, უკვე გადავრჩით.

ნუთუ ამ მდუმარე, თოვლიან მინდორში შემთხვევით ჩარჩენილმა ნაღმმა იმსხვერპლა ჩვენი ოლესი? აი, დედასა!

ბიჭებმა ჩემი ხელში აყვანა მოინდომეს, სიკვდილი ვილირსე და არ ვქენი, თავს ძალა დავატანე, წამოვდექი და ჩავლასლასდი. ალიოშა და მიშა მხრებში შემიდგნენ. ჩვენს წინ ცეცხლი გახსნეს, მიწას გავეკარით, მაგრამ მალე დავმშვიდდით, ყური ისე შეეჩვია ტყვიამფრქვევს, ვისი და რა სისტემის იარაღი ისვრის, მაშინვე ამოვიცნობთ. ჩვენი ტყვიამფრქვევი გვესვრის. ესღა გვაკლდა!

— დაუძახე, ალიოშა, შეწყვიტონ ცეცხლი, უთხარი ვინცა ვართ. მე ყვირილის თავი აღარა მაქვს. — ვეუბნები ტარანენკოს. იგი მთელი ტანით წინ წარსდგა, ხელი ტუჩთან მიიტანა და დაიყვირა:

— ნუ ისვრით, ამხანაგებო, პარტიზანები ვართ! — ცეცხლი შეწყდა, მაგრამ ახლო მაინც არ მიგვიშვეს. ხუთიოდე წუთში წითელარმიელთა ჯგუფი გამოჩნდა, ჯგუფს წინ კაპიტანი მოუძღოდა. არც კი მოგვესალმებია, ათ ნაბიჯზე შეჩერდა, შეგვათვალიერა, ალბათ ასე დასვრილნი, ჩამოკინკულ-ჩამოძენძილი რომ დაგვინახა, არ მოვეწონეთ...

— დაყარეთ იარაღი! — ბრძანა და რატომღაც ნაბიჯით უკან დაიხია.

ეჰ, რა სიხარულით ველოდით ამ წუთებს და რაღა ამ ცივსისხლიან კაპიტანს გადავეყარეთ მაინცდამაინც.

— დაყარეთ-მეთქი! — ხმას აუწია.

გული მერევა, ფეხზე ძლივს ვდგევარ, მიშა რომ არა, წავიქცევი.

— იარაღს არ დავყრით, კაპიტანო!

— რაო!

— არ დავყრით, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, თქვენზე უფროსებთან წაგვიყვანეთ, თავს მათ წინაშე ვიმართლებთ.

— დაყარეთ იარაღი, მტერი ცხვირს წინ არის, დებოშს ნუ სტეხთ!

— დებოშს თქვენ თვითონ სტეხთ, კაპიტანო!

— შენ ამათი უფროსი ხარ?

— დიახ!

— ჩემთან წამოდი, ესენი აქ დარჩნენ. — სერჟანტს მიუბრუნდა, რაღაც უბრძანა. თავის მხრივ სერჟანტმა წითელარმიელებს გადახედა, ალბათ გააფრთხილა მზად იყავითო.

— თავი შეიკავეთ, ბიჭებო, მე მალე მოვალ! — ვუთხარი ამხანაგებს და კაპიტანს გავყევი. მან ასიოდე მეტრზე კარგა მოზრდილ მიწურში ჩამიყვანა. იქ სრულიად ახალგაზრდა მაიორი დამხვდა.

— თქვენ რა, ბრძანებას არ ემორჩილებით? — მომახალა მან.

— გამარჯობათ, ამხანაგო მაიორო! — ვთქვი, მერე ერთბაშად მოვწყდი და მის წინ გავიშხლართე.

...მეცხრე დღეა სოფელ ბელოვინაში, ერთი მოხუცი ქალის ბინაზე ადამეამობის, მორყეულ რკინის საწოლზე ვწევარ. რკინისა-მეთქი, რომ ვამბობ, მეცინება. ამ საწოლს რკინის ჩონჩხის მეტი არაფერი შერჩენია, ერთბაშად ზამბარების რხევისა და საწოლიდან გადმოვარდნის შიში არ გქონდეს. ფიცრებზე დაგებულ თხელ ლეიბზე ვწევარ. მიწურიდან, სადაც გრძნობა დავკარგე, ჯერ პოლკის საველე ლაზარეთში მოვუყვანივარ, მერე იმ პოლკს ადგილი მოუნაცვლებია. არ ვიცი, წინ წასულა თუ უკან დაუხევია და ფრონტის ამ უბანზე სხვა პოლკი მოსულა.

საწოლი ფანჯარასთან დგას, ფანჯრის ჩარჩოში ოდესღაც ალბათ ოთხი მინა იყო ჩასმული, ახლა ერთი, ისიც გატეხილი და ქაღალდის წვრილი ნაჭრით გულდაგულ დაწებებული მინა შერჩენია, დანარჩენი სამი ფანერით არის ამოჭედილი.

არ ვიცი, ჩემი საწოლია მაღალი თუ ეს ფანჯარა კედელში დაბლა გამოჭრილი, წამოწევა არ მჭირდება, გადავბრუნდები კედლისკენ და ვტკბები სოფლის მშვენიერებით... მოსაწყენი

ერთფეროვნებაა. სახლის სახურავებზე თოვლი კიდევ ძევს და იმის გარჩევაც კი არ შემიძლია, რომელი სახლია ყავრით დახურული და რომელი ისლით.

მინდორში თოვლი შეთხელებულა, ახლა ქარი ჰქრის და მიწაზე მიყინული თოვლის ახვეტას ცდილობს. ზოგან თოვლი გამდნარა, თუ ქარს აუხვეტავს და ახლა მინდორი უგემურად შესრულებულ ნახატს ჰგავს, „ზამთრის პეიზაჟი“ რომ აწერია.

შორს ეკლესიის ნანგრევები მოჩანს. გუმბათი ორად-ორ კედელზე დგას, გუმბათი გვერდზეა გადახრილი და სულ ამის შიშში ვარ, ეს ოდესღაც ალბათ ძალზე დიდი და ლამაზი ეკლესია ჩემი აქ ყოფნისას არ დაინგრეს. გუმბათზე თოვლი დამდნარა, მისი სახურავი მზეზე ვერცხლისფრად ლაპლაპებს, ჯვარი ჟანგისფერია და ქათქათა თოვლის ფონზე ისე ჩანს, თითქოს ციდან ვიღაც პარაშუტით ეშვებოდეს.

ქარი არხევს ჯვარს, გუმბათს, ეკლესიას და, როცა ამ სურათს ვუცქერი, ასე მგონია ამ ეკლესიასთან ერთად მთელი სოფელი ირხევა, მე კი მინდა, ამ მოხუც ქალს არ მოეშალოს ჟანგისფერჯვრიანი ეკლესია, ყოველ დილასაღამოს ილოცოს და ამ ლოცვაში მეც მომიხსენიოს.

მოწყალების და მაკითხავს, ჩასუქებულ-ჩადიდგინებული გოგოა, მიკვირს, ასე რამ გაასუქა ეს მამაცხონებული!

მოწყალების დას წამლები მოაქვს, დიდი რიხით შემოდის და მიბრძანებს ეს აბი გადაყლაპეო. მეც მის ნაწყალობევ აბს პირში ვიდებ, ვყლაპავ და წყალსაც ვაყოლებ.

ორჯერ სამედიცინო სამსახურის მაიორმაც მინახულა. ორჯერვე გულდასმით გამსინჯა და პირველი კატეგორიის კანტუზია გაქვსო, „მომახარა“, ახლა შენი უებარი წამალი ძილი და პირის დამუწვააო, მაგარი ბიჭი ხარ და იქნებ მდგომარეობიდან გამოხვიდეო.

ძილისა რა მოგახსენოთ და ამ ქოხში ხმის გამცემი მაინც არავინ მყავს.

თავს უკეთ ვგრძნობ-მეთქი, ვუთხარი ექიმს. ძალიან კარგიო, თქვა და წავიდა.

გუშინ ჩემს დიასახლისს სარკე ვთხოვე, დიდხანს ეძია. რომ იპოვნა, პირველად თვითონ ჩაიხედა, ორი წელიწადია სარკეში ჩემი თავი არ დამინახავსო, თქვა და სარკის ნატეხი მომიტანა. ჩავიხედე, სარკიდან გამხდარი, წვერგაუპარსავი, საკმაოდ უშნო სიფათი მიცქერდა. უცებ შემეშინდა, სარკე ფანჯარაზე დავდევი, ჩავხოხდი და თავზე საბანი წავიხურე.

არც ისე „უკეთ“ ყოფილა ჩემი საქმე, როგორც მეგონა.

ამ დილით მიშა ლიზუნოვმა მინახულა. მე იმედი უკვე გადაწურული მქონდა, რომ ჩვენს ბიჭებს შევხვდებოდი. დიასახლისს და მოწყალების დას ხშირად ვეკითხებოდი, მტრის ზურგიდან ახლახან გამოსულ პარტიზანებზე ხომ არაფერი იცით-მეთქი. მეორე სოფელში უნდა იყვნენო.

ლიზუნოვი რომ დავინახე, კინაღამ გავგიჟდი, თვალებს არ ვუჯერებდი, მეგონა მეჩვენება-მეთქი. მიშამ ჩამკოცნა, საწოლზე ჩამოჯდა და ალბათ პირველად იცრუა, მშვენივრად გამოიყურებიო. ისე დაგიმშვენდა ცხვირი-მეთქი.

ბრიგადა გამოსულა, მოსახლეებიც გამოუყვანიათ, ბევრი დაჭრილა, ბევრი დაღუპულა ადამ სტელმახი პარტიზან რუსაკოვს გაუყვანია ბრძოლის ველიდან, ისიც მძიმედ დაჭრილა. შარშავიცკის, ხვოშჩს და გრებლენიკოვს გამოუღწევიათ. თურმე ბრიგადა ხელახლა ყალიბდება, იარაღდება და სულ მალე ისევ მტრის ზურგისაკენ გაუყვება.

შენს უნახავად არ წავალთო, დამაიმედა მიშამ.

ლიზუნოვი რომ წავიდა, ადგომა ვცადე, დიასახლისი შინ არ იყო და საწოლიდან გადმოსვლა გავბედე, მაგრამ როგორც კი იატაკზე დავდექი, რაღაცამ ზურგში მიბიძგა, დავეცი და დიასახლისი რომ დროზე არ გამოჩენილიყო, იატაკიდან სული არ ამყვებოდა.

ესეც შენი პირველი კატეგორიის კანტუზია!

ნაშუადღევს უფროსი ლეიტენანტის ფორმაში გამოჯგიმული შარშავიცკი შემოვიდა.

— სალამი, მოხუცო! — კარებშივე დაიყვირა, — რა გიჭირს, რა, წამოწოლილხარ მხართეძოზე და ნებივრობ. — ზურგჩანთა მაგიდაზე დადო, ახალთახალი ჩექმების წკაპა-წკუპით მომიახლოვდა და ჩამეხვია.

— ჩამომწერეთ? უკვე ჯვარი დამისვით?

— მაგ ცოდვისგან ღმერთმა დამიფაროს. იქნებ ძალიანაც გინდა, რომ ჩამოგწერონ, მაგრამ ვერ მოგართვი. ექიმი ამბობს, მალე ფეხზე დადგება და მაშინვე ნაწილში ვუკრავ თავსო.

— დიდებულია, სამახარებლო გეკუთვნით!

— ღმერთს მადლობა შესწირე, ცოცხალი რომ დაგტოვა, გეყოფა, გამოჯანმრთელდი და მოუსვი შენს სამოთხე საქართველოში. დაგვაყენე, ძმაო, ჩვენს მიწაზე, გვაცალე ,აწი ჩვენ თვითონ გავრეკავთ ამ კაციჭამიებს. — იცინის შარშავიცკი, დიდებულ ხასიათზეა. ან რატომ არ იქნება კაი ხასიათზე, აცვია, ახურავს და ღონეც ერჩის.

— მოდი, საშა, მისამართები გავცვალოთ, ოდესმე ერთმანეთი ხომ უნდა გავიხსენოთ? — უბის წიგნაკი ამოიღო, მე ჩემი მისამართი ვუკარნახე, მან თავისი დამიწერა და დამიტოვა.

— იქით რომ ვიზამთ პირს, გინახულებთ, მაინც ამ სოფელზე უნდა გადმოვიაროთ, შენი პატარა ძმაკაცები, ცურანი და სენკევიჩი სისხლს მიშრობენ, მეთაურთან გაგვიშვიო. წავედი! მალე გამოკეთდი, ჯერ ომი არ დამთავრებულა.

— ივან საველიჩ, ზურგჩანთა დაგრჩათ.

— შენია, კონსერვები, სუხარი და ცოტა შაქარიც მოგიტანე, გამოიზოგე.

ფანჯრისკენ გადავბრუნდი და ისევ იმ ეკლესიისაკენ გამექცა თვალი. ეკლესიის ქანგისფერჯვრიანი გუმბათი ნელა ირწევა, ეკლესიაში ქარი დასისინებს, ოდნავ რომ გაძლიერდეს, მოგჭამა ჭირი ჯვარმა, გუმბათმა, ეკლესიამ. ქანგისფერი ჯვარი სადღაც თოვლში ჩაიკარგება და მერე მხოლოდ თეთრი ფერი, მოსაწყენი, თეთრი ფერი დაღლის თვალს...

ის ჯვარი მე ვარ... მე ვარ სათუოდ გამოკიდებული ცისა და მიწის შუა, არ უნდა ჩამოვვარდე, თეთრ ფერში არ უნდა ავითქვიფო...

მოხუცი დიასახლისი ლოცულობს, ეს დედაჩემია, ხელებატოტინებული ევედრება განგებას, შვილი დამიბრუნეო...

**უბის წიგნაკიდან:** „ბრიგადამ სოფელ ბელოვინაზე გაიარა, შარშავიცკიმ რაზმი ჩემი დიასახლისის ქოხის წინ შეაჩერა. ოთახში მზვერავები შემოცვივდნენ. ყველას ვალოდია ცურანმა და სტიოპა სენკევიჩმა შემოასწრო, უყურე შენ, როგორ გამოპრანჭულან ბიჭები!

ძმაკაცები გულში ჩავიხუტე. მზვერავები საწოლის წინ გამწკრივდნენ, ლიზუნოვს მათი მისამართები ჩამოუწერია, ქაღალდი ბალიშქვეშ ამომიდო.

ცრემლს ვეღარ ვიკავებ, ანკი რა საჭიროა ახლა ცრემლის შეკავება!

მეგობრები სათითაოდ მოდიან, მეხვევიან, მეთხოვებიან...

— ამ ოქრო ბიჭებს გაუფრთხილდი, ლიზუნოვო, ასე ოქროდვე უნდა დაუბრუნო თავთავიანთ ოჯახებს. ამათ კი... — პატარებს ხელი მოვხვიე, — ყველას გაბარებთ, სახვალიო ბიჭები არიან... სუშჩინსკი ჯერ კიდევ ცოცხალია, ვალოდკა, ეს გახსოვდეს. ნურც შენ დაივიწყებ, სტიოპა, ჯიბეში ვისეული დანა გიდევს. მაპატიე ძმებო, ნატვრა ვერ აგისრულე, საქართველოში ვერ წაგიყვანე, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ოდესმე ყველა ერთად მეწვევით...

ლიზუნოვო, კორპუშევო, ტარანენკო, კომლევო, მზვერავთა სასაფლაოს ტყის თეთრ ყვავილებს ნუ მოაკლებთ, ვასოსა და კოლიას საფლავებს მიხედეთ, ისე იგულისხმეთ, თითქოს ოლეს ივაშენკოცა და სტეფანე გორბიც მათ გვერდში იწვნენ...

მზვერავები რომ გავიდნენ, ფანჯარას ავეწებე და სანამ თვალს არ მიეფარნენ, ნაღვლიანად გავყურებდი უსიერი ტყისაკენ მიმავალ რაზმს“...

...მაისის ერთ საღამოს ფრონტიდან მომავალი ჯარისკაცებით გაჭედილი საბარგო მატარებელი უკრაინის პატარა სოფლის სადგურში დადგა. ვაგონიდან ჯარისკაცი ჩამოხტა, ზურგზე ჩანთა შეისწორა, თანამგზავრებს ხელი დაუქნია და სოფლის ოღრო-ჩოღრო შარას გაჰყვა.

თავჩაღუნული მიაბიჯებდა, არ უნდოდა დაენახა დამწვარი სახლები, დაუთესავი, მოცდენილი მინდვრები, შერუჯული ჩინარები, ჩამავალ მზეს რომ მიფიცხებოდნენ და სიცოცხლეს დაბრუნებას სთხოვდნენ.

მხრებჩამოყრილი მიალაჯებდა ჯარისკაცი თავის სოფლის შარაზე და როცა ნასახლართან მივიდა, არ დაუკვნესია, მხოლოდ ქუდი მოიხადა.

ორ კვირაზე მეტია გზაშია ჯარისკაცი, ყველაფერი ნახა, განიცადა, გამოიგლოვა, ახლა ქუდმოხდილი ნასახლარს კი არა, ჩამავალ მზეს უცქერდა.

სოფელში აღარცერთი სახლი აღარ დახვდა. აქა-იქ საკვამურები იდგნენ ძეგლებად, გატანჯული სოფლის მაცნეებად.

დამწვარ დედაბოძზე ჩამოჯდა, გამურული აგური აიღო და ერთხანს ხელში ატრიალა, მერე მურს თითი გაუსვა, იმ აგურზე კითხულობდა ოჯახის, სოფლის ამბავს.

მზე დასავლეთისკენ მიიწევდა. ბინდი და სიჩუმე შავი ფიქრივით შემოიპარა სოფელში, ნანგრევებში გაწვა და გაისუდრა. ცაზე მთვარე გამოსრიალდა, ვარსკვლავები გაეხლართა და ზედ სოფლის თავზე დაეკიდა.

ჯარისკაცი არ ფიქრობდა, იჯდა და დუმდა. ყვავის ჩხავილზე თავი ასწია, გამოერკვა. გაუხარდა კიდეც ყვავის ყრანტალის გაგონება, ასე ეგონა ყვავი კი არა. ადამიანი ეძახდა.

ჩხავილი რომ განმეორდა, მიხვდა, მართლა ადამიანის ხმა იყო. მერე ეს ხმა თანდათან მოახლოვდა, ნასახლართან მოფრატუნდა, შავი ფრთები გაშალა და ჯარისკაცს გადააფარა.

ჯარისკაცმა წამოიწია, წამოდგომა უნდოდა, მაგრამ შავი ფრთები მხრებზე დააწვა.

— შეგეშინდა, ლიოშა? ჩემი შეგეშინდა? მერედა რატომ? მე არავისი და არაფრისა არ მეშინია, არც მცივა, არც მშია, არც მწყურია. მე ამ სოფლის სული ვარ, შემიძლია გავფრინდე, ასე, ა... — დაფლეთილი კაბის კალთები გაშალა.

— დეიდა ავდოტია! — აღმოხდა ჯარისკაცს.

ქალმა დაიჩხავლა, საზარლად დაიყრანტალა, მისი ჭკუით, გაიცინა.

— ავდოტიააა! ავდოტიააა! მე ავდოტია ვარ, ლიოშა ტარანენკოს დეიდა ავდოტია ვაარ...

— გაჩუმდით, დეიდა ავდოტია!

ქალმა ხმა გაკმინდა, მაგრამ, ეტყობა, ასე დიდხანს ვერ გაძლო და ჯარისკაცს შეუტია:

— შენ ნუ ყვირი, ლიოშა, შენს მაგიერ მე ვიყვირებ, მთელი სოფლის მაგიერ ვიყვირებ. ყური უგდე.

თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდით! — ჯარისკაცი წამოდგა, ქალი მოეხვია.

— შენ მოხვედი, ლიოშა, ყველას მაგიერ მოხვედი... ხომ ასეა?

ეს შენი სახლია, ლიოშა, ხომ იცანი? იცანი ხომ? იცნობდი. აგერ შენი ვეროჩკა, აგერ შენი ოქსანა... ფრთხილად, ფეხი არ დაადგა. შენი ცოლი უბრალო ვინმე არ გეგონოს, ოფიცრის... არა, ლიოშა, ვეროჩკა მოღალატე არ არის, ძა-

ლით, სულ ძალით... ათრიეს, ოქსანა წაართვეს, ნამუსიც წაართვეს, სული კი დაუტოვეს, გადასარევი არ არის ახლა ეს? გესმის, ლიოშა?

— მესმის, დეიდა ავდოტია!

— სული დაუტოვეს და ამიტომ არ მოკვდა, არ მოკვდა და რა გინდა რომ უქნა! შენი ცოლი საყდარშია, იქ სხვებიც არიან, ის საყდარიც სოფლის სულია, მეც სოფლის სული ვარ. წამომყევი, ლიოშა, მე გავფრინდები, შენ სული არა ხარ და ამიტომ ვერ გაფრინდები, შენ ფეხით წამოდი... მე საყდართან დაგიცდი. — ხელები გაშალა და წაფრატუნდა. შარაზე ერთხანს ისმოდა მისი ჩხავილი.

ავდოტია ვარ, ავდოტიაა...

ჯარისკაცი ჩამოჯდა, თავი ჩაჰკიდა.

მთვარეს ვარსკვლავების ალყა გაერღვია, მზეს მისდევდა. ჯარისკაცი დიდ ხანს იჯდა და უკვე ფიქრობდა, მერე ადგა და საყდრისკენ წავიდა. მიდიოდა და ეგონა, საყდრისაკენ კი არ მიიწევდა, თვითონ საყდარს აედგა ფეხი და მისკენ მოგორავდა.

შარაზე ჩინარების ჩრდილი იწვა, საკუთარი ჩრდილი კი ხან წინ გაუსწრებდა, ხან უკან მიჰყვებოდა.

საყდართან ყვავი ჩხაოდა.

საყდრის კარებთან... არა, იმ ადგილთან შედგა, სადაც ოდესღაც კარები ეკიდა, შედგა, დააყურა.

ყვავი აღარ ჩხაოდა, ხელებს უქნევდა, შედიო.

მთვარე ციდან დაეშვა და ჯარისკაცთან ერთად საყდარში შეიხედა.

საყდრის კუთხეში ვიღაც დამქრალი ცეცხლის გაღვივებას ცდილობდა, დიდხანს ქექავდა, სულს უბერავდა, ირგვლივ ადამიანები პირდაპირ მიწაზე ეყარნენ, ეძინათ, ძილში კრთოდნენ, ხანდახან ყვიროდნენ კიდეც.

ჯარისკაცები მთვარესთან ერთად საყდარში შევიდა, მთვარის შესვლაზე ცეცხლიც აბრიალდა, საყდარი გაანათა.

ჯარისკაცს თეთრთმიანი ქალი მიაშტერდა, უყურა, უყურა და წამოდგა. გარეთ ყვავმა დაიჩხავლა, ჯარისკაცი კედელს აეკრა. მისკენ ადამიანი კი არა, მარტო ძვლები მოდიოდა, ძვლების ჩუმი ტკაცუნიც კი ესმოდა.

არა, ეს სულიერი არ იყო.

ჩონჩხს შავი კაბა შემოხეოდა და ჯარისკაცს იგი უცებ დეიდა ავდოტია ეგონა.

საყდრის კედლებზე გამურული ფრესკები აცახცახდნენ, ერთი ფრესკა კედელს მოშორდა და ჯარისკაცისკენ დაიძრა. ფრესკას ჯერ ფეხები მოსწყდა, მერე ტანიც სადღაც გაქრა და მხოლოდ თვალებიღა დარჩა. თვალები თანდათან იზრდებოდა, ფართოვდებოდა, საყდარს ჯარისკაცთან ერთად შთანთქმას უპირებდა.

— ლიოშა! — დაიშხავლეს თვალებმა.

მთვარე შეკრთა, საყდრიდან გაიძურწა და ისევ ცას გაეკრა.

თვალებმა ჯარისკაცის წინ ჩაიჩოქეს. ჯარისკაცი თვალებს თუ ჩონჩხს სწვდა აიტაცა, საყდრიდან გამოიტანა და ნასახლარისკენ გააქანა.

ყვავი ყრანტალით გაჰყვათ.

ჯარისკაცმა ჩონჩხი დამწვარ ღედაბოძზე დასვა, ოფლი მოიწმინდა, ზურგჩანთა მოიხსნა, გადააგდო, კბილები დაალრჭიალა, ბუშლატიც მოიხადა და მოისროლა.

მერე ავური აიღო, ჩონჩხისაკენ შებრუნდა, ხელი ასწია და... — მომეშველე, ვერა ამ ნანგრევებიდან ერთი პატარა ქოხი კიდევ გამოვა!

...მატარებელი სამხრეთისაკენ მირიხინებს, ფანჯარასთან ვზივარ, დანგრეულ ქვეყანას გავყურებ.

გარბიან მინდვრები, მინდვრები, ტყეები, დანგრეული ქალაქები, დაბები, სოფლები...

გარბიან ფიქრები, წინ მისწრებენ, გზას მიკვლევენ...

სული დამძიმებულია და დიდი დრო უნდა ჩემი სულის განკურნებას.

მატარებელი მირიხინებს, თანდათან ცოცხლდებიან ქალაქები, სოფლები, მიწას მიწის ფერი ედება, ტყეს ტყისა...

ნეტავი დღისით შევიდოდე თბილისში.

გამიმართლა, მატარებელი თბილისის სადგურზე საღამოს ხუთ საათზე დადგა. არ ჩამოვსულვარ, ვაგონის ფანჯრიდანაც კარგად ჩანდა გაზაფხულის სურნელით, მაისის ვარდებით აბრდღვიალებული დედაქალაქი.

ვაგონებს შავებში ჩაცმული ქალების არმია მოაწყდა. ეძახიან ქმრებს, ძმებს, შვილებს. კუთხეში მივიკუჩე, არ მინდოდა ვინმემ რაიმე მკითხოს.

მატარებელი დაიძრა.

— რა გატირებს? — მეკითხება კუპის მეზობელი.

— რა გატირებსო!

მირიხინებენ ვაგონები, ქშინავს ორთქლმავალი და ძილბურანში მესმის ვაგონის გამყოლის ხმა.

კუპეში სამნი ვართ, ჩემს მეზობლებს ჰგონიათ მძინავს. და ჩუმად საუბრობენ.

— იმ კვირას ორი ამანათი მივიღე ძმისაგან, ოჯახი ფეხზე დადგა, ამანათებით მიდგას სული. — ამბობს ერთი.

ხელი ჩემს გაცრეცილ ზურგჩანთას შევავლე და მწარედ გამეცინა. მერე ძილმა მართლა წამართვა თვალები და სადგურ რიონამდე ფეხი აღარ გამინძრევია.

მეორე მატარებელში რომ გადმოვჯექი, ჯერ კიდევ ბნელოდა, ვაგონში ხალხი ზრიალებდა, ყაყანებდა, არავის შევუმჩნევივარ, არც მე ვუსმენდი მათ ყაყანს.

ნახევარ საათში იქ ვიქნებით..

იქ, მაგრამ ვინ მხვდება შინ?

ბარათი არ გამომიგზავნია, მეგონა ლაზარეთიდან ისევ ნაწილში მოვხვდებოდი და რატომ უნდა ამეფორიაქებინა ოჯახი?

მოვედი.

ვასოს საფლავზე აფხოჭნილი მიწა ლამაზ ურნაში ჩავყარე. ახლა ის ურნა იმ ბუხარზე დგას, რომელსაც ბავშვობაში ხშირად მივფიცხებივართ მე და ვასო...

დოდო?

...ქალაქში ხეტიალი დამჩემდა. დავუყვებოდი რომელიმე ქუჩას, ბოლოში გავდიოდი, მერე მეორეს დავადგებოდი და გული მეჭეჭქებოდა...

თითქმის ყოველი სახლის ფანჯარაზე თალხი და ძაძა, თალხი და ძაძა...

საღამოს დაღლილ-დაქანცული შევაღებდი ჩემი კედლებშემპალი სახლის კარებს, საწოლზე მივეგდებოდი და ვფიქრობდი...

ერთხელ საღამო ხანს შემომხვდა.

ყავარჯნიან კაცს მოყვებოდა, ჩითის აქა-იქ გაცრეცილი საცერებლით აჭრელებული კაბა ეცვა. მათ წინ პატარა გოგონა მიპაკუნობდა.

არა, ეს აღარ იყო ჩემი ცქრიალა დოდო, ჩემი პირველი სიყვარული. დიდრონ თვალებში ადრინდელი სხივი ჩაქრობოდა.

დამინახა და მიცნო. ისედაც გაცრეცილ სახეზე მკვდრის ფერი დაედო, წამით შეყოვნდა და ჩაიარა...

ყავარჯნიანმა თვალი გამომაყოლა.

...და აი, დასრულდა გრძელი გზა, ბევრი რამ დავკარგე და ბევრიც შევიძინე ამ გზაზე და, როცა უბის წიგნაკით საწერ მაგიდას ვუზივარ, ჩემთვის და არა სხვათა გასაგონად ვჩურჩულებ:

მშვიდობით, ბრძენო ნაძვებო, ფიჭვებო, მოშრიალე არყის ხეებო.

მშვიდობით, მოტორტმანე ჭაობებო.

მშვიდობით ტანია სვეტლოვას თვალებისფერო ტბებო.

მშვიდობით, პირველო სიყვარულო.

მშვიდობით, ტყეში გაბნეულო საფლავებო, ჩაქცეულო მიწურებო, კარვებო, ჩამქრალო კოცონებო.

მშვიდობით, უსიერო ტყეებო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ მიქავა

# როცა წვიმა მღერის...

## ნარკვევი

„ბუნება წარმოშობს, მაგრამ არ ქმნის. ქმნის მხოლოდ ადამიანი“
(კ. პაუსტოვსკი „კოლხიდა“)

ძველი კოლხიდა ზემოდან დავით კაკაბაძის ნახატებს წააგავს. როგორც ამ შესანიშნავი მხატვრის ტილოებზე, სხვადასხვა ფერისა და ტონის მკვეთრი სადებავებით გამოირჩეოდნენ მდინარეები, არხები, პლანტაციები. ციტრუსების ნარინჯისფერი ბაღები და ჩაის პლანტაციების მწვანე ატლასი. ახალი სოფლები ამომშრალ მიწაზე და მეუჟე მწვანე ფერის ჯერ კიდევ ამოუშრობი ჭაობები, გაუვალი ჯუნგლები, შამბნარი, ევკალიპტები, ევკალიპტების ნამდვილი ტყე! მოსწრებულად თქვა კოლხიდმშენის მთავარმა ინჟინერმა გოლიათმა ლაკერბაიმ: ევკალიპტები — ჩვენი ერთგული თანაშემწენი და მოკავშირენი არიანო. ტყუილად ხომ არ უწოდებენ ინგლისელები ევკალიპტებს „ტყის ალმასს“. ხეები 150-200 მეტრის სიმაღლისაა, მათში სიცოცხლის უჩვეულო ძალაა ჩანერგილი.

აგერ გიჟი ენგური მოჰქუხს, თავის სათავეს სვანეთის მიუვალ მთებში იღებს. სულ მალე მძლავრი ელექტროსადგური, რომელიც ენგურზე შენდება, უზრუნველჰყოფს ელექტროენერგიით მთელ დასავლეთ საქართველოს. აი რიონიც, ამ მდინარეში შემოდიოდნენ ძველი ბერძნების, რომაელების, ფინიკიელების ხომალდები... ოდესღაც, ძალიან ძველად აქ იყო აყვავებული ქალაქები, მარმარილოს სასახლეები... შემდეგ ისინი მტრებმა დაანგრიეს, ჭაობში ჩაიძირნენ. ამ მიწაზე ქარი ლაქაშს არხევდა და ლაქაშიც ისე ქანაობდა, როგორც ზღვის ტალღები. საღამოს ცაზე თეთრი აჩრდილებივით მოსჩანდნენ სვანეთის ცადაწვდილი თეთრი მთები. ნაბადწამოსხმული, ხურჯინგადაკიდებული, მხარზე ცულგადებული მამაკაცები ჭაობებს შორის გაუვალ ბილიკებით მიდიოდნენ სამუშაოს საძებრად, რადგან მიწა არ ჰქონდათ, ჭაობზე ცხოვრობდნენ. მიდიოდნენ ბიბლიური სახის ბერიკაცები, ლუკმა-პურის საშოვნელად, მიდიოდნენ ახალგაზრდები, მიდიოდნენ ქალები, ტოვებდნენ ჭაობს, ჯუნგლებს, უკან რჩებოდა გამოკეტილი კარვები და ფაცხები, უსარკმლო და უსინათლო ფაცხები, ბრმებივით რომ იდგნენ ჩამკვდარ სოფლებში. ადამიანის ჭაჭანება არ იყო, ჭაობის შხამით და ხაშმით მოწამლულ ჰაერში კოღოების ზუზუნი იდგა, ციება ცელივით სერავდა დიდსა და პატარას.

მესერზე ცხენის თავის ქალა იყო წამოცმული, ჭიშკრებზე ნალი იყო მიჭედებული, მაგრამ ნალსა და ცხენის თავის ქალას არ შეეძლო ხალხის ხსნა, ჭაობის გაშრობა, ჯუნგლების გაჩეხვა, მიწის გამოტაცება უქმურიდან. მხოლოდ ადამიანს ძალუძდა ამის გაკეთება ,მხოლოდ ადამიანს უნდა ეხსნა ადამიანი. ჭაობით იყო დაფარული ჩრდილოეთიდან მოყოლებული სამხრეთისაკენ შავი ზღვის პირეთი, მდინარე კოდორიდან ვიდრე ქობულეთამდე-ორას ოცი ათასი ჰექტარი მიწა. რაოდენი სიმდიდრის მიცემა შეეძლო ამ მიწას დაშრობის შემდეგ! თბილი ზღვა, სუბტროპიკული ჰავა და ნოყიერი მიწები. უკეთეს ადგილს ჩაისთვის, ციტრუსებისთვის, კეთილშობილი დაფნისა და ტუნგოსათვის ვერ ინატრებდა ადამიანი.

...და ხალხმა დაიწყო ფიქრი ჭაობების ამოშრობაზე, აუცილებელი შეიქნა სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გამოცხადება კოლხეთის სიკვდილის მატარებელ ჯუნგლებისთვის. ასეთ ომზე, ამ ჭაობების ამოშრობაზე ოცნებობდა გასული საუკუნის დამდეგს ნიკო ნიკოლაძე, მეცნიერი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე... მან მელიორაციული გეგმაც კი შეადგინა. მაგრამ... ამისათვის საჭირო იყო აურაცხელი თანხები და ნიკო ნიკოლაძის გეგმები ოცნებად დარჩა.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ასრულდა ქართველი ხალხის საუკუნო ოცნება. პირველი იერიში 1925 წელს მიიტანეს ჭაობებზე. 1932 წელს კი დაარსდა ტრესტი „კოლხიდმშენი“.

იერიშის პიონერები იყვნენ ინჟინრები: გრიგოლ გეგეჭკორი, ანდრო გაბუნია, გალინა სერბინა-ჯაფარიძე, მიხეილ დიდენკო, დიმიტრი ლოლობერიძე, ლევან კიკნაძე, ილარიონ ცომაია, გიორგი ჯაფარიძე და სხვები. ზოგი მათგანი დღესაც მუშაობს „კოლხიდმშენში“, მათ ჩვენ არაერთხელ შევხვდებით ამ მოთხრობის ფურცლებზე.

თავის დროზე ჭაობების ამოშრობის გეგმებს პირადად გაეცნო სტალინი და დირსეული რჩევა მისცა მშენებლებს: დაეწყოთ ჭაობის ამოშრობა ფოთი-პალადიდის უბნიდან. ეს უბანი იყო ყველაზე ძნელი ასათვისებელი და მდებარეობდა მეტად საჭირო ადგილზე.

დაახლოებით ამ დროს ჩამოვიდა ფოთში კონსტანტინე პაუსტოვსკი, რომელიც თავისი მომავალი წიგნისათვის მასალებს აგროვებდა. ეს წიგნი შემდეგ ცნობილი გახდა „კოლხიდას“ სახელწოდებით. რა ბედი ეწია მისი მოთხრობის შესანიშნავ გმირებს, კოლხიდის გაუვალ ჭაობებს? ეს იყო მიზეზი, ჩემი აქ ჩამოსვლისა...

ამასობაში თვითმფრინავი ფოთის აეროდრომზე დაეშვა.

## II. ქალაქი, სადაც განუწყვეტლივ წვიმს

„...ფოთში, როგორც ყოველთვის, წვიმდა“ — ასე მინდოდა დამეწყო ეს თავი, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება: მზიანი დღე იყო, მხიარული.

ამ ქალაქში ძალიან ხშირია ქარები, აქ გადაუღებლივ წვიმს. მიწა ზღვის დონეზე დაბალია. სწორედ ამიტომაა ძნელი ნიადაგის გადარჩენა ჭაობის შემოტევებისაგან. მიწა აქ არასოდეს არ შრება. ორი-სამი ათეული წლის წინათ, თითქმის მთელი აქაური მოსახლეობა დაავადებული იყო ტროპიკული მალარიით. მადლობა ღმერთს, დღეს დავიწყებულია ეს საშინელი სენი. ექიმ ილარიონ ცომაიას კარგად ახსოვს მშენებლების გმირობა, მათი თავდადებული შრომა. ცომაიას მტკიცებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში მალარიით დაავადების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა კოლხეთში. უდიდესი სიძნელეების მიუხედავად, კოლხიდმშენის მშრომელებმა ოცდაათორმეტი წლის განმავლობაში (ომიანობის წლების გამოკლებით) ამოაშრეს ასიათასი ჰექტარი ჭაობიანი ნიადაგი.

...ფოთი. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ეს იყო „ტვირთგადასასროლი წერ-

ტი" ან თუ გნებავთ მგზავრების გადასასროლი ნავსადგური, მხოლოდ აქედან შეიძლებოდა სოხუმიდან თბილისში ჩამოსვლა, პირდაპირი რკინიგზა სოხუმსა და თბილისს შორის მაშინ არ იყო გაყვანილი. პატარა გემებზე, „პესტელზე", „ჩეხოვზე" და „ტავრიაზე", ღია გემბანებზე სიცივისაგან აკანკალებული, მივცურავდით ფოთში, იქიდან კი რკინიგზით თბილისში. ორი ან უფრო ხშირად სამი დღე-ღამე უნდებოდით გზას. ახლა მატარებლით სულ ხუთი-ექვსი საათის სავალი გზაა სოხუმიდან თბილისამდე, ავტომანქანით კი უფრო ნაკლები დროა საჭირო.

კიდევ უფრო რთული იყო თბილისიდან შინ დაბრუნება. მატარებლისა და გემის მოძრაობის განრიგებანი არასოდეს არ ეთანხმებოდა ერთმანეთს და ამის გამო ღამის გათევა და არა ერთის, უზარმაზარ რკინაბეტონის საწყობში გვიხდებოდა. პირდაპირ ცემენტის იატაკზე ვიგებდით პალტოს (ვისაც კი გვქონდა) და სიცივისაგან აკანკალებული ვცდილობდით ძილისთვის მიგვეცა თავი. ზოგჯერ დროს მოსაკლავად „კონკით" დავხეტიალობდით ქალაქში — ეს იყო მეტად თავისებური ტრამვაი ,რომელსაც ჯახირით მიათრევდა ცხენი. ან საათობით ვიდექით ნავსადგურში და ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდით უცხოეთის გემებს: ჯეელი მეზღვაური ბიჭები ტვირთავდნენ გემების ტრიუმებს ჭიათურის მარგანეცით. მაგრამ ჩვენ, სტუდენტებს უფრო გვიყვარდა სეირნობა რკინა-ბეტონის ჯებირზე, რომელიც თითქმის გარს ერტყმოდა ფოთის ნავსადგურს. ჩვენი სეირნობა მთავრდებოდა შუქურაზე მისვლით... ჩვენთვის ნამდვილ საოცრებას წარმოადგენდა ქვის კედლებით გარშემორტყმული ფოთის დახურული ნავსადგური. იმ ხანებში აქ იღებდნენ ფილმს „ამოკს", სტეფანე ცვაიგის იმავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. მე აქ პირველად დავინახე საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც იღებდა ზემოხსენებულ ფილმს ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით...

დღეს ისევ აქა ვარ, და სასიამო გულისტკივილით ვიგონებ წარსულს. ჯერ კიდევ შორიდან დავინახე უხეში, უზარმაზარი ყაზარმის ტიპის რკინაბეტონის შენობა, სადაც იმდენი უძილო ღამე გავატარე სიჭაბუკისას. შენობა ისევ ისეთი მიუკარებელი, უღიმღამო და მრისხანე იყო, როგორც ამ ორმოცი წლის წინათ. აი შუქურაც! ოდნავაც არ გამოცვლილა ამ ხნის განმავლობაში: არც ომი, არც ქარიშხალი თუ გრიგალი, არც დრო — არაფერს არ მოუხდენია მასზე გავლენა. ღამით, ისევე როგორც ათეული წლების მანძილზე, უნათებს გზას ოკეანის ლაინერებს და მეთევზეთა ტრაულერებს, სანაპირო დაცვის კატარღებს და უბრალო, ძრავიან ნავებს.

აი სობორის შენობაც: უზარმაზარი. ტლანქი, ზორზოხი, ოდესღაც მეფის რუსეთის სალდათებისთვის აშენებული ღვთის სასახლე! შორიდან ის მართლაც და სალდათის ჩექმას აგონებს ადამიანს. იმ დროს ეს რკინა-ბეტონის ერთადერთი ტაძარი იყო მთელს ევროპაში, რომელიც გერმანელმა ინჟინრებმა ააშენეს პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ და ომის გამო ბოლომდე ვერც კი მოასწრეს დამთავრება. პროექტის ავტორების განზრახვით იგი კონსტანტინოპოლის აია-სოფიას ასლი უნდა ყოფილიყო. გამოვიდა კი — პაროდია, ნამდვილი პაროდია! ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის მთავარმა პროტესტი განაცხადა: როგორ, ღვთის ტაძარი რკინა-ბეტონისაგანო?! ეს შეუძლებელიაო, დაასკვნა მან. მაგრამ ამ ტაძრის მშენებლობაში სულ სხვა აზრი იყო ჩაქსოვილი. მეფის რუსეთში, ფოთის გარნიზონი ყოველ სამ წელიწადში მთლიანად იცვლებოდა, რადგან საცოდავ სალდათებს მუსრს ავლებდა ციებცხელება. სწორედ ამის გამო წარმოიშვა ცნობილი სიმღერა: «О погибельном Кавказе». ჩვენს დროში ძალიან ეცადნენ, მაგრამ ვერა და ვერ

დაანგრიეს ეს შენობა. მაშინ ერთმა ჭკუაგამჭრიახმა მოქალაქემ, ქალაქის ხელისუფლებას ურჩია, ტაძარი — თეატრისა და მუზეუმისათვის გამოეყენებინათ. თუმცა ასეთი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში დაუჯერეს უბრალო მოქალაქის კარგ რჩევას.

მახსოვს, ნავსადგურის მტვირთავებს ორად გაკეცილი ტომარა ჰქონდათ წამოსხმული. ასე იცავდნენ თავს გადაუღებელი წვიმისაგან. ახლა მუშები პორტალურმა ამწეებმა შეცვალეს...

პორტში დავბინავდი, სასტუმრო „ფაზისში". თოვლივით თეთრი შენობა კითხვის ნიშანივით დგას ამწეებსა, უზარმაზარ საწყობებსა და ლიანდაგებს შორის. ოთახი სუფთა და კეთილმოწყობილია...

...საღამო ჟამს გამომეღვიძა. ფანჯრის მიღმა ბნელოდა, წვიმა ცრიდა. მოსწრებულად თქვა ერთმა ჟურნალისტმა: აქაური ღამეები სიბნელის, ზვირთთა ზათქის და შხაპუნა წვიმების ღამეებიაო. მომენატრა კოლხური, განსაკუთრებით ფოთის ღამეები. ისინი ჩემი სიყმაწვილის მუდმივი თანამგზავრებია!.. ვილაც გაბმით, მონოტონურად მღეროდა და უნებურად მომაგონდა ერთი ჩემი მეგობრის, ესტონელი ახალგაზრდა მწერლის იულო ტუულიკის ნაამბობი.

— ზღვას რომ ვუცქერი, მის აბობოქრებულ ტალღებს რომ ვჭვრეტ, ჩემი ცხოვრების ერთი პატარა ეპიზოდი მაგონდება, — მითხრა იულომ ერთ საღამოს, სოხუმის სანაპიროზე სეირნობისას. ჩემი მეგობარი რბილი, ესტონური აქცენტით ჰყვებოდა: — ეს სამი წლის წინათ იყო. თევზს ვიჭერდით ატლანტიკური ოკეანის ჩრდილოეთ მხარეში, იქ სადაც გრენლანდიის აისბერგებია. ეს ადგილები ლამაზია თავიანთი პირქუშობით, სიმკაცრით. მეზღვაურად ვმსახურობდი ტრაულერზე და სხვა მეზღვაურებთან ერთად თევზს ვამუშავებდი. ჩემი ცვლა დილის რვა საათზე იწყებოდა და ღამის სამ საათზე თავდებოდა. ცვლის შემდეგ ჩვენ ისე ვიღლებოდით, როგორც უფალი ღმერთი ქვეყნის შექმნის მეშვიდე დღეს, და თავი საწოლამდე ძლივს მიგვქონდა. მაგრამ უთენია ვიღვიძებდით. ყველანი ერთად ვდგებოდით საწოლიდან.

და იცით რატომ? კორიდორში, ჩვენს კაიუტასთან, იატაკს წმენდდა ერთი ახირებული, უცნაური, უზარმაზარი მეზღვაური, რომელიც იატაკის წმენდისას საკუთარ თავს ელაპარაკებოდა და თან მთელი ხმით მღეროდა. აუცილებლად უნდა ემღერა! რასაკვირველია, იცოდა, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ჩვენ ახლახან დავტოვეთ სამუშაო და ძილი ყველაფერს გვერჩივნა. ძლიერი, მაღალი ხმა ჰქონდა, მაგრამ სმენისა კი რა მოგახსენოთ, საცოდავს, როგორც ჩანს, დათვმა დააბიჯა ყურზე თათი. როგორც შემდეგ მისივე ნაამბობიდან დავადგინეთ, ჯერ კიდევ სოფლის სკოლაში სიმღერის მასწავლებელი გალობის გაკვეთილზე, თურმე განგებ გზავნიდა შეშის საჭრელად, რომ მოწაფეებისთვის ხელი არ შეეშალა სიმღერაში. ლიტერატურაში არც ისე საშინელია, თუ რომელიმე მწერალს ყალბი ხმა აქვს, მას უბრალოდ არც კი შეამჩნევ, არ წაიკითხავ მის ნაწარმოებს და ბასტა! მაგრამ ატლანიტკაში, როდესაც საკუთარი კაიუტისა და გემბანის გარდა ვერსად წახვალ, აუტანელია ასეთი სიმღერის მოსმენა. ერთხელ ველარ მოვითმინე, კაიუტიდან გამოვვარდი, გააფთრებული ვეცი მეზღვაურს და მრისხანედ შევუძახე, სიმღერა შეწყვიტე-მეთქი. ის შეკრთა, გაწითლდა და ბავშვური, ძალიან ნელი ხმით მიპასუხა: დამავიწყდა, პირი ღია დამრჩაო. ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: არაფერი გამეგება იმ ხალხისა, რომელსაც ოკეანეზე მზის ამოსვლისას სძინავსო. მათ ალბათ წარმოდგენა არ აქვთ, რა სანახავია ამ დროს ოკეანეო...

მე არ ვიცი, როგორ ამოდის მზე ატლანტის ოკეანეზე, უნდა გამოგიტყდეთ-არც მინახავს, — ალბათ შესანიშნავი, ულამაზესი სანახაობაა, მჯერა იმ უბრალო ესტონელი მეზღვაურისა. მაგრამ რაც შეეხება ღამეებს აქ, ფოთში, — ეს

ხომ ღამეები არ არის, ესაა მუსიკა. დიახ, მომხიბლავი, იდუმალებით სავსე მუსიკა. ზვირთცემის ზათქი და ტყლაშუნი, ავტომანქანების კანტიკუნტი საყვირები... ყოველივე ეს შეუდარებელ განწყობილებას ქმნის ფიქრისთვის, ჩუმი სევდისა და ნაღველისათვის, და უნებურად იწყებ სიმღერას.

ჩემი უტყვი სიმღერა ნელმა კაკუნმა შესწყვიტა. კაკუნი განმეორდა. კარი გავაღე, იქ ლიტვინენკო, ფეოდოროვი და კიდევ ორი მეზღვაური იდგა. მოგვიანებით გავიგე მათი სახელებიც: ვალერი ლიტოვკა და ვიქტორ ევტეევი.

— ცოტა არ იყოს კაიფზე ვარ, — ენის ბორძიკით თქვა ალიკამ (ალბათ უნდოდა ეთქვა, ქეიფის გუნებაზე ვარო), ეს სიტყვა მოსკოვშიაც ხშირად მსმენია Я под кайфом — იტყვიან ხოლმე. — აი სწორედ ამან გამაბედვინა თქვენთან მოსვლა... პატივი დაგვდეთ და ნება მოგვეცით ვახშამზე დაგპატიჟოთ რესტორანში. ჩვენ ხომ პირველად ვხვდებით ასე ახლოს ცოცხალ მწერალს.

— გთხოვთ! —როგორც ერთმა, გაიმეორეს დანარჩენმა მეზღვაურებმა.

რესტორანი — ერთსართულიანი შენობა მიუდგამთ სასტუმროსათვის... დარბაზი ხალხითაა სავსე, მხოლოდ მამაკაცები არიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ-სამ ოფიციანტ ქალს. ყოველ მაგიდაზე კონიაკი, არაყი, ჩეხური ლუდი დგას. უკრავს საესტრადო კვარტეტი. მუსიკოსებში უმალ ვიცანი მოსკოველი მეზობელი ბიჭები, კრასნაია პრესნიდან.

— ესენი, რასაკვირველია, ჩემი საყვარელი სიმღერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნისლისა და ოცნებისათვის კი არ ჩამოსულან აქ... უბრალოდ, არაპოეტური ხიტყვით რომ ვთქვათ, — მაყუთისათვის არიან ჩამოსულები.

— საბრალო მოსკოველი მუსიკოსები, მე ვიზიარებ მათ მწუხარებას! — თქვა ლიტოვკამ.

— ღმერთო, ნეტავი ისე ვიყო დამწუხრებული, როგორც ისინი! — დასძინა ლიტვინენკომ.

ამასობაში ვახშამიც მოგვიტანეს: მწვანილი, ჭყინტი სულგუნი, კონიაკი და მეგრული ხარჩო...

— უჰ, ეშმაკის კერძი, რა პიმპილიანია! — დაიყვირა ალიკამ და სახე დაეღრიჯა, — ამ ხარჩოს შემდეგ პირდაპირ შეტევაზე შეიძლება გადასვლა...

მეორე ჭიქის დალევის შემდეგ ენათ გავიკრიფეთ, მეტი თავისუფლება და სისადავე ვიგრძენით. მეზღვაურები საქმის შესანიშნავი ცოდნით მირჩევდნენ, საიდან და როგორ დამეწყო მუშაობა, სად იყო აუცილებელი ჩემი წასვლა, რა უნდა მენახა, ვის უნდა შევხვედროდი... მეზღვაურებმა ყველაფერი იცოდნენ, ყველას იცნობდნენ აქ. ეს გასაგებიც იყო: ტრაულერები, კატერები, ნავები ხშირად ჩერდებიან ფოთის ნავსადგურში, აბარებენ თევზს, ამიტომ მეზღვაურები საკმაოდ კარგად იცნობენ ქალაქსა და მის მოსახლეობას.

ცოტა რომ შევნაყრდით, ბიჭებს ვკითხე, რატომ აირჩიეს მეზღვაურის პროფესია, მეზღვაურის და ისიც მეთევზის მძიმე პროფესია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ მათგანს უმაღლესი ცოდნა ჰქონდა მიღებული.

— ჩვენი სამუშაო, — ყველას მაგივრად მიპასუხა ალიკამ, — მეოცნებისთვისაა გამოგონილი, რომანტიკოსებისათვის. ისეთები, როგორიც ჩვენა ვართ, მიდიან ზღვაში, ტაიგაში, ხდებიან პილოტები და მეზღვაურები, რასაკვირველია... — და უცებ მან სიმღერა დაიწყო:

Люди посланы за делами.
Люди едут за деньгами,
Убегают от обиды, от тоски,
А я еду, а я еду за туманом,
За мечтами и за запахом тайги...

— მოდი, დავლიოთ ადამიანის კარგი, გაბედული ოცნების სადღეგრძელო!..

რესტორნიდან საკმაოდ გვიან გამოვედით. გამომშვიდობებისას მეზღვაურებმა თავიანთ ტრაულერზე მიმიპატიჟეს, დამპირდნენ, სამხედრო სასაფლაოზე წაგიყვანთო, სადაც დაკრძა-

ლული ერთ-ერთი ჩემი მეგობარი-სამამულო ომში დაღუპული მეზღვაური.

მეორე დღეს კონსტანტინე პაუსტოვსკის „კოლხეთის" გმირებს უნდა შევხვედროდი.

## „კოლხეთის" გმირების ნაკვალევზე

### ანდრო გაბუნია

ბედმა გამიღიმა. სიცოცხლეშივე მოვასწარი გამეცნო შესანიშნავი ადამიანი ანდრო გაბუნია. კოლხეთის დღევანდელი დღე განუყრელადაა დაკავშირებული ამ ადამიანის საქმესთან, მის გმირულ მუშაობასთან, მის სახელთან. სწორედ ანდრო გაბუნიაა პროტოტიპი კონსტანტინე პაუსტოვსკის წიგნის „კოლხიდის" მთავარი გმირის — შალვა გაბუნიასი. ჯერ კიდევ მოსკოვიდან დავურეკე და მოველაპარაკე ფოთში შეხვედროდით ერთმანეთს. ანდრო იმჟამად საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე იყო. თბილისიდან ფოთში უნდა ჩამოსულიყო. კარგად მახსოვს ჩვენი საუბარი ტელეფონით:

— მიხარია, რომ ჩვენს მშენებლობაზე ჩამოდიხართ, — მითხრა ანდრომ. — მრავალ საინტერესო რამეს ნახავთ და გაიგებთ აქ. ვეცდები აუცილებლად ჩამოვიდე ამ დროისათვის ფოთში და თვითონ აგიხსნათ, მოგიყვეთ, გიჩვენოთ, რა გაკეთდა ოცდაათი წლის მანძილზე...

ანდრო გაბუნია-ხშირი სტუმარი იყო ფოთში. მისი სამინისტროს მრავალი ობიექტი სწორედ კოლხეთის დაბლობებსა და ჭაობიან ადგილებში იმყოფებოდა. მან კი, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, თავისი შრომითი შემოქმედება აქ, კოლხეთში დაიწყო ათას ცხრაას ოცდათორმეტ წელს.

დიდი ინტერესით ველოდი ანდროსთან შეხვედრას. როგორი უნდა იყოს კ. პაუსტოვსკის ეს „აწოწილი ჭაბუკი"?. დიდხანს არ მომიხდა ლოდინი. ანდრო სწორედ დანიშნულ საათზე მოვიდა სასტუმროში. გამიღიმა, ხელი გამომიწოდა. მაშინვე კონსტანტინე პაუსტოვსკის მოთხრობის ერთი ადგილი მომაგონდა: „გაბუნია ხშირად წითლდებოდა. იგი იყო მორცხვი, მაღალი... უყვარდა ქარები. ასე ეგონა, რომ ქარებს მიჰქონდათ მისი ტანიდან ციებცხელებისაგან გამოწვეული სისუსტე. მშენებლობის უფროსს გაბუნია მიაჩნდა ნიჭიერ, მაგრამ ზომაზე მეტად მეოცნებე ინჟინრად. იგი მას „რომანტიკოს-ინჟინერს" უწოდებდა და გული მოსდიოდა, როცა გაბუნიას ოთახში ხშირად პოულობდა ბაგრიცკის ლექსებსა და ალფრედ მიუსეს „საუკუნის შვილის აღსარებას"...

სასტუმროდან გამოვედით. მზიანი დილა იყო და გადავწყვიტეთ ფეხით გაგვევლო ქალაქის ქუჩებში. ალბათ, ასეთ პირობებში ის უკეთ მომითხრობდა მშენებლობის ამბავს. მაღლა აიხედა, ცას დააკვირდა.

— იწვიმებს? — ვკითხე ანდროს.

შემომხედა და ჩვენ ერთდროულად მოგვაგონდა კონსტანტინე პაუსტოვსკის იმავე მოთხრობიდან ერთი ადგილი: „ქარმა დუქნის ფანჯარას ერთი მუჭა მტვერი და ვარდის გამხმარი ფოთლები მიაყარა. პალმებმა ნერვულად აათამაშეს მწვანე ფოთლები, აღელდნენ, მათი ხმაური კბილების რაკარუკს ჰგავდა. საკვამლეებიდან მაღლა კი არ ადიოდა კვამლი, არამედ ჰორიზონტალურად ედებოდა ფოთის ქუჩებს და თან მანდარინების ყვავილების დამათრობელი სურნელება მიჰქონდა. ქალაქის მოედანზე ბაყაყებმა ყიყინი შეწყვიტეს.

— იწვიმებს, — თქვა ახალგაზრდა ინჟინერმა გაბუნიამ"...

ორივეს გაგვეცინა.

— ნუ გეშინიათ, — თქვა ანდრომ, კიდევ ერთხელ გაიღიმა, უკვე ნაღვლიანად, — ალბათ, ასე იღიმებოდა იგი იმ შორეულ წლებში, — ამოიხვნეშა და გულდაწყვეტით თქვა: — ბეჩოს დუქანი უკვე აღარ არსებობს, ვერ დავიცავით. მივლინებაში ვიყავი მოსკოვში, სხვებს არ ეცალათ... ამასობაში ფრეს-

კები — დიახ, ფრესკები, ნუ გიკვირთ, სხვანაირად ვერ ვუწოდებ იმ შესანიშნავ ნახატებს—ჩამოფხიკეს. — კედლები შეღებეს, მოაპირკეთეს. ახლა იქ ჯაზი უკრავს, ახალგაზრდები ცეკვავენ, წარმოგიდგენიათ, რა კარგი იქნებოდა, რომ ხელი არ ეხლოთ ბეჩოს ნახატებისთვის? საცოდავი ბეჩო ომის დროს სადღაც გაქრა, ალბათ, სადმე სული ამოხდა გაჭირვებულს. ვინ იცის, შეიძლება ლუკმა პურიც ენატრებოდა!.. მაშინ ადამიანები ჩუმად კვდებოდნენ, სანთელივით უხმოდ ქრებოდნენ... პაუსტოვსკიმ ზორბად დაწერა! — ანდრომ ჯიბიდან პატარა წიგნად გამოცემული „კოლხიდა“ ამოიღო. — ეს წიგნი მუდამ თან დამაქვს,—ისე განაგძო გაბუნიამ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო,—ჩემი ბიბლიაა, სამაგიდო წიგნი... იმიტომ კი არა, რომ ამ წიგნში ჩემზე ბევრი კეთილი სიტყვაა ნათქვამი, არა! იმიტომ რომ ჭკვიანური, პოეტური წიგნია... და კიდევ, უნდა გამოგიტყდეთ, მასში — ჩემი ახალგაზრდობაა, ჩემი ჭაბუკური ოცნებები...

ხიდზე ვიდექით. დაბლა, ჩვენს ქვევით მღვრიე, ატალახებული, ღრმა რიონი მიედინებოდა. ხიდი ქალაქის ცენტრს ნავსადგურთან აერთებდა. მოშორებით კი წყნარი, სწორი, როგორც სარკე, ზღვის გლუვი ზედაპირი მოჩანდა. ზღვა ზემოდან გადმოჰყურებდა ქალაქს და თითქოს მზად იყო გადაეყლაპა იგი.

— მაშასადამე, თქვენ გაინტერესებთ კოლხიდა? როგორი იყო ის ამ ოცდაათი წლის წინათ, რა გავაკეთეთ ამ ხნის განმავლობაში და რას ვაპირებთ მომავალში... სწორად გავიგე?

— დიახ, სრული ჭეშმარიტებაა!

—აი, ჩვენს ქვევით — რიონია. არ მოგიყვებით ამ მდინარის ისტორიას, თქვენ ჩემზე უკეთ თუ არა, უარესად არ იცით, მაგრამ თუ რაოდენი უბედურება მოჰქონდა ამ მდინარეს ჩვენი ხალხისათვის ასეული და ათასი წლის განმავლობაში, ამის შესახებ, ალბათ, თქვენ ცოტა რამ გეცოდინებათ... მძიმე იყო ცხოვერბა ამ მდინარის ნაპირებზე. წყალდიდობა არბევდა სოფლებს, რიონს მიჰქონდა ფაცხები და კარვები, ახრჩობდა პირუტყვს, ადამიანს, ნადირსაც კი, ანადგურებდა ყანებს. დიახ, ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთი იყო ყორათში და ყულევში. მთელი წლის განმავლობაში ან წვიმა და ნიაღვარი, ან პაპანაქება სიცხე და სინესტე. იშვიათად ამოვარდებოდა ქარი და მაშინ ასე გეგონებოდათ, მთელი საჰარა თავისი ხვატით, სამუმებით და უწყლობით შემოესიაო კოლხიდას.

— მგონი თქვენ სამეცნიერო შრომაც კი გაქვთ დაწერილი კოლხიდაზე?— ვკითხე ანდროს.

—დიახ, დავწერე და არა ერთი. შევისწავლე თანამედროვე და უძველესი გეოგრაფების შრომები — სტრაბონის, ჰიპოკრატეს, ჰომეროსისაც კი... არიანეს ერთ ადგილას ასე უწერია: „ფაზისის მარცხენა ნაპირზე მე აღვმართე ძეგლი ულამაზესი ქალის ფაზიანელის“.

ანდრო მოულოდნელად გაჩუმდა, შემომხედა თავისი გამჭრიახი, გამომცდელი თვალით, ცოტა ხანს კიდევ სდუმდა და შემდეგ ღიმილით მითხრა:

— ალბათ, შეამჩნიეთ, რომ პაუსტოვსკის სიტყვებით მოგითხრობთ!

— როგორც ვხედავ, თქვენ ზეპირად გცოდნიათ მოთხრობა!

— ოცდაათ წელზე მეტია ვკითხულობ განმეორებით... ზოგჯერ, როცა ვინმეს კოლხიდაზე დავუწყებ ლაპარაკს, უცბად საკუთარ თავს ვიჭერ იმაში, რომ წიგნის სიტყვებით ვლაპარაკობ... ვერა და ვერ გადავეჩვიე ამ ჩვეულებას.

— ჩემი აზრით, უკეთეს მაღლობას მკითხველისაგან არც ერთი მწერალი არ ინატრებდა.

ანდრომ თავისი კეთილი, ჭკვიანური თვალებით შემომხედა.

— მართალი ბრძანდებით... შეიძლება მეც ვოცნებობდი მეპოვა ის მარმარილოს ქანდაკება. ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში არსებობს მშვენიერი ფაზიანელი ქალი, ოცნება, რომელსაც ველოლიავებით, ვუფრთხილდებით და რომელსაც ვეძებთ. უამისოდ არც კი

ღირს ცხოვრება... თქვენთვის ძნელი წარმოსადგენია ყველა ის, რაც ჩვენ განვიცადეთ, მაგრამ ხომ ხედავთ, ჩვენი შრომა არ იყო ამაო. ჩვენ კი მაშინ ბრმებივით ვმუშაობდით და მხოლოდ რწმენით, ოცნებით ვსულდგმულობდით,

სიჩუმე ჩამოვარდა. ანდრო დაფიქრდა. ალბათ, აგონდებოდა, როგორ ჩამოვიდა აქ და კოლექტორული არხების მშენებლობის უფროსად მუშაობდა, მდინარეების ნაპირებზე როგორ აგებდა ჯებირებს, აშრობდა ჭაობებს, თხრიდა, სპობდა ჯაგნარსა და ბარდნარს. რამდენჯერ აუტანია ციებას.

— თბილი, ნოტიო ჰავა აუცილებელია ჩაისთვის, ციტრუსებისთვის, ტუნგოსათვის, დაფინისათვის, ბამბუკის, ევკალიპტის, ტექნიკური და ეთეროვანი კულტურებისათვის. კარგია სიმინდის, ლობიოს, მუხუდოსა და ბრინჯისათვისაც... მაგრამ მუდმივი წვიმები ნამდვილი უბედურებაა, — განაგრძო ანდრომ — როგორ გგონიათ, რამდენი წყალი ჩამოდის აქ ციდან?.. ორასიათას ხუთასი მილი ერთი წლის განმავლობაში! ორასი მილიმეტრი დღე-ღამის განმავლობაში! კოლხიდამ ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, მსოფლიო რეკორდი დაამყარა. კოლხიდის მდინარეების ხშირი წყალდიდობა. წყლით წალეკილი შუამდინარეები,წყლის გაუმტარი ნიადაგი — ყველაფერი ეს იწვევდა ერთ მთლიან ჭაობიანობას. საშინელი ჭირია ტროპიკული ციებ-ცხელება. ამ მომაკვდინებელი სენისაგან ადამიანის ხსნა და კოლხიდის ბუნების ცვლა დაიწყო ოცდაათიან წლებში მელორაციულ სამუშაოების გაშლასთან ერთად. იმ დღიდან მოყოლებული ჩვენ ბევრი რამის აშენება მოვასწარით. როგორც ხედავთ, იქ, სადაც უწინ გაუვალი ჭაობები და ჯუნგლები იყო, ახლა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობებია გაშენებული. ათობით და ასობით ახალი სოფელი!.. იზრდებიან გიგანტური ევკალიპტები, მალარიის ხსენებაც კი არ არის, მხოლოდ მოხუცები უამბობენ ციებაზე ახალგაზრდებს, როგორც ზღაპრულ ურჩხულზე.

ჩვენ ანდროს მსუბუქი მანქანა დაგვეწია.

— ახლა კი ჩავსხდეთ მანქანაში, მინდა ზოგი რამ გიჩვენოთ...

მანქანაში ჩავსხედით და ახალი გზატკეცილით გავემგზავრეთ.

— ამ გზატკეცილის სიგრძე სამას ორმოცი კილომეტრია. შვიდი ფენა ხის მორები ჩავალგეთ ჭანჭრობში ამ შოსეს გასაყვანად. აქ ლაქაშები იყო... იქ მიუვალი ტყე, ნამდვილი ჯუნგლი, აი იქ კი, მოშორებით ანოფელესი მეფობდა... ახლა, როგორც ხედავთ, აქ აყვავებული პლანტაციებია, ბაღები, ლამაზი დაბები... ორი-სამი თვის შემდეგ ახალი საბჭოთა მეურნეობები გვექნება. კოლხიდა ძვირფას სუბტროპიკულ კულტურების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად იქცა. მე დავასახელებ რამდენიმე ციფრს და მაშინ თქვენთვის ყველაფერი გასაგები იქნება: კოლხიდა მოგვცემს ყოველ წელიწადს ასსამოცდაათ ათას ტონა ჩაის ფოთოლს, ორმოცი ათას ტონა დაფნის ფოთოლს, ეთეროვან კულტურების ნედლეულს, აბრეშუმის პარკს, ყურძენს, ხილს...

მანქანა აუჩქარებლად მიჰყვებოდა შარაგზას. ირგვლივ მრავალი კილომეტრის მანძილზე გადაშლილიყო კოლხეთის ველები, სხვადასხვა ფერისა და ჯურის, მოშრიალე, მობიბინე და სურნელებით აღსავსე. ნარინჯის ოქრო-ფორთოხლებისა და ლიმონის ქარვა, ჩაის ფოთლის ფირუზა; ყურძნის თეთრი, შავი, წითელი მტევნები, ფეიხოას ბუჩქები, ადამიანის სიმაღლე სიმინდი, ლამაზი ორსართულიანი ოდები და ფართო, მწვანედ მოხასხასე ეზოები. შუა ეზოში აუცილებლად უზარმაზარი კაკლის ხე, ინგლისურად გაკრეჭილი მწვანე ტრიფოლიატების ღობეები; გოგონები და ბიჭები გიტარით (კვირა დღეა), ტანადი, მაღალი, ჯანმრთელები, ტანკენარები. ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ლელოს თამაშით გართული ჭაბუკები, ნორჩი მხედრებიც კი გვხვ-

დებოდნენ. ზოგიერთ ქალიშვლს და ვაჟს რიგის და იაპონიის ტრანზისტორები ეჭირა. ესენი მწყემსები იყვნენ, საქონელს ერეკებოდნენ საძოვრებიდან...

სადღაა ლაქაშსა და ჭაობში ჩაფლული ძველი კოლხეთი?. მის ადგილზე ახალი მეურნეობები გაჩნდა: ფოთის, პატარა ფოთის, ჭალადიდის, ახალსოფლის, ქვალონის, სუჯუნის, ზენათის, ანაკლიის, მზიურის, ხამუსკურის, „კოლხეთის ცისკრის"... ამ მეურნეობების მოსავალი ყოველ წელს მატულობს და იზრდება სამოცი-სამოცდაათი პროცენტით.

ვიყავით ქვალონის საბჭოთა მეურნეობაში. ეს ადგილი წინათ ჭაობითა და ტყით იყო დაფარული. აქ ჩვენ ვნახეთ ხეხილის ახალი ბაღები, ტუნგოს, ჩაის, თუთის, დაფნის პლანტაციები. ჩაის პლანტაციებს აქ 768 ჰექტარი მიწა უჭირავს. შორს ისევ მოჩანს ამოუშრობი ჭაობი და ტყე, მშენებლები განაგრძობენ თავის შეუნელებელ შეტევას ჯუნგლებზე. ახლა კოლხები სხვა ტექნიკით ებრძვიან ჭაობსა და ლაქაშებს, ეკალსა და ბარდს, გაუკვალავსა და გაუვალს, გუგუნებენ ბულდოზერები, ექსკავატორები, მიწის მთხრელი მანქანები, სკრეპერები.

ვბრუნდებოდით უკან. ვდუმდით. მივჩერებოდი ჩემი თანამგზავრის პროფილს და კვლავ მაგონდებოდა ერთი ეპიზოდი მოთხრობიდან.

პაუსტოვსკის აქვს ასეთი ადგილი, როცა გამოუვალი მდგომარეობა იქმნება, შეიძლება დაიღუპოს რამდენიმე თვის შრომა, თუ სასწრაფოთ არ შეაკეთებენ ერთ-ერთ ექსკავატორს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ფოლადი, ან ბრინჯაო, რაც მშენებლებს არ მოეპოვება. გაბუნია საშინელ მდგომარეობაშია, არ იცის რა ქნას, რა გზა გამონახოს საფრთხის თავიდან ასაცილებლად...

„—ბრინჯაო! — წამოიძახა მან დაბალი ხმით და ისე ხრინწიანად, რომ ნევსკაიას მხოლოდ ხიფხიფიღა მოესმა. — აი ბრინჯაო, ვიპოვე! ღმერთო ჩემო, რა სულელი ვარ!

მან აიღო მაგიდიდან ბიუსტი და გაიცინა... ნევსკაიამ შიშით შეანათა თვალი. მას ეგონა, რომ გაბუნია ჭკუიდან შეიშალა.

ფანჯრებს მიღმა უკუნეთში კოკისპირულად წვიმდა. მიწაზე მუხლებამდე იდგა წყალი.

— უნდა გადავადნოთ, ჩამოვასხათ მასრაში და ჩამოვახარხოთ, — ამის გაკეთებას სამ საათზე მეტი მოუნდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის, — დინჯად წარმოთქვა გაბუნიამ, თან ბიუსტს არ აშორებდა თვალს.

— არ უნდა დაეწერა ეს პაუსტოვსკის. ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი წუთები, როცა აუცილებლობა გვიკარნახებს თავის პირობებს. ასეთი წუთები **ყოველი ადამიანის წმიდა**თა წმიდაა, ღვთაებრივი საიდუმლოა... არავინ, არც ერთმა სულთაგანმა არ უნდა იცოდეს ამის შესახებ, იმიტომ კი არა, რომ სამარცხვინოა ამაზე ლაპარაკი, არა, ეს არის მკრეხელობა, ნამდვილი მკრეხელობა! მაგრამ მე მიყვარს პაუსტოვსკი და მიპატიებია მისთვის. დიდად ვწუხვარ, რომ მის დასაფლავებაზე არ ვიყავი, მხოლოდ მესამე დღეს გავიგე. არავის გაახსენდა ჩემთვის დეპეშის გამოგზავნა...

შემრცხვა. იქნებ მეც მგულისხმობდა იმ „არავის"-ში.

შელამებისას დავბრუნდით ფოთში. როგორც ყოველთვის, ანდრო გაბუნია

მართალი აღმოჩნდა: არ წვიმდა. გამომშვიდობებისას ასე მომმართა:

— ხვალ, რაც შეიძლება ადრე მოდით ტრესტში, იქ გაგაცნობთ „კოლხიდმშენის“ პიონერებს, პაუსტოვსკის წიგნის გმირებს. ახლა კი ძილი ნებისა.

მანქანა გაისტუმრა და ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას შინისაკენ. თვალი გავაყოლე, დიდხანს ვუყურებდი მიმავალს და რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ვერასოდეს ვეღარ შევხვდებოდი ანდრო გაბუნიას

## ტრესტი „კოლხიდმშენი“ და მისი ადამიანები

ადრე დილით „კოლხიდმშენიდან“ მანქანა გამომიგზავნეს. შოფერმა გადმომცა, რომ ანდრო გაბუნია საჩქაროთ გამოიძახეს სამინისტროში და თბილისში გაფრინდა, რომ ბოდიშს მიხდიდა და მთხოვდა, ტრესტში მივსულიყავი, იქ ყველა გაფრთხილებაა და მელოდნენ. გადავწყვიტე მივყოლოდი გუშინდელი რჩევა-დარიგების კვალს. უპირველესად ყოვლისა მესაუბრა მშენებლობის უკანასკნელ მოჰიკანებთან: გალინა სერბინასთან, გიორგი ჯაფარიძესთან და მიხეილ დიდენკოსთან. შემდეგ კი ახალთაობასთან. ზოგ მათგანს ახლა ხელმძღვანელი თანამდებობა ეჭირა. ბონდო კვატაშიძე „კოლხიდმშენის“ მმართველი იყო; გოლიათი ლაკერბაი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ტრესტის მთავარი ინჟინერი გახლდათ. სოციალისტური შრომის გმირი ი. ბერიშვილი ხობის მექანიზაციის სამმართველოს უფროსი, თედორე შამათავა ტეხურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაენიშნათ, თუმცა ტრესტთან მას არავითარი კავშირი არა ჰქონდა, მაგრამ ტრესტმა დააშრო ჭაობები და ამის შემდეგ წარმოიშვა კოლხიდის სიამაყე — ტეხურის საბჭოთა მეურნეობა. ტრესტის ორსართულიანი მოგრძო შენობა უფრო სკოლას წააგავდა. ტრესტმა ცოცხალი ექსპონატებით სავსე მუზეუმი მომაგონა. ამ შენობიდან გამოუსვლელად თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი გაიგოთ კოლხიდაზე, ჭაობის ამოშრობის პირველი დღიდან დაწყებული, დღემდე. შეგიძლიათ გაეცნოთ კოლხიდის მშენებლებსაც. თუმცა ისინი მეურნეობაში კი არ არიან, მშვენებლობაზე მუშაობენ, მაგრამ მათი სურათებით, ხალხის ნაამბობით გაიგებთ მათი შრომითი გმირობის ამბავს. როცა ტრესტში მივედი, მორიგი თათბირი ის-ის იყო დამთავრდა. ტრესტის მმართველმა ბონდო კვატაშიძემ თავის კოლექტივს გააცნო ჩემი თავი, აუხსნა, რა მიზნით ჩამოვედი და ყოველ მათგანს სთხოვა აღმოეჩინათ ჩემთვის საჭირო დახმარება.

## გალინა სერბინა

ვის არ ახსოვს მოთხრობა „კოლხიდის“ შესანიშნავი გმირი ქალი, რომელიც შეყვარებული იყო საკუთარ ოცნებაზე, ნაზი, სათუთი, მაგრამ საქმესთან შეუპოვარი, შრომით გაუმაძღარი, დიდი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის. მისი გვარი ნევსკაია გახლდათ. ახლა პირისპირ ვიდექი გალინა არკადიევნა სერბინასთან, იგი პროტოტიპია პაუსტოვსკის გმირი ქალისა. ყველანი, დაწყებული გაბუნიადან და დამთავრებული დიდენკოთი, სიამოვნებით მიყვებოდნენ გალინა სერბინას შრომითი მამაცობის ამბავს. მისი ქმარი, გიორგი ჯაფარიძეც აქ მუშაობს კოლხიდის მშენებლობის დაწყების პირველი დღიდან. წყალთა მეურნეობის ფაკულტეტისა და ასპირანტურის დამთავრების შემდეგ გალინა სერბინა მონაწილეობას ღებულობდა კოლხიდის ჭაობების ამოშრობის პროექტის შედგენაში, კერძოდ მას ეკუთვნის ჭალადიდის უბნის ათვისების მეთოდების დამუშავება. აგერ ოცდათხუთმეტი წელია, რაც სერბინა აქ მუშაობს. ჩამოსვლისთანავე ახალგაზრდა, სუსტი აგებულების გოგონა, პირველ კოლმატაციურ უბანში, სამუშაოთა მწარმოებლად დანიშნეს. სერბინა ერთად-

ერთი მშენებელი ქალი იყო კოლხიდაში.

— რაღა დაგიმალოთ, — მიყვება გალინა სერბინა, — მიყვარს ჩემი ხელობა, მიყვარს კოლხიდა, აქ ქმართან ერთად ათასი უბედურება გადამხდა. გავატარეთ მძიმე და სიხარულით სავსე დღეებიც. აბა როგორ არ უნდა მიხაროდეს, როცა საკუთარი თვალით ვხედავ ხორცშესხმულ ჩემს პროექტებს? იმის შეგნება, რომ მე ერთ-ერთი პიონერთაგანი ვარ კოლხიდის ჭაობის ამოშრობისა, ძალას და ენერგიას მიორკეცებს. მხოლოდ რაც შეეხება პაუსტოვსკის... მან ცოტა არ იყოს „გაგვალამაზა“, ასე ვთქვათ, ზედმეტად იდეალურები გამოგვიყვანა... მე მაგალითად, ბოტანიკოსად გამომიყვანა. მესმის, მწერალს აქვს ამის უფლება. ალბათ, სხვაგვარად არ შეიძლება. ჰო, თუმცა ბოტანიკა ნამდვილად მიყვარს, — ეს მან იცოდა, მაგრამ ცხოვრებაში ავირჩიე უფრო ძნელი პროფესია. პაუსტოვსკის კოლხიდაზე თავდავიწყებით შეყვარებული ვყავარ დახატული. ეს სწორია, მართლაც საოცრად გატაცებული ვიყავი ჩემი სამუშაოთი. ჯერ კიდევ მოსკოვში, როდესაც პროფესორ პოტაპოვთან — ჩემს მასწავლებელთან ერთად ვადგენდი პროექტს, გადავწყვიტე თვითონ ამომეშრო ჭაობი, პროფესორი კი, როგორც იტყვიან, ნავთსასხამდა ამ ჩემს განზრახვას, ამ ჩემს ცეცხლს და მირჩევდა აუცილებლად ჩამოვსულიყავი კოლხიდაში, საკუთარი თვალით დამენახა ყოველივე... თვითონაც გატაცებული იყო ამ იდეით. მუდამ, როდესაც კოლხიდაზე ლაპარაკობდა, თვალი უბრწყინავდა, ბავშვივით აღტაცებული იყო... ამასობაში მოსკოვში ჩამოვიდა გრიგოლ გეგეჭკორი და ამან საბოლოოდ დამარწმუნა ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში. ჩემი სურვილით ჩამოვედი ფოთში. ვმუშაობდით ერთსულოვნად, შეთანხმებულად, თავდავიწყებით, არც მალარია, არც ნიაღვრები არ გვაშინებდა... მახსოვს, ყველანი, როგორც ერთი, წავიდნენ ომში, გამარჯვების შემდეგ კი, ვინც ცოცხალი დარჩა, მშენებლობაზე დაბრუნდნენ. მათ იცოდნენ, რომ აქ მძიმე სამუშაოები იყო, ჯოჯოხეთური პირობები... ჰო, მართლა, სიძნელეებზე მინდა მოგახსენოთ: ერთხელ ქვალონიდან ჭალადიდის უბანში მივდიოდი. იქ იყო № 12 კოლექტორი. ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი, მარტო.. ღამდებოდა, ირგვლივ შამბნარი, ტყე, ჭაობი... არსად ადამიანის ჭაჭანება. ამ დროს ჩემდა სასიხარულოდ, შორს მოციმციმე სინათლე დავინახე. ერთი კი არა, რამდენიმე, სანათურებივით კრთოდნენ, თითქოს თავისკენ მიხმობდნენ. გამეხარდა. ნათურები კი თანდათან მიახლოვდებოდნენ. ნაბიჯს ავუჩქარე, ვიფიქრე: ექსკავატორის შუქია-მეთქი. თურმე ნუ იტყვით, საშინლად ვცდებოდი, მგლები ყოფილან, წარმოგიდგენიათ, ნამდვილი მგლები! კიდევ კარგი, რომ შემთხვევით ამ გზით მოდიოდნენ მეექსკავატორეები და იმათ მიხსნეს.

ასეთი დრო იყო მაშინ, — მგლები და ადამიანები ერთად ცხოვრობდნენ, ერთმანეთის მეზობლად. მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ერთი ჩვენთაგანი არ გაქცეულა შრომის ფრონტიდან. უცხოეთის გემების მეზღვაურებიც კი რჩებოდნენ ჩვენთან სამუშაოდ... თქვენ, ალბათ, კარგად გახსოვთ სიომა პაუსტოვსკის მოთხრობიდან!.. ის გერმანელი იყო, მწერალს რატომღაც დასჭირდა მისი ინგლისელად გამოყვანა. ბევრნი ვართ ისეთები, რომლებმაც მთელი თავისი შრომითი სიცოცხლე აქ, კოლხიდაში გავატარეთ. მაგალითად, ტოპოგრაფები, ტრასის ტექნიკოსები რაჟდენ ჟღენტი და კონსტანტინე თოფურია. ისინი კოლხიდის პროფესორები არიან. მძიმე სამუშაო ხვდათ წილად ტოპოგრაფებს და მეექსკავატორეებს. აყროლებულ წყალს სვამდნენ, მხეცების გვერდით ცხოვრობდნენ, ხმელი პურითა და ყველით იკვებებოდნენ, ცხელ საჭმელს თვეობით მოკლებული იყვნენ. ძალიან ხშირად სრულიად უჭმელი მუშაობდნენ. უსახლკარონი, უბინაონი. მაგონდება მეექსკავატორე ზემლენუხინი, ღმერთმა უწ-

ყის, საიდან ჩამოვიდა, რომელი შორეული მხარიდან და რა დახვდა... მაგრამ როდი შეუშინდა სიძნელეებს, ბევრი მექსკავატორე მოამზადა. თვალწინ მიდგას მექანიზატორი და მელიორატორი ღოღობერიძე. ფრონტზე იყო, ომის დამთავრების შემდეგ ისევ ჩვენთან დაბრუნდა, ახლაც ჩვენთან მუშაობს და ვერავინ ვერ შებედავს უთხრას, დროა პენსიაზე გახვიდეო...

კარი გაიღო და ოთახში ცქრიალა, ლამაზი გოგონა შემოვიდა, ტანკენარი, ლურჯთვალა, გრძელი, ოქროსფერი ნაწნავებით, ტიპიური ქართველი გოგონა. ქალიშვილმა რაღაც ნახაზები უჩვენა გალინა სერბინას. სერბინამ ბოდიში მოიხადა, ნახაზებს სინჯვა დაუწყო. როგორც შევამჩნიე, რაღაც უმნიშვნელო შესწორებები შეიტანა ნახაზებში და პატრონს დაუბრუნა. გოგონა გავიდა.

— ეს ანაა, ჩემი მოწაფე. არც თუ ისე ცოტა მოწაფეები მყავს და ესენი საუკეთესო საჩუქარია ჩემი მრავალი წლის მუშაობისა. ნიჭიერი გოგონები არიან... სწორედ ამან მომაგონა ერთი თქვენთვის მეტად საინტერესო ამბავი ჩემი ცხოვრებიდან, მომაგონდა ამხანაგი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

უფრო მოხერხებულად მოვთავსდი სავარძელში და მოსასმენად მოვემზადე.

— შავი მდინარე, — განაგრძო გალინამ, — არის ასეთი მდინარე ფოთში, იგი კალმოტაეურ უბანში მიედინება. ჰოდა, ეს მდინარე პატარაა, მაგრამ დიდი ზარალის მომტანია. შლამით ავსებდა პალიასტომს, ტბაზე კი მაშინ ჰიდროპლანები ეშვებოდნენ. სასწრაფოდ უნდა შეეწყვიტათ პალიასტომის შლამით ამოვსება. მოიწვიეს მეცნიერები, სპეციალისტები... არაფერი არ გამოვიდა! ერთი არაჩვეულებრივი ინჟინერი მუშაობდა ჩვენთან, ილია ლაღიძე. უნდა გამოგიტყდეთ, ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია ასეთი ჰუმანური, სამართლიანი და მართალი კაცი. მახსოვს, როგორ სწუხდა ომის დროს, ჯარში რომ არ გაიწვიეს, არ შეეძლო იმის დაჯერება, რომ აქ უფრო საჭირო იყო, ვიდრე ბრძოლის ველზე. აქაც ხომ ბრძოლის ველი იყო! ომის წლებში ილია ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. მახსოვს, ერთხელ ერთად ვბრუნდებოდით შინ. უცებ ილიამ დაინახა, რომ ხანში შესული ქალი შეშას აპობდა. არც აციცა, არც აცხელა, შევარდა ეზოში, ქალს ცული გამოსტაცა და თვითონ დაიწყო შეშის დაპობა... ასეთი იყო ის უბედური. ჯერ კიდევ ომამდე ამიხსნა, რა უნდა მექნა, რომ ტბა შლამით არ ამოვსილიყო, რა მომეხერხებინა შავი ღელესათვის:

— მამაკაცები ვერაფერს გახდნენ. ახლა შენ უჩვენე მათ, თუ რა შეუძლიათ ქალებს... შენ ასპირანტი ხარ, ახალგაზრდა ქალი, უჩვენე ყველას, რა შეგიძლია, ეცადე! — მაქეზებდა ილია.

აღარ ვიცოდი, რა მექნა, როგორ ამეღობა გზა შავი მდინარისთვის. ეს პატარა მდინარე რომ ადიდდებოდა, გეგონებოდა ქვეყანას წალეკავსო. ბეტონის კაშხალი თუ გადაუჭრიდა გზას. სად იყო ომის დროს ან ცემენტი, ან მანქანები, ან მუშახელი. ბევრი უძილო ღამე გავათენე იმაზე ფიქრში, თუ როგორ გადამერჩინა პალიასტომი შლამით ამოვსებისაგან და აი მივაგენი სწორ გადაწყვეტილებას: ესტაკადიდან ვაგონებით ვყრიდით შავ მდინარეზე მიწას.

— აი ხომ ხედავ, აკი გეუბნებოდი, ეცადე-მეთქი. ხომ გაგიმართლა ცდამ? — მითხრა ილიამ. იგი ჩემზე უფრო გახარებული იყო.

— გმადლობთ, ილია, მარტო მე ვერაფერს გავაწყობდი, — მადლიერებით ვუთხარი და გავწითლდი.

— სხვას ნუ აწერ შენ გაკეთებულ საქმეს! — წყენით მითხრა ილიამ.

— საკვირველი კაცი იყო. თუ ვინმეს ცუდად მოექცეოდა, ის მართლაც არ იყო პატივის ღირსი, ნამდვილად ცუდი იყო, ხოლო ვისაც კარგად ეპყრობოდა, ის ღირსი იყო კარგი მოპყრობისა. კარგად იცნობდა ადამიანს. თავმდაბლობა იყო მისი ძირითადი ადამიანური თვისება. ანდრო გაბუნიაც ასეთია... არა, ჩვენთან შესანიშნავი ხალხი მუშაობდა. ისე

უყვარდათ თავისი საქმე, ვინც ჩამოვიდოდა, უკან დაბრუნება აღარ უნდოდა.

ერთხელ ხობისწყალზე ხიდი უნდა აგვეშენებია. და აი, ანდრო გაბუნიამ გამოიგონა თავისებური მილი, რომ წყალი არ მიეშვა ბოძებთან, თვითონ ჩადიოდა მდინარეში, თვითონ თხრიდა მიწას. შავ სამუშაოს არასოდეს არ გაურბოდა თუმცა ანდრო ხიდის მშენებელი არ იყო.

ომის შემდეგ ახალგაზრდობა მოვიდა: მებულდოზერე ჯონდი ხურცია, ნამდვილი შრომის გმირი! იგორ იურევი ანაპიდან, შესანიშნავი მემანქანე — მეექსკავატორე, მებულდოზერე კაკო ალანია. მიწის მწოველი მანქანის საუკეთესო მძღოლი სერგო პაიჭაძე... ბოდიში, მე თანდათან სხვის უბანში ვიჭრები, — ყველა ამ ხალხს თქვენ თვითონ ნახავთ. მიხეილ დიდენკო მიდის ობიექტის დასათვალიერებლად, გირჩევთ, მას გაჰყვეთ.

— მანამ მინდა თქვენს მეუღლეს შევხვდე, — ვუთხარი გალინას.

— ახლავე დავუძახებ, თუ არ ვცდები, საინტერესო რაღაცას გიმზადებთ.— სერბინა ოთახიდან გავიდა და ზუსტად სამი წუთის შემდეგ დაბრუნდა გიორგი ჯაფარიძესთან ერთად. გალინას მეუღლე თავმდაბალი ჩანდა, მორცხვი, კეთილად იღიმებოდა.

— ხვალ გეცლებათ? — მკითხა ჯაფარიძემ.

— რასაკვირველია, მეცლება!

— დილის შვიდ საათზე გამოგივლით.

„სად უნდა წამიყვანოს?“—დავინტერესდი. ჯაფარიძემ შემატყო ცნობისმოყვარეობა და ღიმილით მითხრა:

— კმაყოფილი დარჩებით, ძალიან კმაყოფილი... და ალბათ, გაგიკვირდებათ კიდეც... ახლა კი წავიდეთ, სერგეი მიხაილოვიჩი გელოდებათ.

გამოვემშვიდობე გალინა სერბინას და ჯაფარიძესთან ერთად დაბლა ჩავედი. ქუჩაში მანქანასთან გველოდა ბრეზენტის ტანსაცმელში და რეზინის ჩექმებში გამოწყობილი, მაღალი, ბრგე, მხარბეჭიანი გაურკვეველი წლოვანების ათლეტი. იგი ს. მ. დიდენკო იყო. მისმა მეგობრულმა ხელის ჩამორთმევამ, კეთილმა თვალებმა და კარგმა ღიმილმა მაშინვე მიმიზიდეს, პატივისცემით განვეწყე მისდამი.

## ს. მ. დიდენკო

— დიდენკო, — თქვა მან და ხელი ჩამომართვა.

არ მახსოვს, რა ვუპასუხე და როგორ, მაგრამ დიდხანს დამამახსოვრდა მისი ხელის ჩამორთმევა, ისეთი ტკივილი ვიგრძენი მარჯვენა ხელის თითებში.

— წავიდეთ.

მე ცას ავხედე.

— არაფერია, —მითხრა დიდენკომ,— წვიმებს მალე შეეჩვევით .აბა რა არის ფოთი წვიმის გარეშე? თქვენ შოფრის გვერდით დაბრძანდით, რომ უკეთ დაინახოთ მშენებლობა, მე კი თქვენი გიდი ვიქნები.

„ყველგანმსვლელი“ ადგილიდან დაიძრა და სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე გავედით ქალაქიდან. ახლა სულ სხვა პეიზაჟს ვხედავდი ირგვლივ, ვიდრე ამ ოცი-ოცდაათი წლის წინად: სადღა იყო ჭაობი ან ჯუნგლები, ფართო ასფალტირებულ გზატკეცილს ალვის ხეების მწკრივი გასდევდა და შარაგზა უფრო ხეივანს ჰგავდა, ვიდრე გზატკეცილს. აქ იყო არა მარტო ალვის ხეები, არამედ სხვადასხვა ჯურის ხეხილი, ევკალიპტები, მუქი მწვანე ატლასი ჩაის პლანტაციებისა, ციტრუსის პლანტაციების ნარინჯოვან-მოყვითალო-მომწვანო ზღვა; სანიმუშოდ მოვლილი არხები და წყლის შემკავებელი ჯებირები მდინარეების გასწვრივ. გიგანტური ექსკავატორები და ბულდოზერები, ბეჰემოტებს რომ მოაგონებს ადამიანს. შლუზები და ხელოვნური წყალსავარდნები. ლამაზი ოდები, ეზოების მწვანე ხალიჩები. ყოველი ოდის წინ ვარდების პატარა ბაღნარი, სხვადასხვა ჯურისა და ფერის ყვავილები.

არხებზე უშველებელი, თითქოს ოკეანის ტვირთმზიდავი გემები, მცურავი მიწისმთხრელები და ასეთივე მიწის

მწოველები. როგორც დიდენკომ ამიხსნა, ამ მიწისმთხრელებით სწარმოებს მდინარეების უბანკეტო გადაკეტვანი. მდინარეს კეტავენ, წინანდებურად არ ავსებენ ქვებითა და გრუნტით, არამედ სილით შლამავენ ხოლმე გადასაკეტ ადგილს.

— საიდან დავიწყოთ, რა უფრო გაინტერესებთ? — მომმართა დიდენკომ.

— კალმოტაუიდან დავიწყოთ.

— პაუსტოვსკის წიგნი კარგად გახსოვთ?

— მგონი, კარგად...

— კარგად სწერს ამის შესახებ. მისი გმირი მოხუცი მეცნიერი, კოლხეთის ენთუზიასტი პახომოვი — ასე ხსნის ამ გარემოებას: „კალმოტაუი-ნიშნავს ჭაობების ამოშრობას შლამიანი მდინარის წყლის ხელოვნური წყალდიდობით ამ ჭაობიან ადგილებზეო...“ მდინარე რიონს მოაქვს ორჯერ მეტი შლამი, ვიდრე ნილოსს, თუმცა უკანასკნელ ხანამდე ნილოსი მთელ მსოფლიოში ყველაზე შლამიან მდინარედ ითვლებოდა. ნილოსში ერთ კუბიკურ მეტრ წყალზე კილონახევარი შლამი მოდის, რიონში-ორჯერ მეტი. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, ჩვენთან ხომ ყველაფერი ყველაზე უკეთესი და ყველაზე მრავალი უნდა იყოს, — სიცილით დაუმატა დიდენკომ. — მაგრამ ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, ეს შლამი საკმაოზე მეტი აღმოჩნდა; ამ გარემოებამ ბევრად უფრო შეგვიმსუბუქა სიძნელეები. წყალი ფილტრაციას გადის ჭაობზე, შლამი ფსკერზე ილექება, გაწმენდილი წყალი კი არხებით მდინარეს უერთდება. გადის დრო, ჭაობი შრება და ნოყიერ ნიადაგად იქცევა. აი ეს მიწები ირგვლივ, ეს პლანტაციები, სოფლები და ბაღები კალმოტაუის წყალობით გახლავთ შექმნილი. მდინარე რიონმა შესაძლებლობა მოგვცა კალმოტაუის გამოყენებით ტორფიანი ჭაობები ამოგვეშრო. რიონს ყოველ წელიწადს შეაქვს ზღვაში ცამეტნახევარი კუბური კილომეტრი წყალი, რომელიც შეიცავს რვანახევარ მილიონ ტონა შლამს. ამ მდგომარეობით ვისარგებლეთ და მივუშვით მღვრიე, შლამიანი რიონის წყალი არხებით გასაშრობ ადგილებზე, რომ გაწმენდილი წყალი გაგვეშვა ტბაში რაბის გავლით. შლამი კი რჩება და ავსებს ჭაობნარს. ამრიგად, ჩვენ ხელოვნურად ვამაღლებთ ნიადაგის დონეს, რომ წყალდიდობებისაგან გადავარჩინოთ იგი.

— რატომ მაინცადამაინც ფოთის რიონში დაიწყეთ პირველი სამუშაოები? — ვკითხე დიდენკოს.

— იმიტომ რომ ფოთი და მისი არემარე ყველაზე მეტად ზიანდებოდა წყალდიდობისაგან...

ჩამოვარდა წუთიერი სიჩუმე. ჩემთვის, რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენი იყო ამ ყანების, ბაღების და პლანტაციების ადგილას ჯუნგლების და ჭაობების არსებობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყმაწვილობისას მატარებლის ფანჯრიდან მინახავს ის ჭაობები, რომლებზედაც ახლა დიდენკო მიყვებოდა.

— მე მახსოვს პაუსტოვსკის ჩამოსვლა, — დაარღვია წუთიერი დუმილი დიდენკომ, — მასალას აგროვებდა თავისი მომავალი წიგნისათვის. ის მაშინ ჭალადიდში ცხოვრობდა. ქვალონში კი, სადაც მე ვიყავი, არ ჩამოსულა. ოცდაათიოდე კილომეტრი გვაშორებდა ერთმანეთს. ჩვენ არ შევხვედრივართ, მაგრამ მან რატომღაც გადაწყვიტა, რომ მე მოხუცი მეცნიერი ვიყავი და თავის წიგნში პახომოვის გვარით გამომიყვანა. ბოლოს და ბოლოს ეს, რასაკვირველია მისი საქმეა, მწერლის საქმე...

დიდენკო ჩაფიქრდა და დაუმატა:

— ახლა სხვა დროა და ძლიერმა, ჭკვიანურმა ტექნიკამ სამუშაოც გაგვიადვილა.. .მარტო ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ოცდაოთხი ათასი ჰექტარი ახალი მიწა ამოვაშრეთ, მაშინ როდესაც სამოცი ათასი ჰექტარის ამოშრობას მოუნდა არც მეტი, არც ნაკლები — ოცდაათი წელი... აბა, კარგად დაფიქრდით! ციფრები თავისთავად ლაპარაკობენ... ახლა ხალხი აიღეთ! მაგა-

ლითად ინჟინერი ბონდო კვატაშიძე.

— თქვენ კოლხიდმშენის მმართველს ხომ არ გულისხმობთ?

— სწორედ მასზე მოგახსენებთ... ბონდომ ახლახან მოათავა ხიმინჯების ჩასარჭობი თვითმსვლელი აგრეგატის კონსტრუირება. ეს აგრეგატი სულ ადვილად არჭობს გრუნტში რვამეტრიან ხიმინჯს. შესანიშნავი მანქანაა ასაგებად და ნაპირების გასამაგრებლად... ბონდო ჯერ სულ ახალგაზრდაა, სწორედ იმ წელს დაიბადა, როდესაც აქ ჩამოვედი სამუშაოდ... ჩვენი მუშაობის დასაფასებლად საკმარისია ვთქვათ, რომ ენგურის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც შეიქმნა ამომშრალ ჭაობზე, ყოველწლიურად სახელმწიფოს აძლევს ჰექტარიდან ხუთი ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს... არაფერს ვამბობ მეურნეობის დანარჩენ პროდუქციებზე. ჩვენი ოცნება აღსრულდა — კოლხიდა მართლაც აყვავებულ ბაღნარად ვაქციეთ. აბა, შეხედეთ ამ მშვენიერებას!

ევკალიპტების ხეივანში მივდიოდით. ამ ცათამბჯენებს თვალს ვერ აუწვდენდი. ესენიც გვეხმარებიან ჭაობების ამოშრობაში. დღე-ღამის. განმავლობაში ფანტასტიური ოდენობის წყალს იწოვენ ჭაობიდან, — თქვა დიდენკომ.

ფოთში იმავე გზატკეცილით ვბრუნდებოდით. გზა პარკის ხეივანს მაგონებდა. ირგვლივ თვალუწვდენელი ჩაის პლანტაციები იყო გადაშლილი. ჩაის მწვანე რიგები მარაოსავით ვიწროვდებოდნენ შორს მიმავალნი, თითქოს ცის ლურჯ დასალიერს ეჭირა ისინი ხელში.

საათის ისარი შვიდს უახლოვდებოდა, როდესაც ფოთში ჩავედით. მანქანა მანქანების პარკის წინ შედგა. სამუშაო დღე ის იყო დამთავრდა და მშენებლები ზოგნი სასადილოში მიდიოდნენ, ზოგნი შინ, ზოგიც (უფრო ახალგაზრდები) კლუბში. პარკში სკრეპერები, ბულდოზერები და სხვადასხვა ჯურის ამწეები იდგა. მანქანებთან ჯანსაღი, მზით გარუჯული ბიჭები ფუსფუსებდნენ, უფრო სპორტსმენებს ჰგავდნენ, ვიდრე მექანიზატორ-მშენებლებს. ყოველი მათგანი მოწიწებით ესალმებოდა დიდენკოს.

— გაიცანით, — დიდენკომ ხანში შესული, ენერგიული კაცი გამაცნო, მიხეილ შუბლაძე, კოლხიდმშენის სამმართველოს ხობის სამშენებლო უბნის უფროსი, ვეტერანი. შუბლაძეს ოცდაათიანი წლებიდან ფეხი არ მოუცვლია აქედან. ახალგაზრდა სპეციალისტად მოვიდა რიონის წყალსასრუტის მშენებლობაზე, ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოებსაც ხელმძღვანელობდა. პირველი რიგის თითქმის ყველა უბანში უმუშავნია.

— თვითონ მოხვედი მანქანის ამოსარჩევად, სხვას არ ენდობი? — ხუმრობით ჰკითხა მიხეილს დიდენკომ.

— სწორი ხარ. უკეთესია თვითონ ავირჩიო, შევადარო.

დიდენკომ შემომატარა პარკი. ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდი იქ და არა მარტო მექანიზატორებს, მებეტონეებსაც: მელიორაციულ სამუშაოებში ახლა ფართოდ იყენებენ რკინა-ბეტონს.

— ოთარ თუნგია, გიორგი უჩანეიშვილი, ივანე დედიშევი, გიორგი ხოჭოლავა, რევაზ გეგენავა, გიორგი ალანია, იური ლუტიკოვი... ყველას ვერ ჩამოვთვლით. ესენი ჩვენი საუკეთესო სპეციალისტები არიან, დიუკერების შემწოვი ტუმბოს მშენებლობაზე მუშაობენ, გაყავთ გზები, თხრიან არხებს, ცვლიან მდინარის კალაპოტებს, ცვლიან ცხოვრებას. აბა ჩვენ, ოცდაათიანი წლების ხალხი როგორ შევედრებით ამ კოსმიურ გმირებს. მაგრამ ჩვენ მაინც დავრჩით კოლხიდის პირველ მშენებლებად.

დიდენკოს სულ უფრო და უფრო იტაცებდა თავისივე ნაამბობი, როგორც მსმენელთა ენთუზიაზმი კარგ ორატორს.

— აქ საჭიროა საქმის ნამდვილი ვირტუოზები. აი, მაგალითად, უზის საჭეს ჯანსაღი, ნამდვილი ვაჟკაცი, უზის და თხრის მაგისტრალურ არხს. ოდნავი არასიზუსტე და არხი მრუდე გამოვა. ეს დაუშვებელია! არხის ფსკერი და კედლები იდეალურად სწორი და ბრტყელი უნდა იყოს...

## გოლიათ ლაკერბაი

„კოლხიდმშენის“ მთავარი ინჟინრის, გოლიათ ლაკერბაის კაბინეტში, უნდა გამოგიტყდეთ, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შევედი: საინტერესოა, როგორ გამოიყურება ის კაცი, ვინც ასეთ სახელს ატარებს?.. კაბინეტში შემომეგება მართლაც გოლიათი, რომელმაც სენკევიჩის ისტორიული რომანების გმირები მომაგონა. არა მარტო ფიზიკური ძალა მეცა თვალში, არამედ მისი გონებამახვილობაც, საქმიანობაც. მკითხა, როგორ მოგეწონათ კოლხიდა, ვინ ნახეთ, ვინ გაიცანითო.

— თქვენ გაინტერესებთ ჩემი საქმიანობა უკანასკნელ ხანებში?.. ძირითადში გართული ვარ არხების რეკონსტრუქციით, დიუკერებით—მიწის ქვეშა გვირაბებით. ბევრი რამ გავაკეთეთ უკანასკნელი წლის განმავლობაში. დამთავრებულია დიუკერები მდინარე ცივზე, ტეხურზე და ნოღელაზე. დამთავრებულია რკინაბეტონის სამუშაოები. მდინარეები ჩვეული გზით მიედინებიან, გადებულია ხიდები, მდინარის კალაპოტს ქვევით, მიწაში კი დიუკერებში მიდის ნაწვიმარი წყლები. მთავრდება მშენებლობა მიმწოდებელი არხებისა და გამმაგრებლების წესრიგში მოყვანა.

იმისათვის რომ ნათესები და პლანტაციები მოირწყას, დიუკერებზე წყლის მიმღებები ეწყობა, რომლებიც უშუალოდ მდინარისაგან მიიღებენ წყალს და შემდეგ ეს წყალი სარწყავ ქსელში მიედინება, იქიდან კი მექანიზმების მეოხებით იგი წავა პლანტაციების მოსარწყავად.

ცხენიწყლის სარწყავი სისტემა თხუთმეტ ათასზე მეტ ჰექტარ მიწას რწყავს წულუკიძის რაიონში. ირწყვება სამი ათას სამასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია მახარაძისა და წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობებში.

ჩვენი საუბარი შესწყვიტეს. კარი გაიღო და ოთახში შემოიჭრა ქერათმიანი წარმოსადეგი მამაკაცი.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — მოკრძალებით მოგვმართა მან.

— შემოდი, შემოდი, — უთხრა ლაკერბაიმ და მომიბრუნდა.

— გაიცანით, ხობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხანაგი ალტაევი.

— ბოდიში, ეს ის... — მორიდებით დავიწყე მე.

— ხო, ხო, სწორედ ის არის, საქვეყნოდ ცნობილი ვატერპოლისტი რუსლან ალტაევი. როგორც ხედავთ, ფოთი სამშობლოა არა მარტო ცნობილი ფეხბურთელების, არამედ ვატერპოლისტებისაც.

შემოვიდა სათვალებიანი გოგონა და დახეთ ჩემს გაკვირვებას: პირდაპირ მომმართა:

— თქვენ ბონდო კვატაშიძე გელით.

— ტრესტის მმართველი გთხოვთ, — ამიხსნა ლაკერბაიმ.

მაშინვე მივხვდი, რომ სწორედ ის კაცი მეძახოდა, რომელიც იმ წელს დაიბადა, რა წელსაც დიდენკომ აქ მუშაობა დაიწყო.

— ჩვენი საუბარი გადავდოთ, — მითხრა ლაკერბაიმ...

## ბონდო კვატაშიძე

მმართველს კარგად გაუთოვებული, ელეგანტური შავი კოსტუმი ეცვა, თითქოს დიპლომატიურ შეხვედრისათვის ემზადებოდა, მიცდიდა. კაბინეტში შევედი თუ არა, წამოდგა, მომეგება, ხელი ჩამომართვა, დასაჯდომად მიმიპატიჟა. მერე მაგიდიდან ჯოხი აიღო და მთელ კედელზე ჩამოკიდებულ „კოლხიდმშენის“ სამშენებლო ობიექტების ქარტისკენ მიბრუნდა. ეტყობოდა, ბევრი საქმე ელოდა და უნდოდა საუბარი მალე დაემთავრებინა.

— დავიწყოთ, ხომ? — მკითხა.

— დიახ, დრო ცოტა გვაქვს თქვენაც და მეც.

მმართველი თავისუფლად, საქმის შესანიშნავი ცოდნით ლაპარაკობდა:

— კოლხეთის დაბლობის ორასოცდათასი ჰექტარი მდებარეობს დასავლეთ

საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე. კლიმატი, როგორც მოგეხსენებათ, სუბტროპიკულია, ხოლო წლიური საშუალო ტემპერატურა — თხუთმეტი გრადუსი. პატარა ყინვები ხუთ წელიწადში ერთხელ თუ გამოერევა. სოფელ კოდორში და მდინარე რიონზე ძევს ევროპული სითბოს პოლუსი.

ფანჯარაში გაიხედა, რუკის წინ გაიარ-გამოიარა, მერე შედგა და საუბარი განაგრძო:

— კოლხეთის დაბლობი დასერილია მდინარეებით. რიონს თქვენ კარგად იცნობთ. კოდორის შესახებ წაგიკითხავთ ალბათ გორკის მოთხრობა „ადამიანის დაბადება".

— სოხუმში გავიზარდე, — შევნიშნე მე.

— მით უმეტეს, თუ სოხუმელი ბრძანდებით. ალბათ, კოდორს კარგად იცნობთ... ნალექების სიუხვე, წყალდიდობა. მდინარეშუა რაიონების წყლით დაფარვა, ახლომახლო მთებიდან ჩამომსკდარი ნიაღვრები — აი, რატომ დაჭაობდა.ასე კოლხიდის დაბლობები. კოლხეთის ამომშრალი მიწა ყველაზე უფრო ხელსაყრელი და პერსპექტიული რაიონია ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსაყვანად.

ბონდო დაჯდა, ჯოხი მუხლზე დაიდო და განაგრძო:

— თქვენს აქ ყოფნაში, ალბათ, გაიგებდით როგორ მიმდინარეობდა მუშაობა ჭაობების ამოსაშრობათ, რა არის გაკეთებული და კიდევ რა დარჩა გასაკეთებელი. ასე რომ ამ საკითხზე არ ვილაპარაკებ. მხოლოდ ერთი რამ მინდა შევნიშნო, რომ აშენებულია ორას ოთხმოცზე მეტი კილომეტრი წყალშემკავებელი ჯებირები, რომლებიც რიონს კალაპოტიდან გადასვლის საშუალებას არ აძლევენ. აგრეთვე ხობის და სხვა მის შენაკად მდინარეებზეც აშენებულია ჯებირები. გაყვანილია სამოც კილომეტრზე მეტი არხი მთებში ნიაღვრის სწორ გზაზე დასაყენებლად. გაყვანილია წყალსაწრეტი არხები და კოლექტორულ-შემგროვებელი არხები მთელ სამელიორაციო ფართობზე, აგრეთვე გაყვანილია მშვენიერი გზები.

ბონდო დაფიქრდა და კვლავ განაგრძო:

— ერთი-ორი სიტყვით მინდა დავუბრუნდე ისტორიას... უძველეს დროიდან კოლხეთი უმდიდრეს ქვეყნად იყო ცნობილი მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობით, ვაჭრობით, ხელოსნობით, ბერძენი ისტორიკოსები და გეოგრაფები ალტაცებას გამოთქვამენ თავიანთ შრომებში მის ზღაპრულ სიმდიდრეზე და მაღალ კულტურაზე. გაიხსენეთ არგონავთები, ოქროს ვერძი, განვითარებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად, მაღალ დონეზე იდგა ტექნიკაც. კარგად იყო განვითარებული ფოლადის წარმოება და მედიცინა. ქება-დიდება კოლხეთის ხილეულობაზე — ვაშლზე, მსხალზე, ლეღვზე და პურის უხვ მოსავალზე ცნობილი იყო მთელს მაშინდელ მსოფლიოში. მაგრამ დროთა განმავლობაში კლიმატი იცვლებოდა. დაიწყო ჭაობიანობა... და ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა...

ბონდო კვატაშიძეს საუბარი ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა.

— ცოლი მირეკავს, ბოდიშს ვიხდი, ერთი წუთით!

ეს არ იყო კერძო, ოჯახური საუბარი. შუშანა ნარსიაც, ბონდოს მეუღლე „კოლხიდმშენის" სისტემაში მუშაობს. ტელეფონით ლაპარაკი სწრაფად მოთავდა. ბონდომ ყურმილი დადო და მომიბრუნდა:

— კიდევ ბოდიში, მაპატიეთ... განვაგრძოთ საუბარი. თქვენ უკვე იცით კოლხეთის დაბლობის გაჭაობიანების და წყალდიდობის სამი მიზეზი და ამასთან ბრძოლის სამი სახეობაც, რომელთა წყალობითაც შევძელით ჭაობიანი ტერიტორიის თითქმის ნახევარი ნაწილის დაშრობა.

ახლა ჩვენ ვაბარებთ ოცდაერთ კოლექტიურ მეურნეობას. მათ შორის — თხუთმეტი ჩაის, სამი სუბტროპიკული კულტურების და კიდევ სამი რძისა და ბოსტნეულის. დამთავრდა ამომქაჩავი

სადგურის მშენებლობა, რომელიც ზღვაში გადაისვრის ნიაღვრის წყლებს, ფოთის ციტრუსოვან მეურნეობიდან.

დამთავრდა აგრეთვე საინჟინრო კომპლექსის მშენებლობა, რომელიც განზე გაიყვანს ნიაღვრის წყლებს ჯებირებით გარშემორტყმულ მიწებიდან. ასეთებია: ნოღელა-ცხენისწყალი, აბაშა-ნოღელა და ცივა-ტეხური. მათთვის გაშენებულია დიუკერები ნოღელასა, ტეხურსა და ცივას კალაპოტებქვეშ.

...ასეთია ამჟამად მდგომარეობა. პრიმიტიულ მხატვრის — ბეჩოს ოცნება, რომელიც ასე დამაჯერებლად აღწერა პაუსტოვსკიმ — დღეს უკვე განხორციელდა და სინამდვილედ იქცა...

## პალიასტომელი რობინზონ კრუზო

დილის რვა საათზე გიორგი ჯაფარიძესთან ერთად პალიასტომისკენ გავემგზავრე.

ცა შავი, მრისხანე ღრუბლებით იყო დაფარული, ცრიდა. მანქანა ნელა მიდიოდა. გიორგი ჯაფარიძე არაფრად აგდებდა წვიმას, მხიარულად მიამბობდა თავისი წარსული მუშაობის ამბავს კოლხიდის მშენებლობაზე. უცებ შეწყვიტა საუბარი, რაღაც მოაგონდა:

— ერთხელ ჩვენი ექსკავატორი ჭაობში ჩაეფლო. მოვიყვანეთ ტრაქტორი, მაგრამ როგორ მიგვეყვანა ექსკავატორთან? ისიც ხომ ჭაობში ჩაეფლობოდა... წნელის ჩელტები დავუფინეთ ტრაქტორს. ბევრი ჩელტის დაფენა მოგვიხდა. როგორც იქნა მივიყვანეთ ტრაქტორი ექსკავატორთან, გამოვაბით ტრაქტორს ექსკავატორი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ადგილიდან ვერ დაძრა. ჩელტებიც და ტრაქტორიც ჭაობში ჩაეფლო. მოვიტანეთ ჩელტების მეორე ლეიბი, შემდეგ მესამე და ასე, დიდი ტანჯვითა და ვაივაგლახით თითო-თითოდ ამოვათრიეთ ჭაობიდან ექსკავატორის ნაწილები. ახლა, რასაკვირველია, აქ მუშაობა ადვილია. ისეთი მექანიზაცია გვაქვს, რომ ჭაობი მისი შიშით მიწის სიღრმეში იპარება, — იხუმრა გიორგიმ.

ღრუბლებიდან მზემ გამოანათა და წამსვე, როგორც ზღაპრულ სარკეში, ყველაფერი შეიცვალა ჩვენს ირგვლივ: ალაპლაპდა, ათამაშდა, უფრო მკვეთრად გამოკრთა ხეების სიმწვანე. მაგნოლიის ფოთლებზე შერჩენილი წვიმის წვეთები ალმასივით აკამკამდა. ჩვენს გვერდით დინჯად მიდიოდნენ ხელიხელგადახვეული ქალიშვილი და ჯარისკაცი. მიჰქროდნენ მსუბუქი და სატვირთო მანქანები, ავტობუსები.

— ეს გზატკეცილი ქობულეთამდე მიდის... აი მდინარეებიც კაპარჭა და მალთაყვა, რომლებიც უდიდეს ზარალს აყენებდნენ ძველად ფოთის მოსახლეობას. მაგრამ ადამიანებმა ისინი მოთრგუნეს, მოაშინაურეს, გამოწაფეს. ახლა საშიში აღარ არიან. აი, ტბაც!

პალიასტომის ტბა! რამდენი ლეგენდა გამიგონია ამ ტბის შესახებ! და აი ახლა ვიდექი მის წინ. მისი მძლავრი, ფაფარაყრილი ტალღები მრისხანედ ეხეთქებოდნენ ნაპირს. ალვის ხეების გრძელ რიგს ნიავი აშრიალებდა, მათი ვარჯები ერთმანეთს ეხვეოდნენ.

შორს, ჰორიზონტზე გაწოლილიყვნენ ლურჯი მთები. ისინი ზოოპარკის გაზარმაცებული ლომებივით იწვნენ.

— ერთი აი ამ სოფელს შეხედეთ! — გიორგიმ მალთაყვისპირა სოფლისკენ მიმახედა. თეთრი კირით შელესილი პატარა სახლები, ევკალიპტები, ხეხილის ბაღები, ხეების ტოტებზე შემოხვეული ვაზი „იზაბელა“, ვაზი ეხვეოდა სახლის აივნის ბოძებსაც. სახლების უკან, მდინარეში ხეზე მიბმული იყო ძრავიანი ნავები, რომლებშიც საქმიანად ფუსფუსებდნენ რეზინის ჩექმებიანი ყმაწვილები. ღობეებზე გასაშრობად გაფენილი იყო სათევზაო ბადეები. ღონიერი, ბრგე, ჩასხმული, წვერიანი მამაკაცები ღირეებს აკეთებდნენ. ადამის დროინდელ სარაფანებში და ძველებურ კაბებში გამოწყობილი, ლამაზი ყვავილებით მოჩითულ თავსაფრიანი ქალები ეზოში და აივნებზე ფუსფუსებდნენ. ჩემთვის ეს სრულიად უცნობი სამყარო იყო, ეს სოფელი სხვა სოფლებს არაფრით არ

ჰგავდა. --- სტაროვერები არიან, ძველი სარწმუნოების მოსავნი! რამდენიმე ათეული წლის წინათ მოვიდნენ რუსეთის შუაგულიდან და აქ დასახლდნენ. ცხოვრობენ კარჩაკეტილად, როგორც მათი წინაპრები — რელიგიური სექტის წევრები. ისე სიმართლე რომ ვთქვათ, ნამდვილი მშრომელები არიან! უყურებ მათ შრომისმოყვარეობას და აღტაცებაში მოდიხარ. ვაჭრობენ თევზით, ღვინით, რძით. ქალები და ხნიერი მამაკაცები იცვამენ ისე, როგორც მათი წინაპრები ასი წლის წინათ. ტორფის წარმოებაში მუშაობენ. ახალ, ჯერ დაუსახლებელ, ამოშრობილ მიწაზე მოჰყავთ სიმინდი, ლობიო. შესანიშნავი მეთევზეები არიან. დიდძალ თევზს აბარებენ სახელმწიფოს, ხოლო მათი შვილები, უმეტესად ვაჟები --- შეუდარებელი მეზღვაურები გამოდიან. მაგრამ ნათქვამია, ყოველი ციხე შიგნიდან ტყდებაო. ისეა ამ სტაროვერებშიც: მათ შვილებს არ უნდათ პაპისეული და მამისეული კანონებით ცხოვრება. პაპები და მამები უძლურები არიან, ხელს ველარ უშლიან. ახალი ცხოვრება სპობს ყოველივე ძველსა და დრომოჭმულს. ახალი ცხოვრება ახალი ტექნიკის მაგვარია, რომელიც აშრობს ძველი კოლხეთის ჭაობს... აქ უძლურია ძველი, დაუწერელი კანონები.

მოვიდა მოტორიანი პატარა ნავი. მოტორისტი შონია ბოდიშს იხდიდა დაგვიანებისათვის, გიორგი კი სდუმდა. ჩავსხედით ამ პატარა ნავში, ჩავუარეთ ტურბაზას. ტურისტები პლაჟზე მზის აბაზანას ღებულობდნენ, მზეზე იხრუკებოდნენ.

გავიარეთ სოფელი მალთაყვა, მოხუცებს ყურადღება არ მოუქცევია ჩვენთვის, ახალგაზრდები ცნობისმოყვარეობით გვიყურებდნენ. რეზინის ჩექმებიან ერთ ყმაწვილს ჯინსი ეცვა. ფოთში ბევრია უცხოელი მეზღვაური. ისინი ნახევარ ბოთლ არაყში მზად არიან მისცენ არამც თუ ჯინსი, პერანგიც კი. ზოგი ყმაწვილი ნავში იჯდა, ზოგი გულაღმა იწვა. უკრავდნენ აკორდეონს. ზოგიც ტრანზისტორს უსმენდა, თან კარტს თამაშობდა. ერთ ეზოში ქალი ჭიდან წყალს იღებდა.

ცოტა ხანში სტაროვერების სოფელი უკან მოვიტოვეთ და არხში შევედით.

წყალი, წყალი, წყალი!

წყალი მიჰქროდა არხებში ისეთი სიჩქარით და გახელებით, თითქოს უნდოდა ყველაფერი გადაეყლაპა გარშემო. რომ გამოგიტყდეთ, ცოტა არ იყოს, შევშინდი. არხს ორივე მხარეს გასდევდა ტორფის კუნძულები და შამბნარი. ადამიანზე უფრო მაღალ ლერწამს ქარი არხევდა... ჯუნგლები, ტორფი, ლელიანი... და ასე დაუსრულებლივ! აი, ერთად-ერთი, ობლად დატოვებული ექსკავატორი. ძველთაძველი, პატარა, სასაცილო ექსკავატორი იყო. ჩვენ ისე ახლოს მივცურავდით მისგან, რომ ფირმის გაყანგული მარკაც გავარჩიე. ექსკავატორი შვედური წარმოებისა იყო. ალბათ ჭაობების ამოშრობის დაწყების პირველ დღიდანვე მუშაობდა აქ.

ისევ გაუვალი ჯუნგლები. ეს ჭაობები ამოსაშრობად უარყოფილია, რადგან მათი ნიადაგი უვარგისადაა ცნობილი. ეს ჭაობები და ლელიანი ასევე დარჩებიან, როგორც აქამდის, უსარგებლოდ. მაგრამ არხების წყალობით ისინი არ გააუარესებენ კლიმატს. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო მაფიქრებდა: საით ან რატომ მივცურავთ?

— რობინზონ კრუზოს კუნძულისკენ მივცურავთ, — სიცილით მითხრა გიორგი ჯაფარიძემ. იქნებ განგებ გამომიტყუა აქეთ, რომ მიჩვენოს რა გიგანტური არხები გაუთხრიათ ამ გაუვალ ჭაობებში. ჯაფარიძემ მალე დააკმაყოფილა ჩემი ცნობისმოყვარეობა. ერთი მოარული ლეგენდა მიამბო:

— ეს მოხდა 1943 წლის ბოლოს. მწუხარება და ნაღველი იყო დასადგურებული ყოველ ოჯახში. ბავშვებიც კი გადაეჩვიენ ღიმილს. მაგრამ მუშაობით ყველა მუშაობდა, ღრმა მოხუცებიც კი. გაცხოველებული ომი მიმდინარეობდა, მაგრამ სტალინგრადის ბრძოლის შედეგმა აღაფრთოვანა და იმედით აღავსო ყველა.

ზესტაფონის ახლოს, სოფელში ფრონტიდან ჯარისკაცი დაბრუნდა. დაჭრილი იყო, ბრძოლისთვის უვარგისი. ნაღვლიანი, შეწუხებული თავისი ბედით ოჯახს უბრუნდებოდა. უბრუნდებოდა დედას, ცოლს და ერთადერთ შვილს — ბიჭიკოს, რომელიც ჯერ არ ენახა. მაგრამ საშინელი ამბავი დახვდა შინ: ცოლი და ბავშვი მძიმე ავადმყოფობას გადაჰყოლიან, ორი ძმა ფრონტზე დაღუპვია, მოხუცი დედა ჭკუიდან გადასულა და ჯავრით თავი დაუხრჩვია. მეზობლები გულთბილად შეხვდნენ მეომარს, მზად იყვნენ ყველაფრით დახმარებოდნენ, შეემსუბუქებინათ მწუხარება, გაეზიარებინათ მისი ჭირ-ვარამი, მაგრამ ჯარისკაცმა ვერ გასძლო შინ, რა გააჩერებდა იმ სახლში, სადაც ერთი ახლობელი აღარ დახვდა ცოცხალი! მიატოვა მშობლიური კერა, გაექცა აუტანელ დარდს, მაგრამ შვილის, დედის, ცოლის და ძმების ჯავრი თან გაჰყვა.

გადიოდა წლები, დამთავრდა ომი, ქვეყანა მძიმე ჭრილობებს იშუშებდა. მოვიდა ახალი ცხოვრება. შვებით ამოისუნთქა ხალხმა. სოფელში აღარავის ახსოვდა ჯავრისა და მწუხარებისაგან გაქცეული ჯარისკაცი. და აი, უცებ ფოთში უცნაური ხმა გავარდა: პალიასტომის ერთ პატარა კუნძულზე ვიღაც გატყიურებული კაცი ცხოვრობსო. შეიქნა მითქმა-მოთქმა. დაირხა ათასი ჭორი, მაგრამ ჭორი მალე უკუაგდეს და სინამდვილეს შეხედეს თვალში. სოფლიდან გაქცეულ ჯარისკაცს ამ კუნძულზე დაუდვია ბინა, აქ უცხოვრია ოცდახუთი წელიწადი ხალხისგან განდგომილს, აქ ებრძოდა მარტოდმარტო დარდსა და ვარამს. წელგაუმართავ შრომაში იკლავდა გულის ჯავრს. ოცდახუთი წლის ჯაფამ ის ჭაობიანი, გამოუსადეგარი კუნძული ედემად აქცია. იმ შრომის კაცს ილიკო ერქვა.

ორმოცდასამი წლის იმ ნაღვლიან საღამოს ილიკო შინიდან პირდაპირ ზესტაფონის რკინიგზის სადგურზე გავიდა, ჩაჯდა პირველ მატარებელში და დილით ადრე ფოთში ამოჰყო თავი. არავის ნახვა, არაფრის გაგონება არ უნდოდა, მისითაც არავინ დაინტერესებულა, არც არავის იცნობდა ფოთში. მაგრამ ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდა გაგონილი, რომ კოლხეთში უკაცრიელი კუნძულები იყო. საღამო ჟამს გამოვიდა ტბის ნაპირას, იაფად იყიდა ერთ-ერთი მეთევზე სტაროვერისაგან ძველი ნავი, ჩაჯდა შიგ და მოუსვა ნიჩბებს, შევიდა არხში, დიდხანს მიცურავდა და ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია ერთ პატარა კუნძულს. შეიძლება განგებაც აირჩია ეს მწირი კუნძული, იმიტომ რომ არ უნდოდა სიცოცხლე.. არ უნდოდა არაფრის გაკეთება, ერთადერთმა სურვილმა დაისაკუთრა მთელი მისი არსება — სიკვდილს ეძებდა... მაგრამ თანდათან გამოერკვა, უსაქმოდ ვერ გაჩერდა, ვერ მოისვენა, ცხოვრებამ თავისი მოსთხოვა და ბოლოს შრომას მოჰკიდა ხელი.

მართლა ასე იყო ეს ამბავი თუ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ, ვერ გეტყვით, არავინ არაფერი იცოდა ამ „რობინზონ კრუზოს“ წარსულის შესახებ, თვითონ ხომ არა და არ უყვარდა თავისი წარსულის მოყოლა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის იყო, რომ ილიკომ ეს მწირი კუნძული, ცხოვრებისათვის უვარგისი კუნძული ედემის ბაღად, ან როგორც იტყვიან, ელდორადოთ აქცია.

დაიწყო ნიადაგიდან. ახლო მდებარე კუნძულებიდან მოჰქონდა მიწა, დღე და ღამე მუშაობდა, პანტას, მაყალო ვაშლსა და მცენარეულობას ჭამდა. იჭერდა თევზს, კლავდა ნადირს, სტაროვერებს უცვლიდა ნანადირევს და თევზს სასუქზე, თესლზე, ნერგებზე. დაიდგა ფაცხა. ერთი-ორი წლის შემდეგ, როცა დარწმუნდა ნიადაგის გაუმჯობესებაში, დაიწყო თესვა, ხეხილის დარგვა, მოაშენა ჩაისა და ციტრუსების პატარა პლანტაცია, გაიჩინა ფუტკარი. ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ნიადაგის განოყიერება. ყველა ეს ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა, მძიმე სამუშაო იყო, თითქმის აუტანელი.

სასუქს ქალაქში ყიდულობდა, სამუ-

შაო იარაღსაც იქ იძენდა. არავინ არ აქცევდა ყურადღებას, ქალაქის მცხოვრებად მიაჩნდათ.

ერთხელ ბედმა გაუღიმა. ქალაქში ობოლ გოგოს შეხვდა, მოეწონათ ერთმანეთი და ის ობოლი გოგო კუნძულზე გაჰყვა.

დაქორწინდნენ. ქორწილში მიწვეული იყვნენ მთვარე, ვარსკვლავები, ნორჩი ხეები, ილიკომ რომ დარგო, ვარდის ბუჩქები, ფრინველები, შამპანურიც კი იყიდა ილიკომ ამ დღისთვის, ღვინო ხომ ჰქონდა, შესანიშნავი, ახალი მოსავლის „იზაბელა“. პატარძალი სულ თეთრებში იყო გამოწყობილი, წარმოიდგინეთ გვირგვინი და მანდილიც კი ეხურა. ილიკომ მაღალქუსლიანი თეთრი ფეხსაცმელი უყიდა. ერთი სიტყვით, ისე როგორც მიღებულია პატივცემულ ტრადიციულ, შეძლებულ ოჯახებში. ალიონზე შევიდნენ ფაცხაში და ამ დღიდან დაიწყო ადამისა და ევას ნამდვილი ცხოვრება ამ პატარა კუნძულზე...

ორი წლის შემდეგ ილიკომ მშვენიერი ოდა აიშენა, თავისი სამზარეულოთი. ძველი ქოხი კი საწყობად აქცია. მარანიც დაიდგა, სასიმინდეც. გაჩნდნენ ბავშვები. ახლა ცხრა შვილი ჰყავთ. ცოლიც ისეთივე მშრომელი გამოდგა, როგორიც ქმარი იყო, ორ მშრომელ ადამიანს კი მთების გადაბრუნება შეუძლია, არამც თუ ოჯახის შექმნა და ბავშვების აღზრდა. რა თქმა უნდა, ბევრი მძიმე დღეებიც ელოდათ წინ, მაგრამ ჯანსაღი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა ცოლ-ქმრისათვის, რომლებსაც უყვარდათ ერთმანეთი და ცხოვრება, სიძნელეები უფრო საქორწინო საჩუქრებს ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ სიდუხჭირეს. ისევ ძველებურად კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ, არავინ არაფერი იცოდა მათი კუნძულის შესახებ. ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ღვთისაგან წყეულ ადგილში ვინმეს შეეძლო ცხოვრება? განდეგილებიც კი უკეთეს ადგილს, სადმე ბუნების წიაღში ოაზისის ახლო მდებარე გამოქვაბულს ირჩევდნენ.

ასეთია ამბავი იმ კაცისა, რომელთანაც მივიჩქაროდით „ყველა იალქნების აშვებით“. ბოლოს, როგორც იყო გამოჩნდა „აღთქმული მიწა“... არც ტამტამების ხმაური, არც ველურების ყიჟილი, არც ნახევრადტიტველი აბორიგენები, რასაკვირველია, არ შემოგვეგებნენ.

მივედით მწვანედ დაბურულ ტევრში. ტოტებით ერთმანეთში ჩახლართული უზარმაზარი ხეები სახურავივით ფარავდნენ ნავსაბმელს, ქვით ლამაზად შემოღობილ ნავმისადგომზე. საშუალო ტანის ფეხშიშველი, წვერმოშვებული ხანში შესული მამაკაცი იდგა და კეთილი ღიმილით გველოდა. ეს იყო ამ კუნძულის მფლობელი — ილიკო. მან ჩვენი ნავი პალოზე მიაბა და ხელი ჩამოგვართვა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს მშვიდობის კუნძულზე! — ხუმრობით გვითხრა მასპინძელმა.

გიორგიმ ჩემი თავი წარუდგინა, უთხრა რომ მწერალი ვარ.

— ოღონდ ჟურნალისტი და მეგაზეთე არ გამაგონო და სხვაზე ყველაზე ყაბულსა ვარ! მართლა ჟურნალისტი ხომ არ ბრძანდებით? — შიშნარევი ღიმილით მომმართა ილიკომ და გამაფრთხილებლად თითი მაღლა ასწია. მაგრამ როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, დაწყნარდა. — არ მიყვარს ეს მეტად ცნობისმოყვარე ხალხი, ლამის არის სულში ჩაგიძვრენ. იმედი მაქვს ფოტოაპარატები არ გექნებათ! — მოუბრუნდა ჯაფარიძეს და ისევ ხუმრობით დასძინა: — გადაღებები სასტიკად აკრძალულია, სტრატეგიული მნიშვნელობის კუნძულია, ჩემო ძამია, აბა როგორ გეგონა შენ!

...როგორც იყო ამ არასტრატეგიული გასაუბრების შემდეგ ფეხი შევადგით პალიასტომელ რობინზონ კრუზოს სამფლობელოში.

ნახევრად აგურითა და ნახევრად ხისგან ნაგები ლამაზი, ორნამენტებიანი, გრძელაივნიანი ოდის წინ, მშვენიერი ბაღი იყო გაშენებული, ბაღში გაუშალაშინებელი ხისგან გაკეთებული

გრძელი მაგიდა იდგა, გადაჯვარედინებული ფეხებით. სუფრის ირგვლივ სკამები იყო ჩამწკრივებული.

— ეს სუფრა ზეიმისა, ქორწილისა და ხშირი სტუმრიანობისთვისაა დადგმული, — აგვიხსნა ილიკომ .— ცუდი ტაროსი, როგორც მოგეხსენებათ, ხშირი მოვლენაა ამ მიდამოში, მაშინ მაგიდას ბრეზენტს ვაფარებთ და სეფა გამოდის, შენ ხარ ჩემი ბატონი... ჰო, მართლა, ბოდიშს ვიხდი, ცოლი და ბავშვები ფოთში არიან, ახლა ქალაქშიაც, დიდ მიწაზეც, როგორც იტყვიან, გვაქვს ბინა, ჩემი ორი ვაჟი წელს უმაღლესში აბარებს.

ეზოში ბიჭები ფუსფუსებდნენ, ზოგს „ტელნიაშკა" ეცვა, ზოგს ჯარისკაცის გიმნასტურა და ჩექმები. ილიკომ შეამჩნია რომ ჩვენ ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდით ყმაწვილებს.

— ესენი ჩემი მეგობრებია, დღეს ჩვენთან ქორწილია. იური ერთი წუთით...

ქერა, მზით გარუჯულმა ჭაბუკმა, რომელსაც „ტელნიაშკა" ეცვა, იმწამსვე მოირბინა და ჩვენს წინ მორცხვად შედგა.

— გაიცანით, იურა ცუბერა, ფრონტზე დაღუპული ჩემი მეგობრის ვაჟია. არავინ ჰყავს ამ ქვეყანაზე, მეზღვაურია. მე და ჩემი ცოლი ვართ ამის დედაც და მამაც. თავს მოვალედ ვთვლი ქორწილი გადავუხადო იურას. რას იტყვით?

ჩვენ, რასაკვირველია, მოვუწონეთ ასეთი კარგი განზრახვა და მეტი პატივისცემითა და რიდით ვუსმენდით ჩვენს არასტანდარტულ მასპინძელს.

— დიდად გამახარებთ თუ ქორწილში დარჩებით, — მოგვმართა მორცხვობისა და გულწრფელობისაგან წამოწითლებულმა იურიმ. შემდეგ მე მომიბრუნდა და დასძინა: — ბიჭებიც მოვლენ ტრაულერიდან. — როგორც ჩანდა, იური შორიდან მიცნობდა.

გიორგის გადავხედე, მინდოდა მისგან თანხმობა მიმეღო.

— დავრჩებით, რატომაც არა, სიამოვნებით, ოღონდ ფოთში უნდა ჩაგვიყვანოთ ქორწილის შემდეგ კატარღით.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვთ, — ჩაერია საუბარში ილიკო, — საქორწინო ესკორტი ჩაგიყვანთ კოლხეთის დედაქალაქში. უკიდურეს შემთხვევაში, ჩემი კატარლა მზადაა და იმით გაგისტუმრებთ.

— მაგას რა აჯობებს, ჩემო ილიკო, დაგვავალებთ და ისაა, ეს კაცი ნარკვევს კი არა, რომანს დასწერს შენზე.

ილიკომ იჭვიანი თვალით დაბლიდან შემომხედა, თითქოს მცდიდა: მართლა შეუძლია თუ არა ამ კაცს რომანის დაწერაო. არ ვიცი, რა გადაწყვიტა გუნებაში, მაგრამ ეს კია, რომ სიტყვაც არ დაუძრავს ამის შესახებ.

ცუბერამ მოიბოდიშა და ამხანაგებისკენ გაეშურა თიკნის გასატყავებლად. ორ გრძელწვერა ზორბა ტანის სტაროვერს ხელში სარცხელები ეჭირათ და ჭურებს რეცხავდნენ.

— ახალი მოსავლისთვის ვემზადები, — აგვიხსნა მასპინძელმა. — ყოველი ჭური ორას ვედრო ღვინოს იტევს. რადგან ღვინოზე ჩამოვარდა საუბარი, ჩვენი ექსკურსია მარნიდან დავიწყოთ. ვიცი, თქვენ ტურისტებად ჩამოხვედით აქ ჩემთან, აბა ისე უბედური ილია-ვის რათ უნდა!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ილიკო, ჩვენ...

— ბოდიში, ბოდიში, ჩემო ბატონო, თქვენც სუ და მეც სუ!.. — შემაწყვეტინა ილიკომ სიტყვა.

მიუხედავად სინესტისა, რომელიც კუნძულზე მეფობდა, მარანი შიგნით მშრალი და სასიამოვნო სამყოფი იყო. კედლებზე ახალი მოსავლის ნაყოფი ეკიდა: ხახვისა და ნივრის ასხმულები. თაროებზე დიდი ხუთკილოგრამიანი ქილებით წნილეულობა იდგა. დამჟავებული და დამარილებული კიტრი, პამიდორი, ნიორი თუ წიწაკა. ჭერზე გაკვამლული ხმელი სულუგუნი, ტარანი და შაშხი ეკიდა. მიწაში კი ჩაფლული იყო ქვევრები. ილიკომ ერთ მათგანს თავი მოხადა, ალბათ იმას, რომელიც ქორწილისთვის იყო განკუთვნილი, ჩამოიღო კედელზე ჩამოკიდებული ხრიკე, შემდეგ კალათიდან კაკალი ამოიღო, დაამტვრია. კაკალი მსხვილი იყო, მსუბუქი, სიფრი-

ფანა ნაჭუჭით. დარჩეული ლებანი ხის ჯამზე დააწყო და ხრიკეთი ღვინო ამოიღო.

— ღვინო კი არა, ცხონებაა, — თქვა ილიკომ და ხრიკე მომაწოდა. თავის დახრით გადავუხადე მადლობა, მოვსვი, გავსინჯე, როგორც დეგუსტატორმა.

არაჩვეულებრივი ღვინო იყო და მასპინძელს ვუთხარი:

— მირონის ღვინოა! ასეთს ალბათ ღმერთი სვამს ედემში.

— ღმერთი მასეთ ღვინოს რომ სვამდეს, ბიძია, ასე მთლად არ გამოლენჩდებოდა, — დაუმატა ილიკომ.

კიდევ მოვსვი, დავაყოლე ნიგოზი და ხრიკე მასპინძელს დავუბრუნე.

— რა ჯიშისაა? — იკითხა მენავე შონიამ.

— უსახელო კუნძულის ჯიშისაა, — იხუმრა მასპინძელმა და ნაღვლიანად გაიღიმა.

ილიკოს თვალში ნისლი ჩაუდგა. არასოდეს არ მენახა ასე ახლოს, ასეთი სევდა, სევდა დაკარგული დედის, შვილის, ცოლისა და ძმების.

ხრიკე ხელიდან ხელში გადადიოდა.

მასპინძელმა თაროდან ჭაჭის არაყი გადმოიღო, მაგრამ ჩვენ კატეგორიული უარი განვაცხადეთ, არ შეიძლებოდა ასეთი ღვინის ჭაჭის არყით გაფუჭება.

— სამჯერ მაქვს გამოხდილი, აპა! — თქვა ილიკომ და როგორც ჩვილს ისე დაუწყო ალერსი არყით სავსე ბოთლს.

--- ხომ არ მოგშივდათ? ეგებ წაგვეხემსებია. ახლავე მოგართმევთ ყველაფერს. რა სულელი ვარ, ღმერთო, იმ წამსვე უნდა გამეშალა სუფრა. ალბათ არ გისადილიათ. ხომ ხედავთ, რა გინდა სული და გული, ამ მარანში რომ არ იყოს შიმშილის დასაოკებლად.

მადლობა გადავუხადეთ, არ გვშია, ქორწილს დავუცდითო, ვუთხარით და ცოტა ხნის შემდეგ მარნიდან გამოვედით.

— კარგი ბიჭია ცუბერა, ჩემს უფროს ვაჟთან მეგობრობს... ხელზე დამაკვდა მამამისი, მუცელში მოხვდა ტყვია იმ უბედურს... სულით და გულით მინდა, რომ მისი შვილი მაინც იყოს ბედნიერი.

ამასობაში საღორესთან მივედით. იორკშირის ჯიშის უშველებელი ღორი ძუძუს აწოვებდა გოჭებს და ღრუტუნებდა. როგორც კი დაგვინახეს, გოჭები სირბილით გამოექანენ ჩვენსკენ და ჭყვირილი დაიწყეს: საჭმელს გვთხოვდნენ: ვაშლი გადავუგდე, მაგრამ არც კი დახედეს.

ვნახეთ ბოსელი, სკები. გაწაფული გიდივით გვიყვებოდა მასპინძელი ამ მამულის შექმნის ამბავს. თურმე ერთ დილას ილიკო ფაცხიდან გამოვიდა და რასა ხედავს? ხე აღარ ჩანს, ფუტკარი შემოსევია. ფუტკრის ოჯახი კაკლის ფუღუროში იდებდა ბინას. ილიკომ წამსვე გამოთალა სკა და შიგ მოათავსა ფუტკარი. ასე გახდა ჩვენი მასპინძელი მეფუტკრე.

ხეხილის ბაღი.

ვაშლი, ქლიავი, მსხალი, ატამი, მუშმულა, ფეიხოა. ილიკოს კარგად ახსოვს მათი დარგვისა და დამყნის დღე, საათი, თვე და წელი. ბროწეული, ბია, ხურმა ანათებს როგორც ახლად გაწმენდილი თითბერი. ხურმის ხეს ფოთოლი შემოცვენია, მხოლოდ ოქროსფერი მძიმე ნაყოფითაა მისი ტოტები დახუნძლული.

— ამ ხეებმა დამიბრუნეს, მაჩუქეს სიცოცხლე, ნება არ მომცეს მოვმკვდარიყავი! შვილივით ვუვლი მათ და ისინიც არაფერს არ იშურებენ ჩემთვის. ისე შევეჩვიე ამ მწვანე ადამიანებს, როგორც საკუთარ შვილებს.

შევედით მეორე, უფრო მოზრდილ, თითქოსდა ახლად გაშენებულ პარკში: მაგნოლიის ხეები, პალმა-ჰამეროპსები, ოლეანდრები, ბზა, დრაცენა, ფინიკი, პალმა, ტუია, ევკალიპტები; წაბლი... და ვინ მოსთვლის კიდევ რა ხე არ იყო იქ. დიდ ხეებზე ლიანასავით გაბმულიყო „იზაბელა". ცოტა იქით — მტირალი ტირიფი, ხელოვნური ტბა და პატარა კუზიანი ხიდი ამ ტბაზე. კოკის ნატეხებში აქა-იქ ჩარგულია აგავა, ზოგან ხის მორები დევს დასაჯდომად. და ისევ ყვავილები, ყვავილები, ყვავილების ზღაპრული ხალიჩა. ჰაერი ვარდ-ყვავი-

ლების დამათრობელი სურნელით იყო გაბანგული. რა ფერის ვარდსა და ყვავილს არ ნახავდით აქ: შავს, წითელს, ყვითელს, ნაცრისფერს, შინდისფერს და კიდევ და კიდევ მრავალფერს.

— ეს ჩემი მეუღლის სამეფოა. საათობით ზის აქ მარტოდ-მარტო. ჯერ კიდევ შვილის შეძენამდე შეიყვარა ეს ადგილი, ბავშვი რომ გაუჩნდა, თითქმის სულ არ გამოდიოდა აქედან. დააწვენდა ბავშვს დასაძინებლად, თვითონ კი წიგნით ხელში, ან კიდევ საქსოვით ხელში იჯდა, კითხულობდა, ქსოვდა, ოცნებობდა. ქალებს ოცნება უყვართ... მგონი კაცებსაც გვიყვარს. მე კარგ ოჯახზე ვოცნებობდი და ამისრულდა... ოჯახი ბედნიერებაა. ბედნიერება ყოველთვის სძლევს უბედურებას. ასე იყო და ასე იქნება. დასაბამიდან ადამიანი ბედნიერებისთვის იღწვის...

ნელა განვაგრძობთ კუნძულის თვალიერებას. აი ბოსტანიც. რა ბოსტნეულობა არ გინდათ, რომ აქ არ ნახოთ! სხვადასხვა ჯურისა და ფერის კომბოსტო, ჭარხალი, ბოლოკი, მწვანილი: ქინძი, ოხრახუში, ნიახური, პრასა, ცერეცო, კამა, პიტნა. ხახვი, ნიორი, სურნელოვანი ტარხუნა და ცხარე წიწმატი; ტკბილი სტაფილო და მწარე წიწაკა, პამიდორი, კარტოფილი, ბატატი, საზამთრო, ნესვი, სხვადასხვა ჯურის გოგრა, ლობიო, კიტრი. ბოსტანი შემოღობილია ჩაის მწვანე ბუჩქებით.

— ჩაის, რასაკვირველია, არ ვკრეფ... ისე დავრგე, სილამაზისა და კოლექციისათვის. — ეს კი ჩემი ვენახია! — შესანიშნავად მოვლილ ვენახთან მიგვიყვანა. ფართო, ფირუზისფერი ფოთლები, ფოთლებზე ნაკვალევი ვაზის პარფიუმერიისა: შაბის ლურჯი წერტილები. დიდი, მწვანე მტევნები, ისეთი გამჭვირვალე მარცვლები, თითქოს სხივები გადიანო მათში. სხვა ვაზებზე ციმციმებდა შავი, წითელი. ვარდისფერი მტევნები...

— აქ სხვადასხვა ჯიშის ვაზია: ჩხავერი, საფერავი, ალექსანდროული, ოჯალეში. ცოტ-ცოტაა ყველაფერი. მაგრამ ამ ნიადაგზე ისინი ძალიან განსხვავდებიან თავისი მშობლებისგან და ნათესავებისაგან... ხშირი წვიმა, რასაკვირველია, გავლენას ახდენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ღვინო მაინც კარგი დგება.

ვენახის ბოლოს, მავთულზე ორხეშუა შრებოდა ჩურჩხელა — იმერული ჯანჯუხა — თხილისა და კაკლისაგან.

ვენახი კაი ძალი იყო. მე და გიორგიმ ერთმანეთს გადავხედეთ. გვიკვირდა, როგორ შესძლო ერთმა ადამიანმა ყველა ამის შექმნა, მოვლა, ათვისება!

— აი თურმე სად ყოფილა ბეჩო, ვინ თქვა, რომ ის მოკვდაო? ვინ გაავრცელა ასეთი ჭორი? ბეჩოს გაუცოცხლებია თავისი ნახატები.

ილიკომ გაკვირვებით შემომხედა. არ იცოდა ვინ იყო ბეჩო. ალბათ არ წაეკითხა კ. პაუსტოვსკის მოთხრობა, წარმოდგენაც არ ჰქონდა. ჯაფარიძემ ეშმაკურად გამიღიმა.

და ბოლოს პლანტაციაში, სუბტროპიკულ ზონაში შევედით. პლანტაციის შუაში, პატარა მინდორზე ლამაზი ფანჩატური იდგა, ვაზით იყო გადახურული, სამი მხრით ვაზის კედელი ეკრა, ოქროსფრად ღუოდნენ მანდარინები, მოწითალო ფორთოხლები და ქარვისფერი ლიმონები. ხეებს იქით წყლის ფართო ზედაპირი მოჩანდა: არხი, მდინარე, ტბა, — ძნელი იყო ყველა ამისთვის სახელის დარქმევა.

— რას უშვრებით ამ აურაცხელ მოსავალს? — გაკვირვებით ვკითხე ილიკოს.

— სახელმწიფოს ვაბარებ, სხვათაშორის, კარგ ფასს მაძლევენ. დარჩენილ ნაწილს ბაზარზე ვყიდი, კიდევ დარჩენილსაც, — რჩება კაი ძალი — ხალხს ვაძლევ, რასაკვირველია, კარგ ხალხს ვუგზავნი მეგობრებს, მიყვარს ადამიანის გახარება. მე საკუთარი აგენტები მყავს ყველგან, მათ მშვენივრად იციან, ვის სჭირდება დახმარება, გახარება, გაბედნიერება. ჩემი ნაცნობებიდან ვისაც არა აქვს კურორტზე წასვლის საშუალება, აქ ჩამოდიან ხოლმე. მნახულობენ მეზღვაურებიც, ნავსადგურის

მუშები, ჯარისკაცები, სწავლულები, სტუდენტები, მშენებლები. მე და ჩემი ცოლი ყველას სიამოვნებით ვღებულობთ, გვიყვარს სტუმარი, ალბათ ამდენი ხნის მარტოობისაგან დახარბებული ვართ ადამიანს. სტუმრებიც თავისუფლად გრძნობენ თავს ჩვენთან. აი პლაჟიც, მართალია, პატარაა, მაგრამ დიდს არაფრით არ ჩამოუვარდება, არც კეთილმოწყობით, არც ხარისხით, ოღონდ ეს კია, რომ წყალი არ არის მარილიანი.

...მართლაც მშვენიერი პლაჟია და თითქმის ნამდვილისაგან არაფრით არ განსხვავდება, ტალღებიც ასკდება ნაპირს...

განვაგრძეთ გზა, მივუახლოვდით ფალანგის კარს — ბაღი და ბოსტანი გამოღობილია სახლის ეზოსაგან, ქათმებმა და პირუტყვმა რომ არ გააფუჭოს. ილიკომ ოდაში მიგვიწვია: დიდი სუფთა ოთახები, თეთრად შეღებილი კედლები. ავეჯი თითქმის არ არის. აუცილებელი საჭირო ნივთები: ლოგინი, ტახტები, ქურჭელი, კარადები. კაი ძალი წიგნები, საყურადღებო ადგილას — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". გაზეთები, ჟურნალები, რადიომიმღები.

— მიყვარს წიგნები, მუსიკა... ბავშვები აღჭერთებენ რადიოს, განსაკუთრებით სპორტულ გადაცემებს. აი, იქ, ხეებს შორის დარბიან, ბურთს თამაშობენ, რგოლებზე ვარჯიშობენ.

სახლიდან გამოვედით, ნახულით გაოცებულნი ვდუმდით. არხის ნაპირას მდგარ გრძელი სკამისაკენ გავეშურეთ. წყალში ჭყუმპალაობდნენ ბატები და იხვები და დახეთ ჩემს გაკვირვებას, ყვაოდნენ ბამბუკის ხეები. ეს მართლაც საოცარი, არნახული სანახაობა იყო. ბამბუკის ყვავილობა!..

— მეცოდებიან ეს საბრალონი. ეს ხომ გედის უკანასკნელი სიმღერაა...

— რატომ?

— ბამბუკი მხოლოდ ერთხელ ყვავილობს და მერე იღუპება. ლამაზი სიკვდილია, არა?

მართლაც რომ ლამაზია და უცნაური.

— მაგრამ ჩემთვის ეს მწუხარებაა, გლოვის ნიშანია· დაიღუპება ჩემი მრავალწლიანი შრომა. მაგრამ სიკვდილის წინ, ბამბუკი ადამიანს ანიჭებს ამ განუმეორებელ სილამაზეს, მადლობის ნიშნად. შეიძლება ჩვენ აწი ვერასოდეს ვეღარ ვიხილოთ ბამბუკის ყვავილობა...

სამწუხარო სანახავია. როცა უყურებ ამ აყვავებულ, სიცოცხლით სავსე ბამბუკებს, რომლებიც იაპონურ გრავიურას მოგაგონებენ, გიჭირთ იმის დაჯერება, რომ ისინი დაჰყრიან ყვავილს და მიიცვლებიან...

...მზე ჩადიოდა. უშველებელი გავარვარებული ბურთი ეშვებოდა ზღვაში. იშვიათად მინახავს მზის ასეთი ჩასვლა. მზე ნელა ჩადიოდა, ეცემოდა სადღაც უფსკრულში და მწუხრი ეფინებოდა მიდამოს. მომაგონდა თეთრი ღამეები. ალბათ იმიტომ, რომ ცაზე სავსე მთვარე დასცურავდა... ამ დროს განსაკუთრებით ნათელია ქართული ღამე.

ჩემდა გასაოცრად კუნძულზე ელექტროლამპიონები გაჩირაღდნენ. მიმოვიხედე, ჯაფარიძესთან მივედი, იგი რაღაცაზე ეკამათებოდა მასპინძელს და სტაროვერელებს, ილიკომ შეამჩნია ჩემი ცნობისმოყვარეობა: ელექტრომუშს კატარღა იძლევა, მისი ძრავა. მართალია, არ არის ისეთი, როგორც საჭიროა, მაგრამ მაინც ელექტრომუქია.

უცებ შორიდან მუსიკის ხმა მოისმა. ხმა თანდათან ახლოვდებოდა· მალე დიდი კატარღაც გამოჩნდა, სულ ფერადფერადი ლამპიონებით გაჩირაღდნებული. მაშინვე ნავთსაბმელისაკენ გავეშურეთ. გზაში უნებლიეთ შევჩერდი. საქორწინო სუფრა გაეშალათ, რა არ ელაგა სუფრაზე, ათასგვარი კერძი და ხილეული, სასმელი, ყვავილები.

ცუბერა შავ კოსტუმში გამოწყობილიყო, თეთრი ვარდი უმშვენებდა მკერდს, მღელვარებისაგან ფერი წასვლოდა, იდგა სუფრასთან და ადგილიდან ვერ იძვროდა.

ყველაფერი მზად იყო სტუმრების მისაღებად.

ბოლოს კატარღაც მოახლოვდა. ცუბერამ თვითონ მიიღო თოკი კატარღიდან, თვითონ მიაბა ნაპირს, არავის დაანება. გადმოიპიროლეს ხიდი კატარღიდან და თავით ფეხამდე თეთრად მოსილი პატარძალი გადმოვიდა ნაპირზე.

მას მოყვნენ მეზღვაურები. ყველა აქ იყო, კაპიტნიდან დაწყებული ტრაულერის უბრალო მეთევზითა და მეზღვაურით დამთავრებული. ჩემმა ნაცნობებმა მაგიდაზე დააწყეს ოციოდე ბოთლი შამპანური, შემდეგ ყველა შემოუსხდა მაგიდას, სუფრის თავში კი გრძელწვერა მასპინძელი დაჯდა და მაგიდა ლეონარდო და ვინჩის გენიალურ „საიდუმლო სერობას“ დაემსგავსა.

ყოველთვის მასპინძელი თამადობს. ეს კანონადაა ქცეული ამ კუნძულზე. თუმცა ილიკო კარგ ორატორობას მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, მისი სადღეგრძელოები მოკლე, ზედმიწევნით თანამედროვე და გონებამახვილური იყო.

კუნძულის პატრონი ადგა, აიღო დიდი, მდიდრულ ყდაში ჩასმული წიგნი და პატარძალს მიართვა. ეს გახლდათ „ვეფხისტყაოსანი“ შემდეგ მამაშვილურად გადაეხვია ნეფე-დედოფალს და გადაჰკოცნა. ამას მოჰყვა საჩუქრების მირთმევა ახლადდაქორწინებულთათვის. ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტიდან, სამხედრო-საზღვაო ნაწილიდან, სადაც ცუბერა მსახურობდა, მეზღვაურ მეგობრებისაგან, ნავსადგურის მუშებისაგან...

დაუკრა ორკესტრმა. დაიწყო ცეკვები. პირველი ცეკვა მეზღვაურული „იაბლოჩკო“ იყო, შემდეგ კი ულტრათანამედროვე ცეკვებზე გადავიდნენ.

გარიჟრაჟს კუნძულზე შევხვდით. ეს ისეთი სანახაობა იყო, რომელიც ალბათ სიკვდილამდე არ დამავიწყდება. როცა ჩრდილები თანდათან ქრებიან და თანმიმდევარი, ფერების ოდნავი, ძნელად შესამჩნევი ცვლა ბოლოს, და ბოლოს მზიან დილას წარმოშობს...

## უკვდავთა კუნძული

დილის ათ საათზე დიდი ტრაულერი საზეიმო ესკორტით გაემართა ფოთის განაპირას, ძველ კუნძულისაკენ, სადაც სამხედრო სასაფლაო იყო და მივიწყებული შუქურა. ჯერ კიდევ ფოთის ნავსადგურის გაშენებამდე ის შუქურა გემებს და ხომალდებს გზას უჩვენებდა.

ძველი შუქურა, ახლა უკვე მთლიანად შემოხლართული მწვანე სუროთი, მაღლობზე დგას და ადამიანს საშუალო საუკუნეების სასახლეს აგონებს. დაბლა, შუქურას ირგვლივ სამხედრო სასაფლაოა, სამარადისო საყუდელი გმირ-მეზღვაურებისა, რომლებმაც სამშობლოს სიცოცხლე შესწირეს.

მინდოდა ჩემი მებრძოლი მეგობრის, 1944 წელს ომში დაღუპული მეზღვაურის, კოსტია რაუზეს საფლავის ნახვა. ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო ნაწილიდან შემატყობინეს მისი დაღუპვის ამბავი. რაუზე ფოთის სამხედრო სასაფლაოზე იყო დასაფლავებული. მაშინ მოვინახულე მეგობრის საფლავი.

ამის შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა და ახლა ვღელავდი, თითქოს ცოცხალ კოსტიას უნდა შევხვედროდი. მეზღვაურებმა კაპიტანის თანხმობით გადაწყვიტეს კუნძულზე წავეყვანეთ და თვითონაც მოეხადათ მოქალაქეობრივი ვალი, ენახათ გმირი-მეომრების საფლავები. სამშობლოს დამცველთა საუკუნო განსვენების წმინდა ადგილი. გმირობისა და თავდადების ძეგლი. ის დაღუპული ჯარისკაცები მათი ხნის იყვნენ, მათსავით მხიარულები, ჯანითა და სიცოცხლით სავსენი, ჰქონდათ ოცნება, შეჰხაროდნენ სიცოცხლეს. ზოგს ალბათ ცოლ-შვილიც ჰყავდა, ჰყავდათ დედ-მამა, და-ძმა, ჰყავდათ სატრფო, მაგრამ ყველაფერი სამშობლოს, ხალხს ანაცვალეს.

მზიანი დღე იდგა, მიყუჩებულ ზღვას ულტრამარინის ფერი დაჰკრავდა. სასაფლაო გალავნით იყო შემოღობილი. ზღვის მხარეს უფრო მაღალი კედელი აღემართათ. უწინ სასაფლაო პირდაპირ ზღვას უერთდებოდა. ზღვის პირას, ხე-

ებქვეშ გრძელი სკამები იდგა და ზღვაც აქ, პატარა ყურეში, მუდამ წყნარი იყო, თითქოს დაუბერებელ, ნორჩ ჭაბუკებად დარჩენილი მეზღვაურების მარადიულ ძილს დარაჯობდა.

— ეს ღობე სამხედრო მეზღვაურებმა შემოავლეს იმ კატასტროფის შემდეგ, — ამიხსნა კაპიტანმა.

— რომელი კატასტროფის? — ერთგვარი შიშის გრძნობით ვკითხე მე.

— არ გაგიგიათ? გასულ წელს აქ მოულოდნელად საშინელი გრიგალი ამოვარდა და გადარეულმა ზღვის ტალღებმა ნახევარი სასაფლაო გაიტაცა.

არ მოველოდი ასეთი ამბის გაგებას და ერთგვარი ცუდი წინათგრძნობით ვუსმენდი კაპიტანს. განგებ არ ვეკითხებოდი არაფერს, რომ დროზე ადრე არ გამეგო მომხდარი უბედურების შედეგები.

მდუმარედ შევცქეროდი ობელისკს, ძმათა სასაფლაოს და მე და კაპიტანმა მოწიწებით დავდეთ მის კვარცხლბეკთან თაიგულები. მეზღვაურებმა ქუდი მოიხადეს. ამ ცერემონიალის შემდეგ ჩქარი ნაბიჯით გავეშურე მეგობრის საფლავის სანახავად.

კონსტანტინე რაუზეს საფლავი აღარ იყო.

ძველი, მყუდრო სამხედრო სასაფლაოსაგან არაფერი არ დარჩენილიყო, იმ სასაფლაოსაგან, რომელსაც ქალაქის მთელი მოსახლეობა უვლიდა, ელოლიავებოდა. მხოლოდ შემთხვევითი საფლავები და რკინის ღობე. რკინის დაყანგული ძეგლები, რომლებზედაც ახლა უკვე ძნელი ამოსაკითხი იყო წარწერები. ძველად ყოველი დაღუპული მეზღვაური ცალ-ცალკე იყო დაკრძალული, ახლა კი ძმათა სასაფლაოები აღემართათ. ჩემი მეგობრის საფლავის ადგილას, ძმათა სასაფლაო დამხვდა.

მიმოვიხედე. შორიახლო მოხუცი იდგა, სასაფლაოს მცველი, ჩემი ძველი ნაცნობი — კლიმენტი დამენია, გვერდით თავისი თანაშემწე და მეგობარი ქორქია ედგა.

— კლიმენტი, თქვენ გეცოდინებათ, რა მოუვიდა კაპიტანის საფლავს?

მოხუცმა იცოდა რომელ კაპიტანზე ვეკითხებოდი.

— ზღვამ წაიღო, შვილო, ვერ ვიხსენით, — ამოოხვრით მიპასუხა მოხუცმა.

კლიმენტი დამენია ოთხმოცდახუთი წლისაა. მისი მეგობარი კი ოთხმოცისა. დამენიას ცხოვრება მთელი რომანია, მთელი ეპოქის ისტორია, და მისი ამბავი დამახასიათებელია ამ ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობისათვის...

...ჩვენი საუკუნის დასაწყისში ორი უწვერულვაშო ყმაწვილი, მალარიის შიშით გაექცა ჭაობებს და ფოთის ნავსადგურში ტვირთმზიდავებად დაიწყეს მუშაობა. მშობლები არ ჰყავდათ, დაიხოცნენ ტროპიკული ციებ-ცხელებისა და მძიმე, აუტანელი შრომისაგან. ჭაბუკები ჯანსაღები იყვნენ, ახოვნები, ისინი შეუმჩნეველი არ დარჩა ძველ მეთევზეს, ფოთის დარბაისელ, საპატიო მოქალაქეს, ბერძენ იორიკ კალიფატიდისს. სამუშაოდ მიიწვია ყმაწვილები ორანძიან ნავზე და ამრიგად ორი მეგობარი მეთევზე გახდა.

მოხუც ბერძენს ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ფოტინე, მზესავით ნათელი, ქერა, შველივით ტანადი, — ეს იყო განსახიერება ძველი ბერძნული კლასიკური სილამაზისა. ფიდიუსი და პრაქსიტელი, ალბათ, უარს არ იტყოდნენ ასეთი ცოცხალი ნიმუშისაგან ქალღმერთის ძეგლის ან ცოდვილი ფრინას გამოსაძერწად. მაგრამ ეს იყო მეოცე საუკუნეში, მივარდნილ, ყრუ, პროვინციულ ნავსადგურში, ქალაქ ფოთში (რომელიც უფრო დაბას ჰგავდა მაშინ), ფოტინეც ერთი უბრალო მეთევზის ქალიშვილი იყო და როგორც ყოველი ბერძენი ქალი მშრომელ ოჯახიდან, დღედაღამ მოუსვენრად მუშაობდა.

ორი ქართველი მეზღვაური პირველ დღიდანვე გახდნენ ფოტინეს თაყვანისმცემლები, ორივეს ერთი ძალით და გზნებით შეუყვარდა ეს მშვენიერი გოგონა. ფოტინემ უპირატესობა დამე-

ნიას მიანიჭა. ჭკვიან და ეშმაკ იორიკის თვალებს არ გამოეპარა ორი ჭაბუკის ვნება, მან ისარგებლა პირველი მსოფლიო ომით და მალე ორივე მიჯნურს ჯარში უკრა თავი.

ჭაბუკები შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მეზღვაურები გახდნენ. შემდეგ კი ამბავი ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. ომი. რევოლუცია. აჯანყება სამხედრო ხომალდზე, რომელშიაც ჩვენი ნაცნობი ბიჭებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. მალე ისინი ბოლშევიკურ პარტიაში შევიდნენ და ხალხის საქმისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ.

დამთავრდა ომი. გაიმარჯვა რევოლუციამ და 1921 წლის თებერვალში, ისინი თავის ნავსადგურს დაუბრუნდნენ. ფოთის მუშებთან და მეზღვაურებთან ერთად, ქართველ ხალხთან ერთად ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეუდგნენ.

ბებერმა იორიკმა ყველაფერი აწონდაწონა, ყველაფერი გამოზომა თავისი პრაქტიკული ჭკუით, ყველაფერი შეიგნო, თუმცა დიდი აღტაცება არ გამოუთქვამს თავის ყოფილ მოჯამაგირეებთან შეხვედრისას. მისი შვილები კი, დამენიასა და ქორქიას ხნის ბიჭები, აღტაცებით შეეგებნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ისინიც თანაუგრძნობდნენ ბოლშევიკურ პარტიას და იმ დღიდან მათი ერთადერთი ოცნება, საბერძნეთში რევოლუციის მოხდენა შეიქნა.

იორიკ კალიფატიდი ახლა აღარ იყო წინააღმდეგი თავისი ლამაზი ქალი ერთ-ერთ ამ „წითლისთვის“ მიეცა. რაც შეეხება ფოტინეს, მისი გული ისევ ისე ძგერდა სიყვარულით დამენიასადმი და მას გაჰყვა ცოლად. უბედური ქორქია სამი დღე-ღამე სამიკიტნოდან არ გამოსულა, სვამდა, დარდს ღვინოში იკლავდა, ჯავრს იმაზე იყრიდა, ვინც მის მიწოდებულ ღვინოს არ დალევდა. ამფსონად არ გაუხდებოდა. ბოლოს დაწყნარდა, როგორც ზღვა დიდი ქარიშხლის შემდეგ, თავი ინუგეშა იმით, რომ ფოტინე უკვე გათხოვილი იყო მის საუკეთესო მეგობარზე და გადაწყვიტა არასოდეს ცოლი არ შეერთო.

გადიოდა წლები. ფოტინემ თავის საყვარელ კლიმას — ასე ეძახდა ქმარს — სამი ვაჟიშვილი აჩუქა. კლიმენტი ნავსადგურში მუშაობდა თავის მეგობართან ერთად. იორიკი კი ვაჟებით საბერძნეთში გაემგზავრა. ამბობდნენ რომ მან იქ შეიძინა ერთი მოზრდილი კარაპჭა და კარგ ფულსაც შოულობდა თავის უმცროს ვაჟთან ერთად, დანარჩენმა ოთხმა ვაჟმა კი დროებით გადადო რევოლუციაზე ოცნება და ხელი ვაჭრობას მიჰყო... შემდეგ მათი ცხოვრების შესახებ ზეპირსიტყვაობის ისტორიის ანალებში არაფერია ნათქვამი.

ფოტინესა და კლიმენტის ვაჟები (მართლაც ზღაპრული ბიჭები იყვნენ: ჯანსაღები, მხიარულები, ზედმიწევნით გულკეთილები. ერთი შავი იყო, მეორე ქერა, მესამე კიდევ თითბერნარევ ბრინჯაოს ქანდაკებას ჰგავდა, რა დედამშობაო, იტყოდა მათი მნახველი (გაჰყვნენ მამისა და ბაბუას კვალს) და ისინიც შავი ზღვის ფლოტში მეზღვაურები გახდნენ. ეს იყო მეზღვაურთა სასიქადულო დინასტია. კლიმენტის ოთახის კედლები დაფარული იყო მათი ქებადიდების შემსხმელი სიგელებით და მადლობის ნიშნით.

...დაიწყო სამამულო ომი და ძმები დამენიები, პირველი დღიდანვე ცეცხლის მოწინავე ხაზზე აღმოჩნდნენ. „ვებრძვით მტერს, დედას ვუტირებთ ფაშისტებს!“ — წერდნენ ისინი მშობლებს.

ომის მეორე წელს სამივე ბრძოლის ველზე დაეცა, როგორც ნამდვილი გმირები და პატრიოტები. უფროსს დაღუპვის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ვერ აიტანა მწუხარება ფოტინემ და შვილებისადმი სიყვარულით სავსე მისი გული სამუდამოდ გაჩერდა. ასე დარჩა მარტოდ-მარტო ჩამქრალ კერიასთან კლიმენტი დამენია. მასთან ერთად ქორქიამაც დაჰკარგა ერთადერთი, რაც

ქვეყნად ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის და გულში მალავდა — ფოტინე. ომის დასასრულს ორივე ღრმა მოხუცს ჰგავდა, თუმც წლოვანებით არც ისე ბებრები იყვნენ.

აი რატომ დადგა აქ დარაჯად დამენია. უნდოდა დაეცვა, მოევლო ომში დაღუპული მეომრების საფლავებისთვის. თითქოს ასე მოუვლიდა და დაიცავდა თავისი შვილების საფლავებს, რომლებიც ღმერთმა უწყის სად იყვნენ დამარხული, თუკი საერთოდ ეღირსათ დასაფლავება. მასთან ერთად მოვიდა მცველად მისი განუყრელი მეგობარი ქორქიაც.

ფიქრებისაგან გამოვერკვიე და მეზღვაურთან ერთად განვაგრძე კონსტანტინე რაუზეს საფლავის ძებნა. ეგებ მოხუცი შეცდა და კონსტანტინეს ნეშტი ახალ სამარეში გადაიტანეს. მაგრამ ტყუილად ვეძებდით. ორი საათის განმავლობაში შემოვიარეთ მთელი სასაფლაო, წაუკითხავი არ დაგვიტოვებია არც ერთი წარწერა, ორჯერ-სამჯერ ვსინჯავდით ყოველ მათგანს, ძლივსძლიობით, დიდი წვალებით ვკითხულობდით ზღვის წყლისაგან წაშლილ, დაჟანგულ წარწერებს... შრომამ ამაოდ ჩაგვიარა!..

დაღლილები, გამწარებულები დასასვენებლად ჩამოვჯექით სკამზე და დამენიამ დაიწყო იმ საშინელი ღამის ამბის მოყოლა.

...დღისით უჩვეულო სიწყნარე იყო, ყვავილებში ჩაფლული საფლავების დათვალიერების შემდეგ მოხუცები ნელი ნაბიჯით წავიდნენ ზღვისაკენ, ჩამოჯდნენ გრძელ სკამზე და ტკბებოდნენ მყუდრო ზღვის ყურებით, ლამაზი მზის ჩასვლით... ზღვა ამშვიდებდა, დარდსა და ვარამს უქარვებდა მათ. ისე იჯდნენ, თითქოს შვილების დაბრუნებას ელოდნენ.

ზღვა იმ საღამოს ჰგავდა პატარას, რომელმაც რაღაც დააშავა თუ აპირებდა დაშავებას და ამიტომ ცდილობდა დედის გული მოეგო. მართლაც უჩვეულოდ ლამაზი, პატარძალივით ჩუმი იყო ზღვა იმ საღამოს

მოხუცები ადრე წავიდნენ დასაძინებლად. კლიმენტის მშვიდად ეძინა. საოცარია, იმ ღამეს, ამ ათეული წლის განმავლობაში პირველად დაესიზმრა შვილები. ეს იყო საშინელი სიზმარი! მას მერე მუდამ შიშით იძინებს, კიდევ არ ვნახო ასეთი სიზმარი შვილებზეო. ისინი ერთიმეორის გვერდით სამ ღია საფლავში იწვნენ, ლამაზი სახე ისე ჰქონდათ დასახიჩრებული, რომ მათი ცნობა შეუძლებელი იყო, და ცრემლმორეული თვალით იხვეწებოდნენ, მიწა მიეყარათ მათი ნეშტისათვის. სიცივისაგან იკრუნჩხებოდნენ, იყინებოდნენ...

მოხუცმა განწირული ხმით დაიყვირა და ალბათ კიდევ დიდხანს იყვირებდა ქორქიას რომ არ გაეღვიძებინა. ქორქია მეგობრის სასთუმალთან იდგა და ცივ ოფლს წმენდდა შუბლიდან. კლიმენტიმ გაიღვიძა და ბავშვივით ატირდა.

ამ დროს ზარების რეკვა მოესმათ! ეზოდან მოდიოდა საშინელი ხმაური: ქუხდა და გიჟობდა ქარი, ზღვა გუგუნებდა. მოესმათ სირენის კივილიც.

სწრაფად ჩაიცვეს მოხუცებმა და ეზოში გავარდნენ. რაც იქ დაინახეს, ეს ნამდვილი საშინელება იყო. თითქოს გაცოცხლდნენ ბიბლიის ილუსტრაციები მსოფლიო წარღვნის შესახებ.

ღელვა და ქარიშხალი ათ ბალს აღწევდა, სასაფლაო სულ ერთიანად წყლით იყო დაფარული. კაცს წარღვნა ეგონებოდა. მოთხრილ კუბოებს ტალღები არწევდა, ზოგი მათგანი დაემსხვრია ტალღას, მკვდრები ცალკე ტივტივებდნენ, კუბო კიდევ ცალკე... მეზღვაურის ქუდები, ტელნიაშკები, ტელნიაშკები, ტელნიაშკები...

ამ დროს იელვა, მოხუცებმა წამით დაინახეს ზღვა, მაგრამ ნეტა არ დაენახათ. ზღვა თითქოს ნაპირზე გადმოსვლას აპირებდა, ქვეყნის წალეკვას ლამობდა. ორსართულიანი სახლის ოდენა ტალღები ნაპირისაკენ მიჰქროდნენ, გემები შველას ითხოვდნენ.

კვლავ იელვა, გავარდა მეხი, დაეცა

სასაფლაოს, კვიპაროსებმა ერთიმეორის მიყოლებით ზღართანი გაადინეს მიწაზე. მოხუცებმა სწრაფად ახსნეს თავისი ძველი ნავები, აანთეს ფარნები და ადუღებულ, მაგრამ ცივ ზღვაში მკვდრების ამოჭერა დაიწყეს.

ცრემლი ახრჩობდა კლიმენტის, იცნობდა თითოეულ მკვდარს, ყოველი მათგანის დაკრძალვას ესწრებოდა.

აი, მაიორი, რომელიც აოცებდა მოხუცს თავისი ღიმილით. აიტაცა მაიორის ნეშტი და ნავში ჩადო. მკვდრები ისე სალი ჩანდნენ, თითქოს გუშინდელი დამარხულები იყვნენ. მოხუცები მიხვდნენ რომ მარილიანი ზღვის წყლით გაჟღენთილმა მიწამ შეინახა ისინი ასე უვნებლად.

— ვიჭერდით, ვდებდით ნავში, გამოგვქონდა ნაპირზე და ვაწყობდით შუქურის ძირას, მაგრამ ვგრძნობდით, რომ მარტო ვერას გავაწყობდით ბუნების სტიქიასთან, ეს ჩვენ ძალ-ღონეს აღემატებოდა. ამხელა სასაფლაო და ჩვენ, ორი უბადრუკი მოხუცი, ხნითა და მწუხარებით მოტეხილები. ზღვა კი არ ისვენებდა, სულ ღრმად იჭრებოდა ნაპირზე და ახალ საფლავებს იტაცებდა...

— მატროსებს ზღვა თუ მოენატრათ. ვაი ჩვენი ბრალი! — თვალცრემლიანი, ნერვიული დაძაბულობით აკანკალებული ჰყვებოდა კლიმენტი.

ამ დროს თურმე სანაპირო დაცვის პროჟექტორმა გაანათა ზღვა და სასაფლაო, მოხუცებმა დაინახეს დაღუპული მეომრები. ახლა ისინი მეორედ იღუპებოდნენ.

დამენიამ საჩქაროდ გაიხადა და ზღვაში შევიდა. ქორქია ისე გააოცა ამხანაგის საქციელმა, დაძახებაც კი ვერ მოახერხა, იფიქრა, გაგიჟდა დამენიაო. მაგრამ არ გასულა რამდენიმე წუთი და თვითონაც მიბაძა მეგობარს. პროჟექტორისტმა, როგორც ჩანს შეამჩნია ისინი და აღარ აშორებდა მათ შუქს.

მოხუცები ნავში ასვენებდნენ მიცვალებულებს, გამოჰქონდათ ნაპირზე, ცლიდნენ ნავებს, კვლავ იჭერდნენ გვამებს და კვლავ ნაპირზე გამოჰქონდათ.

ღონე ელეოდათ, აღარც ფეხი ემორჩილებოდათ, აღარც ხელი, სიცივისაგან გაითოშნენ, საძრაობა დაკარგეს, მაგრამ მაინც არ ჰყრიდნენ ფარ-ხმალს. კლიმენტიმ ხელი სტაცა ფარანს, სახლის სახურავზე ავიდა დაიწყო „SOS“-ის სიგნალების მიცემა. სიგნალს სანაპირო დაცვის კატარღას აძლევდა. კატარღა სასაფლაოსკენ წამოვიდა, ჯიქურ აოპობდა მძვინვარე ტალღებს.

კატარღიდან შეეკითხეს: რა მოხდაო?

კლიმენტიმ ძლივს გაიხსენა ზღვის კოდი და ფარნის შუქით გადასცა კატარღას სასაფლაოზე მომხდარი უბედურების ამბავი. ქორქიაც არ იჯდა გულხელდაკრეფილი, კოდის ნიშნებს კარნახობდა კლიმენტის.

— ხომ არ გაგიჟდი, მოხუცო! — უპასუხეს კატარღიდან. — ჩვენ ცოცხლებს ვერ ვშველით, თქვენ კი მკვდრების გადასარჩენად გვეძახით!.. ტრაულერის დასახმარებლად მივდივართ.

რაღას იზამდა კლიმენტი! პირველ რიგში, რასაკვირველია, ტრაულერი უნდა გადაერჩინათ. მოხუცი ძველ შუქურაზე ავიდა. გაკვირვებისაგან სახტად დარჩა. იქ ქორქია დახვდა. პროჟექტორი მოჰყავდა წესრიგში. როგორც კი პროჟექტორი აინთო, კლიმენტიმ ბერკეტს ხელი სტაცა, ტრიალი დაუწყო — პროჟექტორი ძლიერ შუქს ჰფენდა ზღვას.

მალე სახანძრო რაზმი მოვარდა სასაფლაოზე. გადმოხტნენ მეხანძრეები მანქანიდან. მეთაური კლიმენტისთან მიიჭრა:

— აბა, გვიჩვენე, გვიბრძანე მოხუცო, რა გავაკეთოთ!..

...მეორე დღის შუადღისათვის ზღვა დაწყნარდა.

ქალაქის ხელისუფლებამ და სამხედრო-საზღვაო ნაწილმა ოთხასამდე კუბო მოამზადა. სასაოფლაოს გალავანი შემოარტყეს. მოიტანეს სახლის ოდენა ქვები და გადაღობეს სასაფლაო წყლისაგან. მიწა რომ გაშრა, მიცვალებულთა დამარცხვას შეუდგნენ. მოხუცებმა თითქმის ყველა მიცვალებული იცნეს,

ამიტომ გახდა ადვილი გვარების მიწერა საფლავის ქვაზე.

სამოქალაქო პანაშვიდზე და დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი მოვიდა, მოვიდნენ პიონერები, მოწაფეები, სტუდენტები, უკრავდა სასულე ორკესტრი. მეორედ მარხავდნენ გმირებს.

— როგორ უყვარდა საბრალოს ზღვა! — წყნარად ვთქვი და თვალწინ დამიდგა ჩემი მეგობარი.

სიჩუმე ჩამოვარდა. არაფრის თქმა არ შეიძლებოდა მოხუცის ნაამბობის შემდეგ. ბოლოს მასპინძლებს გამოვემშვიდობეთ და ტრაულერზე ავედით.

პატარა გემს, რომელმაც ჩვენ აქ მოგვიყვანა „შოთა რუსთაველი" ერქვა.

კაპიტანმა ბრძანება გასცა დაღუპულ მეზღვაურთა ხსოვნის აღსანიშნავად, ზალპი მიეცათ. მეზღვაურები მწყობრში ჩადგნენ და ბრძანების თანახმად ათჯერ გაისროლეს ჰაერში.

გამომშვიდობებისას კლიმენტის ცრემლი ჩამოუგორდა დანაოჭებულ ლოყაზე. ჩვენ რომ არ დაგვენახა, მოხუცმა სწრაფად მოიწმინდა კურცხალი დაკოჟრილი, ბებრული ხელით.

### მოგზაურობა აწმყოში

დილაადრიანად გავემგზავრეთ ტეხურის საბჭოთა მეურნეობაში. სამხედრო სასაფლაოზე ყოფნის შემდეგ ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი. არ ვიცი რამდენ ხანს ვიმგზავრეთ. შოფერმა გამომაღვიძა.

— ტეხურის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე შევდივართ, — მითხრა იურიმ, — მაგრამ მეურნეობის კანტორამდე კიდევ კარგი ძალი სავალია.

როგორც იქნა საბოლოოდ გავნთავისუფლდი ცუდი განწყობილებისაგან, როცა დავინახე გიგანტური, ცადაბჯენილი ხეები. ევკალიპტების ხეივნით მივდიოდით, სუფრასავით სწორ, ასფალტირებულ გზატკეცილზე, რომელიც უფრო ავტოსტრადას ჰგავდა. საამო, შესანიშნავი და ცოტა არ იყოს უჩვეულო სუნი იდგა ყვავილების, ხეების, მცენარეების. სადღაც შაშვი გალობდა. იურის ვთხოვე, მანქანა ნელ-ნელა ეტარებინა. მან ირონიულად გააქნია თავი, ჩაიღიმა და მანქანის სვლა შეანელა. აი, რას მეტყველებდა მისი ღიმილი: „მოუცლელი ხალხია ეს ჟურნალისტები, აბა რა დაინახა აქ ისეთი! ევკალიპტები, ბამბუკი, ჩაი, ციტრუსები... მთელი კოლხეთი ასეთი არ არის? შოფერი ასე ოცდაერთიოცდაორი წლის იქნებოდა და რა თქმა უნდა, უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ ოდესღაც ეს ადგილები გაუვალი ჭაობითა და ტყით იყო დაფარული. აქ იმალებოდა მამაცი მაცი ხვიტია და ათავისუფლებდა სამეგრელოს თავად-აზნაურებისაგან თურქ ვაჭრებზე გაყიდულ ყმებს. ის ჭაობები მაშინ მათი მხსნელი იყო.

...რიგ-რიგობით გვხვდებოდა გზაში სიმინდის, ციტრუსის, ჩაის მინდვრები. პლანტაციებს ოთხივე მხარეს ქარებისაგან იცავენ ალვის ხეები და ევკალიპტები. ისევ ბეჩო მომაგონდა, ნახატები დუქნის კედლებზე. როგორ ჰგავდა მაშინდელი მისი ნახატები ზღაპარს, ოცნებას! ბეჩოს ფრესკებმა ოცდაათი წლის შემდეგ შეისხეს ფრთები.

იურიმ სიმღერა წამოიწყო: „Листья летят, наверно снится им весна".
ალბათ არ არის ნელ სვლას ჩვეული, ამიტომ დაიწყო სიმღერა. ეს რუსი ყმაწვილი აქ დაიბადა და გაიზარდა, ამიტომ ყველას იცნობს ზუგდიდიდან დაწყებული, ცხაკაიათი და ფოთით დამთავრებული. თავის თავს ჩემს გიდად სთვლის და საკმაოდ კარგად მიხსნის ყველაფერს, რასაც შევეკითხები. თავი სერიოზულად უჭირავს, ასე მგონია, რაიონული გაზეთის მოწინავეს ვკითხულობ, ისე აქვს გაზეპირებული პასუხები ჩემს გიდს.

— შეხედეთ, — მეუბნება იური, — პლანტაციები გარშემორტყმულია ქარსაცავი ხეებით, დააკვირდით, აქ ხეების სამი რიგია: ალვის ხეები, ცაცხვის და ისევ ალვის. სამივე რიგი საიმედოდ იცავს პლანტაციას. რიონის ხეობიდან ძლიერი ქარები მოვარდება ხოლმე..

— შენ ნამდვილი აგრონომივით ლაპარაკობ, იური!

— სხვაგვარად არც შეიძლება, — თავმომწონედ მომიგო მან, — შემოდგომაზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვაპირებ შესვლას. — ისე თქვა ეს სიტყვები, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ აუცილებლად ჩააბარებდა გამოცდებს.

უცებ დაამუხრუჭა მანქანა. კინაღამ წინ წავვარდი და თავით დავეტაკე სარკმელს. გაოცებულმა და ცოტა არ იყოს გამწყრალმა შევხედე იურის, მან კი გზისკენ მიმითითა: მანქანის წინ ტანმორჩილი, ფეხშიშველი დედაბერი იდგა, ხელში უშნოდ გამოჩორკნილი ჯოხი ეჭირა. დავაკვირდი. თვალს ვერ დავუჯერე. ჩემი ძველი ნაცნობი იყო, სოფელ ჯვარის კოლმეურნე ასოცდათხი წლის საქებარ მარგია.

— გამარჯობათ, საქებარ, საიდან სად?!

საქებარმა ხელით შუბლი მოიჩრდილა, თვალი მოჭუტა და ცნობისმოყვარეობით ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მანქანიდან გადმოვხტი და ორივე ხელი გავუწოდე მოხუცს.

— აა, შენა ხარ, შვილო, — გაუხარდა საქებარს და ბეჭებზე თავისი გამხმარი, ძარღვებიანი ხელი მომიცაცუნა, — აი, ხომ ხედავ, ისევ შევხვდით ერთმანეთს, ვიწროა ქვეყანა ჩემო შვილო. ჯვარიდან მოვდივარ სტუმრად ჩემს საყვარელ დოროთესთან.

— თქვენი ნათესავია თუ?

— ამ ქვეყნად ჩვენ ყველანი ნათესავები ვართ... იმ ქვეყნისა კი რა მოგახსენო, შენ უკეთ გეცოდინება.

— კი მაგრამ, ნუთუ ფეხით...

— ჩემი ფეხები ამ მანქანის ბორბლებსა ჰგავს. ჰო, ფეხით მოვდივარ, ამიტომ ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე ასე დიდხანს. გზაში თუ ძალიან დავიღალე, კეთილი შოფრების მეტი რაა. აი, ასეთი კეთილი ბიჭები, როგორიც შენი შოფერია, ყველა მიცნობს, გააჩერებენ მანქანას და ცოტას ქე გამატარებენ სოფლიდან სოფლამდე...

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა! ვერ წარმომედგინა, რომ ამ ხნის ქალი ასე იოლად გამოივლიდა ესოდენ გრძელ გზას.

— ძალიან გამიხარდა, შვილო, შენი ნახვა, — მითხრა საქებარმა, როცა მანქანაში ჩაჯდომაში ვეხმარებოდი, — წავიკითხე შენი დაწერილი წიგნი ჩემზე... ღმერთო ჩემო, რატომ შეწუხდით ასე, — მოულოდნელად თქვენობით დამიწყო ლაპარაკი. — ამდენი ქება გაგიგონია შე კაი კაცო, არ ვარგა, არა! კიდევ კარგი, რომ ოცი წლისა არა ვარ, თორემ თავბრუ დამეხვეოდა... ისე კი ახალგაზრდები უნდა აქო, შვილო, ეს ერთგვარი წაქეზება იქნება მათთვის. აბა, მე რათ მინდა ქება, თუ ღმერთთან მატან რეკომენდაციას... ჰო, სწორი ხარ, შეიძლება არც მიმიღოს იმ დალოცვილმა, მითხრას, ამდენ ხანს სად დაეხეტებოდი, დროზე ვერ მოხვედი შინო!.. აჰა!.

შოფერს სიცილი აუტყდა (იურამ ისე იცოდა ქართული, როგორც მშობლიური ენა).

— რა გაცინებს, ბიჭო, ტყუილს ვამბობ, თუ? — დაუქაქანა იურას საქებარმა და ისევ მე მომიბრუნდა:

— დოროთესთან მიდიხარ? ალბათ გაზეთში უნდა გაწერო. დაწერე, შვილო, დაწერე, ოღონდ კარგად დაწერე, დოროთე ნამდვილი მშრომელია და ბრძენი კაცია. ხომ ხედავ, რა სამოთხე აგვიშენა ამ ოდესღაც გაუვალში? ტყუილად ხომ არ მისცეს გმირობა. ჩვენი მთავრობა არაფერში არ ცდება... აბა ჩემისთანა მომუშავე ვის რათ უნდა.

— კიდევ მუშაობთ, ბებია საქებარ?

— რას მიქვია კიდევ? აბა შენ უნდა მაჭამო პური? მაგისთანა რამე მეორეჯერ არ წამოგცდეს ჩემთან! როგორ თუ არ ვმუშაობ! ყოველ წელიწადს ვკრეფ ჩაის!.. ვიცი, ყოველ წელიწადს სულ უფრო ცოტას ვკრეფ, მაგრამ რას იზამ, ვბერდები... ეხ, რა არ გადამხდენია, რა არ მინახავს, რა არ განმიცდია!

— მაცი ხვიტია თუ გახსოვს, საქებარ?

— მაციც მახსოვს, ეკა ჭავჭავაძე ოსურპატონიც და უტუ მიქავაც... მოვწონდი მე იმ ყაჩაღს.

იურის ისევ ჩაეცინა ულვაშში, მაგ-

რამ ჩემი მრისხანე გამოხედვა რომ დაინახა, სახე მოგვარიდა.

— ო, რა ვაჟკაცი იყო ორივე, მაციც და უტუც, მაგრამ უტუ უფრო დინჯი იყო, წერა-კითხვა იცოდა, ბრძენს უწოდებდით... მაცი კი, ვო მაცი!.. აქ, ამ ჭაობებში ისე გაძვრებ-გამოძვრებოდა რომ... შიშის ზარს სცემდა თურქებს და ჩვენს ბატონებს...

საქებარი გაჩუმდა, ფიქრს მიეცა, ალბათ ასი წლის წარსულს იგონებდა, როდესაც გრძელ ნაწნავიან ცუგრუმელა გოგოს უტუ მიქავა ეტრფოდა და შე[illegible]ლება მაცი ხვიტიაც, ვინ უწყის რა იყო ასი წლის წინათ.

— ერთი წელია რაც აქ არ ვყოფილვარ, — ისევ დაიწყო საქებარმა, — და შეხედე რამდენი რამე გაუკეთებია ამ დალოცვილ დოროთეს.. აფერუმ მე და ჩემმა ღმერთმა, აფერუმ, დოროთე. ასეა როცა ადამიანს შრომა უყვარს! შეხედე, შეხედე, დიდუ, დიდუ ამას რას ვხედავ, ნანაია მარჯა! — ხარხარებდა საქებარ. — შეხედეთ დოროთეს ტრაქტორი მიჰყავს, ტრაქტორი!

მეგონა მოხუცს ეჩვენება-მეთქი, მაგრამ არა, როგორც იურამ დამიმოწმა, დოროთე შამათავა, საბჭოთა კავშირის შრომის გმირი, მეცნიერებათა კანდიდატი და ამ მეურნეობის დირექტორი მართლა იჯდა ტრაქტორის საჭესთან.

— ვო, დოროთე, ბიჭო ჩამოდი მაგ ეშმაკის კერძიდან, დირექტორს არ ეკადრება... შეხედე რა სტუმრები მოგიყვანე!..

არ ვიცი გაიგონა თუ არა შამათავამ დედაბრის ძახილი, მაგრამ ტრაქტორი გააჩერა, კაბინიდან ოცი წლის ბიჭივით გადმოხტა ქერა, ჯმუხი, შუახნის ვაჟკაცი და ჩქარი ნაბიჯით გამოემართა ჩვენსკენ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მომესალმა დოროთე შამათავა. იგი გაფრთხილებული იყო ჩემი ჩამოსვლის შესახებ და გახარებული მომიახლოვდა. — ოო, საქებარ, გამახარე ასეთი სტუმრით. შენც ხომ მოსკოვიდან არ მოყვები! — გაეხუმრა მოხუცს, მერე, თითქოს მის წინ თავს იმართლებსო, მოიბოდიშა: — ჩვენი ტრაქტორისტის ცოლს ვაჟი შეეძინა და აბა ახეთ შემთხვევისათვის როგორ არ გამეშვა სოფელში. სხვა ტრაქტორისტებს საქმე ყელამდე აქვთ და მე მივუჯექი საჭეს. ახალგაზრდობა გავიხსენე.

— ხელი შეგიშალეთ მგონი...

— რასა ბრძანებთ, ერთი საათის სამუშაო დარჩა, სადილის შემდეგ მოვათავებ. წამობრძანდით, ბატონო.

ახალი წაკითხული მქონდა ჩემი მასპინძლის, დოროთე შამათავას წიგნი „კოლხეთის ათვისების პერსპექტივები“ და ბევრი რამ ვიცოდი ამ საბჭოთა მეურნეობაზე.

— დოროთე, შვილო, — არ მაცალა საქებარმა სიტყვის თქმა, — შენზედაც დაწერს ეს კაცი. წაიკითხე რეები დაუწერია ჩემზე? შეიშლები რომ წაიკითხო, ღმერთო, ვის რა ჭირათ უნდა ჩემი გაჯაგირებული თავი, ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას. შენზე კი უნდა დაწეროს, აუცილებლად უნდა დაწეროს, ყველამ იცოდეს რა კაცი ხარ...

საბედნიეროდ ამ დროს დოროთეს მეუღლე მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და საქებარი სახლში შეიყვანა, ჩვენ კი მეურნეობის ტერიტორიის დასათვალიერებლად წავედით.

— ალბათ გახსოვთ ნევსკაიას სიტყვები პაუსტოვსკის მოთხრობიდან?.. ნევსკაია ამბობს: „მეც ვარჩევ კოლხეთისათვის საუკეთესო ჯიშის მცენარეებს. მცენარეებიც ადამიანებივით სხვადასხვანაირი არიან. ზოგი მიზეზიანია, უსუსური, ზოგი ამტანი, გამძლე და სათუთი. არიან ისეთები, რომლებსაც სმა უყვართ და არიან ისეთები, რომლებიც ვერ იტანენ სინესტეს. არიან ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოსულები. ხარბები, ღორმუცელები და უხვ ნაყოფიერნი, გამხდრები და მსუქნები. მცენარეების ჯიში და ხარისხიც უნდა შეირჩეს. ახლა მე ვარჩევ ევკალიპტების საუკეთესო ჯიშს“.

გაოცებული შევყურებდი დოროთე შამათავას.

— ნუთუ ყველას წაკითხული გაქვთ პაუსტოვსკის წიგნი?!

— ყოველ შემთხვევაში ვეტერანებს, თითქმის ყველას.

— ზოგს თურმე არ მოსწონს მისი მოთხრობა.

— ჯერ ისეთი არაფერი დაწერილა. რომ ყველას მოსწონდეს, — მომიგო დოროთემ, — ვინც კოლხიდას არ იცნობს, იქნებ მართლა არ მოეწონოს პაუსტოვსკის წიგნი.

ბაღში შევედით. ბაღი ვარსკვლავის ფორმით იყო დაგეგმილი. ხეხილის ხეივნები ვარსკვლავის ქიმებივით მიემართებოდნენ სხვადასხვა მხარეს. ეს ვალენტინა ტერეშკოვას სახელობის ბაღი იყო, შემდეგ ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, იური გაგარინის სახელობის ხეივნები იწყებოდა... მთავარ ხეივანს, მშვიდობის ხეივანი ერქვა. მთელი ბაღი კი შოთა რუსთაველის სახელს ატარებდა.

— ასეა, ჩემო ბატონო, — ღიმილით მოგვმართა დოროთემ, — ჩემი ცოლი ბავშვებს ზრდის, შვილებს და შვილიშვილებს, მე კი აი ამ მცენარეებს ვზრდი, ყვავილებს, ხეებს, პლანტაციებს...

— განსხვავება მხოლოდ იმაშია, — ხუმრობით დავუმატე მე, — რომ თქვენ შრომის გმირი ხართ, — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, თქვენი ცოლი კი...

— ჰო, ჰო, სწორი ხართ, სწორი, ჩემი ცოლი არ არის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, — სიცილით თქვა მასპინძელმა, — მაგრამ ამას ბავშვების აღზრდაში ხელი არ შეუშლია მისთვის.

ბაღიდან ვენახში შევედით, იქიდან ჩაის პლანტაციაში, კიდევ იქიდან ფორთოხლის, მანდარინის და ლიმონის პლანტაციებში.

— დიდი მეურნეობა გაქვთ, ბატონო დოროთე.

— კიდევ უფრო გავადიდებთ ახლო მომავალში.

— ჰო, მე ეს თქვენს წიგნში წავიკითხე. დიდი ვალდებულებები აგიღიათ.

— ჩვენ პატარა მასშტაბებით აღარ ვცხოვრობთ.

— და არც პატარა მასშტაბებით მუშაობთ, არა?

— კარგად ბრძანეთ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდაათი წლის თავს სხვანაირად ვერ შევხვდებით. დიდ თარიღს დიდი გეგმები უყვარს...

— როგორც დიდ ქარს დიდი ხეები.

— ესეც კარგად ბრძანეთ.

მუშათა საცხოვრებელ სახლებს მივუახლოვდით. მეურნეობის ცენტრალურ ტერიტორიაზე, შიგ პარკში გაშენებული იყო პატარა კოტეჯები. აქ ცხოვრობდნენ უხვი მოსავლის ოსტატები, ისინი, ვინც ქვეყანას ჩაისა და ციტრუსებს აძლევენ. პარკში ბავშვები შემოგვეხვივნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლექსებს კითხულობდნენ.

კიდევ დიდხანს ვსეირნობდით ხეივნებში, პლანტაციებში, ხეხილის ბაღში და ვფიქრობდი ხალხის ოცნებაზე, რომელიც განხორციელდა. არა, კოლხეთიდან არ მოუტაცნიათ ლეგენდარულ არგონავტებს ოქროს ვერძი. აქ ახლა ახალი ლეგენდა იქმნება. ამ ლეგენდას შრომის ადამიანები ჰქმნიან. ეს იქნება ცოცხალი, სულდგმული ლეგენდა... თუ შეიძლება ასე ითქვას... არა, ოქროს ვერძი არ მოუტაცნიათ და ვერც მოსტაცებენ მას საქართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ჩხარტიშვილი

# უთანასწორო დუელი

კარგად გათენებული არ იყო, როცა ზურაბმა თვალები გაახილა. ალიონის ხანს გაღვიძება ჩვევად ჰქონდა.

სანგარიდან თავი ამოყო, ნელ-ნელა წელში გასწორდა, ზევით ამოვიდა და იქვე ახლოს ჩამოჯდა.

დიდხანს გაშტერებული გასცქეროდა ზეცას თითქოს გრძნეულია და ვარსკვლავებში უნდა ამოიკითხოს მოახლოებული დღის საიდუმლოებაო.

უცებ წუხანდელი საღამო მოაგონდა. ყურში თითქოს ახლაც ესმოდა „სულიკოს", „მხედრულის", „მრავალჟამიერის" და „ბნელის ღამის" ტკბილი, თან სევდიანი ჰანგები, „ოსვარადა" და ბიჭების არწივისებური დაყივლება. მეხსიერებაში აღადგინა ყველა მათგანის სახე, ვინც მონაწილეობდა იმ თავისებურად უცნაურსა და სასიამოვნო მღერა-თამაშში, გაახსენდა მათი მოქმედება, სიტყვები და როცა მისი ფიქრი ოთარს მისწვდა — გულში რაღაცამ უჩხვლიტა.

„არ მომეწონა მისი გაბზარული ხმა, როცა „გართობის" შემდეგ გამოველაპარაკე, საერთო მხიარულებიდან განდგომა და ცეკვაზე ცივი უარი... არც სიმღერაზე აგვყვა... მერედა რამდენი ვეხვეწეთ!" — გაიელო გულში და გააჟრჟოლა.

ზეზე წამოხტა. თვალწინ ოთარის სახე გამოეკვეთა, თითქოს მის წინ დგას და ხელით ეხებაო, თან იქითკენ მიიხედა, სადაც იგი ეგულებოდა.

ქვემეხთან მდგომ გუშაგს გარდა ვერავის მოჰკრა თვალი. ბიჭებს ჯერ კიდევ ეძინათ.

დილის ნამით ვერცხლისფრად შეთრთვილული ქვემეხები ხორთუმწაგრძელებულ სპილოებს დამსგავსებოდნენ. ცა სწრაფად იშორებდა მუქ საბურველს. აისის ნათელი ფერი მკვიდრდებოდა ქვეყნად.

გონებაში რატომღაც ბორისის სიტყვები ამოუტივტივდა: „შენზე მითხრეს, მეტად უცნაური კაცია, რასაც იტყვის, ახდებაო".

„ვინ გამოიგონა ეს? — ანალიზი გაუკეთა ნათქვამს, — კი არ ახდება, არამედ ზოგიერთი მეომრის სახეზე, ან მის თვალებში, ხანდახან, რაღაც ავის მომასწავებელ ფერს, უცნაურ ხაზებს შევნიშნავ, რომლის სიტყვებით გადმოცემა არ შეიძლება... ესაა და ეს. ასე იყო მაშინაც: ერთხელ, ბრძოლის შემდეგ რიგითი მებრძოლი ლაზარევი ჩემთან დარჩა ქვემეხთან სამორიგეოდ. საღამო მოტანებული იყო, დრო გვქონდა და გავისაუბრეთ. ლაზარევი საუცხოო ვაჟკაცი იყო, ბატარეაში მამაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. იმ საღამოს კი რატომღაც მეუცნაურა მისი შემკრთალი სახე, არეული გამოხედვა, სიზანტე. მასში ვიღაც უცხო სული ჩასახლებულიყო თითქოს და ერთობ გამოეცვალა. როცა ველაპარაკებოდი — პასუხს ძლივს მაღირსებდა, თითქოს ქანდაკებაო — არ ინძრეოდა და მე კი არ მიცქეროდა — ნუდამ გვერდზე იყურებოდა, ვითომც ჩვენს შორის ვიღაც უხილავი იდგა, მისთვის ხელი ჩაეჭიდა და საითაც უნდოდა იქით მიაბრუნებდა... სწორედ მაშინ, ერთხელ ჩავხედე თვალებში და რამდენიმე წამს ვუცქირე. ის კი ბეცივით მედგა წინ და თითქოს ვერ მამჩნევდა... ჩავხედე და რაღაც ამაზრზენი დავინახე შიგ... აზრი დავითს გავუზიარე და ბოლოს ვუთხარი: ამ კაცს სასიცოცხლო პირი არ უჩანს, ასე მგონება ლეში დგას ფეხზე, გუშინ კი მასში სიცოცხლე ქუხდა, რა მოხდა ნეტავი?". იმავე ღამეს ბრძოლაში მოკლეს ლაზარევი, როგორ მწყინს, რომ სიკვდილი დავუბედე!.. ვერ მომინანიებია ეს.

---

ნაწყვეტი რომანიდან „ბერლინზე გავლით".

უკვირდა, რად დაებადა ასეთი აზრი სწორედ ახლა, ამ დილით, სად იყო აქამდე? სამ თვეს ხომ ერთად იყვნენ და იბრძოდნენ!.. რამდენი მძიმე დღეები გადაიტანეს!

ლამაზი, სანდომიანი სახე, ოცნებით გამომზირალი მოშავო თვალები, სწორი ცხვირი, მაღალი შუბლი, ტანადი, ახალაბიბინებული ულვაშებით — ასეთი ახსოვდა იგი.

ოთარი ლეჩხუმელი იყო, რევოლუციის შემდეგ მისი მშობლები თბილისში გადასახლებულიყვნენ. მამა ადრე მოკვდომოდა და დედას ერთადერთი ვაჟი შერჩენოდა ნუგეშად. საშუალო განათლების მიღება ძლივს მოესწრო — ომი დაწყებულიყო და ჯარში გაეწვიათ, პირველი ბრძოლა სმოლენსკის მისადგომებთან გადაეხადა, სადაც მსუბუქად დაჭრილიყო. ოთარი მეოთხე ქვემეხის მემიზნედ მსახურობდა. იგი ბუნებით მამაცი, ბრძოლის დროს ვეფხვივით სწრაფი და შეუპოვარი იყო; უფროსებსა და ამხანაგებში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ყველას უყვარდა, ზრდილობასა და თავაზიანობაში ხომ ბატარეაში ბადალი არა ჰყავდა, მაგრამ ეს კია, რომ სევდიანი იერი დაჰკრავდა მუდამ და გულჩათხრობილი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ზურაბმა იცოდა, რომ ოთარი დღიურებს წერდა. რამდენჯერ სთხოვეს მეგობრებმა წაგვაკითხეო — უარით გამოისტუმრა ყველანი; ძალიან ნაკითხი ყმაწვილი ჩანდა, ყველაზე მეტად მხატვრული ლიტერატურით იყო გატაცებული. ოთარის დარდიანობა არაერთხელ შეენიშნა ზურაბს და წინათ მაინც უფრო მხიარული ეჩვენებოდა, ვიდრე ამ უკანასკნელ ხანს.

„რატომ ერთხელაც გულის ნადებს არავის გაუზიარებს და დარდს არ შეიმსუბუქებს, აკი ნათქვამია. „გაზიარებული ჭირი ნახევარი ჭირიაო“, მაშ რად არ სურს აქ, ფრონტზე, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა მეგობარი, ამოირჩიოს რომელიმე ჩვენთაგანი და ფიქრები გაანდოს?“ — ვერ მოენახა პასუხი ამ კითხვაზე ზურაბს.

სიტყვაძვირობა ადამიანის სხეულზე დადებული კლიტულია, რომელიც მისი სულიერი შენობის შიგნით შესვლას გვიკრძალავს.

მტკიცე ხასიათსა და ცხოვრებაში ღრმაჩახედულობაზედაც მიუთითებს იგი, ფარული გულის ტკივილის გამოხატულებაც შეიძლება იყოს, რომლის შეცნობა მხოლოდ შემთხვევით თუ მოხდება.

და მაინც გულახდილობა ადამიანისა მეტად გვიზიდავს და გვხიბლავს, გვაყვარებს ამა თუ იმ პიროვნებას.

ზურაბს აზრი დაებადა: მისულიყო ოთართან ახლავე, დაუყოვნებლივ და გამოლაპარაკებოდა, მაგრამ გაღვიძება დაენანა.

„როგორც კი წამოდგება, უსათუოდ ვნახავ და ყველაფერს გამოვკითხავ“ — გადაწყვიტა ბოლოს.

აღმოსავლეთი წითლად შეიღება, საცაა მზე პირველ სხივებს სტყორცნიდა დედამიწას, კრიალა ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არსად ჩანდა. დგებოდა ერთი იმ ცხელ დღეთაგანი, რომელიც ასე ხშირია შუა ზაფხულში სამხრეთში.

სინათლის ფერების ფრქვევას თვალუწვდენელი სამყარო თითქოს მეჯლისით ეგებებოდა. მხოლოდ ასეულ კილომეტრზე გადაჭიმული ფრონტის თვალშეუდგამ ზოლზე დილის სიდიადე უფერულად იხატებოდა: მიწაყრილებით, ტრანშეებით, მავთულხლართებით დაუშნოებული დედამიწა გარინდულიყო რაღაც დიდი განსაცდელის მოლოდინში. ფრინველთა ჭიკჭიკი ყურს არ ატკბობდა, მამლების ყივილი არ ამცნობდნენ ქვეყანას მეფის ტახტზე სინათლის დაბრძანებას; არ ისმოდა ჩვილთა ტირილი აკვნებიდან. ყოველი — მეტყველი თუ უტყვი. თითქოს რაღაც იდუმალ გულისთქმას შეუპყრიაო — დადუმებულიყო.

ზურაბი თვალს ვერ აშორებდა ოქროსფრად გაბრწყინებულ აღმოსავლეთს, რომელსაც ყოველ წუთს ახალი, განუმეორებელი სიამოვნება და სილამაზე მოჰქონდა. ხედავდა, როგორ თანდათან ედებოდა მეწამული ფერი უკიდეგანო ქვეყანას და მზის ამოსვლის დიდებული სურათი საცაა თვალწინ გადაეშლებოდა.

„ეყოფა, ძილი, წავალ ოთართან და გავაღვიძებ, ერთად დავტკბებით ამ იშვიათი სანახაობით. ასეთი დილა მთელს წელიწადში შეიძლება ერთხელ გათენდეს, გადაწყვიტა მან და ის იყო უნდა გადაედგა ნაბიჯი მეგობრის სამყოფელისაკენ, რომ ყუმბარის გასროლის ხმამ ფიქრიცა და თვალისმომჭრელი სურათიც გაუწყვიტა.

„დაიწყო!“ — გაუელვა აზრმა და დასავლეთისაკენ შეტრიალდა ანაზდეულად, მერმე ისევ აღმოსავლეთისაკენ გააპარა მზერა წამიერი.

მზის პირველი სხივები ლოკავდა ცვარით მოვერცხლილ მინდორს.

აღმოსავლეთის შორეული ჰორიზონტი აელვარდა, თითქოს ყუმბარის აფეთქებამ ცეცხლი წაუკიდაო, რამდენიმე წამის შემდეგ კი კვამლის ფარდა აეფარა მშვენიერ სანახაობას: — ბუნების ხელით დახატული უწარმტაცესი სურათი ადამიანის ეშმაკისეულმა ფუნჯმა მოთითხნა და შავი ხაზებით წაშალა...

ათეულმა შორსმსროლელმა ქვემეხმა ერთბაშად იქუხა მოწინააღმდეგის მხრიდან და ბატარეის განლაგებისაკენ სეტყვასავით წამოვიდა ჭურვები და ნაღმები. ჯოჯოხეთური ხმაურისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

მალე ჰაერში მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ და ბომბები დააყარეს იქაურობას.

კარგა ხანს გაგრძელდა ბატარეის თავზე ავარდნილი საარტილერიო ჰექა-ქუხილი. ფრონტზე პირველად მოხვედრილი კაცი იფიქრებდა, რომ დედამიწაზე უკვე აღარავინ და აღარაფერი არსებობს, რომ ყველაფერი განადგურდა. პირისაგან მიწისა აღიგავა ყოველი-სულიერიცა და უსულოც და ერთი ადამიანიც არ გადარჩენილაო: მხოლოდ გამოცდილმა ფრონტელმა იცის: რა ძლიერი ცეცხლიც არ უნდა გახსნას მტერმა, მას როდი ძალუძს ყველაფერი მოსპოს.

„როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო", ნათქვამია. ასე იყო ახლაც.

განვლო რამდენიმე წამმა.

საარტილერიო ცეცხლმა იკლო და დედამიწა ოდნავ დამშვიდდა, მებრძოლები გონს მოეგენ, სანგრებიდან ამოსვლა დააპირეს, რომ უცებ ახალმა მძლავრმა აფეთქებამ შეძრა იქაურობა. იფიქრებდით: ათასი ბომბი ერთად დაეცა დედამიწას და შუაზე გააპოო.

თითქოს ამას უცდიდაო — მტერმა ცეცხლი შეწყვიტა. „ნეტავი რა მოხდა?" —ამის გაფიქრება მოასწრო ზურაბმა, რომ ვიღაცის ხრინწიანი ყვირილი შემოესმა: „დავიღუპეთ! ყუმბარებით დატვირთული ჩვენი ორი მანქანა აფეთქდა.. ეი, ბიჭებო! ვინა ხართ ცოცხალი, აქეთ, აქეთ!

ასეც იყო.

იმ ადგილას, სადაც მიწაში ნახევრად ჩაფლული ყუმბარებიანი მანქანები იდგნენ, ახლა უშველებელი ორმო მოჩანდა... მიწასაც ცეცხლი ეკიდა და ბოლავდა. აუნაზღაურებელი ზარალი იყო იგი ბატარეისათვის, საბედისწეროც შეიძლება აღმოჩენილიყო ეს შემთხვევა.

ბრძოლა კი ახლა იწყებოდა.

პირველი, რაც უვნებლად გადარჩენილ ჯარისკაცს თავში გაუელვებს საჰაერო დაბომბვისა ან საარტილერიო ცეცხლში მოხვედრის შემდეგ, ესაა ფიქრი იმაზე, თუ რა ბედი ეწია მის ამხანაგებს, ვინ როგორ გადაიტანა მტრის მიერ თავს დატეხილი ქარიშხალი.

სროლა მინელდა თუ არა, ზურაბი სანგარიდან ამოვარდა, დავითის სანგართან მიირბინა, რაკი დარწმუნდა, კარგადააო, მეორე ქვემეხისაკენ გაიქცა.

ბატარეის საცეცხლე პოზიცია და მის ახლო მდებარე მიდამო ვეებერთელა ძაბრისებური ორმოებითა და მცირე ზომის ღრმულებით იყო დაფარული.

გული ოთარისაკენ მიუწევდა, მაგრამ ცალკეულ სანგართა გარჩევა ჭირდა, ამიტომ თვალი რომ ვერ მოკრა ვისაც ეძებდა, ველარ მოითმინა და დაუყვირა:

— ოთარ! ოთარ! სადა ხარ, ბიჭო, ხმა გამეცი!

— აქა ვარ, აქ! — შემოესმა ზურაბს ნაცნობი ხმა და სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა. — იმავ წამს სანგრიდან თავამოყოფილ ოთარს შეასწრო თვალი, მისკენ გაიქცა, ხელი ჩასჭიდა, მიეშველა ზევით ამოსვლაში და გადაკოცნა.

გადავრჩით, მგონი, — დაბალ ხმაზე წარმოთქვა ოთარმა.

— ჩვენ ჰო, გადავრჩით, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას! ..შეხედე, რასა ჰგავს აქაურობა!..

სიკვდილისმფრქვეველ უცხო ფრინველის ფრთებს ყოველივე დაელეწა ირგვლივ.

ყუმბარებითა და ბომბებით მკერდაფლეთილი დედამიწა გოლიათ სულთმობრძავ არსებას დამსგავსებოდა, სიცოცხლის წამებს რომ ითვლიდა.

მეორე ქვემეხთან შეჯგუფებული მეომრები დაინახეს. ეტყობოდა, ვიღაც დაჭრილს დასტრიალებდნენ თავს.

კოსტა იცნეს მათ შორის.

ოთარმა უკივლა:

— კოსტა, ძმაო!.. ცოცხალი ხარ, ბიჭო?

კოსტა წელში გაიმართა, მკვირცხლად შემოტრიალდა და ბიჭებისკენ გამოექანა.

— მადლობა ღმერთს, რომ უვნებლად გხედავთ. — დავითი სად არის? — მოიკითხა ზურაბის განუყრელი მეგობარი.

— გადარჩა — გიორგი, გიორგი როგორღაა? — თავის მხრივ ჰკითხა ახლა ზურაბმა.

— ისიც გადარჩა, ფრჩხილიც არ გაფხაჭნია.

— სხვები?

— ჩვენი გათვლიდან მძიმედ დაიჭრა ქვემეხის მეთაური კოვალიოვი და ორი მებრძოლი, — კოსტამ გვარები დაასახელა, — მსუბუქად დაიჭრა ოცეულის მეთაური ლობანოვი.

— ლობანოვი? — ერთხმად წამოიძახა ორივემ.

— ჰო, სხვებიც ბევრია დაშავებული, დაღუპულებიც არიან.

— მაინც ვინ?

— გამტენი გორბუნოვი და მეკავშირე გლუხოტკო.

— ცუდი დასაწყისია. ჯერ არაფერი გაგვიკეთებია და გავნახევრდით თითქმის, — მწუხარე ხმით ჩაილაპარაკა ზურაბმა და მძიმედ ამოიოხრა.

სამივენი მეორე ქვემეხისაკენ გაემართნენ.

კოვალიოვი უგრძნობლად ესვენა მიწაზე, ყუმბარის ნამსხვრევი თეძოში მოხვედროდა და ტკივილებისაგან საშინლად იკლაკნებოდა.

ლობანოვი მარცხენა ხელის მტევანში იყო დაჭრილი. მასთან მეორე ოცეულის მეთაური იდგა და სანიტარს შველოდა, რომელიც დაჭრილს ნატყვიარს უხვევდა.

ლობანოვი, თითქმის თავის ჭრილობას აინუნში არ აგდებსო, თვალს არ აშორებდა კოვალიოვს, — ცხადია, გრძნობდა — დათვლილი იყო მისი სიცოცხლის წუთები და იდაგებოდა ვაჟკაცის ცოდვით.

გულისხმიერ მეთაურს თავისი გასაჭირი და-

ვიწყებოდა — მეომრის ბედით იყო შეშფოთებული.

სწორედ ამ დროს მასთან მეკავშირე სოლოვიოვი მიიჭრა და სულმოუთქმელად უპატაკა:

— სათვალთვალო პუნქტთან შეწყვეტილი კავშირი ვერ აღვადგინეთ, ლეიტენანტი კამარჩუკი დაჭრილია!

ლობანოვი გაფითრდა.

— თფუ! გააფურთხა მან, — მოსულს ალმაცერად ახედა და მკაცრი კილოთი მიუგო:

— სირბილით კავშირის აღსადგენად! დაყოვნება სიცოცხლის ფასი დაგვიჯდება, გასწი!

მეკავშირე ელვის სისწრაფით მოსწყდა იქაურობას.

...ოცეულის მეთაურმა მეორე ქვემეხის გათვლის წევრები შეათვალიერა, მზერა კოსტაზე შეაჩერა, თავისთან იხმო და ბრძანების კილოთი, რომელშიც დიდი ნდობა და სიყვარული გამოიხატებოდა, უთხრა:

— ქვემეხის მეთაურად გნიშნავ შენ, ამხანაგო კერესელიძევ! იმოქმედე, როგორც საჭიროა!

— არის, ამხანაგო ლეიტენანტო! — სხარტად მიუგო კოსტამ და მორჩილად თავი დახარა მის წინაშე, თან ქურდული მზერა ამხანაგებისაკენ გააპარა, რას იტყვიანო.

მეორე ქვემეხის გათვლის შემადგენლობაში იყო კიდევ ხუთი ვაჟკაცი: ოთხი რუსი და ერთი უზბეკი, სულ რჩეული ბიჭები.

„ღირს ამათი მეთაურობა“, — გაიფიქრა კოსტამ და ახლა ლობანოვს დაჭრილ ხელზე შეხედა: ნაჩქარევად შეხვეული ჭრილობიდან კიდევ მოჟონავდა სისხლი და ბლონდს მუქად ღებავდა.

„ნამდვილი ვაჟკაცია, ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ჭრილობაზე“, — ქართულ ენაზე წამოსცდა უნებლიედ კოსტას.

— რა თქვი? — შეეკითხა ლობანოვი ახლად დანიშნულ ქვემეხის მეთაურს.

— თქვენ დაჭრილი ხართ, ამხანაგო ლეიტენანტო! — შეჰბედა ოცეულის მეთაურს ისეთი ხმით, რომელშიც გამოსჭვიოდა მოკრძალებაც, მადლობაც და აღტაცებაც იმის გამო, რომ დაჭრილმა არ მიატოვა მეომრები განსაცდელის ჟამს, — ამის უფლება კი ჰქონდა.

— არაფერია, — დინჯად წარმოთქვა ლობანოვმა, — ნახევრად გვერდზე მიბრუნდა, კოსტას თვალი მოარიდა, თითქოს რცხვენია ტყვია რომ გაეკარაო, მატვეევისაკენ მიჩოჩდა და ბრძანება გასცა:

— ქვემეხებთან!

— მაშ თქვენ კისრულობთ ასეთ პასუხისმგებლობას? — შეეკითხა მატვეევი ლობანოვს შეშფოთებული ხმით.

პასუხის გაცემა ვერ მოასწრო ამ უკანასკნელმა, — გერმანელებმა საარტილერიო ცეცხლი გახსნეს ისევ.

— ქვემეხებთან! — ხელმეორედ დაიქუხა ლობანოვმა.

— ქვემეხებთან! — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა მატვეევმა გათვლის წევრების გასაგონად.

რამდენიმე წუთში ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. ისინი ელოდებოდნენ ცეცხლის გახსნის ბრძანებას, მაგრამ შემდეგი განკარგულება არ იყო .

არტილერისტებს მოთმინება ელეოდათ. ვერ აეხსნათ, რად ისხდნენ ხელფეხშეკრულებივით და უყურებდნენ, როგორ უმოწყალოდ და გულუხვად უმასპინძლდებოდნენ მათ ყუმბარებითა და ნაღმებით.

ოცეულის მეთაურებიც შეშფოთებული იყვნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ წინ, სოფელში რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა, მაგრამ რა — ვერ აეხსნათ.

—უთუოდ ალყაში მოვექეცით, — წაუჩურჩულა მატვეევმა ლობანოვს ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ.

— ეშმაკმა დალახვროს! ვერაფერი გამიგია. ცეცხლი რომ დაგვეშინა იმ წყეულთათვის, ბიჭებს სიმხნევე შეემატებოდათ, — ბაგეების ნერვული ცახცახით, ჩურჩულითვე მიუგო ლობანოვმა.

საცეცხლე პოზიციასთან დილის ნიავმა, წინა მხრიდან მოტორების გუგუნი მოიტანა.

ეს ცუდის მომასწავებელი იყო.

„სადაა გამოჩნდებიან ქვეწარმავალნი“, — გაუელვა კოსტას, რომელიც ქვემეხის მეთაურად დანიშვნამ აღაფრთოვანა და გამბედაობა შემატა. უნდოდა ჩქარა შებმოდა მტერს და მზად იყო გაათკეცებული ენერგიით კვეთებოდა მას. იმის შეგნება, რომ დიდი ნდობა გამოუცხადეს და რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის სადავე ხელთ მისცეს, ამ სურვილს უორკეცებდა.

ფიქრებიდან კარგად გამორკვეული არ იყო, როცა გზის მოსახვევთან, ფერდობებზე, შავი წერტილებისოდენა უამრავ საგანს მოჰკრა თვალი... წერტილები სწრაფად იზრდებოდნენ და ახლოვდებოდნენ. მალე კი ისინი აშკარად გამოიხატნენ ჰორიზონტზე.

შეუიარაღებელი თვალით ჯერ კიდევ ყველაფრის გარკვევა არ შეიძლებოდა — მტვრის ფარდა მალიმალ აეფარებოდა მათ და მხედველობის არედან აქრობდა მოძრავ ფიგურებს, ერთი რამ ნათელი იყო: ისინი ბევრნი იყვნენ, ყველგან იყვნენ — ფერდობებზე, გზაზე, მინდორზე.

კოსტას გონებაში ფიქრები აერია, მანამდე უცნობი და უჩვეულო.

რა იყო ეს — სურვილის სწრაფად ახდენით გამოწვეული სიხარული? თავის გამოჩენისათვის ხელსაყრელი მომენტის დადგომით განცდილი წამიერი სიამოვნება, თუ მტრის სიძულვილის მოზღვავებულ გრძნობათა უცაბედი აბობოქრება?

უნებურად დაჭრილი ოცეულის მეთაურისაკენ გააპარა მზერა, თითქოს პასუხს მისგან ელისო.

ლობანოვი წინ იცქირებოდა. მან უმალვე შენიშნა გერმანელები და მას შემდეგ თვალი არ მოუშორებია მათთვის.

ახლა ჭოგრიტი მოიმარჯვა და მოწინააღმდეგისაკენ გაიხედა და უცებ... მუხლები მოეკვეთა. მთელი სხეული აუცახცახდა. კბილები გააღრჭიალა და ზმუილის მსგავსი რაღაც უცნაური ხმა აღმოხდა.

— რა ამბავია? — იკითხა შეშფოთებულმა მატვეევმა.

ლობანოვმა პასუხის ნაცვლად ჭოგრიტი შეაჩეჩა ხელებში, თან სიჩქარისაგან ჭრილობას ჯანსაღი ხელი წამოსდო და საშინლად დაიკვნესა.

მატვეევმა ჭოგრიტი მოიმარჯვა, წინ გაიხედა და... მიტკლის ფერი დაედო, ჭოგრიტი წამით თვალებიდან მოიშორა, ლობანოვს შეხედა, მერმე ისევ თვალებთან მიიტანა, დაძაბული ყურადღებით მიაცქერდა მოძრავ საგნებს და ჩაილაპარაკა: — იქნებ შევიშალე?

ის, რაც მან დაინახა, მოჩვენება როდი იყო.

შემაძრწუნებელი სანახაობა იშლებოდა თვალწინ.

გერმანელებს მშვიდობიანი მოსახლეობა და დაჭრილი ტყვე წითელარმიელები აეფარებინათ წინ და ნელ-ნელა მოიწევდნენ ბატარეისაკენ.

რამდენიმე ასეულს აღემატებოდა იმათი რიცხვი, რომელთა ფარად გამოყენება განეზრახა ვერაგ მტერს.

ბორის კოსტიაკოვმა ვერ გაუძლო ამდენ ლოდინსა და უქმად დგომას და უმოქმედობის მიზეზის გასაგებად, რამდენიმე ნახტომით, ოცეულის მეთაურებთან გაჩნდა.

მან ვერ დამალა აღელვება უფროსთა წინაშე.

— იქნება თუ არა სროლის ბრძანება? მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს, არადა გავიქცეთ ისევ უკან, სანამ ყველაფერი არ დაღუპულა, რაღას ვუცდით?

— დამცინავი კილოთი წარმოთქვა მან და ოცეულის მეთაურებს ისეთი თვალით გადახედა, თითქოს უფროსთა წინაშე კი არ დგას, არამედ თვითონაა მეთაური და ხელქვეითები უდგანან წინო...

ლობანოვმა პასუხის ნაცვლად ჭოგრიტი შეაჩეჩა ხელში.

ბორისმა არ დააყოვნა — სწრაფად შეათვალიერა ფრონტის ხაზი.

...გაკვირვებისაგან უცნაურად აღრიალდა, ცალი ხელი მთელი ძალით მუხლზე დაიკრა და დაიყვირა:

— მხეცებო!.. სისხლის მსმელებო!.. უჰ, მე, თქვენი!.. — მიაყოლა მრავალსართულიანი გინება.

ჭოგრიტში ყველაფერი გარკვევით ჩანდა. ეს ძალ-ღონე გამოლეული, დამშეული, ნახევრად შიშველი ადამიანების ბრბო იყო, რომელიც ფაშისტებს იძულებული გაეხადათ წინ გასძღოლოდნენ, რადგან მტერი დარწმუნებული იყო, რუსები თავისიანებს არ ესვრიანო.

ეს პირველი შემთხვევა როდი იყო. გერმანელებს ასეთი მზაკვრული ხერხისათვის წინათაც არაერთხელ მიემართათ და იგი სმენოდა ყველას, მაგრამ არც ოცეულის მეთაურები, არც ბატარეის მებრძოლები დღემდე მსგავსი შემთხვევის მოწამენი არ გამხდარიყვნენ.

— კი მაგრამ, რად დასჭირდათ ეს გერმანელებს ხუტორის დასაცავად განლაგებული ნაწილების წინააღმდეგ? — ჰკითხა აღშფოთებულმა კოსტიაკოვმა ლობანოვს, როგორც კი მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

— არ ვიცი. მეც სწორედ ეს მაგიჟებს. ალბათ, სეირის ნახვა განუზრახავთ.

შესაძლოა, გზად ლტოლვილებს წააწყდნენ, ან ბანაკიდან გამორეკეს და ისე გასართობად მოიმოქმედეს ყოველივე, ესენი ხომ სადისტები არიან.

— იქნებ სხვა ოინია?! ან სად არიან ქვეითები, რატომ ისინი არ ისვრიან?

— ვერაფერი გამიგია-მეთქი. ეს რომ რომელიმე დიდი მნიშვნელობის ობიექტზე იერიშის წინ მომხდარიყო, მაშინ, ცხადია არ გამიკვირდებოდა.

ლობანოვმა ჭოგრიტი ისევ გამოართვა ბორისს და გულდაგულ შეათვალიერა, რაც წინ მოჩანდა.

ძვირფასი წამები საოცრად სწრაფად გარბოდნენ.

საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება. ერთ გაუთვალისწინებელ ნაბიჯს შეეძლო ყველაფერი დაეღუპა.

კავშირის შეწყვეტამ სათვალთვალო პუნქტთან მდგომარეობა უკიდურესად გაართულა.

დაყოვნება სიკვდილს უდრიდა.

ყუმბარებიანი მანქანების აფეთქებამ თითქმის ხელცარიელი დასტოვა ვაჟკაცები... ისინი ორცეცხლშუა იყვნენ.

ორიდან ერთი უნდა აერჩიათ: ან უკან დაეხიათ ,რაც შეიძლება სწრაფად, ან ცეცხლი გაეხსნათ მოახლოებული მტრისათვის.

...გზის ბოლოს გერმანელთა ტანკი გამოჩნდა, რომელიც ოცდაათი-ორმოცდაათი მეტრით იქნებოდა ლტოლვილებს დაშორებული და ნელა გამოემართა ბატარეის განლაგებისაკენ.

უმწეო ადამიანების უკან, თითქოს აქ ფრონტის ხაზი კი არა, სათამაშო მოედანიაო, წელში გამართულნი, ამაყი იერით მოდიოდნენ ქვეითი ჯარისკაცები, მოდიოდნენ ისე, როგორც შეუძლია იაროს იმ ჯარის ნაწილმა, რომელსაც წინ არავითარი დაბრკოლება არ ელის, ან უკვე ბრძოლა მოგებულია და ისღა დარჩენია საზეიმო მარშით გაიაროს მტრის მიერ დატოვებული ტერიტორია.

— როგორ მოვიქცეთ? — ამოილუღლუღა მატვეევმა და ლობანოვს საწყალი თვალებით გადახედა.

ეს უკანასკნელი ახლა უფრო ფერმკრთალი მოჩანდა. სისხლის დაკარგვას და სულიერ განცდებს თავისი დაღი დაეჩნია მისთვის: ერთობ მოტეხილიყო, მეტად მწუხარე იერი გადაჰკვროდა, თან ქვედა ტუჩი ნერვულად უთრთოდა.

— არ ვიცი, — ძლივს გასცრა ბოლოს.

მანძილი ბატარეის საცეცხლე პოზიციასა და გერმანელებს შორის სწრაფად მცირდებოდა.

— ყველანი გაწყდნენ თუ რა ამბავია?! არც ფლანგებზე განლაგებული სხვა ნაწილები ისვრიან, აქ მართლა სხვა ამბავია... ჩანს, ქვეითები სულაც არ ყოფილან წინ... ჩვენი ბატარეაც განგებ დატოვეს აქ, ჩვენ კი არაფერი გვათხრეს... ეს ხომ განწირვაა. ასე თუა, ცხადია, ბატარეის მეთაურმა ყველაფერი იცოდა — სიტყვა კი არ დასძრა... კავშირიც იმიტომ თუ „შეწყდა"‥, მაგრამ ნუთუ შესაძლებელია ასეთი რამ? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გაბზარული ხმით წარმოთქვა მატვეევმა.

ვერც თვითონ, ვერც ლობანოვი ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა შემთხვეოდა ყველას ერთად: ვოლკოვს, გავრილოვს, მზვერავებს. არც შტაბი, არც სათვალთვალო პუნქტი აქედან შორს არ იმყოფებოდა. კავშირის გაწყვეტის შემდეგ რომელიმე მებრძოლს სირბილით შეეძლო მოღწევა ბატარეამდე. მათ მეთაურებს როდი ჩვეოდათ განსაცდელში მყოფ ადამიანთა მიტოვება.

სოლოვიოვიც რომ არ ჩანდა!

...ლობანოვს ჯერ კიდევ არ მიეღო მოქმედების მტკიცე გადაწყვეტილება რომ უცებ, თითქოს ვიღაცამ სარდლობის ბრძანება გაუმეორაო, ყურში ჩაესმა:

— არც ერთი ნაბიჯი უკან!

მეთაურს ტანში ჭიანჭველებმა დაურბინეს. სწორედ იმ წამს მატვეევმა გაუბედავად წარმოსთქვა:

— უკან დახევის გარდა, გზა არ დაგვრჩენია.

ლობანოვს სიბრაზის იერმა გადაჰკრა სახეზე.

— ბრძანებას რა ვუყოთ? ხომ იცი მისი შეუსრულებლობა სამშობლოს ღალატს უდრის... ბრძანებას — „არც ერთი ნაბიჯი უკან!"

— როცა სხვა გამოსავალი არ არის? გარდა ამისა, ამ ბრძანების შემდეგაც ბევრჯერ გადავინაცვლეთ აღმოსავლეთისაკენ.. და უკან დახევაც ხომ ნამდვილი ვაჟკაცობაა ზოგჯერ...

— უმეტესად კი ბრძოლის ველიდან სამარცხვინო გაქცევას ნიშნავს!

— მაშ ჩვენებს დავუშინოთ?

ლობანოვი გაჩუმდა, საპასუხო სიტყვები ვერ მოეძებნა..

— არც ერთი ნაბიჯი უკან!

დიახ, იყო ასეთი ბრძანება.

იყო ,რადგან კვლავ უკან სვლას, მტრისთვის ტერიტორიის დათმობას შეეძლო აუნაზღაურებელი ზიანის მოტანა წითელი არმიისათვის, სასიკვდილო საფრთხის შექმნა მთელი ქვეყნისათვის და შემდეგ ათიათასობით წინ გადადგმული ნაბიჯი ვეღარ გამოასწორებდა მდგომარეობას.

ეს მშვენივრად ესმოდა მატვეევს, ლობანოვს, მილიონობით მატვეევებსა და ლობანოვებს და ამიტომ იყო, რომ ისინი სიცოცხლის განწირვას ამჯობინებდნენ ბრძანების შეუსრულებლობას.

— რა უნდა ექნათ ამ შემთხვევაში, ოცეულის მეთაურებს?

უკან დახევაზე ფიქრიც არ უნდოდათ — ცეცხლის გახსნა კი არ შეეძლოთ.

უმწეო ადამიანებისათვის და სისხლისაგან დაცლილი, დაჭრილი ტყვე წითელარმიელებისათვის ესროლათ?.. ისინი ჯერ მტერსაც ვერ გაემეტებინა სასიკვდილოდ.

რაოდენ გულისმღრღნელ და სინდისის მქენჯნავ ფიქრებთან იყო დაკავშირებული ამის წარმოდგენაც კი?

იქნებ იმ განწირულთა შორის შენი შვილი, დედა, მამა, და, ძმა, სატრფო ან მეგობარი... დახმარების მაგიერ ტყვიებით გაუმასპინძლდები და ისედაც უღიმღამო სიცოცხლის მზეს დაუბნელებ? ესვრი და მერე ვის?! ვინც შენგან ხსნას ელოდა, ვინც მოგანდო თავისი ბედიღბალი, მფარველად გიწამა, ქომაგად დაგსახა? შენივე ხელით ბოლოს მოუღებ იმას, ვინც დედობრივი სიყვარულით გმოსავდა და მუდამ გლოცავდა, შენს სისხლსა და ხორცს, ვინც შენსავით ელოდა ფაშისტთა დასამარებას, გამარჯვების მზის ამობრწყინებას?

ქვეყნის სასახელო შვილად გიგულებდნენ, გმირად გზრდიდნენ, შენით ამაყობდნენ და თავი მოჰქონდათ, სწამდათ შენი, სჯეროდათ: ან გაიმარჯვებდი ან მტერს შეაკვდებოდი და შენ არა თუ გაამართლე მათი ნდობა და შეაჩერე მტერი, არამედ უკან დაიხიე, მომხდურს დაუტოვე მშობლიური მიწის ნაწილი, მის ანაბარა მიატოვე სახლ-კარი, მშობლები, ცოლშვილი. რომელიც სასტიკად აწამეს, დაამშიეს. ნამუსი და ღირსება გაუთელეს, ახლა კი ცოცხალ ფარად აიფარეს წინ და შენვე გაიძულებენ ტყვიებით გაუპო შენზე ფიქრით დაღ[illegible]მებული გული.

დაინდობ? — კიდევ უარესი: ამას მოჰყვება ახალი მსხვერპლი და კიდევ ერთი დამარცხება, დამცირება და შეურაცხყოფა, სისხლი...

გადამწყვეტი წუთები ახლოვდებოდა.

ლტოლვილთა ნაკადის წინ მოწინაალმდეგის კიდევ ერთი ტანკი გამოჩნდა.

მას სამი ჯავშნიანი მანქანა მოჰყვა.

ლობანოვს გონებაში რაღაც აზრმა გაუელვა და თითქოს მდგომარეობიდან გამოსავალი

იპოვაო, თვალებში იმედის ნაპერწკალი აუკიაფდა.

იმავე წამს კერესელიძე მიიჭრა მეთაურებთან.

მას კვალდაკვალ მიჰყვა კოსტიაკოვი.

არცერთმა არ იცოდა მეორის აზრი.

ხმა პირველად კოსტამ ამოიღო.

— ნება მიბოძეთ, ამხანაგო ოცეულის მეთაურო, — მან ლობანოვს თვალი თვალში გაუყარა, — ჯავშანმხვრეტი ყუმბარებით ცეცხლი გავუხსნა ტანკებს ახლავე, დაუყოვნებლივ, რამდენიმე წუთის შემდეგ გვიანღა იქნება!

— ჩემი აზრიც ესაა, ამხანაგო მეთაურო! შევებრძოლოთ ტანკებს და ვსინჯოთ ბედი! იმედი იქონიეთ ყუმბარებს არ ავაცდენთ წყეულებს! — მტკიცე ხმით წარმოსთქვა კოსტიაკოვმა.

ლობანოვს სახე გაუბრწყინდა, კოსტას საღი ხელით მისწვდა, თავისკენ მოსწია.

ბორისი თვითონ მიჩოჩდა მეთაურისაკენ.

— მეც ამას ვფიქრობდი, — ლობანოვმა გიმნასტურის სახელოთი სიხარულისაგან თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, — დავტოვო ორი ქვემეხი ტანკებთან საბრძოლველად, ხოლო დანარჩენებს უკან დავახევინო, ერთდროულად მაინც ვერ ვივლით, მანქანები მწყობრიდანაა გამოსული... თქვენ იცით, ბიჭებო! სამი-ხუთი მეტრით მიზნის იქით ყუმბარების დაცემა ათეულობით ჩვენიანს მუსრს გაავლებს, საჭიროა ასტრონომიული სიზუსტე სროლისას!

აქ უცებ ჩაუქრა მამაცური აღტყინება, ხმა გაებზარა.

მან კარგად იცოდა, რომ ასე აუცდენლად სროლა უძრავ სამიზნეებზედაც უჭირდათ ბიჭებს საწვრთნელი მეცადინეობის დროს. — მისმა გონებამ უმალვე გაიაზრა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთ გადაწყვეტილებას.

— ამასობაში მტრის ქვეითი ჯარი ჩვენს პოზიციასთან გაჩნდება, დროში ვაგებთ, იმათ რაღა ვუყოთ? — უიმედოდ ამოილაპარაკა მატვეევმა .

— ჯერ მკერდი შევუნგრიოთ მოწინააღმდეგეს, დანარჩენებზე შემდეგ ვიფიქროთ!

— მაგრამ ცეცხლს გავხსნით თუ არა, ტანკები უკან დაიხევენ და ცოცხალ ფარს მოიშველიებენ კვლავ.

ლობანოვს ბრაზი მოერია.

— აბა საშველი აღარ ყოფილა და ისაა. საჭიროა ერთ აზრს დავადგეთ, აქ მე ვარ ჯერ ბატარეის უფროსის მოადგილე!

მატვეევს ხმა არ ამოუღია, — თვალები აარიდა ლობანოვს.

ამ უკანასკნელმა ამოიოხრა, წამით ჩაფიქრდა, შემდეგ ქვემეხების მეთაურებს მიუბრუნდა და რაც შეიძლება, სწრაფად უთხრა:

— ვასრულებ თქვენს თხოვნას, სხვა გამოსავალი არ არის. ბრძოლა გაუმართეთ ტანკებს! თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ! იმოქმედეთ!

— არის ბრძოლა გავუმართოთ ტანკებს! — ერთდროულად გაიმეორეს კოსტიაკოვმა და კერესელიძემ და წელში მოხრილებმა სწრაფად დატოვეს იქაურობა. — სირბილით! გაიქცნენ ქვემეხებისაკენ.

ლობანოვმა სინანულით გააყოლა მათ თვალი, მერე მატვეევს მიაპყრო მზერა. მან იცოდა, რომ ვასილ ანდრიას ძე მართალი იყო. მას შიში კი არ ალაპარაკებდა, არამედ შექმნილი, თითქმის გამოუვალი მდგომარეობა. თვითონაც გრძნობდა: სასწაულს შეეძლო მათი ხსნა მხოლოდ, მაგრამ არ მოსწონდა მატვეევის მუდამ საწინააღმდეგო მოსაზრებები, რაც მხოლოდ გამაღიზიანებლად მოქმედებდა მასზე.

ან რა უნდა ექნა?

სხვა გზა არც იყო.

თუ ხუთივე ქვემეხი გაუსროლელად დატოვებდა იქაურობას, სულერთია, მოძრაობისას მტერი შეამჩნევდა მათ და იოლად მოსპობდა. ბრძოლის გამართვას კი თუნდაც ორი ქვემეხით შეეძლო მოწინააღმდეგის ყურადღების მიპყრობა, და სხვები როგორმე მოახერხებდნენ უკან დახევას.

ამიტომ მათ დანარჩენი ქვემეხების მეთაურებს დაუყოვნებლივ ადგილიდან აყრა უბრძანა.

ჩანდა, გერმანელებს ჯერ კიდევ არ შეენიშნათ შენიღბული ქვემეხები, რადგან ისინი არ ისროდნენ. ცეცხლის გახსნის შემდეგ კი გაჩაღდებოდა ნამდვილი დუელი — უთანასწორო დუელი ფოლადით შეჯავშნულ ციხესიმაგრესა და მცირე ყალიბის ქვემეხებს შორის.

ტანკებთან ბრძოლა რთულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სქელი ჯავშანი აქვთ და ყუმბარა ძნელად ატანს შიგ, არამედ იმიტომაც, რომ იგი მოითხოვს მებრძოლთა განსაკუთრებულ გამბედაობასა და ნებისყოფას, საზრიანობასა და სიზუსტეს სროლის დროს და, რაც მთავარია, მათ მოსასპობად საჭიროა არა მარტო ქვემეხები, ხელყუმბარები და ბენზინიანი ბოთლები, არამედ ნერვები, მტკიცე ნერვები და მამაცური გულის ცემა მკერდში.

...მოწინააღმდეგის დუმილმა გაათამამა ფაშისტები.

ტანკები უფრო დიდი მანძილით დაშორდნენ ცოცხალ ფარს და უკან ჩამოიტოვეს ჯავშნიანი მანქანები, რომლებიც რამდენიმე მეტრით ლტოლვილების წინ გამოსულიყვნენ.

მიიღეს თუ არა კოსტამ და ბორისმა ოცეულის მეთაურისაგან ტანკებთან ბრძოლის ნებართვა — ვეფხვებივით დატრიალდნენ, განკარგულება გათვლის წევრებს ამცნეს და ბრძოლისათვის განემზადნენ.

წამები ძვირად ფასობდნენ...

მემიზნეთა ოსტატობაზე იყო დამოკიდებული მათი ბედ-იღბალი.

სისწრაფე და სიზუსტე გადასწყვეტდა ყველაფერს.

მზე ოქროსფერ სხივებს უხვად აფრქევდა დედამიწაზე, მაგრამ არტილერისტთაგან ვერავინ ამჩნევდა მის სიდიადეს და დილის თვალწარმტაცი სურათის მომხიბვლელობას.

მოტორების გუგუნი გარკვეულად ისმოდა.

ტანკები შუა გზაზე მოდიოდნენ, ერთ რიგად.

ბორისმა გამტენი ეფრეიტორი ტროფიმოვი იხმო და უბრძანა გამოეყენებინა რელიეფის თავისებურება, ესინჯა ბედი და ხელყუმბარებით შებრძოლებოდა ტანკებს.

ტროფიმოვი მაშინვე გაეშურა ბრძანების აღსასრულებლად.

— პირველი ქვემეხი მზადაა! — გაისმა მემიზნის ხმა.

— მეორე ქვემეხი მზადაა! — არ დააყოვნა თავის მხრივ კერესელიძის მემიზნემ.

...და როცა მოწინააღმდეგეთა შორის მანძილი ორას მეტრამდე შემცირდა, ტანკებმა და ქვემეხებმა თითქმის ერთდაიმავე წამს დაიქუხეს.

შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით დატრიალდა.

ამჯერად სიმხდალე არ გამოუჩენიათ გერმანულ ტანკისტებს.

ჩანდა, ამ უბანზე მათ წითელი არმიის დიდძალი ნაწილები ეგონათ განლაგებული და როცა დარწმუნდნენ, აქ მხოლოდ ერთი ბატარეა იდგა, რომელთაგან მხოლოდ ორი ქვემეხი ისროდა — გათამამდნენ, სვლას უმატეს, ცოცხალ კედელს კიდევ უფრო დაშორდნენ და ცეცხლი გააძლიერეს.

ლობანოვი არ მოელოდა მტრისაგან ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. ეს მისი ბატარეისათვის ხელსაყრელი იყო, ამიტომ ბრძოლის სურვილი, როგორც არასდროს, დაეუფლა და განკარგულება შეცვალა.

„ალბათ მშიშრები ვგონივართ..., ვაი სირცხვილო" — გაიფიქრა, — სიმწრის ოფლმა დაასხა.

ერთი რამ მაინც გამორჩა მხედველობიდან ნაცად მეთაურს: მტერმა თავისი საქმე გააკეთა — აიძულა მოწინააღმდეგე მიეღო ბრძოლა მისთვის არახელსაყრელ ვითარებაში, გამოარკვია მისი ადგილსამყოფელი. ძალები და, რაც მთავარია, მოიგო დრო.

...ის იყო დანარჩენი სამი ქვემეხი ადგილიდან იძვრებოდა, რომ ბრძანება შემოესმათ:

— ადგილებზე! არავითარი უკან დახევა! გამარჯვება ან სიკვდილი, ძმებო!

იცნეს ოცეულის მეთაურის ხმა...

...პირველი და მეორე ქვემეხების ბათქებს დანარჩენი სამი ქვემეხის გრიალი შეერთო.

მომაკვდინებელი მოგრძო ბურთები მეხისებური ძალით ეცემოდნენ ფაშისტურ ურჩხულებს, მაგრამ თითქოს ჯადოქრებია და ყუმბარები ვერაფერს აკლებენო — ტანკები ისევ წინ მობობღავდნენ და პირიდან ცეცხლსა ყრიდნენ.

— ჩემი ქვემეხის მემიზნე დაიჭრა! — იყვირა კერესელიძემ ლობანოვის გასაგებად.

სუსტ კნავილად შემოესმა თავისი ხმა — სროლის ქუხილში შთანთქმული... ქვემეხთან სულმოუთქმელად მიიჭრა, დაჭრილი ცალი ხელით მიწაზე მიაწვინა, სამიზნეს მიუჯდა და დაწინაურებული ტანკი მიზანში ამოიღო.

„რაჭული სიდინჯე მოიმარჯვე, ააცდენ — მოკვდები, მოარტყამ — იცოცხლებ! — შიგ ყურში ჩაესმა თითქოს ვიღაცის ხმა...

სასხლეტზე გამოსაკრავად გამზადებული ხელი წამით ქვევით ჩამოუცურდა, აუჩქარებლად მიხუჭა მარცხენა თვალი, სუნთქვა შეიკრა და თითქოს წინ ფოლადის კი არა, ფანერის სათამაშო ტანკია და იქიდან არავითარი საშიშროება არ მოელისო, დინჯად დაუმიზნა და გაისროლა.

„მგონი მოვარტყი", — გაიფიქრა, თვალები ფართოდ გაახილა და წამოდგა, რათა ქვემეხის ფარის ზემოდან გადაეხედა მტრის მანქანისათვის.

მუხლუხიანი ურჩხული შედგა, ადგილზე ატოკდა, საშინელი ხმით დაიგრუხუნა და შემოტრიალება სცადა.

ამაოდ.

პირდაპირ მოხვედრილ ჭურვს მუხლუხი შუაზე გაეგლიჯა. ახლა ტანკს მოძრაობა აღარ შეეძლო, სროლა — კი.

...რამდენიმე წამს გაგრძელდა საარტილერიო დუელი.

გამარჯვებული მაინც არ ჩანდა.

ჯავშნიანი მანქანების ეკიპაჟის წევრებს ნერვებმა უმტყუნეს, უკან დახევა იკადრეს და წინ ადამიანები აიფარეს...

ლაჩრები!

ფოლადით შემოსილი მანქანები ამოეფარნენ იმათ, ვისაც ზხეულის დასაფარავად ქსოვილიც არ გააჩნდათ...

ჯავშნოსნებმა მსხვილი ყალიბის ტყვიამფრქვევები აამოქმედეს.

ყუმბარების ხოშკაკალს ტყვიების წვიმა მოჰყვა...

გერმანელთა მეორე ტანკმა უკან მოიტოვა დაზიანებული ფოლადის მანქანა და წინ გამოძვრა.

— ძმებო, არ შედრკეთ! ერთი ტანკი დავაზიანეთ! დავაზიანებთ და მოვსპობთ მეორეს, მესამეს, იმდენს, რამდენიც გამოჩნდება! თქვენს ხელთაა ყველა ჩვენთაგანის სიცოცხლე! — ამხნევებდა ლობანოვი მეომრებს.

არტილერისტები ლომებივით შეუპოვრად იბრძოდნენ... ვაი დედასა, რომ მათ არ შეეძლოთ გაშლილი ფრონტით ემოქმედათ და ცე-

ცხლი მტრის ქვეით ჯარში გადაეტანათ, ჯავშნოსნებისათვის დაეშინათ... რა ულმობლად დათესდნენ მაშინ სიკვდილს მათ რიგებში!

ყველაზე დიდი საფრთხის წინ პირველი და მეორე ქვემეხის მებრძოლები იყვნენ — მათ ჭურვები ელოდათ.

...ყუმბარა მესამე ქვემეხის წინ დაეცა.

აფეთქების ტალღამ ზურაბს საკეტზე ხელი შეაშვებინა...

დავითს სახეში მიწის ნაფშვენები მოხვდა, — მიწას გაეკრა...

ვილაცის ყრუ კვნესა შეერთო ყურისწამღებ ხმაურს.

ყუმბარის მიმტანი პარამანოვი და კაჩალოვი მძიმედ დაიჭრნენ.

წამიც არ იყო გასული — ლეიტენანტ ლობანოვს მარჯვენა ბარძაყსა და ბეჭში ნამსხვრევი მოხვდა.

— მომკლეს! — ყრუდ ამოიკვნესა და ტანკისკენ უსიცოცხლო თვალებით მიიხედა, თითქოს მტერს წყევლა-კრულვას უთვლისო....

სისხლმა შადრევანივით იფეთქა ჭრილობებიდან.

მატვეევი პირველი მივარდა მასთან მისაშველებლად, მაგრამ აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო.

აფეთქების ახალი მძლავი ხმა მოვარდა წინა მხრიდან.

ჩვეულებრივი ყუმბარის გასკდომას არ ჰგავდა იგი.

ყველამ იქითკენ მიიხედა.

კვამლისა და მტვრის ფარდაში გახვეულ გზაზე არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

ნიავმაც წამოუბერა და კვამლი გაჰფანტა.

ცეცხლმოდებული მტრის ტანკი გამოჩნდა.

ტროფიმოვს დავალება შეესრულებინა — შეუმჩნევლად მიპარვოდა და ხელყუმბარებით აეფეთქებინა ცეცხლმფრქვეველი მანქანა.

უკან დაბრუნება აღარ დასცალდა.

თავისიანებისაკენ ხოხვით მომავალი ცხრამეტი წლის ვაჟკაცი ჯავშნოსანში მყოფმა ფაშისტმა მეტყვიამფრქვევემ შენიშნა და...

— გერმანელთა მეორე ტანკი იწვის! — ლობანოვის გასაგონად დაიყვირა ვილაცამ.

დაჭრილმა მეთაურმა, თითქოს ამ სიტყვებმა საიქიოდან მოაბრუნაო, ძლივძლივობით, ოდნავ თავი ზეწამოსწია და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილაპარაკა.

— მართლა?.. მეორე ტანკიც?..

მეტი ველარაფერი თქვა — გრძნობადაკარგულმა თავი უსიცოცხლოდ გადაჰკიდა მატვეევის ხელებზე.

მიწაზე ფრთხილად დაასვენეს.

სწორედ ამ დროს სანიტარი მიიჭრა მასთან, დაჭრილი ზურგზე წამოიკიდა და უკან გახოხდა.

— მეხუთე ქვემეხის სამიზნე მოწყობილობა დაზიანდა. სროლა შეუძლებელია! მემიზნე მძიმედაა დაჭრილი! — შემოესმა ამ დროს მატვეევს ყუმბარის მიმტანის ლობჟანიძის ხმა.

— თფუ! — გადააფურთხა ოცეულის მეთაურმა.

ახლა მეორე ქვემეხის მეთაურის სერჟანტ ხაზაროვის ხმა გაიგონა:

— ცისვრით უკანასკნელ ყუმბარებს, როგორ მოვიქცეთ?!

მატვეევმა ბაგე მოიკვნიტა სიმწრისაგან, — არაფერი უთქვამს.

კოსტიაკოვმა გაიგონა ყოველივე თითქოს და ნუგეშის ნაცვლად დამწვარზე მდუღარე უნდა გადაასხასო, შორიდან გადმოსძახა მეთაურს:

— ექვსი ყუმბარა დაგვრჩა, ამხანაგო ლეიტენანტო!

— მე ცოტა მეტი, ნუ გეშინიათ! — გაამხნევა ზურაბმა ოცეულის მეთაური.

— მეც მაქვს ცოტაოდენი ყუმბარები! — ბანი დააწია კერესელიძემ.

— დაზოგეთ ჭურვები! ..მეხუთე ქვემეხმა დაუყოვნებლივ დაიხიოს უკან! — გაისმა მატვეევის ბრძანება.

ერთი აფეთქებული და ერთი დაზიანებული ტანკი ცუდი ანგარიში როდი იყო ბატარეისათვის. ახლა შეიძლებოდა უკან დახევა და ეს მართლა ვაჟკაცობა იქნებოდა...

აცლიდნენ?

ბრძოლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე უკან სვლა.

ყოველი ნაბიჯი სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა თითოეულ მათგანს.

საქმე კი უამრავი იყო: ქვემეხების მიმაგრება მანქანებზე, დაჭრილების აკრეფა და ძარაზე მოთავსება.

— დაღუპულები არ დატოვოთ! — თითქოს ახლა მოაგონდაო, — ხრინწიანი ხმით ბრძანა ოცეულის მეთაურმა.

ეს დროს ითხოვდა.

მანქანებიც აღარ იყო — ხუთიდან ორი გამოდგებოდა. ერთ მანქანაზე ორი ქვემეხის მიბმა წარმოუდგენლად ძნელი საქმე იყო.

გათვლის წევრები განახევრებული იყვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მატვეევმა ახალი ბრძანება გასცა: მეორე ქვემეხმაც დაიხიოს უკან, რაც შეიძლება ჩქარა!

...ფაშისტებმა ცეცხლის შენელება იგრძნეს, სითამამე შეემატათ. ისინი დარწმუნდნენ, რომ ბრძოლა ამ უბანზე მოგებულია და დაიწყეს გადამწყვეტი შემოტევა.

აღარც ცოცხალი ფარი სჭირდებოდათ ამიერიდან.

მათ შეასრულეს „დაკისრებული მოვალეობა“, მოაგებინეს დრო გერმანელებს, არახელსაყრელ ვითარებაში მიაღებინეს ბრძოლა მოწინააღმდეგეს, თან სერიოზულად დააზიანეს ბატარეა. ახლა შეეძლოთ ევლოთ გაშლილი ფრონტით. ამიტომ ლტოლვილები ხელის შემ-

შლელებად ჩათვალეს და... ჰიტლერელებმა რამდენიმე წამის განმავლობაში ტყვიებით დაცხრილეს უმწეო ადამიანები...

ჯავშნოსნები თავიანთი მსხვერპლის გვამებზე გავლით სწრაფად გამოემართნენ ბატარეისაკენ.

— კერესელიძეს უკან დახევაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა, ბრძოლის აზარტში შესული ვაჟკაცი თეალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა. იგი მზად იყო ხელდახელ დატაკებოდა ფოლადის მანქანებს, მაგრამ ბრძანება უნდა შეესრულებინა.

მან თითქმის მარტომ გააგორა ქვემეხი რამდენიმე მეტრზე და უსწორმასწორო ადგილები რომ არა, ალბათ მანქანამდე თვითონვე მიიტანდა.

მესამე ქვემეხს კიდევ ჰქონდა ბრძოლისუნარიანობა შერჩენილი, მაგრამ არ ისროდა — ხელსაყრელ მომენტს უცდიდა.

„ამათ ჰგონიათ, რომ ყველანი დავიხოცეთ, დაე ეგონოთ“, — გაიფიქრა ზურაბმა და დაწინაურებული ჯავშნოსანი მიზანში ამოიღო.

ახლა ბატარეას შეეძლო თავისუფლად მოქმედება, მაგრამ უკან უნდა დაეხია.

ბედის დაცინვაც ამას ჰქვია.

მეორე ჯავშნოსანმა გზიდან გადაუხვია და ფერდობს აჰყვა.

— ცეცხლი! — იყვირა მატვეევმა მესამე — მეოთხე ქვემეხის მეთაურთა გასაგონად.

— ცეცხლი! — გაიმეორა იმავე წამს მესამე ქვემეხის მეთაურმა ფროლოვმა.

გასროლა უმალ მოხდა. — ოთარი არ დალოდებია ბრძანებას.

ზურაბის ქვემეხმაც იქუხა.

ამათდ ეგონათ ფაშისტებს საშიშროებამ განვლოო...

კიდევ ერთი ჭურვი გაისროლა ოთარმა და სიხარულისაგან დაიყვირა:

— მოვარტყი მაგ ქოფაკს!

მატვეევის ხმა შემოესმა:

— ყოჩაღ, ოთარ! სროლაც ასეთი უნდა!

ჯავშნოსანი გვერდზე გადაყირავდა და კვამლში გაეხვია.

— ზურაბ, შენი ჯერია! — გასძახა ოთარმა მეგობარს.

— აბა მარჯვედ, მარჯვედ! — გააგულიანა ფროლოვმა თავის მხრივ მემიზნე.

ზურაბმა „ხათრი“ არ გაუტეხა ქვემეხის მეთაურსა და მეგობარს.

წუთიც არ იყო გასული და... მეორე ჯავშნოსანსაც პირველის ბედი ეწია.

— ესეც თქვენ! — ბაგეების კვნეტით ჩაილაპარაკა ზურაბმა და დავითს თავმოუბრუნებლად მიაძახა:

— ჩქარა მსხვრევადი ყუმბარა!

დავითმა ელვის სისწრაფით შეაგდო ჭურვი საკეტში.

ზურაბმა ახლა მანქანიდან ჩამომხტარი ავტომატმომარჯვებული ქვეითი ჯარისკაცები ამოიღო მიზანში, რომლებიც წელში მოხრილნი გამოემართნენ წინ.

„ამათთან ანგარიშის გასწორება ადვილია“, — გაიფიქრა, — დაუმიზნა და გაისროლა.

იმავე წამში კიდევ ერთი ყუმბარა აფეთქდა მტრის რიგებში. ეს ოთარი წამოეშველა თანამემამულეს. ახლა მას ერთი ჭურვიღა რჩებოდა.

...აღარ ინძრეოდნენ მეწინავე ფაშისტი ჯარისკაცები. გველივით იკლაკნებოდნენ და სულს ღაფავდნენ. გზის მეორე მხრიდან სხვებმა წამოყვეს თავი... კიდევ გასროლა... და ისევ უმოძრაობა მტრის წინა რიგებში.

მოტორების გრუხუნმა მოატანა საცეცხლე პოზიციაზე.

ჰორიზონტზე გერმანელთა ორი ტანკის კოშკურები გამოიკვეთა...

მესამე და მეოთხე ქვემეხებთან შიკრიკი მიიჭრა.

— მანქანებთან სწრაფად! მატვეევის ბრძანებაა, უკვე მეორედ.

არც დაფიქრებულან.

...ლაფეტები ელვის სისწრაფით შეკრეს და ქვემეხები უკან გააგორეს.

შუა გზაზე მანქანა შემოხვდათ.

დანარჩენები უკვე ადგილიდან დაძრულიყვნენ.

ზურაბმა მათ დაადევნა მზერა: ერთ მანქანაზე ვაივაგლახით ორი ქვემეხი მიებათ.

„ბეწვის ხიდამდე“ სამოცი-სამოცდაათი მეტრი იქნებოდა დარჩენილი, შემდეგ თავდაღმართი იწყებოდა — პირდაპირ მიზანში ამოღება გაუძნელდებოდა მტერს.

ბედმა გაუღიმათ, განვლეს „ბეწვის ხიდი“.

სისწრაფე, მხოლოდ სისწრაფე გადაწყვეტს ყველაფერს.

მეხუთე ქვემეხს ლაფეტი აქვს გადამსხვრეული, რა უყონ? სულ ორი მანქანაა. დაჭრილებს შველა არ უნდა? მკვდრებიც უნდა აკრიფოს ბრძოლის ველიდან.

მანქანები, რომლებზეც პირველი და მეორე ქვემეხია მიბმული, წინაა და მზად არიან დაიძრან.

ეს რაღაა?

არტილერისტებს ყუმბარის შრიალი შემოესმათ ზედ ყურთან, თითქოს დაჭრილი არწივი მიწას ენარცხებაო.

ფრონტელმა იცის, რას ნიშნავს ეს.

ტრაექტორიაგავლით თუჯის „მოგრძო ბურთი“ მიწაზე ეცემა.

დიახ, ასეა...

...აფეთქების ყურწამღები ხმა და ნამსხვრევთა საბედისწერო ფრენა ჰაერში, მიწის გოროხების შხუილი...

მეხუთე ქვემეხს დაეძგერა მრავალი სიკვდილი...

სადღაა ქვემეხი...

კაბინაშიც დაჭრილია ვიღაცა და ძარაზეც... აღარაა საჭირო ქვემეხის წაღებაზე ზრუნვა — მტერმა აპოვნინა „გამოსავალი"... დანარჩენ ქვემეხებს როგორ მოუვლიან.

კოსტამ გიორგის მოჰკრა თვალი — სისხლში იყო შეღებილი შავტუხა ვაჟკაცი.

ნამსხვრევი მარჯვენა წარბსა და მხარში მოხვედროდა

შველა უნდოდა დაჭრილს.

მეხუთე ქვემეხის ფეხგადამტვრეული მეთაურის, უფროსი სერჟანტი ჩეჩელნიცკის კვნესა ნადირსაც დააფრთხობდა...

ჭრილობის შეხვევის დრო არ იყო.

სასწრაფოდ ძარაზე მოათავსეს და მანქანა დაიძრა.

თითოეული წამი სიცოცხლედ ღირდა..

მესამე-მეოთხე ქვემეხები ბოლოს ეარჩნენ.

ლობანოვიც ზედ უნდა აიყვანონ.

მატვეევიც იმათ გაჰყვება.

აბა რა მეთაურია, თუ ყველაზე წინ გაიქცევა უკან დახევისას.

მანქანა ერთია. ქვემეხი — ორი.

უსულო ძმები არ დააშორეს ერთმანეთს, დიდი გაჭირვებით ერთურთს მიამაგრეს, — ორივენი კი მანქანაზე, ორ-ორი ქვემეხი თვითეულზე.

ერთი რჩება ბრძოლის ველზე, ერთი — მეხუთე ქვემეხი...

რას უცდიან?

ვიღაცამ შოფერს დაუყვირა:

— რა ხელ-ფეხ შეკრულივით გდიხარ მანდ, სიკვდილს ხომ არ ელოდები?!

თითქოს ამას უცდიდაო, შოფერმა მანქანა შურდულივით მოწყვიტა ადგილიდან და...

ძარაზე ცალფეხშედგმული ოთარი გვერდზე გადაისროლა.

ზურაბმა შიშისაგან შეჰყვირა, — ეგონა ქვემეხმა სხეულზე გადაუარაო...

დავითმა შოფერს უკიჟინა, მანქანა გააჩერეო.

ოთარი სწრაფად წამოხტა ზეზე და მანქანას დაედევნა. ზედ მიბმულ ქვემეხზე სცადა შეხტომა.

მტრის ტანკიდან მოვარდნილმა ჭურვმა მეხივით დაიგრიალა და სიკვდილის ფრთებმა საბედისწეროდ გაიშრიალა მის ყურებთან...

ნამსხვრევების ხოშკაკალი დაიფრქვა ირგვლივ...

ერთმა მათგანმა შოფერს ყბა შეუნგრია...

მანქანის დამუხრუჭება მაინც მოასწრო, თან გულშემზარავად დაიგმინა.

ძარაზე მსხდომნი ერთმანეთს შეასკდნენ.

ლობანოვს, თითქოს სხვა ვერაფერი მოუღებდა ბოლოსო, ყრუ კვნესა აღმოხდა, თავი ძარის ძგიდეს მიახეთქა და სული განუტევა.

ზურაბი აღლოთი მიხვდა, რა უნდა მომხდარიყო იქ, ქვევით და მანქანიდან ისკუპა.

დავითიც მას მიჰყვა.

მტრის ქვემეხთა ველური ყეფა სულ უფრო და უფრო ახლოდან ისმოდა.

ყუმბარები ზედ თავზე გადაუვლიდნენ მანქანაზე მყოფთ და იქვე ახლო სკდებოდნენ.

მანქანის რამდენიმე წამით დგომა ადგილზე დაღუპვას უქადდა ყველას.

მოახლოებული აღსასრულის საფრთხემ მატვეევს ელდენივით დაუარა ტანში, ელვის სისწრაფით ძარიდან ჩამოხტა, კაბინაში შევარდა, სულთმობრძავი შოფერი გვერდზე მიაჩოჩა და საჭეს მიუჯდა.

ზურაბის გიჟურმა ყვირილმა შეაჩერა:

— ოთარი მოგვიკლეს ძაღლებმა, მოგვეშველეთ!..

მატვეევს წამით გაუქრა შიშის გრძნობა.

მებრძოლის ბედმა ყველაფერი დაავიწყა და ზურაბს მიაპყრო მზერა.

შემაძრწუნებელ სურათს მოჰკრა თვალი:

მკერდგაგლეჯილი ოთარი მანქანიდან სამიოდე მეტრის მოშორებით ეგდო და სისხლიდან იცლებოდა.

ნამსხვრევი შუბლზედაც მოხვედროდა, ხუჭუჭა თმით დაფარული კანი აეგლიჯა და უკან გადაჰფენოდა.

სიკვდილი თვალებში ჩასდგომოდა ვაჟკაცს.

მთელი სახე და ტანი წითლად ჰქონდა შეღებილი და რაღაცას საცოდავად ჩიფჩიფებდა.

ზურაბი პირველი მიიჭრა მასთან.

დავითიც იქვე გაჩნდა.

ოთარმა, თითქოს კართან მოვარდნილ სიკვდილს არ უნდა დანებდესო, — უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, დაგლეჯილი მკერდი ოდნავ შეანძრია, რაღაც სასწაულით. პირი გააღო, ტუჩები აცმაცუნა და ამოილუღლუღა:

—დღი.. უ... რე... ჩე.. მი დღი... თან ცალი ხელი მარცხნივ გაიშვირა. ჯარისკაცებმა მომაკვდავის ხელს გააყოლეს თვალი.

სხვა ვეღარა თქვა — პირიდან სისხლმა ნაკადულივით იჩქეფა.

წამიც და.. ნაწამებ სხეულს მოშორდა სული.

— ვაიმე, ძმაო! — დაიგმინა სასოწარკვეთილი ხმით ზურაბმა.

დავითიც ატირდა.

ზურაბმა იქით მიიხედა, საითკენაც ოთარის გაშეშებული ხელი იყო მიშვერილი და რამდენიმე წამის წინ რაღაცას ანიშნებდა.

ხუთიოდე ფეხის ნაბიჯზე საველე ჩანთა ეგდო, შუაზე გაგლეჯილი.

მეგობრის უკანასკნელი თხოვნაც ალბათ იმ ნივთს შეეხებოდა.

ზურაბი ორიოდე ნახტომით ჩანთასთან გაჩნდა და ცოცხალ არსებასავით ხელში აიტაცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ლომჯარია

# გულის კარნახით

1939 წელს პირველ სექტემბერს სწავლა ბათუმის ინდუსტრიალურ ტექნიკუმში ჩვეულებრივად დაიწყო, მხიარულად გადიოდა დღეები. ლექციების შემდეგ თანაკურსელები შევიყრებოდით ერთად პანსიონატში და გვქონდა ერთი გაუთავებელი კამათი და სჯა-ბაასი, სალაპარაკო და საკამათო ბევრი რამ გვქონდა. სწავლა, ფეხბურთი, წაკითხული წიგნების გმირების დახასიათება და სხვა მრავალი. მაგრამ მთავარი ჩვენი საკამათო იყო იმ დროს ფინეთთან წარმოებული საომარი კამპანია და წითელარმიელების შეუდარებელი გმირობის ამბავი, ჩვენი ერის ისტორიიდან თანდათანობით ამოტივტივდნენ სახელოვანი მამულიშვილები, თავდადებული ადამიანები. — მათი გმირობა ჩვენთვის ძვირფასს, საამაყო მაგალითად იქცა. მაშინ გვჯეროდა: თუ საჭიროება მოითხოვს, მარტო ჩვენი სახელოვანი წინაპრების გმირობა, რა სათქმელია, თუ არ გადავაჭარბეთ რაღა ბიჭები ვყოფილვართო.

ყოველი ჩვენგანის დიდი სურვილი გახლდათ მარშალ ტიმოშენკოს არმიის რიგითი ჯარისკაცები მაინც ვყოფილიყავით, რომ სიტყვა საქმით დაგვემტკიცებინა. მაშინ ვუჩვენებდით მტერს, როგორ უნდა ომი, რას ერქვა გმირობა. ამას ერთმანეთის გასაგონად ვამბობდით თუ ძილის წინ ვფიქრობდით, ისიც ვიცოდით, რომ ჯერ არავინ გვანდობდა კარაბინს, ჯერ არავინ გაგვიმეტებდა გაუთავებელ მარშზე გასაყვანად.

კოლექტიურად თუ ცალ-ცალკე აუარებელ სათავგადასავალო წიგნებს ვკითხულობდით: ხან გადაყვითლებულ უდაბნოებში დავეხეტებოდით. ხან ამერიკელ ინდიელებთან, ბოლოს ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ აღმოვაჩინეთ, რომელმაც სხვა ყველაფერს დიდი ჯვარი დაუსვა, ახლა კორჩაგინი იყო ჩვენი სათაყვანებელი კერპი. მის სადარდელს ვდარდობდით და მისი სიხარული გვიხაროდა.

მერე უშიშარ ჩაპაევს დავუდექით კვალში — კინაღამ მთელი რუსეთი შემოგვატარა, ამას კალანდარიშვილი მოჰყვა — ლეგენდარული ქართველი, ჩვენ დივიზიის მეთაურობას კი არ ვეპოტინებოდით, მარტო ტიმოშენკოს ჯარისკაცობა გვინდოდა, რომ თეთრფინელებისათვის კუდით ქვა გვესროლინებინა.

სწავლასა და ოცნებაში გადის წლები, მზითა და სითბოთი სავსე წლები. ბიჭებს საულვაშეზე ღინღლი ამოგვდის და თანდათან ხმა გვიბოხდება.

ასე უზრუნველად გადიოდნენ დღეები, მაგრამ ერთხელ ყველაფერი ისე შეტრიალდა, ისე შეიცვალა, ბევრიც რომ გვეფიქრა, ამას ვერ წარმოვიდგენდით, ვინაიდან საგრძნობლად განსხვავდებოდა ჩვენი ოცნება და ის სინამდვილე, რასაც მომავალი გვიმზადებდა.

ჯგუფში თვრამეტი ვიყავით — შვიდი გოგო და თერთმეტი ბიჭი.

1939 წლის შემოდგომაზე ჩვენი ჯგუფიდან ცხრა ბიჭი გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ასე რომ მე და ზია კონცელიძე დავრჩით — სრულწლოვანები არა ხართო. აღარ ვიცოდით რა გვექნა, როგორ დაგვეღწია თავი იმ წუხილისაგან, მეგობრების მონატრებამ რომ იცის.

ერთ საღამოს ზია მოვიდა ჩემთან და გაბრაზებით მითხრა:

— რომ დამჯდარხარ და გულხელი დაგიკრეფია, როდემდე უნდა იყო ასე?

— აბა, სხვა რა გავაკეთო?

— ვერა ხედავ, ორნიღა დავრჩით!

— როგორ მოვიქცე, არ ვიცი!

— გამოსავალი ვიპოვნე, — თქვა ღიმილით. — რატომ უნდა დავცილდეთ ჩვენს ბიჭებს, განცხადება დავწეროთ და მოხალისედ წავიდეთ.

ნაწყვეტები რომანიდან „ისინი ბათუმიდან წავიდნენ“.

— ეს რა კარგი საქმე მოგიფიქრებია! — წამოვხტი, — წამო, ახლავე მივიდეთ სამხედრო კომისარიატში.

— ახლა იქ აღარავინ იქნება, ხვალ დილით მივიდეთ...

მეორე დღეს მივედით სამხედრო კომისარიატში. კომისარმა ჩიტაძემ მამაშვილურად მიგვიღო, ყურადღებით წაიკითხა ჩვენი ხვეწნა-მუდარის განცხადებები და ჩაფიქრდა. მის დაკეცილ შუბლს რომ შევხედეთ, მივხვდით, ცუდად იყო საქმე.

— აი, რას გეტყვით, შვილებო, — თავი ასწია და გვითხრა, — აიღეთ განცხადებები და შინ წადით!

— არსადაც არ წავალთ! — გაცხარდა ზია— ჩვენ კომკავშირლები ვართ და, ჯარში წასვლას გვიშლით?!

ახლა მე წამოვხტი:

— არ გაგვიშვებთ და ჩვენით წავალთ!

— მოიცათ. — გაეღიმა მაიორს, — რა გეჩქარებათ, ეგ დროც დაგიდგებათ და თვითონ გამოგიძახებთ.

— სწორედ მაგისი გვეშინია, — უთხრა ზიამ, — ჩვენი ბიჭები ჩერნიგორში იქნებიან, ჩვენ კი, ვინ იცის, სად ჯანდაბაში მოვხვდებით!

— სად მოხვდები და სადაც საჭიროება მოითხოვს. წადით ახლა!

— არ წავალთ! — მკვახედ ვუთხარით.

— ბოლოს და ბოლოს, აქ საბავშვო ბაღი კი არ არის, — გაბრაზდა მაიორი, — გითხარით და მოვრჩით!

— გინდა გუნთაიშვილი აიღე, გინდა — სეფერთელაძე, გინდ აკუჯმა, ბევრი ბევრი, სამიხუთი თვით იყვნენ ჩვენზე უფროსები, — გაცხარდა ზია, — ამ ორიოდე თვის გულისათვის მეგობრებს უნდა დაგვაცილო?!

ჩიტაძეს ბევრი აღარ უფიქრია, ჩვენს განცხადებებს რაღაც წააწერა და თქვა:

— რა გაეწყობა, რაკი ასე გსურთ, იყოს ნება თქვენი... ხვალ მოხვალთ და საექიმო კომისიას გაივლით. ოღონდ შინაურებთან გამომშვიდობებაზე ახლავე იფიქრეთ, დღეს ექვსი დეკემბერია, თერთმეტში წახვალთ.

მეორე დღეს საექიმო კომისიაზე გაგვატარეს, ორივე ჯანმრთელად გვცნეს და ჩერნიგოვის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელში გასაგზავნებში ჩაგვრიცხეს.

სამხედრო სასწავლებელში გასაგზავნებში ვიყავით: მე, ზია კონცელიძე, ზაბითა გუნთაიშვილი, ხაკი აკუჯბა, შუქრი მდევაძე, ხახვა იბრაგიმი, დავით ხუტულაშვილი, მიშა სეფერთელაძე, ალიოშა მითაიშვილი, პოლიაქტრე სიორდია, ალექსანდრე დიდია და სხვები.

როგორც იქნა, აგვისრულდა დიდი ხნის ნატვრა: საშუალება გვეძლეოდა, საქმით დაგვემტკიცებინა სამშობლოსადმი თავდადება და ერთგულება. უნდა გვესწავლა ბეჯითად, გულისყურით, დავუფლებოდით რთულ სამხედრო ხელოვნებას, რათა ომის შემთხვევაში ყველანი ერთბაშად გმირებად ვქცეულიყავით.

ახლოვდებოდა ბათუმთან გამოთხოვების წუთები და მხოლოდ მაშინ მივხვდით, რა სიხარულსა და მოგონებას ვკარგავდით, ვკარგავდით დროებით და არ ვიცოდით, ეს დრო რამდენ თვესა და წელს მოიცავდა. შეიძლება ვერც ვერასოდეს გვენახა, არა იმიტომ, რომ ომის საშიშროებას ვგრძნობდით! არა, ეს გულშიც არ გაგვივლია — ხიფათი ღმერთმა დაგიფაროთ და, სიკვდილის საშიშროება ბედნიერების წუთებშიც მოსალოდნელია. ეს ისეთი უბრალო ჭეშმარიტებაა, მე მგონი, ამაზე სიტყვის გაგრძელებაც არ ღირს.

ჩვენს შემეცნებაში ბათუმი ცოცხალ არსებად იქცა: საოცრად თბილ, სიყვარულით სავსე და მზრუნველ არსებად.

ის ადამიანები, რომლებსაც ხშირად ვხედავდით ბათუმის ქუჩებში, მაგრამ არასოდეს მივსალმებივართ, ისეთივე ძვირფასი იყვნენ ჩვენთვის, როგორც ახლობლები. ეს ამბავი მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ, როცა დადგა მათთან გამომშვიდობების მძიმე და მაინც ჩვენთვის სანატრელი დრო.

თერთმეტ დეკემბერს ჩვენს წასაყვანად „ბათუმ-ბაქოს" მატარებელი ჩამოდგა.

რაკი წვევამდელი იმდენი არ ვიყავით, რომ ვაგონები გაგვევსო. მგზავრებზეც გაიყიდა ბილეთი. მოკლედ: ველარ გავიგეთ, ვინ წამსვლელი იყო, ვინ — მგზავრი და ვინ — გამცილებელი.

ჩვენი ბარგი-ბარხანა შევიტანეთ ვაგონებში, სადაც მოგვხვდა, იქ მივაგდეთ და ისევ ბაქანზე ჩამოვცვივდით.

ჩვენს გასაცილებლად მთელი ტექნიკუმი მოვიდა. აქ იყო: დირექტორი ვანო გოგუაძე, საოცრად გულისხმიერი და ჩვენი გაჭირვების ტალკვესი, ჩემი დეიდაშვილი — მთავარი ბუღალტერი ბიჭიკო ცინცაძე... მასწავლებლები. პანსიონატის თანამშრომლები...

უმოწყალოდ გავიდა დრო, ამაზე მაშინ დავფიქრდით, როცა მატარებლის გასვლის ზარს შემოჰკრეს.

ეს ხმა არ ჰგავდა იმ ზარის ხმას, პირველ სექტემბერს სკოლის მერხისკენ რომ გვიხმობდა. ეს იყო რაღაც უჩვეულო, უსიამო, რომელიც არასოდეს დაგვავიწყდება — ხშირად გაგახსენებს მას, რასაც გაურბი, რაც გინდა რამენაირად ამოიგდო გონებიდან, მაგრამ სურვილი სურვილად რჩება და ბოლოს აუხდენელ ნატვრაში გადადის.

მატარებელი დაიძრა. ყველანი ვაგონის ფანჯრებს ვეცით, მაგრამ ყველა ვერ ვახერხებთ, დავენახვოთ ჩვენიანებს, ხელი დავუქნიოთ. ლამის გავჭყლიტეთ ერთმანეთი და მაინც ვიცინით, ვიცინით, ვიდრე მოვიფიქრებდით, რიგრიგობით

მივსულიყავით ფანჯარასთან. ამასობაში თვალს მიეფარა ბაქანი. ახლა მარტო ბათუმი ჩანს, მწვანეში ჩაფლული, ჩვენი მხიარული სიჭაბუკის ბათუმი.

ვიდრე გავცდებოდით, კიდევ გვედგა თვალში ღიმილი, მაგრამ უკანასკნელი ხე თუ სახლიც რომ გაუჩინარდა, გული დაგვეხურა — უცებ შეგვეცვალა გუნება — აღარაფერი დარჩა ჩვენი მხიარულებიდან.

მატარებელი კახაბრის ველზე მიგვაქროლებდა. მერე ის ველიც უკან დარჩა და ბევრისათვის უცხო გზა დაიწყო. ჩვენი ბიჭების უმეტესობა ჯერ სამტრედიასაც არ გასცილებოდა. ასე რომ, ხეირიანად მშობლიურ კუთხესაც არ ვიცნობდით და სხვაგან კი მივდიოდით, შორს, ძალიან შორს, მართალია, გარკვეული მისამართით, მაგრამ მაინც ჩვენთვის უცხო მხარეში.

წვიმა-ბურუსით შეგვეგება თბილისი. ბათუმი მზეში ჩაძირული დავტოვეთ, აქ კი ისეთი ბურუსი ჩამოწოლილა, ორიოდე მეტრის იქით შენიანის სახეს ვერ გაარჩევ. აქამდე არასოდეს ვყოფილვარ თბილისში — ნეტა ერთხელ მენახა-მეთქი, ნატვრად მქონდა გადაქცეული და ესეც ნატვრის ახდომა.

ბევრჯერ მინდოდა მენახა ჩვენი საამაყო მთაწმინდა, სიონი, ქაშუეთი... ერთხელ მაინც გადმომეხედა მთაწმინდიდან... ერთხელ მაინც გამევლო ნარიყალაზე, ორთაჭალაში...

მაგრამ ყველაფერი ახლა სქელ ბურუსშია გახვეული.

თბილისში ჩვენი მატარებელი 40 წუთით გაჩერდა. ამ მოკლე დროში რის ნახვას მოვასწრებდით, მით უმეტეს საშინელი წვიმა იყო. სადგურის მახლობლად მაღაზიებში ხორაგი მოვიმარაგეთ და ისევ ვაგონში დავბრუნდით. მატარებელმა გზა განაგრძო.

მალე უკან დარჩა ბაქო, კასპიის ზღვის სანაპიროც და რამდენიმე ხმაურიანი და ფიქრიანი დღე-ღამის შემდეგ უკრაინაში, ქალაქ ჩერნიგოვში ჩავედით. სწორედ აქ, ჩერნიგოვში დამთავრდა ტექნიკუმიდან გამოყოლილი ჩვენი მშვიდი და ხალისიანი ცხოვრება.

სამხედრო სასწავლებელში შესვლის მსურველი კინაღამ სამჯერ მეტი აღმოჩნდა იმაზე, რაც გათვალისწინებული იყო, ამიტომ სასწავლებლის ადმინისტრაციამ კონკურსი მოაწყო — მისაღები გამოცდები დაინიშნა.

კონკურსში გავედით და... ჩვენი ტექნიკუმიდან ხუთნი ჩავირიცხეთ, დანარჩენი ბიჭები დაანაწილეს — სხვადასხვა ქალაქების სამხედრო ნაწილებსა და სასწავლებლებში გაგზავნეს. ჩერნიგოვში ვინც დავრჩით, ის ხუთნიც დაგვფანტეს — ერთ ასეულშიც კი ვერ მოვხვდით.

ასე დავცილდით ერთმანეთს თანაკურსელები.

თითქმის მთელი წელი გავიდა, რაც ჩერნიგოვის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები გავხდით.

ხოლო 1940 წლის 30 ნოემბერს ჩვენი სამხედრო სასწავლებელი ქ. ირკუტსკში გადავიდა.

ირკუტსკს, ჩვენი თბილისის არ იყოს, მდინარე ორად ჰყოფს — ანგარა ჩამოუდის. საერთოდ, ლამაზი ქალაქია ირკუტსკი, იმ ხანებში აღმოსავლეთის სხვა ქალაქებიც ვნახე, მაგრამ სიმწვანეში ჩაფლულ ირკუტსკს ვერც ერთი ვერ შეედრება.

ირკუტსკის სამხედრო სასწავლებელში მხოლოდ შვიდი თვე ვსწავლობდით. 1941 წლის 25 მაისს რომ დაგვეწყო, 10 ივნისამდე გაგრძელდებოდა სახელმწიფო გამოცდები, ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, ყველამ კარგად ჩააბარა და ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიიღო და ველოდით განაწილებას სამხედრო ნაწილებში, თავისუფალ დროს ქალაქის დათვალიერებას ვანდომებდით.

ერთხელ, სასეირნოდ გამოვედით ქალაქში და ვხედავთ, მსხვილი წარწერაა: კალანდარიშვილის ქუჩა! აქ ჩამოსვლამდე არასოდეს გაგვხსენებია, რომ ნესტორ კალანდარიშვილის გმირობის ამბავი, რამაც საქართველოში ჩამოაღწია, ხუთი თითივით ვიცოდით. სიხარული მაშინ უნდა გენახათ! — გვკითხავდა ვინმე ირკუტსკელი, ქართველები ხართო და ჩვენც მაშინვე ვუბრუნებდით პასუხს, დიახ, ციმბირელი პაპის ქვეყნიდან ჩამოვედითო.

უამრავი ლეგენდა დადის კალანდარიშვილზე, ლამაზი ლეგენდა. იმ ლეგენდებს ყველა თავისებურად ჰყვება და, მიუხედავად იმისა, მისი საფლავი იქვე, ქალაქშია, არავის სურს დაიჯეროს ამ განუმეორებელი მხედართუფროსის სიკვდილი.

ქალაქის მუზეუმში თავმოყრილია ამ საამაყო ადამიანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი... მისი ყოფილი ჯარისკაცების მოგონებანი, სურათები და სურათები... გვიყვებიან სიხარულითა და გულისტკივილით. უსმენ და ქრუანტელი გივლის. საიდან სად ჩამოსულმა კაცმა ერთი წუთითაც არ განასხვავა თავისი მზიანი კუთხესთან, ეს თოვლადქცეული მხარე. სახელდახელოდ შეკრებილი ათეული დივიზიად აქცია, უიარაღო ხალხი, მოახერხა და შეაიარაღა... მტრის რეგულარული არმიები გაანადგურა, თავზარსა სცემდა მეფის რუსეთის მომხრეებს... კრემლამდე მიაღწია მისი ვაჟკაცობის ამბავმა, პირადად მიიწვია და ინახულა ლენინმა... მერე სრულიად შემთხვევით დაიღუპა და დატოვა საკუთარი ცხოვრების ულამაზესი ლეგენდა, რომლის ბადალი იშვიათად მოიძებნება.

როგორც გავიგეთ, ირკუტსკში ჯერ კიდევ ბევრი ცხოვრობდა კალანდარიშვილის თანამებრძოლი. მართალი გითხრათ, ასეთი რამ დაუჯერებლად გვეჩვენა, მაგრამ ერთი მათგანი პირადადაც რომ გავიცანით, ამან სულ გადაგვრია.

კარგად მახსოვს. კვირა დღე იყო. ზაბითამ გვითხრა, მოდი, რესტორანში შევიდეთ, ვნახოთ აქაური რესტორანი რა ხილიაო. კარგი-მეთქი.

ოთხივე თანაჯგუფელი ერთად ვიყავით, ორი ბიჭი კიდევ სხვა შემოვიერთეთ და, ჰაიდა, რესტორნისაკენ.

შემოვუსხედით მაგიდას და ოფიციანტს ველით. მოვიდა ოფიციანტი. ვეუბნები, სასმელი რა გაქვთ-მეთქი. არაყი გვაქვს, კონიაკი, ღვინო კი ამორჩევაზეაო. ზიამ მითხრა, რაკი ასეა, წადი, შენ დააჭაშნიკეო.

შევედი საწყობში და თვალებს არ ვუჯერი — რა გინდა სულო და გულო, რომელ ქართულ ღვინოს იკითხავ, აქ არ იყოს! ასე გაოცებული რომ დავაბოტებ კასრებსშუა, ერთი წვერმოშვებული, მთასავით კაცი დამადგა თავზე, იმხელაა, ხელი უნდა მოიჩრდილო და ისე შეხედო.

— ქართველი ხარ? — ქართულად მეკითხება.

— კი ბატონო, — სიხარულით გული მიფრიალებს.

— შენ გენაცვალე, შვილო! — წამავლო ხელი, აკვნის ბავშვივით ამიტაცა, გულზე მიმიხუტა და მკოცნის, — შენ გენაცვალე, შვილო!

თუ დროზე არ დამსვა, ცომივით ამზელს, თვითონ კი, ალბათ, ჰგონია, ვეფერებიო. როგორც იქნა დაბლა ჩამომსვა და მეკითხება:

— სადაური ხარ, შვილო?

ვუთხარი სადაურიცა ვარ.

— ეჰ, რამდენი ხანია იქიდან ჩამოსული აღარავინ მინახავს! ჩამოვჯდეთ ცოტახანს.

კასრებზე ჩამოვსხედით და გავაბით საუბარი

— თქვენ სადაური ბრძანდებით? — ვეკითხები.

— ქუთაისელი. ბესარიონ ბახტაძე. ჩამოვედი, ვიმუშავე, მერე ვიომე და შემოვრჩი აქ. წასვლა მინდა, მაგრამ ისე მივეჩვიე აქაურობას, ველარ ვტოვებ, გული არ შვება...

— უკაცრავად, — ვებოდიშები, — ამხანაგები მელოდებიან დარბაზში, ღვინის ასარჩევად გამომგზავნეს...

— კარგი, შვილო, მოდი, მაგ საქმეს მე მივხედავ, ხომ მენდობი? ეღიმება.

— როგორ გეკადრებათ?!

— ჰო ,შვილო, ბესარიონ ბახტაძე დღეს ყველაზე ბედნიერი კაცია ამ ქვეყნად!..

ძია ბესარიონმა ისეთი სუფრა გაგვიწყო, ჩიტის რძე არ აკლდა, ღვინიდან მჭადამდე ყველაფერი ქართული იყო. იმ პურ-მარილზე რუსი ამხანაგებიც იყვნენ, გადახედეს სუფრას და გაშალეს ხელები. ეს რა ვნახეთო. პირველად უსხდნენ ქართულ სუფრას და გაოცებას ვერ მალავდნენ.

რა თქმა უნდა, სუფრას ძია ბესარიონი თამადობდა.

იმ დღეს რაღა იქნებოდა, მეორე თუ მესამე დღეს კი თვითონ ბესარიონი გვეწვია სამხედრო ნაწილში და სახლში მიგვიპატიჟა — ცოლი გაგვაცნო, შვილები. (ორი გოგო ჰყავდა, ერთი გათხოვილი, ქმარშვილიანი, მეორე— გასათხოვარი). ისევ სუფრა გაგვიშალა და ორიოდე სიტყვით გაგვაცნო საკუთარი წარსული. ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებში ქუთაისიდან ლუკმაპურის საშოვნელად გადმოხვეწილა. ბევრი უხეტიალია რუსეთსა და უკრაინაში, ბევრი გადასახდენი გადახდენია და ბოლოს ბედს აქ მოუყვანია ირკუტსკში. მეფის ტახტი რომ შეირყა, იარაღი აუღია ხელში და ნესტორ კალანდარიშვილს ამოსდგომია მხარში. ბესარიონს გაუვლია ის სახელოვანი გზა, რომელიც ნესტორ კალანდარიშვილმა გაიარა.

ცრემლს ვერ იმაგრებდა კაცი ნესტორ კალანდარიშვილის ხსენებაზე, საყვარელი მეთაური ხომ იყო და იყო, ვაჟკაცი კიდევ უბადლო — ოღონდ ხალხი მეფის კლანჭებიდან განთავისუფლებულიყო, საკუთარ სიცოცხლეს რას დაგიდევდათ. იმაზე წუხდა ბესარიონი, როცა არ მოელოდა სიკვდილს, სწორედ მაშინ დაეკრიფა ხელებიო. შური კი, იცოცხლე, ვიძიეთ, მაგრამ იმას რაღა ეშველებოდაო...

დამთავრდა სამოქალაქო ომი და ბესარიონ ბახტაძე ირკუტსკში დასახლდა, იმ ქალაქში, ამდენი ამაგი რომ დასდო.

მაშინ ბესარიონი ირკუტსკის ერთერთ რესტორნის დირექტორი და ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი იყო. საკმაოდ დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა მთელ ქალაქში...

ძალიან დამიახლოვა ბესარიონ ბახტაძემ, ისე დამიახლოვა, ხშირად ღამეებიც მითევია მის ოჯახში. როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ მაკარებდა. იმ ხანებში, რატომღაც ისეთი წინათგრძნობა მქონდა, ვიცოდი, დიდხანს არ გაგრძელდებოდა ის მხიარული, ლამაზი დღეები. ასეც მოხდა. იმ ღამეს ბესარიონის ოჯახში ვიყავი, გვიანი იყო და აღარ გამიშვეს, ამაღამ ჩვენთან მოისვენეო. დავრჩი. დილით ვიღაცამ შემანჯღრია. თვალი გავახილე, ბესარიონი დამდგომოდა თავზე, გაიღვიძე, შვილო, მთელი ქალაქი ფეხზეაო. ბესარიონს კაცის ფერი არ ედო და იმან შემაფიქრიანა, ცუდი ხომ არაფერი მოხდა-მეთქი. გერმანია დაგვესხა თავსაო. უარესი რაღა მოხდებოდა.

როგორც ადრე ვთქვი, ჩვენი — ოფიცრების განაწილების ბრძანება იგვიანებდა. ვიფიქრეთ, ახლა მაინც დააჩქარებენო და ასეც მოხდა. ორიოდე დღემ გაიარა და... ერთმანეთს ვულოცავდით ბიჭები — როგორც იქნა, გაგვანაწილეს! გაგვანაწილეს და სარატოვის გზასაც დავადექით.

ჩემი თანაკურსელებიდან ერთ ჯგუფში სამნი მოვხვდით: მე, ხაკი აკუჯბა და ზაბითა გუნთაიშვილი, სულ კი 250 ახლადკურსდამთავრებული ოფიცერი ვიყავით.

სარატოვში ფრონტზე გასაგზავნი ნაწილები ყალიბდებოდა. საქმის ვითარებამ გვიჩვენა, მალე გავიდოდით ფრონტზე.

თანაკურსელებმა, სამივემ თხოვნით მივმართეთ ხელმძღვანელობას, ასსამოცდამეექვსე მოტომსროლელ ბატალიონში ჩაგვრიცხეთო. შეგვისრულეს თხოვნა. ასე რომ, ყველანი ერთ ასეულში მოვხვდით, ოცეულები ჩაგვაბარეს.

ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკი ვასილ ორლოვი ახალბედა ოფიცრებს განსაკუთრებული ყურადღებით და სიყვარულით გვექცეოდა. ორლოვი ხასანის ბრძოლის მონაწილე იყო, რაც ერთი ორად ამაღლებდა ჩვენს თვალში. იგი თითქმის ყველა მეცადინეობაზე გვესწრებოდა, სასარგებლო მითითებებსა და რჩევა-დარიგებებს გვაძლევდა.

საწვრთნელი და, საერთოდ, მოსამზადებელი დრო საკმაოდ შეზღუდული იყო. მთელი წლის საქმე კინაღამ ერთ თვეში უნდა გაგვეკეთებინა, ეს კი, უბრალოდ, ნერვების დაწყვეტასა და უძილო ღამეებს ნიშნავდა.

## პირისპირ მტერთან

მოსამზადებელი მეცადინეობა როგორც იქნა დავამთავრეთ, ბოლოსდაბოლოს დაუსრულებელი რა არის, ერთ დღეს ჩვენი ლოდინიც დამთავრდა.

შუაღამისას გამოგვიცხადეს, მოემზადეთო, ბრძანება და მომზადება ერთი იყო, სულ რაღაც ნახევარ საათში გზაზე ვიდექით. ჩვენი მიმართულება კალინინის ფრონტი იყო.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჩემი თანაკურსელები ერთ ასეულში მოვხვდით, ოცეულის მეთაურებად. ეხლაც ხომ ერთმანეთის გვერდით ვიყავით, ეს მეტ სიმხნევეს გვმატებდა.

ორი დღეღამის მარშის შემდეგ უკვე ფრონტზე აღმოვჩნდით და სარდლობის ბრძანებით მოწინავე პოზიციები დავიკავეთ.

ირგვლივ სიწყნარე იყო, არც იგრძნობოდა თუ მოწინავე პოზიციაზე ვიდექით და მტერი ჩვენს წინ იყო. ვინც ფრონტზე იყო, ის დამემოწმება, რა ძნელია ასეთი სიწყნარე.

ფრონტული სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა, უცებ დაიწყო ყველაფერი, სროლას სროლითვე ვუპასუხეთ და მონასტერი აირია. იერიშზე გადმოსულ გერმანელებს კონტრიერიშით ვუპასუხეთ, მტერი არ მოელოდა, წინაშეტაკებებით შეთხელებულ მოწინააღმდეგეს მოელოდა, ის კი არ იცოდა თუ მის წინ ახალი, ყოველმხრივ დაკომპლექტებული მოწინააღმდეგე იდგა. ჩვენს კონტრშეტევას ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს, უფრო სწორად, გაიქცენ. მაგრამ უკვე გვიან იყო, ბრძოლას მოწყურებული ბიჭები სულ მუსრს ავლებდნენ.

იერიშზე რომ გადავდივართ და გახურებული სროლაა, ვხედავ, ჩემს გვერდით ჩემი ოცეულის მებრძოლი ჩაიკეცა. გავჩერდი, დავიხარე, ხელი მოვუსვი, ტყვია მკერდში მოხვედრია და საცოდავი სულს ღაფავს, პირველად ვხედავდი, როგორ კვდებოდა ადამიანი, ადამიანი, რომელიც „ბუნების გვირგვინია“, იმიტომ დაიბადა, რომ დაამშვენოს ბუნება. ჰმ?! ახლა კი „ბუნების მშვენებანი“ დარევიან და მუსრს ავლებენ ერთმანეთს.

ჯარისკაცი მოკვდა. ქუდი მოვიხადე და მუხლებზე დავეცი. ვერ გამოვრკვეულვარ ეს ყველაფერი ცხადია, თუ სიზმარი!

უკანმოუხედავად გავვარდი. მეგონა, მთელი დღე გავიდა-მეთქი. თურმე, ეს ყველაფერი ორიოდე წუთში მოხდა. ცოტა მანძილი გავირბინე და ჩემი ოცეულის ჯარისკაცებს წამოვეწიე.

— წინ! — ვყვირი მთელი ხმით, — წინ! წინ!

მაგრამ წინ აღარ არის მტერი, მტერი უკან დარჩა გასრესილი, ტყვედ ჩავარდნილი. მივრბივარ და მივყვირით უკან დარჩა კილომეტრები. როდის-როდის წამოგვეწია გულამოვარდნილი მეკავშირე, რა ხანია შეჩერების ბრძანება მოვიდაო, მარტო შეჩერებისა კი არა, იმისიშორეზე წამოვსულვართ, თურმე ამდენი არ იყო საჭირო, დიახ, თურმე არ იყო საჭირო, და ჩვენც უკან დავიხიეთ. ძალიანაც არ გვინდოდა უკან დახევა, მაგრამ რას იზამ. ალბათ, ასე იყო საჭირო.

დაჭრილების კვნესა-ვაება: ვინ დედას უხმობს საშველად, ვინ ცოლს, ვინ საკუთარ გაჩენას დღეს აგინებს... თავზარი დამეცა: ეს ამდენი მკვდარი — ჩვენი და მტრისა. ეს მილეწილ-მოლეწილი აქაურობა...

ბრძანება და მეც ჩემს ჯარისკაცებს ვთვლი. ეს რა ამბავია, რამდენი მაკლია! მხოლოდ პირველი დღეა ომისა და უკვე ამდენი დანაკლისი?!

ზაბითა მოვიკითხე, სალსალამათი დამხვდა, გადავეხვიე.

ამბობენ შეტევა კარგი თავდაცვა არისო. ამ აზრის ჭეშმარიტებაში ჩემი საბრძოლო ნათლობის პირველ დღესვე დავრწმუნდი. შევუტიეთ, თავიც დავიცავით და მტერს საკუთარი ტყავიც დავატოვებინეთ. იმდენი ნადავლი წავართვით, მოულოდნელიც კი იყო ჩვენთვის: ნაღმტყორცნები, ქვემეხები, ათასნაირი ტყვიამფრქვევი, ავტომატი. რა ვიცი, რაც ებადათ. თანაც ისეთი სტრატეგიული პუნქტი დავიკავეთ, მთელი არმიისათვის რომ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

დაჭრილები გადაიყვანეს, დახოცილები აკრიფეს და თითქოს ამას ელოდნენო, გერმანელი ტყვეები გამოატარეს — დივიზიის შტაბისაკენ მიერეკებოდნენ. სიხარულით გადავირიეთ. საცოდავად მობუზულიყვნენ. არც კი მიდიოდნენ, მიიკაკვებოდნენ. მათ დანახვაზე, მთავარსარდლის, სტალინის ნათქვამი გამახსენდა, ერთ მოწოდებაში რომ თქვა, ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც გვიხატავენო.

სიმართლე უნდა ითქვას, მანამდე ბევრ ჩვენთაგანს, საერთოდ, არც ენახა გერმანელი. ახლა

ვხედავდით პირველად. საცოდავად მილასლასებდნენ ბომბებით დათხრილ გზაზე. აქეთ-იქეთ ჩვენი მეომრები უდგნენ და აჩქარებდნენ. გაადგით ფეხი, არ დაგვაღამდეს, უკან დასაბრუნებლები ვართო. ასეთ დროს განსაკუთრებული ფასი აქვს მოსწრებულ თქმას და ხუმრობას. უფრო სწორად რომ ვთქვათ, **კაცი სიცილის მიზეზს** ეძებს.

მტერი არ შეიძლებოდა შერიგებოდა ამგვარ მოულოდნელ მარცხს. როგორც შემდეგ გავიგეთ, ორი ამბის მთხრობელიდა გაგვსხლტომოდა ხელიდან მტრის დიდი შემოტევის მოლოდინი გვქონდა და საგანგებოდაც ვემზადებოდით.

ოცმეთაურები გაგვაფრთხილეს, არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადაგვედგა წინ, მთავარი იყო შეგვენარჩუნებინა ის პოზიციები, რომლებიც გერმანელებს წავართვით. ესე იგი, თავდაცვისათვის უნდა მოვმზადებულიყავით საგანგებოდ. თანაც ანგარიშგასაწევი იყო ისიც, რომ დანაკლისის შევსების იმედი კარგა ხანს არ უნდა გვქონოდა.

მტერმა ჯერ შორსმსროლელი ქვემეხები დაგვიშინა, შემდეგ ჰაერიდან დაგვაყარა ყუმბარები. დიდხანს, საათობით ბომბავდა ჩვენს პოზიციებს, ბლინდაჟებიდან თავი არ ამოგვაყოფინა. ალბათ, იფიქრა, ეგ არის და სისხლისაგან დავცალეთ და იერიშზე გადმოვიდა. ჩვენც სისხლისაგან დაცლილად მოვაჩვენეთ თავი, ახლოს მოვუშვით და მერე გავუხსენით მომაკვდინებელი ცეცხლი. ყოველდღიურად, გამუდმებით გვიტევდა ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით, საწადელს მაინც ვერ მიაღწია — ერთი ნაბიჯითაც ვერ დაგვახევინა უკან. მართალია, მტერს დიდი უპირატესობა ჰქონდა ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ, მაგრამ ჩვენ რომ უპირატესობა გვქონდა, იმასთან შედარებით არარაობა იყო ყველაფერი — ჩვენ რწმენა გვქონდა, გამარჯვების რწმენა!

ჩვენ გვასულდგმულებდა ორი სიტყვა — სამშობლო ან სიკვდილი — და ეს ორი სიტყვა იყო სწორედ ის, რაც ღრმად ჩაიჭედა ჩვენს გულში და რასაც არასოდეს ვუღალატებდით.

დაჭრილი, რომელსაც იარაღის ხმარება კიდევ შეეძლო, ძალისძალად გაჰყავდათ ცეცხლის ხაზიდან. მისი შემხედვარე ჯარისკაცები კიდევ უფრო ლომდებოდნენ, კიდევ უფრო თავგანწირვით იბრძოდნენ.

ეს არ იყო თავისგამომჩენთა ან გმირობის მაძიებელთა ომი — ეს იყო ომი იმ ადამიანებისა, ვინც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს უმტკიცებდა და არარაობად ამიტომ თვლიდა სიკვდილსაც. ესენი ჩვენ ვიყავით, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები! ჩვენ ყველაფერი საუკეთესო მოგვცა სამშობლომ და ჩვენც ყველაფერს საუკეთესოს ვაძლევთ მას — სიცოცხლეს და ბედნიერებას!

არასოდეს დამავიწყდება ერთი ამბავი. ახლაც, როცა გავიხსენებ ხოლმე, ისევ ისე მბურძგლავს ტანში: გერმანელი ფაშისტები იერიშზე გადმოვიდნენ, ტყვიის ნიაღვარი მოდის, რა საშუალებაც გაგვაჩნდა, ყველაფერი გამოვიყენეთ, ვცდილობთ, რამენაირად შევაჩეროთ, მტერი კი ურთვალავია — ვჟუჟავთ და მაინც წინ მოიწევს, ცენტრის გარღვევას ცდილობს. ცენტრს კი ხუთი ოცეული ვაკავებთ. ამ ხუთი ოცეულიდან ერთერთი ჩემია. საკმაოდ შემცირდა ოცეული. წარმოუდგენელია უარესი გაჭირვება, ყოფნაარყოფნის საკითხი წყდება. ამ დროს ფლანგებიდან მოგვეშველნენ. ჩემს გვერდით ქერა ბიჭი წამოწოლილა, ხელით ტყვიამფრქვევი ჩაუბღუჯია, თან ესვრის, თან აგინებს, მე თქვენი ეს და თქვენი ისაო. — რაც პირზე მოადგება. არ ვიცი, უკრაინელია, არ ვიცი — რუსი. მტერი ასეთ წინააღმდეგობას არ მოელოდა და ნელა, გამოზომილად დაიწყო უკან დახევა. და მაშინ ქერა მეტყვიამფრქვევეს ტყვია მოხვდა, თავი მოკვეთილივით დაუვარდა. გადავწოხდი, თავი ავუწიე.

— გამიშვი! — ყვირილით ასწია თავი, — არ მოვკვდები მაგათ ჯიბრზე! არ მოვკვდები, თქვე ძაღლიშვილებო, ღორიშვილებო, არ მოვკვდები!

თითქოსდა, აქ არაფერი მომხდარაო, ისე განაგრძო სროლა. მეც ისევ ჩემი სამეთაურო პოზიცია დავიკავე.

ჩემს გვერდით ისევ კაკანებს ტყვიამფრქვევი, მეც მიხარია, ცოცხალია ქერა ჯარისკაცი, ის ჯარისკაცი, პირველად რომ ვხედავ, და არ ვიცი, რუსია თუ უკრაინელი.

აღფრთოვანებული ვიხედები გვერდზე: ტყვიამფრქვევს ლულა ცისკენ აუშვერია, ჯარისკაცი პირქვეა დამხობილი და ისევ ბუტბუტებს:

— არ მოვკვდები, თქვენს ჯიბრზე არ მოვკვდები, თქვენი დედა ვატირე, ძაღლებო!

ბოლოს ბუტბუტი ჩურჩულში გადავიდა, ჩურჩული ხრიალში, სანიტარი რომ მოვიდა ის უკვე გაციებული იყო.

საბჭოთა ადამიანები არ ნებდებოდნენ სიკვდილსაც კი, ვინაიდან მათი სიცოცხლე განსაცდელში ჩავარდნილ სამშობლოს სჭირდებოდა...

მთელი ოცდასამი დღე ცეცხლში ვიყავით — ზედ მეწინავე ხაზზე. ამ ოცდასამი დღე-ღამის განმავლობაში, თითქმის არ მოგვიხუჭავს თვალი. ოცდამეოთხე დღეს ჩვენი ბატალიონი მეორე ეშელონში გადაიყვანეს შესასვენებლად.

შესვენების შემდეგ ჩვენი ბატალიონი გადასროლილი იქნა კალინინის ფრონტის ცენტრალურ ნაწილში. ახლა მთელი ფრონტი გენერალური შეტევისათვის ემზადებოდა. ამიტომ წვრილ-წვრილ შეტევაზეც ლაპარაკი ზედმეტი იყო: სარდლობა ცოცხალ ძალას და ტექნიკას, რაც შეეძლო, უფრთხილდებოდა. დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ შეტევაზე და გასაგებია ისიც, თავდაცვაზე რატომ გადევედით. ეს, ალბათ,

მტრის ყურადღების შესუსტების ტაქტიკა იყო. მე სამხედრო სპეციალისტი არ ვარ, არც სამხედრო ისტორიკოსი, ამას კი ვიტყვი, ამჟამად ასე მგონია.

ის ოცდასამი დღე, ჩვენმა ბატალიონმა რომ გაატარა ფრონტზე, საქვეყნოდ ვახმაურდა. საკმაოდ გახმაურდა ჩვენი ჯარისკაცების გმირობა. ამან, რა თქმა უნდა, მეთაურებსაც გაგვითქვა სახელი, რაც იმით გამოიხატა, რომ სარდლობა უკვე გამობრძმედილ ოფიცრებად გვთვლიდა, ამიტომ ფრონტის საკმაოდ მძიმე უბანზე გადაგვიყვანეს. ეს ამბავი ჩვენს დაფასებად მივიჩნიეთ (ასეც იყო) და კიდევ უფრო გულმოდგინედ შევუდექით საბრძოლო სამზადისს.

დეკემბრის პირველ რიცხვებში მტერმა დიდძალ საბრძოლო ტექნიკასა და ცოცხალ ძალას მოუყარა თავი ქალაქ კალინინთან. ფაშისტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ პოზიცია — ქალაქის უმეტესი ნაწილი. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი დედაქალაქის მისადგომებთან საბჭოთა არმია შეტევითს ოპერაციას აწარმოებდა.

კალინინის ფრონტის ჯარებიც მზად იყვნენ შეტევისათვის, საამისო მზადება რახანია დამთავრდა, ყველამ, რიგითმაც და ოფიცერმაც, იცოდა საკუთარი დავალება, შეტევის მიმართულება და ის დრო, როცა გრანდიოზულ იერიშზე გადავიდოდით.

ჩვენი ნაწილი, როგორც ცალკეული მოტორიზებული ათასეული, გაძლიერების მიზნით დროებით მიკუთვნებულიყო ოცდამესამე დივიზიაზე. უშუალოდ ამ დივიზიას უნდა დაერტყა ქალაქისათვის და ერთი დაკვრით გაეთავისუფლებინა.

მტერზე საერთო შეტევა დილის ხუთი საათისათვის იყო დანიშნული. ზუსტად ხუთი საათისათვის ჩვენს არტილერიას, მძიმესაც და მსუბუქსაც, უნდა გაეხსნა ცეცხლი და მტრის ძირითადი პოზიცია დაემუშავებინა. ამასობაში ჩვენც მოვემზადებოდით და გადავიდოდით შეტევაზე.

შეტევისათვის ყველაფერი დაზუსტდა, უმნიშვნელო დეტალიც კი. ახლა მთავარი იყო, როდის შესრულდებოდა ხუთი საათი.

შესრულდა ხუთი საათი და წითლად ამოხეთქა ვულკანმა: მიწა ზანზარებს, გუგუნებს... წითლად ვარვარებს ჩვენს წინ გადაშლილი მიწა: იქ მტერია, ჩვენი სიცოცხლისა და მომავლის მტერი. პროჟექტორები სოლებივით იჭრებიან სიბნელეში, ცეცხლის ღვართქაფით ილვრება, ტალღებივით მიირწევა.

არც მტერს უდევს თავი ბალიშზე. მანაც დაგვცხო, ისიც თავისას ცდილობს, ცეცხლი, ადამიანი, მიწა და გალღობილი ყინული ერთმანეთშია არეული, გადგვეფილი.

ორ საათს გრძელდება საარტილერიო დუელი ორ საათს ინგრევა მიწა. ლამის ჩამოიქცა ცა. ყურისწამლები, შემაზრზენი გუგუნი თანდათან მატულობს. ჯოჯოხეთი ამოვარდნილია ქვესკნელიდან და თავზე გვადგას, დაგრუხუნებს და ცელავს ადამიანს, ადამიანსა და ადამიანის მიერ შექმნილ სიკეთესა და სასიკეთოს ყველაფერს!

ისეთი ვაება დავატეხეთ მტერს, გვგონია, წამლად ერთიც აღარ იქნება გადარჩენილი. გვგონია, თავისუფლად, უბრძოლველად გადავივლით და დავიკავებთ ოკუპირებულ ტერიტორიას. სიმხნევე გვემატება, თუმცა, საერთოდ, ასეთ დროს არავინ ფიქრობს სიკვდილზე. შეიძლება გაბრაზებულ კაცს წამოსცდეს, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც არ სჯერა თუ ამ ქვეყნიდან გუდა-ნაბადს აიკრავს.

ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი თანდათან მტრის ზურგში გადაიტანა, რაც საერთო ნიშანი იყო შეტევაზე გადასვლისა. ერთი კაცივით ყველანი წამოვვარდით. გამაყრუებელი ყიჟინითა და სროლით შეტევაზე გადავედით. ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, როგორც სარდლობას აქვს დაგეგმილი. მაგრამ გეგმა სხვაა, სინამდვილე სხვა. სადაც ჩვენ გვეგონა მტრის ჰაჰანება არ იქნებაო, სწორედ იქ წავაწყდით გაუგონარ წინააღმდეგობას, რომლის მსგავსს მას შემდეგ აღარ შევხვედრივარ. ძელმიწურიდან ჯვარედინი ცეცხლი გაგვიხსნეს. იმ დროს გაგვიხსნეს, ოციოდე მეტრზე რომ მივუახლოვდით. ჩვენი ჯარისკაცების მეწინავე რიგები მოიცელა. ვინც გადავრჩით, თავს ვერ ვწევთ — თვითეული მტკაველი გამოთოფილი აქვთ. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა, წინსვლა არ უნდა შეჩერდეს! საბედნიეროდ არტილერისტები დაგვეხმარნენ, ძელმიწური აღგავეს პირისაგან მიწისა და გზაც, ბუნებრივია, გაიხსნა.

ამ სახიფათო ადგილიდან ვინც გავაღწიეთ, უარესს წავაწყდით. გერმანელთა მეწინავე სანგრებს მივადექით და უძლიერეს ცეცხლში აღმოვჩდით. ახლა ყველაფერს მხოლოდ გაბედულება სწყვეტდა — წინ, მხოლოდ წინ!

ასეულის მეთაური ივანე ბელოვი მძიმედ დაიჭრა. უმეთაუროდ დარჩენილი ასეული დაიბნა და შეჩერდა, მტერი წამითაც კი არ სწყვეტს ცეცხლს. ჩვენი მებრძოლები ეცემიან. საჭიროა სწრაფი, დროული მოქმედება, თორემ მთელი ასეული განადგურდება, ფიქრის დრო აღარ არის: ჩემს თანაშემწეს, სერჟანტ ვლადიმერ ნელოს ვუბრძანე, მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლე-მეთქი და მე ასეულს ჩავუდექი სათავეში, შეტევაზე გადავიყვანე. ასეული გამომყვა. გამხნევდნენ ბიჭები და სულ მალე, სტრატეგიულად მოხერხებული ზღუდე დავიკავეთ.

წინსვლა ისევ შეუძლებელი იყო. მტერი საგანგებოდ გამაგრებული ძელმიწურიდან გვიშენდა ტყვიას, ორი მძიმე ტყვიამფრქვევი ნაბიჯს არ გვადგმევინებდა. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, უნდა გაგვენადგურებინა. ამ რთული და გაბედული ამოცანის გადაწყვეტა მეორე ოცეუ-

ლის მეთაურმა ზაბითა გუნთაიშვილმა იკისრა თავისი ოცეულის ორ მებრძოლთან ერთად. ისინი ხოხვით მიუახლოვდნენ ძელმიწურს. ძალიან ფრთხილობდნენ და მაინც შეამჩნია მტერმა — მათზე გადაიტანა ცეცხლი. იმარჯვეს და მოასწრეს ხელყუმბარების ტყორცნა, ერთი ამბრაზურა ჩააჩუმეს. ამ დროს ზაბითამ მარჯვენა მკლავში ტკივილი იგრძნო, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, რაკი საჭირო იყო მეორე საცეცხლე წერტის ჩაჩუმებაც. ეს მეორე საცეცხლე წერტი საშას საუკეთესო მებრძოლმა გიორგი სტანცენკომ მოსპო, თუმცა სიცოცხლით ფასად დაუჯდა.

მეორე საცეცხლე წერტიც რომ ჩაჩუმდა, ზაბითა ზეზე წამოიჭრა, სისხლიანი მარჯვენა მაღლა ასწია, ამით მებრძოლებს ამცნო, გზა განთავისუფლდაო... ალბათ, ამ ქვეყანაზე პირველი ზაბითა გუნთაიშვილი იყო, ვინც წითელი ფერით ამცნო ხალხს, გზა ხსნილიაო. მებრძოლებმა როცა დაინახეს, ჩვენი მეთაური დაჭრილა და მაინც შეტევაზე მოგვიწოდებსო, მთელი ძალით დაიძრნენ, ღრმად შეიჭრნენ მტრის სიმაგრეების სიღრმეში და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ.

მტერმა ველარ გაუძლო ჩვენს დაწოლას და დასავლეთისაკენ იბრუნა პირი. გზადაგზა მკვდრებს, დაჭრილ-დასახიჩრებულებსა და დიდძალ საბრძოლო ტექნიკას ტოვებდა.

კალინინი ერთი დაკვრით ავიღეთ და გაქცეულ მტერს დავედევნეთ. ყოველნაირად ცდილობს გაგვასწროს, მაგრამ ძალა გამოელია და ამდენს ველარ ახერხებს. მივდევთ და მივდევთ! სულ დაგვავიწყდა ყინვა და ძვლების ჭახჭახი. არავის გახსენებია არც წყურვილი, არც — შიმშილი. ეს უკვე ანგარიშში არ მიიღება — წვრილმანია, ასე რომ, სათქმელათაც არ ღირს.

მტერმა კალინინიდან თორმეტ კილომეტრზე, ელევატორთან სცადა გამაგრება, მაგრამ ალარაფერს შეეძლო ჩვენი შეჩერება — მაშინვე წამოვყარეთ და წინ გავიგდეთ. აქ გამართულ ბრძოლაში დაჭრილმა ზაბითა გუნთაიშვილმა, რომელმაც მეთაურის ბრძანების მიუხედავად, მაინც არ დატოვა ბრძოლის ველი, პირადად სამი გერმანელი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს.

ასეული, მე რომ ვხელმძღვანელობდი, მტრის ნაღმმტყორცნელთა გამანადგურებელ ცეცხლში მოექცა. ჩვენს ირგვლივ ყველაფერი აირია. თოვლისა და გამომშრალი მიწის კორიანტელი დატრიალდა. ნაღმის ნამტვრევით დავიჭერი, მაგრამ ცეცხლიდან არ გავსულვარ. ამ ბრძოლაში, ჩემს გვერდით დაიღუპა სერჟანტი ნილოვი. ძნელია, ძალიან ძნელია ერთგული თანამებრძოლის დაკარგვა! რას იზამ! გულითაც გინდა უშველო, მაგრამ უძლური ხარ, ხედავ სისხლისაგან იცლება, ხედავ, შენს თვალწინ კვდება ის ადამიანი, რომელიც ერთი წუთის წინ სიცოცხლითა და ჯან-ღონით იყო სავსე, და ვერაფერს შველი! მოდის ულმობელი სიკვდილი და საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშით მოხლოვებული წუხილი მაშ, იომე, იბრძოლე, ვიდრე პირში სული გიდგას, ვიდრე შენი სამშობლო ყვითელი ურდოს ჩრდილშია!...

ელევატორიდან შორს, ათეულობით კილომეტრზე დაიხია მტერმა. ჩვენი ათასეული კი, დივიზიის მეთაურის ბრძანებით, ელევატორთან შეჩერდა. ერთხანს იქ ვიყავით, შემდეგ ქალაქ კალინინში დაგვაბრუნეს, მეორე ეშელონში გადაგვიყვანეს.

ჩვენს ათასეულს ახლა გვარდიის კაპიტანი ეგორ ფინჩენკო მეთაურობდა. ფინჩენკოს ომში საკმაო წრთობა ჰქონდა მიღებული, მხიარული კაცი იყო. ჩვენი მეორე ეშელონში გადაყვანის ამბავი რომ გაიგო, ღიმილითა თქვა, ლამის დამავიწყდა კულტურული გართობაო. სხვათა შორის, კულტურულ გართობაში ძილსა გულისხმობდა.

## ბრძოლა მაღლობისათვის

1942 წლის აპრილში ჩვენი ათასეული გადაყვანილ იქნა ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტზე, სოფელ ლიტვინოვკაში, ვალდაისა და კრესტის შორის. იმ დროს ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის შტაბი ქალაქ ვალდაიში იმყოფებოდა. სოფელი ლიტვინოვკა კი, სადაც ჩვენი ცალკეული ათასეული დაბანაკდა, ვალდაიდან სულ ახლო, რამდენიმე კილომეტრზეა.

კალინინში რატომღაც, არ მოხერხდა, აქ კი საკმაოდ მივიღეთ შევსება ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, მართალია, წუთიწუთ ველოდით ფრონტზე გასვლას, მაგრამ მაინც გაძლიერებულ წვრთნას გავდიოდით. განსაკუთრებული ყურადღება, როგორც წესია, ტაქტიკურ მეცადინეობას ეთმობოდა, ახალბედა მეომრები თავს არ იზოგავდნენ, დღე-ღამეში თითქმის თვრამეტ საათს ვარჯიშობდნენ და ფიზიკურ დაღლაზე კი არავის უწუწუნია. სრულიად მოულოდნელად აგვისტოს პირველ რიცხვებამდე დავრჩით იქ, ხოლო აგვისტოს პირველ რიცხვებში მდინარე ვოლგის სათავეებთან, პარაფინო-ლიჩკოს მიმართულებით დავიკავეთ საბრძოლო პოზიცია.

მტერი სწორედ ამ მიმართულებით ცდილობდა გამოჭრას, რაც ჩვენი სარდლობისათვის ადვილად გასარკვევი იყო — მომხვდურს უნდოდა ღრმა ზურგში მოექცია რევოლუციის აკვანი — ლენინგრადი, რომელიც ამ დროს სისხლისაგან იცლებოდა და მაინც არ ნებდებოდა მტერს. ეს თავგანწირვა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი და ნათელი მაგალითი იყო.

ზუსტად წინა კვირას, ამ სტრატეგიულ ხაზზე ფაშისტებს ერთი უსახელო მაღლობი დაეკავებინათ. ეს მაღლობი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, ფრონტის სარდლობის მთელი ყურადღება

აქეთკენ იყო მიმართული. ამ მაღლობიდან მტერი ოთხი-ხუთი კილომეტრის მანძილზე მდებარე ტერიტორიას მთლიანად უწევდა კონტროლს. თანაც, ერთი კვირის განმავლობაში ისე გაემაგრებინა მაღლობი, თუ ბრძოლის რაიმე ახალ მეთოდს არ გამოვიყენებდით, ისე მის აღებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. არადა ნაბიჯს არ გვაცვლევინებდა ადგილიდან. ჩვენმა სარდლობამ გადასწყვიტა, რადაც უნდა დაგვჯდომოდა დაგვებრუნებინა მაღლობი. აღნიშნული საბრძოლო ამოცანის შესრულება, სარდლობის ბრძანებით, ჩვენს ცალკეულ ათასეულს დაეკისრა.

ათასეულის მეთაურიდან დაწყებული რიგით ჯარისკაცამდე დამთავრებული — ყველანი მაღლობის მისადგომებს ვსწავლობდით. კარგად უნდა შეგვესწავლა ყოველი კუთხე-კუნჭული, ყოველი კორდი თუ საცალფეხო ბილიკი, ყველაფერი გაგვეთვალისწინებინა, მერე ჩვენ-ჩვენი აზრი გამოგვეთქვა. ასე იყო თუ ისე, ოთხმა დაძაბულმა, უძილო დღე-ღამემ გაიარა და სარდლობას ჩვენი მზადყოფნა ვაუწყეთ.

ჩვენი ათასეულის შეტევითი ოპერაციების დასახმარებლად გამოყოფილ იქნა ორი საარტილერიო დივიზიონი, ორივე დივიზიონს ნაბრძანები ჰქონდა ყოველ სამ საათში მასირებული ცეცხლი დაენიშნა მტრისათვის. სროლა უნდა გაგრძელებულიყო მხოლოდ ოცდაათი-ორმოცი წუთი, ასეთი ცეცხლი ხშირი იყო და, როგორც წესი, ამის შემდეგ შეტევა იწყებოდა, მტერიც ამას მოელოდა, მაგრამ... ადგილიდან არ ვიძვროდით. სროლა სამ დღეს გრძელდებოდა და ისე მიეჩვია მტერი, ყურადღებას აღარ აქცევდა, ესე იგი, ჩვენს შეტევას აღარ მოელოდა, ამიტომ წინა ხაზზე მხოლოდ მეთვალთვალეებს ტოვებდა. ამ კარგად ჩაფიქრებულ ფანდს მტერი ადვილად წამოეგო, რამაც საშუალება მოგვცა შედარებით იოლად დაგვებრუნებინა მაღლობი.

მაღლობის აღება იმითაც ძნელდებოდა, რომ იმხელა მინდორზე ბუჩქიც არ იდგა და ქვაც არ ეგდო. მაშინ, როცა მტერი ზედ კორტოხზე იყო გამაგრებული და მინდორი ხელისგულივით გადაშლოდა წინ — ყოველ გოჯ მიწას კონტროლს უწევდა.

ათასეულის შემტევი ძალა ორად იქნა გაყოფილი. პირველსა და მეორე ასეულს პირდაპირ უნდა მიეტანა იერიში მაღლობზე სწორედ ამ ტრიალი მინდვრით, ხოლო მესამე და მეოთხე ასეულებს მარჯვნიდან უნდა შემოევლოთ მაღლობისათვის და მოულოდნელად დაერტყათ; ამისი იმედი განსაკუთრებით გვქონდა, ვინაიდან ფაშისტებს მარჯვენა მხრიდან არავითარ შემთხვევაში არ ექნებოდათ საშიშროების მოლოდინი, რაკი იმ მხრიდან ბუნებრივი სიმაგრე იცავდა — მდინარეების პატარ-პატარა შენაკადები, ღელეები, ფშანები... ყოველივე ეს ერთიან ჰაობს ქმნიდა, რაც სწრაფ მოქმედებას ხელს უშლიდა, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა იერიშის საწარმოებლად.

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ გადაწყდა: ჯერ პირველი და მეორე ასეულები გადასულიყვნენ შეტევაზე, რათა მესამე და მეოთხე ასეულებს შესაძლებლობა მისცემოდათ, იოლად დაეძლიათ შეტევის გზაზე არსებული ყველა ბუნებრივი დაბრკოლება და, რაც შეიძლება ახლოს მისულიყვნენ მტრის ზღუდეებთან. ამ ჩანაფიქრს ისიც აადვილებდა, რომ მტერი ჩვენს შემტევ ნაწილებთან ბრძოლით იქნებოდა დაკავებული.

ცხრა აგვისტოს, დილის ხუთ საათზე, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ პირველი და მეორე ასეულები შეტევაზე გადავიდნენ.

პირველ ასეულს მე ვუძღვოდი და მეორე ასეულს ზაბითა გუნთაიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი არტილერია ამდენი ხანი უტევდა მტრის პოზიციებს და შორიდან ყველაფერი მოშლილი, განადგურებული ჩანდა, წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი იყო, ვერც წარმოვიდგენდით — ჯვარედინი, მცელავი ცეცხლი გაგვიხსნეს.

ჩემი ასეული ოდნავ მარცხნივ უტევს, გუნთაიშვილისა — მარჯვნივ მიიწევს. „ვაშას“ ძახილში წამოვიჭრებით და მთელი სისწრაფით გავრბივართ მინდორზე, მაგრამ იმდენად ძლიერია მტრის ცეცხლი, თუ არ ვიღონეთ რამე, შეიძლება ორივე ასეული დაიღუპოს, მიწაზე ვართ გაკრული, გული საცაა ამოვარდება ბუდიდან, ჭირის ოფლი გვასკდება.

ან ყველანი დავიღუპებით, ან მაღლობს ავიღებთ.

სხვა გზა არ არის, და ახლა ასეული მოკლე გადარბენით გადამყავს: რამდენიმე ჯარისკაცი ოციოდე მეტრს გაირბენს და დაემხობა პირქვე. შემდეგ სხვა ჯარისკაცები და ასე შემდეგ. პირდაპირი იერიში ასეთ დროს აშკარად დამღუპველია.

შტაბიდან გვაცნობებენ, რაც შეიძლება, ხშირად ვიმოძრაოთ: მესამე და მეოთხე ასეულები მტრის ზღუდეებს უახლოვდებიან. მთავარია, მტრის მთელი ყურადღება ჩვენკენ იყოს მოქცეული. ასეც ვაკეთებთ. თანდათან მივიწევთ წინ, ვცდილობთ ცეცხლი არ შევწყვიტოთ.

გუნთაიშვილის ასეული უფრო ღრმად შეიჭრა, სულ ცოტაც და, მტრის ძირითად ზღუდესთან აღმოჩნდება.

ჩემი ჯარისკაცები სწრაფად მოქმედებენ, თავს არ იზოგავენ, მაგრამ მსხვერპლი ბევრია — თუ მესამე და მეოთხე ასეულები დროზე არ ჩაებნენ ბრძოლაში, დავიღუპებით. დაღუპვას ვინ ჩივის, სირცხვილს ვჭამთ, მაღლობი ისევ მტრის ხელში იქნება.

ისევ გამამხნევებელი ცნობა შტაბიდან, ცოტაც, სულ ცოტაც გაუძელითო.

მტერმა ძირითადი ცეცხლი ზაბითა გუნთაიშვილის ასეულზე გადაიტანა, ვინაიდან ის უფრო ახლოს იყო. ამით ვისარგებლეთ და ჩვენც წინ გავიჭერით. ფაშისტები იძულებულნი გახდნენ. ორად გაეყოთ საკუთარი ძალა.

მდგომარეობა ვიცით, ცოცხალი ძალით ჯერჯერობით ვერ დაგვეხმარებიან, ამიტომ ჩვენ უნდა ვიღონოთ რამე.

გუნთაიშვილის ასეულმა პატარ-პატარა გორაკებამდე მიაღწია. მალე ყველაფერი რიგზე იქნება — თავშესაფარს, ასე თუ ისე, მიაღწიეს მეომრებმა, რაც უნდა იყოს, გორაკი მაინც გორაკია, თავს მოაფარებ. ამ ოხერ, ტრიალ მინდორს რას უშვრები, ისეა გადახრუკული, წამლად ვერ იპოვი ბალახს. როგორც გინდა მოიკუნტე, ადვილი დასანახი ხარ მტრისათვის.

ნეტავი როგორ არის ზაბითა?

— წინ! — ბრძანებას ვიძლევი და ჯარისკაცები იერიშზე მიმყავს, — წინ!

ტყვია მოზუზუნებს. ვერ ვხედავ, მაგრამ მესმის, მოწყვეტით როგორ ეცემიან ჩემი ჯარისკაცები... ყრუ კვნესა... გინება... ხრიალი ......და უცებ სანატრელი „ვაშა" — მესამე და მეოთხე ასეულებმა ცეცხლი გახსნეს. თავს შეუმჩნევლად დაესხნენ მტერს.

მტერი დაიბნა, უკან იხევს „უკან" კი ჩვენი ასეულებია, ჯოჯოხეთური ცეცხლი გავუხსენით, ჯგუფ-ჯგუფად გამორბიან და მეც ვბრძანებ — ცეცხლი!

მესამე და მეოთხე ასეულების თავდასხმა, ისიც მარჯვნიდან, საიდანაც არ მოელოდა, ალეთი თავზარდამცემი იყო მტრისათვის, აღარ იცოდა, საით გაქცეულიყო. რაკი გასაქცევი გზა მოჭრილი ჰქონდა, თავგანწირულ დაცვას მიმართა.

ზაბითა გუნთაიშვილის ასეული პირველი შეიჭრა მტრის განლაგებაში, ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ. გვერდიდან ჩემი ასეულიც მიაწვა მტერს და მეთოდურად შეუდგა მის შევიწროებას.

მესამე და მეოთხე ასეულებმაც გადალახეს მტრის თავდაცვითი ზღუდე. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო მხოლოდ სისწრაფეზე, რაც შეიძლება მალე უნდა გაგვენადგურებინა მომხვდური, რომ ამით ცოცხალი ძალა შეგვენარჩუნებინა. მოგეხსენებათ, რაც უფრო სწრაფად, თავბრუდამხვევად უტევ მოწინააღმდეგეს მით უფრო კარგავს წონასწორობას, იბნევა. ეს კი გამარჯვების საწინდარია.

მაღლობზე დიდხანს არ გაგრძელებულა ომი, მალე გავანადგურეთ მტერი.

ისე ამოვწყვიტეთ ფაშისტების კბილებამდე შეიარაღებული ორი გაძლიერებული ასეული, როგორც იტყვიან, ამბის მთხრობელიც არავინ გადარჩა. მაღლობზე ჩვენი დროშა აფრიალდა ,შტაბიდან გამარჯვებას გვილოცავენ. მაღლობი ავიღეთ, მტერი გავწყვიტეთ, მაგრამ ჩვენი დანაკლისიც ბევრია.

ომის კანონი მოითხოვს და მეც ასე ვიქცევი: სასწრაფოდ უნდა აღირიცხოს ვინ დაიჭრა, ვინ დაიღუპა, მერე იარაღიც გავატარით საქმეში და შტაბს მოვახსენო, შემდეგ ვინახულებ ზაბითას, ჩემს ზაბითას. ისიც, ალბათ, ამგვარი, აუცილებელი საქმითაა დაკავებული და ჩემს სანახავად არ სცალია.

ისე ცხელა, სუნთქვა ჭირს, ხვითქი გადმოგვდის. ბრძოლის ველიდან დაჭრილები გაჰყავთ, ვანუგეშებთ. ვეფერებით ტკივილებს ვუმსუბუქებთ.

წყურვილი მახრჩობს, მაგრამ წყლის დასალევად არა მცალიან, იმდენი საქმეა მოსაგვარებელი, თუ არ ვიჩქარე დაღამებამდე ვერ მოვასწრებ.

მაღლობზე ერთი ხე არ დგას, თავი რომ შეაფარო. არადა, ისე აჭერს მზე, საცაა ამომფუფქავს. გახურებული ბრძოლის დროს არც შემინიშნავს, მზე თუ ვარვარებდა. რა დროს მზეა დალოცვილო, ცეცხლი უკიდია მიწას, სიცოცხლე იცლება, საფლავები მრავლდება, ობლდებიან ბავშვები, ქვრივდებიან ცოლები, შვილები ხელიდან ეცლება მშობლებს — გაჭირვებით, ცრემლითა და ოხვრით გამოზრდილი შვილები.

დახოცილებიც მალე უნდ დაიმარხოს... მიწა, ეს უძღები მიწა!

ალბათ ასე ძვირი არასოდეს ყოფილა შავი კაბა!...

თან ვმუშაობ, თან ფიქრში ვარ ჩაძირული.

— თქვენთან ვარ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — მესმის ვიღაცის ხმა.

თავი ავწიე: ქერა ჯარისკაცს ვხედავ, თვალს ვერ მისწორებს.

— რა მითხარი?

— გუნთაიშვილის ასეულის ჯარისკაცი ვარ, ჩვენი მეთაური მძიმედ დაიჭრა და თქვენ გკითხულობთ. იქნებ ცოცხალს მიუსწროთ. რაღაცას ამბობს და ვერც კი გავიგეთ რას, სხვა ენაზე ლაპარაკობს.

მუხლი მომეკვეთა, თვალთ დამიბნელდა... მინდა ვთქვა რამე, მინდა ნაბიჯი გადავდგა, მაგრამ ვერ ვახერხებ არც ენა მიტრიალდება, აღარც მუხლი მერჩის... ეს რა დღე გამითენდა, ღმერთო!

ძალა მოვიკრიბე, თავი დავიმორჩილე და წავედი... ჯერ ნელა მივდიოდი, მერე, როცა გამოვერკვიე, გავიქეცი.

უხმოდ მომჩერებიან ქუდმოხდილი ჯარისკაცები. ყველამ იცის ჩვენი მეგობრობის, ჩვენი ძმობის ამბავი, იციან და იმიტომაც დამუნჯებულან...

გულაღმა წევს საშა, ხელები დაუკრეფია გულზე, თვალები ცისკენ გაქცევია, გაყინული, ცივი თვალები, ბაგეები ისე გახსნია, თითქოს რაიმეს თქმას აპირებსო. მკერდზე ორთქლი ასდის სისხლი ახმება. თმა შუბლზე ჩამოშლია,

სწორედ ისე, როგორც უყვარდა — დაუდევრად, მაგრამ ლამაზად.

ყელში რაღაცა მომაწვა... თავი მიბრუის, ცრემლი მიშრება... გავხევდი, სიზმარი მგონია, მწარე სიზმარი, მინდა მალე გამოვერკვიო და გავიღიმო... მაგრამ სიზმარი არ არის, სინამდვილეა, აუტანელი სინამდვილე...

ვინ იცის, რისი თქმა სურდა, რა საიდუმლო უნდა გაენდო ჩემთვის? იქნებ გულის სწორთან მაბარებდა, ნუღა დამელოდებიო? იქნებ მისი თქმა უნდოდა, ჩემს მშობლებს არაფერი გააგებინოთო? ...ვაი, რომ ცოცხალს ვერ მოვუსწარი!

ცოცხალს ვერ მოგისწარი, ძმაო, საყვარელო! ზაბითა, ჩემო სისხლო და ხორცო, ჩემო სიჭაბუკევ! ზაბითა, ჩემო გამხელილო სიყვარულო, ჩემო ტკბილო მოგონებავ!...

ბათუმში, ტექნიკუმში გავიცანით ერთმანეთი და მაშინვე დავმეგობრდით. იგი ქობულეთიდან იყო, ხშირად ვყოფილვარ მასთან, მის ეზო-ყურეში. საოცრად გულღია, მხიარული, ამხანაგების მოყვარული იყო. რა საქმეც არ უნდა მიენდოთ, ბადალი არ ჰყავდა. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან. სწავლაშიც ხომ, ნუ იტყვით, არც იქ დაუდებდა ვინმეს ტოლს: ტექნიკუმი — ფრიადოსანი სტუდენტი, სამხედრო სასწავლებელი — წარჩინებული კურსანტი. თავმდაბალი და წესრიგის მოყვარული საშა გუნთაიშვილი!...

— ალექსანდრე გუნთაიშვილი! — სიას კითხულობენ ტექნიკუმის მასწავლებლები.

— საშა! — ეძახიან მოცინარი გოგონები.

— ზაბითა! ვეძახით მეგობრები, შინაურები...

ახლა კი წევს უთქმელი, გაყუჩებული, თითქოს დაიქანცა და ჯანსაღი, ჯანიანი ძილით სძინავსო.

ეჰ!.... მტრის უკანასკნელი ზღუდე რომ გადალახა მისმა ასეულმა, მაშინ დაცემულა. მძიმედ დაჭრილი უშიშარ ადგილზე გაუყვანიათ მის მებრძოლებს. ზაბითას დაცემისთანავე დაკარგვია გონება. მითხრეს, კაი ხნის შემდეგ ამოიღო ხმა, გაეღიმა კიდეცო...

ჩვენ ერთად ვიყავით ყოველთვის. ერთად ვიზიარებდით ჭირსაც და ლხინსაც. მთელი ექვსი წლის განმავლობაში თვალებში შევცქეროდით ერთმანეთს და არ მახსოვს, ოდესმე იოტისოდენა მაინც გვწყენოდა ერთმანეთისა. ლხინში ხომ ერთად ვიყავით და ვიყავით, დაიწყო ომი და ისევ გვერდი-გვერდ ვიბრძოდით. დათქმული გვქონდა, ერთი დღეც არ უნდა გაგვეტარებინა უერთმანეთოდ. ასეც მოხდებოდა, ულმობელ სიკვდილს რომ არ გავეყარეთ.

ეჰ, რამდენი რამ მაკავშირებდა მასთან. ახლა კი... ახლა მდუმარედ წევს, მისთვის სულ ერთია ყველაფერი: ეს ბრდღვიალა მზეცა და ის ღამეც, რამდენიმე საათის შემდეგ რომ ჩამოწვება. იგი მარადიულ მდუმარებაში გადავა, მაგრამ მისი სახელი იცოცხლებს მანამდე, ვიდრე ვიქნებით ამ ქვეყანაზე ის ადამიანები, ვის ხსოვნაშიც არასოდეს არ წაიშლება, ასეთები, საბედნიეროდ, ბევრნი არიან.

ვერ მოგისწარი ძმაო, ვეღარ გავიგონე შენი ტკბილი ხმა. როგორ ვნატრობდით, დამთავრდება ომი, დავმშვიდდებით და ისევ დაბრუნდება ის მხიარული დღეები, ბათუმი რომ გვახსენებსო. ისევ გავივლით ბათუმის სანაპირო ქუჩას, ისევ დავბრუნდებით ჩვენს მშობლიურ ტექნიკუმში და ისე მშვენიერი, ბედნიერი დღეებიც დაბრუნდებაო... ვაი, რომ არასოდეს დაგიბრუნდება ის ლამაზი დღეები და დედაც ვერ ჩაგიკრავს გულში, ძმაო ზაბითა!

გული ამომიჯდა, დავემხე მეგობრის ცხედარს და ავქვითინდი, ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამომდის.

— ეს რა დაგემართა, ბიჭო! არ ვიცი სად გადავვარდე, რა წყალში ჩავვარდე! იქნებ, იქნებ შემეძლო შენი შველა, იქნებ როგორ გინდოდა გამომეწოდებინა ხელი, მე კი ვერ მოგეშველე, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე ძეტად გჭირდებოდი!...

ვიღაცამ წამომაყენა.

—მაცალეთ, მაცალეთ გული მოვიოხო ცრემლით!.. მეგობარი მომიკლეს, გესმით ყველაზე საუკეთესო მეგობარი!

სოფელ ლიტვინოვკაში წამოვასვენეთ გუნთაიშვილის ცხედარი, საშუალო სკოლის წინ ორი ჭადარი იდგა, იმ ჭადრებშუა გავუთხარეთ სამარე და სამხედრო წესით მივაბარეთ მიწას...

ასე დავკარგე ძმა და მეგობარი.

მ ი ნ ა წ ე რ ი

ამ მოგონების დაწერას რომ ვაპირებდი, კრესცის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წერილი გავგზავნე. სოფელ ლიტვინოვკაში, საშუალო სკოლის წინ, ჭადრებშუა კიდევ არის თუ არა გუნთაიშვილის საფლავი და თუ გადაასვენეთ შემატყობინეთ, სად გადაასვენეთ-მეთქი. პასუხი მალე დამიბრუნდა: „სოფელ ლიტვინოვკაში, სკოლის წინ, ჭადრებში იყო უცნობი ჯარისკაცის საფლავი, რომელიც 1957 წლის 5 ნოემბერს გადატანილ იქნა ძმათა სასაფლაოზე, მდინარე ხოლოვის პირას. მისი ვინაობა დღემდე უცნობი იყო. დიდ მადლობას გითვლით მისი ვინაობის დადგენისათვის. ძმათა სასაფლაოს ობელისკს კიდევ ერთი ახალი გვარი მიემატება.

**კრესცის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე (მ. კოზირი)**

ლესია უკრაინკა

# პოლარული ღამე

(ფანტაზია)

ვუსხედით სუფრას.
ღუღუნებდა ღუმელი თბილად
და ქვანახშირის კოლბოხივით იწვოდა ღამე.
ცისფერი ალი იკლაკნებოდა,
სიმწარისაგან იწმაწნებოდა,
თრთოდა, ცმუკავდა, იშმუშნებოდა
და სულს ღაფავდა ცისფერი ალი.
ნახშირის ბოლქვებს ედებოდა მსუბუქი აბლი,
ჭაღარასავით ფოფინობდა აბლი ბოლქვებზე.
ვიწროვდებოდა ოთახი ჩვენი,
სულს გვიხუთავდა სიბნელის სალტე.
უკანასკნელი სანთელიც ჩაქრა
და გაჰქრა უცებ მაგიდა დიდი.
გაჰქრა ჭიქები.
გაჰქრა თეფშები,
გაჰქრა სუფრაზე რაც კი ელაგა, —
სუყველაფერი შთანთქა სიბნელემ.
ისე დავღონდით — ამ წუთისოფლად
უკანასკნელი ყოფილიყოს თითქოს ის ლხინი,
ის ღრეობა და ის დროს ტარება
გამოსათავი ყოფილიყოს თითქოს ყველასთვის!..
ერთმა ჩვენგანმა ამოიგმინა:
,,— უკანასკნელი ჩაქრა სანთელი.
როცა ნახშირიც ჩაქრება ბოლო —
დაემგვანება ოთახი საფლავს!“
,,— ქვანახშირისთვის წახვიდე უნდა“, —
შეეპასუხა კუთხიდან ვიღაც.
,,— რაო? რისთვისო? ჭკუაზე ხომ ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გესმის განა, ქარიშხალი ხარივით ბღავის!
ჭკუის კოლოფო, თუ ასე გინდა —
რაღა მე მგზავნი, წაბრძანდი თვითონ!“
მაშინ მიუგო ყმაწვილმა კაცმა:
„— მაშ, თუ ასეა, ვისხდეთ ბნელაში,
საჭმელს და სასმელს გუმანით მივწვდეთ,
ხელცნობით უნდა ავავსოთ ჭიქა.
ვისხდეთ ასე და ამასობაში
დაგვათენდება კიდევაც თავზე“.
„— გათენდებაო? საიდან იცი!“ —
ყმაწვილს ურწმუნოდ შესძახა ყველამ.
მაგრამ ყმაწვილი არ იხევს უკან
და რიხიანად აგრძელებს სიტყვას:
„— მოგეხსენებათ, დღეს ღამე მოსდევს,
ღამეს კი დღე და... ისევ თავიდან...“
თქვა ეს ყმაწვილმა და აჭირქილდა
და გაუსწორა თვალები მოხუცს.
„— ოჰო, უსმინეთ რა სიბრძნეს აფრქვევს, —
თქვა მოხუცმა და
ბრაზიანად გახედა ყმაწვილს, —
თან სისულელე წამოროშა, იცინის თანაც!..
— ცნობილიაო, თქვენც იცითო!..
ჩვენ ისიც ვიცით,
სიკვდილისათვის სულ ერთია, როდის გეწვევა,
გინდა ლუსკუმში მოგაშთობს და გინდა მზის გულზე,
გინდა დილით და გინდა საღამოს,
გინდ ალიონზე, გინდ მიმწუხრისას!“
ჩაიჭირქილა ყმაწვილმა ისევ:
„— რა ბედენაა, აღსასრული — აღსასრულია!
მკვდრისთვის ერთია, —
დღეც შავია მისთვის და ღამეც!
ჩემო მოხუცო,
შენ იმაზე ჩაფიქრდი, გიჟობს,
პოლარულ ღამეს პოლარული დღე უნდა მოჰყვეს!“
„— უკვდავი ქვეყნად არავინაა!“ —
ჩაიდუდუნა მოხუცმა წყნარად.
მაგრამ მოხუცის არვის სჯეროდა,
გატრუნულიყო ოთახში ყველა.
ყმაწვილმა კაცმა გაგვიღვივა იმედის სხივი,
წინასწარმეტყველს ვხედავდით მასში:
„— დიდხანს იქნება ეს ბნელი ღამე?
დღე როდის მოვა?“
„— მალე, სულ მალე!“
„— საიდან იცი, რაზე ატყობ, გვითხარი ჩქარა!“
„— საიდან ვიცი? გაიხედეთ, დაბნელდა უფრო!
გათენების წინ იცის ასე,
ხოლო განთიადს
დილა მოჰყვება — ცინცხალი დილა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლეველი რიხი ჟღერდა
ყმაწვილის ხმაში
და აქეთ-იქით ჩურჩულებდნენ:
„— სწორია, სწორი!“
ვიღაცა ამბობს:
„— რა ხანია ღამე გვხუთავსო“.
ვიღაცამ: „თვეო“,
ვიღაცამ კი „წელიწადიო“.
ბოლოს მოხუცმა აიღო სიტყვა:
„რამდენი დღე და რამდენი ღამე,
რამდენი თვე და რამდენი წელი
დავკარგეთ უქმად და უსარგებლოდ!
ვინ იცის, იქნებ აღარც გათენდეს,
ვეღარც ვიხილოთ ცისიერი ვედარასოდეს!“
ახლა ქალის ხმა გაისმა უცებ,
ხმა — ცრემლიანი და მოცახცახე:
„— ბოლოსდაბოლოს, რას დაგვჩხავი ჭოტივით თავზე,
ბეწო იმედსაც არ გვიტოვებ. გაჩუმდი...“
ამ დროს
ბავშვის წკრიალა ხმა გაისმა:
„— მე უკვე ვხედავ!...
„დღე მოვა!“
„— როდის?!“
„— ვერ გეტყვით — როდის!“
„— როგორი მოჩანს, ლამაზია?“
„— ო, დიდებული!
წითელია და მოლივლივე, ჰო, დედი, მართლა!
შენ ხომ მითხარი, დღე მოვაო!“
„— ო, არა, შვილო!
მე რა ვიცი, ისე გითხარი!“
„— არა, მოვაო, შენ მითხარი!“
„— მე შევცდი შვილო!
მირაჟი იყო, შევცდი შვილო,
შევცდი, გეთაყვა!“
ბავშვმა ტირილი დააპირა და... ჰოი, ღმერთო.
გამოჩნდა უცებ სკამები და რაც იყო ირგვლივ,
ჰა, სიბნელიდან გამოცურდა მაგიდაც ჩვენი,
— მზე ამოდისო, — აღმოხდა ბავშვს, —
ხომ გითხარითო.
ხომ ვამბობდიო,
აჰა, ნახეთ, ხომ გათენდაო!
მივვარდით ფანჯრებს. ო, ღმერთო, ღმერთო!
თვალსაწიერზე, დათოვლილი მინდვრების იქით.
დასალიერთან
ნახევარწრე ბრწყინავს და ელავს.
აჰა, გვეშველა, თენდება!..
ამ დროს
ისმის ქალის ხმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლიანი და მოცახცახე:
„— ისევ მირაჟი, შვილო ჩემო ისევ მირაჟი!“
„— არა, დუდუნებს მოხუცის ხმა, — რომელი დილა.
რისი მირაჟი, — ეს... უბრალოდ ამოდის მთვარე!“

თარგმნა **გივი ძნელაძემ**

ოთარ კუპრავა

# შენთვის ანთია ორი სანთელი

სურამში ერთი სახლი ფხიზლობდა,
გზას მიიკვლევდა სანთელ-საკმელით,
ვერ აიტანა ღამის ხიზნობა,
უცებ აანთო ყველა სარკმელი.

იმ ღამით ან რა მოასვენებდა,
ზღვა ბორგავდა თუ გული ხვნეშოდა?!
შორეულ ქვეყნის შვილი სნეული
ელუპებოდა თვალ და ხელშუა.

უკრაინიდან დაიძრა დილა
ლოცვით: მიშველე, ღმერთო, გზაზეო!..
შვილს მისი წილი ცა გაუბრწყინა,
ვერ მოახედა მაინც სამზეოდ.

პოეტის სული უნდოდათ მტრედებს,
სული — დაღლილი ღამეთა თევით
და იმ ნაზ სულის უსაზღვრო ედემს
მხრებზე იფენდნენ სურამის მთები.

სურამის ციხე უკუნეთს ხევდა,
თითქოს ცრემლს ღვრიდნენ კლდეთა
ერდონი.
თეთრთავსაფრიანს ელოდა მხედარს
ჭიშკართან მდგარი ფიცხი თეთრონი...

...შენ იმ თეთრონით მოხველ ჩვენამდე,
ჯერ არ დაღლია თეთრონს კუნთები.

მკვდრეთით აღმდგარი წამომელანდე
და შენს სტრიქონებს ღამეს ვუთევდი.

რამდენი მწარე ნაღველი ლესე,
ცრემლით გალეწე ცხოვრების კალო.
შენისლულ ზვრებში გიხილე მეზვრედ,
უკრაინელო, ლამაზო ქალო.

გულს გიღონებდა ალბათ საოცრად
დღენი — წვეთწვეთად, ჩუმად სათვლელი.
ორი სამშობლო გქონდა სალოცი,
ხატის წინ გენთო ორი სანთელი.

გათბობდა ქართლის დილა მზიანი,
მაინც ნატრობდი თქვენებურ დუმელს
და გასცქეროდი, თვალცრემლიანი,
უკარინისკენ გაბაწრულ ღრუბლებს.

ქვეყნის ზედაშედ ლექსებს წურავდი,
დრომ შენი სთველი ადრე შებინდა
და მოგძახოდა თითქოს ზურაბი
სურამის ციხის სველ კედლებიდან.

შენი ზამბახი უენოდ გახმა
ბედნიერ წამთა ეფემერებით...
მისი ფესვები გეძებენ ახლა
და თბილ საფლავში გეფერებიან.

ოცნებით მაინც თვალხილულს გსახავ
და მე მგონია: თეთრ ნისლეთს იქით
სურამის ციხის გრილოში გნახავ
მუხლზე გადაშლილ პატარა წიგნით...

იყავ წმინდანი, გულდასაკოცნი
და სანთელივით ჩუმად დაიწვი,
ორი სამშობლო გქონდა სალოცი,
ორი სანთელი გენთო ხატის წინ.

ახლა რა დროის მოხრაა დელგმით,
ეს — მხოლოდ ფიქრი შეგვძრავს
ხანდახან,
უკრაინაში თუ გიდგას ძეგლი,
საქართველოშიც ძეგლად დამდგარხარ —

მზის ჩანჩქერებმა ჯანღი აკაფეს,
ხარობს სიცოცხლე ანდამატური,
შენს უკრაინულ, ძვირფას საკაბეს
ვაზის მტევანიც აქვს ჩაქარგული.

ხმა მოგესმა და იქნებ გაოცდი, —
ლესიას ლექსებს მღერის ქართველი...
ორი სამშობლო დაგრჩა სალოცი,
შენთვის ანთია ორი სანთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ბაქანიძე

# ლესია უკრაინკა საქართველოში

ლესია უკრაინკა (ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი) მსოფლიოს კლასიკური ლიტერატურის სახელოვანი წარმომადგენელია. უკრაინელი ხალხის ამ ღვიძლმა შვილმა თავისი კალამი, განუმეორებელი პოეტური ნიჭი ხალხის ბედნიერი მერმისისათვის ბრძოლას მიუძღვნა. პოეტის მომხიბლავი ლირიკული თუ დრამატული ნაწარმოებები, მოთხრობები თუ კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები ამდიდრებენ არა მარტო უკრაინულ, არამედ მსოფლიო კულტურის საგანძურს.

მგოსანმა რთული იდეურ-შემოქმედებითი გზა გაიარა. მან იდეურად და მხატვრულად გაამდიდრა მშობლიური უკრაინული ლიტერატურა და მხატვრული ოსტატობისა თუ იდეური სრულყოფის გზით სოციალისტური რეალიზმის კარიბჭეს მიადგა.

ეს დიდებული პოეტი თავისი ცხოვრებითა თუ შემოქმედებით მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე ჩვენს ქვეყანასთან, საქართველოსთან.

ლესია უკრაინკა დაიბადა 1871 წლის 25 თებერვალს ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში. მამამისი პეტრე კოსაჩი და დედა — ოლენა პჩილკა განათლებული, წიგნიერი ადამიანები იყვნენ. ოლენა პჩილკა იმ დროისათვის უკვე ცნობილი მწერალი იყო. კოსაჩების ოჯახს ახლო ურთიერთობა, მიმოსვლა ჰქონდა მაშინდელ გამოჩენილ კულტურულ მოღვაწეებთან.

პატარა ლესიას ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს და ამიტომაც სკოლაში არ დადიოდა. სამაგიეროდ სახლში იგი ბეჯითად და მონდომებით სწავლობდა ყოველივე იმას და გაცილებით მეტსაც, რაც სკოლაში უნდა შეეთვისებინა. განსაკუთრებულ გულისყურს იჩენდა იგი უცხო ენების, ლიტერატურის, მუსიკის, ხალხური შემოქმედებისადმი.

ლექსების წერა ლესიამ ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო. ცხრა წლისა იყო იგი, როდესაც პირველი ლექსი „იმედი" დაწერა. 1884 წლიდან 13 წლის ლესიას ლექსები უკვე იბეჭდებოდა, ხოლო 1893 წელს ქვეყნდება მისი ლექსების პირველი კრებული „სიმღერების ფრთებზე", 1899 წელს გამოდის პოეტის ლექსების მეორე კრებული — „ფიქრები და ოცნებანი", 1902 წელს — მესამე კრებული — „გამოძახილი".

ლესია უკრაინკა ბავშვობაშივე ძვლის ტუბერკულოზით დაავადდა. რის გამოც მას სამკურნალოდ მოგზაურობა უხდებოდა ყირიმში, გერმანიაში, ავსტრიაში, ბულგარეთში, იტალიაში, ეგვიპტესა და საქართველოში. ყირიმში იგი დაუახლოვდა მარქსისტული ორგანიზაციის გამოჩენილ მოღვაწეს სერგეი იერიონსკის.

ლესია უკრაინკას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა ბიძამ მიხაილ დრაგომანოვმა, რომელიც 70-იანი წლებიდან პოლიტიკურ ემიგრაციაში იმყოფებოდა. თუ სამწერლო სარბიელზე პირველი ნაბიჯები ლესიამ დედის მზრუნველობით გადადგა, მოგვიანებით ყურადღებით ეკიდებოდა მ. დრაგომანოვის სიტყვასა და რჩევას. მაგრამ ყოველთვის როდი უჯერებდა პოეტი მ. დრაგომანოვს, განსაკუთრებით ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში. როგორც ცნობილია, დრაგომანოვი ვერ ამაღლდა მარქსიზმის გაგებამდე, ხოლო მარქსიზმმა XIX საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებით მიიპყრო უკრაინელი ახალგაზრდობის ყურადღება, მათ შორის ლესია უკრაინკასიც.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ ნაყოფიერი გავლენა მოახდინა მწერალზე. მან უკრაინულ ენაზე თარგმნა ზოგიერთი მარქსისტული წიგნი, მათ შორის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი".

ლესია უკრაინკას ნაწარმოებთა პირველ კრებულში — „სიმღერები ფრთებზე“ შევიდა ყველა ლექსი და პოემა, რომლებიც მას იმ დრომდე ჰქონდა დაწერილი. კრებული იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით თანაბარი ძალისა და დანიშნულების ნაწარმოებებისაგან როდი შედგებოდა, მაგრამ ლიტერატურულ წრეებში მან დიდი ინტერესი გამოიწვია. ლესია უკრაინკას პოეზიის მხნე ტონმა, მისი ლექსების რევოლუციურმა სულისკვეთებამ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჟღერამ, ახალბედა მგოსნის მხატვრულმა ოსტატობამ საზოგადოებრიობას დაანახვა, რომ ლიტერატურაში ახალი, ნიჭიერი პოეტი მოვიდა.

მწერლის ამოცანად ლესია უკრაინკას ხალხის სამსახური მიაჩნდა. ამიტომაც იყო, რომ იგი თავისი მხატვრული ნაწარმოებებითა და კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიებით ხალხისათვის ბედნიერი დღის მოსაპოვებლად იბრძოდა. ამიტომაც იყო, რომ მგოსნის ჯერ კიდევ ადრეული პოეტური ქმნილებების შესახებ ივანე ფრანკო წერდა — „შევჩენკოს მოწოდების შემდეგ — „მაშ, დამმარხეთ, წამოდექით, იწყეთ ბორკილთ მსხვრევა“ — უკრაინას არ სმენია ესოდენ მძლავრი, მგზნებარე პოეტური სიტყვა“.

1900-1902 წლებში ლესია უკრაინკა კრიტიკულ წერილებს ბეჭდავს პეტერბურგის ჟურნალ „ჟიზნში“. როგორც ცნობილია, ამ ჟურნალში ქვეყნდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები, აგრეთვე მაქსიმ გორკის, სერაფიმოვიჩის, სკიტალეცისა და სხვა რევოლუციურად განწყობილი მწერლების ნაწარმოებები. ამ ჟურნალში გამოაქვეყნა ლესია უკრაინკამ ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები — „ორი მიმართულება იტალიურ ლიტერატურაში“, „მალორუსი მწერლები ბუკოვინაში“, „შენიშვნები უახლეს პოლონურ ლიტერატურაზე“, „ახალი პერსპექტივები და ძველი ჩრდილები“, რომლებშიც იგი, რუსი მარქსისტი ლიტერატორების — ა. ლუნაჩარსკის, ვ. ვოროვსკის, მ. ოლმინსკისა და სხვათა მხარდამხარ, დაუნდობლად აკრიტიკებს ბურჟუაზიულ-მემამულური იდეოლოგიის გამოვლინებებს, ილაშქრებს უკრაინული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კრიტიკისა და დაცემულობის პოეზიის წინააღმდეგ. ამ სტატიებში გამოვლინდა მარქსისტული იდეების ნაყოფიერი გავლენა ახალგაზრდა მწერლის მსოფლმხედველობაზე.

1900-იანი წლების დასაწყისი ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაში ახალი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობის ხანაა. პოეტის ლექსთა კრებულები — „ფიქრები და ოცნებანი“ და „გამოძახილი“ ამის ნათელი დადასტურება იყო.

„ფიქრებისა და ოცნებების“ — გამოსვლის დროისათვის ლესია უკრაინკა უკვე ცნობილი პოეტი იყო. კრებულის ძირითადი მოტივი ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ მოწოდებაა. მძიმე ხვედრმა ვერ მოდრიკა პოეტის სული. ბედთან შეჭიდებული მგოსანი იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს და ადამიანებს მზიანი დღის მოსაპოვებლად მოუწოდებს. მწერლის მგზნებარე მოწოდება გაისმის ნაწარმოებში — „ავდრიან ღრუბელს“:

> კვლავ გამარჯვების სიმღერები აჟღერდნენ
> გულში,
> საგაზაფხულო ძალამ სულში დაიწყო
> ფეთქვა.
> ის ვერ გასტეხეს სუსხიანი ზამთრის
> ყინვებმა,
> ის ვერ გააცრა დედამიწას ნისლმა და
> თქორმა,
> ვერც დაამსხვრია გაზაფხულის გიჟმა
> გრიგალმა.
> მე მარტო ერთი შევხვდები გრიგალს,
> ერთადერთი შევეჭიდები![1]

თავისი კრებულებით ლესია უკრაინკა გვევლინება ჭეშმარიტ მხატვარ-ნოვატორად. ამიტომაც წერდა ივანე ფრანკო: „ყოველი ახალი ნაწარმოები, რომელსაც იგი ამ ბოლო დროს ქმნის, ჩვენს ლიტერატურას ახალი მარგალიტით ამდიდრებს“!

1902 წელს ლესია უკრაინკას ლექსების მესამე კრებული — „გამოძახილი“ გამოიცა. ამ კრებულს, ისევე როგორც მის წინამორბედს, მწყობრი და გააზრებული კომპოზიცია აქვს. კრებულში მოთავსებულ ლექსებში ცარიზმის უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტისა და გადამწყვეტი ბრძოლის მოტივი კვლავ წამყვანი და უმთავრესია. ერთი წუთითაც არ მოდუნებულა პოეტის ლირის სიმები და არ მოსუსტებულა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმღერა. მგოსნის ხმა ძლიერების ახალ წყაროებს პოულობს და განუწყვეტლად უტევს ხალხის მჩაგვრელთა სისტემას.

რევოლუციური ბრძოლის თემასთან განუყოფლად არის დაკავშირებული პოეტისა და პოეზიის როლისა თუ დანიშნულების თემა. შემოქმედი და მებრძოლი იდენტური ცნებები, სინონიმები გახდნენ ლესია უკრაინკას შემოქმედებაში.

ლესია უკრაინკა დიდი პატრიოტი, სამშობლო ქვეყნისა და ხალხის მოყვარული მწერალი იყო, მაგრამ იგი ამავე დროს უდიდესი ინტერნაციონალური გრძნობებისა და შეხედულებების მგოსანია. თავისი ხალხის ბედნიერებასთან ერთად, ლესია უკრაინკა ყოველი ერის ნათელ მომავალზე ოცნებობდა და მღეროდა. მუშათა და ინტერნაციონალური სოლიდარობა იყო მი-

---

[1] ი. ფრანკო, „ლესია უკრაინკა“, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1951, გვ. 251. (თარგმანი ი. მოსაშვილისა).

სი რიგი ნაწარმოებების ძირითადი იდეა. ხალხთა ძმობა, მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის მსჭვალავს უკრაინელი პოეტის ლექსებს.

ლესია უკრაინკა ხალხის პოეტი იყო და ამიტომაც მას ღრმად სწამდა და მკითხველსაც არწმუნებდა ხალხის უკვდავ სიდიადესა და უძლეველობაში.

ასეთი იყო ლესია უკრაინკას იდეურ-მხატვრული პოზიციები 1900-იანი წლებისათვის, იმ დროისათვის, როდესაც უკრაინელი მგოსნის თვალწინ პირველად რეალურად გამოიკვეთა სიმართლისათვის წამებული პრომოთეს სამყოფელო — კავკასია.

უკვე ცნობილი პოეტი ლესია უკრაინკა 1903 წლის შემოდგომაზე პირველად ჩამოვიდა საქართველოში. მაგრამ სანამ ამ მხარისაკენ გამოსწევდა, მან ქართველი ხალხის შესახებ ბევრი რამ უკვე იცოდა. ამაში მწერალს დაეხმარა არა მხოლოდ მხატვრული და ისტორიული ლიტერატურა ,არამედ კიეველი ქართველი ნაცნობები, განსაკუთრებით ნესტორ ღამბარაშვილი.

თბილისში ლესია უკრაინკა დაბინავდა ტერგუკასოვის ქუჩაზე, ხითაროვის სახლში. მგოსანი ჩამოსვლისთანავე იწყებს ინტენსიურ მუშაობას — წერს ლექსებს, პოემას, ეცნობა ქალაქის ისტორიულ ძეგლებს, მართავს მიმოწერას გამოჩენილ უკრაინელ მოღვაწეებთან — ა. კრიმსკისთან, ი. ფრანკოსთან, ო. კობილიანსკასა და სხვებთან.

საქართველოში ლესია უკრაინკა და მისი მომავალი მეუღლე კ. კვიტკა დაინტერესდნენ კავკასიური ხალხური შემოქმედებით. ამასთან დაკავშირებით მათ შეხვედრები ჰქონდათ ქართველ კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილთან. უკრაინელ სტუმრებს თბილისის მუსიკალურ საზოგადოებაში ნაცნობები და მეგობრები გაუჩნდათ. მათი ხელშეწყობით კ. კვიტკას თბილისში საკონცერტო შესრულებით პირველად წარმოუდგენია მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“.

ა. კრიმსკისადმი მიწერილი ბარათიდან ირკვევა, რომ ლესია უკრაინკა საქართველოში ჩამოსვლისთანავე გულისყურით ეკიდება ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხებს. იგი რუსული თარგმანების მეშვეობით ეცნობა ქართულ ბელეტრისტიკას.

უკრაინელი მგოსანი ახლო ურთიერთობას ამყარებს ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან, მათ შორის შიო ჩიტაძესა და მის ოჯახთან. „ეს-ეს არის, ჩემთან იყვნენ ქალბატონი ჩიტაძისა და მისი და... მასთან მე კეთილმეგობრული ურთიერთობა მაქვს, ხშირად დავდივარ მათთან“[1], — წერდა იგი თავის მშობლებს. სწორედ ჩიტაძეების მეშვეობით გაეცნო ლესია უკრაინკა იმ დროს საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებს.

თბილისში ლესია უკრაინკა ბევრს მუშაობს. ნოემბერში მან დაასრულა პოემა „რა მოგვცემს ძალას“, თებერვალში დაწერა ლექსები— „მე ვიცოდი, რომ იქნებოდა ცრემლები, ტანჯვა“, „იეფაის ქალიშვილი“, აპრილში დაამთავრა პოემა „ეს თქვენ კითხულობთ მათზე“.

თბილისში მყოფი ლესია უკრაინკა 1904 წლის 10 იანვარს უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსს მიხაილო კოციუბინსკის უგზავნის წერილს და თბილისში დაწერილ ახალ, გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს. „ეს ლექსები, — სწერს იგი მ. კოციუბინსკის, — არსად არ არის დაბეჭდილი, თანაც სულ ახლახანსაა დაწერილი“.[1] აპრილის დამდეგისათვის პოეტი ფიქრობს ჟურნალ „კიევსკაია სტარინას“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებას და საამისოდ დრამის „კარმელიუკის“ დაწერას.

ჯერ კიდევ 1904 წლის თებერვალში ლესია უკრაინკა ჩაიფიქრებს ზღვაზე გამგზავრებას. გაზაფხულისათვის ბათუმში სურს საგარაკოდ გასვლა. ამისათვის იგი ბინასაც სტოვებს, მაგრამ ბათუმელებმა, როგორც თვითონ ამბობს, დააშინეს მალარიით. ლესია დარჩა თბილისში, სასტუმრო „ვიქტორიაში“. 1904 წლის ზაფხული ლესია უკრაინკამ თავის მხარეს, პოლტავის გუბერნიაში, სოფელ ზელიონი გაიში გაატარა. შემოდგომაზე იგი ისევ საქართველოში აპირებს მობრუნებას. თავდაპირველად ცხინვალში ფიქრობს გაჩერებას, რადგან ხელისუფლება აქ აპირებდა კ. კვიტკას სამუშაოდ გადაყვანას. მაგრამ, როგორც პოეტი თავისიანებსატყობინებს — „ცხინვალში კლიონიას გადაყვანისაგან არაფერი გამოვიდა“.[2] ამიტომაც ლესიამ ისევ თბილისისაკენ აიღო გეზი და ბინაც შეარჩია — დავიდოვის ქუჩაზე, № 23 (გამრეკელის სახლი)[3]. ოქტომბრის 23 რიცხვისათვის პოეტი ოდესიდან, ბათუმის გავლით, თბილისში ჩამოვიდა.[4]

თბილისში დაწერილ ნაწარმოებში — „რა მოგვცემს ძალას“ ერთგვარად აისახა ძმის მიხეილის და მეგობრის ს. მერჟინსკის დაკარგვით გამოწვეული მძიმე განცდები. მაგრამ ეს საშინელი ტრავმა ვერ აიძულებს პოეტს თავისი ცხოვრების მაგისტრალური ხაზიდან გადაუხვიოს და, თუნდაც დროებით, თავისი იდეალები დაივიწყოს. მწერალმა თავისი კალამი, მხატვრული სიტყვა — ხალხის სამსახურს მიუძღვნა, შემოქმედებითი სიცოცხლე რევოლუციის ქარ-

---

[1] ლესია უკრაინკა, თხზ. V ტომად, ტ. V, გვ. 502.

---

[1] ლესია უკრაინკა, თხზ., V ტომად, ტ. V, გვ. 480.

[2] იქვე, გვ. 493.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 494.

ტეხილს შეურთა და ამიტომაც ხალხთა სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება, ახალი სოციალისტური სამყაროს შენება — მისი პოეზიის ძირითად თემად დარჩა („მე ვიცოდი, რომ იქნებოდა ცრემლები, ტანჯვა“).

„იეფაის ქალიშვილის“ ლეიტმოტივი სამშობლოსა და ხალხის ერთგულებაა. მართალია, ბიბლიური სიუჟეტი ერთგვარად ზღუდავს პოეტს ამ მოტივის გასაშლელად, მაგრამ ნაწარმოებში ჭეშმარიტი სიცოცხლის სიყვარული მაინც ძალუმად ახმიანდა. ხალხის სიდიადის, მისი უკვდავების თემა უფრო გამოკვეთილად და სრულყოფილად აჟღერდა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად შექმნილ ნაწარმოებში — „აღწერა ნანგრევებზე“. ამ ლექსში ავტორი უმღერის ხალხის სიდიადეს, მარადიულობას, მისი გმირული შრომის წარუშლელობას მონები თხრიან მიწას, თლიან ქვებს, აჰყავთ დიდებული აკლდამის კედლები:

და ყოველივე რაც შეუქმნია,
უბადლო სვეტი, ტურფა ჩუქურთმა,
ნაჭედობა და ნაქანდაკევიც,
ირგვლივ ყოველი ქვა და აგურიც
დღეს უხილავი ბაგით ჰღაღადებს:
„მე ეგვიპტელმა ხალხმა შემქმნაო“[1].

მოკვდა ტირანი მეფე, ჩამოინგრა წარწერა აკლდამაზე. მგოსანი არ დარდობს, რომ დაიკარგა მეფის სახელი, რომელმაც ბრძანა ამ აკლდამის აგება და მოგვიწოდებს:

„ნურც თქვენ, მგოსნებო, ნურც თქვენ,
მსწავლულნო,
აწი, ამაოდ ნუღარ ეცდებით
ამოიკითხოთ მეფის სახელი,
მისი საფლავი ხალხს უძღვნა ძეგლად
ბედმა, დაე გაწყდნენ მეფენი!

1905 წლის იანვრის რევოლუციურმა გამოსვლებმა, მასობრივმა პოლიტიკურმა დემონსტრაციებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს უკრაინელ მწერალზე. სწორედ მათი გავლენით უნდა იყოს თბილისშივე დაწერილი „შემოდგომის ზღაპარი“. ამ ნაწარმოებში მწერალმა დაგვიხატა მუშათა კლასის ძლიერება, ამხილა ბურჟუაზიული „რაინდების“ მოღალატური საქმიანობა, მოგვიწოდა დესპოტური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნაწარმოების მთავარი გმირი ხალხია, რომლის სახითაც მწერალმა განასახიერა როგორც თავისი და ამავე დროს ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის მებრძოლი მუშათა კლასი. მუშები ნაწარმოებში გამოყვანილი არიან როგორც ძველი ცხოვრების, ძველი სამყაროს დამანგრეველნი. მათ ამ ბრძოლაში მომხრეებიც ჰყავთ. ისინი კლდეში ჭრიან საფეხურებს და აფრიალებული წითელი დროშით მაღლა მიემართებიან.

[1] თარგმანი მ. მრევლიშვილისა.

ამხანაგებო! ვინც წითელ პერანგს
ატარებს,
ან აქვს წითელი ცხვირსახოცი,
საჩქაროდ ჯოხზე
გამოაბით და დროშასავით მაღლა
აღმართეთ,
მერე გზადაგზა ამოკვეთეთ საფეხურები.
ჩაარჭვეთ ისე, რომ გრიგალმა არ
წააქციოს.

დე, შორიდანვე შეამჩნიოს ხალხმა
დროშები,
რომ ამით მიხვდნენ, სად იღვრება
მოძმეთა სისხლი
და სადაც ჯერ არს, ძმური ხელი
გამოგვიწოდონ[1].

მონები დარწმუნებულნი არიან თავიანთ გამარჯვებაში. მათი ორგანიზებული ძალა ამსხვრევს მეფის მიერ აგებულ ყოველგვარ წინააღმდეგობას. ნაწარმოები გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ მუშები თავისუფლებას უთუოდ მოიპოვებენ.

„შემოდგომის ზღაპარში“ მწერალმა გვიჩვენა რევოლუციურ ბრძოლაში მუშათა კლასის ორგანიზებული ძალა, ხელმძღვანელი როლი. ამხილა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის, მათი ლაქლაქა „რაინდების“ მოღალატური პოზიციები და საქმიანობა. ნაწარმოებში გამოჩნდა, რომ პოეტი უკვე ველარ ეტევა კრიტიკული რეალიზმის ჩარჩოებში, რომ მისთვის უკვე მოძველდა მხატვრული გამოსახვის ადრინდელი ფორმები. ლესია უკრაინკა ხელოვნებაში ასახვის ახალ მეთოდებს, ახალ გზებს ეძიებს. ამიტომაც ამბობენ, რომ „შემოდგომის ზღაპარი“ იმ ნაწარმოებთა გვერდით დგას, რომლებშიაც აშკარად გამოვლინდა უკრაინელი ხალხის რევოლუციამდელი პერიოდის არა მხოლოდ დემოკრატიული, არამედ სოციალისტური ელემენტები.

მწერლის ამ პერიოდის შემოქმედებაში ნათლად გამოჩნდა, რომ ლესია უკრაინკა მიესალმა რევოლუციას, რომელსაც მუშათა კლასი ჩაუდგა სათავეში, მხარში ამოუდგა ხელისუფლების წინააღმდეგ წითელი ბაირაღით გამოსულ ხალხს.

1905—1907 წლებში ლესია უკრაინკა მშობლიურ უკრაინაშია. იგი აქტიურად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში, წერს ახალ-

[1] თარგმანი ალეკო შენგელიასი.

ნაწარმოებებს.. („სიმღერები თავისუფლებაზე", „კატაკომბებში", „კასანდრა").

1908 წლის დეკემბერში ლესია უკრაინკა კვლავ თბილისში არის. 1909 წლის იანვარში კი ოჯახით თელავში გადადის საცხოვრებლად. (თელავში უკრაინელი მგოსნის ცხოვრებაზე თბილი მოგონებები აქვთ დატოვებული ვანო პაატაშვილსა და სუსანა იარალოვს). უკრაინელ მგოსანზე კახეთმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. „აქ ბუნება საოცრად მშვენიერია", „ქართველი ქალები უაღრესად ენამოსწრებულნი და სიცოცხლით სავსენი არიან",[1] აღნიშნავს თავის წერილებში პოეტი. კახელებთან ურთიერთობა, ამ კუთხის ბუნება და მისი სიძველენი შემოქმედებით ცეცხლს უღვივებენ მგოსანს. „მე სწორედ ახლა მაქვს... გრანდიოზული ლიტერატურული ჩანაფიქრი",[2] აღნიშნავდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში. ამ ჩანაფიქრთაგან, ეტყობა, მგოსანმა ყველა ვერ გაძაიტანა ქაღალდზე.

თელავში შექმნილ ნაწარმოებში „იოჰანა, ხუსას ცოლი" ავტორი გვიხატავს ბედდამორჩილებული ადამიანის მწარე ხვედრს, დრამატულ დიალოგში — „სისხლიან ველზე" — ილაშქრებს რევოლუციის მოღალატეების წინააღმდეგ. მგოსანი ქრისტიანული რელიგიის რეაქციული არსის მხილებას უძღვნის „რუფინსა და პრისცილას", რომელზედაც მუშაობა მას საქართველოში ჩამოსვლამდე ჰქონდა დაწყებული. რელიგიური ჰაობის მომაკვდინებელ ძალაზე გვესაუბრება პოეტი აგრეთვე დრამატულ პოემაში „ულრან ტყეში", რომლის საბოლოო დახვეწას იგი თელავში ამთავრებს. ამ უაღრესად მნიშვნელოვან ნაწარმოებში ლესია უკრაინკა ფარდას ხდის ამერიკულ ყალბ თავისუფლებას და მიგვითითებს ხელოვნების ადგილზე რეალურ ცხოვრებაში.

დრამა „ულრან ტყეში" განსაკუთრებული სიმწვავით რეაქციის პერიოდში ახმიანდა. როგორც ვიცით, პირველი რუსული რევოლუციის დამარცხების შემდეგ მრავალი ინტელიგენტი, შემოქმედი გაუდგა რევოლუციას და ჩრდილს შეაფარა თავი. სწორედ მათდამი იყო მიმართული ლესია უკრაინკას ეს ნაწარმოებები. იგი უჩვენებდა რევოლუციის ამგვარ რენეგატებს, თუ სადამდე შეიძლებოდა მიეყვანა ადამიანური მეობისათვის ბრძოლაზე უარის თქმას.

„ულრან ტყეში" არის დრამა ხელოვანზე, რომელიც იბრძვის თავისი იდეალებისათვის, იბრძვის რელიგიური ფანატიზმისა და სულიერი სიღატაკის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხებული ეცემა ამ ბრძოლის ველზე.

ამერიკულმა „ულრანმა ტყემ" შთანთქა რიჩარდ ჰაირონის ნიჭი, მაგრამ ლესია უკრაინკამ თავის დრამაში არ ჩააქრო იმედის ნაპერწკალი. რიჩარდის დისშვილმა, პატარა დევის შემდგომ უნდა აიტაცოს ბიძის საუკეთესო თვისებები და განაცხადოს თავისუფლებისმოყვარული იდეალები.

დრამატული პოემა „ულრან ტყეში" დიდხანს იწერებოდა. ლესია უკრაინკამ მასზე მუშაობა დაიწყო 1890-იანი წლების დასასრულს და საბოლოოდ დახვეწა თელავში, 1907—1909 წლებში.

თუ თვალს გადავავლებთ ლესია უკრაინკას მოღვაწეობას თელავში, ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ხანა შემოქმედებისათვის უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო ამ დროს შექმნა მან ისეთი ნაწარმოებები, რომლებითაც უპასუხა თანამედროვე ეპოქის აქტუალურ მოთხოვნებს, პრობლემებს, საკითხებს და დაგვანახა თავისი პოზიცია იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ.

1910 წლის შემოდგომაზე კ. კვიტკა ქუთაისში გადაჰყავთ სამუშაოდ. იქ ლესია უკრაინკა თავდაპირველად ხაბურზანიას სახლში დაბინავდა (ახლა კიროვის ქ., 1-ლი ჩიხი, სახლი № 9), შემდეგ კაზაკოვის ქუჩაზე კაზაკოვების სახლში (ახლა ცხაკაიას ქ., № 9).

ქუთაისურმა ზაფხულმა, საინტერესო ხალხთან შეხვედრებმა უკრაინელ პოეტს ახალი საზრდო მისცა. ლესიამ 1911 წლის ივლისში, ორი კვირის განმავლობაში შექმნა და სამუდამო სიცოცხლე მიანიჭა „ტყის სიმღერას", ეს ნაწარმოები პოეტის დრამატული შემოქმედების ზენიტია. იგი შთაგონებულია უკრაინული ხალხური შემოქმედებით, უკრაინელი ხალხის გმირული ცხოვრება-სწრაფვით სიმართლისა და სიმართლისაკენ.

დრამა — ფეერიაში მგოსანმა გამოხატა თავისი სანუკვარი ოცნებები ადამიანების ბედნიერ ცხოვრებებზე, მათ ნათელ მომავალზე. ნაწარმოებში ორი საწყისის — ბოროტი და კეთილ საწყისის — შებრძოლების სურათია დახატული. მწერალს ღრმად სწამს, რომ თავისუფალი სიცოცხლე გაიმარჯვებს დამონებულ ყოფაზე, სინათლე გაიმარჯვებს ბნელ ძალაზე.

1911 წლის შემოდგომაზე კ. კვიტკას ერთ ხანს ხონში გადაიყვანენ სამუშაოდ. ხონის ბუნებრივმა პირობებმა დიდმნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ლესია უკრაინკას ჯამრთელობის გამოკეთებას. ჯანმომაგრებულმა მგოსანმა ხონში, ფარცხალაძის სახლში დაასრულა საინტერესო დრამატული პოემა „ადვოკატი მარტიანე", რომელშიც კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანობის რეაქციული არსის მხილების თემას.

1912 წელს კ. კვიტკა და ლესია უკრაინკა კვლავ ქუთაისს დაბრუნდნენ. პოეტმა ამ ქალაქ-

[1] ლესია უკრაინკა, თხზ. V ტომად, ტ. V, გვ. 504.

[2] იქვე.

-ში დასრულა ხონში დაწყებული ნაწარმოები — „ქვის ბატონი“.

დონ-ჟუანის ლეგენდა მსოფლიოს მხატვრული სიტყვის დიდოსტატებს — მოლიერს, ბაირონს, მერიმეს, პუშკინს და სხვებს უკვე ჰქონდათ დამუშავებული. ლესია უკრაინკა შეეცადა თავისებურად მისდგომოდა ამ თემას და ახლებურად გაეშუქებინა იგი. ნაწარმოების იდეა, წერდა მგოსანი ა. კრიმსკის, არის — „კომანდორში განსახიერებული ქვის, კონსერვატიული პრინციპის გამარჯვება ამაყი, ეგოისტი ქალის დონა ანას გაორებულ სულზე, და მისი მეშვეობით დონ-ჟუანზეც — „თავისუფლების რაინდზე“.[1]

ტრადიციულ თემაზე აგებულ ამ თხზულებაში უკრაინელმა მგოსანმა ახალი სიტყვა თქვა, როგორც გმირთა გააზრების, ასევე მათი მხატვრული გამოსახვის დროს. „ქვის ბატონი“ ლესია უკრაინკას შემოქმედებაში ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. მწერალმა შექმნა ორიგინალური და საინტერესო დრამა, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა კლასიკოსთა მიერ ამავე თემაზე დაწერილ მხატვრულ თხზულებათა გვერდით.

უკრაინელი პოეტი მოხიბლული იყო საქართველოთი და მისი ხალხით. „პოეტები სრულიადაც არ სტყუიან, როდესაც „უმღერიან“ მის სილამაზეს“, წერდა ლესია უკრაინკა. სწორედ ამ ზღაპრული ბუნების წიაღში, მდიდარი ტრადიციების მქონე ხალხის სამყაროში ქმნიდა ლესია უკრაინკა თავის შედევრებს, რომლებმაც მსოფლიოს საზოგადოებრიობას კიდევ ერთი პოეტური ვარსკვლავის გაჩენა ამცნეს.

1913 წლის ივნისში ლესია უკრაინკას ჯანმრთელობა გაუარესდა, ექიმების რჩევით იგი სურამში გადაიყვანეს. ახლობლებმა და ექიმებმა ყოველივე იღონეს, რათა ლესია სიკვდილის ხელიდან გამოეგლიჯათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. 1913 წლის 19 ივლისს (1 აგვისტოს) ლესია უკრაინკა გარდაიცვალა.

სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი უკრაინელი მგოსნის გარდაცვალებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა უკრაინის, საქართველოსა და, საერთოდ, ყველა ქვეყნის მშრომელებზე. ქართული გაზეთები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ უკრაინელი მგოსნის გარდაცვალებას, მათ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილები, რომლებიც ქართველ მკითხველს ახსენებდნენ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის განვლილ გზას და გამოხატავდნენ პროგრესული ქართველი ხალხის მწუხარე ფიქრებს.

„უკრაინულმა ლიტერატურამ უკანასკნელ ხანებში ბევრი თვალსაჩინო მუშაკი დაჰკარგა, — წერდა გაზეთი „სახალხო გაზეთი“, — დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა უნიჭიერესი თანამედროვე უკრაინელი ბელეტრისტი მ. კოციუბინსკი. ეხლა კიდევ მოსტაცა სიკვდილმა უკრაინას ერთი საუკეთესო შვილთაგანი, უკრაინაში ცნობილი მგოსანი ლესია უკრაინკა (უკრაინელი)“.[1] გაზეთი „თემი“ მკითხველებს მოკლედ აცნობდა ლესია უკრაინკას ბიოგრაფიას, შემოქმედების ცალკეულ ეტაპებს, უხასიათებდა მგოსნის ნაწარმოებებს, მთარგმნელობით მოღვაწეობას თუ პუბლიცისტიკას და აღნიშნავდა, რომ ლესია უკრაინკა იყო ერთი უნიჭიერესი და ხალხის უსაყვარლესი მწერალი.[2]

ქართულმა გაზეთებმა თავის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნეკროლოგებში გამოხატეს ქართული საზოგადოებრიობის გულისტკივილი, მწუხარება დიდი უკრაინელი მგოსნის დაკარგვის გამო.

ლესია უკრაინკას გარდაცვალებამ გული დასწყვიტა საქართველოს, უკრაინისა და მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობას. უკრაინამ ისურვა მშობლიური მიწისათვის მიებარებინა თავისი ტანჯული შვილის ნეშტი. პოეტის ცხედარი საქართველოდან კიევში გადაასვენეს და ბაიკოვის სასაფლაოზე მიუჩინეს სამუდამო სამყოფელი. გასვენებაში მონაწილეობის მისაღებად ხალხი შორეული კუთხეებიდან ჩამოვიდა. ზღვა ხალხმა წალეკა პოლიციელთა კოლონები და მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. წითელმა ლენტებმა და რევოლუციურმა სიმღერებმა შეაკავშირეს მშრომელები.

უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ რეაქციის პერიოდში ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა ლესია უკრაინკას დასაფლავების დროს გამართული დემონსტრაციის შესახებ ინფორმაცია. „ლესია უკრაინკა დიდი ამბით დაასაფლავეს, — წერდა ქუთაისის გაზეთი „იმერეთი“, — კიევის სადგურზე, სადაც უნდა მიესვენებინათ მისი გვამი, ბევრი ხალხი დახვდა, იყვნენ დელეგატები გალიციიდან, ოდესიდან, ეკატერინოსლავიდან, ბაქოდან, ჩერნიგოვიდან, პოლტავიდან, უმანიდან და სხვა ქალაქებიდან. დასაფლავებას დაესწრო ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე: იყო 30 გვირგვინი. გვირგვინების წითელი ლენტები წარწერებით პოლიციელებმა მოაცილეს“.[3]

ბოლშევიკურმა გაზეთმა „რაბოჩაია პრავდამ“ თავის ნეკროლოგში ლესია უკრაინკა მუშების მეგობარ მწერლად აღიარა. მისი ახ-

---

1 ლესია უკრაინკა, თხზ., V ტომად, ტ. V, გვ. 619.

11. „მნათობი“, № 2.

1 „სახალხო გაზეთი“, 1913 წლის 26 ივლისი.

2 გაზ. „თემი“, 1913 წელი, 29 ივლისი.

3 გაზ. „იმერეთი“, 1913 წლის 4 აგვისტო.

რით, უკრაინელი მწერალი ახლოს იდგა პროლეტარულ მოძრაობასთან და მთელ თავის ძალღონეს ხალხის კეთილდღეობის, ბედნიერების საქმეს სწირავდა. ბოლშევიკურმა გაზეთმა გამოხატა ფართო საზოგადოებრიობის შეხედულება ლესია უკრაინკას შემოქმედების მნიშვნელობაზე და მის ადგილზე მშრომელი ხალხის ნათელი მერმისისათვის ბრძოლაში.

ლესია უკრაინკას ნაწარმოებები უკვდავია, როგორც უკვდავია თვით ხალხი. დღეს საბჭოთა ქვეყანაში ღირსეულად დაფასდა დიდი შემოქმედი. მისი ნაწარმოებები ითარგმნა მრავალ ენაზე. დაარსდა მემორიალური მუზეუმები, პოეტის სახელი ეწოდა ქუჩებსა და სასწავლო დაწესებულებებს და სხვ.

მრავალი საინტერესო გამოკვლევა თუ სტატია მიეძღვნა ლესია უკრაინკას ცხოვრება-შემოქმედების შესწავლას. მსოფლიო ხალხთა მრავალ ენაზე ამეტყველდნენ უკრაინელი მგოსნის ნაწარმოებების გმირები. ქართულ ენაზე 1949 წელს პირველად, ხოლო 1952 წელს მეორედ გამოიცა ლესია უკრაინკას თხზულებათა ერთტომეულები.

მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებასთან ერთად, ქართველი ხალხი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით იგონებს მისი უძველესი მეგობარი ხალხის — უკრაინელების ღვიძლი შვილის ლესია უკრაინკას სახელს. ჩვენი ხალხის ამ წრფელმა გრძნობებმა საუკეთესო გამოხატულება ჰპოვეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში უკრაინელი მგოსნის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

ამ ისტორიული დადგენილების თანახმად, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ლესია უკრაინკას სახელი მიენიჭა. სურამში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა მგოსანმა, გაიხსნა მისი სახელობის ბიბლიოთეკა და მუდმივი გამოფენა, აღიმართა თამარ აბაკელიას მიერ შესრულებული ლესია უკრაინკას დიდებული ძეგლი.

ხალხთა მეგობრობის მომღერალმა თავისი სიცოცხლის მნიშვნელოვანი მონაკვეთი საქართველოს მიწა-წყალზე გაატარა. პოეტის ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების ასახვას მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მკვლევარის ლევან ასათიანის დიდად საყურადღებო ნაშრომები, უკრაინელი სწავლულის ოლეგ ბაბიშკინის საფუძვლიანი მეცნიერული ნარკვევი და სხვა ძალზე საინტერესო, შინაარსიანი სტატიები თუ გამოკვლევები.

ადამიანებმა დააფასეს უკრაინელი მგოსნის ლტოლვა სინათლისაკენ, მისი ბრძოლა ხალხთა ბედნიერებისათვის, მომავალი ნათელი, მზიანი დღისათვის.

სიმბოლური და მრავლისმეტყველია ლესია უკრაინკას უკანასკნელი პოეტური ჩანაფიქრი. საქართველოში ლოგინად ჩავარდნილ მგოსანს აღარ შეეძლო წერა, მაგრამ მაინც ისთმობდა ბრძოლის ველს და თავის დედას, ოლენა პჩილკას კარნახობდა ახალი ნაწარმოების სქემას:

სარეცელს მიჯაჭვული ლესია უკრაინკა თავის უკანასკნელ სიტყვას სიკეთის, სინათლის, გამარჯვებას უძღვნიდა, მზეს ესალმებოდა, ბედნიერ მერმისს ეგებებოდა. კვლავ ხალხის მზიან დღეებზე ფიქრობდა, ამიტომაცაა უკვდავი, ამიტომაც ცოცხლობს იგი ხალხთა გულებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ბახტაძე

# ჩვენი ყალია

მაქსიმ გორკი წერდა: „ძალიან ძნელია ილაპარაკო ადამიანზე, რომელსაც შენ კარგად გრძნობ. როცა სხვისი „მე“-ს წვის იდუმალ თრთოლვას განიცდი, როცა იგი გაღელვებს, მაშინ გეშინია შენი მრუდე, მძიმე სიტყვით შეეხო შენთვის ძვირფასი სულის უხილავს სხივებს“.

და მართლაც ძნელია წერდე მოგონებას ადამიანზე, მით უფრო ძმაზე, რომელიც გწამდა, გჯეროდა.

არ შემიძლია აქვე არ მოვიგონო ხონი, სადაც ის დაიბადა, ბავშვობაც და ყრმობაც იქ გაატარა.

იტყვიან, ყოველი ქალაქი თუ დაბა — სოფელი, რაღაცას თუ ვიღაცას ჰგავსო, და ყოველ მათგანს თავისი ბედი გააჩნიაო. ხონიც, ახლანდელი წულუკიძე, მუდამ სწავლამოწყურებულ ადამიანს მაგონებდა.

ეს დაბა განთქმული იყო არა მხოლოდ თავისი მოხდენილი მდებარეობით, ბუნებით; ლამაზი სახლებითა და, თუნდაც, ლამაზი ქალებით. მის მშვენიერებას, სიდიადეს წარმოადგენდა აქაურ მკვიდრთა ნათელი სული, მომავლის ურყევი რწმენა, სიუხვე ხალხის გულიდან ამოზრდილი ინტელიგენციისა.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო.

ხონი მგზნებარე რევოლუციონერის, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ლენინელის, განათლებული მარქსისტის საშა წულუკიძის მშობლიური კუთხეა. ის თავიდანვე ჩაუქრობელ კერად იქცა, მძლავრი ბოლშევიკური ორგანიზაციისა. ხონის ბოლშევიკური ორგანიზაცია ეს ისეთი მაგარი კაკალი გამოდგა, რომელიც ვერ გასტეხა მეფის რეაქციამ და მან რევოლუციის დროშა უმწიკვლოდ მიიტანა ოქტომბრის რევოლუციამდეო. ასე დაახასიათა ხონი ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთერთმა ამაგდარმა პ. კალიშვილმა. და შემდეგშიც მენშევიკებიც კბილებს სწორედ ამ კაკალზე იმტვრევდნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ხონელები ოდითგანვე სტუმართმოყვარე ხალხი ყოფილა და შეიძლება, ამით აიხსნება მისი სახელწოდებაც. ხონი, საბას განმარტებით ხომ დიდ ტაბაკს ნიშნავს.

ხონის მთავარ ქუჩებზე, ერთსართულიანი, კრამიტით დახურული, კოხტა ოდების გვერდით თვალში მოგხვდებოდათ ისლის სახურავიანი, მიწური სახლებიც. მცხოვრებთა უმრავლესობას ღარიბი და უმიწაწყლო გლეხობა შეადგენდა.

ხონს ამშვენებდა მარადმწვანე ბაღი — „ბულვარი“ რომელიც დაბის შუაგულში გაეშენებიათ.

ბაღის აღმოსავლეთით აღმართული იყო ორ სართულიანი აგურის შენობა. ეს შენობა ხონის სიამაყეს, საოსტატო სემინარიას წარმოადგენდა.

ბაღის ერთ მხარეს ეკვროდა, „წმინდა გიორგის“ სახელობის VIII საუკუნის ტაძარი. ძეგლი ქვის გალავნით იყო შემოვლებული. გალავნის გარეთ, სამრეკლოსთან, ოროთახიან ხის სახლში მონაზვნები ცხოვრობდნენ.

გალავნის მისასვლელთან ერთი ლურჯად შეღებილი, აივნიანი ხის სახლი იდგა. ამ ლურჯ შენობაში ჩვენი საყვარელი ორგანყოფილებიანი სკოლა იყო მოთავსებული. მისი შეგირდები, უმთავრესად, ღარიბთა შვილები იყვნენ, ამიტომაც მას ღარიბთა სკოლას ეძახდნენ. ერთნი სიყვარულით, ხოლო მეორენი — დაცინვით.

სკოლა სადავო საგნად გამხდარიყო სასულიერო და საერო მოღვაწეთა შორის. სკოლის სულისჩამდგმელი და მისი დიდი მოამაგე, პე-

დაგოგი ალექსანდრე მაჭარაძე მტკიცედ იცავდა სკოლის საერო ხასიათს, ხოლო სამღვდელოებას ეწადა „წმ. გიორგის“ ტაძრისათვის დაემორჩილებინა იგი. დავა პირველის გამარჯვებით დამთავრდა. იგი ჯერ სამკლასიან, შემდეგ ოთხკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა.

ბაღის დასავლეთით ლორთქიფანიძეების, ქავთარაძეებისა და მდივნების სახლები იდგა. ლორთქიფანიძეების სახლში ქალთა გიმნაზია იყო მოთავსებული, ქავთარაძეებისაში კი ბოლშევიკურ ორგანიზაციას თავისი კლუბი გაემართა. ამავე ორგანიზაციას ემსახურებოდა მდივნების სახლიც.

ბაღის მახლობლად, დიდ მოედანზე, გამართული იყო სახელოსნოები, სამჭედლოები, „სამიკიტნოები“, ბირჟა, ყაფანი და ღია ბაზარი. ბაზრობა კვირაში ერთხელ, პარასკეობით იმართებოდა.

ბაზრობაზე ქალები, რომლებსაც რაიმე სახის შინნაწარმი ან სურსათი გამოჰქონდათ გასაყიდად, სახეახვეული იყვნენ. ამ ჩვეულებას პირახვეულობა ეწოდებოდა. პირახვეულ ქალს მხოლოდ თვალები უჩანდა, თავსა და სხეულის ზედანაწილს შალი უფარავდა.

ბაღში, ღარიბული, მაგრამ მზრუნველი ხელით მოვლილი და ხის მოაჯირშემოვლებული ერთი საფლავი იყო. აქ, ხონის მკვიდრი, მისი დიდი მოამაგე, ერთდროს მივიწყებული და ამ ბოლო წლებში კვლავ პატივდებული, საზოგადო მოღვაწე ივანე შარაშიძე განისვენებდა.

დაბა ხონის გული აქ იყო.

მოსახლეობის უმრავლესობა სწავლას ეტანებოდა.

ზამთრის სუსხიან დღეებშიც კი ბლომად დაინახავდით ულარიბეს გლეხთა გოგო-ბიჭებს ხამის შარვალ-ხალათითა და ასეთივე კაბებით, ფეხზე ლანჩამოვარდნილი წაღებით, ან ხის ქოშებით, იღლიაში წიგნებამოჩრილთ, სკოლისაკენ მკვირცხლად რომ მიიჩქაროდნენ. ვის ჰქონდა პალტო, კალოში და, საერთოდ, თბილი ტანსაცმელი.

„სიძულვილი მდიდრებისადმი თავიდანვე დამყვა, რადგან ჩემს საკუთარ ზურგზე ვგრძნობდი მათი ბატონობის სიმწვავეს“, იგონებს ვალია ბახტაძე თავის ბავშვობის წლებს, რითაც მაშინდელ მშრომელთა ბავშვების ფიქრებსა და გულის წუხილს გამოხატავს.

ბაღის ჩრდილო-დასავლეთით მიემართებოდა გზატკეცილი, რომელსაც ერთ და იმავე დროს სამეგრელოსა და ნაოღალევის ქუჩას ეძახდნენ. ეს გზა ცენტრიდან მდ. ცხენისწყალამდე იყო გაჭიმული, ხონს ბორანით სამეგრელოსთან აკავშირებდა.

ამ ქუჩაზე, პატარა ხის სახლში, 1896 წლის 27 ივნისს დაიბადა ვალია ბახტაძე, ჩვენი ოჯახის „ბედიც“ და „უბედობაც“.

ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ჩვენს მშობლებს შვიდი შვილი ვყავდით. ექვსი ქალი და ერთი ვაჟი — ვალია ბახტაძე.

იმ უბანში მამაჩემის ოჯახი ულარიბესად ითვლებოდა, ჩვენი მშობლები, როგორც იტყვიან, წელზე ფეხს იდგამდნენ, შრომაში ალამებდნენ და ათენებდნენ, მაგრამ სიღარიბეს თავს მაინც ვერ აღწევდნენ.

რადგან საკმაო სახნავ-სათესი მიწა არ გააჩნდა, მამა სხვის მიწას საზიაროდ ამუშავებდა. ჭირნახულის ნახევარი მიწის პატრონს მიჰქონდა. მიწა უმთავრესად ბარითა და თოხით მუშავდებოდა. ასე იყო საერთოდ იმ უკუღმართ დროში, და ასევე იყო ხონშიც. ხონელი უმიწაწყლო გლეხიც ნაღვლიანად ღიღინებდა და კვნესოდა: „მიწა სხვისაა. ვქირაობ, შრომა კი მარტო ჩემია“.

მამაჩემი, სამსონ ბახტაძე, როგორც უმიწაწყლო გლეხი და მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი, იძულებული გამხდარა ლუკმაპურის საშოვნელად ბათუმში წასულიყო, სადაც მას რამდენიმე წლის განმავლობაში მანთაშევის ქარხანაში უმუშავია.

მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონობა კისრად დასწოლია დედაჩემს ტასია ტაბიძის ასულს. ამ გაუტეხელ, მტკიცე ხასიათისა და ხვალინდელი დღის იმედით შემყურე ქალს მხნედ უტარებია ღარიბი ოჯახის მძიმე უღელი. ასეთი ხასიათი მას ღრმა მოხუცებულობაშიც ჩაჰყვა და, მიუხედავად ბევრი სიმწარისა, მისი წუწუნი არავის არ გაუგონია.

მამაჩემს, რასაკვირველია, როგორც მუშათა უმრავლესობას, მანთაშევის ქარხნიდან ცარიელი ჯიბე, მაგრამ მუშის უშიშარი და ქედუხრელი სული ჩამოუტანია.

ვალია ბახტაძის პიროვნების ჩამოყალიბებაზე ცხადია, ყველაფერმა ამან გავლენა იქონია.

6 წლის ვალია მშობლებმა სკოლაში შეიყვანეს. ნიჭითა და მუყაითი შრომით ვალია თავიდანვე მასწავლებელთა საყვარელი შეგირდი გახდა. 11 წლისამ ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ სწავლა საქალაქო სასწავლებელში განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ, 1911 წლის იანვარში გიმნაზიაში შევიდა.

მაშინდელ სკოლაში, განსაკუთრებით გიმნაზიაში, მკაცრად მოითხოვდნენ ფორმის ტარებას. მახსოვს ვალიამ გიმნაზიის მე-5 კლასში ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები, მაგრამ მეცადინეობაზე დაშვებული არ იქნა. ფორმა არ ჰქონდა. ოჯახი იძულებული გახდა მარჩენალი ძროხა გაეყიდა. ამის გარდა სწავლის გადასახადის დაფარვაც ხომ საჭირო იყო.

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ გიმნაზიაში სწავლის ქირა 100 მანეთი იყო წლიურად. 50 მანეთი სექტემბერში უნდა გადაეხადა მოსწავლეს, ხოლო მეორე 50 მანეთი — იანვარში. რას უდრიდა ეს თანხა, ადვილად წარმოიდგენს კაცი, თუ ეცოდი-

ნება, რომ საშუალო მეწველი ძროხა 20-25 მანეთი ღირდა.

ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ოჯახს რამდენიმე ბავშვი ჰყავდა ალსაზრდელი. ამიტომ უჭირდა გლეხკაცს შვილის აღზრდა სკოლაში. ამიტომაც რჩებოდა ჩვენი საწყალი, ნიჭიერი ხალხი უსწავლელი და უწიგნური.

მუშისა და ღარიბი გლეხკაცის ბედი იმ უკუღმართ დროში თანაბარი იყო. ვალია ბახტაძემ ორივეს ხვედრი გამოცადა. ბავშვობიდანვე მწვავედ განიცადა თუ რა ძნელი იყო ლუკმაპურის შოვნა. „ჩემი ახალგაზრდობა თავიდანვე აღიბეჭდა გაჭირვებისა და ეკონომიურ ვაივაგლახის ბეჭედით. სულ ხშირად შიმშილი და სიცივე“. ასე გულსაკლავად გვისურათებს ის თავისი ბავშვობისა და ყრმობის წლებს.

ვ. ბახტაძე ყრმობის ასაკშივე, ჯერ კიდევ პირტიტველი ბიჭი გასცნობია არალეგალურ ლიტერატურას, რამაც კიდევ მეტად შეაძულა არსებული მაშინდელი სისტემა. „მდიდრებისადმი სიძულვილთან ერთად პატარაობიდანვე დამჩემდა სურვილი, რათაც არ უნდა დამჯდომოდა სამაგიერო გადამეხადა მათთვის“, ამბობდა ვ. ბახტაძე, და ეს ნატვრა მას პირველად მაშინ აუსრულდა, როცა მეფის მთავრობის დაპატიმრებაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს, პეტროგრადში უშუალო მონაწილეობა მიიღო.

ხონში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა იყო. ვალია ბახტაძეს 15-16 წლის ასაკში მთლიანად გადაკითხული ჰქონდა იგი.

ვალია ბავშვობიდანვე წიგნისა და კალმის დიდი მოყვარული იყო. რამდენჯერ დასთენებია წიგნის კითხვით გატაცებულს. ჭამის დროსაც ერთთავად ხელში წიგნი, ჟურნალი და გაზეთი ეჭირა. დრო ძვირად უღირდა ღარიბ კაცს. მშრომელს ლუკმაპურის შოვნაში დიდი დრო ეხარჯებოდა, ჭამის დროსაც მოუცლელი იყო იგი. ვალია გვიან წვებოდა, ადრე დგებოდა. ჩვენს ოჯახში ყოველთვის ბლომად იყო ორი რამ: სიღარიბე და წიგნები.

თოხთან ერთად, მას ყანაში წიგნიც თან ახლდა, განუყრელი მეგობარივით. ვალიას ნაჭრის ჩანთაში, რომელშიაც საგზალი ედო, უთუოდ დაინახავდით წიგნს ან ჟურნალს. წიგნი და თოხი. ნაჭრის ჩანთა საგზლით... იგი მამას გვერდში ედგა და მხარდამხარ მიყვებოდა, რათა მოხუცს ოჯახის გამოკვებაში დახმარებოდა.

ასე გამოიჭედა ვალიას ცხოვრება შრომასა და მეცადინეობაში.

ჩვენც, პატარებიც, მთელ ოჯახთან, უფროსებთან ერთად, ბარით თუ თოხით ვებრძოდით მიწას, ვეჭიდებოდით სიღარიბეს.

ამიტომაც იყო შრომაში აღზრდილ ვალიას ზარმაცი ადამიანი მტერივით ეჯავრებოდა.

ვალიას საგზლის ჩანთაში ცხენის ძუასაც ნახავდით. ეს მახეებისათვის იყო საჭირო. მას ძალზე უყვარდა მწყერაობა. და არც ერთი მახე არ გაუცუდდებოდა.

შემდეგში თოხი შამხანამ შეცვალა, ნაჭრის ჩანთა — საველე ჩანთამ, ყანა ბრძოლის ველ-პარეზმა, მაგრამ წიგნი და კალამი არასოდეს არ გაუშვია ხელიდან, თვით ქარიშხლიანი შეტევების ხანაში და.. სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულსაც...

ვალია ხონის პროგიმნაზიიდან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გადავიდა.

როდესაც ვალიამ გიმნაზიაში შესვლა გადაწყვიტა, მამას „გულშემატკივრები“ აღმოუჩნდნენ და ურჩევდნენ, ვალიას სწავლა ამით დაემთავრებინა.

რა ვქნა, შვილო, მოვხუცდი, ბავშვები საპატრონო და აღსაზრდელია — უთხრა ერთხელ „გულშემატკივართა“ გავლენით მამაჩემმა ვალიას.

მახსოვს, დედაჩემიც იქვე იდგა, მას ძალზე შეწუხებული სახე ჰქონდა. ეტყობოდა, ძალიან წუხდა, რომ საყვარელ პირმშოსთან ასეთ საკითხზე ჰქონდათ საუბარი.

განა არ ვიცი, მამაჩემო, რომ ბავშვები აღსაზრდელები არიან — ვალია ლაპარაკობდა დამაჯერებლად, გულთბილად, — მაგრამ მე თვითონ თუ არ აღვიზარდე, როგორ დავზარდო ესენი? — და ვალიამ ახლა ჩვენ გადმოგვხედა. ჩვენ კი ამ დროს მოშორებით ვიდექით, სულგაკმენდილნი.

ვალიამ მშობლები მალე დაიყოლია და გიმნაზიაში შევიდა.

შემდეგში, მამაჩემი გულისტკივილით მოიგონებდა ხოლმე ამ შემთხვევას, — ამ ბიჭს სწავლაზე უარს როგორ ვეუბნებოდი. — და ამას მაშინ ამბობდა, როცა ვალია ჯერ კიდევ მოსწავლე იყო და ოჯახში ლუკმაპურის საკითხი ისევ მწვავედ იდგა. მახსოვს, ერთხელ დედაჩემმა დაყვავებით უთხრა მამაჩემს: არხეინად იყავი, ჩვენი ვარლამი (ოჯახში ასე ვეძახდით), თავისას გაიტანს და სწავლას არ მოწყდებაო.

საბედნიეროდ, ასეთ „გულშემატკივრობას“ ყველა როდი იჩენდა. იმ პირქუში, საშინელი, ბნელი ცხოვრების ფონზე ნამდვილი ადამიანებიც არსებობდნენ. ციცინათელებივით ანათებდნენ. ისინი ცოტანი როდი იყვნენ. მათი მაღალი განათლება და დიდი კულტურა, ჰუმანურ იდეებთან შერწყმული, ბევრ საქველმოქმედო და კეთილ საქმეს სთესავდა ხალხში.

როგორ შეიძლება დავივიწყო ვალიას კეთილად მოსახსენებელი ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი, გვარად ბოგდანოვი, ეროვნებით რუსი. მან გაუწოდა ვალიას დახმარების ხელი. ქუთაისიდან ხარკოვში, ყოველთვიურად 15 მანეთს უგზავნიდა. აქვე უნდა მოვიგონო მასწავლებელი ხონის გიმნაზიიდან ლობაჩევსკი, ისიც

რუსი. რომელმაც ერთხელ მამაჩემს უთხრა: ქამარი შეიხსენი, გაყიდე და შენს შვილს სწავლაში ხელი წარუმართე, შენთვისაც და ქვეყნისთვისაც სასარგებლო კაცი დადგებაო. არ შემიძლია არ გავიხსენო მამაჩემის ბიძაშვილი ი. ბახტაძე, რომელიც ვალიას დაეხმარა.

ვალიას მდიდარი ნათლია ჰყავდა, დიდი მრეწველი, კაპიტალისტი, მაგრამ მას დახმარება აზრადაც არ მოსვლია. იმ დროისათვის ქართველ ბურჟუებს უკვე მოესწროთ ეროვნულ-პროგრესული იდეების მივიწყება და აბუჩად აგდება. მით უმეტეს, რევოლუციური იდეებით აღგზნებულ ფანატიკოს ახალგაზრდას ხომ საკუთარი გულმკერდით გადაუკეტავდნენ წინსვლის გზას.

რა დამავიწყებს ზამთრის იმ ცივ დღეებს... ხონის „ბირჟა“, სადაც ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრი დგას პატარა ბოხჩით ან დაწნული კალათით. შიგ აწყვია დედის გამომცხვარი მჭადი, ყველი, ცოტა რამ ხილეული, უმთავრესად, თხილი, რომელიც ვალიას განსაკუთრებით უყვარდა. დგას და რიდითა და კრძალვით, მუდარითა და ვედრებით სთხოვს ნაცნობ მედილიჟნეს ან მეეტლეს ქუთაისში ჩატანას, იქ მომლოდინე გიმნაზიელ ვარლამისათვის გადასაცემად .

ერთხელ, ვალიას გიმნაზიისა და უნივერსიტეტის ამხანაგმა, იმჟამად ჩვენმა მასწავლებელმა, ამბროსი ბახტაძემ გვიამბო: ქუთაისის გიმნაზიის VIII კლასში ვიყავით. ერთ დღეს რუსული ლიტერატურის მასწავლებელმა გასწორებული რვეულები შემოიტანა კლასში. იგი, ჩვეულებრივ, თავის მაგიდასთან შეჩერდა. კმაყოფილი, ნათელი სახით კლასს თვალი გადაავლო, შემდეგ თავი დახარა, ერთი რვეული ხელში აიღო და დაიწყო: — როდესაც ამ რვეულს ვასწორებდი, — და რვეული მაღლა ასწია, მზად ვიყავი დამეკოცნა იმ გიმნაზიელის თითები, რომელმაც საკლასო რვეულში რუსული პოეზიის შესახებ ასეთი ბრწყინვალე სტრიქონები ჩასწერა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ვალია ბახტაძის მერხის წინ შეჩერდა. ჩვენ უმალ ვიგრძენით ვის თითებზე იყო ლაპარაკი. იგი ღელვას ვერ იოკებდა. ვალია წამოდგა. მისი ნათელი სახე კიდევ უფრო განათებული იყო.

მასწავლებელი შუბლზე ეამბორა ვალიას და გადაშლილი რვეული გაუწოდა. კლასში უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმე ისეთი, ზედმეტი სიხარულისა ან დიდი მოვლენის გამო წუთით რომ ჩამოვარდება ხოლმე. ცხოვრების გზაზეც ასეთი ნიშნით იარე, — გაისმა მასწავლებლის სასიამოვნო ხმა. ეტყობოდა, ამ ამბავს ძალზე აეღელვებინა იგი.

რვეულში წითელი 5-ანი ციმციმებდა.

ქუთაისიდან ვალია ხშირად ჩამოდიოდა. მოგვინახულებდა და მეორე დღეს წავიდოდა. მეტად ძნელი იყო 25 კილომეტრიანი გზის ათოკვა და დათოკვა. ის ხშირად ხომ ფეხით მოდიოდა. ვალიამ თავადაც კარგად იცოდა, რომ ის იყო ჩვენი ოჯახის დარდი და სიხარული, სევდა და ნუგეში „ბედიც“ და „უბედობაც“. ჩამოდიოდა და ოჯახში მოჰქონდა სიხარული, სინათლე. წავიდოდა და გვიტოვებდა იმედს მომავალ სიხარულზე. ლოდინი სიხარულისა, ხომ იგივე სიხარულია!

ვალია ბუნებით ნატიფი გრძნობების ყმაწვილი იყო. ის ჯერ ისევ ყმაწვილი იყო და ოჯახზე ისე ზრუნავდა, როგორც მამა შვილებზე. ახლაც თვალწინ მიდგას, კოდს როგორ ჩახედავდა, რომ დაენახა, რამდენი ხნის საზრდო ჰქონდა ოჯახს. თითოეული ჩვენთაგანის ფეხსაცმელებსაც კი დაათვალიერებდა. უმცროსი დები შვილებად მივაჩნდით, უფროს დებს დედასავით შესცქეროდა.

ფეხსაცმელებმა გამახსენა. ჩემს უფროს დას, — ჟენიას და მე, ზოგჯერ, ერთი ფეხსაცმელი გვქონდა და რიგრიგობით დავდიოდით სკოლაში.

ასეთი მოყვარული შვილი ოჯახისა მეტად ფაქიზი და საყვარელი მამა გახდა შემდეგში. თუმცა მკაცრმა „ბედმა“ მამობა ძალიან ცოტა ხნით არგუნა. მაგრამ ამ ცოტახანშიც ჩანდა ტკბილი და მზრუნველი მამა.

ხონში არსებობდა აბრეშუმის ძაფსაღები ქარხანა, რომელშიც 60-70 ქალი მუშაობდა. ახალგაზრდა ქალებს მიეტოვებინათ ოჯახები, ბავშვები და ქარხანაში წასულიყვნენ ერიოდე გროშის საშოვნელად. დღეში 14-15 საათს მუშაობდნენ ეს განაწამები ადამიანები. მუშაობდნენ ბავშვობაწართმეული ბავშვებიც. ვინ იცოდა, რა იყო მცირე წლოვანთა შრომის დაცვა. „ვაი მას, ვინც ჭაბუკობას ჭაბუკი არ არის“. უთქვამს ილიას. მაგრამ ორგზის ვაი მას, ვინც ბავშვობისას ბავშვი არ არის.

მუშის დღიური ხელფასი კაპიკებს შეადგენდა. პირობები განსაკუთრებით ომიანობის დროს გაუარესდა. მშვიდობიანობის დროს რა იყო მუშის ცხოვრება, ომიანობის ჟამს რა უნდა ყოფილიყო.

ავმა პირობებმა, ზედმეტმა ექსპლოატაციამ და შეურაცხყოფამ გაფიცვა გამოიწვია.

ეს მოხდა 1915 წლის ზაფხულში.

გაფიცვას ვალია ბახტაძე ხელმძღვანელობდა.

მახსოვს გაფიცულთა ერთერთ კრებაზე (ჩვენს სახლში) ვალიამ ბათუმის სტამბის მუშა მოიყვანა. იგი ხონელი იყო. გვარად ხაინდრავა. ზედმეტ სახელად შავ ბიჭს ეძახდნენ. მან გაფიცულებს ბევრი რამ მოუთხრო მუშათა ცხოვრებიდან, ბრძოლებიდან. სასიამოვნოდ ჟღერდა მისი დაბალი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა. საცოდავი, ადრე გარდაიცვალა.

ქარხანაში მუშაობა შეჩერდა, დაზგები დადუმდა. „ხაზეინები“ აღშფოთდნენ. მათ გადაწყვიტეს მუშათა მოთხოვნილების არც ერთი მუხლი არ მიეღოთ. არც ერთი გაფიცული მუ-

შა სამუშაოზე არ დაებრუნებინათ. გადაწყვიტეს ახალი მუშებით შეევსოთ დაზგები. ამ მიზნით, დაგეშილი მეძებრები დაგზავნეს მოსახლეობაში. მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა შტრეიკბრეხერების პოვნა. რაღაც ერთეულები შეაგროვეს.

რაკი მუშახელის შოვნა გაჭირდა, აუცილებელი გახდა გაფიცულთა დაბრუნება. გაფიცულები მტკიცედ იდგნენ. ვერ გასჭრა ვერავითარმა ხრიკმა. ვერ შესძლეს მუშების სიმტკიცის გაბზარვაც კი. ყოველივე ამან განაპირობა გაფიცულთა გამარჯვება, მოთხოვნილების ძირითადი მუხლების დაკმაყოფილება.

ამ გამარჯვებამ ვალია ძალზე გაახარა.

გაფიცვა ათ დღეზე მეტხანს გაგრძელდა.

ამავე წლის ზაფხულის ერთ უმთვარო ღამეს ვალიამ ორი ხის ყუთით სტამბის შრიფტი მოიტანა ეტლით. ეს ქუთაისის არალეგალური სტამბის ნაწილი იყო. მეეტლე, კარგად არ მახსოვს, მგონი ილ. ქაცარავა თუ ანდრიაძე იყო.

ყუთები იმავე ღამეს საიმედო ადგილას მოათავსეს, სამზარეულოში. დედამ კონსპირაციის განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა. ყუთები „საპირეს“ პირდაპირ დადგეს. ყუთებზე „ბუჯერი“ მოაწყვეს.

ვალია აღფრთოვანებული იყო

ღმერთმანი, დიდებულია! ეშმაკიც ვერ მიიტანს ეჭვს! — ამბობდა იგი.

შემდეგში, მენშევიკების ბატონობის პერიოდშიც, ასეთივე მეთოდით ვმალავდით ბოლშევიკურ ლიტერატურას, შრიფტსა და იარაღს.

მშობლები ვალიას არასოდეს არ უწევდნენ წინააღმდეგობას. მათ არ სჩვეოდათ და არ უყვარდათ შვილის მიზნებისა და მისწრაფებებისადმი ურჩობა. პირიქით, ეხმარებოდნენ კიდეც.

ძალზე უყვარდა ვალიას ოჯახი, ზრუნავდა მასზე. ასეთივე იყო ვალია ოჯახის გარეთაც, მაგრამ მის ხასიათში ყველაფერზე მეტად რევოლუციური ფანატიზმი იყო ჩაღვრილი. და ამიტომაც იყო, რომ ის არ ზოგავდა თავს, ოჯახსაც საფრთხეში აგდებდა რევოლუციის საკეთილდღეოდ. ამ ცეცხლოვან გზაზე ოჯახიც გატაცებით და უყოყმანოდ მიყვებოდა მას. ვალიას მსგავსი სალოცავი ხატი ოჯახს არავინ ჰყავდა მიუხედავად იმისა, რომ მამა ღვთის მორწმუნე იყო.

ზაფხულობით ჩვენი ეზო სავსე იყო ახალგაზრდებით. ეს ვალიას მოწაფეები იყვნენ. იგი მათში თესავდა ახალ აზრებს, რევოლუციურ იდეებს, ნათელ იდეალებს.

სასკოლო საგნებს ვალია ოსტატურად, მოხდენილად გადააბამდა რევოლუციურ პროპაგანდას. სანუკვარი მერმისის და წამებულ მებრძოლთა მომაჯადოებელ სურათებს დახატავდა. იმ დროს ფანატიკურად გამოიყურებოდა მასწავლებელიც და ნაამბობიც. ჯერ კიდევ ყრმებს და ჭაბუკებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ყოველივე ეს ახლო მომავლის საქმე გახდებოდა, მაგრამ მასწავლებლის დაჯერებული განწყობილება მაინც ეუფლებოდა მათ.

დიდი იყო პათოსი და ბრძოლის რომანტიკა.

ვალიას ყველა საგანი ეხერხებოდა, მაგრამ გასაოცრად უყვარდა ლიტერატურა და ისტორია. ამ საგნებზე ის საათობით ბაასობდა. უნდა გენახათ როგორ გაუნათდებოდა, გაუცისკროვნდებოდა სახე. საოცრად უხდებოდა ღიმილი, სიცილი. ამბობენ, რომ არიან ადამიანები, რომელთაც სიცილი არ შვენისო. შეიძლება ეს მართალიც იყოს. სიცილი, საერთოდ სულის გამონაშუქია. მე ფანატიკურად მწამს, რომ ყოველ კარგ ადამიანს — ღიმილიც კარგი აქვს. შვენის კიდეც.

უცხო ენებში ვალიამ ფრანგული იცოდა. გერმანული სუსტად. ძალზე უყვარდა მუსიკა. ჯერ კიდევ ექვსი წლის არ იქნებოდა, დედას სთხოვდა თურმე, მუსიკა მასწავლეო. ჩვენს სინამდვილეში, მაშინდელ ხონში, ბავშვებისათვის მუსიკა პატარა გარმონით, დაირითა და გიტარით ამოიწურებოდა. შემთხვევით, დედაჩემს გარმონზე დაკვრა სცოდნია და პატარა ვალიაც გაუტაცნია მის მოკლე აკორდებს და მისი კარიერაც მუსიკაში ამით დამთავრებულა. სიყვარული კი, რასაკვირველია, ბოლომდე შერჩა.

ვალია ყრმობის ასაკში ლექსებს წერდა, მინიატურებსაც. ჩვენი ცხოვრების ქარბუქიან გზაზე ისინი უგზოუკვლოდ მიმოიფანტნენ. მახსოვს, 1924-25 წ.წ. ვალიამ ბევრი ეძია, მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნო. დიდი ხნის შემდეგ, შემონახული აღმოჩნდა მხოლოდ ერთი პატარა ლექსის ნაწყვეტი სათაურით—„დედას“. ვალია სცენაზეც თამაშობდა, მაშინ ხონში მშვენიერი დრამწრე არსებობდა ადგილობრივი ძალებით.

ერთხელ, ვალია ბახტაძე, ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა, ბათუმში ჩასულიყო და მეტად ღრმაშინაარსიანი რეფერატი წაეკითხა ესთეტიკისა და ფილოსოფიის საკითხებზე. მის საფუძვლიან ცოდნას დიდად გაეკვირვებინა უკვე წვერულვაშიანი ახალგაზრდები, როდის მოასწრო ამდენი ცოდნის შეძენა ამ ყმაწვილმაო. არც ის დარჩენოდათ შეუმჩნეველი, რომ ხალათის სახელოების იდაყვები ლამაზი გვირისტით ჰქონდა დაკერებული... დედის ხელი იქაც გაჰყოლოდა.

1915 წ. ვალიამ დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. როგორც წარჩინებულმა მოსწავლემ გიმნაზიის დამთავრებისას ფულადი ჯილდო მიიღო 25 მანეთის რაოდენობით.

ძალიან ძნელი იყო ისეთი ღარიბი ოჯახისათვის, როგორიც ჩვენი ოჯახი იყო, არამცთუ ხარკოვში, არამედ ახლო-მახლო ქალაქებშიც კი გაეგზავნა შვილი სწავლის მისაღებად. ამ

ტვირთს იშვიათად აიკიდებდა ღარიბი ოჯახი. ჩვენმა ოჯახმა სწავლისაკენ, სკოლისაკენ გაიწია და მასთან დაკავშირებული ყველა სიმძიმე და დაბრკოლება მომავლის იმედის რწმენით უდრტვინველად ზიდა და გადაიტანა.

ვინც უნივერსიტეტში შედიოდა, პირველ რიგში, ქუდს გამოიცვლიდა. მაშინ სტუდენტს ქუდით იცნობდნენ. ქუდი მუქ-მწვანე ფერისა იყო, კოკარდიანი, რაც უნდა დიდი შეკრებულობა ყოფილიყო, ასეთ ქუდიანს სამ-ოთხს თუ დაინახავდით. აბა, წარმოიდგინეთ, ყველა სტუდენტებს ახლა ისეთი ფორმის ქუდი რომ ეხუროს, მწვანე ფერი ყველაფერს დაფარავდა.

სტუდენტი ფორმასაც ატარებდა.

როგორც აღვნიშნეთ, ვალიამ ყრმობის ასაკიდანვე დაიწყო მოწაფეთა მომზადება-გადამზადება და ხარკოვში გასამგზავრებლად ამ გზითაც შეაგროვა ცოტაოდენი თანხა. მოწაფეთა მომზადებაში მას ჩემი უფროსი და — ქენია შველოდა. ღარიბ მოსწავლეთაგან ვალია გასამრჯელოს არ იღებდა. ასეთები კი ჰყაობობდა.

იმ ზაფხულს ხონის (1915 წ.) მშრომელთა ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა ვალიას სასარგებლოდ ფასიანი „საღამო" გამართა.

საერთოდ „საღამოები" გართობის თუ სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით იმართებოდა.

მდიდრები ამ „საღამოზე" შეგნებულად არ გამოცხადდნენ და „საღამომ" შემოსავალი ვერ დატოვა.

ვალია ხშირად გზავნიდა ხარკოვიდან წერილებს, სიყვარულითა და ზრუნვით გამთბარს. და ის დღე, როცა წერილს მივიღებდით, დღესასწაულს ჰგავდა. წერილს საერთოდ წავიკითხავდით. შემდეგ კი თვითეული ჩვენთაგანი ცალ-ცალკე კითხულობდა.

ვალია უნივერსიტეტშიც განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს — რევოლუციურ მოღვაწეობას. მისი ინიციატივით უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის შემსწავლელი წრე დაარსდა.

მისმა ამხანაგმა, ამბროსი ბახტაძემ გვიამბო: ერთხელ ვალია უნივერსიტეტის შენობის კიბეზე ჩქარი ენერგიული ნაბიჯით ჩამოდიოდა. მას პოლიციის მოხელე შეეჩეხა და შეაჩერა:

— თქვენ ხართ ქართველი სტუდენტი საქართველოს ჭაბუკთა ორგანიზაციიდან?

ვალიამ წარბები შეჰკრა და მკვახედ მიუგო:

— მე გახლავართ ქართველი სტუდენტი ვალია ბახტაძე. რა გნებავთ?

— ჩემთან წამობრძანდით!

— ახლა დრო არ მაქვს, ლექციებზე მიმეჩქარება! — უპასუხა ვალიამ და სასწრაფოდ განშორდა პოლიციელს. შეაღო აუდიტორიის კარები და სხვებთან ერთად ლექციაზე შევიდა.

ეს იყო 1916 წლის ზამთარი.

ყოველ ადამიანს, ყოველ ახალგაზრდას პირადი, ინტიმური ცხოვრება ჰქონია და აქვს. ვალიასაც გააჩნდა ასეთი, თავისი ცხოვრების გარიჟრაჟიდან.

ძველ რევოლუციონერთა პირადი ცხოვრების ბიოგრაფიები ნაკლებადაა ცნობილი. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ ასეთი, როგორც ზოგს ჰგონია. ისინი ხომ ჩვეულებრივი, მიწიერი ადამიანები იყვნენ. მათთვის არ იყო უცხო არც ერთი ადამიანური გრძნობა, ისინი მთელი სიღრმითა და სიძლიერით განიცდიდნენ სიყვარულის ტკივილებსა და სიხარულს, განშორებისა და შეხვედრების მძაფრ წუთებს. მაგრამ მათ პირადი ცხოვრებისათვის როდი ეცალათ. პირადი ცხოვრება საერთო, სახალხო საქმეს ეწირებოდა. სიყვარული ლექსს ჰგავსო, იტყვიან, მათ კი დრო არ რჩებოდათ პირადი ცხოვრების რითმების ვამოსაძებნად, ასაწყობად. გორკის აქვს მოგონება ლეგენდარულ რევოლუციონერ კამოზე. იგი მოგვითხრობს, რომ კამოს უყვარდა ერთი ქალი და ოცნებობდა ცოლად შეერთო იგი. მაგრამ ეშინოდა, ასეთ ნაბიჯს მისი რევოლუციური საქმიანობისათვის ხელი არ შეეშალა.

დიდი იდეების ადამიანებმა სიყვარულიც დიდი იცოდნენ. ფაქიზი და კეთილშობილი. ლამაზი და კრისტალური. მათთვის სიყვარულს, ოჯახურ სიხარულს მხოლოდ წუთიერი ბედნიერება მოჰქონდა. შიში და სულიერი ტკივილები წლობით გრძელდებოდა. ციხე და გადასახლება, განშორება და ხეტიალი. ბედნიერება მხოლოდ ბრძოლებში იპოვებოდა.

პირველი მსოფლიო ომი იყო. ვალია ხარკოვში სწავლობდა. ჩვენს ქუჩაზე, ვანო ბახტაძის სახლში იდგა ერთი კაცი მეუღლით, გვარად გალდავაძე, ბევრმა არც იცოდა მისი სახელი და გვარი. მას ახალთაობის კაცს ეძახდნენ.

ეს კაცი გრძელ, უკან გადავარცხნილ თმას ატარებდა. ეს „ახალთაობელთა" სტილი იყო.

ერთხელ სკოლიდან მოვდიოდი და სწორედ ამ კაცის ბინაზე პოლიციელები შევნიშნე. ვიაზრე, რომ იქ რაღაც არასასიამოვნო ამბავი ხდებოდა. საჭირო იყო საჩქაროდ შინ მისვლა. მაგრამ ამხანაგი მახლდა, უცბად მუცლის ტკივილი მოვიმიზეზე და რაც, ძალი და ღონე მქონდა, სახლისაკენ მოვკურცხლე.

დედაჩემმა აღელვება რომ შემამჩნია, ცომის ზელა მიატოვა და სამზარეულოდან საჩქაროდ გარეთ გამოვარდა. მეც ყველაფერი სხაპასხუპით მოვუყევი.

მაშინვე სტამბის შრიფტის ყუთებს მივვარდით. „ბუჯერი" კიდევ უფრო გავაფართოვეთ.

იქვე, „საპირეზე“, ხბო მივაბით, ჩალა და ბალახი ბლომად დავუყარეთ. ქვაბიც დავუდგით წყლით, არ გასულა დიდი ხანი და პოლიცია ჩვენს ჭიშკარსაც მოადგა.

ყველაფერი გაჩხრიკეს, სხვენიც, იატაკის ქვეშაც იხოხეს. სამზარეულოც დიდხანს ათვალიერეს, ვერაფერი იპოვეს.

მაქედურში დედაჩემს „საკოკიადან“ ჩამოდგმული წყლის დოქი, სიჩქარის გამო, იქვე დარჩენოდა. სამზარეულოდან გამოსვლისას ერთმა პოლიციელმა მას ფეხი წაჰკრა, დოქი წამოპირქვავდა, წყალი გადმოიღვარა და პოლიციელს პრიალა ჩექმები დაუსველდა. გულმოსულმა რაღაც ჩაიბურდღუნა და უკან მოუხედავად ჭიშკრისაკენ გასწია.

ასე ხელცარიელი გავისტუმრეთ დაუპატიჟებელი სტუმრები.

შემდეგ, როცა ამის შესახებ ვალიას ვუამბეთ, ბევრი იცინა.

1916 წლის ზაფხულში ვალია ჯარში გაიწვიეს. ამავე წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ვალია თავის გულითად მეგობარს, მოსე გოგიბერიძეს, შემდეგში ფილოსოფიის პროფესორს, სწერდა: „ნაპერწკალია საჭირო, რევოლუციამ რომ იფეთქოსო“. ეს სტრიქონები მაშინ იწერებოდა, როცა მისი თანამედროვენი მემარჯვენე პოზიციებიდან გაიძახოდნენ, რომ, მართალია, თვითმპყრობელობა დაავადებული კბილია, მაგრამ ისე მაგრად აქვს ფესვები გამდგარი, ჩვენი თაობა მას ვერ მოაძრობსო.

ასრულდა ვალია ბახტაძის სიტყვები. ნაპერწკალი გაღვივდა და ორი თვის შემდეგ რევოლუციამ იფეთქა.

1917 წლის 25 თებერვალს საიდუმლოდ მიიღეს რა ცნობა პეტროგრადში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ღამით ვალია და მისი სამი ამხანაგი გაიპარნენ სკოლიდან. სუსხიან ზამთარში, თოვლში, ყინვაში, ფეხით გაიარეს 40 კმ-ზე მეტი მანძილი და შეუერთდნენ პეტროგრადში მიმავალ აჯანყებულ პოლკს. ვალიამ მონაწილეობა მიიღო პეტროგრადის ქუჩებში გამართულ ბრძოლებში და ბოლოს, მეფის სასახლეში, მისი უშუალო მონაწილეობით დაპატიმრებულ იქნა ნიკოლოზ მეფის მთავრობა.

ვალიასაგან არაფერი ისმოდა. ოჯახი შეშინდა და აფორიაქდა. სხვადასხვა ხმები დადიოდა. მაგრამ მალე ნიკოლოზ II ტახტის დამხობით აღფრთოვანებული ვალიას წერილმაც მოაღწია და შეშინებული ოჯახი დროებით დამშვიდდა. ვამბობთ, დროებით, რადგან ცეცხლოვანი და გაფრთხილებული ბრძოლები ახლა იწყებოდა.

მინდა მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრო და გავიხსენო 1922 წელი. ვალია გურიაში ჩავიდა. ცნობილმა ბოლშევიკმა პარმენ ცინცაძემ მიტინგზე მყოფთ მიმართა: — ეს ის ვალია ბახტაძეა, რომელმაც რევოლუციის სახელით ნიკოლოზ მეორის მთავრობა დააპატიმრაო. მეფის მოძულე გურული გლეხობა მზად იყო ხელით ეტარებია ვალია.

დიდი აღფრთოვანებით შეეგება ხონი თებერვლის რევოლუციას.

ახალმა სიომ ძალუმად შემოაღო მშრომელთა ქოხის კარები. გავიხარეთ. პირველ რიგში, სტამბის შრიფტით გატენილ ყუთებს მივცვივდით და ზედ მოწყობილი „ბუჯერი“ მივყარ-მოვყარეთ. ასე წარმოგვედგინა მაშინ, თითქოს ციხის კარები გავაღეთ და პატიმარი გავათავისუფლეთ. მოვიდნენ ამხანაგები სოც. დემოკრატიული ორგანიზაციიდან და ყუთები ზეიმითა და მარსელიეზის სიმღერით წაიღეს. ჩვენს მშობლებს რევოლუციის სახელით მადლობა გადაუხადეს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვალია მუშაობდა პეტერგოფის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გაგზავნეს ავსტრიის ფრონტზე. როგორც მოგეხსენებათ, ბოლშევიკები ომის გაგრძელების წინააღმდეგი იყვნენ და ფრონტზე მიმავალი პოლკი აჯანყდა. ვალიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ აჯანყებაში. აჯანყებულებს სასტიკი დევნა დაუწყეს. ბევრი ხელში ჩაიგდეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს. ვალიამ მოახერხა გამოპარულიყო საქართველოში.

1917 წლის ზაფხულს ვალია საქართველოში ჩამოვიდა. ამ დროს ჩვენში დიდი ბრძოლები იყო გაჩაღებული სოციალისტური რევოლუციისათვის.

ვალიას ჩამოსვლამ ფრთები შეგვასხა. სიცოცხლე კიდევ უფრო ლამაზი და საყვარელი გახდა.

ჩვენს სახლში ხშირად იმართებოდა კრებები, თათბირები, სჯა-ბაასი. ვხედავდით ვალიას დაუდეგარ რევოლუციურ ბუნებას, ზოგჯერ ქარიშხალივით ბობოქარს, ზოგჯერ მყინვარივით დადინჯებულს. ვალიას მრისხანეს, სასტიკსა და ვალიას სათნოსა და ადამიანებისადმი უსაზღვროდ ყურადღებიანს, გულისხმიერსა და მოყვარულს. ეს ორი საპირისპირო პოლუსი მის ბუნებაში შერწყმული და თითქო შენივთებული იყო.

ვალია სიყვარულშიც ძლიერი იყო და სიძულვილშიც.

ხონში საბჭოთა ხელისუფლებამდეც არსებობდა სტამბა. სახელმწიფო ბანკის გვერდით იყო გამართული. ვალია სტამბის ხშირი სტუმარი იყო. იგი ძალზე უყვარდათ აქ. მისთვის ჩვენთან რიგი არ არსებობსო, იტყოდნენ ასოთამწყობნი. სტამბაში, როგორც მახსოვს, სამი ქალი მუშაობდა. გამგე პედაგოგი ალ. მაჭარაძე იყო.

— როდესაც ვალია წერილს მოიტანდა სტამბაში, ყველა სამუშაოს მივწევ-მოვწევდით და პირველ რიგში მას ავაწყობდით, — იგონებდნენ შემდეგში სტამბის მუშაკები.

მაშინ ისეთი დრო იყო, ყველას ეჩქარებოდა. პარტიული ბრძოლები იყო გაჩაღებული. ყველა პარტიის წარმომადგენელი სტამბაში მიიჩქაროდა. მიჰქონდათ დასაბეჭდი მასალები: პროკლამაციები, პლაკატები, მოწოდებები, წერილები, ბიულეტენები. ზოგი იხვეწებოდა, ზოგი იმუქრებოდა, რომ შეკვეთა სასწრაფოდ შესრულებულიყო. არჩევნების პერიოდი ხომ ნამდვილი ციებ-ცხელება იყო. ახალგაზრდა სტუდენტს (ასე ეძახდნენ ვალიას) მაინც ურიგოდ უბეჭდავდნენ მასალებს. ამის გამო სტამბის ადმინისტრაციისაგან საყვედურიც ბევრჯერ მიუღიათ, მაგრამ საყვედურსაც იტანდნენ და საქმესაც აკეთებდნენ.

1917 წლის ნოემბერში, რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით, ხონის ბაღში ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მიტინგი გამართა. ილაპარაკეს კ. ქაცარავამ, ვ. ბახტაძემ, პ. ბახტაძემ და სხვებმა. მიტინგმა, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა, ერთხმად მიიღო ვალია ბახტაძის მიერ შედგენილი პეტროგრადში გასაგზავნი მისალმების დეპეშების ტექსტი. ერთი საბჭოთა ხელისუფლებისა და მეორე ლენინის სახელზე.

როგორც ვიცით, საქართველოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო წვრილბურჟუაზიულმა, მენშევიკურმა პარტიამ. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი გამოეყო რუსეთს და საქართველოს „დამოუკიდებლობა" გამოაცხადა. მახსოვს, ერთ კრებაზე ვალიამ თქვა: — საქართველოს მენშევიკური მთავრობა გამოეყო არა რუსეთს საერთოდ, არამედ ოქტომბრის რუსეთს, ლენინის რუსეთს, ახალ რუსეთს, რევოლუციურ რუსეთს. კერენსკისა და როძიანკოს რუსეთს, ძველ რუსეთს იგი არასოდეს არ გამოეყოფებოდა.

ხონში ძლიერი პარტიზანული რაზმი არსებობდა. მასში არა მხოლოდ კომუნისტები, არამედ უპარტიო ახალგაზრდებიც, განსაკუთრებით, ყოფილი ფრონტელები შედიოდნენ.

1918 წელი იყო.

ხონში თბილისიდან სამხედრო მინისტრი მენშევიკი გიორგაძე ჩამოვიდა. მიტინგი ბაღში გაიმართა. და როდესაც მან პარტიზანული რაზმის სიძლიერე შენიშნა და მისი ვაჟკაცობის ძალაც იგემა, ბრაზი მოერია. მაგრამ ბრაზი გულში ჩაიკლა და ხალხს გადახედა.

ვალია ახალ ჩამოსული იყო ბათუმიდან.

მინისტრი ბათუმში გასაგზავნად ხალხს მოითხოვდა. თათრების წინააღმდეგ.

ერთხმად შესძახა ახალგაზრდობამ: — მენშევიკების ხელმძღვანელობით ბრძოლებში არსად არ წავალთო.

ტრიბუნაზე ვალია ბახტაძე ავიდა.

— ჩვენ, ბოლშევიკებს დაგვანებეთ ბათუმის დაცვა და ჩვენ დავიცავთ მას. აი, დღესვე ეს ახალგაზრდები, — და ორატორმა ხელი პარტიზანული ბიჭებისაკენ გაიშვირა, — იარაღს აისხამენ და ბათუმს საკუთარი გულმკერდით დაიცავენ. — განაცხადა მან.

სწორია, სწორი! — იგრიალა ახალგაზრდობამ, რასაც მქუხარე ტაში მოჰყვა.

მაგრამ მენშევიკებმა ბოლშევიკებს ხელმძღვანელობა არ დაუთმეს. მათ ამჯობინეს ბათუმი თურქეთისათვის ჩაებარებინათ, ვიდრე ბოლშევიკების ხელში ჩაეგდოთ მისი დაცვა.

ეს ამბავი ხალხმა ასე გამოხატა:

გეგეჭკორი ბათუმს ყიდის,
რამიშვილი ყარსს,
ორივ დასაჭირავია,
ატყუებენ ხალხს.

იმავე 1918 წ. ლეჩხუმისა და სამეგრელოს გლეხთა აჯანყებების მუხანათურად ჩაქრობის შემდეგ, ვალია იძულებული იყო არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო. იგი ერთ ღამეს მალულად გავიდა ხონიდან. რამდენიმე დღე ქუტირში გათხოვილი დის ოჯახში გაატარა. მალე იქიდანაც გაეპარა მენშევიკურ ჯაშუშებს და აფხაზეთში გადავიდა. შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში წავიდა.

ზამთარი იდგა. თერგზე საბჭოთა ხელისუფლებამ მარცხი განიცადა. ბრძოლაში დამარცხდა ვალია ბახტაძის კომუნისტური რაზმიც.

ხონში ამბავი მოვიდა, რომ ვალია გამოიპარა და არალეგალურად თბილისში ჩააღწიაო. მამაჩემმა ამხანაგების რჩევით, გადაწყვიტა თბილისში წასულიყო. მაშინ თბილისში წასვლა პატარა, პროვინციული ქალაქიდან არც ისე უბრალო ამბავი იყო. წასვლის წინა ღამეს ჩვენსას მოვიდნენ ვალიას ამხანაგები: ლ. ნადარეიშვილი, გ. ბახტაძე, იპ. ბახტაძე, და შ. მდივანი. მამაჩემს საჭირო რჩევა- დარიგება მისცეს.

ოთახის კუთხეში იდგა ოთხფეხა, დაბალი სუფრა, რომელზედაც მამის საგზალი ელაგა.

ის-ის იყო ამხანაგები წასასვლელად წამოდგნენ, რომ ფანჯრიდან ვიღაცის ლანდი გამოჩნდა. გაკვირვებისა და კითხვის ნიშანი აისახა ყველას სახეზე... მძიმე სიჩუმე ჩამოწვა... ერთი წუთი და, ლანდი ისევ შეირხა.

— ეს ჩემი ვარლამიაო! წამოიძახა დედაჩემმა და კარებს ეცა.

კარებში ნაბადმოსხმული, თავზე დაბალი ფაფახითა და თეთრი ჩაბალახით ჩვენი ვალია იდგა გაღიმებული...

— დედა ყველაზე უმალ იგრძნობს შვილის სიახლოვეს. — თქვა ვალიამ და გულში ჩაიკრა ხელებგაწვდილი დედა, შემდეგ სათითაოდ ყველა გადაკოცნა.

ასე შემოდიოდა ჩვენს ოჯახში სიხარული.

უთქვამთ, ბედნიერება მომავალშიაო. არა, ბედნიერება, წარსულშიც არის...

მამაჩემის თბილისში წასვლა რა თქმა უნდა აღარ იყო საჭირო. ამ სიხარულთან ერთად ვახშამიც გაიმართა.

ამხანაგები კარგა ხანს დარჩნენ.

დენიკინის შემოტევით თერგზე საბჭოთა ხელისუფლებას მარცხი განეცადა, ამ შემოტევისას ჩვენები ორ ნაწილად გაყოფილიყვნენ. იძულებითი უკანდახევის დროს ერთი ნაწილი დარიალისაკენ წასულიყო, მეორე კი — რუსეთისაკენ. ვალია ბახტაძე პირველ ნაწილში მოხვედრილიყო.

როდესაც ვალია ბახტაძის რაზმი დამარცხდა ბრძოლაში, იგი ტყვედ ჩაეგდო დენიკინელებს. ვალიას მოესწრო მოესპო დოკუმენტები, რომლებიც მის ვინაობას ამხელდნენ, და ისიც რიგით ჯარისკაცად მიეღოთ.

ღამე იყო ცივი, განუწყვეტლივ თოვდა.

ტყვე ვალიას ტანისამოსი გახადეს და იქვე გაინაწილეს, ისინი რამდენიმე იყვნენ. ტყვე იქვე, ყაზარმაში შეაგდეს. გამარჯვებულები არყის სმას შეუდგნენ. „წითელ ურჯულოსთან" ანგარიშის გასწორება ალბათ შეზარხოშებულთათვის უფრო სასიამოვნო და აზარტული იქნებოდა. მართლაც კარგად შემთვრალან. ტყვეც ამას ელოდა. წუთებს ითვლიდა. მანძილსა და დროს ზომავდა. მომენტიც დადგა... იდროვა და შეუმჩნევლად გახოხდა.

გახოხდა და შეჩერდა. მოიხედა, სმა გრძელდებოდა. ასე ხოხვითა და ცოცვით გაიარა კარგა მანძილი. რაკი ყაზარმას საკმაოდ დაშორდა, წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და აჩქარებით გაუდგა გზას.

თოვდა. ათოვდა საცვლების ამარა გაქცეულ ვალიას. ათოვდა მაგრამ მიდიოდა მხნედ და ენერგიულად.

იმ ღამეს ვალიას 60 კმ გაევლო, ყინვაში, თოვლში, გაუვალ ადგილებში. დიდი ხეტიალის შემდეგ კავკავში ჩასულიყო, სადაც ჯერ კიდევ წითლები იყვნენ გამაგრებული.

ვალია იქ ავად გახდა ფილტვების ანთებით, მაგრამ ამხანაგ მეგობრების განსაკუთრებულმა ზრუნვამ ფეხზე წამოაყენა.

ბრძოლები გრძელდებოდა.

თერგის მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების შემდეგ, როგორც ვთქვით, ვალია ბახტაძე და მისი ამხანაგების ერთი ნაწილი დარიალისკენ მოემწყვდნენ. აქ მათ მენშევიკური მთავრობის ტყვეობა ელოდებოდათ. მენშევიკურ ხელისუფლებისათვის ადვილი იყო მათი დატყვევება, ბოლშევიკები რკალში იყვნენ მომწყვდეულნი. უკან დენიკინელები იყვნენ, წინ — მენშევიკები. ვალიამ და მისმა რამდენიმე ამხანაგმა ეს რკალიც გაარღვიეს და ახალ ტყვეობას დაუსხლტნენ. ვალიამ მალულად მცხეთამდე მოაღწია.

მცხეთაში გეგმავდა თუ რა გზით ჩასულიყო თბილისში. იგი მცხეთის სადგურზე გამოვიდა წვერ-ულვაშმოშვებული, ნაბდითა და ფაფახით. თბილისში მიმავალი მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. მატარებელი წასვლას არ ჩქარობდა. ტრანსპორტიც, როგორც მთელი ეკონომიური ცხოვრება საქართველოსი, მოშლილი იყო.

— აქ საათზე მეტს მაინც ვიდგომებით, — ამბობდა ვიღაც მგზავრი.

ვაგონის ღია ფანჯრიდან ერთმა ახალგაზრდამ გამოყო თავი და სადგურს დაუწყო თვალიერება. ეს ჩემი ბიძაშვილი, სტუდენტი მ. ბახტაძე იყო. ბაქანზე მგზავრები მიდი-მოდიოდნენ. გადაეწყვიტა თვითონაც ჩასულიყო, მუხლს მაინც გავმართავო. ანაზდად ნაცნობი ხმა და თავისი სახელიც გაეგონა. უკან მოიხედა. მოხედვისთანავე ნაბდიანი კაცისთვის მოეკრა თვალი და მისკენ გაქანებულიყო.

— ვალ... — უნდოდა დაეყვირა პასუხად და გადახვეოდა საყვარელ ბიძაშვილს, ბავშვობის მეგობარს, მაგრამ წვეროსან-ნაბდიანმა სახის ფარული მოძრაობით ანიშნა, რომ გაჩუმებულიყო და სიტყვა შუაზე გადაუტეხა. მან ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო:

— სახელს' ნუ მეძახი. კავკავიდან მოვდივარ. მდევნიან. თბილისში ოთახი თუ გაქვს და... თუ იკისრებ ჩემს მიღებას. თუგინდ ერთი დღით.

ბიძაშვილს მატერიალურ ქუჩაზე ჰქონდა დაქირავებული ერთი პატარა ოთახი. ვალიას ოთახს კი არა, საკუთარ სიცოცხლეს, საკუთარ სულს გაუზიარებდა.

— არის! ამოდი! — მხედრული ლაკონიურობით უპასუხა მან და სიტყვების ნაცვლად ღიმილი დაუმატა.

ვაგონში რამდენიმე წუთს უხმოდ ისხდნენ. მოუთმენლად მოელოდნენ თბილისში ჩასვლას.

მატარებელი დაიძრა, მათ ეჩვენებოდათ, რომ იგი საათის ისრის სიჩქარით მოძრაობდა.

ბოლოს მოთმინების ჯებირი გაირღვა. სიჩუმე ვალიამ დაარღვია. თავისიანები მოიკითხა.

— ჩვენები როგორ არიან? ყველა ცოცხალია?

— კარგად. რასაკვირველია, ცოცხალი არიან. — უპასუხა ბიძაშვილმა და დაჩუმდა.

— ვიცი, შიმშილით მიკვდება ოჯახი, მაგრამ რას იზამ, — ჩაილაპარაკა ვალიამ, — რევოლუციაში, რევოლუციის გარდა, ყველაფერი ეპიზოდია, მათ შორის საკუთარი ოჯახიც. — დაუმატა მანვე.

მანძილიც გაილია. თბილისის სადგურიც გამოჩნდა, მოწყენილი და დადუმებული. მატარებელიც გაჩერდა. ორივე ახალგაზრდამ თავისუფალი ნაბიჯით ბაქანი გადასჭრა. სადგურიდან გავიდნენ და ტრამვაის დაუწყეს ლოდინი.

№ 1 ტრამვაიმ ისინი ვერაზე გაიყვანა. აქედან ფეხით მატერიალურ ქუჩაზე გავიდნენ.

ბიძაშვილმა ჭიშკარი სასწრაფოდ შეაღო. ამ დროს ეზოში „ხაზეიკა“ გამოვიდა და მდგმურს მიესალმა.

— ჩამოდით? — მიმართა მან რუსულად.

— დიახ! როგორც ხედავთ.

ქალმა უცბად მზერა ნაბდიანზე გადაიტანა და მდგმურს შეცბუნებით ჰკითხა:

— ბოლშევიკი ხომ არ არის? — და ვალიაზე მიუთითა. ახალგაზრდებს გაეღიმათ.

— რას ამბობთ! — გაიკვირვა ბიძაშვილმა და ვალია ბახტაძე დიასახლისს სვანეთიდან ჩამოსულ პირველ სვან სტუდენტად გააცნო.

ვალიამ ის დღე იქ გაატარა. შებინდდა თუ არა, თავის გზას გაუდგა.

თბილისში რამდენიმე ხანი დაჰყო და იმ ღირსახსოვარ ღამეს ხონში ჩამოვიდა.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში ვალია ხშირად ჩადიოდა ქუთაისში თბილისიდან, ბათუმიდან თუ სხვა ადგილიდან, რასაკვირველია, არალეგალურად. ბინად იმყოფებოდა ბოლშევიკ — სპარტაკელ მიხეილ ბახტაძესთან, რომელიც ქუთაისში სწავლობდა. ან კიდევ კუპრაშვილების ოჯახში ნახავდით მას. კუპრაშვილების მისამართით გზავნიდა ჩვენი ოჯახი ვალიასათვის გადასაცემ ბარათებს, მხოლოდ კონვერტზე ვაწერდით არა ვალიასათვის, არამედ ალიასათვის. ვალიასაგან გამოგზავნილ წერილებს კი შუშანა და ბაჭია კუპრაშვილების მეშვეობით ვღებულობდით.

ვალია დიდი ემოციური ძალის პიროვნება იყო. მის გავლენას, განიცდიდნენ მის ირგვლივ მყოფნი. ოჯახზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მის გარშემო ყოველთვის თავს იყრიდნენ მოწინავე ახალგაზრდები. მე ბევრჯერ გამიგონია ჩვენი თაობის ახალგაზრდებისაგან, თუ კარგი რამ არის ჩემში — ვალიასეულიაო. იგი გასაოცრად ნათელი ადამიანია, დაჯერებული თავის რწმენაში და შეყვარებული მასზე, — თქვა ერთხელ მიხა გახოკიამ. ამ უსპეტაკესმა ადამიანმა და ბობოქარმა რევოლუციონერმა. და მართლაც, ვალიას მტკიცედ სწამდა მომავალი და გატაცებით უყვარდა ახალგაზრდობა.

გულწრფელად უყვარდა ახალგაზრდობასაც ვ. ბახტაძე. როდესაც კი ჩამოვიდოდა ხონში, ფარვანასავით შემოეხვეოდნენ მას. ასევე იყო ქუთაისშიც. ქუთაისის კომკავშირი არასოდეს გაუშვებდა მასთან შეხვედრის შემთხვევას.

1920 წ. ზაფხული იდგა. ხონში ვალია ჩამოვიდა, მას თან ახლდა ბოლშევიკი სერგო მეძმარიაშვილი, რომელიც ცნობილი იყო გუბელის ფსევდონიმით.

ჩვენ ერთოთახიანი ფიცრული სახლი გვედგა, აივნით. ვალია და სტუმარი ფარდააფარებულ აივანზე იძინებდნენ.

მახსოვს, აივნის ჭერზე გალია გვეკიდა, შაშვით. უცნაური გალობა იცოდა. ყოველ დილით ერთდაიმავე დროს წამოიწყებდა გალობას, სტვენდა, რაღაც განსაკუთრებით. ძალზე მოეწონა გუბელს შაშვი. ცოცხალი საათი შეარქვა და შაშვის გალობას თვითონაც აყოლებდა ხმას. ეს ბულბულნარევი შაშვიაო, ხუმრობდა.

შაშვი ვალიას საყვარელი ჩიტი იყო. დაჭერაც ეხერხებოდა მისი. ამიტომაც შაშვი ყოველთვის იყო ჩვენს ოჯახში. ლამაზი და მოხერხებული გალიას გაკეთებაც იცოდა. ეს უკანასკნელი გალიაც მისეული იყო და ეგ შაშვაც მისი ბავშვობის „სიცელქის“ დასასრული. ეგ შაშვი თითქოს ვალია ბახტაძის ქარიშხლიან სიყმაწვილეს უგალობდა.

ვალიას ჩამოსვლიდან სამი თუ ოთხი დღე გავიდა. ვალია და მისი ამხანაგები გუბის წყალზეც იყვნენ სათევზაოდ. თევზიც ბლომად მოიტანეს...

მშვენიერი დილა გათენდა. შაშვი ჩვეულებრივზე ადრე აჭიკჭიკდა.

— ერთი კითხე, ბიჭო, მაგ შაშვს, რას ამბობს? — შეეხმიანა ახალგაღვიძებული სტუმარი ვალიას.

— რას და, ხელში თოხი აიღე და მამას მიეხმარეო. — თქვა გაღიმებულმა ვალიამ და წამოდგა. თოხი მოძებნა და ეზოში, სიმინდის აბიბინებულ ყანაში გავიდა.

ჩემთვისაც დაძებნე თოხი! მიაძახა გუბელმა.

მალე ჩვენს ჭიშკართან ორი ეტლი გაჩერდა. ერთში არავინ იჯდა, მეეტლის გარდა. მეორეში გვარდიელები ისხდნენ. გვარდიის შტაბის უფროსის ჯანტურიას თანხლებით.

ვითარება აშკარა და გარკვეული იყო. შაშვი განსაკუთრებულ ხმაზე აჭიკჭიკდა თუ აკვნესდა. ჯანტურიამ გალიისაკენ მიიხედა, მის სახეზე გაოცება აღიბეჭდა. ეს უკანასკნელი ჭიკჭიკი იყო. იმ დღეს ხმა არ გაუღია. კუთხეში მობუზული იდგა. მეორე დღეს მისი ხმა აღარ ისმოდა. მომკვდარიყო საბრალო ჩიტი. აღარ იყო ცოცხალი საათი...

წინა კარიდან გვარდიელები რისხვასავით შემოიჭრნენ. საცოდავი დედა გაფითრდა, გაყვითლდა. დაკაპიწებული ხალათის სახელოები ჩამოუშვა, გაისწორა. თავსაფარი ნიკაპთან შეინასკვა და სახლში უკანა კარიდან მხნედ შევიდა. თან ახალი თევზის სუნი შეიტანა...

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — შეეკითხა ჯანტურია.

— დედა! ამაყად წარმოსთქვა მხოლოდ ეს ერთი სიტყვა დედაჩემმა და გვარდიელებს გადახედა. ყველამ მისკენ მიიხედა. დედაჩემი გულზეხელდაკრეფილი ქანდაკებასავით იდგა. წუთით ყველა შეცბუნდა, მოეშვა. მაგრამ ვითარება და მოვალეობა ყველაფერზე ძლიერი იყო და საქმეს შეუდგნენ.

ვალია სახლში რომ ვერ ნახეს, ეზოში გაიჭრნენ გვარდიელები. ჯანტურიამ გუბელს წინადადება მისცა, ტანზე ჩაეცვა. ამასობაში, ვალიაც გამოჩნდა. თოხი იქვე, კიბესთან მია-

ყუდა და გვარდიელის თანხლებით სახლში შევიდა, სრულიად დამშვიდებული.

ჩხრეკა დაწყებული იყო. ვალიამ და გუბელმა უფროსს საბუთი მოსთხოვეს, მანაც გაუწოდა რაღაც ქაღალდები. ალბათ, დაპატიმრების ორდერი.

ვალიასა და გუბელისათვის პატიმრობა პირველი არ იყო, ამჟამად ვალიას მესამედ აპატიმრებდა მენშევიკური ხელისუფლება. ამას წინ, 1919 წ. გაზ. „კომუნისტის" რედაქციის დარბევასთან დაკავშირებით, სხვა ხელმძღვანელ ბოლშევიკებთან ერთად დააპატიმრეს თბილისში.

სახლში ჩემოდნები, ყუთები, კალათები, წიგნები თავდაყირა ეყარა. ვალიას ერთი ტყავის ჩემოდანი ჰქონდა, მასაც ძირი გაურღვიეს. არ იქნა და არა, საკბილო ვერაფერი ნახეს. მშიერი ძაღლივით ყნოსავდნენ, იქნებ ძვალს მაინც წავაწყდეთო, მაგრამ ამაოდ.

ჩემს დას, ქენიას მოესწრო ახალი ბროშურის გადამალვა, რაც შემოსვლისთანავე ანიშნა ვალიას. სხვა თითქოს არაფერი იყო ისეთი, შევნიშნე, რომ ვალია ხელში რაღაცას აწვალებდა. მინდოდა ქენიასათვის მენიშნებინა, ვერ მოვახერხე.

ჩხრეკა მთავრდებოდა, წასვლის დროც დადგა. მე პირველი გადავეხვიე ძმას, ვითომ გამოსამშვიდობებლად. ვალია ჩემს განზრახვას მიხვდა და ხელი „მაგრად" ჩამომართვა. ჩემს ხელში პატარა ქაღალდი ვიგრძენი. ვალიამ შუბლზე მაკოცა და ჩამჩურჩულა ვისთვისაც უნდა გადამეცა ეს ქაღალდი.

ყველას გამოგვეთხოვა. მამა არ ჩანდა. ვალია თვალებით, უსიტყვოდ ეძებდა მას.

მამა კი თოხის ტარზე დაყრდნობილი ეზოში, დიდი კაკლის ხის ქვეშ იდგა და ელოდა... ელოდა შვილის გამოსვლას. მამა არ შემოსულა სახლში. აქედან დაემშვიდობა იგი თავის პირმშოს, მოხუცებულობის იმედსა და ოჯახის ბურჯს.

ამ ამბის შემდეგ ოთხნახევარ ათეულ წელზე მეტი გავიდა და იმ კაკლის ხეს დღესაც რომ შევხედავ, მაგონდება, მოხუცი მამა გატანჯული სახით, დარდისაგან ბეჭებში მოხრილი, ერთ საათში ზედმეტად დაბერებული, უსიტყვოდ ქანდაკებადქცეული რომ იდგა და ელოდა, როგორ ჩაატარებდნენ მის პატიმარ შვილს.

პატიმარ ვალიას სანახავად რიგრიგობით დავდიოდით სანამ, ის ქუთაისის ციხეში იჯდა.

1920 წლის შემოდგომა იყო. ციოდა. მამაჩემი ქუთაისში წავიდა. ეტლით მგზავრობა ძვირი ჯდებოდა. „ტაჭკით" მგზავრობა უფრო ხელმისაწვდომი იყო და მამაც „ტაჭკით" გამგზავრებულა. მეორე დღეს უკან გამობრუნებულს იმავე „ტაჭკით" უმგზავრია, გზაში „ტაჭკა" გადაბრუნებულა და მამა ძალზე დაშავებულა. მეორე ღამით გვიან მოვიდა შინ. სახე სულ დალურჯებული ჰქონდა. ხელი მაჯაში გადატეხოდა. ეს უკანასკნელი მგზავრობა იყო მისი. ამის შემდეგ ლოგინად ჩავარდა. მკურნალობის საშუალება არ გაგვაჩნდა. ქირურგის ჩარევა იყო საჭირო. ხონში მაშინ ქირურგი არც იყო.

არ შემიძლია, არ მოვიგონო მეტად კეთილშობილი ექიმი, რომელიც ღარიბი ხალხის გაჭირვების ტალკვესი იყო, იგი ღარიბებისაგან გასამრჯელოს არ იღებდა. მას ღარიბთა ექიმს ეძახდნენ. ეს ექიმი ხონის მკვიდრი, პატივცემული პლატონ ჯაში გახლდათ. მან დიდი ამაგი დასდო ჩვენს ოჯახს, განსაკუთრებით მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

ვალია მწვავედ განიცდიდა ახლობელ ნათესავების, მეზობლების, ამხანაგ-მეგობრების დაკარგვას. მახსოვს, როცა თერგზე ბრძოლებში დაღუპულ სახელოვან მებრძოლ შალვა ასკურავას მოიგონებდა, თვალები ცეცხლივით აენთებოდა, ცხვირის ნესტოები დაებერებოდა.

შალვა ასკურავა ვალიას უახლოესი მეგობარი და დიდი ბრძოლების ამხანაგი იყო. არასოდეს არ დამავიწყდება, ვიღაცამ დაღუპული ამხანაგები შ. ასკურავა, ¿. ჭავჭანიძე და სხვანი მოიგონა. ვალია წამოდგა, გაიარ-გამოიარა, სახე საშინელმა ნაღველმა გადაუსერა.

ვალია ბახტაძემ ორი წერილი უძღვნა შალვა ასკურავას დაღუპვას. ეს წერილები ნათლად მეტყველებენ, თუ რა ძლიერად იცოდა მან მეგობარ-ამხანაგის „დატირება", და საერთოდ თუ როგორ „დასტიროდნენ" ბოლშევიკები ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლ ამხანაგებს.

1961 წ. გამოვიდა წიგნი „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში". წიგნი დიდი ფორმისაა. წითელი ყდით, ოქროსფერი ასოებით. და, როდესაც ამ წიგნში შალვა ასკურავას შევხვდი, იმ წუთს თვალწინ დამიდგა ვალია და მისი სიტყვები მომაგონდა: „როდესაც, მომავალში, გამარჯვებული კაცობრიობა თავის დიდ წითელ წიგნში ოქროს ასოებით აღბეჭდავს მათ ხსოვნას, შენც იქნები მათ შორის ამხ. შალიკო! სანამ ეგ წიგნი არ დაწერილა, შენი ხსოვნის სამარე შენი ამხანაგ-მეგობრების გული იქნება"-ო. ეს სიტყვები 1920 წელს დაიწერა.

მენშევიკური ბატონობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა ტანდათან უარესდებოდა. ხალხი შიმშილობდა. ასეთი მასობრივი შიმშილი იშვიათად დაიძებნება ხალხთა ისტორიაში. სიმინდი გირვანქობით იყიდებოდა. ისიც, არა ყოველდღიურად. ლობიოს და საცოცხე ჯიქურას ფქვავდნენ.

შიმშილის აჩრდილი მაჯლაჯუნასავით აწვა ქვეყანას, განსაკუთრებით ძნელ პირობებში იყვნენ ბოლშევიკებისა და ბოლშევიკურად განწყობილი ოჯახები. ქალაქის თვითმმართველობას, რომელიც მოსახლეობაზე მარცვლეულს გირვანქობით ყიდდა, ბოლშევიკების ოჯახები

სიაში არ შეჰქონდა. ასე იყო მთელ საქართველოში.

დადგა დაძაბული და დაჭიმული წელი, 1921 წელი .იზრდებოდა ხალხის უკმაყოფილება. სასიკვდილო სარეცელზე იწვა ქვეყნის ეკონომიკა. მოშლილი იყო ქვეყნის ორგანიზმი.

ხალხი რაღაცას ელოდა. რაღაცას უცდიდა. მეტის მოთმენა არ შეიძლებოდა.

დასავლეთის იმპერიალიზმი ცუდი მკურნალი გამოდგა. ამაოდ მოიწვია იგი მენშევიკურმა მთავრობამ.

ახლა თანაფარდობა რევოლუციური და კონტრრევოლუციური ძალებისა რევოლუციის სასარგებლოდ შეიცვალა.

მენშევიკები შემოდგომის ბუზებივით იკბინებოდნენ. მარდალეიშვილისა და ივანოვის მოწამებრივმა დაღუპვამ კიდევ უფრო აღაშფოთა ისედაც განაწამები ხალხი. ახლა კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმა იგი მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ, ბოლშევიკური დროშის ქვეშ.

1920 წლის შემოდგომაზე ვ. ბახტაძე სხვა ბოლშევიკებთან ერთად მენშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს საზღვრებიდან გადაასახლა. ვალია ბაქოში ჩავიდა. ბაქოში ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება იყო უკვე დამყარებული.

წითელ რუსეთიდან სასიხარულო და საიმედო ამბები მოდიოდა. შინა და უცხო ინტერვენციამ კრახი განიცადა. ჩაიფუშა თეთრი გენერლების ვარაუდები. ჩაქრა სამოქალაქო ომის მთავარი ხანძარი საბჭოების გამარჯვებით.

1920 წლის გაზაფხულზე სოციალისტური რუსეთის წითელმა არმიამ დახმარების ხელი გაუწოდა თავის მოძმეს აჯანყებულ მშრომელ აზერბაიჯანს. იმავე წლის შემოდგომაზე იგი დაეხმარა სომხეთის მშრომელებს დაშნაკების ბატონობის უღლისაგან განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ახლა კი 1921 წელს მან ასეთივე დახმარების ხელი გაუწოდა აჯანყებულ მშრომელ საქართველოს. მენშევიკურმა მთავრობამ ეს საპროვაკაციოდ გამოიყენა და ეს მდგომარეობა რუსეთთან ომად გამოაცხადა.

1921 წლის 17 თებერვალს მე-11 არმია ბაქოდან საქართველოსკენ გამოემართა აჯანყებულთა დასახმარებლად.

სხვა ქართველ ბოლშევიკებთან ერთად ვალია ბახტაძეც თან ჩამოყვა წითელ არმიას და 25 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა.

იგი დანიშნულ იქნა გაზ. „კომუნისტის" რედაქტორად, რომლის პირველი ნომერი სამ მარტს გამოვიდა (1921 წ.)

რამდენიმე ხნის შემდეგ ვალია გადაყვანილი იქნა ქუთაისში, საგუბერნიო პარტიული კომიტეტის პასუხიმგებელ მდივნად.

ვალია ბახტაძე სისტემატურად ათავსებდა პუბლიცისტური და პოლემიკური ხასიათის წერილებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა ფსევდონიმით. ჩვენ, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ მის კრიტიკულ წერილებზე, რომლებიც „რჩეულ წერილების" სახელწოდებით წიგნად გამოიცა 1961 წ.

აქვე მოვიგონებ, რომ 1919-20 წ. წ. „კომუნისტის" ფურცლებიდან, ვინ-ბანის ფსევდონიმით ცხარე პოლემიკა იყო გამართული გაზ. „ერთობის" ფურცლებზე გამოქვეყნებული თეკათელის წერილების გამო.

ვინ-ბანი ვ. ბახტაძის ერთერთი ფსევდონიმი იყო. თეკათელი კი ცნობილი მენშევიკი ვიქტორ თევზაია.

ვ. ბახტაძის დიდ ტემპერამენტით დაწერილ წერილებს ნაკლებად აზის ბეჭედი „მოუცლელობისა". მისმა წერილებმა არ იცოდა „შავი" და „თეთრი". მის სტატიას იშვიათად რგებია ხვედრად „გადათეთრება". სად ან ვის რჩებოდა დრო ასეთი „ფუფუნებისა".

მინდა ერთი ამბავი მოვიგონო იმის თაობაზე, თუ როგორ იწერებოდა მებრძოლი სტრიქონები.

1921 წ. იყო. აპრილის 29, ქუთაისში, ღამით შავრაზმელები რევოლვერებით, ყუმბარებით დაესხნენ თავს ავტომანქანას, რომელშიაც ისხდნენ ს. გეგეჭკორი, დ. ლორთქიფანიძე, ვ. ბახტაძე და სხვები.

იმ ღამეს, გვიან, ბინაზე დაბრუნებულმა ვალიამ გაზეთ „მუშა და გლეხისათვის", რომლის რედაქტორი თვითონ იყო, ვრცელი წერილი დაწერა პირველი მაისის შესახებ. საწერ მაგიდაზე ტყვიებით სავსე რევოლვერი ედო. ასე იწერებოდა მებრძოლი სტრიქონები.

მკაცრი დრო იყო. მოუცლელი, დამქანცველი, ჯიუტი, მომთხოვნი. ვალიას საქმიანობაში, მოქმედებაში ესთეტიკა მაინც ყოველთვის პოულობდა ადგილს. უყვარდა ხელოვნება, სილამაზე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციის სარგებლიანობის თვალთახედვით.

მინდა „მნათობიც" გავიხსენო, მის წარსულს შევეხო, რადგან იგი ვალია ბახტაძის სახელთან არის დაკავშირებული.

„მნათობი" ახალ დაარსებული იყო. ეს 1924 წელი გახლდათ.

ასეთი პოპულარული ჟურნალის დაარსების იდეა ვალიამ დიდხანს ატარა და, ბოლოს. 1924 წელს ასრულდა მისი ნაოცნებარი. ჟურნალის რედაქტორი თვითონ ვ. ბახტაძე იყო.

იგი კარდაკარ დადიოდა, რათა ჟურნალის ირგვლივ დაერაზმა საუკეთესონი. თხოვდა მწერლებს, ჟურნალისტებს, კულტურის მოღვაწეებს ეთანამშრომლათ „მნათობში".

მახსოვს სწორედ იმ ხანებში ვალიამ სთხოვა ერთ მწერალს „მნათობისათვის" სათანადო მასალა მიეწოდებინა. გავიდა დრო. დაპირებული მასალა არ ჩანდა, რედაქციაში შემოიარეთო —

სთხოვა ბოლოს რედაქტორმა. მან არც ეს შეასრულა.

ვ. ბახტაძე კარგად ხედავდა, რომ ეს პიროვნება ჟურნალში თანამშრომლობას საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტების სამსახურად სთვლიდა. მაშინ ასე ბევრი ფიქრობდა.

დრო მიდიოდა. დაგვიანებას კი საქმე არ ითმენდა, ახალგაზრდა საბჭოთა საქართველო კულტურულ ძალებს საჭიროებდა...

რატომ უნდა დაეკარგოს ხალხს თავისი შვილის ძალა და ენერგია, რომელსაც ცოდნაც ერჩის, კალამიც უჭრის და ქვეყნის სამსახურიც სწამს! გაიფიქრა ვ. ბახტაძემ და შემოდგომის ერთ ქარიან, მაგრამ თბილ საღამოს მწერლის კარზე ზარი აწკარუნდა. სტუმარს კარი თავად მწერალმა გაუღო და სახტად დარჩა, როცა ვ. ბახტაძე დაინახა. სტუმარი შინ შეიპატიჟა: მასპინძელმა სტუმარს დაასწრო, პირველი სიტყვა მან აიღო, — ხვალ დილით მასალას რედაქციაში მოვიტან, ამხანაგო ვალია!

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს მწერალს. დილის 9 საათისათვის წერილი მზად იყო. 10 საათზე რედაქციის კარი შეაღო. ფიქრობდა, რედაქტორის მისვლამდე მიეტანა მასალა. მაგრამ „მნათობის“ მოსიყვარულე რედაქტორს პარტიის ცკ-შიც მოესწრო შესვლა და მომავალ ნომრისათვის მასალებს ათვალიერებდა.

ვალიას ჩვევად ჰქონდა დილით, ადრე, 8 საათისათვის — ძალიან ხშირად უსაუზმოდ გასულიყო ბინიდან. ჯერ ცეკაში შევიდოდა, სადაც იგი აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას განაგებდა. აქ იმუშავებდა. შემდეგ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციაში შევიდოდა რომელთა ნაწილს თვითონ რედაქტორობდა და შემდეგ ისევ ცკ-ში ბრუნდებოდა. იგი ხომ ბავშვობიდანვე შრომაში იწვოდა.

5-6 საათზე შინ დაბრუნებულს მოაგონდებოდა, რომ მას მთელი დღე არაფერი ეჭამა.

მახსოვს, ერთ დღეს უნივერსიტეტში „მნათობის“ ახალი ნომერი მოიტანეს. მასში ვ. ბახტაძის წერილი იყო. „განწირულთა მწერალი „ანდრეი სობოლი“. ყველა დაინტერესდა ამ წერილით. თავიდანვე ამაღელვებელი და დასამახსოვრებელი სტრიქონებით იწყებოდა იგი. ლექციების შემდეგ თავისუფალ აუდიტორიაში შევიკრიბეთ რამდენიმე სტუდენტი და წავიკითხეთ. კითხვის დროს, აწ განსვენებული პროფესორი (მაშინ დოცენტი) მ. გოგიბერიძე შემოვიდა. ისიც ჩვენთან დაჯდა და სიამოვნებით უსმენდა ჩვენს კითხვას და მსჯელობას. და სწორედ, მაშინ, გვიამბო მან სტუდენტებს „მნათობის“ შესახებ და სხვათა შორის თქვა:

— გერმანიიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი. ეკონომიურად მძიმე პირობებში ვიმყოფებოდი. არსად არ ვმუშაობდი. იმ დროს „მნათობი“ ახალი დაარსებული იყო. ვალიამ მიმიწვია ჟურნალის რედაქციაში სამუშაოდ და თვიურად 150 მანეთი შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი. 150 მანეთი ბევრია, ამხანაგო ვალია. 100 მანეთი საკმარისია-მეთქი — არა! ეკონომიურად მომაგრდები — მითხრა ვალიამ და რედაქციის მდივნად დამნიშნა.

საერთოდ სტუდენტობა გატაცებული მკითხველი იყო „მნათობის“. ერთმა სტუდენტმა „მნათობს“ მეორე სასწავლებელი უწოდა. ესეც ესიამოვნა მოსე გოგიბერიძეს. ის ხომ ამ ჟურნალის ერთერთი დაუღალავი ამაგდარი იყო.

ვალიას ყოველთვის აწვალებდა მრავალი დიდი და „პატარა“ საკითხი. მათ შორის, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხთაგანზე მინდა მოგახსენოთ. ეს პარტიის ისტორიის საკითხი გახლავთ. სწორედ, სიმართლით, სისრულით ასახულ, ნაკლოვანებათა დაუფარავად შედგენილ ისტორიას იგი დღევანდელობის უკეთ წარმართვის თავდებად თვლიდა. „წარსული ყოველთვის დაკავშირებულია დღევანდელთან. პირველის მართალი სურათის დახატვა, აღწერა, ხშირად მეორის სისწორესაც იცავს.“

ერთხელ ამხანაგებთან საუბრის დროს ვალიამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას წერილობითი ისტორია არა აქვსო. ახალგაზრდობას განსაკუთრებით ესაჭიროება და უნდა მივცეთ იგი მას. „ჩვენი პარტიის დასაცავად საქართველოში ჩვენ მხოლოდ ნედლი მასალები გვაქვს. პარტიას რომელსაც ჰყავს ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, რაჟდენ კალაძე და სხვები არა ერთი და ორი საიმედო, მდიდარი და მრავალფეროვანი სიცოცხლე შეზრდილი და სამუდამოდ დაკავშირებული პარტიის დაბადებასთან, ზრდასთან და მომწიფებასთან — ასეთ პარტიას თავისი წერილობითი დამუშავებული ისტორია არ ჰქონდეს — სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილიც არისო“. ამბობდა ვალია.

ვალიას ფანატიკურად უყვარდა ლენინი. დიდად განიცდიდა მის ავადმყოფობას და ღრმად ჩააფიქრა მისმა სიკვდილმა.

თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის განსაკუთრებით უყვარდა და აფასებდა: ნ. ლორთქიფანიძეს, მ. ჯავახიშვილს, დ. შენგელაიას. იგი მათი გატაცებული მკითხველი იყო.

თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში აღმერთებდა გორკის. ახარებდა მისი ოპტიმიზმი.

ვალიას უყვარდა ჭადრაკი. თამაშობდა საკმაოდ ძლიერად.

ვალიას ჭადრაკი, მის სხვა პირად ნივთებთან ერთად, წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

ვალიას, როგორც პიროვნებას, ხშირად ამსგავსებდნენ დიდ მარქსისტსა და რევოლუციონერს — საშა წულუკიძეს. მათ ბუნებაში ბევრი რამ იყო საერთო. თუმც აღზრდა, ცხოვ-

რების პირობები რადიკალურად საწინაამდეგო ხვდათ.

ერთი — ქოხიდან მოვიდა თოხითა და წიგნით. თავისი კლასის ღვიძლი შვილი. თავისი კლასის მოყვარული და მგზნებარე დამცველი.

მეორე — თავადის სასახლიდან წამოვიდა. თავისი კლასის უარმყოფელი და მოძულე.

მაგრამ დიდი იყო მსგავსება.

ცხოვრებაში ორივეს ერთი საზომი ჰქონდათ. ორივეს რევოლუციონერის გული და გონების მაძიებლობა ახასიათებდა. ორივენი მგზნებარე და რომანტიკული პიროვნებები იყვნენ. ორივეს მახვილი კალამი ეპყრა ხელთ რევოლუციის დასაცავად, თანაზიარ ბასრ იარაღთან ერთად. ორივეს შინაგანი სულიერი უდიდესი ძალა ახასიათებდა, რაც უშრეტ ფიზიკურ ენერგიას წარმოშობდა მათში. ამიტომ იყვნენ დაუღალავნი.

ამბობენ ახალგაზრდობას გატაცებით უყვარდაო მგზნებარე საშა. ასევე უყვარდათ ვალია. ახალგაზრდობის შუბლს უწოდებდნენ მას.

მათი მაღალი ზნეობა და დიდი მიზანი საყვარელ ადამიანებად ხდიდნენ მათ.

რაც სწამდათ, მგზნებარედ უყვარდათ და, რაც უყვარდათ, სწამდათ.

ორივენი მთელი სიხარულითა და სიყვარულით, ფიქრებითა და მოქმედებით თავიანთ საყვარელ საქმეს რევოლუციას ეკუთვნოდნენ.

ორივენი ნაადრევად დაიღუპნენ ერთი და იმავე სენით.

1922 წლის გაზაფხულზე ჩვენმა ოჯახმა დაჰკარგა მამა. მამაჩემმა ხელის მოტეხილობისაგან ორი წელი იავადმყოფა და 72 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პირველად განვიცადეთ ოჯახში სიკვდილის საშინელება. ამის შემდეგ კი ჩვენს ოჯახში სიკვდილი სახლის პატრონივით დათარეშობდა.

ვალიამ მწვავედ განიცადა მამის დაკარგვა.

მამაჩემი დაასაფლავეს ყოველგვარი არსებული წესისა და ადათის გარეშე. მღვდლის ლოცვა-კურთხევისა და ქელეხის გარეშე. პროცესიას წინ მიუძღოდა არა ეკლესიის ბაირაღები და მღვდელი, არამედ წითელი დროშები. ჩვენს ქალაქში მიცვალებულის ამ სახით დასაფლავება პირველი შემთხვევა იყო.

ვალიას ხშირად ნახავდით მუშათა ახალგაზრდობაში, მუშფაკებში, პარტსკოლებში, ამ უკანასკნელის საყვარელ ლექტორად ითვლებოდა იგი.

როცა მოსკოვში ჩავიდოდა აუცილებლად ინახულებდა ქართველ სტუდენტებს. გამოესაუბრებოდა, მათ სიხარულს გაიზიარებდა, გასაჭირსა და დაბრკოლებათა დაძლევაში დაეხმარებოდა სიყვარულით, თბილი ზრუნვით. მაშინ მძიმე დრო იყო. ეკონომიურად ყველას უჭირდა. უჭირდა სტუდენტობასაც.

როგორ ახარებდა მას ახალი ადამიანის გამოჩენა, ადამიანების, რომლებიც თანდათანობით ყალიბდებოდნენ კომკავშირის რიგებში, ადამიანების, რომლებიც ასე გაბედულად შეყვებოდნენ ჩვენს საუკუნეს. ეს დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას ანიჭებდა მას.

არა მხოლოდ შემოქმედებითს დაწინაურებაში უწყობდა ხელს ვ. ბახტაძე უკვე ჩამოყალიბებულ და ახალბედა მწერლებს, არამედ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა მათდამი. ვალიას ასეთი ზრუნვა განიცადეს პატივცემულმა ამხანაგებმა: ბ. ჟღენტმა, ვ. გორგაძემ, დ. შენგელაიამ. აწ განსვენებულმა ვ. გაბესკირიამ, ს. ეულმა და ბევრმა სხვა ძველმა და ახალგაზრდა მწერალმა, რომლებიც გაბედულად თუ გაუბედავად გამოდიოდნენ სამწერლო ასპარეზზე.

20-იანი წლების მწერალთა უმრავლესობას გამოჰყვა ვალიას მზრუნველი, თბილი გრძნობების მადლი და მარილი.

1926 წელს, მოსკოვში ყოფნის დროს, ვალია საბედისწეროდ გაცივდა. მას აღმოაჩნდა ტუბერკულოზი. ვალიას მტკიცე ხასიათი ვერ გალუნა ავადმყოფობამ, იგი კვლავ შემოქმედებითი წვით, მისებური ენერგიით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს.

ვალია თავიდანვე დიდი ოპტიმისტი და მხნე პიროვნება იყო. დიდი შინაგანი ძალის მფლობელი. და ასეთად დარჩა იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

მართალია, ოპტიმიზმი დამახასიათებელია ყველა რევოლუციონერისათვის, მაგრამ იგი რაღაც განსაკუთრებული „დიდი დოზით" იგრძნობოდა მის არსებაში.

ვალიამ მეტად თბილი და საინტერესო საუბარი იცოდა, ღრმა ემოციური. დღესაც, როგორი სიყვარულით იგონებენ მის საუბარს ისინი, ვისაც მოუსმენია, მაგარამ ვაი, რომ ასეთები ძალიან ცოტანი არიან ცოცხალთა შორის. იგი ისეთივე შთამაგონებელ მოსაუბრედ დარჩა მისი სარეცელის ირგვლივ შემოკრებილი ამხანაგების, მეგობრებისა და თავისიანების მიმართ.

— კარგი ადამიანები ხშირად იყრიან თავს ჩემს საწოლთან. ზოგჯერ თავად ისინი მოდიან, ზოგჯერ კი მოგონებები მესტუმრებიან. აქვე ჩამოსხდებიან ხან წიგნების სახით, ხან კიდევ ყვავილების სახითაც. იტყოდა ავადმყოფი ვალია სევდიანი ღიმილით.

მას უყვარდა ყვავილები და, როცა შემოუგზავნიდნენ, ბავშვივით უხაროდა.

ხშირად ნახულობდნენ ავადმყოფ ვალიას უფროსი ამხანაგები. შვილივით მიყვარსო ვალია, რამდენჯერ უთქვამს ფილიპე მახარაძეს. ემძიმებოდა მწოლიარე ვალიას ნახვა, მაგრამ მაინც ხშირად ესტუმრებოდა ავადმყოფს.

ვალიას ყოველთვის ახარებდა ყოველი ახალი წიგნის, ჟურნალ-გაზეთების გამოსვლა, სიცოცხლის უკანასკნელ ხანებშიც კი, როდესაც

კითხვაც არ შეეძლო, დიდ ინტერესს იჩენდა ყოველი ახალი წიგნისა თუ ჟურნალისადმი და, როდესაც „მნათობის“ და „ნოვი მირის“ ახალ ნომრებს მოვუტანდი სარეცელზე მიჯაჭვულს, მის სახეს მისებური ღიმილი გადაეფინებოდა. მისი ნათელი, მეტყველი, თვალები ახალი იმედის სხივით გაცისკროვნდებოდა. მას „მნათობი“ და „ნოვი მირი“ განსაკუთრებით უყვარდა.

1929 წლის იანვარში ვალიას ავადმყოფობას თან დაერთო აპენდიციტის მწვავე გართულება, რამაც საბოლოოდ ჩააწვინა ლოგინში. გაიგეს თუ არა ეს ამხანაგებმა, მეგობრებმა გამამხნევებელ წერილებსა და დეპეშებს უგზავნიდნენ მას აბასთუმანში. „მხნედ იყავი, შენ აქაც გაიმარჯვებ. ვაცნობეთ მოსკოვს, — შენი მამია. წერდა მამია ორახელაშვილი ვალიას.

„პირველი მატარებლით ვგზავნით პროფესორ მაჭავარიანს კარგად იქნები, — შენი ლავრენტი ქართველიშვილი.

„სერგო ორჯონიკიძის განკარგულებით თბილისში ვალია ბახტაძის სამკურნალოდ იგზავნება პროფესორი დოსტაქარი ბურდენკო“ — იტყობინებოდა მოსკოვი.

1930 წელს, თებერვალში ჩვენს ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება. საწოლზე მიჯაჭვულმა ვალიამ განიცადა უკუღმართი „ბედის“ საშინელი რისხვა. მას ხელიდან გამოეცალა ერთადერთი შვილი, ოთხნახევარი წლის ემუსი.

მძიმე გულისტკივილით ვიგონებ იმ მწუხარე დღეებს, როცა ჩვენი პატარა ემუსი გარდაიცვალა და ვალიას ამხანაგების გადაწყვეტილებით ეს შემზარავი ამბავი ვალიასათვის პოლიკო კიკალიშვილს უნდა ეცნობებია საავადმყოფოში. — მძიმე ტვირთი ამკიდეთ, ჩაილაპარაკა ყრუდ პ. კიკალიშვილმა და თეთრი თმებით დაფარულ თავზე ხელი გადაისვა. გასაოცარი მოთმენით მოისმინა ეს საშინელი ცნობა ვალიამ. დუმილმა მოიცვა მთელი მისი არსება. დიდხანს ხმა არ ამოუღია. ეს იყო ადამიანის უდიდესი სულიერი ტრაგედია, რომელიც .ი ოდესმე საერთოდ განუცდია კაცს ამ ქვეყნად.

1930 წლის 4 დეკემბერს გარდაიცვალა ვალია ბახტაძე სრულიად ახალგაზრდა, 34 წლის ასაკში.

ვალია ხომ ახალგაზრდა მწერლების საყვარელი ხელმძღვანელი იყო. მას — ჩვენს ვალიას — ეძახდნენ. ამიტომაც იყო პატივცემულმა პოეტმა ამხანაგმა კ. კალაძემ ვ. ბახტაძის გარდაცვალების გამო დაწერილ ლექსში საყვარელი მოწაფის ცრემლით დაიტირა ჩვენი ვალიას უდროოდ დაკარგვა.

პატივცემულმა ვ. გორგაძემ და ბ. ქლენტმა პირნათლად მოიხადეს ვალი ვალიას ხსოვნის წინაშე. მათ დიდი ამაგი დასდეს ვალიას ხსოვნის უკვდავყოფას.

აწ განსვენებულმა პოეტმა ს. ეულმა ლექსით მიმართა ვ. ბახტაძის გაციებულ ცხედარს 1930 წლის 7 დეკემბერს. ლექსი იმავე დღეს დაბეჭდა გაზ. „მუშამ“.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ პატივცემულმა მწერალმა ა. ქუთათელმა თავისი დიდტანიანი რომანი „პირისპირში“ ვანო მახათაძის სახით ვალია ბახტაძე დაგვიხატა.

პატივცემულმა დრამატურგმა პ. კაკაბაძემ მახსოვს, ერთხელ თქვა, ჩემს ცხოვრებაში სულ სამი საყვარელი მეგობარი მყავდა და მათ შორის პირველ რიგში, ვალია ბახტაძე დაასახელა.

კომკავშირი თავის საიმედო და საყვარელ მასწავლებლად, წინამძღოლად და მეგობრად თვლიდა ვალიას და შემთხვევითი არ იყო, რომ გვირგვინის ლენტს — რომლითაც კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი უდროოდ დაღუპული ვალიას ცხედარი შეამკო, ასეთი წარწერა ჰქონდა: ახალგაზრდობის საყვარელ და საიმედო წინამძღოლს, ამხანაგ ვალია ბახტაძეს კომკავშირის ცკ-გან.

ვალია ბახტაძეს აფასებდა არა მხოლოდ პარტიული ამხანაგები და კომკავშირი, არამედ უპარტიო ინტელიგენცია, მუშათა მასა. ყველა ებრძოდა ვალიას სნეულებას, ყველა ოცნებობდა მის გადარჩენაზე. მაგრამ ამაოდ. მე მაგონდება ახალგაზრდა ექიმი, ამჟამად პროფესორი, პატივცემული მარიამ კვირკველია. ვალიას დიდი დამფასებელი და საყვარელი მეგობარი. მან დიდი ამაგი დასდო ჩვენს ოჯახს. მას ჩვენი ვალიას ჯანმრთელობის დაუზარელ და ფხიზელ მეთვალყურეს უწოდებდნენ. რომელ ჩვენს ნათესავსა თუ ამხანაგს არ უნახავს იგი ავადმყოფი ვალიას სასთუმალთან. არ ზოგავდა ძალასა და ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას, რათა საწოლზე მიჯაჭვული საყვარელი ადამიანისთვის მძიმე განცდა და ულმობელი ხვედრი შეემსუბუქებინა.

პატივცემულ მარიამს ანცვიფრებდა ვალიას რკინისებური ნებისყოფა, ამტანობა, ერუდიცია და ენერგია. მისი კულტურა და მაღალი ზნეობა.

და დღესაც იგონებს იგი ვალიას და ახლაც გამოთქვამს გაკვირვებას მისი ხასიათის სიმტკიცისა და გასაოცარი ადამიანური სრულყოფილების გამო. სად გააჩნდა ავადმყოფს ეგ ტიტანური ძალა, ნება და ქედუხრელი ზნეობრივი სიმტკიცე — დასძენს პატივცემული პროფესორი და მის თვალებს სისველე შეეპარება... დიდი შინაგანი სითბოთი უყვარდა და უყვარს მას დღესაც ჩვენი ვალია.

ვალიას პიროვნებით ძალზე მოხიბლული იყო აწ განსვენებული ვალიას მკურნალი პროფესორი მაჭავარიანი. — ვალია, ეს ის პიროვნება იყო, რომელსაც ნაპირზე ცურვა როდი უყვარდა, ზოგ მშიშარა მცურავივით. მწვავე სულიერი ტკივილები განმაცდევინა მისმა დაღუპვამ. უძლური აღმოვჩნდი მისი სენის წინააღმდეგო — დანანებით უთქვამს ერთხელ ჩემს მეუღ-

ლესთან შალვა ტაბიძესთან საუბარში. ასეთივე განწყობილებით იყო ვალიასადმი აწ განსვენებული პროფესორი ტყემალაძე.

ესენი მწუხრში შეძენილი მეგობრები იყვნენ და მეგობრებად დარჩნენ სიკვდილის შემდეგაც.

ბევრს, ბევრს უყვარდა ვალია. ვინც დაუახლოვდებოდა, არ შეიძლებოდა არ შეყვარებოდა იგი. ვალიამ ხომ უსაზღვრო მეგობრობა იცოდა, მაგრამ მას მეგობრობა მხოლოდ თავისი კლასის შვილებთან შეეძლო. „მე მეგობრობა, მხოლოდ მუშათა კლასის მეგობრებთან ვიციო“. წერდა იგი ერთერთ კერძო წერილში.

მახსენდება ერთი ამბავი. ეს 1956 წელი იყო. პოეტ სანდრო ეულთან ვიყავი, საჯარო ბიბლიოთეკაში. მასთან სტუმრები იყვნენ, მათ შორის, გალაკტიონი. მგოსანმა ვერ მიცნო. ეულმა შეახსენა, ვალია ბახტაძის და არისო.— სად დაიკარგეთ, არ ჩანხართ? — შემეკითხა, მაგრამ ჩემს პასუხს არ დაუცადა. — ეჰ, ვალია, ვალია! ჩვენი „მნათობი“, „მნათობი“ ჩვენი ჟურნალი — ერთ ძაფზე მძივებივით სწრაფად ასხა ეგ სიტყვები თბილად. საყვარლად, სასიამოვნოდ.

1964 წელს „მნათობს“ 40 წელი შეუსრულდა. საიუბილეო შეკრება მწერალთა კავშირის შენობაში მოეწყო. ბევრი რამ ითქვა „მნათობზე“, მოიგონეს ისინი, ვინც „გენიალურ ჰარმონიის აზრს შესწირეს თავი“. თბილი, ძალიან თბილი და გაუხუნარი სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონეს ვალია ბახტაძე პატივცემულმა ამხანაგებმა დემნა შენგელაიამ და ბესარიონ ჟღენტმა.

ეს დღე დღესასწაულს ჰგავდა.

ჩვენი ვალიას ცხოვრებისა და ხსოვნის თარიღებიდან ერთერთ საყვარელ და ძვირფას თარიღად დამრჩა ეგ დღეც.

წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა დიდი მუშაობა ჩაატარა ვალია ბახტაძის ცხოვრებისა და ბრძოლების ამსახველი დოკუმენტების თუ პირადი ნივთების შეკრების საქმეში. ამ საქმისადმი დიდი სიყვარული და მონდომება გამოიჩინეს ამხანაგებმა მაგული ტაბიძემ და ვალოდია ბულეიშვილმა.

მშობლიურმა რაიონმა არ დაივიწყა თავისი შვილი და 1966 წელს ვალია ბახტაძის დაბადების 70 წლის თავი დიდი ზეიმით აღინიშნა და ქუჩას, რომელზედაც ჩვენი ვალია ცხოვრობდა, ვალია ბახტაძის სახელი უწოდა.

[illegible] 179-190 გვ.
[illegible]
1996წ. 14/III

პირობადებული, რომ „ქართლის“ ფართო მნიშვნელობით ხმარებას დიდი ისტორია ჰქონდა და საკმაოდ განმტკიცებული იყო. ამ ისტორიის სრულყოფილად გასათვალისწინებლად ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიერ განხილული თარგმანის ჩვენებას. ერთი სიტყვით, „ექუსთა დღეთაჲს“ ადრინდელი ქართველი მთარგმნელის მიმართაც ძირითადად, ვფიქრობთ, შეგვიძლია გავიმეოროთ ის სიტყვები, რომლებიც ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმულია უფრო გვიანდელი ძეგლის („ილარიონ ათონელის ცხოვრება“) შესახებ: „უკვე გადალახულია „ქართლისა“ და „საქართველოს“ ვიწრო ეთნოგრაფიული საზღვრები და „ქართლი“ ზოგადქართულ სახელწოდებადაა ქცეული“ (მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“, თბ., 1963, გვ. 279).

* * *

დაისმის ასეთი საკითხიც: რამდენად შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ქართველ მთარგმნელს „დასავლეთის იბერთა“ და ქართველების ურთიერთობა? მათი ურთიერთობის შესახებ ანტიკური ხანის და შემდეგდროინდელ ისტორიკოსებს მრავალგვარი აზრი გამოუთქვამთ. მათ ერთგვარ შეჯამებას გვაძლევს აპიანე (II ს. ჩვ. წ.) „მითრიდატიკაში“: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგი (ამათ) ახალშენეებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახლეებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი და არც ენაო“ (აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 159). როგორც ვხედავთ, შესაძლებელ თვალსაზრისთა არჩევანი ფართო ყოფილა:

1. პირველი მოსაზრებით, ესპანეთის იბერების წინაპრები ქართველები არიან. იგულისხმება, რომ ესპანეთში შემდგომ არიან გადასახლებულნი; 2. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი საპირისპირო აზრს გამოთქვამდა, რომ იბერთა საერთო წინაპრები ესპანეთის იბერებია და „აზიის იბერები“ შემდეგ არიან აქეთკენ გადმოსახლებულნიო; 3. სხვა ავტორები კიდევ, ამათგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისის დასაბუთებას ცდილობენ: ეს ორი იბერია მხოლოდ და მხოლოდ თანამოსახელეა, მათ შორის არავითარი ნათესაობა არ არსებობსო. ამის დასამტკიცებლად მიუთითებენ იმაზე, რომ არც ენა და არც ეროვნული ჩვეულებანი არ ანათესავებთო მათ.

რომელ თვალსაზრისს ემხრობოდნენ ჩვენში? ორიგინალურ ქართულ მწერლობაში ამ საკითხის **განხილვა** არ მოგვეპოვება. საერთოდ კი, როგორც დავინახეთ, იოანე და შემდეგში გიორგი ათონელი იბერთა შორის ნათესაურ კავშირს აღიარებენ. თუ ჯერ კიდევ X ს-ის მეორე ნახევარში ასეთი რწმენა სავსებით დამკვიდრებულია, ჩანს, რომ იგი დიდი ხნის ტრადიციით უნდა იყოს გამტკიცებული.

გვიან (დაახლოებით XVIII ს. II ნახ.) ამ საკითხით დაინტერესებულა ტ. გაბაშვილი. იგი წერს: „აღმომეკითხა წერილთა შინა ჩუენთა, ვითარმედ ბერძულისაგან სპანთა ენაზე ვთარგმნეო, ქართველნი მთარგმნელნი წერენ (ქართუელთა უწესენ შპანიად), ამისათვის ვკითხევდი ევგენიოს, ხოლო იგი განგვიმარტებდა, ვითარმედ არის ძველთა წერილთა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან, და უწოდეს მეფესა შპანიისასა ქართველი და კვალად შპანიელნი წარსულან საქართველოსა შინა და მუნ დამკვიდრებულან, ამისათვის ქართველთა და შპანიელთა ურთიერთას სახელი ენაცვლებიან“ (მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 55. ამ საკითხზე ელ. მეტრეველის გამოკვლევაში იხ. იქვე, გვ. 246).

ვფიქრობთ, რომ ქართველ მთარგმნელს, რომელიც იყენებს ტერმინს — „ქართველნი დასავალისანი“ (resp დასავლეთისანი), გააზრებული უნდა ჰქონოდა მათი ნათესაობა „აღმოსავლეთის“ ქართველებთან. იგი მიჰყვება აზრს, რომელიც მანამდე ფრიად გავრცელებული იყო არაქართულ წყაროებში. ამდენად, ტერმინი „ქართველნი დასავალისანი“ ეხმაურება — უკავშირდება თუ შეუპირისპირდება — გავრცელებულ ტერმინებს: „აზიელი იბერები“ (აპიანე), „აღმოსავლეთის იბერები“, „პონტოს იბერია“, ჩვეულებრივ — „იბერია“ და სხვა, ხოლო, მეორეს მხრივ, „ესპანეთის იბერები“, **Liber generationis**-ის **Celtiberi** (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, 1965, 15), და ა. შ.

* * *

ჩვენთვის საგულისხმოა თვით ის ფაქტიც, რომ ბასილი კესარიელი ეხება ამ საკითხს მისი დიდი ავტორიტეტი ამ საკითხისადმი მთელი საქრისტიანოს მწერლობის ყურადღებას მიაქცევდა. მეტადრე, რომ „ექუსთა დღეთაჲ“ ფრიად პოპულარული ნაწარმოები იყო უკვე ადრეული შუა საუკუნეებიდანვე. ძველ საქართველოში ის იყო ერთ-ერთი მთავარი სასწავლო წიგნი. მის გვერდით შეგვიძლია დავასახელოთ: „სახისა სიტყუაჲ („ფიზიოლოგი“). ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა“, გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს“, ეპიფანე კვიპრელის „ათორმეტთა თუალთათჳ“ და „საზომთათჳს და საწყაულთა“. და, განსაკუთრებით, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაჲ.

ამ უკანასკნელს გარდა, „ექუსთა დღეთაჲ“ ყველაზე მნიშვნელოვან წიგნად ითვლებოდა აღმოსავლეთის საქრისტიანოში. იგი წარმოადგენდა ბუნებათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელოს. აკად. მ. ნ. ტიხომიროვი სპეციალურად ჩერდება რუსული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში «Шестоднев»-ის მნიშვნელობაზე. აკად. მ. ნ. სპერანსკის სიტყვებით, «Шестодневы» сообщали всевозможные данные тогдашней науки. Эти данные почерпались, главным образом, из того наследства, которое средневековой Европе осталось от античного времени, в Византии, главным образом, от Греции, Востока» (Тихомиров М. Н., Русская культура X—XVIII веков, М., 1968, 129; М. Н. Сперанский, История древней русской литературы; М., 1921, 230. შდრ. ილია აბულაძის შესავალი წერილი „ექუსთა დღეთაჲს“ მისეულ გამოცემაში).

ზემოაღნიშნული საკმარისია, რათა გავითვალისწინოთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ნაწარმოებს ძველი ქართული მწერლობისა და აზროვნებისათვის.

აქედან გამომდინარე ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს თხზულება ქართულ ენაზე უნდა არსებულიყო ადრევეც, ჩვენამდე მოღწეული ქართული თარგმანის წინარე. ზემოაღნიშნული საჭიროების გამო ეს ნაწარმოები უძველეს პერიოდშივე ყოფილა ნათარგმნი (ზოგიერთის აზრით, V ს-ში) სომხურად. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ადრეულ საუკუნეებში ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო სწავლების ერთიანი პრინციპები, რომლებიც ემყარებოდა ცნობილი ნიზიბინის სკოლის პრინციპებს (იხ. კეკელიძე ქართული ლიტ. ისტ., 1, გვ. 80-81). შეიძლებოდა სავარაუდოდ ისიც თქმულიყო, რომ „ექუსთა დღეთაჲს“ თარგმანი უნდა უსწრებდეს გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს“ თარგმანს, რამდენადაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბასილის შრომის გაგრძელებას. ნათარგმნია სომხურიდან VIII-IX სს-ში (ნ. მარი). თუმცა, როგორც ითქვა, ყოველივე ეს ზოგადი ვარაუდია, რომელსაც შეუძლია მხოლოდ საკითხის დაყენება.

მაგრამ ჩვენ **მოგვეპოვება პირდაპირი მითითებაც, რომ ბასილის ამ შრომის სხვა, ადრეული თარგმანიც უნდა არსებულიყო.** მხედველობაში გვაქვს გიორგი მთაწმინდელის ანდერძი, რომელიც მას დაურთავს „ექუსთა დღეთაჲ“ საკუთარი თარგმანისათვის. იგი წერს: „თუ რაჲზომნი ღუაწლნი გჳნახვან ამისსა თარგმანსა, იგი ღმერთმან იცის. რამეთუ აღურიცხელად ღრმაჲ არს და შეუკადრებელი. და ღმერთმან იგი პ ი რ ვ ე ლ ნ ი ც ა თ ა რ გ მ ა ნ ნ ი აკურთხენინ, დიდად ქელი აღმიპყრიესო“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები I, გვ. 292). ჩვენ არ შევუდგებით მოტანილი ადგილის შესახებ მეცნიერებაში გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებების განხილვას და შევჩერდებით მხოლოდ ერთ მომენტზე, რომელიც ჩვენთვის საყურადღებო თვალსაზრისით არაა გაანალიზებული.

ეს ანდერძი ეხება კონკრეტულად ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ **და არა სხვა ავტორის** ასეთსავე ნაწარმოებს (მაგ., „სებერიანე გაბალოვნელის ნაშრომს, გადმოღებულს ქართულად, მისი (ქართული მწერლობის) ისტორიის ადრეულ ეტაპზე“. (ილ. აბულაძე, დასახ. წერილი. გვ. 9.). მეტადრე იგი **არ უნდა შეეხებოდეს სხვა თარგმანს.**

მაგრამ აქ ყურადღებას მივაქცევთ სხვა გარემოებას: გიორგი ათონელის სიტყვები — „პირველნი თარგმანნი“ — გულისხმობს ამ ნაწარმოების რამდენიმე მთარგმნელს. ეს გვაფიქრებინებს, რომ გიორგი ათონელამდე არსებულა **ა მ თ ხ ზ უ ლ ე ბ ი ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე თ ა რ გ მ ა ნ ი.** ერთი მათგანი ჩვენთვის უკვე ცნობილია. ესაა ჩვენს მიერ მოხმობილი VIII-IX სს. თარგმანი. მაშასადამე, არსებობდა სხვაც, რომელიც, ჩვენს მიერ წამოყენებულ მოსაზრებათა საფუძველზე, საფიქრებელია შესრულებული იყო უფრო ადრინდელ ხანაში. ასე გვესახება ჩვენ შინაარსი გიორგი ათონელის ანდერძის იმ სიტყვებისა, რომლებიც ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ ადრინდელ მთარგნელებს შეეხება. ასეა თუ ისე, ერთი ცხადია, რომ **უნდა არსებულიყო ბასილის ამ ნაწარმოების კიდევ ერთი, დღეისათვის უცნობი თარგმანიც.**

მაგრამ დაისმის კითხვა:საზოგადოდ, მოსალოდნელი იყო თუ არა ერთი თხზულება ასე რამდენიმე გზის ეთარგმნათ? ეს არა თუ მოსალოდნელია, არამედ ჩვეულებრივიცაა ძველი ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის, მეტადრე, თუ საქმე ასეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს შეეხება (ასეთივეა, მაგ., იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაჲს“ თარგმნის ისტორია). ამის საფუძველი ხშირად ხდებოდა თუნდაც ის, რომ ბერძნული თხზულება ადრე თარგმნილი იყო სომხურიდან და ქართული თარგმანი ორჯერადად დაშორდებოდა დედანს (ასეთ ფაქტზე ეფრემ მცირე წერდა: „სომხურისა შვილსა და ბერძნულისა შვილის შვილსა, ნუუკუე და არა უეჭველსა, თჳთ უეჭვ და საკუთარი შვილი აღვირჩიეო“).

• • •

ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“ გიორგი ათონელის თარგმანი XI საუკუნის 50-იან წლებს განეკუთვნება.

ამის შემდეგ. XI ს-ის გასულამდეა თარგმნილი „ამბროსი მედიოლანელის ცხოვრება“ თეოფილესა და ეფრემ მცირის მიერ, რომელიც

იგივე ცნობებს შეიცავს; მასში შეგვიძლია ამოვიკითხოთ (მოგვყავს ეფრემის თარგმანით): „მყის მიიყვანა იგი საქართველოით, რომელსა-იგი სპანიადცა უწოდებენ“ (ხელნაწერი A 90, გვ. 115). ესაა, ასე ვთქვათ, ბერძნულიდან ნათარგმნი უკანასკნელი ძეგლი, რომელშიაც „ესპანეთის ქართველები“ მოიხსენებიან. ამის შემდეგ ქართულ მწერლობაში არც ორიგინალურში და არც ნათარგმნში აღარ გვხვდება ეს საკითხი. აღორძინების ხანამდე (1700 წ.).

დაისმის კითხვა: რატომ არ გვხვდება ეს საკითხი მომდევნო ხანის (XII-XVII სს.) ჩვენს მწერლობაში? ის ხომ ერთ-ერთი საინტერესო საკითხთაგანი უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის ეთნოგენეზისის თუ „ხალხთა განრიგებისა და კლასიფიკაციის“ თვალსაზრისით?

სხვა კონკრეტულ ფაქტორებთან ერთად ამას ჰქონდა ორი ზოგადი ხასიათის საფუძველი: 1. ნათარგმნ თხზულებებში იმიტომაც ვერ ვხვდებით ამ საკითხს, რომ საისტორიო თხზულებები ჩვენში საერთოდ ნაკლებად ითარგმნებოდა. ასეთი საკითხები კი სწორედ საისტორიო თხზულებებში შედიოდა. საისტორიო ნათარგმნ თხზულებათა „ასეთი სიმცირე აიხსნება არა იმით, რომ ქართველებში გემოვნება ისტორიისადმი განვითარებული არ იყო, არა იმით, რომ ისინი მოკლებულნი იყვნენ ისტორიულ ალღოს. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება წამოვაყენოთ ის უდიდესი და უმდიდრესი, მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოდ ისტორიული ლიტერატურა, რომელიც მათ საკუთრივ, ორიგინალურად, შეუქმნიათ და რომელშიაც თავისი სამშობლოს ეკლესიურსა და პოლიტიკურ ვითარებას მოგვითხრობენ“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტ., I, გვ. 500). ბერძნულიდან ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებანი კი, იშვიათად შეიცავდა ამ საკითხს. ზემოჩამოთვლილი ბერძენი ავტორების შრომები კი (იხ ლ. მელიქსეთ-ბეგი) სწორედ საისტორიო ხასიათისაა. ისინი ქართულად არ ყოფილა ნათარგმნი. ქართულად ნათარგმნი ის ბერძნული შრომები კი, რომლებშიაც აღნიშნული ცნობები შედის, არც ერთი არაა წმინდა საისტორიო ხასიათისა. ისინი უპირატესად ეგზოტიკური თხზულებანია. და მაშასადამე, თარგმნილია არა ისტორიოგრაფიული ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ სასწავლო დანიშნულებისათვის. სასწავლო დანიშნულების ამ რიგის სახელმძღვანელოები კი ძირითადად X-XI საუკუნისათვის უკვე თარგმნილია ჩვენში. აი, ერთ-ერთი საგულვებელი მიზეზი იმისა, თუ IX საუკუნის ბოლოდან და მის მომდევნო ხანებში კვლავ ახალი ძეგლები რატომ არ შემოდის ჩვენში, რომლებიც შეეხებოდნენ აღნიშნულ საკითხს.

2. მეორე მიზეზი, ჩვენის ფიქრით, უნდა ყოფილიყო აღმსარებლობითი ხასიათისა. როგორც ცნობილია, 1054 წელს საბოლოოდ გაითიშა დასავლური (ე. წ. კათოლიკური) და აღმოსავლური (მართლმადიდებლური) ეკლესიები. ანტიკათოლიკური პოლემიკა გავრცელდა ჩვენშიაც (თუმცა მას არ მიუღია ისეთი ხასიათი, როგორიც ბიზანტიაში ჰქონდა). უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ მართლმადიდებლური ორთოდოქსალობის თვალსაზრისით ორიგინალურ ქართულ მწერლობაში გაფერმკრთალდა აქტუალობა დასავლეთის იბერებთან ნათესაობისა, ვითარცა კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევრებთან: მართლმადიდებელი ქართველების სარწმუნეობრივ პოლიტიკას ამიერკავკასიაში მათი სახელმწიფოებრივი ძლიერების აღმავლობის ჟამს (XI-XII ს. ს.) აღარ შეესაბმებოდა ასეთი აღმსარებლობითი ნიჰილიზმი. თანაც გავიხსენოთ, რომ ეთნიკური ტერმინი „ქართველი“ აღმსარებლობით მართლმადიდებლის შინაარსს გულისხმობდა. აი, ამ მიზეზების გამო ბუნებრივია, რომ ესპანეთის ქართველებთან ნათესაობის საკითხმა ორიგინალურ ქართულ მწერლობაში მომდევნო ხანებში ფეხი ველარ მოიკიდა.

* * *

დასკვნა: ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ გიორგი ათონელის წინადროინდელი თარგმანი, რომელსაც VIII-IX საუკუნეებით ათარიღებენ, ქართულ მწერლობაში შემოსულ ჩვენთვის ცნობილ ძეგლთაგან უძველესია, რომელშიაც მოხსენებულია „დასავლეთის (ესპანეთის) ქართველები“. ეს საკითხი ადრევეც უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართული მწერლობისათვის. გიორგი ათონელის მიხედვით ირკვევა, რომ არსებობდა ამ ნაწარმოების კიდევ ერთი, დღეისათვის უცნობი თარგმანი.

„ესპანეთის ქართველთა“ შესახებ ცნობების გავრცელებაზე ჩვეულებრივ ლაპარაკია X საუკუნის გასულისა და მეთერთმეტის პირველი ნახევრისათვის მართლაც, ამ პერიოდზე მოდის თითქმის უმეტესი ნაწილი იმ ძეგლებისა, რომლებიც ჩვენთვის საყურადღებო ცნობებს შეიცავს. „ესპანეთის ქართველებთან“ უშუალო დაკავშირების ინტერესიც ამ ხანას განეკუთვნება. შესაბამისად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ამ პერიოდიდან გახდა საზოგადოდ ცნობილი ქართველებისათვის საკითხი ესპანეთის იბერებთან ნათესაობისა. მაგრამ ამ საკითხის შემცველ უფრო ადრინდელ თარგმანებზე მითითებას და ტერმინების ისტორიულ განვითარებაზე დაკვირვებას საკითხის ისტორიაში მეტი სინათლე შეაქვს და ზოგიერთი გამომდინარე პრობლემის გაშუქებასაც უწყობს ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ფოცხიშვილი

# ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან

ენათმეცნიერებაში არაფერია არაისტორიული!

ეს დებულება ახლა, სტრუქტურული ენათმეცნიერების აყვავების ეპოქაში, შეიძლება პარადოქსადაც გვეჩვენოს, მაგრამ მისი უარყოფის საბუთად მაინც ვერ გამოდგება. ენათმეცნიერების ობიექტი — ენა ისეთი ფენომენია, რომელშიც არაფერია, რაც არის და არ იყო, ენაში არაფერია დღევანდელი, რომელიც ამასთანავე ოცი-ოცდაათი, იქნებ ასეული წლების წინანდელი მაინც არ იყოს. „დღევანდელი“ ენაში თავისთავად ნიშნავს „გუშინდელსა“ და „გუშინწინდელს“. ამიტომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით წარმოუდგენლია ენის სტატიკური გრამატიკა—მისი განივი ჭრილის აღმწერი, რადგან აბსოლუტურად შეუძლებელია ამ განივი ჭრილის დათარიღება, მისი შემადგენელი ნაწილების ხნოვანება შეიძლება საუკუნეებითაც გაიზომებოდეს, ან იქნებ ათეულ წლებსაც არ ითვლიდეს.

ენას თითქოს არც ეხება დიალექტიკის ცნობილი დებულება: ერთ დინებაში ორჯერ გავლის შეუძლებლობის შესახებ — ჩვენ წლების განმავლობაში დავდივართ მდინარის ერთსა და იმავე დინებაში.

ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ენა უცვლელი ფენომენია, რომ იგი არ ემორჩილება დიალექტიკის ცნობილ კანონს — ყოველივეს განვითარების შესახებ. ენაც იცვლება, როგორც ყველა და ყველაფერი, მაგრამ მისი ცვლის ტემპები და ხასიათი მეტად ნელი და თავისებურია.

მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: ენათმენციერება მხოლოდ წარსულის მეცნიერებაა. ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ფაქტს ენათმეცნიერული კვლევის ისტორიიდან, რომელიც წინ უსწრებდეს საკვლევი ობიექტის წიაღში მომხდარ ცვლილებებს, უფრო მეტიც, ჩვენ ზუსტად არ შეგვიძლია დავასახელოთ ენის ფენომენში მიმდინარე თანამედროვე მოვლენები, რომელთა შედეგის თუნდაც უმცირესი ნაწილის წინასწარგანჭვრეტა შეიძლებოდეს.

ენათმეცნიერებას ამ ბოლო ხანებში ბუნების მეცნიერებებს ადარებენ იმ საბუთით, რომ ბუნების მეცნიერებათა მსგავსად, ენათმეცნიერებასაც ბევრი ზუსტად ჩამოყალიბებული კანონი აქვს. იქნებ ეს დებულება მართლაც იყოს ანგარიშგასაწევი. მაგრამ მსგავსება სწორედ აქ თავდება და იწყება განსხვავებათა უზარმაზარი უფსკრული, რაც წინასწარგაჭვრეტათა შეუძლებლობის ურყევ საფუძველს ექრდნობა. ბუნების მეცნიერებათა აბსოლუტური უმრავლესობა (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ასტრონომია...), შემადგენელი უამრავი ვიწრო დარგებით, წინასწარგანჭვრეტათა საფუძველზე ვითარდება; ყველა ამ მეცნიერების თეორიული ნაწილი პირველ ხანებში მხოლოდ მეცნიერული ფანტაზიაა, რის შემოწმებასაც ეთმობა ძირითადი მეცნიერული კვლევა.

ენათმეცნიერებაში კი ყველაზე უფრო მეოცნებე მკვლევარსაც არასდროს დაებადება აზრად, თუნდაც ყველაზე უფრო გაბედული ფანტაზირების დროს, იწინასწარმეტყველოს ენის ხვალინდელი დღის თუნდაც მიკროსკოპული მხარე.

ხშირად ლაპარაკობენ ენაში განვითარების ზოგად ტენდენციებზე თუ ე. წ. უნივერსალიებზე. ყველაფერი ეს ზოგადად მართლაც სწორია, მაგრამ იგი მხოლოდ წარსულის ათასწლოვანი გამოცდილების ღრმად შესწავლის განზოგადოებაა და არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, იმოქმედებენ თუ არა ეს ზოგადი კანონები და უნივერსალიები ხვალ (დროის შორეული მონაკვეთის თვალსაზრისით).

ენის განივი ჭრილი გეოგრაფიულ ცნებას

უფრო ჰგავს, ვიდრე — ისტორიულს, რადგან ამ განივ ჭრილშიც ისეა სხვადასხვა ეპოქის ფაქტები ერთიმეორის გვერდით, როგორც გეოგრაფიულ რუკაზე ხშირად ოცსაუკუნოვანი ქალაქის გვერდით ათი წლის წინათ საფუძველჩაყრილი ქალაქიც გვხვდება.

ამით იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს აღწერითი გრამატიკა შეუძლებელია, პირიქით, იგი შესაძლებელიცაა და აუცილებელიც, მაგრამ აღწერითი გრამატიკა ვერასოდეს ვერ მოგვცემს ენის მოცემული ქრონოლოგიური დონის ზუსტ სურათს, რადგან მასში ერთიმეორის გვერდით ერთნაირი უფლებებით არსებობს სრულიად სხვადასხვა ქრონოლოგიური სინამდვილის ფაქტები და არასდროს არ შეგვიძლია ვთქვათ: „დღევანდელი“, თუ ქვეცნობიერად მაინც არ ვიგულისხმებთ „გუშინდელსა“ და „გუშინწინდელს“.

მიუხედავად ასეთი ხასიათისა, ენათმეცნიერებას საკუთარი ისტორიისათვის, შეიძლება ითქვას, ხეირიანად ჯერაც არ მოუცლია. სამაგალითოდ ჩვენი სინამდვილე გამოდგებოდა — არა გვაქვს ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის თუნდაც ზერელედ მიმომხილველი სტატია, თავი რომ დავანებოთ მონოგრაფიულ შრომას.[1]

ქართული გრამატიკული აზროვნების სათავეები ჯერჯერობით წყვდიადითაა მოცული. ჩვენამდე არ მოღწეულა მე-18 საუკუნეზე ადრინდელი არცერთი შრომა, რომელშიაც საგანგებოდ იყოს ლაპარაკი გრამატიკის საკითხებზე.

გრამატიკული ლიტერატურის უქონლობას უჩიოდა თავის დროზე ივანე ჯავახიშვილიც, რომელიც წერდა: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ მომავალში ხელნაწერების შესწავლამ შესაძლებელია ძველ ქართველ გრამატიკოსთა და მთარგმნელების დაკვირვება აღმოაჩინოს კიდევაც და მაშინ ამ საკითხზე მსჯელობა გაადვილდეს, მაგრამ ჯერჯერობით ზურაბ შანშოვანის 1737 წლისა და ანტონ კათალიკოსის 1753 და 1767 წწ.-ზე უწინარესი არცერთი ქართ. გრამატიკული ნაშრომი აღმოჩენილი არ არის.“[2]

ისმის კითხვა: მე-18 საუკუნეზე ადრე ქართველებს მართლა არაფერი უკეთებიათ გრამატიკული აზროვნების სფეროში, თუ უკეთებიათ, მაგრამ მათი კვალი ჩვენამდე არ მოღწეულა?

გრამატიკა ბერძნული სიტყვაა და დღევანდელი გრამატიკების პირველწყაროც ანტიკური ხანის საბერძნეთში, კერძოდ, ალექსანდრიის სკოლის (1 საუკუნე ჩვენს წ/აღრიცხვამდე) გრამატიკოსებთან უნდა ვეძიოთ. მართალია, ძველი ინდურის (სანსკრიტის) გრამატიკა პანინმა სამი საუკუნით ადრე დაწერა და ამავე ხანებში გამოთქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება არისტოტელემაც, მაგრამ, რადგან პანინის გრამატიკას საზოგადოდ გრამატიკული აზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, ხოლო არისტოტელესა და სხვა ფილოსოფოსთა მოძღვრებაში ნახსენები სახელი, ზმნა და ზოგი შემდგომში მეტყველების ნაწილად სახელდებული ენის ერთეული, ლოგიკისა და პოეტიკის საკითხთა გარკვევას ემსახურებოდა, გრამატიკის ისტორიას ალექსანდრიის სკოლის წარმომადგენელ დიონისე თრაკიელიდან ვიწყებთ. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გრამატიკა, რომელიც ბერძნული ენის ფონეტიკა-მორფოლოგიას განიხილავდა, პრაქტიკულ მიზნებს (სწორად წერასა და კითხვას) უფრო ისახავდა, ვიდრე მეცნიერულს. არც სკოლაში სასწავლად იყო იგი თავდაპირველად განკუთვნილი.

მომდევნო საუკუნეებში თრაკიელის გრამატიკა ითარგმნა ლათინურად, იგი მიესადაგა ლათინური ენის ბუნებას და დაახლოებით მეოთხე საუკუნიდან სასკოლო დისციპლინებს შორის აუცილებელ საგნად იქცა.

ამ პერიოდიდან, უფრო ლათინურის გზითა და მეშვეობით, გრამატიკა გავრცელდა ევროპის ყველა ენაზე. თავდაპირველად იგი დიონისე თრაკიელის გრამატიკის თარგმანი უფრო იყო, ვიდრე მთარგმნელი ენის გრამატიკული ბუნების ნამდვილი ამსახველი, თუმცა დროთა განმავლობაში ყოველი ენის გრამატიკა სწორედ ამ ენის გრამატიკული წყობის გამომხატველი გახდა.

მაგრამ რამდენადაც დიდად დაშორდა დღევანდელი გრამატიკა დიონისე თრაკიელის გრამატიკულ სისტემას, იმდენად ნაკლებ განსხვავებულია სასკოლო გრამატიკები წინამორბედისაგან.

შორს რომ არ წავიდეთ: სახელი, ზმნა, ნაცვალსახელი, კავშირი, ზმნიზედა და მეტყველების რიგი სხვა ნაწილი, რომლებიც ასე მკვეთრად ზის თანამედროვე სასკოლო გრამატიკებში, დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან იღებს სათავეს.

როგორც ითქვა, დიონისე თრაკიელის გრამატიკული სისტემა ლათინურის გავლენით მთელს ევროპაში გავრცელდა და გრამატიკა აუცილებელ სასწავლო დისციპლინად იქცა უკვე IV საუკუნიდან. თუ ამასთან ერთად იმასაც

---

1 ჩვენს სიტყვახმარებაში „ქართული ენათმეცნიერული აზრი“ და „ქართული გრამატიკული აზრი“, სინონიმური ცნებებია, ყოველ შემთხვევაში, ასეთი გაიგივება ჩვენი საკვლევი პერიოდისათვის (მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი) სრულიად ბუნებრივია.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937 წ., გვ. 4.

გავითვალისწინებთ, რომ, ბერძნული წყაროების მოწმობით, სწორედ ამ პერიოდში ქალაქ ფოთის მახლობლად არსებობდა სასწავლებელი (აკადემია), რომელშიც სწავლა-განათლებას თვით ბერძნებიც ღებულობდნენ და იმასაც დავუშვებთ, რომ ამ აკადემიაში სწავლა ქართულ ენაზე იყო, მაშინ ქართული გრამატიკული აზრის ისტორია IV საუკუნიდან დაიწყებოდა. მაგრამ, რადგან ამ მხრივ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და დასადგენი, ჩვენ თავს ვიკავებთ რაიმე გადაჭრითი დასკვნისაგან.

სამაგიეროდ, სრულიად დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება, რომ მე-10-12 საუკუნეების საქართველოში არა თუ იცნობდნენ გრამატიკულ ლიტერატურას, არამედ ჰქონდათ საკუთარიც, რასაც თუნდაც კვლავ ის ფაქტი მოწმობს, რომ ჩვენში არსებობდა გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, რომელთა ფუნქცირება აუცილებლობით მოითხოვდა გრამატიკის სწავლებას.

არსებობს პირდაპირი საბუთებიც:

1. ილარიონ მოძღვარი ათონის ივერიის მონასტრის ქართულ წიგნთა აღწერილობაში 1836 წელს წერს: „...იმავე თავში მეტყველებს წმინდა ეფთვიმე მთარგმნელი, ვითარმედ: „ბერძნულს ენას კეთილად მოუვალს ართრონი და ქართულს ენას არ მოუვაო“.[1]

ართრონის (არტიკლის) ბერძნულ ენაში არსებობისა და ქართულში არარსებობის საკითხი წმინდა ენათმეცნიერული (გრამატიკული) საკითხია და ამ აზრის ავტორი ენათმეცნიერული მოვლენების ზედმიწევნით მცოდნე ჩანს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, ექვთიმეს (ათონელის) რა სახის ნაშრომზე მიუთითებს ილარიონ მოძღვარი, სად ლაპარაკობს ექვთიმე ართრონზე — გრამატიკული ხასიათის რომელიმე სპეციალურ ნაშრომში, თუ სხვაგან აქვს ეს აზრი გამოთქმული.[2]

2. მთავარი მნიშვნელობა მაინც ქართული ენათმეცნიერული აზრის უდიდესი წარმომადგენლის, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული გრამატიკის ავტორის — ანტონ ბაგრატიონის (ანტონ I) ცნობებს ენიჭება.

იხილავს რა ანტონის ე. წ. № 1 გრამატიკის[1] შესავალს, პროფ. ალ. ცაგარელი წერს: „ამ შესავლიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ანტონი უარჰყოფდა ძველ ქართულ ლიტერატურაში გრამატიკის არსებობას, მაშინ როცა თითონ იმოწმებს XII საუკუნის ერთ ქართველ გრამატიკოსს — იოანე პეტრიწს — და რამდენიმე სხვას უწოდებს გრამატიკოსს“.[2]

ამავე აზრს იმეორებს ალ. ცაგარელი 1881 წელს გამოცემულ ზურაბ შანშოვანის გრამატიკის წინასიტყვაობაში: თავის პირველ 1731 წ. (sic) შედგენილ გრამატიკის წინასიტყვაობაში ანტონ კათალიკოსი ამბობს, რომ მას არ გაუგონია თითქოს ძველ ქართულ ლიტერატურაში არსებობდა გრამატიკა, რომ არც მთარგმნელმა მამებმა, არც გვიანდელმა მწერლებმა არ დაგვიტოვეს ჩვენ იგი“.[3] ალ. ცაგარელს იქვე მოაქვს ეს შესავალიც: „წმინდა მამათა ქართველთა მთარგმნელთა მოჰფინა ღმერთმან სული თვისი და გადმოღებითა წიგნთათა იღვაწე[ს] სალმთოთა წერილთა და წმიდათა მოძღვართა და ბუნებისა და ზესთა ბუნებისა წერილთა გადმოთარგმანებითა რაოდენიცა კმა; და ამათნი ნათარგმანებნი წერილნი მრავალნი ჰგიან დღეინდლად დღემდე; დალათუ მრავალნი აკლნნ ცოდვათა ჩვენთა თვის, თხრობითა ნათესავისა უცხო ნათესავთაგან, ხოლო რომელნიცა აკლნნ — პოებულ არიედ იგინი წმიდასა ქალაქსა (იერუსალიმს) და წმიდასა მთის (ათონის) მონასტერსა ჩვენ ქართველთასა; გარნა ღრამმატიკაი არა სადა ვისმინეთ, არც ნაშთთა წიგნთა შინა

---

[1] А. Цагарели, Свед..., вып. I, II, 1886 г., დანართი, გვ. 3.

აღწერილობა პირველად გამოვიდა 1867 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე, მ. ბროსეს თარგმანით.

ილარიონი იყო იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის კარის მოძღვარი. როგორც ცნობილია, თბილისიდან გაქცევის შემდეგ სოლომონი თურქეთში გადავიდა და გარდაიცვალა ქ. ტრაპიზონში 1815 წელს. ილარიონი სოლომონის გარდაცვალების შემდეგ წავიდა ათონს და იქ დამკვიდრდა.

[2] ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომელიც ექვთიმე ათონელს მიეწერება, გრამატიკული ხასიათის ნაშრომი აღმოჩენილი არ არის. ცალკეულ გრამატიკულ შენიშვნებზე მიუთითებს ივ. ჯავახიშვილიც („თვით ის ცალკეული გრამატიკული დაკვირვებანი, რომელიც ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელსა და სხვებსაც სქოლიოების თუ კიდურწერილობის სახით მოეპოვებათ, არავის ამოუკრეფია“), დასახ. ნაშ. გვ. 4. ამ შენიშვნებში ფასეული ჯერჯერობით არაფერი აღმოჩნდა.

[1] იგულისხმება პირველი გრამატიკა, რომელიც ანტონმა 1753 წელს დაწერა და რომელიც ჯერაც არ გამოქვეყნებულა. 1885 წელს რ. ერისთავის მიერ გამოცემულ გრამატიკას საფუძვლად დაედო ე. წ. № 2 გრამატიკა, რომლის საბოლოო რედაქცია 1767 წელს დაუსრულებია ავტორს.

[2] А. Цагарели, О грам., Спб. 1873, გვ. XI.

[3] მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა ქმნული ზურაბ შანშოვანისგან 1737 წელს. 1881, გვ. XII-XIV.

მყოდ, შემდგომად აოხრებისა და არცა პირველ, რათა იყოსმცა ჩვენსა ზედა ენასა".[1]

ამ შესავლის შემდეგ ალ. ცაგარელს და მასზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილსაც აკვირვებდა ანტონის ცნობა, რომ „...ვნებითი ჯერ არს განრჩევად უხმოისა ამის მიერ რომელა ვ რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისგან ქმნული კანონი არს. მაგალითებრ: ჭამვად, წერვად, შეწირვად"[2] და ის, რომ თითონ ანტონ პირველი გრამატიკის შესავალში არსენს (ალბათ, იყალთოელს, — ა. ფ.) ეფრემს (ალბათ, მცირეს — ა. ფ.) და პეტრიწს გრამატიკოსების სახელით მოიხსენიებდა.

ამის თაობაზე ალ. ცაგარელი წერდა: „პირველი, რაც იქცევს ჩვენს ყურადღებას არის წინააღმდეგობა ანტონის სიტყვებში მის მოღვაწეობამდე ქართული გრამატიკის არსებობის თაობაზე. ჩვენ ვნახეთ, რომ ანტონი უარჰყოფს ძველ ქართულ ლიტერატურაში გრამატიკის არსებობას, ამასთან 288-ე პარაგრაფში ამბობს... (აქ მოტანილია ზემოთ ამოწერილი ციტატი — ა. ფ.)... მიუხედავად იმისა რომ — განაგრძობს ალ. ცაგარელი — ეს წესი განუსაზღვრელი კილოსათვის ხელოვნურია და სქოლასტი-გრამატიკოსის აზროვნების ნაყოფია,[3] და რომ ასეთი ვნებითის ფორმა არ იცის ქართულმა ენამ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომელიც მცდარობის მიუხედავად, გვიჩვენებს, რომ პეტრიწის შრომა იყო საგანგებო დანიშნულების გონებამახვილური გრამატიკული ტრაქტატი".[4]

პროფ. ალ. ცაგარელი კითხულობს: „როგორ შევუთანხმოთ ეს ადგილები ანტონის ნათქვამს: „რომ, ვიყავ რა ღვთის ხელით მირონცხებული პირველმა აღმოვაჩინე გრამატიკის კანონები"[5]. „ამას გარდა უნდა აღინიშნოს, — განაგრძობს ალ. ცაგარელი, — რომ მე-17 საუკუნემდე ქართული გრამატიკის უარყოფა ანტონს გარკვეულად არ გამოუთქვამს; გაუგებარია, იგი უარყოფდა გრამატიკის არსებობას ძველ ლიტერატურაში საერთოდ, თუ ეს უარყოფა მხოლოდ ნათარგმნ გრამატიკებს შეეხებოდა, რომელთაც ანტონი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა? თუ ეს ასეა, მაშინ წინააღმდეგობა თავისთავად ქრება, რამეთუ შეიძლება, არსებობდა პეტრიწის გრამატიკა, მაგრამ არა თარგმნილი უცხო ენიდან, არამედ ორიგინალური. ხოლო პირველ შემთხვევაში, ანუ მაშინ, თუ ანტონი საერთოდ უარყოფდა ყოველგვარი ქართული გრამატიკის არსებობას და ამავე დროს იმოწმებს ძველ გრამატიკოსებს — საკითხი იღებს სხვაგვარ სახეს და ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვასწოროთ ან ავხსნათ ამ წინააღმდეგობის სათავე"[1].

ალ. ცაგარელი აანალიზებს ბევრ საინტერესო დეტალს ანტონის მოსაზრებაში და დაასკვნის: „ერთი სიტყვით, წინამორბედთა გრამატიკული დამსახურების უარყოფა თუ დამცირება, უეჭველია, ანტონს გამოუვიდა „გრამატიკულ ხელოვნებაზე" თავისი შეხედულების გაზვიადებით და ტერმინების — „გრამატიკა" და „გრამატიკოსის" დაბნეული გაგებით. ერთი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ანტონს ჰყავდა წინამორბედნი, რასაც თითონაც აღიარებს და რაც, სხვათა შორის, ჩანს იქედანაც, რომ იგი არაერთხელ იმეორებს: „ახლად შედგენილი ჩემ მიერ ახალი ღრამატიკა", მაგრამ, რომლებიც, ალბათ, ვერ შეედრებოდნენ მის შრომებსო"[2].

ვფიქრობთ, ეს ე. წ. წინააღმდეგობა გაქრებოდა, ავტორებს რომ ყურადღება მიექციათ ანტონის გრამატიკის 128, 129 და 130-ე პარაგრაფებისათვის.

როგორც ცნობილია, ანტონი ქართული გრამატიკის შედგენის დროს უცხოურ გრამატიკებს იშველიებდა. ანტონმა შესანიშნავად იცოდა, რომ უცხოური ენებისათვის ანგარიშის გაწევა მხოლოდ ზოგადი განსაზღვრებების გადმოცემისას შეიძლებოდა: არც შესაძლებელი იყო და არც საჭირო საილუსტრაციო მასალების გადმოტანა. ამიტომ საილუსტრაციო მასალად ანტონს ან საღვთო წიგნებიდან ამოწერილი ციტატები მოჰქონდა (დედნის ზუსტი დასახელებით), ან საერო ხასიათის წიგნების მისეული თარგმანიდან (კვლავ ზუსტი მითითებით), ან იძლეოდა პერიფრაზს (მიუთითებლად). და, ბოლოს, ხშირად თითონ თხზავდა საჭირო მასალებს.

ის ადგილი, რომელზედაც ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ, სწორედ უკანასკნელის მაგალითს წარმოადგენს.

ანტონი იძლევა კ ა ვ შ ი რ ი ს განსაზღვრას და გამოყოფს მის ჯგუფებს, ერთი ჯგუფი იწოდება მიზეზობითად (მასში ერთიანდება: რამეთუ, ამისათვის, ნაცვლად...). კავშირის ამ ჯგუფებში მოცემული სიტყვების გამოყენების საილუსტრაციოდ ანტონს მოაქვს შემდეგი ტექსტი: „რამეთუ მორჩილება არს დედა და მეშუ კეთილისა სწავლისა, ამისათვის ღირს მესწავლეთა დამორჩილებაი მოძღვართა ხელოვანთა. ნაცვლად მეფობისა, მესწავლეო დოუ-

---

1 იქვე, გვ. XII-XIII. აქ და შემდეგაც ძველი ორთოგრაფია ყველგან ახლითაა შეცვლილი.

2 ანტონი, ღრამმატიკა. თბ., 1885, გვ. 168—169.

3 გაუგებარია, ვის ეკუთვნის ეპითეტი „სქოლასტი-გრამატიკოსი", ანტონს თუ პეტრიწს?

4 А. Цагарели, О грам. лит..., გვ. 12.

5 იქვე.

---

1 იქვე.

2 იქვე, გვ. 14-15.

გვარი მოიგე მორჩილებაი, ვიდრემდის იყოს ყოფაი შენი სხოლასა შინა, უკეთუ ზედმიწევნილთა სწავლულ იყო; ხელოვნებასა სრულად ნუ ჰზვაობდე, არამედ ნაცვალ სიმდაბლისა (sic) მოიგე სიმდაბლეი... **ნუ უკვე ჰგონო შენ, ვითარმედ შემდგომად სალმთოთა თარგმანთა ქართულისამებრ, ენისა, ყოფაი ღრამმატიკისა, მაგრამ ჰსცთები, რამეთუ არვინსადა ჩვენგანთა იხილეს ესე. ნუ უემე მცირედთა მათ ფურცელთა ღრამმატიკისათა აქა და იქი, ვისგანმე ურთიერთარს მძლვანებულთა იოცნებენ რამეთუ იყოსმცა ღრამმატიკაი, არამედ არა არს ნამდვილ... ოდესმე მეტყოდეს მე ჩვენთანანი არა საკმარებასა ღრამმატიკისასა, მაგრამ იხილონ რა წინამდებარე ესე, შეუძლო მათგან თქმად პირველნი იგი ლექსნი**". და იქვე, 128-ე პარაგრაფში: „დალათუ ჰგონიეს **უმეცრებით ხუთ ან ექვს ფურცლები იგი ღრამმატიკა ყოფად, მაგრა უმეცრებითა სცდებოდეს საცინელი**" და შემდგომ: „**უკეთუმცა, საყვარელო ჩემო, სურვილიყავ ქართულისა ღრამმატიკისა ჰსწავლად ვერ სადმე გეხილვა სავსებით აქამომდე ღრამმატიკაი ქართულად შემდგომთა წმიდათა თარგმანთა ჩვენთა, ხოლო თუმცალა ჰსთქუას ვინ ყოფაი ჰსტყუის. ხოლო დალათუ იყომცა, არა ესე-გვარ, ალერიამცა ენაი ქართველთა უწრთველთა მწერალთა**"[1].

ამ ადგილების ჩაკვირვებით წაკითხვის შემდეგ, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია ლაპარაკი რაიმე წინააღმდეგობაზე ანტონთან. იგი აშკარად ამბობს, რომ მთარგმნელი მამების შემდეგ გრამატიკა ნამდვილად არ შექმნილა. ხოლო ის ფურცლები, რომლებიც აქა-იქ შეუკრებიათ და ერთიმეორისათვის გადაუციათ, არ არის ნამდვილი (სრული) გრამატიკაო, ამიტომაც მეუბნებოდნენ მე „არასაკმარებასა ღრამმატიკისასა", მაგრამ ამ წიგნის ნახვის შემდეგ ველარ იტყვიანო ამას.

მაშასადამე:

**1. მე-10-12 საუკუნეებში** (მთარგმნელი მამების მოღვაწეობის პერიოდში) **ქართულ ენაზე გრამატიკა გვაქვს — ეს უეჭველია.** მაგრამ ძნელია იმის მტკიცება ნათარგმნი იყო იგი. თუ — ორიგინალური.

2. ანტონის დრომდე მოღწეულა ამ გრამატიკის ფრაგმენტები („ფურცლები"), რომელთაც ანტონი გრამატიკად არ თვლიდა, თუმცა აქაიქ იმოწმებდა მას. ეს ფრაგმენტები სხვათათვისაც ყოფილა ცნობილი და ისინიც მას არასაკმარისად თვლიდნენ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თეიმურაზ ბაგრატიონიდან მომდინარე ერთი ცნობა, რომლისთვისაც ჯერ ყურადღება არ მიუქცევიათ.

1 ანტონი, გრამატიკა, გვ. 110.

თეიმურაზის ცნობილი კატალოგის[1] (შედგენილია 1835 წელს) „საფილოსოფოსო და საგრამატიკო წიგნების" განყოფილებაში პირველ ნომრად (საერთო ნომერი 224) მითითებულია „ღრამმატიკა სულ ძველი მოკლედ". მას მოსდევს გრამატიკები ანტონისა, გაიოზის, დ. ბაგრატიონისა და სხვათა.

როცა ავტორი წერს, „სულ ძველიო", იგულისხმება, მართლაც დიდი სიძველე, რადგან მან ძალიან კარგად იცოდა ანტონის გრამატიკის შედგენის თარიღი, და, რადგან ეს „გრამატიკა" მოკლეც ყოფილა, იქნებ ის იყო ანტონის „ფურცლები"?[2]

აქვე შეიძლებოდა დაგვემატებინა ერთი ცნობაც.

დავით ბაგრატიონი თავისი გრამატიკის წინასიტყვაობაში, რომელიც ერეკლე მეორისადმია მიმართული, წერს... „შევთხზენ ადვილ-გასაგონი ესე **ძველთაგან და ახალთა ღრამმატიკათა** კითხვა მოგებით მცირე ესე წიგნი".

საინტერესოა აქ ტერმინ „ძველში" რას გულისხმობს ავტორი. ანტონის № 1 გრამატიკას თუ რომელიმე სხვას, იქნებ თეიმურაზის კატალოგის „სულ ძველს"? თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დავითის გრამატიკის საგანგებო შესწავლამაც ვერაფერი მოგვცა — მასში, ანტონის გრამატიკის გარდა, (ვგულისხმობთ ორივე გრამატიკასა და „სიმეტნეს"), სხვა რომელიმე გრამატიკის კვალი, არ აღმოჩნდა.

აი, ყველაფერი, რაც ვიცით კლასიკური თუ მომდევნო ხანის გრამატიკული აზრის შესახებ.

ერთი ცნობა, რომელიც კვლავ ანტონიდან მოდის, მე-17-18 საუკუნეებს ეხება.

№ 1 გრამატიკის წინასიტყვაობაში ანტონი მოგვითხრობს, რომ ძველი გრამატიკა დიდ ხანს უძებნიათ ვახტანგ VI და საბა ორბელიანს, ვახუშტი ბატონიშვილსა და ბევრ სხვასაც, მაგრამ, როცა გრამატიკის პოვნის ყველა იმედი ამოუწურავთ, მიუმართავთ ერთი თბილისელი მოქალაქისათვის, ვინმე ზაქარიასათვის, რომელიც მათი თხოვნით შედგომია გრამატიკის თარგმნას არჩილის (1647-1712) მეფობის დროს; ამ თარგმანს მისცეს სახელი „გრამატი-

1 იგი პირველად ფრანგულად 1838 წელს გამოსცა მ. ბროსემ პეტერბურგში; არსებობს სოლ. იორდანიშვილის ქართული ბეჭდური გამოცემაც.

2 ამ მიზნით საგულდაგულოდ შევისწავლეთ ხელნაწერსაცავებში არსებული ყველა ფრაგმენტ-გრამატიკა, რომ არაფერი ვთქვათ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან შრომაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს მივაკვლიეთ.

კა, რომელიც სინამდვილეში არაა გრამატიკაო“[1].

ანტონის ამ ცნობის გარშემო საკმაოდ ვრცელი მოსაზრება აქვს გამოთქმული ალ. ცაგარელს ზ. შანშოვანის გრამატიკის შესავალში.

იგი სვამს კითხვას, ხომ არ იყო ერთი და იგივე პირი შანშოვანი და ზაქარია?

ეს საკითხი მას აინტერესებს იმასთან დაკავშირებით, რომ გაარკვიოს: იცოდა თუ არა ანტონმა შანშოვანის გრამატიკის არსებობა და იყენებდა თუ არა მას.

ასეთი კითხვის დასმა გამოუწვევია შინშოვანისა და ანტონის გრამატიკათა ტერმინოლოგიურ დამთხვევას.

მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი კითხვისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან: 1. როგორც თვით ალ. ცაგარელიც შენიშნავს, ანტონის ცნობით, ზაქარიას „გრამატიკა“ უთარგმნია არჩილის მეფობის ხანაში, შანშოვანის გრამატიკა კი თარგმნილია 1737 წელს, როცა არჩილი ცოცხალი არ იყო. ამიტომ ამ ავტორთა იგივეობის საკითხი მოხსნილია. 2. ანტონის გრამატიკის გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი დიდი პატივით ეკიდება ყველას, ვისაც ოდნავი დახმარება გაუწევია მისთვის და მიუთითებს ყველა პირზე, ვისაც რაიმე უთქვამს ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონი აუცილებლად მოიხსენებდა შანშოვანსაც, რომ ენახა მისი ნათარგმნი შრომა, მით უფრო, რომ ეს შრომა მის ბიძაშვილს ვახუშტის გადაუწერია და ბიძის — ვახტანგის დაკვეთით შესრულებულა. 3. გრამატიკული ტერმინოლოგიის მსგავსება თუ ზოგჯერ დამთხვევაც კი გადამწყვეტ ფაქტორად ვერ ჩაითვლება. თუმცა ეს საკითხი ალ. ცაგარლისათვის გადაუწყვეტელი იყო, რადგან არ იცნობდა შანშოვანის გრამატიკის წყაროს.

მაგრამ ჩვენთვის, როცა ვიცით, რომ ზურაბმა თარგმნა სიმონ ჯულაელიანის გრამატიკა[2], საკითხი სრულიად ნათელია: გრამატიკის ზოგადი საკითხების გადმოცემისას, რაშიაც ეს „დამთხვევა“ ვლინდება, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა, რადგან ორივე ავტორი ბევრ შემთხვევაში ახდენდა ბერძნულ-ლათინურ-სომხური ტერმინების კალკირებას, მით უმეტეს, რომ თვით სომხური გრამატიკები ტერმინოლოგიურ სხვაობას ვერ მოგვცემდნენ, რადგან, ბერძნულ-რომაული გრამატიკული მოძღვრებიდან იღებდნენ სათავეს.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, შანშოვანსა და ანტონს შორის დამთხვევა სრულიად უმნიშვნელოა, რასაც ამტკიცებს თვით ალ. ცაგარლის მიერ მოტანილი ანტონისა და შანშოვანის გრამატიკული ტერმინების პარალელური სია.

ამ სიაში დასახელებულია 57 ტერმინი, რომელთაგან ავტორები ერთმანეთს ემთხვევიან მხოლოდ 14 შემთხვევაში. ამათში შედის ისეთი ტერმინები, (ასო, მარცვალი, ლექსი, სიტყვა, პირი, ნათესავი...), რომლებიც სომხურშიც ბერძნულ-ლათინურის სათანადო ტერმინების კალკირების გზით იყო შესული და რომელთა სხვა შესატყვისის დაძებნა სრულიად წარმოუდგენელი იყო.

ვიმეორებთ, ანტონისა და ზურაბის გრამატიკებს ამ 14-იოდე ტერმინის გარდა არაფერი აკავშირებთ და სრულიად აშკარად შეიძლება ითქვას, რომ ანტონი შანშოვანის შრომას არ იცნობდა. უფრო მეტიც, შანშოვანის ამ გრამატიკას არც არავინ იცნობდა მთარგმნელისა და ვახუშტის გარდა და, რომ ალ. ცაგარელს შემთხვევით არ გამოეცა, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში სრულიად შეუმჩნეველი დარჩებოდა, რადგან მას არცერთხელ არ იხსენიებს არც ერთი ავტორი, ვისაც კი რაიმე საერთო ჰქონია გრამატიკულ აზრთან.

ამიტომ სრულიად ცხადია, ჩვენ ზ. შანშოვანის გრამატიკას ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში ვერ შევიტანთ.

* * *

ქართული გრამატიკული აზრი, ჯერხნობით, ცნობილი მასალების მიხედვით, სათავეს იღებს უდიდესი მეცნიერის, ენციკლოპედიური ნიჭისა და განათლების მქონე ანტონ ბაგრატიონის საგრამატიკო შრომებიდან.

გრამატიკული შრომების შექმნამდე ანტონი წმინდა პრაქტიკულმა საქმიანობამ მიიყვანა.

როგორც კი 1744 წელს იგი საქართველოს კათალიკოსად დასვეს, სხვა საქმეებთან ერთად, ქართლ-კახეთის საგანმანათლებლო საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. მისთვის იმთავითვე ნათელი შეიქმნა, რომ იმ დროის შესაფერისი განათლების მისაღებად, უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო ევროპული ტიპის სასწავლებლები. მაგრამ საქმეს სახელმძღვანელოების უქონლობაც აბრკოლებდა. ანტონმა ხელი მოჰკიდა სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნას სასულიერო სემინარიებისათვის, რომელთა გახსნაც გადაწყვეტილი ჰქონდა.

---

[1] ციტატი მოგვაქვს ალ. ცაგარელის შრომის მიხედვით.

[2] ილ. აბულაძე. ქართული გრამატიკული ლიტ-ის ადრინდელი ძეგლები, საქ. სახ. მუზ. შრომები, X, თბ., 1940.

ამ გზაზე ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა 1753 წელს დაწერილი ქართული გრამატიკა, რომელსაც ჩვეულებრივ „პირველი გრამატიკის“ სახელით ვიცნობთ. ამ გრამატიკის შედგენის პრინციპი, როგორც თვით ანტონიც მიუთითებს, ძირითადად ლათინური და სომხური გრამატიკებიდანაა აღებული. თუმცა, როცა საქმე ამა თუ იმ ზოგადი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით საილუსტრაციო მასალის შერჩევასა და განლაგებაზე მიდგება, უფრო სწორად, როცა საქმე კერძოდ ქართული ენის გრამატიკას ეხება, ანტონი აბსოლუტურად დამოუკიდებლად მსჯელობს და ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში პოულობს ისეთ მოვლენებს, რომელთა ანალოგიც სრულიად უცნობი იყო საორიენტაციო ენების წყობისათვის.

ანტონის პირველი გრამატიკა არ დაბეჭდილა.

ეს გრამატიკა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია მეტყველების ნაწილთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა მორფოლოგიური მხარე (სახელთა ბრუნება, ზმნის უღლება და მეტყველების ნაწილთა, რამდენადაც მოსახერხებელია, ფორმალური დახასიათება); მეორე ნაწილში იგივე მეტყველების ნაწილები განიხილებიან ფორმალურადაც და ფუნქციურადაც. აქვეა გრამატიკის საგნისა და მისი ნაწილებად დაყოფის შესახებ მსჯელობა; მესამე ნაწილში ლაპარაკია სიტყვათა ურთიერთშეწყობის წესებსა და მეთოდებზე, რაც სინტაქსის საგანს ქმნიდა; შრომა მთავრდება „დამატებით“, რომელშიაც განხილულია ორთოგრაფია-ორთოეპიისა და პუნქტუაციის საკითხები, რა თქმა უნდა, არა დღევანდელი გაგებით.

პირველსა და მეორე ნაწილს შორის ჩართული იყო ე. წ. „სიმეტნე“ — კითხვა-მიგების წესით დაწერილი. მასში მეტად მოკლედ იყო გადმოცემული მთელი გრამატიკა მოსწავლეთათვის საზეპიროდ.

როგორც ალ. ცაგარელი ფიქრობდა, „სიმეტნე“ უნდა შექმნილიყო პირველ გრამატიკასთან ერთად და იგი იმთავითვე უნდა ხლებოდა მას. ამ აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ პირველი გრამატიკის ყველა ხელნაწერის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია იგი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს „სიმეტნეს“ რამდენიმე ცალკე ხელნაწერიც.

1767 წელს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ანტონი წერს მეორე გრამატიკას, რომელიც 1885 წელს რ. ერისთავის მიერ დაბეჭდილი ტექსტის დედანს წარმოადგენს და რომელიც გახდა ძირითადი წყარო შემდგომი გრამატიკებისათვის. ეს გრამატიკა ათეული წლების განმავლობაში ერთადერთი სახელმძღვანელო იყო სემინარიისათვის, ამავე გრამატიკით ასწავლიდნენ მსურველთ კერძო პირებიც.[1]

მეორე გრამატიკა უდიდესი მნიშვნელობის ენათმეცნიერული ნაშრომია. იგი დაიწერა მას შემდეგ, რაც ავტორმა ლათინურის და სომხურის გარდა, შეისწავლა და გაითვალისწინა ბერძნული, გერმანული, ფრანგული, იტალიური და რუსული ენების გრამატიკები და მათი თავისებურებები.

ამ გრამატიკაში ავტორი არაერთგზის ეკამათება სხვა ავტორებს და ასწორებს პირველ გრამატიკაში დაშვებულ შეცდომებს. ამავე გრამატიკაში მას, ევროპული ფილოსოფიური და ლოგიკური მოძღვრების გაცნობის შედეგად, შემოაქვს ბევრი ისეთი ცნებები და განსაზღვრებები, რითაც უსწრებს წინ მისდროინდელ ენათმეცნიერულ აზროვნებას საერთოდ.

ანტონის შემდეგ პირველი ავტორი საგრამატიკო შრომისა გახლდათ მისივე მოწაფე და უახლოესი თანამებრძოლი (განსაკუთრებით განათლების ფრონტზე) თელავის სემინარიის პირველი რექტორი — გაიოზი.

გაიოზის გრამატიკა დაიწერა 1789 წელს,[2] საქართველოს ფარგლებს გარეთ, კრემენჩუგში, სადაც მაშინ მისი ავტორი იმყოფებოდა. დაახლოებით ათი წლის შემდეგ, კვლავ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქ. მოზდოკში, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ იქ გადატანილ ქართულ სტამბაში, დაიბეჭდა ეს გრამატიკა ხუცური შრიფტით და იყო ერთადერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკა ქართულად და ქართველის ავტორობით მე-19 საუკუნის 20-იან წლებამდე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაიოზის გრამატიკა აგებულებით, ლაკონიურობით, ზოგ გრამატიკულ კატეგორიათა თავისებური გაგებით ერთი ყველაზე უკეთესი ნაშრომია იმ გრა-

1 ი. ქართველიშვილი „მემუარებში“ წერს, რომ 1791 წელს გადავწყვიტე სამეცნიერო წიგნებს დავეუფლებოდი და დახმარებისათვის კათალიკოს ანტონ II მივმართეო. მან „მიმაბარა ერისთვის შვილსა არხიმანდრიტსა თვისსა ვარლამს, კაცსა ფრიად მეცნიერსა, ამან უკვე მაწყებინა კითხვა ღრამმატიკისა“ (ი. ქართველიშვილის მემუარები, ავთ. იოსელიანის რედაქციით. თბ., 1952, გვ. 8).

2 ელ. ნიკოლაიშვილი. გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა, მაცნე, 1966 წელი, № 4; აგრეთვე, გაიოზ რექტორი, ქართული გრამატიკა, თბ., 1970 წ. ელ. ნიკოლაიშვილის შესავალი წერილი, გვ. 13-18.

მატიკებს შორის, რომლებიც ანტონის უშუალო გავლენით შეიქმნა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გაიოზმა ვერ გაიგო ანტონის მოძღვრებიდან ზოგი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი და სრულიად გამოტოვა იგი, გამარტივების მიზნით გვერდი აუარა ბევრ საჭირო დებულებას, რითაც თავისი შრომა მეცნიერულად გაალარიბა.

ამიტომ სრულიად დაუსაბუთებლად გვეჩვენება აზრი იმის თაობაზე, თითქოს ანტონისა და მისი სკოლის მიმართ არსებობდა რაღაც განსაკუთრებული შიში და მოკრძალება, რაც იწვევდა მათდამი ბრმად მიბაძვას. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ანტონი კათალიკოსი იყო და მის ხელთ იყო ძალაუფლება, ამის გამო თითქოს ვერავინ ბედავდა მისი მოსაზრებების წინააღმდეგ წასვლას.

არცერთ სხვა გრამატიკოსს, თვით სოლომონ დოდაშვილისა და პლატონ იოსელიანის ჩათვლით[1], იმდენი ცვლილება და სიახლე არ შეუტანია ანტონის გრამატიკულ ნააზრევში, რამდენიც გაიოზმა შეიტანა და სრულიად გაუგებარია სადღაა ის შიში, რომელიც თითქოსდა ანტონის პიროვნების წინაშე ჰქონდათ — გაიოზი ხომ, იგულისხმება, ანტონის სიცოცხლეში მუშაობდა გრამატიკაზე.[2]

როგორც ჩანს, შიში და მორიდება არაფერ შუაშია. შემდგომი დროის გრამატიკოსებს და საერთოდ ანტონის მიმბაძველებს არ ჰყოფნიდათ მეცნიერული ძალა და შემართება, რომელიც ახლის ძიებისთვისაა საჭირო. ბევრი მათგანი უბრალოდ გადაწერას ამჯობინებდა, რადგან ვერ ახერხებდა კრიტიკულად აეთვისებინა დიდი წინაპრის ნააზრევი.

თითქმის გაიოზის გრამატიკის პარალელურად დაწერა ქართული გრამატიკა თბილისში (1790 წელს) დავით ბაგრატიონმა — გიორგი XII უფროსმა ვაჟმა და ტახტის მემკვიდრემ.

შრომის შექმნის მიზეზად ავტორი ასახელებს იმ გარემოებას, რომ: გრამატიკა სიბრძნის კარი და საფუძველია, მისი დაუფლება აუცილებელია ყოველი ქართველისათვის, მაგრამ, რადგან, ამჟამად შექმნილი ვითარების გამო, ჩვენი ერი მოუცლელია და არავინ არის თავისუფალ მეცნიერებასა და ფილოსოფიას დაუფლებული, მე მოვკიდე ხელი ამ საქმესო.

ეს გრამატიკა წარმოადგენს ანტონის „სიმეტყნისა“ და გრამატიკების ძირითად დებულებათა შეუცვლელად გამეორების თავისებურ მაგალითს.

იგი „სიმეტყნის“ მსგავსად კითხვა-მოგების პრინციპზეა აგებული და ბევრ ადგილას, სადაც ამის შესაძლებლობა იყო, სიტყვა-სიტყვით იმეორებს „სიმეტყნის“ განსაზღვრებებს. სხვაგან მას ანტონის გრამატიკების (განსაკუთრებით მეორე გრამატიკის) დებულებების ოდნავ შემოკლებული ვარიანტები მოუცია. ის სიახლე, რომელიც ამ გრამატიკაში არის — განსაზღვრებათა ფილოსოფიური გააზრება (პორფირიოს ფინიკიელისაგან მომდინარე) — უფრო ამცირებს ამ შრომის ხარისხს.

მიუხედავად ამისა, დავით ბაგრატიონის ამ შრომას ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში უკვალოდ არ ჩაუვლია. მას ემყარება ძირითადად ავტორის ძმის—იოანე ბაგრატიონის ორივე გრამატიკა[1], რომელთაგან პირველი — „კალმასობის“ გრამატიკული ნაწილი — ქრონოლოგიურადაც წინ უსწრებს, ალბათ[2] სხვა ავტორთა გრამატიკებს, ხოლო, მეორე, ცალკე შექმნილი გრამატიკა, რომელიც მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებობს, დაიწერა 1829 წელს პეტერბურგში.

დავითის ამ გრამატიკას იქნებ მარი ბროსეც იყენებდა პარიზში გამოქვეყნებული ქართული ენის გრამატიკის შექმნისას (მ. ბროსეს შრომა დაიბეჭდა 1834 წელს, დავითის შრომა კი მას ხელთ ჰქონდა უკვე 1832 წელს), თუმცა, თვითონ მ. ბროსეს თქმით, მას შრომა უფრო

---

1 ამ ორ გრამატიკოსს საგანგებოდ იმიტომ ვახსენებთ, რომ მათ განათლება რუსეთში მიიღეს და ყველაზე მეტი შესაძლებლობა სწორედ მათ ჰქონდათ ცვლილებები შეეტანათ ანტონის გრამატიკაში.

2 როგორც ცნობილია, გაიოზის გრამატიკა დაიწერა 1789 წელს, ანტონი კი მხოლოდ ერთი წლის წინ გარდაიცვალა. ამის გარდა, არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით, გაიოზს გრამატიკა დამთავრებული ჰქონდა 1785 წელს (ცლ. ნიკოლაშვილი, გაიოზ რექტორის გრამატიკა, გვ. 18).

---

1 ჩვენ „კალმასობის“ გრამატიკულ ნაწილსაც ცალკე გრამატიკად ვთვლით და პირველი გრამატიკის სახელწოდებით აღვნიშნავთ. ამის საფუძველს, რა თქმა უნდა, თვითონ შრომის ხასიათი იძლევა: იგი სრულიად დამთავრებული გრამატიკაა, ყველა შემადგენელი ნაწილით, უფრო მეტიც, იგი ორი გრამატიკის — გაიოზისა და დავითის გრამატიკების—საკმაოდ დაწვრილებითი შეჯვარებაა და მოცულობითაც, ანტონის გრამატიკის შემდეგ, ყველა იმ გრამატიკულ შრომაზე დიდია, რომლებიც მთელი მე-19 საუკუნის მანძილზეა გამოქვეყნებული (ნაბეჭდი 120 გვერდი).

2 ალბათო, ვამბობთ იმიტომ, რომ ზუსტად არ ხერხდება დადგენა „კალმასობის“ სხვადასხვა ნაწილის დაწერის თარიღისა. მართალია, გრამატიკა ისეთ მასალებშია მოთავსებული, რომ იგი 1798-1800 წლების ფარგლებში უნდა დაწერილიყო, მაგრამ გადაჭრით რისიმე თქმა ჯერ მაინც შეუძლებელია.

ადრე დაუწერია, ვიდრე ანტონის და დავითის გრამატიკებს გაეცნობოდა.

იოანეს პირველი გრამატიკის შესახებ ჟურნალ „ცისკრის“ გასული წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა დოცენტ ნ. კოტინოვას წერილი, რომელშიაც სრულიად სწორადაა აღნიშნული იოანეზე ანტონისა და გაიოზის გავლენა, მაგრამ სტატიის ავტორს მხედველობიდან გამორჩენია დავითის გავლენა. ჩვენ დადასტურებული გვაქვს, რომ იოანე ალაგ-ალაგ პირდაპირ სიტყვასიტყვით იწერს სწორედ დავითის გრამატიკიდან.

როცა ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაზე ვმსჯელობთ, გვერდს ვერ ავუვლით 1802 წელს პეტერბურგში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ რუსულ ენაზე დაბეჭდილ მოკლე ქართულ გრამატიკას, რომლის ავტორი არქიეპისკოპოსი, შემდგომში საქართველოს პირველი ეგზარქოსი, ვარლამ ერისთავი იყო. წიგნი დაწერილია ანტონის გრამატიკის დებულებებზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია რუსული გრამატიკული ლიტერატურის მონაცემებიც.

როგორც ცნობილია, 1804 წელს თბილისში გაიხსნა საკეთილშობილო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში ქართული ენის პირველ მასწავლებლად მოიწვიეს მცხეთის საკათედრალო ტაძრის პროტოპოპი იოანე ქართველიშვილი, რომელიც, საგრამატიკო ხელოვნებას ვარლამ არქიმანდრიტთან ეუფლებოდა.

პირველ წლებში გრამატიკას იგი გაიოზის წიგნით ასწავლიდა, 1809 წელს კი იოანეს თვითონ შეუდგენია ქართული გრამატიკა. უფრო მოგვიანებით, ალბათ, 1812-13 წლებში მოუცია ამ გრამატიკის ახალი რედაქცია, რომელიც საფუძვლად დასდებია 1817 წელს ხუცურად დაბეჭდილ ანონიმურ გრამატიკას.

ამ გრამატიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით ერთი სიტყვაც არ თქმულა.

ჩვენს ხელნაწერსაცავებში მოიპოვება იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ორივე რედაქციის ერთნახევარ ათეულამდე ხელნაწერი, რომელთა ძირფესვიანმა შესწავლამ და ნაბეჭდ გრამატიკასთან შეპირისპირებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს შრომა, გაიოზის გრამატიკის შემდეგ, პირველი შრომაა, რომელმაც ახალი ეტაპი შექმნა ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში.

იოანე ქართველიშვილი ითვალისწნებს ანტონისა და გაიოზის გრამატიკების თითქმის ყველა ძირთად დადებით მხარეს, უხამებს მას, როგორც თვითონ ამბობს, რუსულ საგრამატიკო ლიტერატურის პრინციპებს (ძირითადად მეთოდიკური თვალსაზრისით) და მეტად საყურადღებო ნაშრომს გვაწვდის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებულ ანონიმურ გრამატიკას, რომლის მეორე გამოცემაც 1826 წელს უნდა განეკუთვნებოდეს, დღემდე, შეცდომით იესე ჩუბინაშვილს მიაწერდნენ.[1]

საკითხის ყოველმხრივმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ, თუ იესე ჩუბინაშვილმა ამ შრომაში რაიმე მონაწილეობა მიიღო, ეს მონაწილეობა რედაქტორის როლს არ გასცილებია, ამიტომ ეს გრამატიკა „ქართულ წიგნშიცა“ და სათანადო ბიბლიოთეკების კატალოგებშიც სრულიად სამართლიანად აღწერილია იოანე ქართველიშვილზე.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ნაბეჭდ შრომას, რომელიც დღემდე რატომღაც ქართული ენის გრამატიკათა შორის განიხილება. ლაპარაკია გოდერძი ფირალოვის (ფირალიშვილის) „თვითმასწავლებელზე“ (დაიბეჭდა 1820 წელს ქ. პეტერბურგში).

გ. ფირალოვი, ალ. ცაგარლის ცნობით, გიორგი მეცამეტის მდივანი ყოფილა, ამ უკანასკნელის სამეფო ტახტზე ასვლამდე, მაგრამ, როგორც „კალმასობაში“ ვკითხულობთ, იგი სასახლის კარის მოხელეთა შურის გამო, დაუთხოვიათ და რუსეთში გადასულა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე იგი რუსეთში ჩანს და „თვითმასწავლებლის“ გარდა სალიტერატურო შრომებიც შეუქმნია.

„თვითმასწავლებლის“ სრული სათაური ასეთია: „თვითმასწავლებელი, რომელი იპყრობს თვის შორის ღრამმატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონს რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა. შეთხზული მსახურებლისა სახელმწიფოსა კოლეგიასა შინა უცხოს მხრისათა, ნადვორნის სოვეტნიკის და კავალერის გოდერძი ფირალოვისაგან — პეტერბურღში 1820 წელს“. ასეთივე სათაური აქვს წიგნს რუსულ ენაზედაც.

როგორც ალ. ცაგარელი შენიშნავს, „წიგნი იწყება „წინასიტყვაობით“, რომელიც დაწერილია რუსულ და ქართულ ენებზე. შემდეგ მოდის ორ სვეტად პარალელური რუსული და ქართული გრამატიკა, სასაუბრო, ზნეობის სწავლა და ლექსიკონი. ყველაფერი ეს გადმოცემულია სიტყვა-სიტყვითი ქართული თარგმანით, რომელიც ხშირად უზუსტო და გაუგებარია“[2].

ერთი სიტყვით, „სასაუბროს“ ყველა კომპონენტი დაწერილია რუსულ ენაზე და შემდეგ მოცემულია მისი ქართული თარგმანი. ამის გა-

1. ნ. აბესაძე, მასალები ერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკის ავტორის საკითხისათვის, მაცნე, 1967 წ. № 1. ჩვენ იოანე ქართველიშვილის გრამატიკაზე და მის ავტორზე მომზადებული გვაქვს ვრცელი გამოკვლევა, რომელიც უახლოეს ხანში დაიბეჭდება.

[2] А. Цагарели, О грамм..., გვ. 41.

მო, რა თქმა უნდა, სრულიად გაუმართლებელია მისი განხილვა იმ ლიტერატურაში, რომელიც ქართული ენის გრამატიკებს ეხება, მით უფრო, რომ ქართული თარგმანი მეტად სუსტია. ალ. ცაგარელს მოაქვს ერთი შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ თარგმნის ფირალოვი რუსულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისებს — **„ია ვამ ვესმა ობიაზან“ — „მე თქვენდამი ფრიად შეკრული ვარ“**. ეს თარგმანი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ამ „თვითმასწავლებლით“ რუსულის სწავლაც შეუძლებელია, თორემ ქართული რა მოსატანია.

ალ. ცაგარელი მიუთითებდა, რომ ამ წიგნში „ქართული ენის გრამატიკას არავითარი ყურადღება არ ექცევა, მხოლოდ აქა–იქ აღნიშნავს ავტორი ზოგ რასმეზე თითქოს არც თუ დიდ განსხვავებას რუსული გრამატიკიდან და იმასაც შენიშვნებში“.

აი ერთი მაგალითი ასეთი შენიშვნისა: „ქართულსა ღრამატიკასა შინა მიმოხვრაი სახელისა არა არს განსაზღვრებულად ვითარცა რუსულსა ენასა ზედა; არამედ ზოგადად ყოველნი სახელნი დასრულებულნი ჴმოვანსა ანუ უხმოსა თვისებისაებრ ქართულისა ენისა იბრუნვიან ბრუნვისამებრ“ — განმარტებაც ამას ჰქვიაო, შენიშნავს ალ. ცაგარელი. სხვაგან ფირალოვი გვასწავლისო, „ვითარცა ნაცვალსახელებისათვის თქმულ არს. რომელ ქართულსა ენასა ზედა ნათესავი არს ორი, ე. ი. საზოგადო და მამრობითი, ეგრეთვე ზმნათა თვის ნამყოთა გულისხმისყოფაი ჯერ არს... ქართულსა ღრამმატიკასა შინა თუმცა **მიმოხრაი ზმნათაი დაბოლოებათა თვისთა იროცხებიან შვიდად, გარნა ვინათგან იგინი თანახმად არიან რუსულისა თანა ,ამისათვის შევრაცხე მეტად მოხსენებაი მათი“**[1].

ყველაფერი ეს ალ. ცაგარელმა იცის და მისი დასკვნაც შესაფერისია: „მისი შრომა სხვა არა არის რა, თუ არა რუსული გრამატიკული კატეგორიების ზოგადი განსაზღვრებების გადმოცემა, რუსული ბრუნებისა და უღლების მოკლე მიმოხილვა, ზოგჯერ ქართულ გრამატიკაზედაც მითითებით“ (გვ. 43).

და ყველაფერი ამის შემდეგ, ვიმეორებთ, სრულიად გაუგებარია ამ „თვითმასწავლებლის“ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურის სიაში შეტანა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შრომას სათანადო განაჩენი თვითონ ალ. ცაგარელმა გამოუტანა, რაც არ იქნა გათვალისწინებული შემდგომში და ძალიან ხშირად ახლაც, როცა სურთ რომელიმე გრამატიკული კატეგორიის შესახებ ძველი ავტორების აზრიც გადმოგვცენ, სხვებთან ერთად, გ. ფირალოვსაც მოიხსენებენ ხოლმე, მას კი ეს არ დაუმსახურებია.

ერთადერთი, რაც ამ წიგნში აღნიშვნის ღირსია, არის ის, რომ გრამატიკული ტერმინი „ლექსი“ უმეტეს წილად შეცვლილია „სიტყვა“ ტერმინით და ლექსიკონშიც „სლოვო“ თარგმნილია ტერმინით „სიტყვა“.

1830 წელს დაიბეჭდა სოლომონ დოდაშვილის გრამატიკა, რომელიც ხელნაწერის სახით ჯერ კიდევ 1827 წელს უნდა ყოფილიყო გამზადებული. ეს გრამატიკა ძირითადად იმეორებს იოანე ქართველიშვილის გრამატიკის მეორე რედაქციას.

სოლომონ დოდაშვილის გრამატიკას ეყრდნობა (ამიტომ კვლავ იოანე ქართველიშვილის მოსაზრებებს იმეორებს) პლატონ იოსელიანის გრამატიკაც, რომელიც დაიბეჭდა 1841 წელს[1]. თუმცა ხელნაწერი ორი წლით ადრე უნდა გაემზადებინა ავტორს, რომლის რუსული თარგმანი (ქართულთან ერთად) დაბეჭდვის ნებართვისათვის გადაუცია საქართველოს მაშინდელ ეგზარქოს ევგენისათვის, ამ გრამატიკის რუსული თარგმანის ხელნაწერი ინახება კ. კეკელიძის სახელობის თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ჩვენი ხელნაწერების ინსტიტუტში ინახება კიდევ სამი ხელნაწერი გრამატიკა, რომელთა გვერდის ავლაც შეუძლებელია.

ერთ-ერთი მათგანი შედგენილია 1818 წელს ნიკო დადიანის მიერ. იგი პატარა ფორმატის ქაღალდზე წვრილი მხედრული შრიფტით დაწერილი შრომაა და ანტონის გრამატიკის მეტად გულმოდგინედ გაკეთებულ კონსპექტს წარმოადგენს.

ოთხი წლის შემდეგ, 1822 წელსაა დაწერილი გრამატიკა — s243, რომელიც ხელნაწერთა აღწერილობაში ანტონის გრამატიკის ალექსანდრე ჩიქოვანის მიერ გადაწერილ ეგზემპლარადაა მიჩნეული. ნ. აბესაძე ამ გრამატიკას ი. ქართველიშვილის გრამატიკის რიგისად მიიჩნევს. ალ. ჩიქოვანს კი გადამწერად გულისხმობს.

სინამდვილეში. გრამატიკა, როგორც ჩანს, თვითონ ალ. ჩიქოვანის შედგენილია, ანტონისა და იოანე ქართველიშვილის გრამატიკების დებულებებზე დაყრდნობით — შეცდომების საფუძველიც ეს გამხდარა.

კიდევ ერთი საინტერესო გრამატიკაა თბილისის ხელნაწერების ინსტიტუტში — s 3726. იგი მხოლოდ მორფოლოგიას შეიცავს და მეტად გონებამახვილური და საქმის ცოდნით გაკეთებული კომპილაციაა ანტონისა და გაიოზის გრამატიკებისა. სამწუხაროდ, არ მოხერხდა დადგენა არც ავტორისა და არც შრომის შედგენის თარიღისა.

ჩვენ მიმოვიხილეთ ქართული გრამატიკუ-

---

1 ალ. ცაგარელი, დას. შრომა, გვ. 42.

1 ამავე გრამატიკაში აისახა თითქმის ყველა დებულება, რომლებიც ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში იყო მოცემული.

ლი აზრის ჩასახვისა და განვითარების გზები XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე.

აქვე საჭიროდ ვთვლი, მკითხველს მივაწოდო ორიოდე განმარტება: წერილის პირველი ნახევარი, რომელშიაც მიმოხილულია ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობამდელი გრამატიკული აზრი, სრულია და იგი ითვალისწინებს დღემდე გამოვლენილ ყველა ცნობას. რაც შეეხება ანტონისა და მისი შემდეგდროინდელი გრამატიკოსების მოღვაწეობის გაანალიზება-შეფასებას, აქ ჩვენი სტატია მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის პრეტენზიის მქონე თუ იქნება, რადგან ამ საკითხის სრულად და საფუძვლიანად შესწავლისათვის სქელტანიანი მონოგრაფია თუ მონოგრაფიებია საჭირო და ერთ საჟურნალო წერილში მისი მოთავსება წარმოუდგენელია.

როგორც ვხედავთ, ქართული გრამატიკული აზრი სათავეს იღებს დიდი ქართველი მოაზროვნის — ანტონ ბაგრატიონის ფუძემდებლური შრომიდან.

ანტონის გავლენა ქართულ გრამატიკულ აზრზე შემდეგაც არ შენელებულა; რაც შეეხება, გრამატიკულ ტერმინოლოგიას, — იგი თითქმის მთლიანად ანტონის შექმნილი და დამკვიდრებულია.

როცა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში ანტონის დამსახურებაზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ლაპარაკია არა ერთ და ორ ტერმინზე, თუნდაც ერთ და ორ ათეულზე, არამედ ტერმინთა მთელს ერთობლიობაზე. ანტონმა ფაქტიურად შექმნა არა მხოლოდ მანამდე არარსებული მეცნიერული შრომა ქართული ენის გრამატიკული წყობის შესახებ, არამედ ამ მეცნიერების ენაც და, თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ამ ტერმინთაგან თითქმის არცერთი არ იყო საბას „სიტყვის კონაში“, ნათლად წარმოგვიდგება მისი უზარმაზარი ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე ზოგადად და ენათმეცნიერების წინაშე კერძოდ.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# «МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ